ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მპოვნელმან

1

იმღამინდელი აყალმაყალი მთელმა ურუქმა გაიგო, ან რა ძნელი გასაგები იყო, თათრის ღრიალი ცასა წვდებოდა; გიორგაც უარესად უკიდებდა ცეცხლს, იმის მაგივრად, რომ გაჩუმებულიყო, გასცლოდა, გარიდებოდა, მთელი ხმით უყვიროდა: თვალებს შუა უნდა ჩაგისვა ტყვიაო.

თათარი ხშირი სტუმარი იყო ურუქისა, სტუმარი აღარც ეთქმოდა, აგერ უკვე ათი წელი სალაპარაკოდ ჰქონდათ გამხდარი მისი და ანას ჩუმჩუმელა სიყვარულის ამბავი, მაგრამ ამ ათი წლის განმავლობაში არც თათარი უნახავთ თვალით და არც მისი ხმამაღალი სიტყვა გაუგიათ, ხმამაღალი კი არა, საერთოდ არ გაუგიათ თათრის ხმა. სამაგიეროდ, ათწლიანი დუმილი ერთბაშად, ერთ ღამეში დაავიწყდათ. ქვრივის სახლთან ახლოს მისვლა მაინც ვერავინ გაბედა; მარტო თათრის შიშმა კი არ შეაჩერათ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა აჯობებდა: ჩარევა თუ ისევ ჩაურევლობა, რადგან ამ ათი წლის განმავლობაში ანაც და თათარიც ისე იქცეოდნენ, თავი ისე ეჭირათ, თითქოს საერთოდ არ არსებობდა ურუქი, ან თუ არსებობდა, არც თვალი ჰქონდა და არც ყური. ქმარმა ცოლს გადაბრუნებული სიტყვა რომ უთხრას ლოგინში, არც ის დარჩება სოფლისთვის გაუგებარი და რა დიდი ამბავი უნდოდა მარტოხელა ქვრივის ასავალ-დასავალის გაგებას, მაგრამ რაკი ანა სოფელს არ ირევდა საქმეში, სოფელიც ხათრს უნახავდა და ძალით იბრმავებდა თვალს.

კაცმა რომ თქვას, ვისი რა საქმე იყო, ვინ დაუდიოდა ანას ღამღამობით? ბოლოს და ბოლოს, ანა სხვას არავის ახვევდა

თავის შერცხვენილ ლეჩაქს, არც სხვის ნავთსა სწვავდა და, თუ მოეპრიანებოდა, დილამდე არ ჩააქრობდა ლამპას. ურუქშიც ღვთისგან გაჩენილი ხალხი ცხოვრობდა, ქვრივსა და ობოლს ვინ დაამადლიდა პურსა თუ გამოქომაგებას, მაგრამ არც იმას იკადრებდა ვინმე, შარაზე გადასდგომოდა იმავე ქვრივსა და ობოლს, რატომა ხართ პირში წყალჩაგუბებულნი, რატომ ჩვენც არ გვაგებინებთ თქვენს ამბავსაო. ასე რომ, ისევ თავის შეკავება ჯობდა არამკითხე-მოამბეობას, სანამ თვითონ ისინი არ დაუძახებდნენ და თვითონ ისინი არ ჩაირევდნენ საქმეში. მაგრამ არც ის გაემტყუნებოდა სოფელს, ათასში ერთხელ, ენისა და გულის მოსაფხანად უბოროტოდ რომ ხუმრობდა და ქილიკობდა ანას ღამეულ თავგადასავლებზე, რადგან ქვრივიც, თანაც ლამაზი და ახალგაზრდა, თავისი განსაკუთრებული ბედისა და დაუწერელი კანონის ძალით, საერთო ყურადღებისა და განსჯის საგანი ხდება ხოლმე, როგორც გიჟი ანდა საპყარი. ქალებს კაცებზე ნაკლებად როდი აინტერესებდათ ქვრივი, მაგრამ კაცებისაგან განსხვავებით, ისინი თანაუგრძნობდნენ მას, რადგან იცოდნენ, ძალითა და დაშინებით რომ დაემორჩილებინა იგი თათარს. „შვილს მომიკლავსო“, — წამოსცდენოდა ერთხელ ანას წყაროზე და ქალებსაც ხომ მეტი არ უნდოდათ, გული დათუთქოდათ, მისი საცოდაობით. ასე იყო, სანამ გიორგასა და მაიორის დამეგობრებას შეამჩნევდნენ და ამ დამეგობრების მიზეზსაც ამოიცნობდნენ. სოფელს რა გამოეპარებოდა, მით უფრო ამგვარი ამბებისა, მაგრამ არც ენა მოუტრიალდებოდა მაიორის.

გასამტყუნებლად, აქაოდა, რახან თათარი დაუდის, მაიორს. სხვა თვალით აღარ უნდა შეეხედა ქვრივისთვისო. მართალია, ამხნის კაცი (მაიორი მაშინ ორმოცი წლისა იყო) უცოლოდ დარჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში, ცოლი არ ჩამოჰყოლია და ვერც ის გაარკვიეს ურუქელებმა, ჰყავდა თუ არა საერთოდ ცოლი, სანამ მათ სოფელში დასახლდებოდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ მაიორს ქალის დასანახი თვალიც იქ დარჩენოდა, საიდანაც ერთი დედი სკივრისა და ოფიცრის მუნდირის ანაბარა ჩამოსულიყო.

ერთ ცხენზე ამხედრებული, ერთი თოფით შეიარაღებული ბიჭისა და მაიორის დანახვა სოფელს გარდაუვალი ჩხუბის წი-

ნათგრძნობას უღვიძებდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაეგო, რა საერთო უნდა ჰქონოდა ამ ჭაღარაგარეულ კაცს თითისტოლა ღლაპთან, ხოლო როცა მიხვდა, შვებით ამოისუნთქა, მაშინვე რატომღაც მაიორის მხარეზე დადგა, თითქოს მაიორი მხოლოდ იმიტომ ჩამოსულიყო ურუქში, ბოლო რომ მოეღო ქვრივისა და თათრის ჩუმჩუმელა სიყვარულისათვის, აგერ ამდენი ხანი ძილსა და მოსვენებას რომ უკარგავდა სოფელს. სოფელი თუ არ ცდებოდა, ალღო თუ არ ატყუებდა, მალე დიდი ამბების მოწმე გახდებოდა; ყველას მაიორისა და ქვრივის ბიჭის მეგობრობა ეკერა პირზე, ხოლო იგივე ქალები, რომლებიც ადრე თანაუგრძნობდნენ ქვრივს, ახლა შურისაგან გულზე სკდებოდნენ, ადრე თუ თათრისთვის ენანებოდათ იგი, ახლა ოქროს ეპოლეტებიანი მაიორი გადამეტებულ ბედნიერებად ეჩვენებოდათ მისთვის. მარტო ანა ცხოვრობდა ძველებურად, იყო თავისთვის და ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ორღობეში, მარილის ანდა ნავთის საყიდლად დუქნისკენ მიმავალი, ერთიანად ჩაშავებული, როგორც ქვრივს შეეფერება, ქმართან ერთად რომ დაუმარხავს თავისი ქალობაც. შავებს ჩვენთვის იცვამს, — იტყოდა ხოლმე მის დანახვაზე რომელიმე ყიამყრალი დედაკაცი, შიგნიდან კი, სულ ჭრელაჭრულები ეცმევა თათრის მისატყუებლადო.

— ნეტა მაიორს რაღას უწუნებს? — მაშინვე აუბამდა მხარს მეორე, ვითომ მაიორის დარდი კლავდა.

მაგრამ მაიორი არავის დახმარებას არ საჭიროებდა, უკეთ იცოდა თავისი საქმე, ქვრივს ზედაც არ უყურებდა, თითქოს ვერც ამჩნევდა, მაგრამ თოკის ბოლო უკვე მაჯაზე ჰქონდა დახვეული და როგორც არ უნდა ჰგონებოდა ქვრივს, ჩემს ნებაზე თავისუფლად ვარ გაშვებულიო, მაინც ვეღარ გადავიდოდა დაუკრეფავში, უმეთვალყუროდ დარჩენილი საქონელივით; მაიორს გიორგა ჰყავდა ხელში, იმ ქვრივის შვილი, ჯერ იმას შეიჩვევდა, შეიამხანაგებდა საკუთარი დედის წინააღმდეგ, დედის გულის კარს გაახსნევინებდა და აუღელვებლად, თავის აუტკივებლად შებრძანდებოდა შიგ. ასე რომ, სოფელი დიდ მოლოდინში იყო, დიდი ამბები უნდა მოჰყოლოდა გიორგასა და მაიორის მეგობრობას, რასაც, ალბათ, თათარიც მალე შეიტყობდა და თავი თუ სწორად ება, ყველაზე მეტად მას არ უნდა გახარე-

ბოდა ეს ამბავი. ახლა მეტი ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ქვრივის სარკმელს, სიზმრით შეშინებული ბავშვივით მო-ულოდნელად რომ დააჭყეტდა ხოლმე თვალს შუაღამისას; სა-ნამ ის სარკმელი არ მოიშლიდა ასე მოულოდნელად თვალის დაჭყეტას, არც სოფელს ეღირსებოდა სიმშვიდე.

თათარმა ის დააშავა, ეჭვიანობა რომ დაიწყო, თავს რომ ვერ მოერია და არა მარტო გამოააშკარავა (ეს ისედაც ყველამ იცოდა), არამედ სათუოდ გახადა თავისი ნაქურდალი სიამ-ტკბილობა; თუმცა სიამტკბილობას რაღას ჩიოდა, ცოცხალი თუ გააღწევდა ურუქიდან, რადგან ახლა მაიორთან ექნებოდა საქ-მე. არც სოფელი აპატიებდა ვინმეს ქალისა და ბავშვის ცემას, მაგრამ ჯერ მაიორისათვის უნდა დაეცლია, ახლა მაიორი აპი-რებდა ქვრივსა და სოფელს შორის ჩადგომას და პირველი სიტყვაც მას უნდა ეთქვა. შეიძლება ამანაც შეაკავა, ამის გამოც არ მიუხტა სოფელი ქვრივ-ობლის გამლახავ თათარს და ეზო-ებში გამოფენილი, დაბნეული და ნირწამხდარი ელოდებოდა მაიორის გამოჩენას. გალახული ბავშვი მაიორის მეგობარი იყო, გალახული ქალი — მაიორის მეგობრის დედა და მიხმარე-ბა თუ სჭირდებოდათ, პირველი მაიორი უნდა მიხმარებოდათ, მერე კი სოფელმა თვითონ იცოდა, როგორც მოიქცეოდა.

ჯერ მაიორის რიგი იყო, ქალის ჩაგდება თუ უნდოდა ხელში, უკეთესი შემთხვევა აღარც მიეცემოდა და ახლა უნდა გამოეღო ხელი. იცოცხლე, კარგია ბავშვის ცხენით სეირნობა, მაგრამ დიდი ვერაფერი შეღავათია ეს იმ ბავშვის დედისთვის, რომელ-საც სოფლის დასანახად თავში უპარტყუნებენ კუროები, ქალს რამეზე ხელი რომ ააღებინო, სამაგიეროს უნდა დაჰპირდე, თა-ნაც უკეთესს, კაცი იქნება თუ თავსაფარი, ჰოდა, მაიორსაც სწორედ ახლა უნდა დაემტკიცებინა, თათრის მაგივრობის გა-წევა რომ შეეძლო, თანაც უკეთესად; კარავში კი არ უნდა მჯდა-რიყო, არამედ მასაც იქ უნდა ეტრიალა, ომში, რომელიც მისი მიზეზითაც იყო ატეხილი, მისი მიზეზითაც კი არა, ის გახლდათ მთავარი მიზეზი. ის რომ არა, არც თათარი გაცოფდებოდა ასე.

თათარმაც იგრძნო ალბათ, მიჩვეული ბუდე რომ ეშლებო-და, თუკი დროულად არ გამოიღებდა ხელს, თუკი დროულად არ დასჯიდა დედასაც და შვილსაც, მისი ოფლით გასპეტაკებულ

ბუდეში არხეინად რომ მოკალათებულიყვნენ და თან მუნდირის გაპრიალებულ ღილებზე რჩებოდათ თვალი.

მაიორსაც არ უნდა ეფიქრა, ტყუილუბრალოდ, უბრძოლველად რომ დაუთმობდნენ რამეს და, ალბათ ამიტომ ღრიალებდა თათარი ასე საზარლად, რათა მაიორისთვისაც მიეწვდინა ხმა, ხოლო მაიორს თუ ჭკუაში არ დაუჯდებოდა ეს ამბავი, კარვიდან უნდა გამოსულიყო და ადგილზე გაერკვია, რა უნდოდა, რას თხოულობდა და რა უფლების ძალით.

ასე ფიქრობდნენ ურუქელები, თავიანთი სახლების წინ რომ იდგნენ, ღამის სიგრილისაგან აბუზულები, და რაკი ამდგარიყვნენ, რაკი ძილი გასტეხოდათ, ახლა დაშლა ეზარებოდათ და არც დაიშლებოდნენ, სანამ არ გაარკვევდნენ, რითი დამთავრდებოდა ქვრივის სახლში ატეხილი წიოკობა. ყველაზე ძალიან მაიორის საქციელი უკვირდათ. მიხმარებას ვიღა ჩიოდა, ამბის საკითხავად მაინც გამოსულიყო ის დალოცვილი, მაგრამ მაიორს ყურიც არ შეუბერტყია, თუმცა ქვრივის სახლს ისეთი ზრიალი გაუდიოდა, მარტო ურუქისა კი არა, მომიჯნავე სოფლების ძაღლებიც აყოლებდნენ ხმას. „იქნება სძინავს, გავაღვიძოთო“ — კი თქვა ვიღაცამ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ერთი კარგად გამოელანძღა და გამოეპანღურებინა მაიორს ყველანი, თუ ასე შეგტკივათ გული, რატომ თვითონ არ მიეშველებით, მე რას მიყურებთ, მე იქნებ სულაც არ ჩამოვიდოდი ამ სოფელშიო. არც ისაა გამორიცხული, რომ მაიორი სოფელს ელოდებოდა, როგორც სოფელი მაიორს, მაგრამ ასე.

იყო თუ ისე, იმ ღამეს მაიორმაც შეირცხვინა თავი და სოფელმაც. თათარმა კი საქმე გააკეთა, ჯავრი ამოიყარა, დედაშვილს ჭკუა ასწავლა და არხეინად გაუდგა თავის გზას. მაიორს, რაღა თქმა უნდა, არ სძინებია და არც არაფერი გამოჰპარვია იმღამინდელი, ისიც კი გაიგო, ლამპის შუშა რომ დაიმსხვრა ქვრივისას, მაგრამ სკივრიდან არც კი წამოწეულა, გათენებამდე არ შერხეულა კარვის გამოხუნებულ კედელზე ლამპის შუქით მიხატული მისი ვეება ლანდი, წინ გადახრილი და იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი. იჯდა, უსმენდა და ფიქრობდა. საფიქრალი კი ჰქონდა, უფრო მეტიცა და მნიშვნელოვანიც, ვიდრე ურუქელებს ეგონათ. ის სიყვარულით აცუნდრუკებული

ბიჭივით, გულისთქმას კი არ იყო აყოლილი, თავის გადასარჩენად იბრძოდა; საკმარისი იყო მიწოლილიყო რკინის სალტებით შეჭედილ სკივრზე და თვალი მიელულა ამ ჩახუთულ კარავში, მუმლითა და ღამის პეპლების მტვრით რომ ივსებოდა ლამპის ანთებისთანავე (არადა, ულამპოდაც არ შეეძლო, რადგან კარვის ჩამუქებულ წყვდიადში გველი ელანდებოდა განუწყვეტლივ), მაშინვე ყაზარმაში გატარებული დღეები დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ და ახლა ხვდებოდა.

რა ბედნიერი დრო იყო მისთვის ის ოცდახუთი წელი, თვალსა და ხელს შუა რომ გაირბინა უცებ და სამუდამოდ დამთავრდა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ისე მშვიდად და ისე ჯანსაღად აღარასოდეს უცხოვრია. ჯერ ერთი, საიმედოდ იყო შენიღბული თავის მსგავსთა შორის, რომელთა გამორჩევა ალბათ მშობლებსაც გაუჭირდებოდათ: მეორეც ერთი, მაშინ სხვები ფიქრობდნენ მის მაგივრად და ყოველთვის უშეცდომოდ იცოდა, როდის როგორ მოქცეულიყო, ვისთვის რა ეთქვა, ხოლო, როგორც კი მარტო დარჩა, როგორც კი თავის ნებაზე მიუშვეს, ისიც ვერ მოახერხა, ერთი ძირგავარდნილი დედაკაცი თავის ჭკუაზე რომ ეტარებინა.

უსასრულოდ იწელებოდნენ ურუქის ღამეები. როდის-როდის გადალურჯდებოდნენ ხოლმე შორეული გორაკები, აყივლდებოდნენ მამლები, აყეფდებოდნენ მოახლოებული სინათლით გათამამებული ძაღლები და ისიც მხოლოდ მაშინ აქრობდა ლამპას, მხოლოდ მაშინ ჩაბერავდა ხოლმე სულს ლამპის გავარვარებულ მუშას, როგორც დუელში გამარჯვებული — დამბაჩის ლულას, ამ მოჩვენებითი უდარდელობით რომ ცდილობს გადატანილი მღელვარებისა და შიშის დამალვას; მისთვის კიდევ ერთი ღამე კვდებოდა მხოლოდ, სიმარტოვის კიდევ ერთი ღამე, გასკდომამდე გატენილი სამხედრო დოლისა და საყვირის ხმებით, ერთდროულად წამოცვენილი, წელზემოთ შიშველი ბიჭებითა და საღამოობით კაზარმის წინ ჩამომსხდარი გოგოებით, მზესუმზირის ჩენჩოში კოჭებამდე რომ ჩაეწყოთ ხორციანი, მზეზე დაბრაწული ფეხები. კარავი კი ახრჩოლებული პატრუქისა და დამწვარი ნავთის სუნით იჟღინთებოდა, უარესად ითენთებოდა და იოფლებოდა კარავში ჩახუთული ჰაერი, როგორც კაცთან, კაცთან კი არა, მთელ ყაზარმასთან

ნაწოლი დედაკაცი. ირგვლივ იმ არარსებული დედაკაცის ოხ-შივარი ტრიალებდა და ის ამ ოხშივარში იხრჩობოდა, მთელი ტანი სტკიოდა, ოდნავი განძრევაც კი აუტანელ, დამაკნინებელ ტკივილს აყენებდა, და ნიფხავ-პერანგის ამარა, მოჩვენებასა-ვით დაბორიალობდა გადალურჯებულ ეზოში, დანამულ ხეებს ეხვეოდა, კოცნიდა, გამომშრალი ტუჩებით გაშმაგებული წუწ-ნიდა ხორკლიან მერქანს, რათა მის სიგრილესა და სისველეს ოდნავ მაინც ჩაეწყნარებინა დაუკმაყოფილებელი ვნებით გა-ღიზიანებულ სხეულში დატრიალებული ხანძარი. ერთადერთი, ვისაც მისი შველა შეეძლო, ანა იყო, შემთხვევით კი არ დაადგა თვალი, როცა მიიხედ-მოიხედა და ასე თუ ისე გაერკვა აქაურ ადათ-წესებში, ანას მორჩილმა და უწყინარმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი, მის გარშემო ამტყდარმა მითქმა-მოთქმამ, აიძულა ეფიქრა, რომ ანა სწორედ ის იქნებოდა, რასაც დაეძებ-და; ის, საზრიანი ტუსაღივით, ციხის შიგნით აპირებდა მეტნაკ-ლებად ასატანი ცხოვრების მოწყობას, ტყუილუბრალოდ რომ არ დაეავადმყოფებინა თავი იმაზე ფიქრით, რაც, შეიძლება სა-მუდამოდაც, ციხის კედლის გადაღმა დარჩენილიყო, ხოლო ციხის კედელს აქეთ, ანა ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც არ უნდა გასჭირვებოდა მისი გაგება, ვალდებულიც იყო, გაეგო მისთვის, ანა ისევე სჭირდებოდა, როგორც მონასტერს — მონა-ზონი, მაგრამ სალოცავად კი არა — ნაგვის გამოსახვეტად. ანას გარეგნობაში მართლაც იყო რაღაც მონაზვნური, მაგრამ გუ-ლუბრყვილობა იქნებოდა, გეფიქრა, მხოლოდ მისი მონაზვნუ-რი იერი რომ იზიდავდა თათარს, რომელსაც გაუნელებელი ვნება მშიერი მგელივით ათობით კილომეტრს გამოაძუნძულე-ბინებდა ხოლმე მისთვის ესოდენ სახიფათო სოფლისაკენ. მაგ-რამ ამ ქალის დაპყრობის სურვილი ქალის მომხიბვლელობამ კი არ აღუძრა მაიორს, არამედ საკუთარმა სიბეცემ და სისულე-ლემ, რადგან ანა, როგორც მერე გამოირკვა, არც ისე ადვი-ლად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა, ერთი შეხედვით რომ მოეჩვე-ნა.

არც თათარი იყო ადვილი მოსაშორებელი, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, ბოლო-ბოლო, მაინც რომ ააღებინებდა ანაზე ხელს (ამ საქმეში ყველაზე მეტად მუნდირის იმედი ჰქონდა), მაგრამ დრო გადიოდა და ჯერჯერობით სასიკეთო არაფერი

ჩანდა. ქალის სიკერპე ხომ თავისთავად აცოფებდა, მაგრამ თათარი უარესად ხეთქავდა გულზე, რადგან იმას მზამზარეულად ხვდებოდა ის, რაც მას უფრო სჭირდებოდა და რისთვისაც ამდენი ტანჯვისა და მღელვარების გადატანა უხდებოდა, უფრო მეტიც, თათარი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, არც ეფიქრა ანაზე, როგორც ხორციელ დედაკაცზე. ანას კაბას ეკლესიის კუთხეებში ჩამდგარი ბინდის ფერი დაჰკრავდა და საკმევლის სუნი ასდიოდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ანა საიდუმლოდ იქცა მისთვის, პატარა, უმნიშვნელო, მაგრამ ყველა საიდუმლოს მსგავსად, საინტერესოდ და ამოცნობის ჟინის აღმძვრელად. მალე აღარ შეეძლო, ანაზე რომ არ ეფიქრა, ბევრს არაფერს თხოულობდა მისგან, არც საყვარლად უნდოდა იგი და არც ცოლად, უბრალოდ, გამოცდილი ქალი სჭირდებოდა, მაგრამ თავიდანვე ისე აჰყვა ამ განზრახვას, ფიქრში ისე გაიიოლა თვითონვე მისი აღსრულება, ვერც-კი შეამჩნია როდის გადაეზარდა განზრახვა აუტანელ სურვილში, ახლა, ბევრიც რომ ეცადა, ვეღარ მოისვენებდა, სანამ თათრის მკლავებიდან არ გამოაცოცებდა ამ საიდუმლოს, როგორც შიმშილით გათამამებული თაგვი — ხაფანგიდან ნიგვზის ლებანს, გრძნობდა, განსაცდელში რომ იგდებდა თავს, მაგრამ სურვილის ტყვე იყო უკვე და რაც არ უნდა ეფაფხურა, ვეღარსად გაექცეოდა. თუმცა, იხტიბარს არ იტეხდა და დარწმუნებულიც იყო, კარგად რომ მისდიოდა საქმე, ჭკვიანურად რომ იღვწოდა თავისი განზრახვის აღსასრულებლად, სინამდვილეში კი, ჯერჯერობით ქვრივის ბიჭს ებღაუჭებოდა კალთაზე, როგორც წყალწაღებული ხავსს. თავდავიწყებამდე მისულ მორწმუნეს ჰგავდა, საკუთარ არსებაში რომ უკავშირდება ღვთაებას თვითდარწმუნების, თვითშთაგონების წყალობით, თუმცა ბედნიერებისაგან დაბრმავებულს, არც მაშინ ძალუძს იხილოს უხილველი, მისწვდეს მიუღწეველს, მაგრამ გამოფხიზლებულსა და ისევ მიწაზე მობრუნებულს, დიდხანს რჩება ღვთაების წამიერი განცდის შეგრძნება, შეგრძნება და სხვა არაფერი, მაგრამ ესეც საკმარისია, უფრო ასატანი რომ გახდეს ყოველდღიური არსებობა, უფრო ბუნებრივად რომ მოეჩვენოს ვიღაცის მკვდრადშობილი ბავშვის საფლავზე ახალი სიცოცხლის დაფუძნება და ვიღაცის სკივრზე წოლა, უქალო ცხოვრებით აქოთებულ კარავში, გიორგა რომ აღმოაჩინა, უარესად გამხნევდა და გახალისდა კი-

დეც... ნაჯარისკაცარი გახლდათ და კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის დროს მოულოდნელად გამოჩენილ მხარდაჭერას, რაც არ უნდა უმნიშვნელო ყოფილიყო იგი. „მაგასაც ვაჩვენებთ სეირსო“ — ხელების ფშვნეტით ეტყოდა ხოლმე გიორგას, თავის თავში დარწმუნებული კაცივით, სიკვდილთან თამაშში რომ გაუტარებია მთელი სიცოცხლე, ეშმაკთანაც რომ სძინებია და ქვისთვისაც რომ გამოუდინებია წვენი. ასე მათმა გრძელულვაშა ეფრეიტორმა იცოდა თქმა, ყველასა და ყველაფერზე ერთნაირად გაიძახოდა, მაგასაც გაჩვენებთ სეირსო, და ესეც იმ გრძელულვაშა ეფრეიტორს ბაძავდა უნებურად, როცა გიორგას დაიმარტოხელებდა და ცხენზე ჯდომას, თოფის დაჭერასა და ჩახმახის გამოკვრას ასწავლიდა; შეიძლება, ეს უნებლიე მიმბაძველობა იმის ბრალიც იყო, გიორგას ჯარისკაცივით რომ ექცეოდა, თავს კი არ ირთობდა, მართლა საომრად წვრთნიდა, მომავალი ბრძოლებისთვის ამზადებდა, მუყაითად და მკაცრად, როგორც გრძელულვაშა ეფრეიტორს სჩვეოდა, თვალმოჭუტული რომ ჩამოუვლიდა ხოლმე ახალწვეულთა მწკრივებს და წინასწარვე ატყობდა, ვისგან როგორი ჯარისკაცი გამოვიდოდა, ამას ერთადერთი ჯარისკაცი ჰყავდა, თანაც უასაკო, მაგრამ არარაობას მაინც ეს ჯობდა, ხოლო დამჯერობა და მოთმინება რამეს თუ ნიშნავს, მაშინ არც გიორგასგან უნდა გამოსულიყო ცუდი ჯარისკაცი, ყოველ შემთხვევაში, გიორგაზე უკეთესად სხვა ვერავინ შეძლებდა მტრის ბანაკში (ე. ი. საკუთარ სახლში) შეღწევას და მოწინააღმდეგეთა შორის (ე. ი. თათარსა და დედას შორის) განხეთქილების ჩამოგდებას ბოლო-ბოლო ასედაც მოხდა, გიორგამ იმედი გაამართლა, მაგრამ ქვრივის სახლში ატეხილმა წიოკობამ, ცოტა არ იყოს, დააფრთხო მაიორი, არ ეგონა, ამდენს თუ გაბედავდა თათარი. მიშველება არც დაუპირებია. ჯერ ერთი, შეეშინდა. მეორეც ერთი, რაც უფრო დააწიოკებდა თათარი დედა-შვილს, მით უფრო გაუადვილდებოდა მათი დაახლოვება.

მაგრამ მთლად უმოქმედობაც არ ივარგებდა, რაღაცა მასაც უნდა მოემოქმედებინა და ამიტომაც იყო, მთელი ღამე თვალი რომ არ მოუხუჭავს, სკივრიდან რომ არ წამომდგარა, იჯდა, უსმენდა და ფიქრობდა.

— აგვიკლო თათარმა, — უთხრა მეორე საღამოს ნოქარმა.

ნოქარს გარეგინა ერქვა, ოსმალეთიდან ლტოლვილი სომეხი იყო და ახლა ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა მხოლოდ, როგორმე მშობლებიც გადმოესვენებინა ურუქში. „ადამიანს სახლი იქა აქვს, სადაც მშობლები ჰყავს, გინდაც მკვდრებიო“, ეუბნებოდა ხოლმე გარეგინა მის დუქანში შემოსულ გლეხებს და ისინიც ეთანხმებოდნენ, რადგან სიმართლეს ამბობდა.

— თათარმაო? — გაიკვირვა მაიორმა.

— თათარმა. წუხელ ქვრივი გაულახავს და გიორგაც ზედ მიუყოლებია. გაგონილა, სახლშიც აღარ გვაყენებენ. — ხელები გადამალა გარეგინამ.

დუქნის იატაკი მუშის მტვრით იყო მოფენილი და ფეხქვეშ მშრალი თოვლივით ჭრაჭუნებდა.

— რატომ? რა მიზეზითაო? — დაინტერესდა მაიორი, თითქოს პირველი გაგება იყო მისთვის, თითქოს წუხანდელი ღამე სკივრზე ჩამომჯდარს არ გაეტარებინოს, თათრის ბრდღვინვითა და ქვრივის კივილით შეძრწუნებულს.

წუხანდელი მუშტიკრივის ამბავი, შეიძლება, გარეგინაზე უკეთესადაც იცოდა, მაგრამ მარტო გარეგინასგან შეეძლო იმის გაგება, რის გასაგებადაც საერთოდ გამოსულიყო შინიდან. გარეგინას დუქანში ქვეყნის ამბავი იყრიდა თავს, ისე არავინ გავიდოდა აქედან, რამე რომ არ დაეჩივლა, თავისი თუ სხვისი, თითქოს დუქანში კი არა, ეკლესიაში იყო და დახლზე გადმოწოლილ, მარად მომღიმარ ნოქართან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ აღსარების სათქმელად მოსულიყო მღვდელთან.

მაიორს სოფლის აზრის გაგება უნდოდა, აინტერესებდა, რას ფიქრობდნენ, ვის ამტყუნებდნენ, ვის ამართლებდნენ და საქმე საქმეზე რომ წასულიყო, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა, იმედი ჰქონოდა მათი გამოქომაგებისა.

დუქანში გრილი ბინდი იდგა. ერთ კუთხეში მარილით სავსე, პირმოხსნილი ტომარა აეყუდებინათ, მეორეში რკინეულობა ეყარა. დიდი ხნით გაჩერებული საქონლის სუნიც ჩაენელებინა

საღამოს მყუდროებას, ათასში ერთხელ, ისიც სუსტად, გაუბედავად თუ ეცემოდა ცხვირს.

— ყაჩაღსა და ოხერს მიზეზი რაში სჭირდება? ამდგარა და დაულახავს — თქვა გარეგინამ.

— მერე? — წააქეზა მაიორმა, — რა მერე? — ვერ მიუხვდა გარეგინა.

— ხალხი სად იყო? რას ამბობენ?

გარეგინამ გაიღიმა, ასე გაღიმებულმა იატაკს დახედა და კეფა მოიფხანა, თითქოს სათაკილო სიტყვის თქმას აპირებდა, მაგრამ თქმაც უჭირდა და თავის შეკავებაც.

— ხალხს თქვენი იმედი აქვს, — ამოღერღა ბოლოს, ისევ იატაკს დასცქეროდა გაღიმებული. მერე უსამართლობისაგან გულმოკლული და გაკვირვებული კაცის სახე დაედო, ხელისგულები ამოატრიალა და ისე თქვა — სოფელში მაიორი ცხოვრობდეს და ვიღაც ოხერი იკლებდეს აქაურობასო! — თითქოს მაიორს კი არ ელაპარაკებოდა, თავისთვის ფიქრობდა ხმამაღლა.

— ლამპის შუმა თუ გაქვს? — ჰკითხა მაიორმა. — მგონი რაღაცას მამაძაღლობს ფაბრიკანტი ერისთავი, წარამარა იმსხვრევა ეს ოხერი.

— რა გასაკვირია, შენი ჭირიმე, — ჩვეულებრივად შეჰღიმილა გარეგინამ. — ახლა ყველას ლამპა უდგას, რომელი ქარხანა აუვა!

დუქანში გლეხი შემოვიდა, კარებშივე მოიხადა ქუდი და საერთო სალამი თქვა.

— ხომ გითხარი, ნუ ყოყმანობ მეთქი, მოგიწია თუ არა მეორეჯერ მოსვლა?! — დაუძახა გლეხს გარეგინამ.

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, — მიუბრუნდა გლეხი მაიორს, — იყიდი — შარია, არ იყიდი და, უარესი. ოჯახია... გჭირდება...

გლეხი ნაბდის პატარა ქუდს ჭმუჭნიდა ლაპარაკისას და მსხვილი, დაშაშრული თითები ძლივს შესამჩნევად უთრთოდა, მაინც სააშკარაოზე გამოდიოდა სადღაც, მისი გლეხური ბუნების შეუღწეველ წყვდიადში ოჯახსა და ხვალინდელ დღეზე ფიქრით აღძრული მღელვარება.

— აღარ არი, სხვამ წაიღო. — სიტყვა პირში ჩააწყვიტა გარეგინამ.

— შენი ჭირიმე, გარეგინ... — დაიბნა გლეხი. თითქოს ახლა, ამ წუთას მიხვდა, რა აუცილებელი იყო მისთვის ის, რაც ხასიათად ქცეული ყოყმანის, გლეხური სიფრთხილისა და ხელმომჭირნეობის წყალობით დაჰკარგვოდა, ხელიდან გაეშვა.

გლეხი თავს გაუბრაზდა, უფრო კი იმაზე გაბრაზდა, შემცილებელზე, ყოყმანი რომ არ დააცალა და მისი შეგულიანებული საქონელი გააძუნძულა.

— დასწრებაზეა? ასე როგორ იქნება! — ვერც სიბრაზე დამალა გლეხმა.

— როგორ ცხოვრობ, ძიაკაცო, რა ამბებია ქვეყანაზე?

ჰკითხა მაიორმა.

უეცარი სიბრაზისაგან გამოთიშულმა გლეხმა ხელმეორედ შეამჩნია მაიორი, თითქოს სანამ ის ბრაზობდა. მაიორმა დუქნიდან გასვლაც მოასწრო და შემობრუნებაც. გლეხმა ისევ დაიმორცხვა და ქუდის ჭმუჭვნას მოჰყვა...

— კარგად ვცხოვრობთ. — თქვა ცოტა ხნის მერე. — ახლა ყველაფერი ბევრია, იმწინებზე შაქარი რომ გამატანე, ძლივს დავამტვრიეთ, ლოდივით იყო, — გასძახა დახლზე გადმოწოლილ გარეგინას. — ყოჩაღი ბიჭია. ეგაა ჩვენი ხელის გამმართველი. — მიუბრუნდა ისევ მაიორს.

— აბა, რაღას ემდურით ჩვენს ხელმწიფეს? — ჰკითხა მაიორმა, — ვემდურითო? ვინა ბრძანა რატომ უნდა ვემდუროდეთ?

— გულწრფელად შეწუხდა გლეხი.

მაიორმა ლამპის მუშა აიღო, დახლზე რომ დაედგა მისთვის გარეგინას. და თქვა:

— ერთი ქვრივისთვის ვერ მოგვივლია, მოგვეჭრა თავი.

ცოტა ხნის მერე ქვრივის სახლში იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, ჭაჭის არაყს წრუპავდა და ნადირობის ამბებს უყვებოდა მისი მოულოდნელი გამოცხადებით დაბნეულ დედა-შვილს.

თათარი, რაღა თქმა უნდა, იქ არ იყო. იჯდა ალბათ ახლა სადღაც, ალიზის გომურში, თავისი მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილით გარშემორტყმული და წუხანდელი ნავაჟკაცარით კმაყოფილი, მუჭით ჭამდა ფლავს.

— მიდიხარ ჩაქინქლულ ბალახში. თოფი მკლავზე გიდევს, არ იცი, რა წუთას დაგჭირდება. ბალახშია მთელი შენი გულისყური და მაინც ისე მოულოდნელად წამოგიფრინდება, გული გაგისკდება. ბუჰო, დაიძახებს ერთს და წამობრიალდება ნავთგადასხმული ცეცხლივით... — ჰყვებოდა მაიორი.

გიორგა ნაწყენი იყო მაიორზე, არ ეგონა, მტერს თუ შეატოვებდა ხელში, არ მოვარდებოდა, კბილებამდე შეიარაღებული, მეგობრის პირველსავე დაძახებაზე. გიორგა ხომ მაიორის გასაგონად გაჰყვიროდა, თვალებს შუა უნდა ჩაგისვა ტყვიაო. მაიორის გასაგონად და მაიორის იმედით, განა მაიორი არ ეუბნებოდა, მაგასაც ვაჩვენებთ სეირსო? ამან გააქეზა და გაათამამა გიორგა, მაგრამ საბოლოო ჯამში, თვითონ მიიბრიგვა, თვითონ და დედამისი, რადგან მის მეგობარ მაიორს მთელი ღამე არხეინად ეძინა. ფეხიც არ გაუტოკებია, არც თათრისა ეშინოდა და არც გიორგას დარდი კლავდა. გიორგას ცემაზე მეტად მაიორის ღალატმა ატკინა გული, სულ იმის მოლოდინში იყო, ახლა გამოჩნდება. ახლა შემოაღებს კარს და შემოაბრჭყვიალებს ეპოლეტებსო. მაგრამ მაიორი არა ჩანდა, თათარი კი უარესად შმაგდებოდა. — ვის რად უნდიხართ, თქვე ტილიანებოო, იმის მაგივრად, რომ ხელ-ფეხს მიკოცნიდეთ, მოკვლით მემუქრებით და იმას კი აღარ ფიქრობთ, შიმშილით რომ ამოგძვრებათ სუ-

ლი, მეც რომ ავიღო თქვენზე ხელიო, — იძახდა თათარი და გიორგას გული გასკდომაზე ჰქონდა, ისე ელოდებოდა მაიორს, ისე სჭირდებოდა მისი აქ ყოფნა, თათრისთვის პირი რომ მოეკუპრა, აი, თუ არავის ვუნდივართ, აი, თუ არავინა გვყავს პატრონი და ქომაგიო. ის ღამე თეთრად გაათენა გიორგამ, ანდა რაღა დააძინებდა, ხორცი ხორცად და გაწბილებული მოლოდინით დაბეჟილი სული უარესად სტკიოდა.

არც კაბაშემოხეული, ტუჩპირდასისხლიანებული დედა ახსოვდა, ხატის წინ დაჩოქილი გათენებამდე რომ ლოცულობდა, და არც თათარი, კარი რომ გაიჯახუნა და მუქარითა და ლანძღვა-გინებით შეერია წყვდიადს. მაგიდაზე, ლამპის გარშემო, დამსხვრეული შუშა ეყარა, ხოლო ლამპის ალი ჭერამდე ამართულიყო და უთქმელი, ცხოველური წუხილით, ცხოველური მოუსვენრობით იკლაკნებოდა, თითქოს ვერ ახერხებდა მთლიანად ამოძრომას თუნუქის ხაფანგიდან. ჭერზე ლამპის ზემოთ ჭვარტლის უზარმაზარი, შავი ლაქა გაჩენილიყო. გიორგა კი მაიორზე ფიქრობდა, მხოლოდ მაიორზე, რომელიც აუცილებლად უნდა მოსულიყო და არ მოვიდა. გიორგასაც ამის გაგება უნდოდა სწორედ: რას უნდა გაეჩერებინა. რატომ არ უნდა მოსულიყო მაიორი, თუკი მართლა მკვდარივით არ დასძინებოდა, ანდა თვითონაც უბედურებაში არ იყო გახვეული. „იქნებ რამე შეემთხვა და იქითაა მისახედიო“, — უფრო მაიორის გასამართლებლად გაიფიქრებდა ხოლმე გიორგა და თუკი მეგობრის დასახედად თავქუდმოგლეჯილი არ გარბოდა ამ ყიამეთში, სირცხვილის გრძნობის ბრალი იყო მხოლოდ, ვერც-კი წარმოედგინა, როგორ უნდა სჩვენებოდა მაიორს ამ დღეში ჩავარდნილი, დამარცხებული კი არა — გალახული, თანაც მარტო თვითონ კი არა, — დედიანად.

მაიორი რომ შემოვიდა, დედა-შვილი ბნელში ისხდნენ.

ვერც ერთი ვერ გაბედავდა იმ დღეს დუქანში შესვლას, ლამპის მუშის საყიდლად, ორივენი მოუთმენლად ელოდებოდნენ დაღამებას, რათა მის წყვდიადში ერთმანეთსაც დამალვოდნენ და ქვეყანასაც, რომელიც, ვინ იცის, მათ სარკმელს იყო მოჩერებული და ცნობისწადილი კლავდა, რა ხდებოდა იქ, რა გუნებაზე იყვნენ გალახულები. მაიორმა თავისი ხელით მოარგო

ლამპას ახალი მუშა, ჭვარტლიანი ალი ზომაზე დააყენა და როცა იქაურობას ბიისფერი შუქი მოეფინა, თქვა: წუხელ აქ ისეთი ამბავი ყოფილა, გაღმა სოფლებში ისმოდა თურმე ზრიალიო.

— საიდან იცი? — ჰკითხა გიორგამ.

„საიდან იციო?“ — არა, გიორგას სრულებით არ აინტერესებდა, საიდან იცოდა მაიორმა მათი წუხანდელი თავგადასავალი.

მას სულ სხვა რამე აწუხებდა, მაგრამ მოერიდა, მაინც ვერ გაბედა, საყვედურით შეჰგებებოდა მის სახლში პირველად მოსულ მეგობარს. „თუ გაღმა სოფლებში ისმოდა ზრიალი, შენ რატომ ვერ გაიგონე, რატომ. წუხელვე არ მოხვედი, დღეს რომ გამოგვეცხადე ლამპის შუშითაო?“ — აი, რისი თქმა უნდოდა გიორგას და მაიორმაც, თითქოს მეგობრის ფიქრებს კითხულობსო, იმ კითხვაზე უპასუხა, რომელიც გულში დაიტოვა გიორგამ... — რა ძილქუში მეცა „ამისთანა, — თქვა მაიორმა. — ლამის ისიც ვიფიქრო, ვინმემ ბანგი ხომ არ შემაპარა-მეთქი...

გიორგა მზად იყო, ყველაფერი უყოყმანოდ დაეჯერებინა მაიორისთვის, რაც მაიორის წუხანდელი დუმილის გასამართლებლად იქნებოდა ნათქვამი, თუნდაც მისი ყოველი სიტყვა წინასწარვე, საველე კარავში ყოფილიყო მოგონილი, თუკი ის სიტყვა გიორგას დასამშვიდებლად იქნებოდა გამიზნული, მისი შერყეული რწმენის აღსადგენად, რადგან ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა რწმენაცა და ამ რწმენის გამღვივებელიც. ანა თავისთვის იჯდა, მშვიდი და სევდიანი, და ნაღრძობი მკლავი თავშლით რომ არ ჰქონოდა გადახვეული, ვერც იფიქრებდით, ისიც თუ მონაწილეობდა წუხანდელ აურზაურში. გეგონებოდათ, საერთოდ შემთხვევით მოხვედრილა აქ და ზრდილობის გამო უსმენს კაცების ლაპარაკს, თორემ არც აინტერესებს და არც ბევრი გაეგება მათი ლაპარაკისაო.

— ჩემი ბიჭები რომ მომცა აქ, — მიუბრუნდა მაიორი ანას, — იმ თქვენს თათარს ზუმბებით გააძრობდნენ ტყავს. მერე გაიგებდა, როგორ უნდა ცემა.

— არა! — თითქმის შეჰკივლა ანამ.

— როგორ თუ არა? — გაუკვირდა მაიორს.

— არა. გაიმეორა ანამ მშვიდად, ჩვეულებრივი ხმით, უნდა მოვითმინოთ. თქვენც უნდა მოითმინოთ, თუკი ნამდვილად გიყვართ გიორგი.

„არა და ნუ!“ — გაიფიქრა მაიორმა გუნებაში, თქმით კი არაფერი უთქვამს, კედელზე გაკრულ ჩოხას დაუწყო თვალიერება. ანას სიმშვიდემ და სიამაყემ თავიდანვე გააღიზიანა. ანა ისე იჯდა, თითქოს ცემა კი არა, გადაბრუნებული სიტყვაც არ ეკადრებინოს მისთვის ვინმეს, ანდა თითქოს ძილის წინ, თავის სიცოცხლეში, ლოცვის მეტი არაფერი ეკეთებინოს. თანაც თავი ისე ეჭირა, თითქოს ის უფრო სჭირდებოდა მაიორს, ვიდრე მაიორი მას. აქეთ რომ მოდიოდა, დარწმუნებული იყო, დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა დაწიოკებული დედა-შვილი მის სტუმრობას, ხელებს დაუკოცნიდნენ, თავზე შემოევლებოდნენ, რადგან უბედურებაში ჩავარდნილ კაცს ყველაფერზე მეტად თანაგრძნობა სჭირდება, თუნდაც მოჩვენებითი, ყალბი, მოვალეობის მოსახდელი. ესეც დიდი ამბავია, ესეც კარგი კაცობაა.

და ჭირისუფალმა იმის ძიება კი არ უნდა დაიწყოს, მართლა განიცდი თუ არა მის უბედურებას, გვერდში რომ უდგახარ, ისიც უნდა იმყოფინოს, იმის მადლობელიც უნდა იყოს, რადგან უბედურებაზე უფრო მარტო დარჩენისა ეშინია კაცს. ეგონა, სიკვეთეს სჩადიოდა, მოწყალებას იღებდა, ესენი კი არაფრად აგდებდნენ, თანაგრძნობისა და მეგობრობის გამოსაცხადებლად საკუთარი ფეხით რომ სწვეოდათ ხელმწიფის ტოლა კაცი (მაიორს ბრჭყვიალა ეპოლეტების გამო ურუქელები დიდ კაცად თვლიდნენ და ეს მაიორმაც იცოდა. ამიტომ იყო, მუშაობისას მუნდირს კარავში რომ არ ტოვებდა და ხეზე მიაკიდებდა ხოლმე, ყველას დასანახად, როგორც თავისი ძალაუფლებისა და განსაკუთრებულობის დამადასტურებელ საბუთს, რომელიც არა მარტო ხელშეუხებელს ხდიდა მის კარ-მიდამოს, არამედ ღვთაებრივ თვალისმომჭრელ შარავანდედში ხვევდა, თუმცა თვითონ, ამ კარ-მიდამოს პატრონი, წელზევით შიშველი, ხელისგულებდასერილი, ჩვეულებრივი გლეხივით გლეჯდა ბა-

ლახს და დამსხვრეულ კრამიტსა და დამპალ ფიცარს ეზიდებოდა ნანგრევებიდან). დედაზე უკეთესად არც მისი ლეკვი შეხვედრია. მევალესავით უბღვერდა, საყვარელივით ებუტებოდა და მაიორს ესეც გულზე ხეთქავდა, არ იცოდა, რას ამადლიდნენ: ამ აყროლებულ არაყს, თუ კარი რომ გაუღეს, ნება რომ მისცეს, დაეთვალიერებინა თათრის ოფლით გაპოხილი ბუნაგი, უარესად რომ ჩამოებნელებინა და ჩაეუჟმურებინა კედელზე გაკრულ ჩოხას. ან იქნებ იმას საყვედურობდნენ, მათი გულისთვის წუხელ თავი რომ არ შეაკლა თათარს? არა, არც ისეთი თავხედები იყვნენ ალბათ, ამდენის უფლება რომ მიეცათ თავისთვის.

შავი, ბოლოებგამოძენძილი ჩოხის დანახვაზე მაიორს ვენახში ჩადგმული საფრთხობელა გაახსენდა, ყურძნით გამძღარი ბეღურების ჩამოსკორილი, რომელიც დროთა განმავლობაში ჩიტების ჩამოსასხდომ, სულის მოსათქმელ ადგილად ქცეულა, თუმცა ვენახის ბრიყვსა და წუწურაქ პატრონს სწორედ მათ დასაფრთხობად აღუმართავს იგი დიდი ამბით. კედელზე გაკრულ ჩოხასაც ასე დამართვოდა, იმოდენა იყო, მთელ კედელს ფარავდა, მაგრამ მისი პატრონის დანატოვარ ვენახსაც შესჩვეოდნენ ბეღურები, ბეღურები კი არა — მელიები, და ყურადღებასაც არ აქცევდნენ მათ დასაფრთხობად თუ მათ დასანამუსებლად გამოკიდულ ჩოხას, რომელიც ოდესღაც ახოვანი ვაჟკაცის მხარბეჭითა და გულმკერდით იყო ამოვსებული, ახლა კი კუპრის შხეფივით ჩამოწუწულიყო კედელზე, ჩამოღვენთილიყო, ჩამოთითხნილიყო, მკვდარი კაცის მუქარასავით უნდილი და ცარიელი. ამ სახლში თათარი იყო მთავარი და არა ჩოხა, კედელზე გაკრული, როგორც ფიტული რომელიღაც წარღვნამდელი, დიდი და უწყინარი არსებისა, რომელიც თავიდანვე გადასაშენებლად გაეწირა ბუნებას. ამ სახლში თუ ვინმესი ეშინოდა მაიორს — თათარი იყო. თათარს მეტი უფლებებიც ჰქონდა აქ, რადგან ოფლსა ღვრიდა, ჩოხა კი უქმად ეკიდა კედელზე, როგორც გაუთავებელი, მარადიული ღამის ჩამონაჭერი, მხოლოდ ბავშვისა და ლაჩრის წარმოდგენაში რომ შეუძლია აღძრას უცნაური, სულისშემხუთავი ჩვენებები. მაიორს კი თათრის გულში უნდოდა ჩახედვა, გალახული დედა-შვილის მეშვეობით აპირებდა თათრის განზრახვის ამოცნობას. ამიტო-

მაც აღარ დააყოვნა, არ აცალა გაცივება სხვის ტკივილსა და სიბრაზეს, რადგან იცოდა, ტკივილი და სიბრაზე ადამიანს უფრო გულახდილს რომ ხდის, უფრო გულწრფელს, ვიდრე მერეა, როცა სიბრაზე გადაუვლის და ტკივილიც ჩაუწყნარდება. მაიორს იმედი ჰქონდა, თათრის მწარე ხელი ამათაც აუშლიდა ლაპარაკის საღერღელს, ამათაც დაუკარგავდა სიფრთხილის გრძნობას და ისიც იოლად, ყოველგვარი გამოძალვისა და ჩაძიების გარეშე შეიტყობდა, რას აპირებდა თათარი: სამუდამოდ იღებდა ხელს დედა-შვილზე და იმიტომ მიებეთქვა ისინი, თუ სწორედ იმიტომ მიებეთქვა, სამუდამოდ თავისთვის რომ უნდოდა. მაიორს ეს აწუხებდა, ამის გაგების წადილი კლავდა, ისინი კი უბრად ისხდნენ; მაიორს ებუტებოდნენ, თითქოს მაიორს გაექეზებინოს და მაიორს მიექსიოს მათთვის თათარი.

— ერთი წირვა მღვდელსაც შეეშლებაო, ნათქვამია, მაგრამ ამის გამო ვის დაუშლია მღვდლისთვის საყდარში სიარული.

დაიწყო მაიორმა, თან იღიმებოდა და ანას შესცქეროდა სახეში. ცოლ-ქმრის ჩხუბი, ჩემო გიორგა, სულელს მართალი ეგონაო, აი, ჩვენთან, ყაზარმაში ერთი ლოთი პორუჩიკი იყო, ყოველღამე ცემდა ცოლი, მაგრამ სხვას რომ ეთქვა, შენი ქმარი ლოთიაო, პირველი ის ქალი ამოჭამდა თვალებს.

ანა მშვიდად იჯდა.

— დედაჩემს თათარი არ უყვარს. — თქვა გიორგამ, ბავშვური სიწრფელითა და სიცხარით, თითქოს დედამისი იქ არ იყო და ზურგსუკან სწამებდნენ დაუმსახურებელ ბრალდებას.

ჩვენ თათრისა გვეშინია.

— გიორგა, ძმაო, ხომ გაგიგონია, შიში შეიქმს სიყვარულსაო. — მიუბრუნდა გიორგას გაღიმებული მაიორი.

— დედაჩემს თათარი არ უყვარს. — ჯიუტად გაიმეორა გიორგამ და ხმა აუთრთოლდა, ცრემლი მოაწვა ყელში, რადგან უცებ იგრძნო, მაიორს რომ არ სჯეროდა მისი.

კი მაგრამ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათი მეგობრობისთვის, ეყვარებოდა თუ არ ეყვარებოდა დედამისს თათარი? განა მათი მეგობრობა ამაზე იყო დამოკიდებული?

— ღვთის გულისათვის.. როგორც აქამდე გაგვიძლია, ახლაც გავძლებთ. ეს ყოფილა ჩვენი ბედი: — თქვა ანამ.

„გესმისო“, — თავი აუქნია მაიორმა გიორგას. გიორგას გული აუჩქარდა, მოუსვენარი, შემაშფოთებელი სიცარიელით ამოევსო მკერდი, თითქოს ეს წუთია, რაღაც არაადამიანური, გაუგონარი ტყუილი ეთქვა, წამოსცდენოდა და ახლა, რაკი სხვა აღარაფერი შეეძლო, სუნთქვაშეკრული ელოდებოდა, როდის შეაღწევდა ის ტყუილი მაიორის შეგნებაშიც, როდის მოთითხნიდა იქაურობას თავისი ლორწოვანი და ბინძური კიდურებით.

გიორგა გაკვირვებული მიაჩერდა დედას.

— თქვენი ნებაა, — თქვა მაიორმა. გაბრაზება შეეტყო, მაგრამ ჯერ კიდევ ერეოდა თავს. — მაინცდამაინც უკმაყოფილო არ ყოფილხართ თქვენი ბედისა, რაკი ვერ შელევიხართ და ასე გეთანაღრებათ გული. თათარს გაუმარჯოს. — სირჩიანი ხელი მაღლა ასწია. — კაცი ვარო, იმანა თქვას. შენ კი მოკვლას უპირებდი. — გახედა გიორგას. — კარგი დღეც დაგადგებოდა: თქვენს ბედსაც გაუმარჯოს, — მიუბრუნდა ანას, ღვარძლიანი ღიმილით სახე დაღრეჯილი.

ამანაც დააბნია გიორგა, ახლა მაიორს შეხედა გაკვირვებულმა. ან სამივენი მართლები იყვნენ ან სამივენი ტყუოდნენ.

არა იმიტომ, ერთმანეთის გაცურებას რომ ცდილობდნენ, არამედ — ერთმანეთისთვის ჯერ კიდევ უცხოები რომ იყვნენ, პირველად მოეყარათ თავი და ყველა ცალ-ცალკე თავის სიმართლეს ამბობდა, თავისას და არა სამივესთვის საერთო სიმართლეს ისეთი სახე ედო, თითქოს არ ესმოდა მაიორის ლაპარაკი, ანდა, ვერ მიმხვდარიყო, რაზე ლაპარაკობდა იგი. შალით გადახვეული ხელი ჩვილივით ჩაესვენებინა კალთაში და შეიძლება არც უსმენდა მაიორს, რადგან იმ წუთას თავის

მკვდარ ქმარზე ფიქრობდა, თავის მკვდარ ქმარს უყვებოდა წუხანდელ ამბავს გუნებაში. მაიორმა ეს არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა და ანას დუმილი აბრაზებდა, ან ძაღლადაც არ აგდებდა იგი, ანდა ქათინაურად იღებდა მის ლანძღვა-გინებას, თუმცა რა გასაკვირია, მაიორის აზრით ის ხომ ჩვეულებრივი მეძავი იყო და მეტი არაფერი; როცა ანგარებაა გარეული საქმეში, გინდა ერთ კაცს დაუწექი და გინდა მთელ ქალაქს, მაინც მეძავი ხარ, რადგან სხეულს ყიდი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ერთი მუშტარი გყავს თუ ათასი, ფულს გიხდიან თუ ერბოს.

— ისიც ცოდოა. იმან ხომ არ იცის, რა უბედურება მოაქვს ჩვენთვის. — თქვა მოულოდნელად ანამ.

— თქვენი ნებაა! — იყვირა მაიორმა. — თქვენი ნებაა! მაგრამ ბავშვის დაჩაგვრას არავის ვაპატიებ, თანაც უმამო ბავშვისას, არც სხვას და არც დედამისს.

ანამ მხოლოდ შეხედა მაიორს, თითქოს მისმა შეყვირებამ გამოაფხიზლა და პირველად ახლა შეამჩნიაო. მაიორი ქალის სევდიანმა, უბოროტო მზერამ დააბნია, თვითონვე აღარ მოეწონა მოულოდნელი გაბრაზება, თავშეუკავებლობა. ის სტუმარი იყო, თანაც დაუპატიჟებელი სტუმარი და მოსწონდა თუ არ მოსწონდა აქაურობა, მაინც უნდა მოეთმინა. არც დახმარება უთხოვია მისთვის ვინმეს და არც რჩევა უკითხავს, ასე რომ, არც გაბრაზების უფლება ჰქონდა. სხვა ოუ არაფერი, ამით თავის განზრახვას გამოამჟღავნებდა: მხოლოდ, რაც ისევ და ისევ ამ განზრახვის აღსრულებას შეაფერხებდა, რადგან ჯერჯეროობით ბევრი რამე იყო გასარკვევი, დასადგენი, ათასჯერ ასაწონი და გასაზომი. მან აქამდე ისიც კი ვერ გაარკვია, უყვარდა თუ არა ანას თათარი, მისი ლეკვი კი გაიძახოდა, არ უყვარსო, მაგრამ ის ჯერ ანგარიშშიც არ იყო ჩასაგდები, ანა ისეთი ქალი არ ჩანდა, გულის მესაიდუმლედ რომ გაეხადა ათი წლის ლაწირაკი.

ადვილი შესაძლებელია, იმასაც ატყუებდა, კი არ მიყვარს მეშინიაო. იმასაც ასე ეუბნებოდა, ალბათ, რათა არც თათარი

დაეკარგა და შვილთანაც პირნათელი გამოსულიყო, წამებული, დაჩაგრული, შესაცოდი.

— ჩვენ, ჯარისკაცებს, ერთი დაუწერელი კანონი გვაქვს, გაიღიმა მაიორმა, თითქოს ბოდიშს იხდიდა წეღანდელი სიფიცხისთვის. — გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სახელსა და ღირსებას, მით უფრო მკვდარი თანამებრძოლისას, — ხელი მიუშვირა კედელზე გაკიდულ ჩოხას, — რამეთუ მკვდარს აღარ გააჩნია ამის უნარი.

— ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის. — შესძახა ანამ და სკამიდან წამოდგა, კი არ წამოდგა, თითქოს უხილავმა ძალამ წამოაგდო, უბიძგა, რაღაც უშნოდ, მოუხერხებლად დაეცა მაიორის წინ და გაპრიალებულ ჩექმაზე მოეხვია. — ღვთის გულისათვის შეგვიბრალეთ, თუ მართლა გიყვართ გიორგი, თუ მართლა შეგტკივათ ჩვენზე გული... ნუღარ მოხვალთ, დაგვიფიწყეთ, ვითომ არცა ვყოფილვართ.. ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის, — ლუღლუღებდა ცხარედ, სულმოუთქმელად.

— დედა! — დაუყვირა გიორგამ.

მაიორმა პირი დააღო, თვითონაც წამოვარდა სკამიდან, თითქოს ძაღლი ეცა ფეხებშიო, მაგრამ სწორედ ამ დროს უფრო მოულოდნელი ამბავი მოხდა. უცებ ჩამოვარდნილ დუმილში სამივემ ერთდროულად გაიგო, როგორ გაიჭრაჭუნა კიბის საფეხურმა, გაუბედავად, სისხლის გამყინავად. სამივე უნებურად კარს მიაჩერდა, სამივე ერთდროულად მიხვდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო, ვისი სიმძიმის ქვეშ ჭრაჭუნობდა კიბის ფიცარი. ამ ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, თათარი ორ ღამეს ზედიზედ რომ მოსულიყო ქვრივისას, კვირაობით, თვეობით დაიკარგებოდა ხოლმე და ყოველთვის მოულოდნელად, გაუფრთხილებლად გამოეცხადებოდა ანას, ღიმილისგან ყურებამდე პირგახეული, ყოველნაირ ამინდში სახეზე ოფლგადამსკდარი, ხმაურიანი და ხალისიანი, თუმცა არც ლაპარაკი უყვარდა ბევრი და არც ტრიალი, მაგრამ პირმოკუმულიც, კერპივით გარინდულიც არღვევდა ოთახში გამეფებულ დუმილს, მისი ზორბა, ცხვრის ტყავით შემოსილი სხეულის იდუმალი წი-

აღიდან განუწყვეტელი ბუბუნი ისმოდა, ცეცხლის ბუბუნის მსგავსი, რულის მომგვრელი, დამღლელი, მომთენთავი, შემაშფოთებელიც, თავისი განუწყვეტლობით, ერთფეროვნებითა და სიჯიუტით. ის ახლა კარს იქით იდგა და არც ოთახში მყოფთ ეპარებოდათ ამაში ეჭვი. მთელი სახლი ბუბუნებდა.

— ღმერთო, შენი, სახელის ჭირიმე, — თქვა ანამ, კი არ თქვა, წაიჩურჩულა და მაიორს კანი აებურძგნა.

მაიორმა იცოდა, როდისმე რომ შეხვდებოდნენ ისა და თათარი, გარდაუვალი რომ იყო მათი შეხვედრა, მაგრამ არ ეგონა, თუ ასე უცებ და მისთვის ასე არახელსაყრელ გარემოში გადაეყრებოდა. მართალია, ის მხოლოდ სტუმარი იყო, თანაც ბავშვის თანდასწრებით იჯდა ქალთან, მაგრამ გუშინდელი აყალმაყალის შემდეგ, ადვილი შესაძლებელია, თავის ბუნაგში უცხო მამაკაცის ხილვას უარესად გაეცოფებინა თათარი. მაიორს საკუთარი გეგმები ჰქონდა, ის თათართან ქალის თაობაზე ლაპარაკსაც არ აპირებდა, ქალს თვითონ უნდა ჩამოეშორებინა თათარი, თანდათანობით, ყოველგვარი გაწევ-გამოწევისა და ცემა-ტყეპის გარეშე, უნდა ეგრძნობინებინა, მიეხვედრებინა (საამისოდ ათასნაირი საშუალება გააჩნიათ ქალებს), მასთან ყოფნა რომ აღარ სიამოვნებდა, შეეპარებინა, ტკბილი სიტყვით აეხსნა, — მომბეზრდა, აღარ შემიძლია ასე ცხოვრებაო, ბავშვიც დღითი დღე ჭკუაში ვარდებაო, არც შენა ხარ შენს ცოლ-შვილთან მართალიო და ათასი ამგვარი რამის თქმა შეიძლებოდა კიდევ, კიდევ კი არა, უსასრულოდ, თუკი რაღა თქმა უნდა, მაიორი იმ შუალედებში, რაც თათრის ღამეული სტუმრობებს შორის არსებობდა, ქალის გადაბირებას შეძლებდა. მერე ქალს სხვა გზა არ ექნებოდა, თათრისთვის კარი უნდა მიეხურა; ალბათ, არც ისეთი ნამუსგარეცხილი იყო, ერთდროულად ორი კაცი რომ დაეპურებინა. არჩევანი კი თავისთავად მოხდებოდა, რადგან მაიორი ბოლო იყო, ბოლო კი არა — ახალი. თათარი, რასაკვირველია, გაბრაზდებოდა, შეიძლება კიდევ ეცემა ქალიცა და მისი ენაგატლეკილი ნაბიჭვარიც.

მაგრამ ბოლო-ბოლო ისიც მიხვდებოდა, გაცლა რომ სჯობდა თავის დამდაბლებას და უაზრო ღრიჭინს. რაკი ქალი აღარ ინდომებდა, მიზეზსაც მიხვდებოდა და ალბათ, იმდენი კი გა-

ეგებოდა, სხვების აუხსნელადაც რომ სცოდნოდა, ერთ ლულა-
ში ორი ტყვია რომ არ ეტევა ერთდროულად. კაცს ქალი
რყვნის. არც ერთი მამაკაცი, და მათ შორის მაიორიც, არასო-
დეს არ იტყვის უარს, თუკი ქალი დაუძახებს, თუკი იმ ქალს შე-
ეხედება და თავისი მოვალეობისა სხვა ქალებზე უკეთ გაეგება.
მაიორის აზრით, ეს თათარსაც უნდა სცოდნოდა, კაცი იყო და
არც ამგვარ ამბებში აკლდა, ალბათ, გამოცდილება, ამიტომ
მეორე კაცისთვისაც უნდა გაეგო, რადგან ყველა მეორე კაცი
ძმა იყო მისი, თანამზრახველი, თანამონაწილე, თანამესუფრე.
რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ ერთი მეძავის გულისთვის,
რომელიც, ალბათ მოყირჭებულიც ჰყავდა, ხელი აღემართა
ოფიცრის მუნდირზე, რომლის უკანაც ტილიანი ურუქი კი არ
იდგა მხოლოდ, არამედ უზარმაზარი არმია, რომელსაც ერთი
თათრისა კი არა, მთელი სათათრეთის დაჩოქებაც არ გაუჭირ-
დებოდა, საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა. მაგრამ ახლა, თათრის
მოულოდნელმა გამოცხადებამ ყველაფერი თავდაყირა შეატ-
რიალა, მოვლენათა თანამიმდევრობა დაარღვია, არივ-დარია,
წინ წამოსწია და სასწრაფოდ გადასაწყვეტი გახადა ის, რაც
თანდათანობით და ლამის თავისთავად უნდა მომხდარიყო.
მაიორის გეგმით თათართან შეხვედრა მერე იყო გათვალისწი-
ნებული, ყველაფრის მერე, როცა ვნებები დაცხრებოდა და,
სხვებთან ერთად, თათარიც შეეჩვეოდა ქვრივის ჭერქვეშ მომ-
ხდარ ცვლილებებს. თათარმა კი მოულოდნელად, დროზე ად-
რე წაასწრო მაიორს თავის საბუდარში და უცხო თვალისთვის
ისე გამოდიოდა (სინამდვილეში ასედაც იყო), თითქოს მაიორი
სულ ამის მოლოდინში იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის წაკინ-
კლავდებოდნენ ქვრივი და თათარი, მაშინვე მათ შორის რომ
ჩაწოლილიყო, მურმანივით, გამოფხიზლებაც არ დაეცლია არც
ერთისთვის და არც მეორისთვის, მშვიდად, დაწყნარებულად
რომ გაერკვიათ წაკინკლავების მიზეზი, გაერკვიათ, რამდენად
მიზანშეწონილი იქნებოდა ამ წაკინკლავების შემდეგ მათი ერ-
თად ცხოვრება და სხვების ჩაურევლად ან შერიგებოდნენ, ან
სამუდამოდ დაშორებოდნენ ერთმანეთს. ქალსა და კაცს შორის
ჩხუბი და ცემა-ტყეპაც ისევე გარდუვალია, როგორც ალერსი,
და სრულებითაც არაა აუცილებელი, რომ მას ქალისა და კაცის
სრული გათიშვა მოჰყვეს; პირიქითაც ხდება ზოლმე, ცემა-ტყე-
პა უფრო აახლოვებს, უფრო აუცილებელსაც ხდის ერთმანე-

თისთვის ქალსა და კაცს. ხელი ცემს თუ ეფერება — ორივე შემთხვევაში ძლიერი ვნებისა და გრძნობის ბრმა გამომხატველია, ბრწყინვალე აღმსრულებელია სულსა და სხეულში აღძრული სურვილისა და თვითონ არასოდეს არ იცის, რას სჩადის, რისთვისაა გამიზნული მისი მოძრაობა, მისი ღონე და უნარი: ხორცის საამებლად თუ საგვემად.

ასე რომ, სანამ საქმეში ენა არ ჩაერევა, სანამ ენა ყველაფერს თავის სახელს არ დაარქმევს, არც ტკივილს ძალუძს ორი სხეულის გათიშვა და არც ალერსს — იმავე სხეულების სამუდამოდ დაკავშირება ერთმანეთთან. მაიორმა კი სწორედ სიტყვის თქმა არ დააცალა არც ქვრივსა და არც თათარს, დაუკითხავად, უდროო დროს შემოეხეტა სხვის ჭერქვეშ, სადაც ის სხვა ათი წლის განმავლობაში იღვწოდა, მას კი არაფერი ესაქმებოდა. იქ, რადგან ყველაფერი მის გამოჩენამდე განაწილებულიყო, გარკვეულიყო და დადგენილიყო კიდეც. მაიორი შემოპარულს ჰგავდა, მოძალადე გამოდიოდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ მოვიდოდა აქ, ერთი წუთით რომ დაეშვა, ერთი წუთით რომ დაეჭვებულიყო, რომ შეიძლება თათარი ამაღამაც მოვიდესო. მაგრამ მაიორს მაინც შეეშალა, გამონაკლისი რომ არ გაითვალისწინა, ამგვარი გამონაკლისის შესაძლებლობა რომ არ დაუშვა. ახლა ან ფანჯრიდან უნდა გადამხტარიყო და უკან მოუხედავად მოეცოცხა აქედან, სამუდამოდ მიეფურთხებინა ამ ყბაჩამოგრძელებული დედაკაცისთვისაც და მისი ბრიყვი წიწილისთვისაც, ანდა... ანდა სწორედ ახლა უნდა გადამწყდარიყო ყველაფერი, ახლა უნდა გამოემჟღავნებინა თუკი რამე შეეძლო, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა ღირსი რომ იყო ქალისა, ამ მეძავი მონაზვნისა კი არა, საერთოდ ქალისა.

მთავარი იყო, არ აღელვებულიყო, შიში დაეძლია, არ აჰყოლოდა განგაშს, სადღაც მუცლის არეში დაწყებული, თანდათან რომ ედებოდა მთელ მის არსებას. ანდა რა ჰქონდა საგანგაშო, ბოლოს და ბოლოს, ის თავის სოფელში იმყოფებოდა, მეზობელთან გადმოსულიყო სტუმრად, სხვის დედაკაცთან მარტო კი არ შეყუჟულიყო ბნელ ოთახში, არამედ ბავშვის თანდასწრებით, ყველაღილშებნეული, ფეხი-ფეხზე გადადებული იჯდა ლამპით გაჩაღებულ ოთახში, როგორც ზრდილსა და წესიერ

კაცს მოეთხოვება. მართლაც უსამართლობა იქნებოდა, ბიწიერება დაებრალებინა ვინმეს მისთვის, რადგან სხვა თუ არაფერი, ის რომ არ მოსულიყო, ახლაც წყვდიადი იქნებოდა გამეფებული ამ სახლში. ის იყო სინათლის მომტანი, საკუთარი ფულით იყიდა ლამპის შუშა და საკუთარი ხელით მოარგო ლამპას, იმის სანაცვლოდ, წუხელ თათარმა რომ ჩაამთელა, რადგან თათარს სიბნელეში ყოფნა ერჩია, სიბნელე უფრო შეეფერებოდა მის ზრახვებსა და სურვილებს, მას კი არაფერი ჰქონდა დასამალი, საჩუმათო, და ყველა გონიერი ადამიანი მაშინვე ირწმუნებდა, რომ არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო უხამსი და საჩოთირო მასსა და ამ დედაკაცს შორის. გარდა ამისა, მას დამბაჩაც ჰქონდა, გატენილი, დასაჭექად გამზადებული და შეეძლო ყოველ წუთას დაეხალა თათრისთვის, აზრზე მოსვლა, პირის გაღებაც არ დაეცლია, მით უფრო, რომ ვერავინ მოსთხოვდა პასუხს ავაზაკის მოკვლისათვის, რომელიც ქვრივოხრის გასაძარცვად და ამოსახოცად მოსულიყო შუაღამისას. მაიორმა მხრები შეათამაშა, თითქოს შიგნიდან შეამოწმა, ეკეთა თუ არა მუნდირზე ეპოლეტები; მერე სანახევროდ დაცლილი არყის სირჩა, ამ ხნის განმავლობაში ხელში რომ ეჭირა, მაგიდაზე დადგა და კარისკენ წავიდა.

— ღმერთო, შენ მიშველე, ღმერთო, შენ მიშველე. — ჩურჩულებდა ანა. კი არ ჩურჩულებდა, თითქოს სისინებდა, გველივით, ველური კამით გამძღარი გველივით, და მაიორს ისევ აებურძგნა კანი.

თათარს კარზე მოსაკაკუნებლად ამართული ხელი ჰაერში გაუშეშდა, გაკვირვებული მიაჩერდა უეცრად გამოღებულ კარში ჩამდგარ მაიორს, ფიქრებისაგან მოულოდნელად გამორკვეული კაცივით, ფიქრებში გართულს სახლის გზა რომ არევია და სხვას მისდგომია. თათარმა მაშინვე იცნო მაიორი, თუმცა არასოდეს ენახა თვალით და ვერც იმას წარმოიდგენდა, აქ, ამ სახლში თუ იხილავდა როდისმე. უცებ ვერც დააკავშირა მაიორი ამ სახლთან, ერთი წუთით მართლა გაიფიქრა, გზა ხომ არ ამერიაო, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, ისიც სხვათა შორის, ზედმეტი სიფრთხილის გამო, რადგან ფიქრი დამთავრებულიც არ ჰქონდა, უკვე ყველაფერს რომ მიხვდა.

— სალამი, ბატონო. — თქვა თათარმა.

მაიორს თათრის სიმხურვალე და მძაფრი სუნი ეცა სახეში, წესიერად ვერც ხედავდა, რადგან ზურგით თვითონვე უკეტავდა გზას ოთახიდან გამოსულ სინათლეს. სალამზე არ უპასუხნია, იდგა და შესცქეროდა მოტვლეპილ თავსა და ხანჯლის ტარზე. დაწყობილ ხელის მტევნებს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ფერისა და სიმკვრივის წყალობით რომ გამოყოფდნენ სოფლური ღამის უკუნეთს. შეიძლება, მაიორი ხმას არ ენდო, შეეშინდა, ხმას არ გაეცა მისი მღელვარება და ამიტომაც დატოვა თათრის სალამი უპასუხოდ, თუმცა სალამი ღვთისაა და როცა კაცი გესალმება, ჯერ კიდევ შორსაა ჩხუბამდე. გინდაც ის კაცი შენი მოსისხლე მტერი იყოს, თუკი სალამს გეუბნება, შეიძლება, საერთოდ უჩხუბრადაც დამთავრდეს ორი მამაკაცის, ორი ძმის შეხვედრა დედაკაცის საბუდარში, მით უფრო, თუკი ის დედაკაცი არც ცოლად, არც დად და არც დედად ეკუთვნის რომელიმეს, არავისია, მაგრამ ამავე დროს არც ერთს არ აწყენს მის მკლავებში გამოშუშება. — სალამი ბატონო. — გაიმეორა თათარმა.

ახლა მაიორი უფრო გარკვევით ხედავდა თათრის გაღიმებულ სახეს, ალბათ, სიბნელეს თვალი შეაჩვია ამასობაში, მაგრამ ამჯერადაც არ უპასუხია სალამზე, თუმცა თვითონვე გააღიზიანა საკუთარმა ხეპრეობამ. იცოდა, ამ უაზრო დუმილით ცეცხლზე ნავთს რომ ასხამდა, ბრიყვულად რომ იქცეოდა და უარესად ამძაფრებდა, გარდაუვალს ხდიდა ხიფათს, შეიძლება, საკუთარი სიცოცხლის აღსასრულსაც; სიკვდილს ეთამამებოდა, ჯერჯერობით ქარქაშში რომ იყო ჩამწყვდეული და თათრის ვეება ტორებით გაკავებული. მაიორმა ნერწყვი ჩაყლაპა, ჩაახველა კიდეც, ჩახორგილი ყელი რომ გაეთავისუფლებინა და მხოლოდ მერე ჰკითხა: ვის ეძებო, თითქოს არ იცოდა ვისთან და რა საქმეზე მოსულიყო იგი.

— მე შინ მოველი, ბატონო. — უპასუხა ღიმილისგან პირგახეულმა და კბილებგადმოყრილმა თათარმა.

— შენ რა, მართლა მესამე თვალი ხომ არ გჭირდება, გზაკვალი რომ გაიგნო შინისკენ. — უთხრა მაიორმა.

თათარმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, მაიორს ჩახმახშემართული დამბაჩა რომ ეჭირა ხელში. საკუთარმა უყურადღებობამ გააოგნა, ერთბაშად მთელი სახე დაუნაოჭდა და კბილები გააკრაჭუნა. უკვე იცოდა, უსისხლოდ რომ არ გათავდებოდა ეს მოულოდნელი შეხვედრა, მაგრამ ახლა მთავარი ის იყო, ვისი სისხლი დაიღვრებოდა, მისი თუ მაიორისა, მომხდურის თუ დამხვდურისა, თუმცა უკვე ისიც ძნელი დასადგენი იყო, რომელი იყო მომხდური და რომელი დამხვედრი.

არა, არ იყო ძნელი დასადგენი, ესეც მალე გაირკვეოდა. დამხვედრი ის იქნებოდა, ვის მხარესაც ქალი დაიჭერდა. მაგრამ რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, მთავარი გარკვეული იყო, ერთმანეთის პირისპირ მტრები იდგნენ და ახლა ყველაფერი. ჭკუაზე, მოხერხებულობასა და სიმარდეზე იყო დამოკიდებული. ჯერჯერობით მაიორმა აჯობა, ერთი ნაბიჯით გადაუსწრო, რადგან უკვე იარაღშემართული იდგა, მას კი, ისევ ისე, ხანჯლის ტარზე ეწყო ხელები, როგორც ყოვლად უსარგებლო ნივთები, უსარგებლო კი არა, უარესად შემბორკავი, დამღუპავიც, რადგან მათი ოდნავი, დაუფიქრებელი განძრევაც, შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო მისთვის. ან რა იმედი უნდა ჰქონოდა, მაიორი ხანჯლის ამოღებას რომ დააცლიდა, თუმცა არც მაშინ იქნებოდნენ თანაბარნი, მაიორი მაშინაც აჯობებდა, რადგან დამბაჩა ეჭირა ხელში, ამას კი, უკეთეს შემთხვევაში, ხანჯალი ექნებოდა მხოლოდ, რომელიც ჯერჯერობით თითქმის არც არსებობდა, თუმცა ორივე ხელით გრძნობდა მის გაოფლილ ტარს და მთელი ძალით აწვებოდა, თითქოს იმასღა ცდილობდა, უარესად ჩაეჭედა, ჩაეკარგა ქარქაშის სივიწროვესა და სიბნელეში. მტერი რომ მხდალი იყო, ესეც მაშინვე იგრძნო, როგორც კი მის ხელში ჩახმახშემართული დამბაჩა დაინახა. დამბაჩა კი არ გაჰკვირვებია, ანდა, რატომ უნდა შეჰგებებოდა მაიორი პურ-მარილით, მტრის სულსწრაფობამ შეაშფოთა, მტრის უნდობლობამ, არა მის მიმართ, არამედ საკუთარი თავისადმი მან იცოდა, ასეთ მტერთან ბრძოლა ათმაგად სახიფათო რომ იყო, უმეტესად წინასწარვე განწირული, რადგან ის არა მარტო მოწინააღმდეგე ძალაა, არამედ უბედური შემთხვევაც რომელსაც ვერც სიტყვით მიუდგები და ვერც იარაღით, წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, როდის, სად ან რატომ და-

გატყდება თავზე. ისევ გააღრჭიალა კბილები. ახლა, თავის სიცოცხლეში პირველად, თვითონაც ესმოდა, როგორ ბუბუნებდა რაღაცა მისი გაოფლილი სხეულის იდუმალსა და შეუღწეველ წყვდიადში, როგორც ალიზის ღუმელში გამომწყვდეული ცეცხლი.

სირცხვილია, შინ შემოდი, ადამიანო. — დაიძახა მაიორის ზურგს ამოფარებულმა ანამ, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ორი მამაკაცის გაჭიანურებულ დუმილს, მაგრამ ძნელი მისახვედრი იყო, ვის მიმართავდა იგი, თათარსა თუ მაიორს.

მაიორს თავიც არ მიუბრუნებია, ერთი წამითაც არ მოუშორებია თვალი თათრის ხელებისთვის, მხოლოდ ოქროსფრად აბრჭყვიალებული მხარი აუქნია ქალის ხმას, თითქოს ასე ჩაახშობდა, ანდა არ მიუშვებდა თათრამდე.

— ძაღლისავ, — ამოიხრიალა თათარმა.

ქალის ხმამ გააცეცხლა, თითქოს მხოლოდ ახლა გაახსენდა, ქალიც რომ იყო ამ სახლში, მისი ქალი, რომელიც ათი წლის განმავლობაში უსიტყვოდ უღებდა კარს და უყოყმანოდ აღიარებდა მის ძალაუფლებას, რაკი ლოგინში იწვენდა. ახლა ის ქალი უცხო კაცის ზურგს იყო ამოფარებული და შეიძლება ამიტომაც, თვითონაც უცებ გაუცხოვებულიყო, იმდენად გაუცხოვებულიყო, იმ წუთას მისი სახის წარმოდგენაც გაუჭირდებოდა, იმის დაჯერებაც, ოდესღაც უკიდურესად ახლოს რომ იყო ამ ქალთან, მის ხელთ რომ იყო ყველა ნაკვთი, ყველანაირი ბორცვი თუ ღრმული ქალის სხეულისა, რომელიც ახლა მუნდირსა და დამბაჩას გაეთიშა მისგან, უცხო და მიუღწეველი გაეხადა მისთვის. თათარს შერცხვა, ასე დაბნეული, ასე ხელფეხშეკრული რომ იდგა ქალის თანდასწრებით, რომლის წართმევასაც უპირებდნენ, უკვე თუ არ წაერთმიათ, რადგან მისი უმოქმედობა, მისი ამაო კბილთა ღრჭიალი, მხოლოდ და მხოლოდ, მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს, მტრის უპირატესობასა და უფლებამოსილებას ადასტურებდა და ამას, ალბათ, ქალიც გრძნობდა. თათარმა ფრთხილად, ქურდულად გააჩოჩა წინ მარჯვენა ფეხი, სცადა მიახლოვებოდა დამბაჩის ავად მბზინავ ლულას, მაგრამ

უცებ თვალისმომჭრელად გაჩახჩახდა იქაურობა, თითქოს მისი ვერაგული ნაბიჯის გამოსააშკარავებლად, და იგრძნო, როგორ შეუვარდა მუცელში ერთმანეთზე დაჭდობილი ხელის მტევნები ხანჯლის ტარიანად. თათარს არც სროლის ხმა გაუგია და უცებ ვერც ის გაარკვია, რა შეემთხვა. წაქცევით არ წაქცეულა, მაგრამ მუცელში დაძგერებულმა ძალამ, ეტყობა მთელი ტანით შემოაბრუნა, რადგან გონება რომ დაეწმინდა, წყვდიადში ჩაფლულ ეზოს გადაჰყურებდა, მაიორი კი ზურგს უკან დარჩენილიყო. ხელები ისევ ხანჯლის ტარზე ჰქონდა დაწყობილი,.

თუმცა ხელებს კი არ გრძნობდა, წებოვანსა და რაღაცნაირად მწივანა სიმხურვალეს. ორივე ფეხი უძაგძაგებდა, ოდნავ წინ გადახრილიყო, თითქოს ეზოდან ამომავალ წყვდიადს უძალიანდებოდა, კი არ უძალიანდებოდა, მისი უხილავი კარის შენგრევას ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა შეენგრია, უნდა შეეღწია წყვდიადის კედლებში, რაც შეიძლება სწრაფად გაერიდებინა აქაურობისთვის ბეწვზე გადარჩენილი სიცოცხლე. გრძნობდა, ცოცხალი რომ იყო და ეს ერთადერთი გრძნობა იყო მთელს მის არსებაში. ერთადერთი სურვილიც, მიზანიც, ოცნებაცა და ნატვრაც. ამის ანაბარა დარჩენილიყო ტლანქი ძალით შერყეული, გაოგნებული და გალაჩრებული სხეული, სხვა ყველაფერი დავიწყებოდა, აქედან ცოცხლად გაღწევის სურვილის გარდა. უცებ დაცარიელებულიყო, ხელაკრული თეფშივით. შემობრუნება არც უფიქრია, პირდაპირ კიბისკენ წავიდა, უფრო სწორად, ტანმა წაიყვანა კიბისკენ, თორემ თვითონ, ალბათ, ვერ გაიგნებდა გზას, მესამე კი არა, მეათე თვალიც რომ გამობმოდა უეცრად კიბე ჩათავებული არ ჰქონდა, ტირილი რომ აუვარდა. ბავშვივით ზლუქუნებდა, უზარმაზარი და უმწეო. თათრის ზლუქუნმა სისხლი გაუყინა აივანზე დარჩენილებს, შეაძრწუნათ, შეაწუხათ ამ ლამის ცხოველურმა, ძაღლის ყმუილის მსგავსმა ხმამ, უბედურების მაუწყებლადაც რომ ეჩვენება ადამიანს და ენით უთქმელი, უამხანაგო, გაუზიარებელი სევდისა და სიმარტოვის ჩივილადაც.

თათარი ეზოში ჩავიდა და ვერ შეამჩნია, თუ სწორედ იმიტომ, რომ შეამჩნია, სწორედ იმიტომ, რომ რაღაცას ეძებდა მკვრივსა და უსულგულოს, ვაშლის ხეს დაეტაკა წინ გადახრილი თავით იდგა და ხორკლიან ხეზე იჩეჩქვავდა თავს, თითქოს

გვერდის ავლა არ შეიძლებოდა და იქამდე ვერ გადავიდოდა ეზოდან, სანამ ხეს გზის დათმობას არ აიძულებდა.

(დილით მთელი ეზო ვაშლის ფოთლითა და ჯერ კიდევ მკვახე ნაყოფით იყო მოფენილი. „რკინის თავი ჰქონია ჩვენი ანიკოს კუროსაო“, — იძახდნენ ურუქელები).

შუაღამისას ქვრივის სახლიდან სროლის ხმა რომ გაისმა, არავის გაჰკვირვებია ეს ამბავი, მით უფრო წინა დღის აყალმაყალის შემდეგ. ურუქელებმა იცოდნენ, უსისხლოდ რომ ვერ მორიგდებოდნენ თათარი და მაიორი და, ამიტომაც იყო მოულოდნელი სროლის ხმით გამოღვიძებულ ურუქში არავინ რომ არ შეჰკითხვია თავს: ნეტავ რა უნდა მომხდარიყოო.

ყველამ მაშინვე, აპარპარებული ჭრაქებით, ქვრივის სახლს მიაშურა. ურუქელები ჭრაქებს მაღლა სწევდნენ, უფრო მეტი შუქი რომ დასცემოდა ქვრივის ეზოს, სადაც, მათი აზრით, თათრის ან მაიორის გვამი უნდა გდებულიყო, მაგრამ მათდა გასაოცრად, გვამი არ ჩანდა. მაიორი აივანზე იდგა, ანასა და გიორგას შორის და ურუქში პირველად მოხვედრილ კაცს ერთი შეხმატკბილებული ოჯახი ეგონებოდა აივანზე გადმომდგარი სამეული. თათარი ეზოში იყო, მაგრამ ჯერ არ ჩანდა, ვაშლის ხეების ძირას შეყუჟულიყო, საიდანაც ყრუ, ბლაგვი, ადგილზევე მოკვეთილი ხმები ისმოდა, თითქოს ხეს ყუით ურტყამდნენ ნაჯახს. აივნიდან გადმოღვრილ სინათლეში შხუილით ირხეოდა ძილგამკრთალი, შეშფოთებული ხის კენწერო.

— დაჭრილია, არ მიეკაროთ. — ჩამოსძახა ანამ მის ეზოში თავმოყრილ ურუქელებს.

— ძია ქაიხოსრომ ესროლა. — მხარი აუბა დედას გიორგამაც. ურუქელები. გაუბედავად მიჰყვნენ ჭრაქების მოფარფატე სინათლეს, უკან უპატრონოდ მიტოვებული სახლებისკენ რომ იხრებოდა, იკლაკნებოდა და იბრძოდა, მოტაცებულ გოგოსავით, ძალით რომ მიჰყავთ მომტაცებლებს მისთვის უცხო, მისთვის სახიფათო ქვეყანაში. ურუქელები ანას ნათქვამმა კი შეაშინა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენებდნენ, ცნობისწადილი რომ არ დაეკმაყოფილებინათ და საკუთარი თვალით არ ენახათ

დაჭრილი თათარი. სინათლემ ფრთხილად, გაუბედავად შეახო მოცახცახე თითები ხის ძირას შეყუჟულ თათარს, თანდათანობით გამოაცოცა იგი წყვდიადიდან, მაგრამ თათარმა მაინც იგრძნო მისი შეხება და კბილებდაკრეჭილმა გამოხედა, თუმცა თვალების ნაცვლად ორი ბინდჩამდგარი ხვრელი გასჩენოდა. ხეს თავი გაანება, იდგა სინათლისკენ შემობრუნებული და მძიმედ სუნთქავდა. ხელები ისევ მუცელზე ჰქონდა გადაჯვარედინებული, სისხლით გაწებილი და მაიორის ტყვიით თითქოს სამუდამოდ მიჭედილი ერთმანეთზე.

— მიგვიშვი, მოგიაროთ. — დაუძახა ვიღაცამ, სინათლეს ამოფარებულმა.

თათარმა კბილები უარესად დაკრიჭა, თითქოს ამ უაზრობაზე გაეცინაო, მერე ცხენივით დაიფრუტუნა, ალბათ, გადამსკდარი შუბლიდან პირში ჩასული სისხლი გადმოაფურთხა და სინათლისკენ დაიძრა. გიჟს უფრო ჰგავდა, ვიდრე დაჭრილს. სინათლემ ჯერ უკან დაიხია, მერე ორად გაიპო, შავი ბზარი გაიჩინა და ამ ბზარში გაატარა მუცელზე ხელებგადაჯვარედინებული თათარი. როცა მაიორი ეზოში ჩამოვიდა, თათარი იქ აღარ იყო, ღამეს გადაეყლაპა და სახტად დარჩენილი მაიორი, რომელიც უკანასკნელ წუთს, თათრის მოსავლელად და შემოსარიგებლად ჩამოსულიყო ეზოში, დიდხანს გაჰყურებდა თვალშეუღწევ ყიამეთს, საითაც ისინი იშვერდნენ ხელს, რომლებსაც უკანასკნელად დაენახათ თათარი. სადღაც, შორს, ამ ყიამეთს იქით, ჯერ ისევ ყეფდნენ მოულოდნელი სროლით დამფრთხალი და გაღიზიანებული ძაღლები. მაიორს ერთ ხელში თუნგი ეჭირა, მეორეში სახვევებად დასაფხრეწი ზეწარი, თითქოს ქელეხში მოსულ ხალხს ხელი უნდა გადააბანინოსო.

— არ მიგვიკარა, წავიდა. — უთხრეს ურუქელებმა.

მაიორმა იცოდა მათი ასე დაშორება კარგს არაფერს მოასწავებდა. ახლა თათართან შერიგებაზე ფიქრიც ზედმეტი ყო, ანა კი არა, ნახევარი ქვეყანა რომ დაეთმო, თათარი აღარ ინდომებდა მასთან ლაპარაკს, ანდა, რაღა ჰქონდათ სალაპარაკო, მათ მაგივრად ყველაფერი თქვა ტყვიამ და სისხლმა, ერთის ტყვიამ და მეორის სისხლმა ყველაფერი სააშკარაოზე გამოი-

ტანა ქვეყნის დასანახად, და როგორც მან ტყვიით უპასუხა თათრის სალამს, ახლა თათარიც შეეცდებოდა, მოეგონებინა მისთვის რაიმე ამის მაგვარი. მაიორს ახლა ყველაზე მეტად. ანა და გიორგა ეზიზღებოდა. სიამოვნებით გაუჩეჩქვავდა ორივეს თავს, მათი დამცველი, მათი ერთადერთი ქომაგი რომ არ ყოფილიყო ხალხის თვალში, მოწიწებითა და აღტაცებით რომ შესცქეროდნენ, თუმცა არაფერი ეცხო გამარჯვებული კაცისა, ამ თუნგითა და ზეწრით მსახურს უფრო ჰგავდა; მაიორს მწარედ გაეღიმა: რაღა მაინცდამაინც ამ დაწყევლილ სოფელში უნდა ყოფილიყო კახპა ქვრივი, როცა ამ ქვეყნის ქალების პატიოსნება სალაპარაკოდ იყო გამხდარი, ვიღაც გადამთიელის, მათი მარადიული მტრისთვის კი არა, ლამის კანონიერი ქმრებისთვისაც ეთქვათ უარი, თავიანთი გადამეტებული და არაადამიანური სიწმინდის გამო.

— უნდა მომეკლა. — თქვა მაიორმა.

— სოფლელებს არ ესიამოვნათ მისი ხმა, ამ ხმამ დაფარული შიში და მღელვარება ამოიყოლა და სხვებსაც გადასდო.

ხალხი ჩუმად იდგა თათრის სისხლით ჩამოწუწულ ხესთან და დაბნეული შესცქეროდა მაიორს.

— უნდა მომეკლა. — გაიმეორა მაიორმა.

გამარჯვებული კი გამოსულიყო ამ ღამეული ორთაბრძოლიდან, მაგრამ სწორედ გამარჯვების შემდეგ შეშინებოდა დამარცხებულისა, მერე მიმხვდარიყო, რა ავსა და ძნელად მოსაშორებელ მეტოქესთან ჰქონდა საქმე. დაჭრით კი დაჭრა, მაგრამ ეზოდან მაინც ვერ გადადენა და სოფელი რომ არ მოსულიყო დროზე, ალბათ თავით გადაანგრევდა აქაურობას, რაკი ხელებში იყო დაჭრილი და იარაღს ვეღარ ხმარობდა, საკუთარმა უმწეობამ გააცოფა სწორედ თათარი, მოულოდნელმა, გაუთვალისწინებელმა მარცხმა გადარია, საკუთარი სისხლის დანახვამ დაუბნელა გონება და მერე გახდა საშიში, სტიქიასავით ბრმა და დაუოკებელი, რომელმაც თავისით უნდა გადაიაროს, თავისით უნდა დაცხრეს, რადგან ვერავითარი გარეშე ძალა ვერ აღუდგება წინ. ქვრივის ეზოში თავშეყრილ ხალხს ახლა

ველარაფერი გადააჯერებდა, მართალი რომ იყო, სწორედ რომ იქცეოდა:

გვერდზე რომ იყო გამდგარი და არ ერეოდა ქვრივის ცხოვრებაში, რომელსაც მზესავით ვაჟკაცი მიწაში ჩაედო ღა გაწუწკებული კატასავით ულოკავდა ქონიან თითებს ძალით ქმარსა თუ ძალით კუროს.

მაიორისა და გიორგას ერთად ხილვას უკვე შეჩვეული იყო სოფელი, მაგრამ როცა მაიორი და ქვრივი დაინახეს ერთად, არ ესიამოვნათ, თუმცა არ უნდა გაკვირვებოდათ, რადგან ამის მოლოდინში იყვნენ მას შემდეგ, რაც მაიორისა და გიორგას უეცარი დამეგობრების მიზანი ამოიცნეს და არამარტო გაამწარათ ამ მიზანმა, არამედ, დაუფიქრებლად, მხარში ამოუდგნენ კიდევაც. მაგრამ როცა სროლის ხმაზე წამოცვენილებმა ეზოში დაჭრილი თათარი, ხოლო აივანზე ოჯახივით გადმომდგარი სამეული დაინახეს, არ მოეწონათ, მათ, ერჩიათ, დაჭრილი თათარი და ქვრივი ცალკე ყოფილიყვნენ მაიორი და ქვრივის ბიჭი კი ცალკე. მარტო თათარი არაფერში არ იყო დამნაშავე, ის თუ რამეს აშავებდა, ქვრივთან ერთად აშავებდა და მარტო მისი დასჯა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ ულამაზოდ გამოიყურებოდა, მით უფრო ჭრაქების აცახცახებულ შუქზე, თათრის ოფლითა და სისხლით გაწეპილ ბინდბუნდში.

მაიორი, რაღა თქმა უნდა, ქვრივს ტყვიას არ დაახლიდა, ქვრივი თავისთვის უნდოდა, მაგრამ ქვრივს რა აჩერებდა, რატომ არ ჩამოჰყოლოდა თათარს ეზოში, თუკი მართლა მთლად ხელიდან წასული, მთლად ნამუსგარეცხილი არ იყო, რატომ თვითონაც არ გაეკიდა თავის კაცს, რომელსაც? ათი წელი უწვებოდა, თუნდაც შიშის გამო, როგორც თვითონვე ამბობდა: ავი იყო თუ კარგი, კანონიერი თუ უკანონო, მაინც მისი მხარე უნდა დაეჭირა, მასთან ერთად უნდა გასცლოდა აქაურობას, ძაღლივით გაჰკიდებოდა, შვილიც დაეგდო და სახლიც, რადგან ქალი იყო და ათი წლის განმავლობაში უცხო რჯულის კაცთან მრუშობა უფრო ეპატიებოდა, ვიდრე იმ ათი წლის ასე ერთბაშად ამოფხეკა გულიდან. ქვრივმა არჩევანი უცებ გააკეთა, ბრჭყვიალა ეპოლეტებიანი მაიორი არჩია საკუთარ სისხლში ამოსვრილ თათარს. ბოლო-ბოლო ესეც მისი საქმე იყო, არც

ამაში ჩაერეოდა სოფელი, მაგრამ ქვრივმა, სოფლელების ღრმა რწმენით, ახალ უბედურებას ჩაუყარა საფუძველი: სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს თათარი და მაიორი, უფრო სწორედ, თათარი და მთელი სოფელი, რადგან გამწარებული თათრისთვის სულერთი იქნებოდა, ვის მოკლავდა, ვისზე ამოიყრიდა ჯავრს, ოღონდ ამ სოფლიდან ყოფილიყო, ოღონდ ამ სოფელში ჩამოეგდო გლოვის დღე. თათარი ჯავრს არ შეირჩენდა, მეტი არა იცოდა სოფელმა, თვითონ თუ ვერ მოესწრებოდა, შვილს დაუბარებდა, შვილს დააფიცებდა და მოურჩენელი სენივით გადასცემდა შთამომავლობას ამოსაყრელ ჯავრს, რომელიც თანდათანობით წინაპრის ხსოვნასავით წმინდა გახდებოდა მისი შვილთაშვილებისათვისაც ერთი უწმინდური დედაკაცის წყალობით. ეს მაიორსაც ეგრძნო უკვე ხმაზე შეეტყო როცა თათარზე თქვა: უნდა მომეკლაო. იქამდეც შეეტყო, აივანზე თავის მოსაწონებლად კი არ იყო გადმომდგარი, არამედ შიშს გაეოგნებინა, ხოლო როგორც კი ცოტა გამოერკვა, როგორც კი წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ბნელსა და ჩახუთულ ღამეს, მაშინვე თუნგსა და სახვევს დასტაცა ხელი და ფარეშივით ჩამოურბენინა თათარს. დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, იქნებ შეეცოდა კიდეც დაჭრილი ადამიანი, მარტო დარჩენილი ხეების ძირას ჩაბუდრებულ წყვდიადში, და მამაკაცურმა ერთსულოვნებამ აიძულა მისულიყო მასთან, სისხლი მოებანა, ნატყვიარი შეეხვია, გაეზიარებინა მისი უსაშველო სევდა და სიმარტოვე.

და, რაკი თვითონ გახსენებოდა, იმისთვისაც გაეხსენებინა, ძმები რომ იყვნენ, ერთი ტალახიდან მოზელილნი, ერთი და იგივე, მაგრამ მრავალსახოვანი ღმერთის ხელით. მაგრამ მაშინ, გინდაც მიეშვა თათარს, ვერაფერს შეაგნებინებდა, თათარი მარტო იყო, თვალსა და ხელს შუა დაკენტებულიყო, ზედმეტი გამხდარიყო და ამით უფრო იყო დაჭრილი, ვიდრე ტყვიით. ჭრილობა, ალბათ, არც ახსოვდა, იქნებ არც იცოდა ტყვიითაც რომ იყო დაჭრილი, იქნებ ტყვია ვერც იგრძნო.

იქნებ სროლის ხმაც ვერ გაიგონა, რადგან იქამდე, დამბაჩის გავარდნამდე, დააყრუა და გააოგნა იგი ქალის მოულოდნელმა ვერაგობამ.

2

დედა ყოველთვის აშინებდა თათრით და, შეიძლება ამის ბრალიც იყო, მხდალი და უთქმელი ბავშვი რომ გაიზარდა.

დედა-შვილი მარტონი რომ იყვნენ, მაშინაც ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხოლო, როცა დედა ტიროდა მასაც ებრიცებოდა აცახცახებული ტუჩები, და დედა რომ ეტყოდა, შენ რაღა გატირებს, შე სულელოო, თავს ვეღარ ერეოდა, და დედის კალთაში თავჩარგული, დიდხანს, გულამოსკვნილად ქვითინებდა. ანას სულ ორი თვე ეცხოვრა ქმართან, გიორგას კი საერთოდ არ ენახა მამამისი, მაგრამ ერთადერთი სალაპარაკო, რომელიც არასოდეს სწყინდებოდა და არც ელეოდათ, მკვდარი კაცი იყო. დიდი ხნის წინათ მკვდარი კაცი, ერთის ქმარი და მეორის მამა. ანა ისე უყვებოდა გიორგას მამამისზე, როგორც ზღაპრის გმირზე და გიორგასაც ზღაპრის გმირივით უყვარდა იგი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ღონიერი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე მოხერხებული და ყველაზე კეთილი, რომელსაც თავისი პატარა და ბასრი ხმლით ერთბაშად შეუძლია ასივე თავი წააცალოს დევს; ანდა რკინის კაცი ერთი მოქნევით კისრამდე ჩაფლას მიწაში; „ჩვენს თათარს მოერეოდა?“ — ეკითხებოდა გიორგა. დედას და როცა სევდიანად მოღიმარი ანა თავს უქნევდა, გიორგა ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა. საიდუმლო, დედასთანაც გაუმხელელ ოცნებას აჰყავდა იგი მეცხრე ცაზე. გიორგას იმედი ჰქონდა, რომ მამამისი როდესმე გაცოცხლდებოდა, ერთს გაიზმორებოდა ხანგრძლივი ძილის მერე და აბა მაშინ გენახათ, რა დღეს დააყრიდა თათარს. ეს გიორგას საიდუმლო ოცნება იყო და ვერაფერს ხედავდა უცნაურსა და წარმოუდგენელს ამ ოცნებაში, მით უფრო, რომ, როგორც დედისაგან იცოდა, არავის ენახა მამამისი მკვდარი, კუბოში ჩასვენებული, გულხელდაკრეფილი; არც მისი საფლავი იცოდა ვინმემ, მაგრამ გინდაც მართლა მოეკლათ იგი, რატომ არ შეიძლებოდა — გაცოცხლებულიყო? განა ზღაპრებში არ ცოცხლდებიან გმირები, რომელთაც ყველა მტერთან ვერ მო-

უსწრიათ ანგარიშის გასწორება და ამიტომაც არა აქვთ სიკვდილის ნება. არც გიორგას მამას ჰქონდა სიკვდილის ნება, რადგან მტერი ჰყავდა და ჯერ იმ მტერთან უნდა მოეთავებინა საქმე. გიორგას მამა ჭარ-ბელაქნის განთავისუფლებისას მოკლეს და როცა მისი სიკვდილის ცნობა მოუტანეს, ანამ მერე იგრძნო ფეხმძიმობა. ანა მაშინ ჯერ კიდევ ეჩვეოდა ქალობას, ჯერ კიდევ სწავლობდა საკუთარი სითბოსი და სინაზის, როგორც პურისა თუ მარილის, გამოზოგვასა და გაცემას, და ქმრის მოულოდნელმა სიკვდილმა სახტად დატოვა, ვერაფრით წარმოიდგინა მკვდარი ქმარი, იმდენად ცოცხალი, თავბრუდამხვევად ცოცხალი ახსოვდა იგი ანას, ქმრის გარდა, სხვა არავინ ჰყავდა, ურუქში ობოლი გოგო ჩამოიყვანა ქმარმა და ორი თვის მერე უარესად დააობლა.

მართალია, ზოსიმე მღვდელი არც მას ამადლიდა ნუგეშის ცემასა და ლოცვა-კურთხევას, მაგრამ ზოსიმე მღვდელი ღვთის კაცი იყო და მისი ლოცვა-კურთხევა მთელს ქვეყანაზე ვრცელდებოდა, ყველა საწყალს ეკუთვნოდა თანაბრად, რადგან არც გაყოფა შეიძლებოდა მისი და არც დანახვა, არც მის მკლავებში შეყუჟვა, ღონიერსა და მოუსვენარ მკლავებში, როგორიც ანას ქმარსა ჰქონდა და რომელთაც ლოცვა-კურთხევაზე.

მეტად შეეძლოთ ანას დამშვიდება, დაიმედებაცა და გაბედნიერებაც. ანას ქმრის მკლავებს მზისა და წვიმაგადავლილი მიწის სურნელი ასდიოდა და როცა ანას ამ მკლავებში ეძინა, მშობლები ესიზმრებოდა ხოლმე, რომლებიც არასოდეს ეხილა, ანდა, შეიძლება ეხილა კიდეც, მაგრამ იმდენად პატარასა და იმდენად დიდი ხნის წინათ, აღარც ახსოვდა, როგორები იყვნენ ისინი სინამდვილეში. სულგანაბული, შიშნარევი ნეტარებით შესცქეროდა იგი მისი ბედნიერებით გაცოცხლებულ მშობლებს და ასე, შიშსა და ნეტარებაში, სევდისა და სიხარულის ცრემლდანთხეული ქალდებოდა ერთადერთი პატრონის ღონიერსა და მხურვალე მკლავებში.

„ახლა რაღაზე იტირეო“ — ეკითხებოდა მისი ცრემლით მოულოდნელად გამოღვიძებული ქმარი და ანაც თამამად, გულწრფელობისაგან ათრთოლებული ხმით პასუხობდა:

მიყვარხარ და იმიტომო. ორი თვე გაგრძელდა ანას ბედნიერება, რომელიც მოულოდნელად დაეცა თავზე და ასევე მოულოდნელად დაეკარგა. კაცმა რომ თქვას, ანა არც ამ ორი თვის ბედნიერებას ელოდებოდა ცხოვრებისაგან. ოცნებით, რაღა თქმა უნდა, ისიც ოცნებობდა ყველა გოგოსავით.

რადგან ოცნების უნარი და უფლება ჯერ არავის წაერთმია მისთვის, მაგრამ ობლობაში გაზრდილი, თავიდანვე დაჩაგრული და ტოლ-ამხანაგებში გამორჩეული გოგო, ოცნებაშიც მორიდებული და გაუბედავი იყო. სხვა გოგოებივით ხმამაღლა არასოდეს არ უთქვამს, როცა გავიზრდები, ასეთსა და ასეთ კაცს უნდა წავყვეო, ამდენის უფლებას როგორ მისცემდა თავს, თუმცა სხვები, არც მასზე ლამაზები და არც მასზე ჭკვიანები, უფლისწულზე ნაკლებს არ კადრულობდნენ ქმრად. მაგრამ ის ობოლი იყო, სამადლოდ გაზრდილი, და თუ ვინმე მასავით საწყალი გამოუჩნდებოდა, იმაზედაც მადლობა უნდა ეთქვა სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, არც ეწყინებოდა, რომელიმე გოგოს რომ ეთქვა მისთვის:

შენი ბრალია, ჩვენს საქმროებსაც შენ აფრთხობ შენი კონკებითაო. ანამ იცოდა, თავისი სიობლითა და სიბეჩავით სხვებსაც რომ უშლიდა ხელს. მართალია, ჯერ-ჯერობით სიბრალულისა და ზრუნვის მეტი არაფერი ეგრძნო ხალხისაგან, მაგრამ ისიც აწუხებდა — ზედმეტ საზრუნავს რომ უჩენია და თავისი საცოდაობით გულს რომ უკლავდა სხვას.

ამიტომ ყოველთვის ცდილობდა, განზე გამდგარიყო, წარამარა არ გაჩხეროდა თვალში სოფელს, წარამარა არ გაეხსენებინა, ისიც რომ არსებობდა ამ ქვეყანაზე და დაეცლია ლუკმის ჩაყლაპვა, ოჯახური სიმყუდროვე და სიამტკბილობა, ის კი არა, ტოლ-ამხანაგებსაც ერიდებოდა, ეგონა, ის რომ არ ყოფილიყო, ისინი უფრო მეტად იმხიარულებდნენ, უფრო თამამად და უფრო ბევრს მოჰყვებოდნენ თავიანთ მშობლებზე, ბებიებსა თუ ბაბუებზე. ძმებსა თუ დებზე, ახალ სათამაშოებსა თუ ახალ კაბებზე, მაგრამ მისი თანდასწრებით, თვითონ ღრმად იყო ამაში დარწმუნებული, ყველას უჭირდა ბაქიაობა და თავის მოწონება იმით, რაც მას არ ჰქონდა და არც არასოდეს ექნებოდა.

ყველიერში, როცა მთელი სოფლის გოგო-ბიჭები საქანელებზე. იყვნენ ჩამოკონწიალებულნი, ის, ზვინსა თუ ღობეს ამოფარებული, შორიდან შესცქეროდა თანატოლების იალკიალს, რადგან ეშინოდა, კი არ ეშინოდა, რცხვენოდა, ისიც არ შემოესვათ საქანელაზე თავისი დაკონკილი კაბითა და ალაგ-ალაგ გამომწვარი, ბოლოებგამოძენძილი თავსაფრით.

იქ კი, კაკლის ძირას, ისეთი ჟრიამული იდგა, უნებურად თვითონაც ეღიმებოდა, თვითონაც გადაედებოდა ხოლმე კაკლის ძირას შეკრებილთა სიხარული, ბავშვური, გულუბრყვილო ბედნიერება და ხალისი. საქანელა ჭრიალებდა, მთელ ხეს ათრთოლებდა, შხუილით აპობდა ჰაერს, ხოლო საქანელაზე შემდგარი, ქროლვისაგან სუნთქვაშეკრული, ბედნიერებისაგან სახეგაცისკროვნებული გოგო ერთს ისეთს ჩაბუქნავდა ხოლმე, მთელი კაბა წამოეხდებოდა, თეთრი, ხორკლიანი კანჭებით გამოანათებდა, გეგონებოდათ, ეგაა, მართლა მისწვდა ვარსკვლავებსაო. „ჩაიფარე, გოგო, ჩაიფარე!“ — წიოკობდნენ მიწაზე დარჩენილი დობილები, თითქოს, იმას, საქანელაზე შემდგარს, მათი საერთო საიდუმლო გაჰქონდა უცხო ქვეყანაში. თივის ზვინსა თუ ღობეს ამოფარებული ანაც უნებურად აყოლებდა ტანს საქანელას ქროლვას, — თითქოს თვითონაც მიქროდა, მიფრინავდა უცხო და იდუმალ ქვეყანაში, რადგან ყველა გოგოზე მეტად მას უნდოდა აქედან გაფრენა. მერე კი ქმარმა (თუმცა მაშინ ქმარი არ იყო, მაშინ პირველად გაიცნეს ერთმანეთი), ძალით გააშლევინა მომუწული თითები, დედამკვდარი ბარტყებივით რომ მიხუტებოდნენ ერთმანეთს, და ხელისგულზე აკოცა. ანას ის უკვე უყვარდა, ისე უყვარდა რომ სიხარულთან ერთად რაღაცნაირად შეშფოთდა კიდეც, თითქოს ავი, მოურჩენელი სენი სჭირდა და შეიძლებოდა კოცნით გადასდებოდა იმასაც. მერე ის მოკვდა და ანას თათარი შეეჩვია, როგორც უპატრონო ძროხას გველი. ან სხვა რა შეიძლებოდა დარქმეოდა მისსა ლა თათრის ურთიერთობას? თათარი მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა სოფელსაც ეძინა და აკვანში ჩაკრულ გიორგასაც. ანას ეშინოდა, მთელი ტანი აუცახცახდებოდა ხოლზე ამ უცხო კაცის დანახვაზე, რომელიც შემოსვლისთანავე აკვანს მიაშურებდა და უზარმაზარ, თითებგაფარჩხულ ხელს ჩვილის სახესთან გააჩერებდა, თითქოს მისი ამონასუნ-

თქით ითბობსო, მეორე ხელით კი ბინძურ ჭინჭში გამოკრულ შაქარყინულს იღებდა უბიდან, მატყლის ბეწვები რომ აჰკვროდა ზედ, და შიშისაგან გაოგნებულ ანას აჩეჩებდა, მარად მომღიმარი, მარად ოფლგადამსკდარი ნესვივით მრგვალსა და უნაკვთო თავ-პირზე. მის ხელს ჩვილის სუნი ასდიოდა და ანაც ითმენდა უხეშსა და უსულგულო ვნებას, თავაპრიალებული რომ გამოდიოდა სოფლის სუნით გაჟღენთილი წყვდიადიდან და ისევ იმ წყვდიადში უჩინარდებოდა; ძროხაც ასე უჩერდება გველს, განძრევისაც ეშინია, ფეხებათრთოლებული, გაოგნებული დგას და ელოდება, სანამ რძეს არ გამოწოვს, სანამ მტკივნეულად არ მოსწყდება გველის ბლაგვი და გათოშილი პირი. ძროხას გველისა ეშინია და არა გველის საქციელისა. ის მიჩვეულია გამოწველვას, აუცილებელიცაა ჯიქნებში დაგროვილი რძის მოშორება და თითქოს სულერთიც უნდა იყოს მისთვის, ვინ გამოწველის, ვინ მოაშორებს შემაწუხებელ სითხეს, მაგრამ მისი ბუნებისთვის იმდენად უცხოა გველთან ურთიერთობა, ჩვეულებრივ შვებას კი არ ანიჭებს გველის ღონიერი პირით გამოწოვილი რძე, არამედ შიშისაგან დამბლა ეცემა და საერთოდ უშრება ჯიქანი.

მამაკაცის ამგვარ სიახლოვეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის მამაკაცი, ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლებოდა საპასუხო ვნება თუ არა, რაღაც სურვილის მაგვარი მაინც არ აღეძრა ქალში, რომელსაც მხოლოდ ორი თვე ეცხოვრა ქმართან და მის ახლახანს გაღვიძებულ ქალობას, ბუნებრივია, აღარ შეეძლო უალერსოდ და უყურადღებოდ დარჩენა; მაგრამ ანას (ეს თვითონაც უკვირდა და ხშირად უფიქრია ამაზე) მსგავსიც არაფერი განუცდია მოძალადე მიჯნურისაგან. მას უბრალოდ ხორცი სტკიოდა და გამომალენჩებელი დაღლილობა ეუფლებოდა, როგორც ნაწამებ ადამიანს, რომლის წამებაც მხოლოდ იმიტომ შეუწყვეტიათ, ხელში რომ არ ჩაკვდომოდათ. ამიტომაც იყო ალბათ, სინდისის ქენჯნა რომ არ აწუხებდა მკვდარი ქმრის წინაშე, ერთადერთი მამაკაცის წინაშე, რომელიც განეცადა და რომელსაც არა მარტო გაეხსნა მისი არსება, არამედ ხელმეორედ და სამუდამოდ დაებეჭდა კიდეც. ის ქმარს კი არ ღალატობდა (ერთი წამითაც არ დაუშვია ეს), არამედ უქმროდ იტანჯებოდა, უქმრო ცხოვრების ბალღამს თქვლეფდა, როგორც

ჭურჭლის ნარეცხს ძაღლი, და თათრის გამოცხადებაც ამ ცხოვრების აუცილებელი ნაწილი იყო მხოლოდ, ისიც ტანჯვასა და ბალღამის თქვლეფაში შედიოდა. ანა მარტო იყო და არავის შეეძლო მის სიმარტოვესა, გაუნელებელ შიშსა და ყოვლად უაზრო, თვითონ ანასთვისაც ბოლომდე გაუგებარ უბედურებაში ჩაზიარება. მაგრამ ბავშვმა ზრდა რომ დაიწყო, ანას თავზარი დაეცა, შვილისა და ქმრის მსგავსებამ შეაძრწუნა, თითქოს ქმარი დაბრუნებულიყო სულეთიდან, კი არ დაბრუნებულიყო, ბრუნდებოდა, ჯერ კიდევ შორს იყო და იმიტომ ჩანდა ასე პატარა, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა და ყოველ წუთას იზრდებოდა. იზრდებოდა მისი ქომაგი და გამკიცხველი, რადგან, თუკი საერთოდ შესაძლებელი იყო, ის შეძლებდა თათრის გაძევებას, და მხოლოდ მას შეეძლო ესაყვედურებინა: ეს უცხო კაცი რატომ დამახვედრე სახლშიო. ბავშვი კი იზრდებოდა და ყველაფერთან ერთად თათრის მოტვლეპილ თავსაც ეჩვეოდა, მოულოდნელად რომ გამოეყოფოდა ხოლმე წყვდიადს, მრგვალი და უზარმაზარი.

თათარი ხელცარიელი არასოდეს არ მოდიოდა ბავშვთან, ხან რას მოუტანდა და ხან რას, მერე მუხლზე ააბუქნავებდა, იღლიებში შეუხიცინებდა და ბავშვიც გაოცებული და აღტაცებული შესცქეროდა მის ნაფოტა კბილებზე ასხლეტილ სინათლეს.

ადვილი შესაძლებელი იყო, პატარა გიორგას თათარი შეყვარებოდა, მამად მიეღო, რადგან ყველა ბავშვმა იცის, რომ სადაც დედაა, იქ მამაც უნდა იყოს. ეს მისი თანდაყოლილი ცოდნაა და ამავე დროს საფუძველიც ყველაფრისა, რაც მერე უნდა ნახოს და შეისწავლოს. მართლაც, რა გასაკვირია, გიორგას თათარი მამად რომ მიეღო, როცა მეორე ადამიანი, ვინც დედის მერე დაინახა თათარი იყო, მხოლოდ დედა იდგა მასსა და თათარს შორის და საკმარისი იყო, დედის მხარზე ჩამოედო ნიკაპი, მაშინვე მოღიმარი თათრის კბილებზე აბრჭყვიალებული სინათლე ეცემოდა თვალებში, მიმზიდველი, გამრთობი, საოცარი და როცა გიორგამ გაიგო, რომ ეს ვერცხლის ფულივით მრგვალი და ბრჭყვიალა ღიმილი მათი მტერი, მათი დამღუპველი იყო, პირველად კი არ შეეშინდა, გული დასწყდა, თითქოს სწორედ მაშინ გამოართვეს ხელიდან სათამაშო, როცა შეეჩვია და გემო გაუგო.

— მაგრამ არ უნდა შეგვატყოს, ჩვენ რომ ვიცით, თორემ ორივეს ხანჯლით გამოგვჭრის ყელსა, — უთხრა დედამ.

გიორგა ბრმად და თამამად შემოდიოდა ცხოვრებაში, როგორც ახალ სიცოცხლეს სჩვევია საერთოდ, მას კი პირველსავე კართან ისეთი თავსატეხი გამოცანა შეაგებეს, ჯერჯერობით არც გონება ეყოფოდა და არც ნებისყოფა მის ამოსახსნელად. დედა ჯიუტად უმეორებდა ერთსა და იმავეს და გიორგაც თანდათანობით ეჩვეოდა შიშს, როგორც წინდისა და პერანგის სწორად ჩაცმას. ახლა ძველებურად აღარ სიამოვნებდა თათრის მუხლზე ბუქნაობა, რაღაცნაირად შემკრთალი და დაძაბული იჯდა. თითქოს თათარი უცებ მუხლს გამოაცლიდა, და ცრემლჩამდგარი თვალებით დედის სახეს დაეძებდა, თათარი კი ძალით ახედებდა თავისკენ და დიდი, კოტიტა თითებით უხიცინებდა, სანამ სიცილი არ აუვარდებოდა, სანამ არ გადაფიჩინდებოდა და სანამ დედა არ ააგლეჯდა ხოლმე თათრის მუხლიდან, თავბრუდახვეულსა და დაკრუნჩხულს. გიორგას ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა თათარი, რათა ერთი-ორი დღე, ზოგჯერ კი ერთი-ორი კვირაც მარტო ყოფილიყო დედასთან, მასთან ერთად ეტირა და მასთან ერთად შინებოდა. დედის გვერდით, დედის სურნელში შიშიც ადვილი ასატანი იყო, ასატანი კი არა, სასიამოვნო, რადგან აუცილებელი აღარ იყო მისი დამალვა, შეეძლო მოეყოლა, თავი შეეცოდებინა დედისთვის, რაღაცნაირი ძნელად ასახსნელი სიამაყითაც, როგორც საერთოდ ბავშვებს სჩვევიათ ლაპარაკი თავიანთ ავადმყოფობასა თუ რაიმე ფიზიკურ ნაკლზე. მაგრამ მთლად მარტონი მაინც არასოდეს არ რჩებოდნენ ისინი, ის, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გამოჩენილიყო, ის ბედისწერასავით გარდაუვალი იყო და ამის ცოდნა აიძულებდათ, განუწყვეტლივ ეფიქრათ მასზე. იმის მერე, როცა გიორგა მიხვდა, რატომ დადიოდა თათარი მათ ოჯახში, ცდილობდა აღარ ელაპარაკა თათარზე დედასთან, ფიქრით კი ახლა უფრო მეტს ფიქრობდა, შემზარავი, ამაზრზენი წარმოდგენებით ჰქონდა თავი გამოტენილი და თვალდაჭყეტილი იწვა ბნელ ოთახში, ბრაზობდა, რატომ არ კიოდა, რატომ არ ეძახდა დედამისი და ამავე დროს გული მადლიერების გრძნობით ევსებოდა, ყველაფერს უხმოდ რომ ითმენდა იგი, რადგან დედის კივილი მართლა რომ გაეგონა ამ ბნელსა და

ცარიელ ოთახში, შიშისაგან გული გაუსკდებოდა. იწვა განუწყვეტელი წრიალისგან გაუცხოვებულსა და გაუხეშებულ ლოგინში, დათრგუნვილი და შეურაცხყოფილი, სანამ ნაცნობი ხმაური არ შემოესმებოდა, თათრის წასვლისა და მისი ტანჯვის დასასრულის მაუწყებელი ხმაური. თათარი მოდიოდა მაგრამ სახლიდან გასვლამდე აუცილებლად რაღაცას წამოედებოდა ხოლმე, და დედა რომ ეტყოდა, ჩუმად ბავშვი არ გააღვიძოო, გიორგას იმ წუთას დედაც ეჯავრებოდა, რადგან დედამისს არ სჭირდებოდა იგი, კი არ ეძახდა, თათარსაც აჩუმებდა: არ გაიღვიძოსო. იქნებ ერჩია, საერთოდ რომ მომკვდარიყო, საერთოდ რომ არ ყოფილიყო გიორგა? მაშინ არც ჩურჩულით ლაპარაკი დასჭირდებოდა და არც ფეხაკრეფით სიარული, საკუთარ სახლში. „მღვიძავს, ყველაფერი მესმისო“, — უნდოდა ეყვირა გიორგას, მაგრამ ეს წამიერი სიბრაზე და წამიერი. სიძულვილი იყო, გაუცნობიერებელი ეჭვიანობის შედეგი.

იგი მალე და იოლად უთმობდა ადგილს უფრო ძლიერსა და მნიშვნელოვან შეგრძნებას: დედა განთავისუფლებულიყო! კიდევ ერთხელ განთავისუფლებულიყო, დადიოდა, ლაპარაკობდა, და რაც მთავარია, გიორგას ახსენებდა, გიორგაც ახსოვდა, იცოდა რომ ამ ბნელსა და ჩამკვდარ სახლში ისიც არსებობდა, — სადღაც, წყვდიადის საბანში გატრუნული, საიმედოდ დამალული, თათრის თვალსა და კოტიტა თითებს არიდებული, და როგორც კი თათარი კარს გაიკეტავდა, დედაც მაშინვე მისკენ გამოეშურებოდა, შუბლზე აკოცებდა, ფრთხილად, გაუბედავად შეახებდა ცივსა და ათრთოლებულ ტუჩებს, მისი აზრით, ტკბილად და უდარდელად მძინარეს, საბანს ამოუკეცავდა, უკეთესად შეფუთვნიდა, როგორც ცეცხლს ნაცარში, ხვალისთვისაც რომ სჭირდება, ხვალისთვისაც კი არა, სამუდამოდ.

„ღმერთო, გამიზარდე, ღმერთო, ნუ დამიჩაგრავ...“ — ჩურჩულებდა ბნელ ოთახში დედა და გიორგა ბედნიერი იყო, უბედნიერესი, ასე რომ უყვარდა და ასე რომ ეცოდებოდა დედას.

თავის მომძინარება გიორგას საყვარელი თამაში იყო; ამ თამაშობას დანაშაულის სასიამოვნო სიმწარეც დაჰკრავდა, რადგან გრძნობდა, მთლად სწორად რომ არ იქცეოდა, დედას ატყუებდა, იმას აკეთებინებდა და იმას ალაპარაკებდა, რაც

თვითონ სიამოვნებდა, რასაც არ გააკეთებდა და არ იტყოდა დედა, მართლა მძინარე რომ არ ჰგონებოდა იგი; ყურადღებისა და ალერსის გამომძალველი გამოდიოდა, მაგრამ სიმარტოვეში, ბნელსა და ცარიელ ოთახში გადატანილი მღელვარების შემდეგ ისე სჭირდებოდა ყურადღებაც და ალერსიც, არც დედის მოტყუებას ერიდებოდა. რადგან გაღვიძებული რომ დახვედროდა, დედა შეწუხდებოდა, ლამპას შემოიტანდა, გამოკითხვას დაუწყებდა: რატომ არ გძინავს, რამე ხომ არ გტკივა, ცუდი სიზმარი ხომ არ ნახეო? მას კი ერჩია, სიბნელეში ეგრძნო დედის ცივი და ათრთოლებული ტუჩების შეხება, ვიდრე სინათლეში ეხილა მისი შეწუხებული და დაბნეული სახე. სიბნელეში დედა უფრო გულწრფელი იყო, უფრო ნაზი, უფრო ახლობელი.

სინათლეში კი — გულჩათხრობილი, რაღაცნაირად შებორკილი და დარცხვენილი; სინათლეში დედა პატარა იყო, გულისმომკვლელად სუსტი და უმწეო, სიბნელეში კი — უსასრულო, დაულეველი, იმედისა და შვების მომცემი. გიორგა ვერც გაიგებდა ხოლმე როდის ჩაეძინებოდა, დედის ამოკეცილ საბანში თოჯინასავით გარინდულს და გაბედნიერებულს, იმის შეგრძნებით, რომ ხვალ დედა მარტო მისი იქნებოდა.

მართალია, დედას საქმე არ ელეოდა, მაგრამ რეცხავდა თუ ქსოვდა, მაინც მარტო გიორგასი იყო. ისეთი მშვიდი, ისეთი ლამაზი და ისეთი სუფთა სახე ჰქონდა, თითქოს ეს წუთია ციდან ჩამოფრენილა და ჰაერისა და მზის სხივის მეტი დღემდე არაფერი შეხებიაო. ეს კი გიორგას იმედით ავსებდა და დედის მარადიულობაში არწმუნებდა.

ასე ცხოვრობდა გიორგა, სანამ მაიორი თოფის ჩუქებას დაჰპირდებოდა. ხოლო რაც მერე მოხდა, რაც ამ დაპირებას მოჰყვა, ბოლომდე გაუგებარი და ძნელად შესაგუებელი დარჩა გიორგასათვის. მართალია, ურუქელები ამბობდნენ, თათრისა და მაიორის ჩხუბით ყველაზე მეტად გიორგამ იხეირაო, მაგრამ გიორგას გულში ჩახედვა რომ შეძლებოდა ვინმეს, ასე აღარ იფიქრებდა, გაწბილებული ბავშვის გულში იმხელა სევდა და ტკივილი დახვდებოდა, რაც არ უნდა არხეინი და თავქეიფა ყოფილიყო, ერთი-ორი ღამე მაინც გაუჭირდებოდა მშვიდად დაძინება. გიორგამ მამა კი გაიჩინა, მაგრამ მეგობარი დაკარგა.

სანამ მტერი ჰყავდა, მაიორი ბროლის ციხე-კოშკებს ჰპირდებოდა, მაგრამ როგორც კი მტერმა მიატოვა, ხოლო მაიორი მამამისად იქცა, დაპირებული ციხე-კოშკები სილის ბორცვივით ჩამოიშალა. ადრე, სანამ გიორგა ცალკე ცხოვრობდა, მაიორი კი — ცალკე, უფრო ხშირად იყვნენ ერთად, ვიდრე მერე, როცა ერთ ოჯახად დაიწყეს ცხოვრება. თოფიც აქვე იყო, წარამარა ეჩხირებოდა გიორგას თვალში მისი გაზეთილი ლულის ლაპლაპი, განუწყვეტლივ გრძნობდა მის შემაშფოთებელსა და მიმზიდველ დუმილს, მაგრამ მაიორს არა მარტო მისი ჩუქება დავიწყნოდა, თითის დაკარებასაც უკრძალავდა. შენგან მსროლელი არ გამოვა, სადაა შენი გასაფუჭებელი ტყვია-წამალიო — უთხრა მაიორმა. ადრე კი, სანამ გიორგას მამა გახდებოდა, სხვანაირად ლაპარაკობდა, არც ტყვია-წამალი ენანებოდა და არც დრო; სანგრის გათხრაო, თოფით სიარულიო, თოფით ხოხვაო, ნიშანში სროლაო და, რა ვიცი, რაღას არ ასწავლიდა, დილიდან საღამომდე თავზე დასტრიალებდა და შინ მობრუნებული, დაღლილი და ბედნიერი გიორგა ღამ-ღამობით დენთის სუნითა და დენთის კვამლით გაჟღენთილ სიზმრებს ხედავდა. „გატენე, დაუმიზნე, ესროლე, გატენე, დაუმიზნე, ესროლე.“ — სიზმარშიც ესმოდა მაიორის ხალისიანი ხმა და ისიც სიხარულითა და გაუნელებელი მღელვარებით იმეორებდა ერთსა და იმავე მოძრაობას, უსასრულოდ, გაღვიძებამდე.

„უიარაღო კაცს სალამსაც ამადლიან, როცა იარაღის მქონესა და მომხმარებელს მიწამდე უკრავენ თავსაო“. — ამბობდა მაიორი და გიორგა ნეტარებით ფიქრობდა იმ დღეზე, როცა მაიორი თოფს აჩუქებდა და აღარ იქნებოდა ასეთი სუსტი და მსუბუქი, რადგან ერთი წუთითაც არ მოიშორებდა თოფს, არც დღისით და არც ღამით, დღისით ხელში ატატებულს ატატებდა, ღამით კი გულში ჩაიხუტებდა. და ბოლო-ბოლო მასაც გადაედებოდა თოფის სიმძიმე, თოფის ძალა და თოფის მქუხარე ხმა.

მართალია, მათ ოჯახში ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა, თათარი ისევ მოდიოდა, დედაც ისეთივე დარჩენილიყო, ისევ ღიმილით იწმენდდა ხოლმე ნამტირალევ სახეს გიორგას შემოსვლაზე, მაგრამ გიორგას უკვე იმედი გასჩენოდა, ჯერ კიდევ შორეული, გაუბედავი და პატარა იმედი, როდისმე ბოლო რომ მოეღებოდა დედის განუწყვეტელ სლუ-

კუნსაც, თათრის მოულოდნელ, მაგრამ ღამესავით გარდაუვალ გამოცხადებასაც, და რაც მთავარია, მის ბავშვობასაც. ანა შეშფოთებით ადევნებდა თვალს შვილის არსებაში მომხდარ გარდაქმნებს, გრძნობდა, სახლის გარეთ მეგობრის გაჩენის ჟინი მისი ზრდის მაუწყებელი რომ იყო, მისი დაკაცების, და გული შიშით ეწურებოდა, არა იმიტომ, რომ დაკაცებული შვილი ყველაფერს სხვა თვალით შეხედავდა, შეიზიზღებდა პურსა და წყალს, რითაც გაზრდილიყო, რაც აუცილებელი პური და წყალი იყო მისთვის, არამედ იმიტომ, რომ დაკაცებულს მტერიც მეტი გამოუჩნდებოდა, უფრო ადვილი მოსაკლავი იქნებოდა, რადგან ანა ვეღარ გაუბედავდა კაბის კალთის გადაფარებას და აღარც ის გაუჩერდებოდა კალთის ქვეშ, შეგინებული კალთის ქვეშ და უმალ ამ კალთის შემგინებელს შეაკვდებოდა, მამამისივით ერთ წამში ჩაღვრიდა მიწაში წლობით, წვითა და დაგვით, სხვათა მალულად, სხვათა ზურგს უკან წვეთწვეთობით მოგროვილ სისხლს. ანა იმასაც ამჩნევდა, გიორგა მაიორთან დამეგობრების შემდეგ, უფრო აგდებულად, უფრო გამომწვევად რომ ელაპარაკებოდა თათარს, რაზედაც თათარი მხოლოდ იცინოდა ხოლმე, მაგრამ სწორედ იმ სიცილისა ეშინოდა ანას, რადგან გიორგაზე კარგად იცნობდა მას, იცოდა, რისთვისაც იყო გამიზნული იგი:

ბავშვი უარესად რომ წაექეზებინა, გაეღიზიანებინა და იმასაც მთლიანად გამოეტანა სააშკარაოზე თავისი პატარა, დაუცველი გული. ამ სიცილით გიორგას იტყუებდა იგი ისედაც სუსტი საფარიდან და ათასში ერთხელ ანასაც გამოხედავდა ხოლმე, თითქოს უცაბედად, შემთხვევით, როგორც მიწაზე დავარდნილი ბარტყის დანახვაზე უნებურად მაღლა იხედება კაცი, საიდან ჩამოვარდნილაო. თათარსაც ჯერჯერობით იმ ადგილის აღმოჩენა უნდოდა, სადაც ბავშვის პირიდან ამოსული სიტყვა იღებდა სათავეს. ანას სისხლი ეყინებოდა თათრის მოულოდნელ გამოხედვაზე და, სხვა რომ ვერაფერი გაეწყო, უღიმოდა, ვითომ ბავშვის ნალაპარაკევს როგორ აქცევ ყურადღებასაო. — რით ვეღარ გაჩუქა, ერთი გვენახა, რა თოფია ამისთანა, — ამბობდა თათარი. — ან იქნებ სამაგიეროს ელოდება რამეს? იქნებ დედაშენში გიცვლის?

თვალი შენც დაგიდგეს და იმასაც. — ამბობდა ნაძალადევად მომღიმარი ანა და ვერაფრით ვერ ენიშნებინა თათრის სიცილითა და უდარდელი კილოთი უარესად ლაპარაკის საღერღელაშლილი გიორგასათვის — გაჩუმებულიყო, ანდა სხვა რამეზე ელაპარაკა. თათარი კი, მოტვლეპილი კეფითაც გრძნობდა მის სადარდელს და ხრინწიანად იცინოდა, სქელი, კოტიტა თითებით ისევ იღლიებში ეტანებოდა გიორგას და ანასაკენ შემოუბრუნებლად ამბობდა: შენ რა გაწუხებს, ქალო, მე ვიცი და გიორგამო.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აღიზიანებდა თათარი, შეიძლება იმიტომაც, მისგან თავის დახსნის იმედი რომ გაუჩნდა, თოფიანი მეგობარი რომ გაიჩინა, თუმცა არც იმის თქმა იქნება მართალი, თითქოს ყველაფერი ესმოდა და ყველაფერი მოსწონდა მაიორისა. მაიორიც უცხო იყო, თათარზეც უცხო, რადგან თათარი გაჩენისთანავე დახვდა სახლში, როგორც დედა, მაგიდა, ლამპა, პირმოტეხილი კოკურა, ანდა მამამისის ნაცვამი ჩოხა, ქრისტესავით რომ გაეკრათ კედელზე ცარიელი. სახელოებით. მაიორს კი არც ისე დიდი ხანი იყო, რაც იცნობდა. პირველად რომ დაინახა, სოფლის ორღობეში მომავალი, გული გადაუქანდა, არასოდეს არ ენახა ასე ჩაცმული კაცი; ოქროსფერი ეპოლეტები მზეზე უბრჭყვიალებდა, გეგონებოდათ, მხრებზე ცეცხლი უნთიაო, მაგრამ ამ უცნაურმა და საშიშმა კაცმა მეგობრობა შესთავაზა. გიორგამ ერთი კი ახედა და მაშინვე თვალი აარიდა, თითქოს შერცხვა, მისი დიდი ხნის ნამალევი ოცნება რომ ამოიცნეს. წესიერად არც იცოდა, რა იყო მეგობრობა, მაგრამ მისი ყოველ წუთას მზარდი არსება ბრმად, ჯიუტად, თავგანწირულადაც კი, სწორედ მეგობარს დაეძებდა, რადგანაც არც დედასთან და არც თათართან არ შეეძლო ყოფილიყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო, რადგან ერთი ეცოდებოდა და უყვარდა, მეორისა კი ეშინოდა და ეზიზღებოდა. გრძნობდა, მეგობარი სახლის გარეთ რომ უნდა მოეძებნა, მეგობარს არ უნდა სცოდნოდა, როგორი იყო იგი შინ, მეგობარს, თანდაყოლილი გრძნობებითა და მოვალეობებით შეუზღუდავი, მისი ნამდვილი ბუნება უნდა დაენახა მხოლოდ და სიბრალული კი არ უნდა აღძვროდა მის მიმართ, როგორც მის თანასოფლელებს ემართებოდათ, ანდა იმავე თანასოფლელების

მსგავსად, ოხუნჯობის ხასიათზე კი არ უნდა დამდგარიყო მის დანახვაზე, არამედ მისი გულისთვის განსაცდელში თავის ჩაგდების სურვილი უნდა გასჩენოდა უპირველესად. ამიტომაც აარიდა თვალი მაიორს, როცა იმან თითით ნიკაპი აუწია და უთხრა: მოდი, დღეიდან მე და შენ მეგობრები ვიყოთო. იფიქრა, ესეც მაპამპულებს, ამასაც გაგებული ჰქონია ჩვენი ამბავიო, არ დაუჯერა, მაგრამ როცა მაიორმა ნამდვილ ცხენზე შემოისვა და ხელში ნამდვილი თოფი დააჭერინა მოთხოვნილებად ექცა, განუსჯელად, მთელი არსებით მინდობოდა მას.

— შე თათარო, შენა, — ხუმრობით, სიყვარულით ეუბნებოდა. მაიორი. — ასე თუ განიცდი, ჩავუსაფრდეთ ერთი და ვუტიროთ დედა.

თოფი ბალახში ეგდო, თითქოს საქმეში არ ერეოდა, თითქოს არავითარი წვლილი არ მიუძღოდა ამ ორი ადამიანის დაახლოვებაში, ხან წითელფეხება კალია დაასკუპდებოდა, კისერს მოიქექავდა ერთი წამით. ხან შეშინებული ჭიანჭველა გადაირბენდა მის გლუვსა და პრიალა ზედაპირზე, მაგრამ ის მაინც გაუნძრევლად ეგდო ბალახში, მძიმე და უგრძნობელი... გიორგა თოფისკენ აპარებდა ხელს, მზეზე გახურებულ კონდახზე ადებდა და რულისმომგვრელი ნეტარებით გრძნობდა, ფეთქვითა და ბაგაბუგით, როგორ გადადიოდა იარაღის სული თოფიდან მის არსებაში. მაგრამ მაიორი უცებ ისეთ რამეს იტყოდა, ბრინჯივით დააბნევდა და დააფრთხობდა ხოლმე გიორგას:

— იცი, რაზე ვნადირობთ მე და შენ? ღმერთზე ვნადირობთ, ღმერთზე!

მერე გულაღმა გადაწვებოდა, თოფს თავისკენ მიითრევდა და მკერდზე დაიბჯენდა კონდახით. მაიორის მკერდზე დაბჯენილი თოფი ოდნავ ირხეოდა, თითქოს გულიდან რკინის ხე ამოსულაო, მაიორი კი ნელა, გამაღიზიანებლად ნელა ეწეოდა ჩახმახს და თუმცა გიორგა თვალგაფაციცებული მისჩერებოდა ჩახმახზე გამოდებულ თითს, მაინც ყოველთვის მოულოდნელად იჭექებდა ხოლმე თოფი და ყოველთვის შეახტუნებდა გიორგას. მაიორიც ამჩნევდა გიორგას შეკრთომას და სიცილით ეუბნებოდა: მაშინ რაღას იზამ, ღმერთი რომ დაეფერთხოს

ჩვენს ფეხებთანო. გიორგა თვითონაც იცინოდა, მაიორის ნათქვამზე მხარს იჩეჩავდა, ვითომ რა მოხდათ, მაგრამ მერე, მარტო დარჩენილს, თავისი ოთახის წყვდიადში ჩაკარგულსა და შიშისაგან თვალებდაჭყეტილს, განუწყვეტლივ ელანდებოდა, როგორ მოასავსავებდა ფრთებს ალალბედზე ნასროლი ტყვიით განგმირული ღმერთი. შეიძლება, განგებ ლაპარაკობდა ასე, ატყობდა, ბუნებით მხდალი რომ იყო გიორგა და ეხმარებოდა შიშის დაძლევაში, რადგან მართლა თუ აპირებდა იგი თათრის მოშორებას, უპირველეს ყოვლისა სიმხდალე უნდა დაეძლია, შიში უნდა ამოეძირკვა გულიდან, კაცისაც და ღმერთისაც. ამიტომ იყო, მისი ნაძალადევი სითამამე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია არც დედამისსა და არც თათარს, თავხედობას რომ ჰგავდა უფრო, გაუზრდელი ბავშვის ჭირვეულობას, რაც სხვებზე მეტად, ალბათ, თვითონვე აღიზიანებდა, მაგრამ უკვე აღარც თავის შეკავება შეეძლო და აღარც უკან, მარადიული შიშისა და მორჩილების სოროში შებრუნება.

— გააჩუმე, დედაკაცო, თორემ შემომაკვდება ეს გველის წიწილა. — იძახდა შუბლზე ოფლგადამსკდარი და სიბრაზისაგან თვალებჩასისხლიანებული თათარი.

მაგრამ გიორგა ვერ ჩუმდებოდა, თვალებს შუა, თვალებს შუა, თვალებს შუა უნდა ჩაგისვა ტყვიაო,— ერთსა და იმავეს იმეორებდა ჭკუიდან გადამცდარივით.

— მოეშვი და გაჩუმდება. — ევედრებოდა ანა თათარს.

გიორგი! — გამოსაფხიზლებლად, დასაშოშმინებლად უყვიროდა შვილს, მაგრამ არც თათარი უსმენდა და არც შვილი.

მარტო ანამ იცოდა, რა ხდებოდა, რატომ ხდებოდა, რა მოჰყვებოდა კაცისა და ბავშვის კინკლაობას. უბედურება იღვიძებდა, ანას ოჯახისთვის განკუთვნილი უბედურება; მოწყენოდა უქმად ყოფნა, მოშიებოდა ძილში და ანას წამოჩიტული ბარტყის ჭყლოპინზე დაძრულიყო, რათა ერთხელ კიდევ დასტყდომოდა თავს, ერთხელ კიდევ გადაეძოვა მისი მოხარკე ოჯახი.

თათარიც დიდხანს ეცადა გიორგას შემორიგებას, ძველებურად ისევ მუხლზე ისვამდა იღლიებში უხიცინებდა, უყვავებდა, აფრთხილებდა: ცუდათა ხარ ატეხილიო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა, თავს ვეღარ მოერია, სოფელიც ფეხზე დაიკიდა და კარგა ლაზათიანად დაალილავა ჯერ გიორგა და მერე დედამისიც.

გიორგას თათრისაგან არც გაჰკვირვებია და არც სწყენია, თვითონვე მიილტვოდა ამისკენ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რადგან გრძნობდა, ეს რომ იყო ერთადერთი გზა თათრისაგან თავისს დაღწევისა, რომლის მოთმენაც დღითიდღე აუტანელი ხდებოდა მისთვის, იმასაც გრძნობდა, მაიორთან მეგობრობას რომ გაეხადა თათარი აუტანელი, რადგან იქამდე, ასე თუ ისე, შესჩვეოდა კიდეც მის არსებობას, მის აუცილებლობას, რადგან ის სულ იყო, რაც თავი ახსოვდა. ოცნებაში თუ ბედავდა უთათროდ ცხოვრების წარმოდგენას, მაგრამ ის ოცნება იყო და მის გაჩენამდე გარდაცვლილი მამის ხილვის სურვილი ამაგრებდა მხოლოდ, მამის გაცოცხლების სურვილი უნარჩუნებდა არა მარტო სიცოცხლეს, არამედ დამაჯერებლობასაც და მომხიბვლელობასაც. მაგრამ ცხოვრება, სხვა იყო, ცხოვრებაში ისე არ ხდებოდა, როგორც ოცნებაში. ამდენს უკვე გიორგაც ხვდებოდა და აღარ უკვირდა ცხოვრებისა და ოცნების ასეთი მკვეთრი განსხვავება, განსხვავება კი არა, შეუსაბამობა. ოცნება ჯილდო იყო, რომელსაც ცხოვრებასთან შეგუებულ ადამიანს აძლევდა ღმერთი. გიორგაც ეგუებოდა ცხოვრებას, ოცნება რომ შეენარჩუნებინა, ეგუებოდა ბედს, მაგრამ მაიორის გამოჩენამ ისევ აუშალა გაბრძოლების, ბედის კლანჭებიდან თავის დაღწევის სურვილი.

მაიორიდან მობრუნებულს, თავის საწოლში მარტო დარჩენილს, უკვირდა როგორ გაეძლო ამდენი ხანი თათართან ერთად, როგორ ითმენდა მის მუხლებზე ბუქნაობას და მის კოტიტა თითებს, იღლიებში რომ უძვრებოდნენ, როგორც კედლის ბზარებში ჯოჯოები. მაგრამ ადრე სულელი იყო და არც მაიორი ჰყავდა გვერდით. მერე კი... მერე ოფლგადამსკდარ შუბლზე თითი დაადო და უთხრა: აქ უნდა ჩაგისვა ტყვიაო, იმიტომ რომ უკვე ნაყლაპი ჰქონდა დენთის კვამლი და თოფის უხეში ბიძგებისაგან განუწყვეტლივ უბჟუოდა მხარი.

გიორგას მაიორის იმედი ჰქონდა და თუმცა მაიორმა მაინც დაიგვიანა, მაინც გაალახვინა დედა-შვილი თათარს, გიორგას იმედი, ასე თუ ისე, გამართლდა, ოღონდ იმ საზარელმა ღამემ, რომელშიაც დაჭრილი თათარი გაუჩინარდა, ნანატრი სიხარული კი არ მოუტანა გიორგას, უარესად დააფრთხო და, რაც მთავარია, პირველად დააეჭვა მაიორის ყოვლისშემძლეობასა და სამართლიანობაში იმ ღამესაც მოულოდნელად დაიჭექა მაიორის დამბაჩამ და ისევ შეახტუნა გიორგა, რადგან მან ისიც არ იცოდა, მაიორი შეიარაღებული რომ იყო მოსული და, ღმერთმა იცის, რითი დამთავრდებოდა ის საბედისწერო ღამე, ამ ამბის მონაწილისათვის ერთნაირად საბედისწერო ღამე, მაიორს დამბაჩა რომ არ ჰქონოდა, ანდა, სროლა რომ ვერ მოესწრო, ოდნავ რომ შეყოვნებულიყო. მან ხომ მაშინვე დაახალა ტყვია თათარს, თითქმის მაშინვე, როგორც კი დაინახა, არც სალამზე უპასუხა და არც ხანჯლის ამოღება დააცალა თუმცა, როგორც გიორგას მოეჩვენა, თათარს არც დაუპირებია ხანჯლის ამოღება და, როგორც მერე გამოირკვა, არც ისეთი საშიში ნადირი ყოფილა თათარი, რაკი, თვალებს შუა კი არ ესროლეს, არამედ ხელებში. მაშინ საერთოდ რა საჭირო იყო სროლა, რისთვის დაიღვარა სისხლი, თუკი ამით კი არ დამთავრდებოდა, არამედ მხოლოდ დაიწყებოდა მტრობა? გიორგა ბავშვი იყო, მაგრამ უკვე იმდენი კი გაეგებოდა, სიხარულისაგან რომ არ ეკუნტრუშა, რადგან არაფერი ჰქონდა გასახარელი: აქამდე თუ თათარი აუტანელი იყო მათთვის, ახლა ისინი იყვნენ დამნაშავენი თათრის წინაშე, რადგან ტყვია შეაგებეს, ვინ იცის, იქნებ ბოდიშის მოსახდელადაც მოსულს, და მარტო სისხლი კი არა, ცრემლიც ადინეს. გიორგა ყველაზე მეტად თათრის ტირილმა შეზარა. რაკი თათარმა მათი თანდასწრებით იტირა, ესე იგი ძაღლადაც აღარ თვლიდა მათ, არაფერი არ უნდოდა მათი და ხელის აუკანკალებლად გამოსჭრიდა სამივეს ყელს, თუკი საამისო შემთხვევა მიეცემოდა. სისხლს უფრო ადვილად შეელეოდა იგი, ვიდრე ცრემლს. რადგან ვაჟკაცი იყო და საკუთარ თავსაც არ აპატიებდა ამგვარ სისუსტეს, ვერ მოისვენებდა, სანამ ამ სისუსტის მოწმეები მიწაზე ივლიდნენ და, რაღა თქმა უნდა, ქიშმიშს არ ჩაუყრიდათ მუჭში, რაც იყო — იყო, დაივიწყეთ იმღამინდელი ამბავი, არც არაფერი დაგინახავთ და არც არაფერი გაგიგონიათო. ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, თა-

თარი აუცილებლად იძიებდა მურს და სხვებთან ერთად გიორგაც უნდა შეჰგუებოდა ამას. მაგრამ გიორგასათვის მთავარი მაინც სხვა იყო, გიორგასათვის მთავარი მაიორის იმღამინდელი საქციელი იყო, უფრო სწორედ, ის ეჭვი, რომელიც მაიორის საქციელმა გაუჩინა. ახლა, როცა მოსახდენი მომხდარიყო, პირველ მღელვარებასა და გაოგნებას უკვე გაევლო, გიორგას თვალში მაიორი თათარზე არა მარტო ვერაგი, არამედ მხდალიც ჩანდა. მაიორს იმ ღამეს ვერაგობამ და სიმხდალემ გაამარჯვებინა და ამას მტკივნეულად გრძნობდა, მტკივნეულად განიცდიდა გიორგას მთელი არსება, რადგან ადრე, ფიქრსა თუ ოცნებაში, სხვანაირად ჰქონდა ყველაფერი წარმოდგენილი, წარმოდგენაში თათარი და მაიორი მთელი ხალხის, მთელი ურუქის თვალწინ ეჭიდებოდნენ ერთმანეთს, ორივეს ეფლითებოდა ტანსაცმელი, ორივეს სისხლი სდიოდა, ორივენი მტვერში იყვნენ ამოგანგლულნი, მაგრამ ბოლო-ბოლო მაიორი ჯობნიდა, ზურგზე აწვენდა თათარს და გულზე აჭერდა მუხლს, სამართლიან ორთაბრძოლაში გამარჯვებული.

თათარიც აღიარებდა დამარცხებას და სამუდამოდ მიდიოდა ურუქიდან. იმ ღამეს კი, თათარს პირის გაღებაც არ აცალეს, არც კი გააფრთხილეს: დამიხვდი თუ ვაჟკაცი ხარო, როგორც ზღაპრის გმირები აფრთხილებდნენ მათზე ათმაგად ძლიერ მტრებს, და ერთი გასროლით ორივე ხელის მტევანი ერთბაშად გაუხვრიტეს. თათარს საძრაობა წაერთვა და იმიტომაც იყო, თავს რომ უხათქუნებდა ხეებს, საკუთარი უმწეობა ატირებდა და არა მაიორის ბრჭყვიალა ეპოლეტების მიში. ერთადერთი, ვისაც იმ ღამეს არ შეშინებია, თათარი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა გიორგას, მაგრამ თათრის დამარცხების მიზეზი ის იყო, წინასწარ რომ არ იცოდა, ვისთან ექნებოდა საქმე. ახლა, გიორგას მამასავით, აღარავინ დააცდიდა იარაღის ამოღებას. გიორგას მამა კი, თურმე, იქამდე არ დაჰკრავდა კაცს, სანამ ისიც არ მოემზადებოდა საბრძოლველად. იმიტომაც დაიღუპა თავი. ზედმეტმა ვაჟკაცობამ და ზედმეტმა პატიოსნებამ დაღუპა. აი, თავისი ვაჟკაცობის ნახევარი შვილისთვის რომ ეჩუქებინა, ახლა ცოცხალი იქნებოდა, არც შვილი ეყოლებოდა სხვისი საპატრონო, თათარი გახედვასაც ვერ გაბედავდა მისი ცოლისაკენ, ხოლო თათარი თუ არ იქნებოდა, მაშინ, თავისთა-

ვად ცხადია, არც მაიორთან მეგობრობა დასჭირდებოდა მის ოჯახს, იმას დასჯერდებოდნენ, რასაც ღმერთი მისცემდათ და ისინიც იცხოვრებდნენ ამ ქვეყანაზე, როგორც ხალხი ცხოვრობს, მშვიდად და პატიოსნად.

თათრის გაძევების შემდეგ გიორგას ვეღარც წარმოედგინა უმაიოროდ ცხოვრება, საკუთარი სახლისაც ეშინოდა, ყველა კუთხეში მუცელზე ხელებგადაჯვარედინებული და კბილებდაკრეჭილი თათარი ეჩვენებოდა. მართალია, იმ ღამის მერე მაიორიც სულმთლად გამოიცვალა, იმდენად გამოიცვალა, რომ გიორგას აღარც სჯეროდა, ისა და მაიორი ტოლი ბიჭებივით რომ დახეტიალობდნენ ტყე-ღრეებში ოდესღაც, მაგრამ მზად იყო ყველაფერი მოეთმინა, გაუშვი, ელანძღა და ეთათხა მაიორს ისიცა და დედამისიც, მუშტი ებრახუნებინა მაგიდაზე, წყალივით ესვა არაყი და თავბედი ეწყევლა, ოღონდ აქ ყოფილიყო, ოღონდ არ მიეტოვებინა ისინი, თუმცა ამათზე ნაკლებად როდი იყო იგი შეშინებული და ამათზე უკეთესად მალავდა შიშს. მაიორი ახლა მათი ხშირი სტუმარი გახლდათ და არაფერი იყო ამაში გასაკვირი, არც დედა-შვილისათვის და არც ურუქელებისათვის, რადგან თათრის დაჭრისა და გაძევების შემდეგ, მართლა დიდი უსამართლობა იქნებოდა, მარტო, ბედის ანაბარა დაეყარა გიორგა და დედამისი.

მაიორი, ვალდებული თუ არა, იძულებული ნამდვილად იყო, ბოლომდე დაეცვა ისინი, იქამდე მაინც, სანამ თათრისგან ხიფათი აღარ იქნებოდა მოსალოდნელი. მაიორი ახლა ფეხი ფეხზე გადადებული კი არ იჯდა ქვრივისას და ნელ-ნელა კი არ წრუპავდა არაყს — დატყვევებული ნადირივით დაძრწოდა ოთახში წინ და უკან, წინ და უკან, კედლიდან კედლამდე და ბალახი რომ გაფაჩუნდებოდა ეზოში, თავაწეული სმენადქცეული გაირინდებოდა ხოლმე, მერე სულმოუთქმელად ჩაიცლიდა პირში არყით სავსე ჭიქას და ისევ მოჰყვებოდა წინ და უკან წრიალს. „რას მერჩოდით, რას გადამეკიდეთ“ — შეჰბღაოდა კედელზე გაკრულ ჩოხას და მის შემყურე დედა-შვილს ენა მუცელში ჰქონდა ჩავარდნილი, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდათ, დამნაშავეები რომ იყვნენ მაიორის წინაშე, სამუდამოდ რომ იყვნენ დავალებულნი მისგან, ერთადერთი კაცისგან, რომელმაც მათი უბედურება გაიზიარა, გამოექომაგა და თავადაც გან-

საცდელში ჩაიგდო თავი. რა უნდა მოეთხოვა, რა უნდა დაევალებინა მაიორს დედა-შვილისათვის, სიტყვის შეუბრუნებლად რომ არ შეესრულებინა“ ერთსაც და მეორესაც. მაგრამ მაიორი არაფერს თხოულობდა, ეგ იყო, რომ თავის დორბლიან ბრაზსა და სიძულვილს აფრქვევდა ორივეს თავზე და ცოტა გულს რომ მოიფხანდა, ისეთი ძალით გაიჯახუნებდა კარს, მთელი სახლი კარგა ხანს თრთოდა ხოლმე, გეგონებოდათ, მიწა იძრაო. ხანდახან მაიორს არაყი მეტი მოსდიოდა და კარის გაჯახუნების კი არა, სკამიდან წამოდგომის თავიც აღარ ჰქონდა, ლაპარაკ-ლაპარაკში ჩამოეძინებოდა და მძინარეს ისეთი უმწეო, ისეთი შეწუხებული სახე ედო, გიორგამ და დედამისმა მისი ცოდვით აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რა წყალში ჩაცვენილიყვნენ; ფრთხილად, გაუბედავად გადაჰქონდათ იგი სკამიდან ტახტზე. დამბაჩის ხმამ არა მარტო თათრის გაუთავებელ სტუმრობას, არამედ მაიორისა და გიორგას მეგობრობასაც დაუსვა წერტილი, ხოლო ამის შედეგად სხვაც ბევრი ისეთი რამე ხდებოდა გიორგას თავს, იმასაც ვერ ახერხებდა, თვალთან ერთად გონებაც მიედევნებინა ჩასწვდომოდა უსასრულო ცვლილებათა არსს, უაღრესად დიდი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ ჰქონდა მისი მომავალი ცხოვრებისთვის, თუმცა მან ეს არ იცოდა, რადგან სრულებითაც არ ფიქრობდა მაშინ მომავალზე, მაგრამ გრძნობდა, შემაშფოთებლად გრძნობდა თავის უხილავ ღერძზე დამაყრუებელი ჭრიალით შემობრუნებული ცხოვრების ტლანქსა და მოურიდებელ ძალას, მკერდში რომ უბიძგებდა, თავიდან რომ იშორებდა და ამ გაუთავებელი, გამომალენჩებელი ბიძგებით აიძულებდა დაერწმუნებინა, როგორი ზედმეტი იყო იგი და როგორ ტყუილუბრალოდ იკავებდა იმ უმნიშვნელო ფართობსაც, რომელზედაც მისი ისედაც პატარა და შიშისაგან უარესად მოკუნტული არსება ეტეოდა. ხოლო, ერთ მშვენიერ დღეს, როცა გიორგამ დედამისი და მაიორი ერთად იხილა ტახტზე, მთლად დაეკარგა აზრი მის არსებობას. ერთი პირობა საკუთარ თვალებსაც არ დაუჯერა, არ უნდოდა, არ შეეძლო და იმიტომ. მართლაც, რა გამოდიოდა: მაიორს თათარი შეეცვალა და მეტი არაფერი. სისულელე და უაზრობა იყო გადატანილი შიშიცა და მღელვარებაც, თუკი მის ოჯახში დატრიალებული ქარბორბალა მხოლოდ და მხოლოდ ამას გულისხმობდა და თუ კი სხვა არაფერი შეიც-

ვლებოდა; რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ გადაუთელავდა დედას, მაიორი თუ თათარი. არა, მართლა ასე თუ იყო, ისევ თათარი სჯობდა მაიორს, რადგან იმ ათი წლის განმავლობაში, რაც თათარმა მათ ჭერქვეშ გაატარა, ერთხელაც არ უნახავს ისა და დედამისი ერთად დაწოლილი. იცოდა, ერთად რომ წვებოდნენ, მაგრამ იმდენი მორიდება მაინც შერჩენოდათ, გიორგას თვალწინ რომ არ ეჯიჯგნათ ერთმანეთი, ახერხებდნენ თუ ვერ ახერხებდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ, დაემალათ გიორგასათვის თავიანთი განმარტოვებისა და ერთად ყოფნის მიზანი.

გიორგა პირდაღებული შესცქეროდა ტახტზე მწოლარეებს, ორივენი შეეზიზღა, მაგრამ რატომღაც შეეცოდა კიდეც ისინი. მართლაც საცოდავები იყვნენ ორივენი, სახე არ ედო არცერთს, ასეთი, უშნო არასოდეს ენახა დედა, თითქოს რაღაც სიბინძურეში ამოგანგლულიყო, უსიამოდ მიგლესვოდა დაფორაჯებულ სახესა და ყელ-კისერზე მობრეცილი თავსაფრიდან გადმოყრილი თმა. ხოლო მაიორს ვერაფრით გაეყარა მკლავი მუნდირის სახელოში და, მკვდარივით გაფითრებული, ისე ცახცახებდა, თითქოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად წამომდგარა საწოლიდან და ამ ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად ჩაცმასაც გადაჩვეულაო.

— აბა, შენ რა გეგონა! — დაუყვირა დედამ.

მართლაც, რა ეგონა გიორგას? ან თუ ეგონა, რატომ ეგონა, მის ჭკუაზე რომ ივლიდა ცხოვრება? ან რა ცხოვრების ბრალი იყო. მხოლოდ და მხოლოდ გულუბრყვილო ოცნებებითა და უწმინდესი ხილვებით დასახლებულად თუ წარმოედგინა იგი გიორგას, როგორც ოქროს გალია — ჭრელი და ხმატკბილი ჩიტებით? თავის თავს დააბრალოს, ასე თუ ეგონა, რადგან ცხოვრება გაწბილებული ოცნებაა, საწინააღმდეგოდ ამხდარი სიზმარია, ლამაზი, ყურის მაამებელი, გულის გამკეთებელი სიტყვა კი არაა, არამედ ამ ლამაზი სიტყვებიდან დაბადებული, მკაცრი და დაუნდობელი სიმართლე. გარდა ამისა, ცხოვრებას იმდენი ძალაცა აქვს, თვალის დახამხამებაში რომ გადაარწმუნოს მისი გაცნობის მოწადინე ბავშვი, ძირფესვიანად გარდაქმნას და გა-

იყოლიოს თან, სულ ახალი და ახალი, თანდათანობით მზარდი ტკივილისა და გაწბილების განსაცდელად.

მერე მაიორმა გიორგას დედა ცოლად შეირთო და გიორგას თითქოს არაფერი უნდა ჰქონოდა მაიორთან სასაყვედურო, რაკი მაიორს თვითონ ზოსიმე მღვდელი აძლევდა დედამისთან დაწოლის უფლებას, მაგრამ გიორგას სიხარულის მსგავსი გრძნობაც არ გასჩენია, რადგან ამ მოულოდნელმა ქორწინებამაც დააეჭვა და უარესად გააფაციცა გაწბილებას უკვე მიჩვეული მისი არსება. ვერც დედის თვალებში მიაკვლია სიხარულისა თუ ბედნიერების ნატამალს, დედამისს ისეთი სახე ედო, თითქოს აპამპულებდნენ, თითქოს ხალხის გასაცინებლად გადაეცვათ მისთვის თეთრი კაბა და ხალხის გასაცინებლად დაედგათ თავზე ყვავილების გვირგვინი. ეკლესიისკენ მიმავალ გიორგას ფეხები უკან რჩებოდა, ყურები უბზუოდა და წარამარა ვიღაც შავტუხა, მუხლებგადატყაული გოგო ებლანდებოდა თვალებში, გაჩხინკული, ფეხშიშველა გოგო კალიასავით დახტოდა გიორგას გარშემო და როგორც კი გიორგას მზერას დაიჭერდა, მაშინვე ენას გამოუყოფდა ხოლმე.

გიორგა იმ გოგოს ვერ ცნობდა, საერთოდ ვერავის ვერ ცნობდა, თითქოს უცხო სოფელში ჩამოეყვანათ, ყველაფერი გაუცხოებულიყო ირგვლივ და ეს ალბათ იმის ბრალიც იყო, არასოდეს რომ არ ენახა დედა თეთრ კაბაში გამოწყობილი.

აღარც იმ დღის მერე უნახავს, მაგრამ იმდღევანდელი დედის სახეცა და ჩაცმულობაც სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში, პირმოკუმული, უმწეოდ შეშფოთებული სახე, — უსასრულო, შემაწუხებლად უსასრულო სითეთრეში ჩაკარგული, — როგორც მკვდარი ჩიტი თოვლში. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ არაფერს მოუხდენია გიორგაზე ამგვარი ძლიერი შთაბეჭდილება მთელი თავისი უფერული ცხოვრების მანძილზე. დედის ქორწილი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ გიორგა იმ დღეს პირველად დათვრა, პირველად და უკანასკნელად, რადგან იმ დღის მერე ღვინისაც ეშინოდა, როგორც მორწმუნეს ეშმაკისა, ეშინოდა მისი გამაბრიყვებელი და გამაპირუტყვებელი ძალისა და მერეც ისიც რცხვენოდა ხოლმე, როცა თავისი ერთადერთი სიმთვრალე ახსენდებოდა. არც ღვინომ დაინდო გი-

ორგა, ღვინომაც გააპამპულა, ისეთი გული ჩაუდგა უცებ, ეგონა, მთელ სათათრეთს მოერეოდა, რატომღაც ახალი მამის ქომაგადაც წარმოიდგინა თავი და სადღეგრძელოში, სხვა ათას სისულელესთან ერთად, თათრის მოშორებასაც დაჰპირდა. „შენ არხეინად იყავი, მე მოვუვლი იმ ურჩხულს, გიორგი ჩემთვის ტყუილად კი არო დაურქმევიათო“, — თქვა მაშინ გიორგამ და როცა სუფრაზე სიცილ-ხარხარმა იფეთქა, უარესად დარწმუნდა, ღირსეულად რომ იქცეოდა, არაფერი არ ეშლებოდა. იმწუთას მთელი ქვეყანა უყვარდა და მოულოდნელად თათარი რომ შემოსულიყო, იმასაც საკოცნელად მიეტანებოდა, ისევე, როგორც დედამისის ქორწილში თავშეყრილ თანასოფლელებს. „ღმერთმა ერთი მამა მიცხონოს, მეორე კი დიდხანს მიცოცხლოსო“, — გაიძახოდა კვიმატი უფროსებისაგან დარიგებული გიორგა და ვერ მიმხვდარიყო, რა ატირებდა დედამისს, როცა ირგვლივ ყველანი გახარებულნი იყვნენ, მღეროდნენ და იცინოდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ. — ჯერ ერთი, — უთხრა მეორე დღესვე მაიორმა. — შენ გიორგი კი არა ხარ, არამედ გიორგა. მეორეც ერთი, ვისი მომკვლელი ხარ, ენა რომ გაიგდე გუშინ თა ვეღარაფრით გაგაჩერეთ. შენ კი არა, იმ მართლა გიორგისაც ვერ მოუკლავს აქამდე ურჩხული. სულ კლავს და კლავს, მაგრამ რომელ ხატზე გინახავს მკვდარი ურჩხული? ან ხახა აქვს დაფჩენილი, თითქოს ცხენიანად უნდა ჩაყლაპოსო, ან კუდი აქვს აპრეხილი, თითქოს ეგაა, ცხენიანად შუაზე უნდა გააპოსო. შუბი კი აქვს ფერდში ნაძგერები, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, მოკვდება თუ არა. შენი თათრისა არ იყოს, ის ურჩხული იქამდე არ მოისვენებს, სანამ საბოლოოდ არ მოკვდება, ან სანამ მისი სიკვდილის მსურველს არ გადაყლაპავს ცხენშუბიანად. ხოდა, გიორგობას თუ იჩემებ, ან უნდა მოკლა ის შენი თათარი, ან უნდა მოეკვლევინო, ესაა შენი ვალი. ხომ არ გგონია შენს მაგივრად სხვა ჩაუვარდება პირში? ბავშვი აღარა ხარ, კაცი ღვინის სმას რომ დაიწყებს, აღარც სხვისი ხელის შემყურე უნდა იყოს. ტრაბახი ადვილია, მაგრამ ახლა იმაზედაც იფიქრე, როგორ შეასრულო სიტყვა, ხელმეორედ რომ არ დააქვრივო დედაშენი და ჩემი ვალიდანაც ამოხვიდე. ამის შემდეგ გიორგა ხშირად ფიქრობდა სიმთვრალეში წამოყრანტალებულ სიტყვაზე, თუმცა წესიერად აღარც-კი ახსოვდა, მართლა დაექადნა თუ არა თათრის მოკვლა. ბავშვები საერთოდ

ბევრს ფიქრობენ სიკვდილზე, თანაც, დიდებისგან განსხვავებით, არა მარტო აშინებთ საკუთარი სიკვდილის წარმოდგენა, არამედ, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, სიამოვნებთ კიდევაც. უფრო სწორედ, საკუთარი სიკვდილის წარმოდგენა კი არ სიამოვნებთ, მათი სიკვდილით შეძრწუნებული და გულმოკლული ახლობლებისა. ახლობლების უცილობელ სიყვარულში დარწმუნება ანიჭებთ ბავშვებს ენით უთქმელ, უდიდეს სიამოვნებას, ისინი განუწყვეტლივ მოითხოვენ ამ სიყვარულის დადასტურებას, ყველგან და ყველაფერში ამ სიყვარულის აღმოჩენას ცდილობენ და იმდენად ძლიერია მათი სურვილი და მოთხოვნილება, ძალაუნებურად, თითქმის შეუგნებლადაც იწყებენ სიკვდილზე.

ფიქრს, რადგან სიკვდილი ყველაფერზე უკეთესად გამოკვეთს და გამოაჩენს ხოლმე გრძნობას, რომელსაც ისინი დაეძებენ. და რომელიც სიკვდილის გამოჩენამდე სხვა წვრილმანსა და უმნიშვნელო გრძნობებშია გათქვეფილი. ასე რომ, გიორგას მაიორამდეც ეფიქრა სიკვდილზე, ბევრჯერ გაჰპარვია სული ცრემლნარევ ნეტარებაში, მის ცხედარზე დამხობილი დედის წარმოდგენისას რომელიც იმ წუთას მეორე ოთახში იყო თათართან ერთად და, ადვილი შესაძლებელია, არც ახსოვდა გიორგა. გიორგას კი სწორედ იმ წუთას უნდოდა, მასთან ყოფილიყო დედა, და რაკი ეს შეუძლებლად მიაჩნდა, ისიც უნებურად დაეხეტებოდა წარმოდგენილი სიკვდილის ცივსა და პირქუშ სამეფოში, ასე, საკუთარი სიკვდილით რომ დაესაჯა დედა უყურადღებობისათვის, დაუმსახურებელი და აუტანელი სიმარტოვისათვის, უსამართლობისათვის, რადგან დარწმუნებული იყო, არავის არ უყვარდა და არავის არ სჭირდებოდა დედამისი ისე, როგორც მას. მაიორის ნათქვამმა სხვა ელფერი შესძინა სიკვდილზე ფიქრს და სხვა მხრივაც აუცილებელი გახადა გიორგასთვის. როგორც მაიორის ნათქვამიდან გამოდიოდა, მის სიკვდილს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე მის სიცოცხლეს. სიკვდილით სიკეთის მოტანა შეეძლო! მაიორი ხელს აიღებდა მათ ლანძღვა-გინებაზე, რადგან თათრის შიში აღარ ექნებოდა და, რაც მთავარია, დედამისი აღარ დაქვრივდებოდა. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, ასე იყო გიორგას საქმეც. თათარი თაფლსა და ერბოს უზიდავდა, მაგრამ სანაც-

ვლოდ დედას ართმევდა, მაიორმა კი დედაც წაართვა და სიცოცხლეც მოსთხოვა მსხვერპლად.

ურუქელები კი იძახდნენ, ყველაზე მოგებული გიორგა გამოვიდაო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ასე არ იყო, და ასე რომ იყო, ამას ყველაზე უკეთ ისევ გიორგა გრძნობდა, გიორგა და ვიღაც პელო ძალო, კალიასავით მოუსვენარი გოგო რომ ახსენებდა წარამარა გიორგას დედის ქორწილის დღეს.

გიორგას აღარც ახსოვდა ის გოგო, სულ ამოუვარდა თავიდან კალიასავით მოხტუნავე გოგოს სახება, მაგრამ მაიორის ნათქვამმა იმ გოგოს ნალაპარაკევიც გაახსენა რატომღაც, ნალაპარაკევი კი არა, აბდაუბდა, ისეთივე აბდაუბდა, როგორიც ის დღე იყო საერთოდ, დედის ქორწინების დღე. გიორგას არ უნახავს, როგორ გადასწერეს დედამისს ჯვარი, ბოლომდე არც იყო ყვავილების გვირგვინით თავშემკული და თეთრ კაბაში გამოწყობილი, როგორც კუდიანი კეკელა მოირთვებოდა ხოლმე ათასში ერთხელ და მთელ ურუქს ჩამოუვლიდა:

ქორწილი მაქვს მეწვიეთო. გიორგას, შერცხვა თუ შეეშინდა, ეკლესიაში ფეხი ვერ შეადგმევინეს, ბევრი ექაჩეს და ეჯიკავეს აქეთ-იქიდან, მაგრამ ეკლესიის ხორკლიან კედელს ფრჩხილებით ებღაუჭებოდა და, მღელვარებისაგან გაოფლილი და გამკვრივებული, ხელიდან უსხლტებოდა მოძალადეებს, ღიმილშეკავებულნი ყასიდად, გასაბრიყვებლად რომ ტუქსავდნენ: როგორ იქცევი, შედი, მხარი დაუმშვენე დედასაო, მაგრამ გიორგა გრძნობდა, სასიკეთოდ რომ არ ეპატიჟებოდნენ ეკლესიაში, მისი ადგილი რომ არ იყო იქ, ყველას რომ გააცინებდა მისი იქ გამოჩენა და მართლაც სასაცილო იქნებოდა და მეტი არაფერი, ეკლესიაში ათი წლის შვილით მოსული პატარძალი. ამაში იმ ფეხშიშველა და მუგუზალივით შავტუხა გოგომაც დაარწმუნა, წარამარა რომ უყოფდა ენას და ხტუნვა-ხტუნვით მოსდევდა, გახარებული კი არა, რაღაცნაირად ატაცებული, თითქოს გიორგას კი არ ხედავდა, არამედ გიორგას გულს: დამფრთხალსა და დაბნეულს, დასევდიანებულსა და გაღიზიანებულს; თითქოს გიორგა ფარღალალა გალია იყო, რომელშიაც რომელიღაც დედამკვდარი ცხოველი დაემწყვდიათ და სწორედ იმ ცხოველის ხილვა ართობდა და ახტუნავებდა გოგოს. მერე

გიორგას თავი გაანებეს და ისიც მარტო“ დარჩა, ეკლესიის ხორკლიან კედელს მიხუტებული, მზის გულზე გამოსული ჯოჯოსავით. შორიდან გეგონებოდათ, კედელში აპირებს შეძრომასო. ეკლესიიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მზე სახეში აცხუნებდა. ეკლესიის ეზოში შაშვმა გაირბინა, რაღაცას გამეტებით დაჭკრა ნისკარტი, ისე რომ, ერთი წამითაც არ მოუშორებია გიორგასთვის ბრჭყვიალა, გაშეშებული თვალი, და ჭახჭახით წამოფრინდა, მაგრამ გიორგამ ვერ იქნა და ვერ დაიმშვიდა გული, ვერ მოიშორა ავი წინათგრძნობა, თითქოს რაღაცა უნდა მომხდარიყო, ანდა უკვე ხდებოდა, — საშინელი, თავზარდამცემი, დამაკნინებელი.

— პელო ძალომ თქვა, — უთხრა საიდანღაც გამომტყვრალმა გოგომ. — ახლა შინიდანაც მალე გამოაპანღურებენო.

მამინაცვლის ყოლას, ობლობა ერჩიაო.

— ვისა? — ვითომ ვერ მიუხვდა გიორგა, თუმცა იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული. როგორ გაუხურდა სახე, მზისგან კი, არა, სირცხვილისგან.

— ვისაო და, შენისთანა ვირსაო. — მიახალა გოგომ და გვერდზე გახტა, თითქოს გიორგას მოქნეული ხელი აიცდინა, თუმცა გიორგა არც განძრეულა, ისევ ისე იდგა, ეკლესიის კედელს მიხუტებული. გოგოსთვის ვერ შეეხედა სახეში, მხოლოდ მის გადატყაულ მუხლებსა და ჭუჭყიან წვივებს ხედავდა.

— ენა დაიმოკლე, თორემ... — თქვა გიორგამ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცა რომ ეთქვა.

— თორემ რა�ა? — ტუჩი აიბზუა გოგომ.

— თავი გამანებე — ხმა აუთრთოლდა გიორგას.

— ჰი, ჰი... — გაიცინა გოგომ. მაგრამ გიორგამ იგრძნო, გოგოს რომ შეეცოდა და ნაძალადევად იცინოდა, უცებ გამომტყვრალი სიბრალული რომ მიეჩქმალა, უცებვე მოეშორებინა

— პელო ძალომ თქვა, — გააგრძელა ცოტა ხნის მერე — პურსაც დაამადლიან და ადგილსაცო.

— ვერ სცოდნია შენს პელო ძალოს, — აჰყვა გოგოს.

გიორგა — მაიორი ჩემი მეგობარია. ჩემი გულისთვის გაუხვრიტა თათარს ხელი.

ჰი, ჰი... — ისევ გაიცინა გოგომ. — პელო ძალომ თქვა... — მოულოდნელად გაჩუმდა, შეიძლება მართლა შეეშინდა გიორგასი, რადგან გიორგა უცებ მოშორდა კედელს და დაძაბული, დაძაბულობისაგან ერთიანად აკანკალებული შეაცქერდა სახეში — დათასთან გახვალ? —ჰკითხა გოგომ.

გიორგასაც ეს უნდოდა, სიტყვის ბანზე აგორება, რადგან დარწმუნებული იყო, გოგოს რომ გაეგრძელებინა რაღაც საშინელებას იტყოდა მაიორზე. რისი გაგებაც სრულებითაც არ უნდოდა გიორგას და გოგოსთვისაც რომ დაევიწყებინა ვითომ ძალიან აინტერესებდა დათას ვინაობა, მაშინვე ჰკითხა: აბა, დათაო.

— თავი რომ გექცეს ქვათაო, — მაშინვე უპასუხა გოგომაც. მერე ეკლესიიდან ხალხი გამოვიდა და გიორგას ის გოგოც დაავიწყდა. და მისი აბდაუბდა ლაპარაკიც. ხოლო როცა გოგო ისევ გაახსენდა, მისი ნალაპარაკევი აბდაუბდად აღარ მოსჩვენებია, გოგო კი არ აბრაზებდა, კი არ დასცინოდა, მომავლის მაუწყებლად მოვლენოდა, მძიმე, არასასიამოვნო მოვალეობა ეკისრა, თვითონაც გრძნობდა ამას და მიკიბულ-მოკიბულად იმიტომ ელაპარაკებოდა, ზოგავდა, იცოდებდა, ბავშვური ეშმაკობით ცდილობდა სათქმელის შენიღბვასა და შერბილებას, სხვა ყოვლად უაზრო და უმნიშვნელო სიტყვებით აწყალებდა, ანელებდა, ნაკლებად საშინელი რომ მოსჩვენებოდა გიორგას. ძნელი იყო, მაგრამ გოგო თავს ვალდებულად თვლიდა, მაინც ეთქვა გიორგასთვის როგორმე გაეგებინებინა, რას უმზადებდა ბედი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მისთვის დედამისისა და მაიორის ქორწინებას, ის გოგო ჩიტივით კეთილი და გულწრფელი იყო, მაგრამ გიორგა მაშინ ვერ ხვდებოდა ამდენს, უბრალოდ საამისოდ არ ეცალა, ანდა, სხვისგან არ უნდოდა მო-

ესმინა ის, რისი შიშიც ჰქონდა. სანამ სხვა სხვაც დაუდასტურებდა, კიდევ არსებობდა იმედი, კიდევ შეეძლო ეფიქრა, რომ ეჩვენებოდა, ყველაფერი მისივე სიმხდალისა და ეჭვიანობის ბრალი რომ იყო, უსაფუძვლო და წარმავალი ეჭვიანობის შედეგი. მაგრამ მაიორმა სულის მოთქმაც არ აცალა, ღვინოც არ ჰქონდა წესიერად გამონელებული, პირში რომ მიახალა: ან უნდა მოკლა, ან უნდა მოეკვლევინო თათარსო, შენი გულისთვის აღარავინ ჩაიგდებს თავს განსაცდელში და პურსაც მაგიტომ გაჭმევო. ადრე კი, სანამ ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, სანამ დედამისის ქმარი და მისი მამა გახდებოდა, ცხენით დაასეირნებდა, თოფის სროლას ასწავლიდა და თოფის ჩუქებასაც ჰპირდებოდა, რადგან თურმე, გუნებაში მამამისის ადგილის დაკავებას აპირებდა, მამის მაგივრობა მკვდარი მამის მაგივრობას, რომლის ადგილსაც სხვა ვერავინ დაიკავებს, როგორც არ უნდა მოინდომოს, რადგან რაც, კვდება, განუმეორებელია, მარადიული. გიორგა ამასაც დედის ქორწინების მერე მიხვდა და პირველად იგრძნო მამა, მტკივნეულად, სულისშემხუთავი გაოცებით იგრძნო მამის არსებობა, დედის მოყოლილ ზღაპრებში კი არა, საკუთარ არსებაში, სისხლით, ხორცითა და ძვლებით იგრძნო, ხელმეორედ როგორ იბადებოდა მის არსებაში მამა, მის პატარა სხეულში როგორ იშლებოდა, იმართებოდა, ინაკვთებოდა მამის ვეება სხეული. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სახსრები აწყდებოდა, ხორცი ეხეოდა, მაგრამ ჯიუტად უყუჩდებოდა ტკივილს, რათა არ შეფერხებულიყო ხელმეორედ დაბადება თუ ხანგრძლივი ძილისგან გამოფხიზლება კაცისა, რომელსაც მხოლოდ შვილის სულშიღა შეუძლია იარსებოს, რადგან ქვეყნისთვის უკვე მომკვდარა, თავსაც მოკვდომია და ეს ერთადერთი ადგილი სადაც მკვდრად არ ითვლება, რადგან კიდევ საჭიროა, ისევ იღწვის და ქმნის, როგორც აბრეშუმის ჭია თავისსავე მოქსოვილ პარკში, და საბოლოოდ, სამუდამოდ მაშინ მოკვდება, როცა ამ პარკიდან ამოვა, მაგრამ ბუნებისაგან დაკისრებული მოვალეობის ბრმად შემსრულებელ ჭიად კი არ დარჩება, არამედ პეპლად იქცევა და ერთს მაინც შეიფრთხიალებს ჰაერში, სანამ, ახლა უკვე ჭეშმარიტად, დაიღუპება და გაქრება. ერთადერთი, რაც დაკარგულის საფასურად შეიძინა გიორგამ, მკვდარი მამის ცხოველი შეგრძნება იყო. ესეც რაღაცას ნიშნავდა, რაღაცას კი არა — ბევრს, ძალიან ბევრს, რომ იტყვიან,

სულზე მისწრება იყო სწორედ, რადგან ეს უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი შეგრძნება მის გაჩენამდე გარდაცვლილი კაცისა, იმ ძნელად წარმოსადგენი სიმშვიდით ავსებდა, როგორიც განწირულობის ჟამს ერთ ბედქვეშ მყოფ ხალხს ეუფლება ხოლმე. დიახ, ისა და მამამისი ერთ ბედქვეშ იყვნენ და წარსულისა და მომავლის, ღმერთისა და კაცის მსგავსად, ერთმანეთში და ერთმანეთისთვის არსებობდნენ.

დაახლოებით ასე ჰქონდა გიორგას მაიორთან მეგობრობაც წარმოდგენილი, ამას მოითხოვდა მისგან ბრმად და შეუგნებლად, რადგან ბავშვი იყო და არ იცოდა, რომ მეგობრობის საფუძველი სურვილების დამთხვევა კი არ არის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება მოხდეს, არამედ საერთო ბედი, რაც არ უნდა მწარე და დამაკნინებელი იყოს იგი. მკვდარ მამასთან დამეგობრებამ უპირველეს ყოვლისა მაიორს დაუპირისპირა გიორგა და ერთ მშვენიერ დღეს სრულიად უშფოთველად იგრძნო, მაიორი რომ სძულდა, მაგრამ ეს უშხამო, უბოროტო და ამიტომაც შედარებით იოლად ასატანი სიძულვილი იყო, ჩვეულებისგან ძნელად გასარჩევი, როგორც სიძულვილი რომელიმე კერძისა, ხილისა ან ბოსტნეულისა, აზრადაც რომ არ მოგივა, საერთოდ მოსპო იგი, რაკი შენ შეგჯავრებია, რაკი შენ არ მოგწონს მისი გემო, სუნი ანდა ფერი. მაგრამ ამ სიძულვილმა იმდენი მაინც ქნა, რომ გიორგას მაიორთან ერთად, ერთ ჭერქვეშ არასოდეს სძინებია. ის სიკვდილამდე იმ გომურში ცხოვრობდა, ცხენის ნაყიდი სახედრის დასაბინავებლად რომ ჩაადგმევინა მაიორმა ანატოლიელ ბერძნებს ეზოს ბოლოში. იქამდე გიორგას მამისეული სახლი დაშალეს და მასალად მიახმარეს ახალს, ქალაქური ყაიდის ორსართულიან სახლს, მაკაბელების ნასახლარზე რომ წამოჭიმეს იმავე ანატოლიელმა ბერძნებმა, რომლებიც ახტალაში დაიქირავა მაიორმა, „იაფად და პირიანად“, ხოლო სანამ მშენებლობა დამთავრდებოდა, ყველანი, ბოშებივით, ცის ქვეშ ცხოვრობდნენ, სახლის მშენებლებიცა და იმ სახლის მომავალი ბინადრებიც.

ურუქში რომ ჩამოვიდა, საფეთქლები უკვე თეთრად ჰქონდა შეფიფქული. იცოდა, სამშობლოში რომ ბრუნდებოდა, მაგრამ იმდენი ხნის წამოსული იყო იქიდან, თანაც ისეთ ასაკში, ეგონა — შორეულსა და უცხო ქვეყანაში აგზავნიდნენ იძულებით. სრულებითაც არაა გასაკვირი, ასე რომ ეგონა, ჯერ ერთი — სამშობლოში ახლობელი არავინ ეგულებოდა, ცუდის მეტი არაფერი ახსოვდა მისგან, ასე რომ, არც არასოდეს მონატრებია იგი, მეორეც ერთი — მართლა იძულებული იყო, ისევ შებრუნებულიყო წარსულში, რომელსაც ამდენი ხანი შეგნებულად გაურბოდა და ივიწყებდა. განა იძულება არაა, როცა კაცს არჩევის უფლება აღარა აქვს და იმას კი არ აკეთებს, რაც უნდა, არამედ იმას — რაზედაც ხელი მიუწვდება?

ესეც მისი დაწყევლილი ბედის წყალობა გახლდათ, ბედს უნდოდა ასე, ბედმა მოუწყო, რომ მემკვიდრეობით მიღებული სახლი მაინცდამაინც ცხრა მთის იქით ყოფილიყო გადაკარგული, ყოფილ სამშობლოში, თუმცა სამშობლო არასოდეს არ ყოფილა მისთვის თავშესაფარზე დიდი მცნება, არც დაკარგვამდე და არც დაბრუნების შემდეგ.

ხუთი წლისა იყო, მარტო რომ დარჩა ამ ქვეყანაზე. ისიც კი არ ახსოვდა, როგორ გადარჩა თვითონ, მაგრამ რაც უკანასკნელად დაინახა მშობლიურ სახლში, სამარადისოდ აღებეჭდა სულსა და გონებაში: კედელთან ჩაცუცქული, ლოყითა და ხელისგულებით კედელს მიხუტებული დედა, თითქოს ეს წუთია, შემთხვევით შემოფრენილი და გზამოჭრილი ჩიტივით, კედელზე ჩამოხოხიალებულაო; სისხლის გუბეში მოქანავე აკვანი და აწეწილი არტახებიდან გამოყოფილი ხელი უმცროსი დისა; კარში პირქვე ჩაწოლილი მამა და მის ზურგზე ტალახიანი ტერფის ანაბეჭდი: თვალებდაჭყეტილი, მაგიდის ფეხს ჩაფრენილი ბებია, თითქოს მაგიდას ვერ შელევიაო, და მოულოდნელი, შემაწუხებელი სითეთრე კაბის ქვეშ დაბერებული ხორცისა იმ დღიდან სულისშემხუთავი, გაუთავებელი ქროლვა დაამახსოვრდა კიდევ და დაძრული, მისკენ გამოქანებული ქვაფენილი, მაგრამ ვერაფრით გაეხსენებინა, თვითონ გადმოხტა აივნიდან, თუ იმათ გადმოაგდეს, იმათ, მოულოდნელად, ფაცაფუცით, ერ-

თმანეთის ჯიკაობით რომ შემოცვივდნენ ოთახში. დიდხანს იხეტიალა სოფელ-სოფელ და თუმცა ბევრგან შეეძლო სამუდამოდ დარჩენილიყო, სამუდამოდ შეხიზვნოდა რომელიმე კეთილ ოჯახს, ერთ ადგილას გული მაინც არ უჩერდებოდა, არც ერთ სახლს არ ენდობოდა, რაკი საკუთარმაც არ დაინდო, და როგორც კი თავს მიდებდა, როგორც კი თვალს მილულავდა ნაწყალობევ სასთუმალზე, მაშინვე დახოცილი თავისიანები წამოიშლებოდნენ ხოლმე უცხო, მიუჩვეველი თავშესაფრის კუთხეებიდან. „ბიჭს უშველეთ, ბიჭს უშველეთო“, — ესმოდა დედის შემზარავად შეცვლილი ხმა და ისიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა კიდევ ერთი თავშესაფრიდან, რადგან აღარ სჯეროდა, მისი დაცვა თუ შეეძლო ვინმეს, თუკი ის საბედისწერო დღე განმეორდებოდა, ის საბედისწერო დღე, რომელიც გაუნელებელი შიშის, საზარელი ჩვენებებისა და ახალი უბედურებების დაულეველ საბადოდ ქცეულიყო მისთვის. დრო გადიოდა, ისიც შეუმჩნევლად იზრდებოდა უთავბოლო ხეტიალში, მაგრამ სიზმარში ყოველთვის ისევ ხუთი წლის ბიჭი იყო და ისევ სუნთქვაშეკრული მიექანებოდა ქვაფენილისკენ, როგორც ტოტს მომწყდარი ნაყოფი, რომელსაც დაცემის მეტი აღარაფერი შეუძლია.

შიშითა და უნდობლობით დასნეულებული, დარწმუნებული იყო, მისი ოჯახის ამომწყვეტი ხალხი, ფაცაფუცით, ერთმანეთის ჯიკაობით, კვალში მოჰყვებოდა და იქამდე არ მოისვენებდა, სანამ მასაც არ მოუღებდა ბოლოს. ამ რწმენას ისიც უმტკიცებდა, თითქოს მის ჯიბრზე არეული ქვეყანა, დაწყნარებას რომ არ აპირებდა. ალალბედზე მოხეტიალეს სახრჩობელაზე აკონწიალებული გვამიც უნახავს და გზისპირას დაგდებულიც, სახეზე ტოტებწაფარებული. მაგრამ არ იცოდა, ვინ ვის კლავდა, რატომ, რისი გულისთვის, და სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, მისთვისაც რომ გადაეცვათ კისერზე ყულფი, ანდა ხიშტი ეძგერებინათ მუცელში. უკვე ბევრის მნახველი იყო, მაგრამ იმის გაგება მაინც არ შეეძლო, რაც მის სამშობლოში ხდებოდა. ხალხი რომელიც წარამარა იცვლებოდა უსასრულო გზაზე და მაინც ყოველთვის ერთნაირი იყო, ან სიმართლეს უმალავდა, ანდა თავს არ უყადრებდა. პურის ყუას თუ მიუგდებდნენ, ძაღლის ფიჩვებზე თუ დააწვენდნენ და სრულებითაც არ ნაღვლობ-

დნენ ალბათ, ის ფიჩვები დილით ცარიელი რომ ხვდებოდათ, ხოლო პურის ყუა — ჭუჭყიანი ცრემლით დამბალი და აქა-იქ გამოციცქნილი, თითქოს სიბნელეში თაგვი მისდგომია, მაგრამ რაღაცას შეუშინებია და მიუტოვებიაო, მას კი ყველაფერი აშინებდა: აღა მაჰმად ხანიც, რომელსაც ყველგან წყევლიდნენ, და თეთრი ჯარიც, რომელსაც ყველგან მოუთმენლად ელოდებოდნენ, თუმცა წესიერად არც იცოდნენ, საიდან უნდა გამოჩენილიყო, ანდა, როდის. არც მან იცოდა, რომ იმ საბედისწერო დღეს, როცა აივნიდან გადმომხტარი თუ გადმოვარდნილი ქვაფენილზე დაენარცხა, მისი სამშობლოც დაცემულიყო, ისე დაცემულიყო, კიდევ საკითხავი იყო, შეძლებდა თუ ვერა ფეხზე წამოდგომას, ეს მან არ იცოდა და გინდაც სცოდნოდა, გულთან ვერ მიიტანდა, ვერც შეიცოდებდა, რადგან იმდენად საცოდავი იყო თვითონ, თავისთავად დაჰკარგვოდა სხვათა შეცოდების უნარი ერთი რამე უნდოდა მხოლოდ:

საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა, სამუდამოდ შიშნაჭამი, სიკვდილის დანასუნთქი სიცოცხლის გადარჩენა და ამ სიცოცხლეს ვერავის ანაცვალებდა, ვერც სამშობლოს, ყველაზე ნაკლებად სამშობლოს, რადგან სამშობლომაც ვერ დაიცვა იგი, როცა უმწეო ბავშვი იყო და როცა ყველაფერზე მეტად დაცვა სჭირდებოდა. თუ გადარჩა, იმ სისხლის წყალობით გადარჩა, მათ ოჯახში რომ დაიღვარა, ერთბაშად, ერთიანად, როგორც ხელში ჩამტყდარი ჭიქიდან წყალი: იმ სისხლიდან დაიბადა ხელმეორედ, რომელიც ხატებიდან მშვიდად გამომზირალ წმინდანებს მიეშხეფა სახეში და რომელშიაც მისი უმცროსი დის აკვანი ირწეოდა; იმ სისხლზე დაუსხლტათ ფეხი მკვლელებს და იმიტომ ვერ მისწვდნენ მასაც.

ასე რომ, არავისგან არ იყო იგი დავალებული თავისი სიცოცხლისთვის, გარდა იმ უმწეო და გულწრფელად მოსიყვარულე ხალხისა, რომლებიც გადაეფარნენ, წინ აღუდგნენ, საკუთარი სხეულებით შეაყოვნეს მისკენ დაძრული სიკვდილი, სანამ აივნიდან, იმ წყეული სახლის აივნიდან გადმოვარდნასა თუ გადმოხტომას მოახერხებდა საკუთარი თავისთვის უნდა ეცხოვრა მხოლოდ. რაკი აღარავინ ჰყავდა ნამდვილად მისიანი და იმ სამიოდე ლიტრა სისხლით, ძარღვებით რომ გამოეტანა განსაცდელიდან, ახლა მას ჩაესახა და გაეჩინა დედ-მამაც, და-

ცა და ბებიაც, როგორც ის ჩასახეს და გააჩინეს ოდესღაც. ამ განზრახვით ცხოვრობდა იგი და ყველაფერი საამისოდ უნდოდა, ყველაფერი, რაც გარშემო არსებობდა.

მართალია, ნაადრევად შეშინებული ბუნება და სხვის ჭკუაზე სიარულს მიუჩვეველი ცხოვრება კიდევ დიდხანს შეუშლიდა ხელს, შეაფერხებდა მისი განზრახვის აღსრულებას, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაჰკარგვია რწმენა, რომ როდისმე მასაც ექნებოდა მტკიცედ ნაგები, ამქვეყნიური ქარიშხლებისაგან საიმედოდ დაცული სახლი, სახლი კი არა, ყაზარმა, ციხე-სიმაგრე, სადაც ფეხმძიმე ხევსური დედაკაცივით განმარტოვდებოდა იგი, განუდგებოდა ცხოვრებას, რათა დასაბამი მიეცა ახალი სიცოცხლისათვის, უფრო წინდახედულისთვის, უფრო ალღოიანისთვის, ვიდრე მისი გამჩენები იყვნენ, რომლებიც განსაცდელის ჟამს, იმის ნაცვლად რომ გადაკარგულიყვნენ, სოროებში შემძვრალიყვნენ თვითონვე ეზრუნათ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ღმერთს მიენდვნენ და ხატების წინ დაჩოქილნი, ლოცვითა და გალობით შეეგებნენ ბრმასა და თავხედ სიკვდილს.

მერე ჯარს გადაეყარა, სიცხით გადახუნებულსა და მტვრით გადათეთრებულ ჯარს, და მაშინვე მიხვდა, ეს ის ჯარი რომ იყო, რომლის მოლოდინშიც ხალხს თვალი უწყალდებოდა და რომელსაც ჭკუა უნდა ესწავლებინა ვიღაც აღა მაჰმად-ხანისათვის, და, თუმცა იმ ჯარს ყველაფერი უცხო და უჩვეულო ჰქონდა, ჩაცმულობაცა და იარაღიც, გუმანით იგრძნო, უყოყმანოდ ირწმუნა, ის რომ იყო ყველაზე სანდო თავშესაფარი, მისი სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ ამ ჯარის სიახლოვეს რომ იქნებოდა საიმედოდ დაცული, მხოლოდ და მხოლოდ ამ ვეება ფურგონებსა და ზარბაზნებს შორის დააღწევდა თავს წარმოდგენილ მდევარს, სიბრაზისა და სირბილისაგან პირგამშრალ მდევარს, მაინცდამაინც მისი სისხლით რომ აპირებდა წყურვილის მოკვლას.

ჯარი გზის პირას დაბანაკებულიყო, ცეცხლის, რკინისა და ოფლის სუნით შემოსაზღვრულიყო და კოცონებთან დანაწილებულიყო. არც ასეთი ხალხი ენახა, არც ასეთი ცხენები. ჩალისფერი, ბირკით გადაპენტილი ფაფარი ცხენებს ლამის კოჭებამ-

დე დასთრევდათ და ისე დინჯად, ისე გამოზომილად ადგამდნენ ფეხს, თითქოს უცხო მიწას ამოწმებდნენ, არ ენდობოდნენ, დარწმუნებულნი არ იყვნენ, გაუძლებდა თუ არა მათი უზარმაზარი სხეულების სიმძიმეს. კოცონთან ჩამსხდარი, სახედაფორაჯებული, წვერმოშვებული და მკერდმოღეღილი ჯარისკაცებიც უზარმაზარები ჩანდნენ. დიდი ცხოველების გულგრილობით იყურებოდნენ ჩამოკონკილი ბავშვისაკენ, მაგრამ ძნელი სათქმელი იყო, ამჩნევდნენ თუ არა მას, მათთან შედარებით ის იმდენად პატარა იყო, შეიძლება, არც კი ხვდებოდა მათი თვალთახედვის არეში. კაცისა და ცხენის ოხშივარით დამძიმებული ნიავი, ნელა, უნდილად აფრიალებდა ფურგონზე გადაჭიმული ტილოს აშვებულ კალთას..

ჯარს პირქუში დაღლილობა და საერთო, დამამუნჯებელი სევდა დაუფლებოდა დაცალკევებას პირადულ სევდად ქცევას რომ ვერ ასწრებს დროის სიმცირის გამო და ყრუდ თითქმის სასიამოვნოდაც ბჟუის სადღაც, სულის რომელიღაც კუნჭულში, როგორც ჩექმაში გამოხარშული ფეხი.

დილით, ჯარი რომ აიშალა, ისიც აედევნა და აღარც მოშორებია, სანამ ყაფლან მაკაბელს გადაეყრებოდა. ასე ურმის დასვრეტილ ჩრდილს შეეფარება ხოლმე ძაღლი და ქაქანით მისდევს, რადგან ფეხი თუ შეანელა, ჩრდილი გადაუსწრებს და ისევ მზის გულზე აღმოჩნდება, დიდი გზა გაიარა ამ ჯართან ერთად, ბევრი რამე ნახა და ბევრი რამე ისწავლა, თუნდაც ცხენის დაბანა, ჯარისკაცური ჭურჭლის რეცხვა, თუთუნის გახვევა, ცხვირიდან ბოლის გამოშვება და სამსართულიანი, — გულიდან ბოღმის ამომტანი გინება, რითაც ჯარისკაცების აღტაცებასაც იწვევდა და ულუფასაც იმსახურებდა. მალე ჯარის განუყოფელ ნაწილად იქცა, ერთადერთი გამრთობიც იყო და ერთადერთი თანამგრძნობელიც მარად აღჭურვილისა და მარად გზაზე დამდგარი ხალხისათვის (მერე, როცა თვითონაც ჯარისკაცი გახდა და ოცდახუთი წელი აქეთ-იქით დაბრაგუნობდა, მადლიერების გრძნობით იგონებდა ამ უსახო და უსახელო მასწავლებლებს, ჯერ კიდევ ბავშვს რომ აგემეს ჯარისკაცური ცხოვრების სიმძიმეცა და სიამტკბილობაც).

ჩამოკონკილი, ფეხშიშველი მისდევდა კუდში ოფლისა და ტყვიის სუნით გაზანტებულ აღალს, მაგრამ ახლა გული საგულესა ჰქონდა, მარტო აღარ იყო, უფრო სწორედ — გამონაკლისი, რადგან ჯართან ხეტიალისას იმაშიც დარწმუნდა, ყველას ვიღაცისა რომ ეშინოდა, როგორც ჯარს ადგილობრივი მოსახლეობისა, ადგილობრივ მოსახლეობას კი — ჯარისა.

შიშს სიუცხოვე აჩენდა. აქაურ ხალხს ჯარის მეტი რა ენახა, მაგრამ ის ჯარი მოწოდებულ წყალს ხარბად, დაუეჭვებლად სვამდა, ნახევარს გავარვარებულ აბჯარზე ისხამდა, ცალი თვალი წყლის მომწოდებელ გოგოსკენა ჰქონდა, თავდახრილი, ღაწვშეფაკლული რომ იდგა, აღმა-დაღმა რომ დაუდიოდა მისი გულისთვის მებრძოლი ბიჭის სიახლოვით დაფეთებული მკერდი და ელოდებოდა, გულის ფანცქალით ელოდებოდა, როდის მოიშორებდა ის ბიჭი პირიდან კოკურას, როდის გახსნიდა სიცხისაგან დანაოჭებულ შუბლს და, მადლობის ნაცვლად, როდის ეტყოდა: გოგოვ, სიძე არ უნდა დედაშენსაო? ეს ჯარი კი სხვა იყო, ეს ჯარი იმდენად უცხო იყო, უნებურად თვალს არიდებდნენ, წყლისა და ქლიავის მიწოდებაც ვერ გაებედათ, რადგან არასოდეს ენახათ მათ ქვეყანაში სამშვიდობოდ შემოსული უცხო ჯარი და, მტერ-მოყვარის გარჩევაში ათასგზის მოტყუებულნი, ნდობას გადაჩვეულიყვნენ. ჯარისთვისაც ყველაფერი უცხო იყო აქ. არა მარტო ხალხი, არამედ ბუნებაც, ფერთა უცნაური, მოულოდნელი მონაცვლეობაცა და ეზო-შუკებში ჩაგუბებული სამარადისოდ დამკვიდრებული სურნელიც. ჯარიცა და ხალხიც ბედისწერას შეეხვედრებინა და ერთმანეთისა არაფერი გაეგებოდათ, ამიტომ არც ნდობა ჰქონდათ და ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ეს წუთია გაშველებულან, სულის მოსათქმელად და ნატკენი ხორცის ჩასაწყნარებლადაო. ჯარი ბორბლების ღრჭიალით, დოლებისა და დალურსმული ჩექმების ბრაგუნით გადიოდა სოფლებზე, რომლებსაც ნასოფლარები უფრო ეთქმოდა, ძაღლსაც ენა ჰქონდა ჩავარდნილი და მამალსაც, გეგონებოდათ, ეგაა, გადაშენებულა კაცის მოდგმაო, მაგრამ ჯარის ხმაზე გაუბედავად გამოიღებოდა ხოლმე ჭირგადავლილი ქოხის კარი და ბინდჩამდგარი ღრიჭოდან ლობიოთი პირმოთხუპნული, გაოცებული და ცნობისმოყვარე ბავშვი გამოიჭყიტებდა როგორც მშვიდობის, მშვიდობის კი არა უმწეო-

ბის ალამი. ფეხის ქარით წამოშლილი მტვერი სახლებშიც აღწევდა და მდორედ, განუკითხავად ეფინებოდა ყველაფერს; სახატესა თუ პატრონმკვდარ, კედელზე დაკიდულ იარაღს; ჭრელაჭრულა ფარდაგებსა თუ ახრიალებულ ჯამ-ჭურჭელს. სახლებს უკან შეყუჟული, შეშინებული ძაღლები საცოდავად წკავწკავებდნენ. ჯარი კი მიდიოდა, მიღრჭიალებდა, მიგრუხუნებდა, მიბრაგუნობდა და ზურგს უკან მრუდე ნაბორბლარებსა და ერთმანეთში არეულ, ერთმანეთზე დატკეპნილ ნაფეხურებს ტოვებდა, ზემოდან ბავშვის შიშველი ტერფების ანაბეჭდი რომ მოქცეოდა, ჭავლივით მკრთალი და მსუბუქი.

ჯარს მოზდოკამდე მისდია, მოზდოკში კი, არტილერიის მაიორმა, ყაფლან მაკაბელმა იშვილა, რომელმაც უარესად გაუღვივა ჯარისკაცობის სურვილი. „ჩვენს ქვეყანას ჯარი სჭირდება მხოლოდ ჯარიო“,. — ხშირ-ხშირად ეუბნებოდა ყაფლან მაკაბელი და სანამ ჯარის ასაკი შეუსრულდებოდა, თვითონ წვრთნიდა, მკაცრად, დაუნდობლად და სიყვარულით.

ყაფლან მაკაბელი უცოლოდ ჩაბერებულიყო საველე კარავში და უკვე, იმ ასაკში გახლდათ, სულიწმინდა თუ არ შეუამხანაგდებოდა, იმედიც არ უნდა ჰქონოდა მემკვიდრისა და გვარის გამგრძელებლის გაჩენისა. ობოლი ბიჭი ბედისწერის მოგზავნილად ჩათვალა, ღმერთის საჩუქარივით მიიღო, დაბანა, დააპურა და არა მარტო ადგილი მისცა მზეზე. გამოხუნებულსა და წვიმებისაგან ჩალაქავებულ კარავში, არამედ გვარიც დარწმუნებული იყო, სიკეთეს აკეთებდა, ობოლს გზაზე აყენებდა, თვითონ კი, სხვა თუ არაფერი, გამხსენებელი მაინც დარჩებოდა ამ ქვეყანაზე და მთლად არ გაიწირებოდა. ეს კი, თავისთავად უკვე რაღაცას ნიშნავდა, დავიწყების, უკვალოდ გაქრობის შიშისაგან მაინც განიმუხტებოდა ამ დაგვიანებული და ალალბედზე გადადგმული ნაბიჯით ასე არტილერისტები ზარბაზანში ჩარჩენილ ბოლო ჭურვს, მხოლოდ და მხოლოდ დაძაბული ნერვების დასაწყნარებლად დაახლიან ხოლმე უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმესა და უეცრად გამოცარიელებულ სივრცეს, როცა ბრძოლა უკვე დამთავრებულია და სხვა არაფრით არაა გამართლებული.

სროლა.

ახალი გვარი უმტკივნეულოდ მიიღო, ჯერ ერთი ნამდვილი წესიერად აღარც ახსოვდა და მაინცდამაინც არც გახსენებას ცდილობდა, მეორეც ერთი, ახალი გვარიც თავისებური თავშესაფარი იყო და ახლა უფრო გაუჭირდებოდათ მისი პოვნა და გამოცნობა მისიანების ამომხოცველ ხალხს, თუკი აქამდე ვერ შეგუებოდნენ მის დაკარგვას და ისევ კვალში მოჰყვებოდნენ, რაც ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ არც ზედმეტი სიფრთხილე აწყენდა. ახალი გვარი, სხვა სიკეთესთან ერთად, თავადობასაც ანიჭებდა და როგორც ღირსეულ მემკვიდრეს მოეთხოვება, ყოველთვის მოთმინებითა და ყურადღებით უსმენდა ხოლმე მამობილს, როცა იგი თავისი გვარის თავგადასავალს უყვებოდა.

ყაფლან მაკაბელის ბაბუამ არაჩვეულებრივი ღონისა და სიმამაცის წყალობით თავადობა მოიპოვა და ამით მაკაბელების მდიდარსა და მრავალრიცხოვან გვარს კეთილშობილებაც შესძინა. მაგრამ მოულოდნელმა აღზევებამ თუ ტახტის სიახლოვეს დგომამ თავბრუ დაახვია და იმის მერე სულ უკან-უკან წავიდა მისი საქმე. ჯერ გვარს განუდგა, აღარავინ გაიკარა სიახლოვეს, თავადობა თუ გინდათ — ხელიც გაანძრიეთ, სხვის ქეიფში: ადვილია დავლურის ჩამოვლაო. გვარი დაიქსაქსა, უცებ დაკარგა წლობით შემუშავებული ერთიანობის, ერთმანეთის გამოქომაგებისა და გატანის უნარი. არც თავადობას გახარებია ერთ ღამეში გამოჩეკილი, ერთ ღამეში გაკეთილშობილებული ყასბის შემომატება (ყაფლან მაკაბელის ბაბუას სასახლეში ყასაბი შეარქვეს, რადგან ერთ-ერთ ბრძოლაში ხმალდახმალ თორმეტი კაცი აჩეხა თურმე). სანამ ცოცხალი იყო, კიდევ არა უშავდათ, კიდევ თავადობდნენ, ხოლო მისი შვილი (ყაფლანის მამა) ისეთივე თავადი იყო, როგორ ყეენსაც თბილისში ჩამოატარებდნენ ხოლმე აქლემზე წაღმა-უკუღმა შესკუპებულს. არც მამის ძალ-ღონე ჰქონდა, მამის მონაპოვარი რომ დაეცვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სურვილი. სიკვდილი ერჩია სასახლეში გამოჩენას, თავადებში ჩადგომას და როცა სხვები, ნამდვილი თავადები, ყოჩის რქებივით დაგრეხილ ულვაშებზე ბეჭდიან თითებს ისვამდნენ, ის ზურგებს ეფარებოდა, ნეტავი არავინ შემამჩნიოს, ნეტავი არავის გავახსენდეო. მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ (ყაფლანმა) ვერ გაუძლო მამის საცოდაობის ყუ-

რებას და რუსეთს მიაშურა. მალე თავიც გამოიჩინა, როგორც გულადმა და გამჭრიახმა მეომარმა, მაიორის ჩინი დაიმსახურა და პატიოსნად ემსახურებოდა თავის ახალ ხელმწიფეს, რომელსაც სრულებითაც არ აინტერესებდა, რა ფერის სისხლი ედგა ძარღვებში მის ერთგულ ჯარისკაცს. მერე, როცა ბაგრატიონების ტახტი ურემზე დაუდეს და პეტერბურგისაკენ გაუყენეს, გაუხარდა კიდეც, რადგან იმ ტახტმა ისიც თან გაიყოლა, რის გამოც ღვარძლისა და დაცინვის მეტი არაფერი შეხვედრია. ახლა თავისუფლად შეეძლო დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც ადრე, უნდილი და საპამპულოდ გამხდარი მამის წყალობით გამოჩენისაც რცხვენოდა. მაგრამ ისე გარდაიცვალა, სამშობლომდე ვერ ჩამოაღწია, ის ჯარისკაცი იყო და საითაც გადაისროდნენ, იქ უნდა ეხვრიპა თავისი ჯარისკაცური ულუფა და ჩახუთულ კარავში გაშოტილს (ცოლის შერთვაზე არც უფიქრია) ეოცნება სამშობლოში ზარზეიმით დაბრუნებაზე, მამა-პაპის ჯავრის ამოყრაზე, სახლზე, სადაც ბავშვობა გაეტარებინა და სადაც ახლა, ალბათ, ჭოტებიღა ბუდობდნენ, რადგან დედმამა უკვე კარგა ხნის დახოცილები იქნებოდნენ, სხვა კი არავინ დაუტოვებია შინ. მერე ბედმა ობოლი ბიჭი მოუვლინა და რაც რამე ებადა, ყველაფერი მას უანდერძა სიკვდილის წინ: გვარიც, მამისეული სახლიცა და სამბოქლომიანი სკივრიც. ობოლი ბიჭი ქაიხოსრო მაკაბელად იქცა, რომელსაც მეტად უცნაური, მაგრამ მის ბედში მყოფისათვის მაინც ხელსაყრელი მოვალეობა დაეკისრა: სხვისი სახლისა თუ ნასახლარის პატრონობა და სხვისი გვარის აღდგენა.

მამობილის სიკვდილს არ დასწრებია, იმ დროს მისი ნაწილი ველად იყო გასული, მანევრებზე, და მამობილის მეგობარმა მოსწერა, ასე და ასე მოხდა, როგორც მოახერხებ, ჩამოდი მემკვიდრეობის მისაღებადო. თვითონაც არ ეგონა, ასე თუ ესიამოვნებოდა, ასე თუ გაახარებდა არსებობა სახლისა, რომელიც თვალითაც არ ენახა, ისიც არ იცოდა, რომელ მხარეს ჰქონდა კარი შებმული, სადღაც, ცხრა მთის იქით იდგა, მაგრამ მაინც მისი იყო და მხოლოდ მას ელოდებოდა. სახლის გარდა, მამობილმა, როგორც უკვე ვთქვით, რკინის სალტეებიანი, სამბოქლომიანი სკივრიც დაუტოვა, რომელშიაც თავისუფლად ეტეოდა მარტოხელა კაცისთვის აუცილებელი და მისი ახალი

პატრონისთვის თითქმის უვარგისი ნივთები (თუმცა იქიდან ზოგი რამის გამოყენება კიდევ შეიძლებოდა, თუნდაც ორი ხელი საცვლისა, ხშირი ხმარებისა და ასევე ხშირი რეცხვისაგან სული კბილით რომ ეჭირა, მაგრამ გაჭირვებული კაცი გადასაგდებად მაინც ვერ გაიმეტებდა). სკივრიც თავისთავად ქონება იყო. ხელი ეკიდებოდა, სიმძიმე ჰქონდა, გადატან-გადმოტანა სჭირდებოდა, სამ ბოქლომს ძუძუს სამი ლეკვივით დაათრევდა და, ბოლოს და ბოლოს, ჩამოჯდომაც შეიძლებოდა ზედ. ვინ იცის, სად არ ნათრევ სკივრს აქა-იქღა შემორჩენოდა ოდესღაც მოხატული და ქაღალდივით თხელი თუნუქი. სკივრის დათვალიერების შემდეგ ბევრი აღარაფერი შემატებია, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, საკუთარი თავის რწმენა რომ გასჩენოდა და უფრო ხალისიანად მოჰკიდებოდა ცხოვრებას. მარტოხელა კაცის ნაქონმა ნივთებმა, ცოტა არ იყოს, დაასევდიანა და საფიქრელად განაწყო. იჯდა თავახდილ სკივრზე, მუხლზე მწვანე ობმოდებული შანდალი ედო და ცდილობდა ჩასწვდენოდა მისთვის ბოლომდე უცხოდ დარჩენილი კაცისა და აქედან გამომდინარე, საერთოდ ცხოვრების იდუმალ არსსა და ბუნებას. ცხადია, მისი ცხონებული მამობილი მისთვის არ ინახავდა ამ სევდის აღმძვრელ ქონებას, ან საიდან უნდა სცოდნოდა, ლამის უკანასკნელ წუთას რომ გამოუჩნდებოდა მემკვიდრე, და რაკი ეს არ იცოდა, რატომ დაჰფოფინებდა, რატომ უფრთხილდებოდა თვალისჩინივით ამ დაობლებულ შანდალსა თუ მონოგრამაგადაშლილ კოვზს, როცა შეეძლო, სიცოცხლეშივე გაეყიდა, თვითონვე მოეხმარა და ვიღაც ოხრისათვის (თუნდაც ქაიხოსროსათვის) არ დაეტოვებინა. ეს აგდებდა სწორედ ქაიხოსროს საგონებელში როგორც ყველა სულით ხორცამდე ჯარისკაცი, ცოტას ისიც წაიფილოსოფოსებდა, მაგრამ სწორედ ჯარისკაცური ფილოსოფია უშლიდა ხელს, გაეგო მამობილის საქციელი. ამ ნივთებს გახვრეტილი გროშის ფასიც არ ჰქონდათ, სანამ სკივრში იყვნენ ჩაკეტილნი, უბეგამოყვითლებულ საცვლებთან ერთად, და ამით მისი მამობილი უაზრო და უსარგებლო ტვირთს იმატებდა მხოლოდ, ზედმეტად იწვალებდა თავს. თანაც ტყუილუბრალოდ, რადგან სანაცვლოდ არც გასამრჯელოს ჰპირდებოდა ვინმე და არც მადლობის თქმას.

შეიძლება, ამ უაზრო წვალებაში ხედავდა იგი თავისი არსებობის გამართლებას. უთვისტომოდ დარჩენილი სულის შვებას ანდა როდესღაც განცდილი ბედნიერების საბუთებად სჭირდებოდა, მოგონებების გასამძაფრებლად, გასამძაფრებლად კი არა, შესანარჩუნებლად, მსუბუქი, ადვილად გასაფანტი მოგონებების შესაკავებლად ეწყო სკივრში ისინი, როგორც ქარის შიშით, მაგიდაზე გაშლილ რუკებზე დააწყობენ ხოლმე რაიმე მძიმე საგნებს სათათბიროდ შეკრებილი ოფიცრები. ასე იყო თუ ისე, თავახდილ სკივრზე ჩამომჯდარმა ქაიხოსრომ უკვე იცოდა, ვერასოდეს რომ ვერ ჩაწვდებოდა და ვერასოდეს რომ ვერ განიცდიდა მკვდარი მამობილის ბედს. მისი რწმენით, ადამიანები უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის და ასეთებადაც დარჩებოდნენ ბოლომდე, რადგან არავის შეუძლია, ნახმარი კოვზივით ანდა შანდალივით, თუნდაც იმის მსგავსი განწყობილებაც გადასცეს მეორე ადამიანს, როგორიც თვითონ ეუფლებოდა იმავე კოვზისა თუ შანდლის აღებისას, ნოეს კიდობანისაგან განსხვავებით, ამ სკივრიდან ამოსულ სიცოცხლეს უკვე ყავლი ჰქონდა გასული, ნასხვისარი, ერთხელ უკვე ნაცხოვრები იყო და უკვე გამოცლოდა მთავარი წვენი და ფერ-ხორცი, მაგრამ ქაიხოსრო უპატრონოდ იყო გაზრდილი და არაფერს თაკილობდა, ამ ქვეყანაზე უფრო საიმედოდ, უფრო მყარად რომ მოეკიდა ფეხი. საამისოდ კი, ის სკივრიც ვარგოდა, რადგან მის აშმორებულ მუცელში ისიც ინახებოდა, რასაც არასოდეს არ გასდის ყავლი. მართალია, არც ისე ბევრი, სიკვდილამდე თავზე რომ გადასვლოდა ქაიხოსროს, მაგრამ არც ისე ცოტა, სულში რომ ჩაეფურთხებინა ჯამაგირის შემყურე მაიორისთვის ქაიხოსრომ, მემკვიდრეობით მიღებული სკივრის ქექვისას, რაღაც-რაღაცეები საკუთარ არსებაშიც აღმოაჩინა და ამით როდი დარჩენილა ნაკლებად კმაყოფილი. მან იგრძნო, რომ არასოდეს, არაფერზე არ იტყოდა უარს, თუკი თავისი მარადიული თანხმობით რამეს მაინც გამორჩებოდა ცხოვრებას, საკუთარი გამოცდილებით იცოდა, ადამიანის ცხოვრება მეტნაკლებად მძიმე და საშიში განსაცდელების უწყვეტი ჯაჭვი რომაა, და კაცის მთავარ ნიჭად ყოველგვარი განსაცდელიდან თავის დაძვრენის ნიჭსა თვლიდა. ამიტომაც სცემდა განსაკუთრებულ პატივს ორ ადამიანს, გრძელულვაშა ეფრეიტორს და ბიბლიურ ნოეს.

ეფრეიტორი რომ თავის ამბებს მოჰყვებოდა ხოლმე, გინდოდა თუ არ გინდოდა, უნდა გეწამა სასწაული, რადგან მართლაც სასწაული იყო კიდევ ცოცხალი რომ დადიოდა. უფრო მეტიც, ისე ჩაბერებულიყო ბრძოლებში, ერთხელაც არ გაეკაწრა ტყვიას, ხოლო როცა ყაზარმის მღვდლისგან ბიბლიური ნოეს თავგადასავალი მოისმინა, სამუდამოდ განიმსჭვალა მისადმი. უსაზღვრო შურითა და თაყვანისცემით.

ბედს უთქვამს, ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო. მაგრამ ბედი როგორ უნდა შემომჯდარიყო მის კარზე, როცა კარი არ ჰქონდა? ამიტომ, ცხოვრებას თუ აპირებდა, უპირველეს ყოვლისა, ყველაფრისთვის უნდა მიეფურთხებინა, რაც აქამდე გადახდენოდა თავს და ახალი ცხოვრება დაეწყო, როგორც ნოემ დაიწყო წარღვნის შემდეგ. აქედან უნდა გადახვეწილიყო და იმავე ნოესავით, ახალ მიწაზე (საბედნიეროდ ჰქონდა ამის საშუალება) გაეღვივებინა კერა. ამის მერე ბევრი აღარ უყოყმანია და მხარზე სკივრშედგმული, დაადგა გზას მემკვიდრეობით მიღებული სახლისაკენ, რომელიც იქამდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა მისთვის და რომელთანაც იმ ქაღალდის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა, არც იქ გატარებული ბავშვობა და არც იქ გარდაცვლილი მშობლები, მაგრამ როცა პირველად დაინახა სახურავჩაქცეული, კარ-ფანჯარა ჩამოხსნილი, ჭინჭრისა და გვიმრის ზღვაში სანახევროდ ჩაძირული შენობა, გული ისე აუჩქარდა, ისეთი სიმშვიდე დაეუფლა უცებ, საზარელი სიზმრიდან გამორკვეულ ბავშვს რომ დაეუფლება მომღიმარი დედის დანახვაზე, იმიტომ კი არა, მისი მამობილი სულ ამ სახლზე რომ ეჩიჩინებოდა, თავისი გულიდან ამის გულში რომ უნდოდა გადაენერგა ამ სახლის სიყვარული, არამედ იმიტომ რომ ის სახლი მას ეკუთვნოდა.

ამაოდ დამშვრალიყო ქაიხოსროს მამობილი, მის მიერ არაერთგზის აღწერილ სახლს არაფერი ჰქონდა საერთო ამ საცოდავ ნანგრევებთან. მაიორის მახსოვრობაში სულ სხვა სახლი წამოჭიმულიყო, ოცნებითა და სინანულით გამშვენიერებული, სადაც ყველა ოთახს თავისი განსაკუთრებული ფერი და სურნელი ჰქონდა. აქ კი — საერთო, სიძველისა და სიდამპლის ამაზრზენი სუნი გამეფებულიყო. როგორც არ უნდა მოენდომებინა,

ვერც იმ სიამოვნების განცდას მოახერხებდა — ქაიხოსრო, რომელსაც თურმე მისი მამობილი განიცდიდა ბავშვობაში, როცა დედის უჩუმრად ფეხშიშველა დარბოდა გრილსა და კრიალა ფილაქანზე. ფილაქანი დაფშხვნილიყო და უსიამოდ ხრაშუნობდა ფეხქვეშ, წითელ მტვრად და ღორღად ქცეული. ვერც წალოში ჩაწვებოდა იმ ზღაპრული ხილვების გამოსახმობად, იქ ჩამალულ მამობილს რომ ევლინებოდნენ თურმე. წალოს დამპალი ჩარჩოღა შერჩენოდა, სანახევროდ მიწით ამოვსებულიყო და მეოცნებე ბავშვის მაგივრად, ახლა ყროლის ხე დაბინავებულიყო შიგ. ამ ნანგრევებმა, მამობილის კი არა, რატომღაც საკუთარი ბავშვობა გაახსენა ქაიხოსროს, შორეული, ნაადრევად შეწყვეტილი და სისხლიანი ბავშვობა. უფრო სწორედ, ის თბილისური სახლი გაახსენა, სამუდამოდ დავიწყებული რომ ეგონა, მთელი სიცხადით წამოიმართა უცებ მაკაბელების ნასახლარზე ორსართულიანი, ქვის კიბიანი და მძიმე დარაბებიანი სახლი, ქალის მკერდივით ლამაზი აივნით მოპირდაპირე სახლს რომ ებჯინებოდა ლამის, როგორც მიჯნური მიჯნურს. ქაიხოსრომ იმ აივანზე ხუთი წლის ბიჭიც დაინახა, რიკულებს შორის ცხვირგაყოფილი, თვალებით რომ ჭამდა ვერაგულად გატრუნულ ქალაქს. ხვლიკისფერი სახურავების ბურანიდან თავდაღწეული, თეთრი ნისლივით წამოზლაზნილი ტაძრებიც დაინახა; აღმართში, ფერშალივით, თავის კანტურით მომავალი სახედარიც; ხიდის მოაჯირზე შეფრენილი მამალიც და სილისფერი, გულჩათხრობილი მდინარეც. მაგრამ ეს წამიერი მოჩვენება იყო, წამიერი თავდავიწყება. ქაიხოსროს სად ჰქონდა დასაკარგი დრო, ჯერ დასამკვიდრებელი იყო, დასაბინავებელი.

მაკაბელების ნამოსახლარზე სიცოცხლე მთელი ძალით ფეთქავდა. ბარაქიანად, ლაღად, თავისუფლად ამოეხეთქა მიწიდან შამბნარს, ათასნაირი მწერისა და ქვეწარმავლის საბუდრად ქცეულიყო, ჭერჩამოქცეულ სახლშიც შეეღწია, წვიმებისგან დარბილებულ, დანესტიანებულ იატაკის ფიცარზეც ამოეყარა, კედლის ბზარებშიც შეეფრქვია თავისი შლეგი, ყველაფრის ამტანი თესლი, გადაპენტილიყო ობობების გამხმარი, ფშუტე გვამებითა და აბლაბუდის ბრჭყვიალა ნაკუწებით, განუწყვეტლივ მრავლდებოდა, თითქოს გრძნობდა, მხოლოდ და მხოლოდ სიმრავლეში რომ იყო მისი ძალა, მაგრამ ის უვარგისი

სიცოცხლე იყო, ხელისმშემშლელიცა და სახიფათოც. ქაიხოსრო პირველსავე დღეს გველს გადააწყდა და ლამის ხელი მოჰკიდა, ბალახის მოსაგლეჯად დახრილმა, გველი მზის გულზე იწვა და, ველური კამით გამძღარი, ცვრისხელა ცრემლს აღვარღვარებდა. ქაიხოსრომ არ იცოდა, როგორ უნდა მოეკლა გველი, სად სცემდა გული ამ გრძელსა და სლიპინა სხეულში, ზანტად, ნაწილ-ნაწილ რომ უჩინარდებოდა ბალახში. ქაიხოსრომ ჯერ ეზო მოასუფთავა, გველისგან შეშინებული, ძირფესვიანად გლეჯდა შამბს და ფეხით სრესდა მოგლეჯილი მცენარის დანატოვარი ღრმულებიდან ამოცვენილ ჭიაღუას.

ურუქელები გაოცებულნი უყურებდნენ ხეზე მიკიდულ მუნდირსაც, წელზევით შიშველ კაცსაც, საველე კარავსაც, რომელიც უკვე მოტიტვლებულ მიწაზე გაემართა ქაიხოსროს, და თეძოებაპრიალებულ ცხენსაც, დაობებულ შანდლებსა და მონოგრამაგადაშლილ კოვზებში რომ გაუცვალა ვიღაც ოსმა დარიალის ხეობაში. ცხენს მწვანე დორბლი ჩამოსწუწვოდა ლაშებზე და ყბების გაუჩერებლად ეხმარებოდა პატრონს ბალახბულახის მოსპობაში. ეზომ რომ თვალში გამოიხედა, ცაცხვის ხეების ძირას, თითქმის უკვე გადაშლილი, მიწის პირს გასწორებული საფლავის ბორცვი გამოჩნდა და ამან უფრო შეაძრწუნა ქაიხოსრო, ვიდრე გველმა, ცრემლის ღვარღვარით რომ შეეგება პირველსავე დღეს, ვერაგი და მოღალატე ცოლივით.

— ეგ ყაფლანის დაა, — უთხრა ზოსიმე მღვდელმა ქაიხოსროს. — ჯერ ეგ გაჩნდა და მერე ყაფლანი.

ზოსიმე მღვდელს ჭროღა, ცოცხალი თვალები ჰქონდა, შიგნიდან განათებული, გეგონებოდათ, განუწყვეტლივ იღიმებაო, შავი ანაფორის მხრები ქერტლით გადაჰპენტვოდა.

— ყაფლანი სულ დაიკარგა. მშობლები ეკლესიის ეზოში მარხია. ეგ უბედურიღა შემორჩა აქაურობას, ფუძის ანგელოზივით. — გააგრძელა თვითონვე, რაკი ქაიხოსრო თვალგაშტერებული დასცქეროდა საფლავს.

ქაიხოსრო ზოსიმე მღვდლის ნათქვამმა შეაკრთო და ახლა მღვდელს შეაჩერდა სახეში. მღვდელმა გაუღიმა, თითქოს შეშ-

ფოთების მიზეზს მიუხვდა და გააგრძელა: ძვალიც აღარ დარჩებოდა, ალბათ. ორი თვისა მომკვდარა, ღაჟღაჟს მოუკლავს.

ყაფლან მაკაბელს არასოდეს არ უხსენებია და, არაფერი იცოდა ქაიხოსრომ მისი არსებობისა და კიდევ ერთი მკვდარი ნათესავის აღმოჩენამ ისე დააბნია, ცოტა არ იყოს, მგონი, დააეჭვა კიდეც მღვდელი თავის ჭეშმარიტ მაკაბელობაში.

მღვდელი იღიმებოდა და ოდნავ, ძლივს შესამჩნევად აცმაცუნებდა სველსა და წითელ ტუჩებს, თითქოს დარიჩინს წუწნისო.

— ისე გიხსნით, თითქოს შორებელი იყოთ. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, სასწრაფოდ უნდა ეპასუხა, რამე უნდა ეთქვა ისეთი, რაც მღვდლის ეჭვსაც გაჰფანტავდა და მის შეშფოთებასაც გაამართლებდა.

— ღმერთმანი, არ ვიცოდი, არ უთქვამთ, მამიდა თუ მყავდა. — თქვა ქაიხოსრომ.

— გაანათლოს უფალმა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ტუჩები გააწკლაპუნა.

გაშიშვლებული საფლავი, ჯერ წვიმებმა, მერე კი თოვლმა უარესად გადაასწორა და გაზაფხულზე მისი ნასახიც აღარ ეტყობოდა მიწას. მაგრამ ქაიხოსროს იმ დღის მერე ერთი სულელური სიზმარი აეკვიატა, რომელიც სიკვდილამდე ესიზმრებოდა და სიმწრის ოფლში გაღვრილს წამოაგდებდა ხოლმე საწოლიდან. სიზმარში ორი თვის გოგოს ხედავდა, რომელსაც უზარმაზარი, ყოჩის რქებივით დაგრეხილი ულვაშები ჰქონდა. ეგ იყო და ეგ. მაგრამ ქაიხოსრო აუწერელი შიშითა და მღელვარებით ელოდებოდა ყოველთვის ულვაშებიანი ჩვილის გამოცხადებას. აქ, მაკაბელების ნასახლარზე დაფუძნება ძალაუნებურად მკვდარი ანგელოზის სამფლობელოში შეჭრას ნიშნავდა, მაგრამ ახლა უკან დახევა გვიან იყო, მხოლოდ აქ, ბედისაგან ნაწყალობევ მიწაზე უნდა გაედგა ფესვი, თუკი საამისო

უნარი და ნებისყოფა საერთოდ გააჩნდა. მხოლოდ იყო მისი ადგილი, მისი საჭიდაო მოედანი, და ახლა მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, ვინ ვის გადასძლევდა: ის ცხოვრებას, თუ ცხოვრება — მას, ბედს უნდოდა ასე, იმავე ბედს, რომელმაც ხუთი წლისა ფოთოლივით შეაწყვიტა მის გამომტან ხეს, ფოთოლივით კი არა, იმ ხის თესლივით გაიტაცა და იქამდე ატრიალა უკიდეგანო სივრცეში, მტვრის ნამცეცივით პატარა და უხილავი, სანამ სხვისი მკვდრით გაპოხიერებულ მიწაში არ ჩათესა, თითქოს იმის ცნობისწადილი კლავდა, ვნახოთ ერთი, რა გამოვა, როგორ შეეგუება გარემოს, რანაირ ნაყოფს გამოიღებს, ანდა საერთოდ იხეირებს თუ არაო, ამას კი დრო გვიჩვენებდა მხოლოდ: დანარჩენი თვითონ თესლზე იყო დამოკიდებული, გააჩნია, რამდენად იყო იგი სიცოცხლისკენ მიდრეკილი და რამდენად ჰქონდა განვითარებული შეგუების უნარი. რაც არ ეგუება — კვდება, ასეთი მარტივია ბუნების კანონი, რადგან ბუნებას ერთი მორჩილი შვილი ურჩევნია, მწერი იქნება ის თუ ადამიანი, მილიონ უძღებ შვილს.

ქაიხოსროსაც სხვა რაღა დარჩენოდა, ეცნობოდა და ეგუებოდა ახალ გარემოს, ხალხის ხასიათს, შუკებისა და ბაღ-ვენახების განლაგებას, გზებსა და ბილიკებს, მდინარისა თუ ამინდის ჭირვეულობებს, და არც ურუქელები რჩებოდნენ ვალში, რადგან ნაკლებად არც იმათ აინტერესებდათ უცხო, ახალი ვარსკვლავივით ურუქის ცაზე მოულოდნელად გამოჩენილი კაცი, უბრალო გლეხივით რომ შრომობდა დილიდან საღამომდე, თუმცა მაიორის მუნდირი, ბრჭყვიალა ეპოლეტებითა და ოქროსფერი ღილებით გაწყობილი, ხეზე ჰქონდა მიკიდული, როგორც განსაკუთრებულობისა და ხელშეუხებლობის საბუთი, ზოდიაქოს ნიშანივით გარეგნულად მარტივი და ყველასათვის გასაგები, მაგრამ კიდევ სხვა უფრო რთული, უფრო მნიშვნელოვანი და იდუმალი აზრის მომცველი.

მამობილის მუნდირი, საქართველოში რომ გადმოვიდა, მაშინ ჩაიცვა. მანამდე მხარზე შედგმული კიდობნით მოჰქონდა იგი. მერე აღარც მოუშორებია, რადგან მუნდირში გამოწყობილს ყველგან ადვილად შესამჩნევი პატივისცემით, მორიდებითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შიშითაც კი ხვდებოდნენ.

ყველა სიკეთესთან ერთად, მუნდირი საოცრად მოუხდა (ამას სადგურებისა და სასტუმროების მომსახურე ქალების სახეებზე კითხულობდა), ისე ზუსტად მოერგო, თითქოს ერთმანეთისთვის გაჩენილიყვნენ თავიდანვე. ურუქელებს ხომ პირი დააღებინა და ამიტომაც იყო ალბათ ყველამ უყოყმანოდ, დაუეჭვებლად რომ ჩათვალა იგი მაკაბელების კანონიერ მემკვიდრედ. ურუქში რომ ჩამოვიდა, რთველი კარზე იყო მომდგარი ხალხი ღვინის დასახვედრად, ღვინის დასაბინავებლად ემზადებოდა, იყო ერთი ხეხვა-რეცხვა საწნახელებისა და ქვევრებისა; სექტემბრის მზე, ჟინდამცხრალი მიჯნურივით, მშვიდად, გულგრილად ელამუნებოდა ნაყოფით ჩამძიმებულ ვენახებს, ის კი ორღობეში მოსეირნობდა, კისერზე სადავეგადაგდებული ცხენი ფრუტუნითა და ცმუკვით მოჰყვებოდა უკან და ქვევრებიდან თავამოყოფილი სოფელი ნაჯაფი, დაწითლებული ხელით იჩრდილავდა თვალს, მის ბრწყინვალებას რომ არ დაებრმავებინა. ის კი არხეინად მოსეირნობდა, გაოფლილი ქუდი იდაყვში მოხრილსა და წინ გაშვერილ მკლავზე დაესვენებინა, თითქოს ურუქელებისთვის ძღვენი გამოუტანებიათო.

აქ არავინ არ იცნობდა, აქ შეეძლო თავმომწონედ სიარული, თანაც ყოველდღიურმა, სამშვიდობო ფუსფუსმაც თანდათანობით გადაჰყარა გულიდან ყაზარმის დარდი და დაარწმუნა, სწორედ რომ მოიქცა, აქ რომ იყო მისი ადგილი, ამ მიყრუებულ სოფელში, რადგან აქ ჰქონდა საქმე და მხოლოდ აქ შესძლებდა თავისი მოვალეობის აღსრულებას: ყაზარმა, რა თქმა უნდა, ენანებოდა, მაგრამ ვიღაცის ნასახლარში მოფუსფუსე, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვაჟკაცობა თავის გამოდება და სიკვდილი კი არაა, არამედ — გადარჩენა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს იგი. ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა, მას მოვალეობა ჰქონდა და არაფრის გულისთვის აღარ დაიხევდა უკან, სანამ საწადელს არ მიაღწევდა. მას ერთი გვარი უნდა დაემთავრებინა, როგორც წერტილს გრძელი და უაზრო წინადადება, მეორე კი, უნდა აღედგინა, კი არ უნდა აღედგინა — დაეწყო; ახალი, ძველი სამოსით შენიღბული, მაგრამ სრულიად ახალი გვარი. ასე რომ, დროულად უნდა მოეთავებინა სახლიც და ტყუილუბრალოდ არ უნდა დაებერებინა ძლივს გადარჩენილი სისხლი, ვინ დაუჭერდა ქალს, საკუთარი სახლ-კარის პატრონსა და მაი-

ორის მუნდირში გამოწყობილს! ანდა, რა სჭირდათ დასაწუნი აქაურ ქალებს? ისიც საუკეთესოს ამოარჩევდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად. ელოდებოდა, რამაც ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრებაცა და ოცნებაც. ბედი ბედად, მაგრამ, ეტყობა, თვითონაც უჭკუო იყო, რადგან ცოტას მორჩა, ყოვლად გაუმართლებელი სულსწრაფობის მსხვერპლი გახდა დამთხვეული თათრისა და ძირგავარდნილი ქვრივის სიყვარულობანას აჰყვა, ცხვრის ქონისა და მონაზვნის სენაკის სუნმა აუმღვრია გონება, მაგრამ რას იფიქრებდა, ასე თუ გართულდებოდა, სისხლამდე თუ მივიდოდა საქმე. დარწმუნებული იყო, იმდენი დაეკარგა, იმდენ რამეზე ეთქვა უარი, ამ პატარა სიამოვნებას, თუკი იკადრებდა, ყველანი უბატონოდ დაანებებდნენ. დაანებებდნენ კი არა, თავს თუ გაუყადრებდათ, უნდა ეამაყათ კიდეც, ერთსაც და მეორესაც. იმათ ხომ არ იცოდნენ, ეს რომ ნამდვილი მაიორი არ იყო? ერთს უნდა ეტრაბახა, კეთილშობილმა მაიორმაც არ დაიწუნა ჩემი ნაჯიჯგნი ქალიო, მეორეს კი სიხარულისგან მეცხრე: ცაზე უნდა ეფრინა, რადგან მის მოდგმას, ალბათ, სიზმარშიაც არ ღირსებია ასეთი პატივი. მაგრამ ასე თუ არ ფიქრობდნენ, ამდენის გაგება თუ არ შეეძლოთ, მაინც ენა უნდა ჩაეგდოთ მუცელში, მაინც ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც მაიორი უკარნახებდათ. იმ ქვეყანაში, საიდანაც ქაიხოსრო ჩამოსულიყო, მაიორის ერთი სიტყვა საკმარისი იყო, ქეციანი თათარი კი არა, მთელი პოლკი რომ გადაცვენილიყო ცეცხლში. პირველ ხანებში ქაიხოსროს გონებაში ეღიმებოდა ხოლმე სახტად დარჩენილი თათრისა და ტეტიურად გამოპრანჭული ქვრივის წარმოდგენაზე, აქაოდა, ჩვენც ნახირნახირო, მაგრამ ვერც-კი გრძნობდა, ამით უარესად რომ იღიზიანებდა თავს, დღითიდღე უფრო და უფრო რომ იხლართებოდა თავისსავე მოქსოვილ ბადეში, რომლის მოქსოვაც ძაფის პატარა ნაკუწმა ჩააგონა თავიდან, ქვრივის შვილმა, სულელმა გიორგამ, ორღობეში რომ გადაეყარა შემთხვევით და იმოდენა აღტაცება, თაყვანისცემა, მოწიწება და მორჩილება შეაფრქვია თვალებით, სისულელე იქნებოდა, ზურგი შეექცია მისთვის, ღია ცის ქვეშ დაეტოვებინა მადანი, რომელსაც თავისით გამოერღვია მიწის საფარველი, თვითონვე გამოსულიყო სააშკარაოზე და მხოლოდ იმასღა იხვეწებოდა:

ამიღეთ და მომიხმარეთო. ქაიხოსრომაც აიღო და მოიხმარა, მაგრამ შედეგი ჩანაფიქრს თუ არ დაემთხვა, ეს მხოლოდ მისი ბრალი იყო, აჩქარების, სულსწრაფობის ბრალი. მადნის გაწმენდა და დამუშავება დაეზარა, ზერელედ მოეკიდა ამ საქმეს, ხარისხზე აღარ იფიქრა, რადგან ერთი სული ჰქონდა ეხილა, რა გამოდნებოდა ამ მადნისაგან. ჩანაფიქრი, მართლაც კარგი იყო, როგორც გრძელულვაშა ეფრეიტორი იტყოდა, ერთ რამედა ღირდა, თავისი სიმარტივითა და სიდიადით. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, რამაც უარესად დაარწმუნა თავისი გეგმის სისწორეში; ბავშვის დაახლოება გაცილებით ადვილად შესძლო, ვიდრე ფიქრობდა, თუმცა რომელი ბავშვი არ გაგიჟდება სიხარულისაგან, თოფის ჩუქებას თუ დაპირდები, თანაც ნამდვილი თოფისას, რომელ ბავშვს გაუჩერდება ენა, მთელ ქვეყანას რომ არ მოსდოს შენი დანაპირები; ხოლო თათარს ჭკუის მაგვარი რამე თუ ეყარა გოგრაში, უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა ბავშვის ნალაპარაკევი, უნდა მიმხვდარიყო, რატომ პირდებოდა უცხო ძია თოფს მისი კახპის გაგდებულს და არც იმის მიხვედრა უნდა გასჭირვებოდა, თოფი იგივე მაიორი რომ იყო. ხა, ხა, ხაო, — ეცინებოდა ქაიხოსროს შიშისაგან თვალდაჭყეტილი თათრის წარმოდგენაზე, ბავშვს რომ ჩასცინებოდა და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა სულ: რატომ დაგპირდა, როგორ დაგპირდა, იქნებ მოგეყურა ანდა გაგეხუმრაო. ბავშვისა და თათრის გაწამაწია, რაღა თქმა უნდა, არც ქვრივს დარჩებოდა შეუმჩნეველი და ის დრო იყო, დარეცხილ-დასუფთავებულიყო, მორთულ-მოკაზმულიყო და მაიორის მოლოდინში, პატარძალივით პირმოპუწკული, ჩამომჯდარიყო ტახტის კიდეზე. არც ბავშვი გამოვიდოდა მაინცდამაინც გაბრიყვებული. თოფს, რა თქმა უნდა, არ აჩუქებდა, ისევ და ისევ ბავშვის სასარგებლოდ, რათა დაუდევრობით თავი არ დაეშავებინა თხოვებით კი მერეც ათხოვებდა, მერეც დააჭერინებდა ხელში, გარდა ამისა, განა თვითონ ბავშვს არ უნდოდა თათრის მოშორება, განა თვითონ ბავშვი არ აჩეჩებდა დედამისს ხელებში, დედაჩემი სულ ტირის, სულ ჩემს მამიკოს ეძახის და შენ რომ მიეფერები, აღარ იტირებს, რადგან შენ იქნები ჩემი მამიკოო? მთლად ასე არ ამბობდა, მაგრამ ასე გამოდიოდა. ბავშვი სულელია, ბავშვს რომ ჭკუა არ მოეკითხება, ესეც სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ შენ რომ უფროსი ხარ, პირში კი არ უნდა შეს-

ცინო, თავში კი არ უნდა ჩაუპარტყუნო, რა სისულელეებს რო-
შავო, — უნდა მოუსმინო, გაუგო და შეუსრულო კიდეც. ბავშვი
ვერც იმას მიხვდებოდა, მგლის მოშორებას უფრო დიდ მგელს
რომ თხოვდა და გინდაც მიხვედრილიყო, განა დიდი მგელი არ
ერჩია? ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ბავშვისათვის, ალ-
ბათ, სულერთი იყო, ვისთან იწვებოდა დედამისი, თუკი ვინმეს-
თან აუცილებლად უნდა წოლილიყო იგი. ეს კი მართლა აუცი-
ლებელი იყო, რადგან ქვრივის სარკმელს ქვეყანაა მიჩერებუ-
ლი და როგორც კი დაღამდება, ძაღლი და მამაძაღლი ამ სარ-
კმელში ჩამდგარი სინათლისკენ მოძუნძულებს, რადგან მწერ-
ზე მეტი განსჯის უნარი არც ადამიანს გააჩნია, სადაც შუქი აინ-
თება, ყველა მისი გულისთვის, მის მისაზიდად და მის გასარ-
თობად ჰგონია ანთებული. ხა, ხა, ხაო, — იცინოდა ქაიხოსრო.
— არც ასეთი სიკეთე ვარგაო, ბავშვისთვის უარს ნუ მათქმევი-
ნებთ და მომკალითო, ის კი არა, პატარა ძამიკო, ან პატარა და-
იკო რომ მთხოვოს, მაშინვე ჩავკიდებ ხელს დედამისს და გა-
ვაქცუნებ ბაზარშიო. იცინოდა, მაგრამ მერე საცინრად აღარ
დაურჩა საქმე. სროლას არ აპირებდა. დამბაჩაც ისე, სხვათა-
შორის წამოიღო, ხელს გამოაყოლა, ლამპის შუშასავით, უფრო
თამამად, უფრო თავისუფლად, უფრო მტკიცედ რომ ეგრძნო
თავი, თათართან კი არა, ამ ქვეყანაზე მის ანაბარა დარჩენილ
ქვრივ-ობოლთან, მეტი ფასი რომ დასდებოდა ქალისა და ბავ-
შვის თვალში. (თათარს უკვე მოშორებულად თვლიდა, არ ეგო-
ნა, ასე მალე კი არა, საერთოდ თუ მობრუნდებოდა ამ სოფელ-
ში, რაკი მოღალატენი დაელახა და, ასე თუ ისე, ამოეყარა ჯავ-
რი). სროლის მეტი რა უკეთებია ჯარში, მაგრამ მაშინ მასთან
ერთად მთელი ჯარი აგებდა პასუხს, ახლა კი მარტო იყო და პა-
სუხიც მარტო მას მოეკითხებოდა. მოხდა, რაც უნდა მომხდარი-
ყო, სისხლი დაიღვარა, მაგრამ საბედნიეროდ სხვისი; თათრის
სისხლის გამოდენა ადვილი იყო, აქ წესების დაცვას არავინ და-
გიდევდათ, აქ ვინც დაასწრებდა, ის იყო მართალიცა და გამარ-
ჯვებულიც. მაგრამ ვაი ამ სიმართლესა და ვაი ამ გამარჯვებას,
რადგან თათრის, თანაც შენი ტყვიით დაჭრილი თათრის გადა-
კიდებას ღვთის რისხვა ჯობდა, ღვთისგან დაწყევლა და შეჩვე-
ნება. მოკვდებოდა და არ შეირჩენდა, მოკვდებოდა და მოგ-
კლავდა, ცოცხალს თუ ვერ მოგიხელთებდა, მკვდარს ამოგ-
თხრიდა, მკვდარს მოგკლავდა ხელმეორედ, თვითონ თუ ვერ

მოესწრებოდა, შვილს დააფიცებდა, შვილთა შვილს, და მალე ერთი კაცის ნაცვლად მთელი ჯალაბი, მთელი გვარი, მთელი მოდგმა და ჯილაგი დაედებოდა შენს სამიოდე ლიტრა სისხლს სპილენძის თუნგებითა და ქვაბებით. აქ სხვანაირი ცა იყო, სხვა ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაზე და ღმერთის აუცილებლობა შურისძიების აუცილებლობასაც გულისხმობდა. ასე რომ, არც გაქცევასა და დამალვას ჰქონდა აზრი, რადგან შურისძიების კანონი დროსა და სივრცეს არ ეპუებოდა, უფრო სწორედ, დროისა და სივრცის გარეთაც შეეძლო არსებობა და მოქმედება.

სანამ ჩახმახს გამოსწევდა, ქვრივი და მისი ნაბიჭვარი არც ახსოვდა, ისინი მერე გაახსენდა, როცა დამბაჩამ იჭექა და თათრის თითებს შორის სისხლმა გამოჟონა; თათარს ხელები მუცლიდან არ მოუშორებია, თითქოს მუცელზე რომელიღაც უხერხემლო, სლიპინა და ლორწოვანი არსება შეუპყრია და ეშინია, არ დამისხლტესო. გასროლილ ტყვიას უკან ქაჯიც ვეღარ დააბრუნებდა. ერთადერთი, რაც ოდნავ მაინც მოეხმარებოდა ამ ახალი უბედურებისგან თავის დაღწევაში, გადაბრალება იყო, სასწრაფოდ უნდა გადაებრალებინა ვინმესთვის საკუთარი სიბრიყვე და წინდაუხედაობა. ამიტომაც გაახსენდა დამბაჩის გასროლისთანავე მის ზურგს ამოფარებული ქვრივი და ოხერი, მაგრამ შიშმა და სიძულვილმა ენა დაუდუმა, ადგილზე გააშეშა, არც არაფერი ესმოდა, არც არაფერს გრძნობდა შიშისა და სიძულვილის გარდა, ჭუჭყივითა გრძნობდა წლობით დაგროვილი ჭუჭყივით, შემაწუხებელსა და ამაზრზენს, ფრჩხილებით რომ გინდა ჩამოიბღორტნო, აგურითა და ქვიშით. ხოლო ცოტა გონს რომ მოეგო, თათარი უკვე გასცლოდა იქაურობას, ყეყეჩი ხალხი კი ქებადიდებას ასხამდა ქვრივ-ობლის გამოსარჩლებისათვის. ამან ჯერ გააღიზიანა, ცოტას მორჩა, ზეწრით დაიფრინა ყველანი, ქვრივის ბინძური ზეწრით, ალალბედზე რომ მოხვდა ხელში თათრის მისახმარებლად გამოქცეულს. მერე კი, გულმა უგრძნო, სულ არარაობას ქვრივ-ობლის ქომაგის სახელი რომ ჯობდა, სხვა თუ არაფერი, მომავალში ხალხი თავს გამოიდებდა მისთვის, მარტოს აღარ ჩააგდებდა თათრის პირში, თანაც კეთილშობილების შარავანდე-

დითაც იმოსებოდა, რაც მალამოსავით სჭირდებოდა მის გაღიზიანებულ პატივმოყვარეობას.

ამიტომაც იყო, იმ ღამეს ენას კბილი რომ დააჭირა და სხვა დროისთვის გადადო მისი დამღუპველების დასჯა. დასჯის უფლება კი ჰქონდა, რადგან, მხოლოდ და მხოლოდ, მათი მიზეზით იყო ჩავარდნილი ამ არაადამიანურ განსაცდელში.

დიდხანს გასცქეროდა ჩადედებულ წყვდიადს, რომელშიაც დაჭრილი თათარი გაუჩინარებულიყო. მერე მხრები აიჩეჩა, უცებ ვერ მოისაზრა, რატომ ეჭირა ხელში თუნგი და ზეწარი. მერე ვიღაცას ხელკავით მიჰყავდა ცარიელ ორღობეში, როგორც კუბოს უკან მიმავალი ჭირისუფალი, მერე მარტო იყო კარავში, სკივრზე იჯდა და მოუთმენლად ელოდებოდა, როდის დაიფრუტუნებდა ცხენი სიბნელეში, ცხენი ეიმედებოდა, რადგან გასაქცევად ჰქონდა საქმე, თუმცა იცოდა, რომ ვეღარსად გაიქცეოდა.

იმ ღამეს საყელოს ღილიც არ შეუხსნია, სკივრზე არც კი მიწოლილა, თვალიც არ მიულულავს, ისე შეაბიჯა სიზმარში. მაშინვე სული შეეხუთა. მუნდირის საყელო გავარვარებული რკინის სალტესავით შემოეჭდო კისერზე. დამბაჩა ვითომ ისევ ხელში ეჭირა, უსაშველოდ მძიმე და მოუხერხებელი. ვერაფრით დაემორჩილებინა, ლულას ხან გვერდზე წაიღებდა, ხან მაღლა, როგორც საჭმელზე გაოჩნებული სახედარი — თავს.

„დროზე ქენი ადამიანო, სირცხვილია“, — ეძახდა ქვრივი, რომელიც იმავე დროს გიორგაც იყო და თათარიც. მერე დენთმა დაიშიშინა, თეთრი ბოლი აუშვა და დამბაჩის ლულამ ტყვია კურკასაით გადმოაფურთხა. „მე სტუმარი ვარ“ — თქვა ქაიხოსრომ და ცარიელი ხელისგულები ამოატრიალა, რადგან იქამდე დამბაჩა ფეხზე ჩაიცურა, ჩუმად დააგდო. „გერჩია მოგეკალი“ — სახეში შესცინა თათარმა, რომელიც იმავე დროს ქვრივიც იყო და გიორგაც. „რაღაცეები გეშლებათ, მე მაიორი არა ვარ, მე თბილისში დავიბადე“. — იყვირა ქაიხოსრომ და კიბეზე ჩაირბინა, მის წინ ვიღაც კაცი მიდიოდა, ტანმორჩილი იყო, შავი, ხშირი, ბოლოებაპრეხილი თმა ჰქონდა, საკმაოდ გაბინძურებული ზეწარი შემოეხვია შიშველ ტანზე, მექისესავით,

და მოკლე, ქუსლებგამოხარშული ფეხებიც ხის ქოშებში წაეყო. მიდიოდა, მიბაკუნობდა ხრიოკ ფერდობზე.

„რომელი ხარო“, — ეძახდა ქაიხოსრო, კაცი ქირქილებდა, ვიწრო, ქალური მხრები უცახცახებდა და შიგადაშიგ ამოიძახებდა ხოლმე: ნოე ვარ, ბიჭო, ნოეო. ქაიხოსრო მშვიდდებოდა, თითქოს იცნობდა ნოეს და ისევ მიჰყვებოდა, მაგრამ მალე ავიწყდებოდა იმ კაცის ვინაობა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ქაიხოსროს შეშფოთებაცა და ტანმორჩილი კაცის ქირქილიც.

უცებ კაცმა ზეწარი წამოიხადა და იქვე, ქაიხოსროს ცხვირწინ ჩაკუნცხდა. „რა ცხვირი ამიბზუე, — ამოსძახა ქვემოდან. უწამწამო, პეპელას ფრთებივით მოუსვენარი ქუთუთოები ჰქონდა.

— მუცელი უსირცხვილოა, ცხოვრებასავითაა, ვერც სიცარიელეს ითმენს, ვერც სისავსეს. სულ უნდა ავსო და აცარიელო, ავსო და აცარიელო. იარაღი გადააგდე?“ „გადავაგდე, — უპასუხა ქაიხოსრომ. „მუზარადი?“ „მუზარადიც“. „წადი და ქვა ჩადე შიგ. დაგორდება და ტყუილუბრალო ხმაურს ასტეხავს, ქაიხოსრო დაიხარა, ქვა უნდა ჩაედო მუზარადში და უცებ თბილისური ალმური ეცა სახეში. ხრიოკ ფერდობზე თვალი ჩააცოცა და თბილისი დაინახა. ხვლიკისფერი, ვერაგულად გატრუნული მდინარის გაღმა-გამოღმა. „გამანებე თავი“, — შეუღრინა ქაიხოსრომ. „ნუ უყურებ, თავბრუ დაგეხვევა და წახდები“ — უთხრა კაცმა. უკვე წამომდგარიყო, ისევ მაღლა მიბაკუნობდა. ქოშის ძირზე დაჭმუჭნული, ბინძური ფოთოლი აჰკვროდა. „გადარჩი და რაღა გინდა, რაღა გაწუხებს“ უთხრა ქაიხოსროს. „გადავრჩიდაგადავრჩიდაგადავრჩიდა..“

უაზროდ გაიმეორა ქაიხოსრომ. „სიკვდილი ადვილია, გადარჩენა კი — ძნელი. ყველას კი არ შეუძლია“, — უთხრა კაცმა. „გადავრჩიდაგადავრჩიდაგადავრჩიდაგადავრჩი“, — ისევ გაიმეორა ქაიხოსრომ, თუმცა სულ სხვა რაღაცის თქმას აპირებდა, არ კი იცოდა — რისა. კაცი მიბაკუნობდა და ისიც მიჰყვებოდა. არც კაცს უთქვამს და არც მას უკითხავს, სად მიდიოდნენ. იარა, იარა და სიბნელეში ცხენს გადააწყდა. ცხენი შეკრთა.

ალბათ, ეძინა. მერე პატრონი იცნო და დაიხვიხვინა, ჩამყუდროვებული, ჩამთბარი, ღონიერი სიცოცხლის სუნი ამოაფრქვია. ცის ქვეშ ფერდები დანამვოდა, ერთდროულად გრილიც იყო და ცხელიც, შემაშფოთებელიც და დამამშვიდებელიც.

ძლივს იკვეთებოდა სიბნელისგან გაზრდილი მისი სხეული, ქვეყანასავით ვრცელი, მყარი, ძნელად გასაგნები.

— მგლის პირი, შე ოხერო, როგორ შემაშინე. — მიესიყვარულა ცხენს.

არსად არ ენთო შუქი, ურუქს ეძინა ღრმა, სოფლური, შესაშური ძილით. ქაიხოსრომ უნებურად იქით გაიხედა, საითაც ქვრივის სარკმელი ეგულებოდა, მაგრამ იქაურობაც წყვდიადს შთაენთქა.

— დამაცადონ, — უთხრა ცხენს. — იქნება თათარი სანატრელიც გაუხდეთ.

მართალია, იმ საზარელი ღამის შემდეგ ქაიხოსრო ურუქის გმირი გახდა, მაგრამ სინამდვილეში გმირობისგან შორს იყო, გმირისთვის ყოვლად შეუფერებელი ჩვენებები ევლინებოდა მამობილის კარავში, რომელსაც ვინ იცის, რაღა არ გადაეტანა თავისი პირველი ბინადრის ხელში, რანაირი ცეცხლისა და ღვართქაფისთვის აღარ გაეძლო თავისი სიფრიფანა კედლებით, მაგრამ აქამდე, შიში რას ერქვა, არ იცოდა. ის ტილოს უბრალო კარავი იყო და ნაფიქრალითაც ისე ადვილად იჟღინთებოდა, როგორც წვიმით. ასევე ადვილად ემსგავსებოდა თავის ბინადარსაც, თავქვეშ ხელებამოწყობილი, მის პაწაწინა თაღს მიშტერებული, შუბლის გაუხსნელად, გაუთავებლად რომ ფიქრობდა. არა, ადამიანს კი არ ემსგავსებოდა, — ადამიანის ფიქრსა და გუნება-განწყობილებას. „კარგად ისვრიანო“, — გაიფიქრებდა ხოლმე მისი პირველი ბინადარი, როცა ორ ნაბიჯზე გამსკდარი ყუმბარა ქვასა და მიწას გრუხუნით შეაფრქვევდა კალთებზე, და ისიც, თითქოს აღტაცებისგან თრთოდა. ახლა კი სხვანაირი ფიქრები ბუდობდნენ მის კედლებში, ახლა შიშისა და სიძულვილის საბუდრად ქცეულიყო და ახალი ბინადარივით, თვითონაც წვალობდა და იტანჯებოდა ღამღამობით, ჭვარ-

ტლის სუნითა და პეპლების მტვრით სულშეხუთული. მასაც განუწყვეტლივ ელანდებოდა ხანჯლის ალაპლაპებული წვერი, გრძნობდა კიდეც, როგორ უჭრიდა, როგორ ჩაუფხრეწდა ხოლმე ფერდს, რათა სკივრზე გაშხლართულ კაცს მისწვდენოდა და ყანყრატოში ჩასობოდა. მერე კი, ორივენი ერთნაირად თრთოდნენ და ცახცახებდნენ, ისიცა და სკივრიდან წამოვარდნილი კაციც.

— დაგწვამ! ჩემი ხელით დაგწვამ! — უყვიროდა კაცი.

მან ლაპარაკი არ იცოდა და ძალაუნებურად დუმდა. თითქოს მართლა მისი ბრალი იყო, ხანჯალშემართული მკვლელი რომ ელანდებოდა ყოველ წუთას მის ახალ ბინადარს.

— გამოვიხრჩვი კარავში, მამაო, — შესჩივლა ერთ დღეს ქაიხოსრომ ზოსიმე მღვდელს.

ისინი ორღობეში შეხვდნენ ერთმანეთს. თითქმის იმავე წუთას ნახირმა ჩამოიარა და იძულებულნი გახდნენ, გვერდზე გამდგარიყვნენ, ღობეს აჰკვროდნენ, გაეტარებინათ ეს ტლანქი და მოურიდებელი ნაკადი უწყინარი არსებებისა, თავების ქნევით, ცოხნა-ცოხნითა და ზმუილით რომ მოაბიჯებდნენ საკუთარ სურნელში, საკუთარ სიმხურვალეში, რძესავით სქელსა და წებოვან ოხშივარში.

— რა წუთასაც გინდა, შვილო ჩემო, გინდა ჩემთან, გინდა სხვისას. ვინ გეტყვის უარს, — უთხრა ზოსიმე მღვდელმა... თვალები უჟუჟუნებდა, გულუბრყვილო, ლამის ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა სველსა და წითელ ტუჩებზე. — ჩვენმა ხალხმა პატიჟი არ იცის. ერთხელ გეტყვის, მაგრამ გულწრფელად, ქაიხოსრო იმიტომ კი არ გამოელაპარაკა მღვდელს, ოდესღაც უარყოფილი დაპატიჟება რომ გამოეძალა ახლა (ზოსიმე მღვდელმა ჩამოსვლის დღესვე შესთავაზა, მასთან გადასახლებულიყო, „სანამ საკუთარ სახლს მოათავებდა“, სხვებიც სიამოვნებით შეიკედლებდნენ ალბათ, მაგრამ ქაიხოსრო კარავშიაც მშვენივრად გრძნობდა თავს და უბინაობა სრულებით არ აწუხებდა), ამაზე არც უფიქრია, უბრალოდ მღვდლის დანახვამ ჩივილის ხასიათზე დააყენა, უნდოდა სხვისთვისაც გადაედო

გაუნელებელი შიში და შეშფოთება, მოსვენებას რომ აღარ აძლევდა, ერთი წამითაც რომ აღარ ეშვებოდა იმ სახარელი ღამის შემდეგ. მართლაც, თვითონ რატომ უნდა ყოფილიყო ამ დღეში და ღვთის მსახურს რატომ უნდა ევლო არხეინად ნათლობებსა თუ ქელეხებში, როცა სწორედ რომ მისი მოვალეობა იყო, ეზრუნა განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანზე, დაეცვა, გადაერჩინა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ნუგეში მაინც ეცა მისთვის.

— მაგიტომ არ გეუბნები, მამაო. უღმერთობამ გამომახრჩო კარავში. — ამოიხრიალა ქაიხოსრომ.

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო ჩემო, კარავიც ისეთივე სახლია ღვთისა, როგორც ეკლესია. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. ისევ ისე უჟუჟუნებდა თვალები, ისევ ისე დასთამაშებდა ღიმილი სველსა და წითელ ტუჩებზე. ქაიხოსროსაც გაეღიმა, მაგრამ ღვარძლიანად, გაბრიყვებული კაცივით.

— მერე რაღას იტყვით, ყელგამოჭრილს რომ მნახავთ იმ კარავში? — თქვა და გაოცებულმა გახედა მენახირეს, გაღრეჯილი, ქუდმოშვლეპილი რომ უქნევდა თავს. მენახირეს გადმოყრილი, აცაბაცა და არათანაბარი კბილები ჰქონდა, თითქოს კი არ ამოსვლია, თვითონ ჩაუსვამსო და ის ჩაუსვამს, რაც უშოვნია, რაც ხელში მოხვედრიაო, ღორის ეშვი, სპილენძის ფული, ჭრელი კენჭი თუ შუშის ნატეხი. გამეტებით უტყლაშუნებდა შოლტს ნაბოლარა ძროხებს ატორტმანებულ თეძოებზე, ვითომ როგორა ბედავთ, როგორ არა გრცხვენიათ, ეს პატიოსანი ხალხი თქვენი მიზეზით ამდენი ხანი ღობეზე რომაა აკრულიო. — ან იქნებ ბედნიერებად უნდა ჩავთვალო მოყვასისათვის სიკვდილი? — ხელი მიუშვირა მენახირეს, მაგრამ ზოსიმე მღვდელი ადვილად მიხვდა, ვის გულისხმობდა მაიორი.

— ღმერთი სამართლიანია, ღმერთი გადაგიხდის ქვრივობლის ამაგს — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ღმერთი? გადამიხდის? რითი?! — იყვირა ქაიხოსრომ — მოწამებრივი სიკვდილით?

— მოწამებრივი სიკვდილი, — გაიმეორა ზოსიმე მღვდელმა და ტუჩები ისე გააწკლაპუნა, თითქოს ღვინოს გემო გაუსინჯაო, — კაცმა რომ თქვას, არც ესაა ცოტა.

— არ მინდა. მადლობელი ვარ. — ნაძალადევმა ღიმილმა სახე დაუმახინჯა ქაიხოსროს. — ყველა სიკვდილი ერთნაირია, მამაო. ყველა ერთნაირად ყარს.

— ცოდვა ყარს და არა სიკვდილი. — ხმას აუწია ზოსიმე მღვდელმაც, თუმცა ისევ კეთილად, გულუბრყვილოდ უჟუჟუნებდა თვალები.

— აბა, ორი თვის ბავშვიცა და ასი წლის ბებერიც ერთნაირად ცოდვილი ყოფილა. — ნიშნი მოუგო ქაიხოსრომ.

— ასეა. ყველანი ცოდვის შვილები ვართ. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ვისი ცოდვის? როდინდელი ცოდვის? — გაცხარდა უცებ ქაიხოსრო. ძაღლმა გააცხარა, ღობის იქით რომ ჩაცუცქულიყო მსტოვარივით და სველი, ყურადღებიანი თვალებით შემოსცქეროდა. — წადი, წადი, შე უპატრონო! — დაუყვირა ძაღლს. — როდემდე უნდა ვიხადოთ სხვისი ვალები? — მიუბრუნდა ისევ მღვდელს.

— უსასრულოდ, შვილო ჩემო, უსასრულოდ. სანამ ხელს არ ავიღებთ ცოდვაზე. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ქაიხოსრომ ისევ გახედა ძაღლს. ძაღლმა სახე აარიდა. მერე უხალისოდ წამოიზლაზნა და ძუნძულით გაეცალა იქაურობას.

— უსამართლოა შენი ღმერთი, მამაო, გინდაც მე მილაპარაკნია და გინდაც ძაღლს დაუყმუვლია, სულერთია იმისთვის.

— უცებ გაჩუმდა, ღიმილმა პირი გაუწელა ცალ მხარეს.

— როგორა თქვით? სანამ ხელს არ ავიღებთ ცოდვაზეო?

— ჩაეკითხა მღვდელს. — აი, თურმე რაში ყოფილა საქმე.

ვინ იცის, რაღას არ ფიქრობთ ჩემზე.

— ცუდს არაფერს. — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა და მხრიდან ცაცხვის ყვავილი ააცალა. — ერთი კია, თათრის ადგილას, ღმერთს მადლობას შევწირავდი გადარჩენისათვის და სამუდამოდ დავივიწყებდი ურუქის გზას.

ქაიხოსრო სახტად დარჩა, ოდნავ მღვდლისკენ გადახრილი.

ვერ გაიგო, გულს უკეთებდა თუ დასცინოდა ეს მარად მომღიმარი ღვთისმსახური. მღვდელს ცაცხვის ყვავილი ყუნწით ეჭირა და აბზრიალებდა. მერე ისეთი ხმით უთხრა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილოო, თითქოს მართლა მამად ეკუთვნოდა, თუმცა ასაკითაც და აღნაგობითაც ძმებად უფრო შეჰფეროდნენ ერთმანეთს.

თათრის გაძევების შემდეგ ქაიხოსრო ხშირად დადიოდა ქვრივისას და ეს მთელმა ურუქმა იცოდა, არც მაიორი მალავდა და არც ურუქელებს უკვირდათ მაიორისა და ქვრივის დაახლოვება. ალბათ, ის უფრო გაუკვირდებოდათ, ასე რომ არ მომხდარიყო. მაიორი სოფლის თვალში ქვრივ-ობლის ქომაგი იყო და რაკი ერთხელ ეკისრა ეს ღვთისნიერი საქმე, ახლა ვალდებულიც იყო ბოლომდე გაეტანა. მაიორი კი, ქვრივის სახლში შიშსა და სიძულვილს დაჰყავდა მხოლოდ. სხვა ყველანაირი გრძნობა გაჰქრობოდა, სურვილიც, მაგრამ ერთი დღეც რომ არ ენახა ისინი დედაცა და მისი ნაბიჭვარიც, გულზე გასკდებოდა, გამოუთქმელი ბოღმა მოუღებდა ბოლოს. ის რომ გაახსენდებოდა, როგორი ავი მტერი გაეჩინა იმ ოხრების გულისთვის, სუნთქვა უჩერდებოდა, სახეზე ალმური გადასდიოდა და ისევ მათკენ გარბოდა, ისევ მათზე რომ ეყარა ჯავრი. „ახლა ხომ დაისვენეთ, ახლა ხომ გაძღა თქვენი გული“ — დაჰყვიროდა იგი მისი რისხვით ენაჩავარდნილ დედა-შვილს, რომლებსაც ეჭვიც არ ეპარებოდათ, სამართლიანად რომ იმსახურებდნენ მაიორის ლანძღვა-გინებას. მაიორი არ უკვირდებოდა, მაგრამ დედა-შვილის სიძულვილი ისევე სტანჯავდა, როგორც ტკბილად მოსაგონარი ყაზარმის სიყვარული, ეს ორი გრძნობა ერთნაირი ძალით უჩენდა განუწყვეტელი ურთიერთობისა და უკიდურესი სიახლოვის მოთხოვნილებას, რასაც ერთ შემთხვევაში

ბედნიერ მონად უნდა ექცია იგი, მეორე შემთხვევაში კი უბედურ მონათმფლობელად. დედა-შვილის სიახლოვე მაიორს არა მარტო გესლის ამონთხევაში შველოდა, გარკვეულ სიამოვნებასაც ანიჭებდა მართალია მტკივნეულსა და ამაზრზენს, მაგრამ მაინც სიამოვნებას, როგორც ჩირქიანი მუწუკის გამორწყვა. ხოლო ზოსიმე მღვდელთან ბოლო საუბრის შემდეგ ამ სიახლოვემ კიდევ ერთი, მოულოდნელი გამართლება შეიძინა. მღვდელთან საუბარმა მაიორი ასე თუ ისე მაინც დაამშვიდა და, რაც მთავარია, განსჯის უნარი დაუბრუნა განა მღვდელს არ შეეტყობოდა, საგანგაშოდ რომ ჰქონოდა მაიორს საქმემ ან აქედან გადაკარგვას ურჩევდა, ან ეკლესიაში გამოკეტავდა, ანდა მთელ სოფელს დააყენებდა ფეხზე. მაგრამ მღვდელს თათარი აღარც ახსოვდა, ქვრივის ლოგინს ქექავდა, ახლა მაიორი რომ აღმოეჩინა შიგ, და ბილწი მუსუსივით აწკლაპუნებდა ტუჩებს. მაიორის შეშფოთება სიცილად არ ჰყოფნიდა, ექიმივით იღიმებოდა, ბლით გამძღარი ბავშვის გასასინჯად რომ მოუყვანიათ. და იქნებ მართლაც სასაცილო იყო ყველაფერი, იქნებ თათარი მართლაც მიწას ჰკოცნიდა ალაჰის ფერხთით და მადლობას სწირავდა, შუბლის მაგივრად ხელი რომ გაუხვრიტეს სხვის ბოსტანში ძრომიალისთვის? არა, ეს ნაკლებად დასაჯერებელი იყო, რადგან თათარს არაფერი სჭირდა სამადლობელი, მაგრამ წესით აღარც მაიორთან ჭიდაობის ხალისი უნდა შერჩენოდა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მაიორი თათრისთვის ნამდვილი მაიორი იყო, ესე იგი — არმია, სახელმწიფო, და როდის ყოფილა, ქურდსა და ავაზაკს სახელმწიფოზე ეძიოს შური, რატომ გვიშლი ქურდობასა და ავაზაკობასო. ქურდი და ავაზაკი თავისნაირ ქურდსა და ავაზაკს უდგას კრიჭაში, იმასთანა აქვს დიდი გული, თორემ სახელმწიფოსგან ნასროლ ტყვიას ყოველთვის დამსახურებულად, სამართლიანად თვლის და თუკი ტყვია იქ არ მოხვდა, სადაც საჭიროა, გვერდზე გადგება ხოლმე, ბედს შეგუებული, რათა ქვეყანას თავი დაავიწყოს და თუ სამუდამოდ ვერ მოიშალა, დროებით მაინც აიღოს ხელი მისთვის ეგზომ სახიფათო ხელობაზე. აქედან გამომდინარე, თათარსაც, სამუდამოდ თუ არა, კარგა ხანს უნდა დაევიწყებინა ქვრივი. ხოლო დაკარგულს თუ ვერ მოინელებდა, ამოუყრელი ჯავრი თუ შეაწუხებდა და მაინც აქნევინებდა პირს ურუქისკენ, მაშინ რაღა მაინცდამაინც მაიორს

დაეტაკებოდა იგი, როცა მისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სულერთი იქნებოდა, სამეულის რომელი წევრის სისხლით გაინაღდებდა ვალს. მაიორი მარტო რომ ყოფილიყო, მაშინ თათარიც მარტო მას დაუწყებდა ძებნას და უფრო ადვილადაც მიაგნებდა, ხოლო ეს სამეული ერთ ოჯახად, ერთ არსებად თუ იქცეოდა თათრის დაბრუნებამდე, მაიორის გამოცალკევებას აზრი აღარ ექნებოდა, რადგან თავისთავად დანარჩენი ორი წევრის ფასიცა და მნიშვნელობაც გაიზრდებოდა. ოჯახზე რომ შური იძიო, აუცილებელი არ არის მთელი ოჯახის ამოწყვეტა, ანდა, მაინცდამაინც ოჯახის უფროსის მოკვლა, რადგან ოჯახის უფროსს, ხანჯალზე მეტად, ცოლის ან შვილის, ანდა, ორივესი ერთდროულად დაკარგვა მოუღებს ბოლოს. ეს კი, თათარსაც უნდა სცოდნოდა, თათრისთვისაც სავალდებულო იყო ამის ცოდნა, რადგან ამგვარი შურისძიება უფრო სამართლიანი იქნებოდა და თავისებურად მომხიბვლელიც. „არც შენ და არც მე!“ — როგორც ნამდვილ ვაჟკაცებს შეჰფერით. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ერთხელ მაინც დასჯდომოდა ჭკუაში ღმერთს კაცის ბჭობა? მაშინ? მაშინ სისულელე იყო და მეტი არაფერი, ამდენ დროს ტყუილუბრალოდ რომ კარგავდა და პირნათლად დამსახურებულ ჯილდოს არ თხოულობდა ქვრივისაგან. მაიორს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ცოლად არ შეერთო ანა და ისე დაეკმაყოფილებინა სურვილი. საამისო უფლება, როგორც თვითონ ფიქრობდა, მოპოვებული ჰქონდა და, ალბათ, ანასაც ასე ერჩია, ხასობას უფრო იყო მიჩვეული, ვიდრე ცოლობას, რადგან ქმართან თუ ორი თვე ეცხოვრა მხოლოდ, თათარი მთელი ათი წელი დაუდიოდა. გარდა ამისა, რომელ სულელს მოუვა აზრად, შინ გაახაროს ხეხილი, თუკი როცა მოესურვება, მაშინ მივა ხესთან და რამდენიც მოესურვება, იმდენ ნაყოფს შეაწყვეტს? არც ასეთი ქალი უნდოდა მაიორს ცოლად. შეიძლება, ანა ამ ათი წლის განმავლობაში რაღაცეებს ეშმაკობდა, მუცელს იშლიდა, მაგრამ მაინც საეჭვო იყო, კიდევ თუ გაუჩნდებოდა ბავშვი კანონიერი ქმრის ხელში. თუმცა ანას შერთვით, მარტო ცოლს კი არ შოულობდა იგი, არამედ ცოლ-შვილს, გიორგა იყო აგერ, გამზადებული, და ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ნათესლარია ბავშვი, თუკი შენს ჭკუაზე გაზრდი და შენი სიტყვის გამტარებელი იქნება. მოკლედ, ახლა ასარჩევად არ იყო

საქმე. მაიორს სასწრაფოდ უნდა შეერთო ცოლი და ის ცოლი აუცილებლად ანა უნდა ყოფილიყო. მაიორს არც აინტერესებდა, რას ფიქრობდა ამ საკითხზე ანა, თანახმა იქნებოდა თუ არა მისი ცოლობისა, ამის გამოკითხვა თავის დამცირებადაც მიაჩნდა და ამიტომაც იყო, აზრზე მოსვლაც რომ არ აცალა და ძალით გადააქცია ტახტზე, როგორც კი მარტო მოიხელთა იგი. ანამ მისი ძალადობაც ისევე გულგრილად და მორჩილად მიიღო, როგორც მისი ლანძღვა-გინება, თითქოს არც აინტერესებდა, რას უშვრებოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო მოულოდნელი, და ყოველდღიურს, ძვალ-რბილში გამჯდარსა და უსაშველოდ მობეზრებულ მოვალეობას ასრულებდა. ქალის უგრძნობელობამ უარესად შეურაცხყო მაიორი, ვიდრე უარი, ანდა შემოკრული სილა შეურაცხყოფდა, მაგრამ ახლა ბუტიაობის არც დრო იყო და არც თავი ჰქონდა, დიდხანს ნათმენი ვნება დოლაბივით ექაჩებოდა ქვევით, ქალის უძირო, უსასრულო სიბნელესა და სირბილეში. ხოლო როცა გიორგა წამოადგათ თავზე, ერთი კი გაიფიქრა, ესეც ხომ არ მომიწყეს ამ ოხრებმაო, ალბათ, წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი და იმიტომ არ მოერიდა, დღისით, მზისით იმიტომ წამომიპლაკა ფეხებიო. ტახტის კიდეზე ჩამომჯდარი ანა ველური კამით გამძღარი გველივით იცრემლებოდა. ალბათ, სიხარულისგან (ცოტა ჰქონდა სასიხარულო? ხელმწიფის ტოლა კაცი ჩაეგდო ხელში ტილიანი თათრის სანაცვლოდ).

მისი ნაბიჭვარი კი, ისე ბრეცდა ტუჩებს, ისე იჭმუხნიდა შუბლს, თითქოს დედამისს არ გაეფრთხილებინოს წინასწარ, ჩვენს დანახვაზე სიცილი არ წაგცდეს და თავი ისე დაიჭირე, თითქოს პირველად ხედავდე ამისთანა სისაძაგლესო. მაიორმა, ცოტას მორჩა, ჯერ კიდევ შეუკრავი ქამარი გადაუჭირა ორივეს, მაგრამ იხტიბარი აღარ გაიტეხა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ისევ ქვრივ-ობლის ქომაგის მომხიბვლელმა სახელმა გადასძლია და შემარიგებელი ღიმილით უთხრა გიორგას: რას მიბღვერ, რას მემართლები, ეს თუ შენი დედაა, ჩემი ცოლიაო.

ბავშვობიდან კიდევ მამისეული სახლის დაშლა და გადმოზიდვა დაამახსოვრდა. ტლანქი, უგრძნობელი ხროვა კრამიტისა, ფიცრისა და ქვისა. (იმ ქვებიდან მერე ერთსა სცნობდა მხოლოდ, ისიც კაცუნას წყალობით, რომელიც თვითონვე ამოეკაწრა ოდესღაც, და რომელსაც ჩხირივით გალეული და გაფარჩხული ხელ-ფეხი ჰქონდა. ის ქვა გომურის კედელში ჩაატანეს, ოღონდ შემობრუნებულად და თავდაყირა ამოტრიალებული კაცუნა ყოველთვის, როცა კი თვალში მოხვდებოდა, მისი და მაიორის „ნადირობას“ ახსენებდა რატომღაც, ისე შეეკუმშებოდა ხოლმე გული, თითქოს ალალბედზე ნასროლი ტყვიით განგმირული ღმერთი ეშვებოდა ციდან, თავდაყირა, ხელფეხგაფარჩხული). კიდევ ანატოლიელი ბერძნები დაამახსოვრდა, ტალახშემხმარი მათი ხელები და კირში ამოთხვრილი მათი შარვალ-ხალათი, მამისეული სახლის ქვების ყორეზე მიყრილი. „დედაშენი კეთილია, მამაშენი კი — კეთილძაღლიო“, — ეუბნებოდნენ ისინი. კიდევ — დიდი, შავად ჩამოწუწული ქვაბი, რომელშიაც კუპრს ადუღებდნენ ანატოლიელი ბერძნები, და იმ ქვაბში ჩახედვის სურვილი; კიდევ — მთვრალი მღვდელი, ხარაჩოსთან მიმდგარი, და — ცხენის მუშტარი. უფრო სწორედ, ცხენის მუშტრის სახეზე ქონივით გადაგლესილი ღიმილი და ბილწი, შემაწუხებელი მზერა, დედამისისკენ გაპარებული; კიდევ — ცხენის წაყვანის შემდეგ უსაშველოდ გამოცარიელებული ეზო, ცხენის მძაფრი სუნი და ფლოქვებით დაბეკნილი ჩონჩორიკი; „გათავდა ომობანა, ახლა ვირი უფრო მჭირდებაო“. — თქვა მაიორმა. კიდევ — თეთრად გათენებული ღამე, ღამე კი არა — ღამეები, ჯერ კიდევ სველსა და ნესტიან გომურში, ცხენის ნადგომზე რომ ააშენებინა მაიორმა მისთვის და სახედრისთვის, ანდა სახედრისთვის და მისთვის (მადლობა ღმერთს, ვირი მაინც რომ იყო მის გვერდით იმ გაუთავებელ ღამეებში, გომურის კუთხეში ატუზული, ფარდაგივით ჩახურებული და საოცრად ცოცხალი, საოცრად კეთილი თვალების პატრონი). კიდევ ფეხმძიმე დედა დაამახსოვრდა, გულისამაჩუყებლად, გულზეგასახეთქად გამოცვლილი, გაუცხოვებული და, რაც მთავარია, ის ღამე, ის გარდამქმნელი ღამე, გამაბედნიერებელი, ყველაფრის გამმართლებელი და იმავე დროს ყველაფრისადმი მორჩი-

ლების ჩამნერგავი ღამე, როცა გომურის წყვდიადში, კედელზე შუბლმიბჯენილი სახედრის ფშვინვითა და სურნელით გაცოცხლებულ წყვდიადში, პირველად, გაუბედავად, ლამის ღვთაებრივი თრთოლვითა და მღელვარებით, შვების მომტანი, უხილავი უჟმურისგან გამათავისუფლებელი ტკივილით დაიბადა მისთვის სრულიად ახალი სიტყვა: ძმა... ჩემი ძმა.

ის დღეც დაამახსოვრდა, როცა მაკაბელების რკინის ალაყაფს გარეგინამ ფურგონზე დადებული კარადისხელა საათი მოაყენა. ათმა კაცმა ძლივს გადმოიღო, ძლივს ასწია, ძლივს შემოიტანა, შემოათრია და შემოაჩოჩა ის საათი. სანამ სახლში შეიტანდნენ, მთელი სოფელი გულხელდაკრეფილი შესცქეროდა ათი კაცის ჭაპანწყვეტას — თითქოს მაკაბელებს ძვირფასი, მათთვის ძნელად ხელმისაწვდომი ნივთი კი არა, კუბო ჩამოსვლოდათ ქალაქიდან — და კოხტად გამოწკეპილ ყმაწვილს, ხელებგაშლილი, სწრაფი და მოკლე ნაბიჯებით უკანუკან მავალი, გზას რომ ასწავლიდა, ახალ სამყოფელში რომ იტყუებდა მზეზე ალაპლაპებულ ვეება ყუთს. ისიც დაამახსოვრდა, როგორ თქვა კოხტად გამოწკეპილმა ყმაწვილმა „ბედნიერებაში, სიხარულშიო“ და როგორ გადასცა მაიორს დიდი, ოქროსფერი გასაღები, იქამდე მკვდარი, უგრძნობელი ყუთი როგორ გაცოცხლდა უცებ, როგორ აწიკწიკდა, აჩურჩულდა და აფაჩუნდა, უჩინარი ჯუჯებით დასახლებული კოშკივით, როცა მაიორმა ოქროსფერი გასაღები ჭიპის მაგვარ — ფოსოს მოარგო და დინჯად, აუჩქარებლად გადაატრიალა რამდენჯერმე, როგორც კოხტად გამოწკეპილმა ყმაწვილმა ასწავლა, ურმის ბორბლისხელა ციფერბლატზე გალურსული ისრები სულიერებივით ათრთოლდნენ, ამოძრავდნენ და მაშინ მაიორმაც გაიღიმა, არყით სავსე სირჩა თავსზევით ასწია და თქვა: გილოცავთ ახალი ცხოვრების დაწყებასაო. მაგრამ გიორგა მაშინ ბავშვი აღარ იყო, მისი უმცროსი ძმა უკვე „აღუს“ იძახდა და არტახებიდან ამოძრომას ლამობდა.

იმ დღიდან მოყოლებული მაკაბელების სახლში დრომ ახალი მნიშვნელობა, ძალა და ზემოქმედების უნარი შეიძინა, ყველაფერს მაიორის ხელით დაქოქილი და დაძრული დრო დაეპატრონა, ყველაფერი მისი ნება-სურვილით ხდებოდა, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ დასხამდათ სადილად და როცა მოეპ-

რიანებოდა, მაშინ გააქცევ-გამოაქცევდათ საქმეებზე. ბომმმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ, — რეკდა კარადისხელა საათი და მისი ერთფეროვანი, მბრძანებლური ხმა ახალ წესებსა და ჩვევებს ამკვიდრებდა მაკაბელების კარ-მიდამოზე; საათის ხმა გომურშიც ისმოდა და ძილ-ღვიძილში მყოფ გიორგას ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც დადიოდა ეზოში, ფრთხილი, მაგრამ უტიფარი, ბოროტი განზრახვით მოსული, დადიოდა უსასრულოდ, გაუჩერებლად, ამოწმებდა, ზვერავდა ყველა კუთხე-კუნჭულს, იჩვევდა და ეჩვეოდა იქაურობას, რათა განზრახვის აღსრულებისას აღარაფერი ყოფილიყო გაუგებარი და მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი. გიორგას გომურის წყვდიადშიც თვალწინ ედგა ფაიფურის უზარმაზარი ციფერბლატი, გრძნობდა ისრების განუწყვეტელ მოძრაობას. იმასაც ხვდებოდა, ტყუილუბრალოდ რომ არ მოძრაობდნენ ისინი, განუწყვეტლივ თვლიდნენ და აღრიცხავდნენ რაღაცას, რადგან ყოველ წუთს რაღაცა ხდებოდა ქვეყანაზე, მნიშვნელოვანი და. იდუმალი, რაც გიორგასაც უნდა სცოდნოდა, გიორგამ კი არაფერი იცოდა და ეს იყო პირველი ძლიერი შეგრძნება, ბავშვობის დამთავრებისთანავე რომ დაეუფლა მთელ მის არსებას. — მიყვარს, ძალიან მიყვარს.. ხომ უნდა მიყვარდეს? — მავედრებელი ხმით ეკითხებოდა იგი დედას საკუთარ ძმაზე, როცა მაიორი შინ არ იყო, ანდა, როცა ანას ეზოში ჩამოჰქონდა აკვანი, დედაც გაურკვევლად ეპასუხებოდა, კი არ ეხმარებოდა, უარესად აბნევდა. „ამან რა დააშავაო“, — ეუბნებოდა დედა და გული უკვდებოდა, როცა აკვანში ჩაკრულ პეტრეს, პეტრიკელას ტყაპანით ეცემოდა მომღიმარ სახეზე დედის მდუღარე ცრემლი.

— არ ვტირი... როდის ვტირი? ღამე ხომ არ გეშინია, შენ მოგიკვდეს დედა. — თვალთმაქცობდა, იტანჯებოდა დედამისი და ისღა დარჩენოდა, იქით დაემშვიდებინა, იქით მოფერებოდა, იქით გაემხნევებინა, ყოჩაღად და ბედნიერად მოეჩვენებინა თავი.

— ყველაფრით კარგია, მაგრამ მაინც არ ვაპატიებ, მამაჩემის ჩოხით ჩექმას რომ იპრიალებს. — ისე, ვითომ ხუმრობით, დედის გულში ჩასახედად თუ დედის გულის მოსაგებად, იტყოდა ხოლმე გიორგა.

მერე კი დიდხანს, დაჟინებით შესცქეროდა ერთმანეთს აკვნით გათიშული დედა-შვილი. ერთი არხეინად, ცოტა არ იყოს, აგდებულად მომღიმარი, მეორე კი — შემკრთალი, დაბნეული და დაეჭვებული. ორივეს ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდა თავში, მაგრამ ის ფიქრი იმდენად აღემატებოდა ორივეს, თავისი სიდიადით, სითამამითა და სიძლიერით, ერთმანეთისთვისაც ვერ გაემხილათ, პირიქით, დუმილითა და თვალთმაქცობით ერთმანეთში იმ ფიქრის მოსპობას ცდილობდნენ, რადგან იმასაც თავიანთ მტრად, თავიანთ დამღუპველად თვლიდნენ რომლის გამომჟღავნება, უბრალო აღიარებაც კი — მაშინვე შეთქმულებად აქცევდათ იმ კაცის წინააღმდეგ, რომელიც, კარგი იყო თუ ავი, არც ერთის ქმრობას თაკილობდა და არც მეორის მამობას. სოფლის თვალში ისინი ბედნიერები, შეიძლება, გადამეტებულადაც ბედნიერები იყვნენ და ერთი სასაყვედურო სიტყვაც რომ დასცდენოდათ თავიანთ ბედზე, ისიც უმადურობაში და უწესობაში ჩაეთვლებოდათ მხოლოდ და უმალ განარისხებდნენ და გააოცებდნენ ყველას, ვიდრე სიბრალულსა და თანაგრძნობას დაიმსახურებდნენ, ზღაპრული ციხე-კოშკის ბინადარნი, რომელთაც ოქროს ეპოლეტებიანი, „ხელმწიფის ტოლა“ კაცი ედგათ თავზე და ჩიტის რძესაც არ აკლებდათ, არა და, აღარც წასასვლელი ჰქონდათ სადმე. მათი ერთადერთი, მათი ნამდვილი სახლიც ამ ზღაპრული ციხე-კოშკის კედლებში იყო ჩაშენებული, ჩადუღაბებული და სამუდამოდ ჩაკარგული.

„ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“, — რეკდა კარადისხელა საათი და დრო გადიოდა. გომურიდან გამოგვილ ნაგავში ბეღურები იქექებოდნენ, ერთმანეთს პირიდან გლეჯდნენ პურის ნაფხვენსა თუ ბალახის თესლს. თამამად, დაუდევრად დახტუნავდნენ გიორგას თვალწინ, თუმცა ფრთხიალით წამოიშლებოდნენ ხოლმე, ორღობეში ვინმეს რომ ჩაევლო, ძაღლს რომ დაემთქნარებინა კიბის ქვეშ, ფოთოლი რომ ჩამოვარდნილიყო, ანდა ადგილი რომ მოენაცვლა ტოტის ჩრდილს. მარტო გიორგას არ უფრთხოდნენ, რადგან ეს გემრიელი ნაგავი გიორგას გამოგვილი იყო და, რაც მთავარია, გრძნობდნენ, გიორგას რომ უყვარდა მათი ცქერა. ინათებდა თუ არა, გომურის კარს ისეთ კაკუნს აუტეხავდნენ პაწაწინა, კენჭებივით მკვრივი ნისკარტე-

ბით, სახედარი აყროყინდებოდა ხოლმე, საბუდრებიდან ქათმები ჩამოიშლებოდნენ, ბალანაბურძგნული ძაღლები გაიწვართებოდნენ, ძროხები აზმუვლდებოდნენ, ისინი კი იქამდე არ მოეშვებოდნენ გომურის კარს, სანამ გიორგას არ გამოახედებდნენ, სანამ გომურს არ გამოაგვევინებდნენ და პურის ფინჩხით სავსე კალთას არ გადმოაბერტყვინებდნენ. „წყალი? წყა-ლი? წყა-ლი?“ — იძახდნენ კისერმოქცეული, გიორგას გულკეთილობით გათავხედებული ბეღურები და გიორგაც კრამიტის ნამტვრევში უსხამდა წყალს. მერე ჟივჟივებდნენ და იქექებოდნენ, ძიძგილაობდნენ და პეპლაობდნენ, რათა გიორგაც გართობილიყო მათი ცქერით. გაზაფხულს ზაფხული ცვლიდა, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი და მხოლოდ ბეღურები არ იცვლებოდნენ, არც არსად მიდიოდნენ დიდი ხნით, გიორგას გომურის წინ ნაგვის ქექვა ყველაფერს ერჩიათ. მათზე ათასჯერ დიდი და ათასჯერ ძლიერი არსების ამგვარი ყურადღება, გულუხვობა და სიკეთე აიძულებდათ სულ ერთ ცისქვეშ ტრიალს, ავიწყებდათ სხვა ქვეყნების არსებობას და არწმუნებდათ, მხოლოდ და მხოლოდ აქ რომ იყო მათი ადგილი, მზეშიც, წვიმაშიც, ქარშიც და თოვლშიც, და თუკი ვინმეს სჭირდებოდნენ საერთოდ, ყველაზე მეტად ამ დიდსა და უწყინარ არსებას. არაფერი არ იბადებოდა ბუნებაში უმიზეზოდ და უმომავლოდ, არც პატარა, ტალახისფერი ჩიტი და არც სახედრის ჩლიქზე აკრული ბალახი. ყველაფერი კანონზომიერების ჯადოსნურ წრეში იყო მოქცეული და ერთმანეთთან სამუდამოდ დაკავშირებული, ჯაჭვის რგოლებივით, ხოლო ყოველ რგოლს, ყველაზე მცირესაც კი, თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაიმე აზრს მოიცავდა და რაიმე ნიშანს იძლეოდა, თავისებურად, შეფარულად, მაგრამ, ბოლო-ბოლო, არც აზრი რჩებოდა ჩაუწვდენელი და არც ნიშანთა დანიშნულება — ამოუხსნელი, მარტო გიორგას ვერ ამოეხსნა, რა აზრი ჩაედო მის არსებაში შემქმნელს და რა მნიშვნელობა მიენიჭებინა მისი არსებობისათვის.

ამის გაგება მხოლოდ მამისგან შეეძლო, რომელიც მის გაჩენამდე მომკვდარიყო, ჩაესახა, და მომკვდარიყო, იმ აზრთან და მნიშვნელობასთან ერთად, რაც გიორგასთვის ჰქონდა გამიზნული. აბა, მხოლოდ იმიტომ ხომ არ გააჩენდა შვილს, გამ-

ხსენებელი რომ ჰყოლოდა ამ ქვეყანაზე, უკვალოდ რომ არ გამქრალიყო მისი ხსოვნაც და ნაშიერის გულში მაინც ჰქონოდა პატარა ადგილი, საკუთარი სუნით გაჟღენთილი და საკუთარი სიმძიმით დაბეკნილი, როგორც გაყიდული ცხენის სადგომი? ან იქნებ იმიტომ მომკვდარიყო, უფრო რთული და მკაცრი გამოცდა რომ მოეწყო ნაშიერისათვის, აბა, ერთი ვნახოთ, საკუთარ სულში დამიწყებს თხრასა და ძებნას, თუ პირველსავე დამპრუწუნებელს გაუგორდება ფეხქვეშ უპატრონოდ გაზრდილი ძაღლივითო? მართლაც, ხომ შეიძლებოდა, მამად მიეღო თათარი, შეჰყვარებოდა კიდეც, თავიდანვე რომ არ გაეფრთხილებინა დედამისს? ანდა მაიორის მამობა ეღიარებინა (მაიორი ხომ ამას ავალდებულებდა მხოლოდ) და ეცხოვრა ისე, როგორც გარემოება აიძულებდა? განა ბევრი რამე შეიცვლებოდა ამით? მაგრამ მარტო ამისთვის რომ გაეჩინა მამამისს, მამისაგან ამგვარი საქციელი ბოროტება იქნებოდა და მეტი არაფერი, გაუგონარი თავკერძობა და ყოვლად გაუმართლებელი სისასტიკე. მაიორმა თითქოს განუმარტა, რა იყო მისი დანიშნულება, როცა უთხრა: ან მოკალი, ან მოეკველევინეო, მაგრამ მაიორს არ ჰქონდა ამის თქმის უფლება, რადგან მაიორს არც სიცოცხლე მიუცია მისთვის, სიყვარული კი არ აიძულებდა ამის თქმას, არამედ სიძულვილი ავალდებულებდა. ამიტომ, მაიორისთვის თავის განწირვა დანიშნულება კი არ იყო — არამედ სასჯელი, გულგრილად, აუღელვებლად გამოტანილი იმ უსიამოვნების, შიშისა და განსაცდელისათვის, რაც მის გამო შეხვედროდა მაიორს. ბოლო-ბოლო, მაიორიც ის იყო, რაც თათარი, ორივეს ერთი და იგივე სენი შეჰყროდა, ოღონდ განსხვავებულად მკურნალობდნენ თავს.

თათარი ხიცინით, ქიშმიშითა და ლახათ-ლუხუმით ცდილობდა ქვრივის ჭერქვეშ ფეხის მოკიდებას, მაიორმა კი, უპირველეს ყოვლისა, ჭერი მოუშალა ქვრივს და თავად გაუხადა საქმე ფეხის მოსაკიდებლად. კანონზომიერება იყო ესეც, როგორც დღისა და ღამის, ამინდისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა, თუ შემთხვევა, უბედური შემთხვევა? ესეც გასარკვევი ჰქონდა გიორგას, უფრო სწორედ, ჯერ ეს უნდა გაერკვია, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებდა თავისი დანიშნულების საიდუმლოს ამოხსნასაც, მხოლოდ გომურის გამოგვა, შე-

შის დაპობა, წყლის ზიდვა, ვენახის გამოთოხნა და გასხვლა, შეწამვლა და აფურცვლა, ბეღურების დაპურება და სახედრის ოფლით გაჟღენთილ წყვდიადში წოლა ევალებოდა, თუ კიდევ სხვა რაღაცა — უიმედოდ დავიწყებული, სამუდამოდ დაკარგული და დამარხული მამასთან ერთად. ამისათვის კი დრო იყო საჭირო, დრო და მოთმინება. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეძლო, თუმცა ამ ქვეყანაზე თავის გასატანად ერთადერთი იარაღი გააჩნდა მხოლოდ: მკვდარი მამის გაზღაპრებული, საიდუმლოების ბურუსით მოსილი სიდიადე. არა, მარტო ეს არა. მკვდარი მამის სიდიადე და ცოცხალი დედის უსუსურობა. ცოცხალი დედა მისი არსებობის გამართლება იყო, მკვდარი მამა კი — მისი მომავალი სიკვდილისა, როგორც მიზანი და დანიშნულება. რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეძლო, რათა ეცოცხლა, და უნდა ეცოცხლა, რათა მომკვდარიყო. რაც არ ცოცხლობდა, არც კვდებოდა. ადამიანი მხოლოდ სიცოცხლე ან მხოლოდ სიკვდილი კი არ იყო, არამედ ორივე ერთად, სიკვდილიცა და სიცოცხლეც, სიკვდილ-სიცოცხლე, ერთი მეორეს ქმნიდა, ორივე ერთად კი — ადამიანს.

ეს ღვთაებრივი წყვილი ისევე აუცილებელი იყო ადამიანის შესაქმნელად, როგორც ბავშვის გასაჩენად — მშობლები: დედა და მამა, როგორც დედა, ისევე მამაც. გიორგასთვის ადვილი იყო ამის აღმოჩენა, რადგან სწორედ მისი მშობლები იყვნენ თვალნათელი მაგალითი ამისა, ერთი სიცოცხლეს განასახიერებდა, როგორც წყნარი და ლამაზი ხე, ქარებისგან გაძარცულს, ყინვებისგან დამზრალს, მაინც რომ გამოჰქონდა ყვავილიცა და ნაყოფიც. მეორე კი — სიკვდილს, ამირანის, ქამარხანჯალსა და ცისკარას სიკვდილს, არა შიშისა და ამაოების, იმედისა და რწმენის ჩამნერგავს, თავისი სიბრძნითა და სიკეთით. მამამისი თავიანთ მდინარესაც ახსენებდა გიორგას, გაზაფხულობით ერთი აზავთება, ერთი მოვარდნა რომ ჰყოფნიდა, მერე მთელი წელი, მომავალ გაზაფხულამდე ადგილი რომ დაენარჩუნებინა ცის ქვეშ და ისევ მდინარე რომ რქმეოდა მზეზე გამოთეთრებული ქვებით, მღვრიე, სულთმობრძავი გუბეებითა და ტალახშემხმარი კამეჩებით მოფენილ კალაპოტს.

სამაგიეროდ, ყოველ გაზაფხულზე, ოღროჩოღრო ქვების ეს გაშეშებული ნაკადი, ნამდვილ მდინარედ იქცეოდა ხოლმე, მი-

სი მღვრიე და ავად მბზინავი წყალი კალაპოტსაც ავსებდა და ნაპირებზეც გადმოდიოდა, ტრიალ-ტრიალით მოაქანებდა ხარებშებმულ ურემსა თუ უზარმაზარ ძირფესვიანად მოგლეჯილ ხეებს, რაც გზაზე შემოხვდებოდა, ანდა შეჭიდებას გაუბედავდა. მაშინ უფრო ლამაზი სანახავიცა და უფრო საშიშიც იყო ის მდინარე, და ხმაურსა და ქროლვას დანატრებული, უყაირათოდ, ერთბაშად ხარჯავდა მთელი წლის სამყოფ წყალს, რასაც, გაზაფხულის დადგომისთანავე, მისთვისაც იმეტებდნენ შორეული მყინვარები. სამაგიეროდ, ლამაზად ცოცხლობდა და ლამაზადაც კვდებოდა. აწეწილი ლოგინივით ოღროჩოღრო, მზით გადათეთრებულ კალაპოტზე პატარ-პატარა გუბეებიღა რჩებოდა მისგან, როგორც სიცოცხლესთან წამიერი, თავგანწირული და თავდავიწყებული შეუღლებით გაჩენილი შვილები, მთელი წლით დაობლებულნი, რომელთაც დაქვრივებული დედებივით ამოსწოლოდნენ გვერდით, ჩავლილი, გადაკარგული მდინარის ზათქითა და ხმაურით გაოგნებული კამეჩები, უძრავნი და დიდებულნი, როგორც ღვთაებათა ქანდაკებები, თავიანთი ჩრდილებით რომ იცავდნენ მდინარის ობლებს ცხარე და დაუნდობელი მზისგან. გიორგაც მდინარის დანატოვარ გუბეს გავდა, მასაც ყავდა გადამრჩენელი, ჩრდილის მომცემი ღვთაება და თუმცა მთლიანად ვერ აღექვა იგი, როგორც გუბეს მთლიანად ვერ აერეკლა კამეჩი, მისი არსებობა, მისი სიახლოვე და მისი მრავლისმთქმელი დუმილიც საკმარისი იყო, მზის სიცხოველისთვისაც რომ გაეძლო და სულის ფსკერზე ჩალექილი ტალახიც რომ აეტანა, გაზაფხულისთვის დაეცადა, მამის ხელმეორედ ჩამოვლისთვის, და იქამდე არ აორთქლებულიყო ცაში, ანდა არ გაპარულიყო, არ ჩაწრეტილიყო ქვებსა და სილაში.

— როგორ მჯეროდა, როგორ მჯეროდა, მე სულელსა.

თქვა გიორგამ.

— გჯეროდა? რა გჯეროდა? — ჰკითხა მაიორმა.

— აი, თოფს რომ მაჩუქებდი. — გაიღიმა გიორგამ.

— შენა, როგორც გეტყობა, მარტო პირი გეზრდება. ჭამაც გეხერხება და ლაყბობაც. — უთხრა მაიორმა.

— რათა? სხვა რა შემეშალა? ღვინის მაგივრად ძმარი დაგისხი, თუ ბუხრის მაგივრად შენს ლოგინს შევუკეთე ცეცხლი?

ჰა? — კიდევ უფრო გაიღიმა გიორგამ.

— ეგრეც შეიძლება მოხდეს. — გაიღიმა მაიორმაც. — სანდო არა ხარ, გიორგა, არა. მტერს ვინახავ ოჯახში.

— მტერსა? — გიორგამ სახლს შეხედა, დედა და ძმა ეგულებოდა იქ. — მტერსა? — გაიმეორა, ფიქრიანად, გაუბედავი ეჭვითა და იმედით, როგორც ავადმყოფმა წამლის სახელი, რომელიც ეს-ესაა ურჩია ვიღაცამ და რომელმაც ისევ და ისევ ძველი სენი გაახსენა მხოლოდ, მოურჩენელი სენი და ყოველნაირი წამალი, რაც აქამდე ამაოდ ეცადა ამ სენისაგან განსაკურნებლად. გიორგამ იცოდა, მაიორს რომ ეჯავრებოდა, მაგრამ არ ამტყუნებდა ამისთვის, რადგან მაიორს საამისო მიზეზიც ჰქონდა:

გიორგა ყველაზე კარგად იცნობდა მას, მარტო მან იცოდა, ლაჩარი რომ იყო იგი, მოღალატე და მოძალადე. გიორგა იყო პირველი, ვინც შეამჩნია და ვისაც თავზარი დასცა მაიორის სილაჩრემ, რადგან თურმე ამ სილაჩრეზე ჰქონდა აგებული ოცნების ციხე-კოშკები, იმ ღამეს, დამბაჩის გავარდნისთანავე სილის ბორცვივით რომ ჩამოიშალა. გიორგას ერჩია, მაიორი ვაჟკაცურად დამარცხებულიყო თათართან, ვიდრე ლაჩრულად გაემარჯვა. „ძია ქაიხოსრომ ესროლაო“, — გადმოსძახა აივნიდან სროლის ხმაზე მოვარდნილ სოფლელებს და ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო, ოცნებისა და რწმენის შესანარჩუნებლად, მაიორის გამოსაფხიზლებლად, ისევ სამართლიანობისა და სიკეთის გზაზე გამოსაყვანად, მაგრამ მაიორმა ბეჭდიანი ხელი მწარედ ამოჰკრა ნიკაპქვეშ და დაუსისინა: რა გაყვირებს, შე ძაღლის ლეკვო, რადგან ისიც მაშინვე მიხვდა, თავფეხიანად რომ გამოაშკარავებულიყო გიორგას თვალში და თავის მართლებას კი არ მოჰყვა, გაჩუმება უბრძანა, რათა მისი ნამდვილი სახე, მოულოდნელად და ხელმეორედ დაბადებული გი-

ორგას გონებაში, გიორგას გონებაშივე მოესპო, ანდა სამუდამოდ დაემწყვდია იქ, სხვებსაც რომ არ ენახათ იგი. იმ წუთიდან გიორგა სარკედ იქცა მაიორისთვის, რომელშიაც, არა მარტო თეთრად შეფიფქული საფეთქლები და მუნდირის თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ირეკლებოდა, არამედ ბნელი სულის ნაოჭებიც. რა გასაკვირია, ასეთი სარკე რომ შესჯავრებოდა, ტალახით გადალესვა რომ სდომებოდა მისი?" გიორგაც ამიტომ არ ამტყუნებდა მაიორს სიძულვილისთვის, პირიქით, ეცოდებოდა კიდეც, რადგან მისი ღრმა რწმენით, ამ სიძულვილის ბრალი იყო მაიორის უხასიათობაც, წარამარა, უმიზეზო სიბრაზეც, სიხარბეც, ღვარძლიცა და განუწყვეტელი, დაუოკებელი შიშიც, გაუჩერებლად რომ დახტოდა მის აწრიალებულ თვალებში, როგორც ძეძვის ეკლიან ტოტებში ღობემძვრალა. არც გიორგას ეხატა გულზე მაიორი, მაგრამ მაინც თანაუგრძნობდა, რადგან ეს ღობემძვრალა შიშიც მისი მიზეზით იყო გაჩენილი, მისი ბრალი იყო თათრისა და მაიორის გადაკიდება და ერთადერთი გრძნობა, რომელიც მაიორის მიმართ და მაიორის მეშვეობით გასჩენოდა, გაწბილების გრძნობა იყო, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონდა მტრობასთან, მაგრამ გაცილებით ძნელი ასატანი იყო ალბათ, ვიდრე მტრობა. გიორგას აზრადაც არ მოუვიდოდა, მტრად გახდომოდა დედის ქმარსა და ძმის მამას, და, რაც არ უნდა მკაცრი და უსამართლო ყოფილიყო მაიორი მის მიმართ, მაინც არ გამოაჭენებდა მის ნამდვილ სახეს შარაზე, თუნდაც დედისა და ძმის ხათრით.

— მტერსა? — კიდევ გაიმეორა გიორგამ. აღარ იღიმებოდა, დაბნეული, ნირწამხდარი იდგა. — რანაირი მტერი მე ვარ, ან რა შემიძლია? — თქვა ცოტა ხნის მერე.

— განა არ ვიცი, რა გიდევს გუნებაში, — თქვა მაიორმა — არ გამოვა, გიორგა. სახლს არ აგარევინებ. აქ მე ვარ უფროსი.

— ეს ხომ ჩემი სახლიცაა. — ისევ გაიღიმა გიორგამ.

— როგორ არა? — ხმაში აჰყვა მაიორი. — მიდი აბა, გამოარჩიე მამაშენის დამპალი ქვები.

ეგეც შენ, გიორგა! „მიდი და გამოარჩიე მამაშენის დამპალი ქვები“. არა, ისევ გაჩუმება სჯობდა, მაიორს სიტყვას ვერ მოუგებდა და გინდაც მოეგო, სიტყვით რა გამოვიდოდა, განა მაიორი მართლა მისცემდა ქვების გამორჩევის ნებას? ანდა სად წასულიყო თავისი ქვებიანად? ბუდეს ხომ არ მოუშლიდა დედას და ძმას?

— რა გამოარჩევს?! — ჩაიცინა გიორგამ და კეფა მოიქექა. „ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“, — რეკდა კარადისხელა საათი და გიორგაც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, რათა თავისი არსებობის მიზანსა და დანიშნულებას ჩასწვდენოდა. ვაზი ყვავილობდა, ქალის კულულივით აპრეხილ ლერწებში მწვანე სინათლე იბუდებდა, თოხით ამობრუნებულ მიწის ბელტს, ქვაბიდან ამოღებული ხორცის ნაჭერივით, ორთქლი ასდიოდა. გიორგას ბეჭები უხურდა, ყურთან ფუტკარი უბზუოდა, ცხვირის წვერზე ოფლის წვეთი ეკიდა, მარადიული, დაულეველი. მაშინვე მაგიერს რომ აჩენდა, როგორც კი თვითონ მოწყდებოდა ცხვირს და ან გიორგას ხელებზე, ან თოხის ტარზე, ანდა მიწის ბელტზე მოადენდა ტყაპანს. „ჰეჰე-ჰეი, გიორგა!“ — ეძახდნენ მომიჯნავე ვენახებში მომუშავე გლეხები. „ჰე-ჰე— ჰეი!“ — პასუხობდა გიორგაც და მადიანად, ღონივრად იხოცავდა გახურებულ სახეს მკლავით. ღობის ძირებში სიცხით ჩაყვითლებული, მტვრიანი ბალახი ფაჩუნობდა.

გადატკეპნილ, გადათეთრებულ გზაზე გველხოკერა მიიკლაკნებოდა, თითქოს მიწა იძვროდა და უთანასწოროდ იბზარებოდა, იპობოდა, ჰაერი ბოლის სუნით იჟღინთებოდა. იწვოდა წალამი და სარეველა. ვენახების ბოლოს, ჩახუთულ ფშანში კოღოები წუოდნენ. მშობიარესავით კუთავდა შვინდის ტოტზე დაყურსული ვასაკა ფლატეს ჩრდილში გარინდული თხები რაღაცას იხსენებდნენ. სადღაც სახედარი ყროყინებდა, თითქოს ვიღაცა საყვირზე დაკვრას სწავლობსო. კაკლის ჩრდილში შავოსანი დედაკაცი ისვენებდა. თავსაფარი მოეხადა, მუხლებზე გადაეფარებინა და დაშაშრული, ნაჯაფი ხელები ზედ დაელაგებინა, თითქოს ღმერთს აჩვენებდა. უთავსაფროდ უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ცხენის კუდივით, აქა-იქ გამორეოდა თმაში ჭაღარა. იჯდა პირმოკუმული, ფიქრიანი, მარადიული მსახური ღვთისა და კაცისა, მარადიული დედა, ბავშვის გამზრდელი, პუ-

რის მცხობელი, არც უმადური და არც მადლიერი, არც უბედური და არც ბედნიერი, არც მხიარული და არც მოწყენილი, არც ახალგაზრდა და არც ბებერი — მარადიული ქალი, საწყისი მარადიული სიცოცხლისა. გამოგვილი და წყალმოპკურებული ეზოს სუნი ასდიოდა. ნავლგადაკრული ნაღვერდალივით უღვიოდა სიცხისაგან და ჩქარი სიარულისგან დაწითლებული სახე. „ყველაფერი კარგად იქნება, ღვთის წყალობით, — ფიქრობდა თავისთვის, მედეასა და ამირანის გამჩენი და ამავე დროს, მედეასა და ამირანის ქალიშვილი.

— თუ სეტყვა არ მოვიდა... — დიდი კაცივით, ამოხვნეშით იტყოდა ხოლმე შინ მობრუნებული, გომურის წინ ჩამომჯდარი გიორგა, დაბანილი ფეხები ქუსლებით რომ დაებჯინა მიწაზე და ნიავისთვის მიეშვირა გასაშრობად.

— ძალიან იღლები. ჯერ პატარა ხარ, ბიჭო. — დაჰღიმოდა ადრე დაკაცებულ შვილს ანა.

— ეგე, ვინ არის პატარა. — პეტრესკენ ნიკაპს იშვერდა გიორგა. — ნელა, ადამიანო, რა ამბავში ხარ, არ შემიჭამო დედა. — ესიყვარულებოდა ძუძუს დაწაფებულ პეტრეს, სიამოვნებისგან ლოყებდაბერილი, მტრედივით რომ ღუღუნებდა და ბრაზიანად აბრიალებდა საცრისხელა თვალს.

„ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“, — რეკდა კარადისხელა საათი და ზუსტად, წამი-წამ გამოთვლილი დრო განახლებული თუ ახალი მაკაბელების ოჯახსაც მიითრევდა, რომელსაც ორი თვის გოგოს აჩრდილი მკვდარი ანგელოზივით დასტრიალებდა თავს. ბედს კი უთქვამს: ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო, მაგრამ თქმა ერთია და სინამდვილე მეორე. უფრო სწორედ, ადამიანმა ათქმევინა ბედს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო, მაგრამ გინდაც მართლა ასე იყოს, ამქვეყნად იმდენი კარია ბედის მომლოდინე, ხოლო წელიწადში იმდენად ცოტა დღეა, ძნელი დასაჯერებელია, ბედმა თავისი სიტყვის შესრულება შესძლოს. ყველა კარზე მოასწროს შემოჯდომა. მეორეც ერთი, როგორ უნდა შეამჩნიო შენს კარზე შემომჯდარი ბედის ფრინველი?

ვინ რა იცის, როგორია, რა ფერისაა, დიდია თუ პატარა, უსტვენს თუ კაცის ენაზე ლაპარაკობს. რაა მისი გამოსაცნობი ნიშანი, სხვა ფრინველში რომ არ აგერიოს, წელიწადის რომელი დრო ურჩევნია მოსასვლელად, დღის რომელი ნახევარი და, რაც მთავარია, საერთოდ შეიძლება მისი დანახვა თუ ისიც უხილავია — სულივით, ოცნებასავით, იმედივით, ნატვრასავით? ასეა თუ ისე, ადამიანს ბედისა სჯერა და ყოველთვის სჯეროდა, ყოველთვის მის მოლოდინში იყო და იმის ჩამოსათვლელად, თუ რამდენნაირი სახე მიუღია მას ადამიანის წარმოდგენაში, არც დრო ეყოფა და არც ქაღალდი. ბედი არსებობს იმდენად, რამდენადაც ადამიანს სჭირდება მისი არსებობა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, მას რომ გადააბრალოს თავისი მარცხიცა და წარმატებაც და ამით უფრო ასატანი გახადოს საკუთარი არსებობა მეორე ადამიანისათვის. ადამიანი თავისსავე მოგონილ ბედს ემორჩილება და ეგუება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბედთან შეგუება ადამიანის მთავარი თვისებაა. ეს უფრო იძულების შედეგია, არსებობის აუცილებლობითაა გამოწვეული და ამ თვისების შეძენის შემდეგ ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება იჩრდილება, ნაწილობრივ მაინც, რადგან ამ გადამრჩენელი თვისების შეძენა თავისთავად, უმტკივნეულოდ და უმსხვერპლოდ არ ხდება. ის ხანგრძლივი ყოყმანისა და დაუნდობელი სულიერი ბრძოლის ნაყოფია.

ეს ბრძოლა კი ყველანაირი ბრძოლისაგან განსხვავდება, თუნდაც იმითაც, რომ აქ დამარცხებული იმარჯვებს, დათრგუნული და ჩაკლული იძენს სიცოცხლის უფლებას. „ეს ყოფილა ჩემი ბედიო“, — რამდენჯერ, რამდენ რამეზე უთქვამს ადამიანს და რამდენჯერ იტყვის კიდევ, რადგან რაც არ უნდა მძაფრად ჰქონდეს სიმარტოვის გრძნობა განვითარებული, ადამიანი მარტო არასოდეს არ არის, მარტო თავის თავს არასოდეს ეკუთვნის, ის იმ რთული, მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მრავალსახოვანი სხეულის ნაწილია, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და რომლისთვისაც, ბუნებისა არ იყოს, სულერთია, ვინ როგორ, ანდა, როდის შეეგუება მისგან დადგენილ წესსა და კანონს, საზღვრებსა თუ პირობებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქვეყანაზე დატრიალებული ყველანაირი ქარიშხალი, უნდოდა თუ არ უნდოდა ქაიხოსროს, მისი მტკიცედ ნაგები სახ-

ლის კედლებშიც შეაღწევდა და დაუკითხავად წაიღებდა, რისი წაღებაც მოეპრიანებოდა, რაზედაც გული მიუვიდოდა, ანდა, თვალში გაეჩხირებოდა. როგორც ყველა სხვა, მაკაბელებიც დროის მოხარკეები იყვნენ და როგორც არც სხვას არავის, არც მათ შეთანხმებია დრო ამის თაობაზე. ამიტომაც მაიორის ორსართულიან, ქალაქური ყაიდის სახლშიც ყველაფერი ბედსა და უბედობას ბრალდებოდა, ღმერთის ნება-სურვილად ითვლებოდა და ოჯახის ყველა წევრი ბრმად, მიუხვედრელი კაცის სიჯიუტითა და გულმოდგინებით მიუყვებოდა ცხოვრების გზას. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მაიორს მაინც აესრულებინა ბავშვობისდროინდელი ოცნება, საკუთარი, საიმედო სახლი ჰქონდა და მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი აკვნიდან უბრიალებდა თვალებს. ყაზარმაზე ფიქრი ახლაც მწარე და მტანჯველი იყო, მაგრამ დროის წყალობით თანდათან ისიც ტკბილდებოდა, სიმწიფეში შესულ ხურმასავით. თათრის დავიწყებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ჩამიჩუმიც არ ისმოდა მისგან და ადვილი შესაძლებელი იყო, აღარასოდეს აღარ ენახა იგი ქაიხოსროს. მაგრამ ქაიხოსროს ერთი რამე გამორჩა, ერთი რამე დაივიწყა, რისი დავიწყებაც ისევე არ შეიძლებოდა, როგორც ქალისა და მტრისა. ქაიხოსროს მშობლიური ქალაქი დაავიწყდა, კი არ დაავიწყდა — გულიდან ამოიგდო, ამოიბერტყა, როგორც უბეში ჩარჩენილი პურის ნაფხვენი, თუმცა ათასში ერთხელ, ისევ ელდასავით ეცემოდა ხოლმე ხეობაში ჩაგუბული სიმხურვალე ათასჯერ დანგრეული, ათასჯერ დამწვარი, მაგრამ ათასჯერ მკვდრეთით აღმსდგარი ქალაქისა, ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, შეაკრთობდა და შეაწუხებდა, როგორც თვალში ჩავარდნილი მტვრის ნამცეცი, სადღაც, დავიწყებას მიღმა გაელვებული მდინარე, რკინის სალტეებიანი ბორბლებით დაღარული, გადაცვეთილი, გადაპრიალებული ქვაფენილი, მზეზე აბრჭყვიალებული შუშაბანდები, პირდაპირ ქუჩაში გამოკიდული ჭრელი სარეცხი, ფრთებგაშლილი, ღმერთის მომლოდინე ჯვრით დამთავრებული გუმბათი და ვიწრო, დაკლაკნილი, ერთმანეთში ჩაკარგული ქუჩები. ქაიხოსროს დაავიწყდა, ის ქალაქი, მარადიული და მისი ერთადერთი ქალაქი რომ იყო, რომელთანაც ბედით ისევე იყო დაკავშირებული, ისიცა და მისი ოჯახიც, როგორც ეტლში მჯდომია დაკავშირებული ეტლის ბორბალთან ფარაჯის კალთით, შეუმჩნევლად

რომ ჩაუთრევია ბორბალს და, თუ ეტლში მჯდომი ჯერ ვერ მიმ-ხვდარა რა ელოდება, ჯერ თუ ვერცა გრძნობს, თანდათან რო-გორ მოკლდება, როგორ ექაჩება მასაც ეტლის ბორბალში ჩათრეული ფარაჯის კალთა, ერთი წუთის შემდეგ თვითონაც გადაჰყვება თვითონაც ბორბლის ქვეშ აღმოჩნდება, რადგან უკვე ვეღარაფერი უშველის, დროც არ ეყოფა, წყეული ფარაჯა რომ გაიხადოს და როგორმე მოიშოროს ჩამთრევი, დამღუპვე-ლი მიზიდულობის ძალა. განსხვავება ისაა, რომ ეტლიდან გად-მოვარდნილის სიკვდილი წამის საქმეა და ის რამდენიმე კაცი მაინც ნახავს, შემთხვევით რომ აღმოჩნდება სწორედ იმ დროს, სწორედ იმ ქუჩაზე, სადაც ეს უბედურება დატრიალდება. ოჯა-ხის სიკვდილს კი, მაყურებელი არა ჰყავს; ოჯახი დიდხანს კვდება.

ქაიხოსროს რა არ უნდოდა და — სიკვდილი; და თუმცა ზოსი-მე მღვდელი ხშირად ეუბნებოდა ხოლმე, გიყვარდეს მოყვასი შენიო, სწორედ მოყვასისა ეშინოდა, რადგან დარწმუნებელი იყო, თათრის მსგავსად, განურჩევლად ყველა ძაღლსა და მა-მაძაღლს შეეძლო მისი სიცოცხლის ხელყოფა, არა მარტო შე-ეძლო, არამედ უნდოდა კიდეც და არა მარტო უცხოს, შემთხვე-ვით გადაყრილს, არამედ მისიანსაც, ვისაც მისი მზე უნდა ელო-ცა და მისი ფეხის მტვერი ელოკა. ეს კი იმდენად წარმოუდგენე-ლი, იმდენად არაადამიანური უსამართლობა და უმადურობა იყო, სული ეხუთებოდა, ძილი უფრთხებოდა და უთავბოლოდ დაბორიალობდა ბათქაშისა და საღებავის სუნით ჯერ კიდევ გაჟღენთილ ოთახებში, თავს ზევით აცახცახებული ლამპა ეჭი-რა და ყოველ ნაბიჯზე, ყოველ კუთხეში მკვლელი და ავი სული ელანდებოდა, საკუთარი სახლის აკლდამისებური დუმილით შემკრთალსა და დაეჭვებულს. „გაიღვიძე, დედაკაცო“, — ტლან-ქად, მტკივნეულად წაჰკრავდა ხოლმე ხელს საბნის ქვეშ მო-კუნტულ ანას და ლამპას სახეში ანათებდა, თითქოს მისი მა-ლული ფიქრი და განზრახვა რომ ამოეცნო, სანამ გონზე მოს-ვლასა და შენიღბვას მოასწრებდა. ანა მიჩვეული იყო ამგვარ გაღვიძებას. იმ დღის მერე, რაც მაიორს ფერდის ტკივილი დას-ჩემდა, ბევრჯერ წამოუგდია იგი ქმარს საწოლიდან აგურის გა-საცხელებლად და სიცივისგან აძაგძაგებული, ბუხრის წინ ჩა-კუნტული, ძლივს ერეოდა თვლემას, თვითონაც რომ ცეცხლში

არ წამხობილიყო თავით. მაგრამ ყოველთვის ფერდის ტკივილი როდი აღვიძებდა მაიორს, სხვა, არანაკლებ შემაშფოთებელი სატკივარიც აწუხებდა, რასაც ცოლს არ უმხელდა, მაგრამ ანასათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, მარტო მას თუ არა, მასაც რომ თვლიდა მაიორი თავისი საიდუმლო სენისა თუ სენთა მიზეზად. ძნელი არ იყო ამის მიხვედრა: სახეზე ეწერა, ხმაზეც ეტყობოდა, ამას ადასტურებდა მისი ყოველი მოძრაობა, თუმცა ეს ღამეული, მოულოდნელი გამოღვიძებები თითქმის ყოველთვის სიყვარულით მთავრდებოდა მაინც, ოღონდ ავადმყოფურად გაღიზიანებული, უალერსო და უსიამოვნო სიყვარულით; ერთი — შიშისა და ტკივილისაგან აღგზნებული, თავს ვერ იკავებდა, მეორეს კი წინააღმდეგობის გაწევა, უარის თქმა არ შეეძლო, რადგან ქალი იყო, თანაც ცოლი, და გრძნობდა, სწორედ მაშინ რომ სჭირდებოდა იგი კაცს.

— ტყუილად გიხარია, თქვენს ჯიბრზე მაინც არ მოვკვდები. — ჩასჩურჩულებდა იგი ცოლს, ცოლს კი არა, ცოლის ყურს, როგორც სააღსარებო ოთახის კედელში დატანებულ ჭუჭრუტანას, შემცბარი და გაბრაზებული ერთხელ კიდევ უსულგულოდ მოკლული ჟინით.

— დაიძინე. სასიკვდილო არაფერი გჭირს. — პასუხობდა ანა და ფეხებგათოშილი, მობუზული იწვა ბნელში, ქმრის.

სუნთქვას მიყურადებული, შელახული და შეწუხებული, არა გაზიარებული, არამედ შემოჩეჩებული, თავიდან მოშორებული ვნებით. „რატომ? რა დავაშავე?“ — ფიქრობდა იგი, შეუმჩნევლად ძილში გადასული, რადგან თითქმის მაშინვე ქმრის.

ფერდიდან დაცურებული აგურის ხორკლიანი სიმძიმე და სიცივე აღვიძებდა ხელმეორედ. მაშინ ანა აგურიანად იპარებოდა ქმრის ლოგინიდან და ვალმოხდილი თუ სასჯელმოხდილი კაცის შვებითა და მღელვარებით უბრუნდებოდა საკუთარ საწოლს, ყინულივით გათოშილსა და პირველი თოვლივით სპეტაკს, სადაც გიორგაზე და გიორგას მამაზე ფიქრობდა მხოლოდ, მხურვალედ, ერთგულად და მოწიწებით, როგორც მორწმუნე — წმინდანებზე, და ათასჯერ გამოიტირებდა ხოლმე ერ-

თის სიკვდილსა და მეორის სიობლეს, სანამ აკვანში ჩაკრული პეტრე გაიზმორებდა და ძუძუს მოსთხოვდა.

იმ დღის მერე, როცა მაიორმა პირველად დაიმორჩილა ანა, არაფერი შეცვლილა მათ ურთიერთობაში, ყოველი მათი შეუღლება თითქოს იმ პირველის, გიორგას მოულოდნელი გამოცხადებით შეწყვეტილის, აღდგენისა და დასრულების ამაო ცდა იყო, გაჭიანურებული და ამიტომაც მოსაბეზრებელი.

„რაღა გაუბედურება მინდა... შენ მაინც დამინდეო“, — შეევედრა ანა მაიორს, როცა მან პირველად დაუჭირა ხელი, მაგრამ მაშინვე იგრძნო, მაიორს რომ ვეღარ შეაკავებდა, რადგან წამიერ ჟინს კი არ იყო აყოლილი, არამედ ოდესღაც დაწყებულ საქმეს აგრძელებდა, განზრახვას ასრულებდა, თუმცა იმ განზრახვისა არაფერი გაეგებოდა ანას. ანამ ისიც იგრძნო, ხელს რომ ვერ შეუშლიდა მაიორს იმ განზრახვის აღსრულებაში, რადგან მაიორი პირველი კაცი იყო ქმრის მერე, რომელიც გამოექომაგა, რომელმაც მისი გულისთვის განსაცდელში ჩაიგდო თავი, და, რაც მთავარია, ანას მისი იმედი ჰქონდა, რა უნდა მოეტანა, რა უნდა შეეცვალა ამ იმედს — ანამ არ იცოდა, მას ერთი რამე უნდოდა მხოლოდ: გიორგა ენახა ფეხზე დამდგარი, დაბინავებული, დაწვრილშვილებული... ამას გულისხმობდა იმედში და აღარც კი უკვირდებოდა, ამ იმედმა რომ აიძულა სწორედ, ჯერ თათრის ხასობა და მერე მაიორის ცოლობა; ვერ ხვდებოდა, სწორედ ეს იმედი რომ იგდებდა აბუჩად და სწორედ ეს იმედი რომ აუპატიურებდა, ხან ტყაპუჭში და ხან მუნდირში გამოწყობილი. მერე მაიორი მისი ქმარი გახდა და უარესად წაეპოტინა იმედს. სხვა თუ არაფერი, დაუკითხავად ვეღარავინ მოუკაკუნებდათ შუაღამისას, პატრონი ეყოლებოდათ, ავი იქნებოდა თუ კარგი. მართალია, შვილს მამინაცვლის ხელში აგდებდა, მაგრამ პირველები ხომ არ იქნებოდნენ ისინი, მათი მოგონილი ხომ არ იყო გერობა და მამინაცვლობა, ქვეყანა ცხოვრობდა ასე და ზოგჯერ მამინაცვლები უფრო პატრონობდნენ გერებს, ვიდრე ნამდვილი მამები. რაღა მაინცდამაინც ისინი უნდა გამოერჩია ღმერთს, რაღა მაინცდამაინც ისინი უნდა გაეწირა? რა ცოდვა ჰქონდათ ასეთი, განსაკუთრებული, გამორჩეული, მიუტევებელი, თუკი თავად მათი არსებობა და გადარჩენის სურვილი არ ეთვლებოდათ ცოდვაში? ანა ქალი იყო

და მიღება და გამართლება უფრო შეეფერებოდა მის ბუნებას, ვიდრე უარყოფა და გამტყუნება, მაგრამ სულელი იქნებოდა, თავი ბედნიერად ჩაეთვალა, აჰყოლოდა სოფლის ქალებს, მის ბედს რომ შენატროდნენ მის გულში ჩაუხედავად. ანა უბედური იყო და ყველაზე მძაფრად გათხოვებამ დაარწმუნა ამაში. მაიორს გინდაც ყვარებოდა იგი, დამწვარი თითივით სულ იმის ფერებასა და სულის ბერვაში რომ ყოფილიყო, მაინც არ იქნებოდა ბედნიერი, რადგან ისა და გიორგა ახლა ერთ ჭერქვეშ კი არ ცხოვრობდნენ, როგორც დედა-შვილს შეეფერება, არამედ ერთ ეზოში, როგორც ადამიანი და საქონელი. მართალია, გვერდითაც შვილი ეწვა, მეორე შვილი, მაგრამ მოყოლილი კი არ იყო ისიც, მაიორისგან ჰყავდა და, ალბათ, მისი წყალობა იყო, შინ რომ აჩერებდნენ, მასაც გომურში რომ არ უგებდნენ ფიჩვებს, გიორგასავით. „მაგის ხნისას გომურიც არ მქონდაო“, — ამბობდა მაიორი, თითქოს დანაშაული იყო, სხვას ჰქონოდა ის, რაც მას არ ჰქონდა ბავშვობაში. ერთადერთი, რაც გიორგას უბედურმა მამამ მოახერხა, ის იყო, შვილს სახლი მაინც რომ დაუტოვა, ცის ქვეშ არ დააგდო, სამოწყალოდ არ გაუხადა საქმე, წვიმა და თოვლი არ დასდიოდა თავზე და რაკი საკუთარი სახლი ჰქონდა, მთლად წყალწაღებულად არ ითვლებოდა მტრისა და მოყვრის თვალში, რადგან საკუთარი სახლი, რაც არ უნდა დაუცველი და დაძველებული იყოს იგი, მაინც სხვის ციხესიმაგრეებს სჯობია, რადგან შენია, შენი ნაფიქრალით, შენი სუნითაა გაჟღენთილი და არა მარტო უტყვი მოწმეა შენი შიშისა თუ შიმშილისა, სევდისა თუ იმედისა, არამედ — მოზიარეც, თანამგრძნობელი და გამტანი. ტყუილად კი არაა ნათქვამი, საკუთარ სახლში კედლებიც ეხმარებიან ადამიანსო, ანამ კი, თავისი „გაბედნიერებით“ სახლიც მოუშალა შვილს, ასე გამოვიდა ბოლოს, მერე მიხვდა, როცა სახლის ნადგომზე, ამაზრზენად მოტიტვლებულ მიწის ნაგლეჯზე, ნესტიანი, დაობებული მიწით მოთხვრილი გიორგა დაინახა, უმწეო და საცოდავი, როგორც ბაკნიდან გამოგდებული კუ. მაშინ პირველად გაუჭირდა ანას შვილისთვის თვალის გასწორება, სანუგეშო სიტყვის გამონახვა რადგან ისიც პირველად იგრძნო მაშინ, შვილის დანუგეშების უფლებაც რომ აღარ ჰქონდა, რადგან ისინი ერთ ბედქვეშ აღარ იყვნენ, თვალსა და ხელს შუა გაყოფილიყო მათი გზა, ერთი რომ ეგონა, განუყოფელი, რადგან მას ქმარი ჰყავდა, გიორ-

გა კი ისევ უმამოდ დარჩენილიყო; მას სახლიც ჰქონდა, რადგან ჩიტისა არ იყოს, ქალის ბაღდადიც იქ არის, სადაც ბუდე ეგულება, გიორგას კი სახლი აღარ ჰქონდა. მაგრამ ღმერთი ხომ არსებობდა?! ღმერთს ხომ არაფერი დაემალებოდა?! ღმერთი არავის შეარჩენდა გიორგას დაჩაგვრას, ყველას პასუხს მოსთხოვდა და მათ შორის ანასაც. ესღა ასულდგმულებდა ანას, ამის იმედით იყო, რადგან რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, შვილისთვის რომ ეღალატნა, მისი გადარჩენისა და ბედნიერების მოსურნე, უნებურად, უჭკუობით, მისი დაღუპვისა და გაუბედურების მიზეზად ქცეულიყო. აკი უკვე სჯიდა ღმერთი! „დიდება შენს სახელს, — ჩურჩულებდა გათოშილ საწოლში, ქმრისგან მობრუნებული. — ასე, ზეზეურად დაგვალპე ორივენიო“..

ანა ქმრის ავადმყოფობას თავისადაც თვლიდა, დარწმუნებული იყო, ორივესთვის გამოეგზავნა იგი ღმერთს და ერთბაშად.

კი არ მოუღებდა ორივეს ბოლოს, არამედ — თანდათანობით, ტანჯვითა და წვალებით, რათა მიმხვდარიყვნენ, დაენახათ, რა. ცოდვით იყვნენ დაკავშირებულნი, რისთვის სჯიდათ ღმერთი; რომ უხურებდა ქმარს აგურს, საწოლიდან შუაღამისას მონა ქალივით წამოგდებული; ურეცხავდა შარდსგამოყოლილი სისხლით აქოთებულ საცვლებს და უწვებოდა კიდეც, რადგან უფლება არ ჰქონდა, შეეზიზღა, დამალვოდა სენს, რომელიც ღმერთს ჯერ მისი ქმრის სხეულში ჩაეთესა, რათა იქიდან მასაც გადასდებოდა, ისიც დაესვარა და დაელპო. ქმარი არ სძულდა, მაგრამ არც ეცოდებოდა, რადგან არც მის ქმარს ეცოდებოდა გიორგა, რომელსაც ღმერთიღა დარჩენოდა ქომაგად. ღმერთი მკაცრიც იყო და სამართლიანიც და ანას სხვა გზა აღარ ჰქონდა, ბოლომდე უნდა ეკისრა მხოლოდ და მხოლოდ მოურჩენელი სენით შედუღაბებული ოჯახის დიასახლისობა და, თუკი ამის ღირსი მაინც გახდებოდა, დალოდების უკეთეს დღეს, როცა ღმერთი გიორგას გაამარჯვებინებდა.

მაიორის ავადმყოფობა მართლაც ციდან ჩამოვარდნილს, ღმერთის გამოგზავნილს ჰგავდა. სახლისა და ეზო-კარის მშენებლობით ისე იყო გართული, აღარც კი ახსოვდა, საერთოდ

თუ არსებობდა ავადმყოფობა ქვეყანაზე. სახლს რომ მორჩა, იმოდენა გალავანი შემოავლო ირგვლივ, ცხენიან კაცს გაუჭირდებოდა მის ეზოში გადახედვა ორმა უღელმა კამეჩმა ძლივს მოათრია რკინის ვეება კარი და ოცმა კაცმა გმინვითა და ხვნეშით შეაბა ის კარი გალავანს. თვითონაც აშველებდა ხელს, ბავშვივით გახარებული და გაბედნიერებული, მაგრამ როგორც კი რკინის კარის სიმძიმემ რკინისავე ანჯამებზე გადაინაცვლა, თავზარდამცემად იგრძნო, რაღაცა რომ ჩაუწყდა მუცელში. ცივმა ოფლმა დაასხა და მკვეთრმა, სწრაფწარმავალმა ტკივილმა ერთი წამით გააოგნა, „ხომ არ მესროლესო“, ისიც კი გაიფიქრა, მაგრამ მალევე დამშვიდდა, ტკივილს აღარ გრძნობდა, თუმცა მთელი სხეული ისევ უცახცახებდა, თითგამოკრული სიმივით. არავის შეუმჩნევია მისი გასაჭირი და ამანაც გაამხნევა, ხალხი ისევ ალაყაფს იყო მისეული, ამოწმებდნენ: სანდოდ ეკიდა თუ არა რკინის კარი.

მეორეჯერ ტკივილმა სამი კვირის თავზე გაუხსენა, როცა უკვე დავიწყებულიც ჰქონდა იგი. ის იყო, აკვანში ჩაკრული ვაჟიშვილისკენ დაიხარა, ოფლიანი თმა უნდოდა გადაეწია, და ტკივილი ხანჯალივით დაეძგერა ფერდში. შემკრთალმა და გაოცებულმა მოათვალიერა ოთახი. ვერაფერი შეამჩნია უცხო და უჩვეულო. აკვანში მისი ნაშიერი ღუღუნებდა, ტახტზე მისი ცოლი იჯდა და გაჩქარებული იხვევდა ხილაბანდს ჯერ კიდევ სველ თავზე, ქმრის მოულოდნელი შემოსვლით შეცბუნებული.

იგრძნო, რა მშვიდი და მშვენიერი იყო სიცოცხლე, რა ძნელადშესალევი. ცოლიც უფრო ლამაზი და სანდომიანი ეჩვენა, სინანულით გაიფიქრა, დიდხანს რომ არ გააჩერებდნენ შინ, კიდევ გამოუჩნდებოდა მუშტარი. ცოლმა სახე აარიდა, თითქოს ფიქრს მიუხვდაო, და მუჭში გამოწურა თმის ბოლო.

მოულოდნელმა ტკივილმა აიძულა ცოლის სილამაზის დანახვა, თითქოს ლამაზი ცოლის პატრონს სიკვდილიც დაინდობდა.

და მართლაც იყო რაღაცა, დამამშვიდებელი, დამაამებელი, გულის გამკეთებელი თავდაბანილი ქალის არსებაში, რომელიც ეს-ესაა დაქალებულიყო თითქოს, ეს-ესაა დაჰპატრონე-

ბოდა საკუთარი სხეულის სითბოს და სინაზეს და საკუთარ სურ-ნელსა და ოხშივარში ნებივრობდა. ის კი, აქანავებულ აკვანზე დაყრდნობილი, წელში ვეღარ გამართულიყო, შუბლიდან და ყვრიმალებიდან დაძრული სიმწრის ოფლი ნიკაპთან უგროვ-დებოდა და მერე ნელა ეწვეთებოდა აკვანს, რომელშიც მისი სისხლი და ხორცი იყო ჩაკრული, უდარდელი და უმეცარი, რო-გორც კურდღლის ბაჭია, ბუჩქის ძირას რომ შეჰფარებია წვი-მას.

— მომეხმარე, დედაკაცო. — შეცვლილი, გაბზარული ხმით დაიძახა ქაიხოსრომ.

ჩვილი ატირდა, ალბათ, იფიქრა, მე მიწყრება მამაჩემიო.

მამამისი კი ვეღარაფერს ხედავდა, სანამ ცოლის სველი თმა არ შეეხო სახეზე. მხედველობა რომ დაუბრუნდა, ტახტზე იწვა და ცოლს ეხვეწებოდა: არ წახვიდეო. ჩვილი ჩხაოდა, მაგრამ ჩვილი მოიცდიდა, არაფერი სჭირდა საგანგაშო, მისახედი ის იყო მხოლოდ. გულაღმა იწვა და იმეორებდა: არ წახვიდე, არ წახვიდეო, თუმცა ცოლს არც უცდია ხელის წართმევა.

ცოლის პატარა ხელი გულზე ედო და სიამოვნებდა, გრძნობ-და, როგორ ეღვრებოდა შეშფოთებულ სულში ქალის ხორცის დამამშვიდებელი სიგრილე, ფერიცა და სურნელიც. ფიქრობ-და: ამის მერე სულ ასე ვიქნებით, ვინა მყავს ამათზე უკეთესიო. მაგრამ ტკივილთან ერთად ეს ფიქრიც გაუქრა და უხეშად მო-იშორა ცოლის ხელი.

— თქვენი ბრალია, თქვენი! — შეჰღრინა სახეში. — ის მაინც მითხარით, რა მჭირს, რა შემყარეთ ასეთი.

მაგრამ ანას მისთვის რა უნდა ეთქვა, როცა თვითონაც არ იცოდა. ქმრისგან გამოგდებული, ახლა აკვანს გადაემხო და ძუძუ მისცა აჩხავლებულ ჩვილს, რომელსაც ჯერ არაფერი გა-ეგებოდა ამ ქვეყნისა, ჯერ არაფერი იცოდა ჭამისა და ჩასვრის მეტი, მაგრამ რაკი გაჩენილიყო, ყურადღებასაც მოითხოვდა. ფეხებზე ეკიდა, სიყვარულის ნაყოფი იყო თუ სიძულვილისა. მერე ქაიხოსროს სისხლის დენა დაეწყო, შარდს აყოლებდა

სისხლს და პირველად რომ შეამჩნია ეს, მუხლი მოეკვეთა, ხელები ჩამოუცვივდა და შემაძრწუნებელი უმწეობით დანებდა ბედს, თუმცა როგორ, ანდა სადღა უნდა გაქცეოდა ამ ახალ საშინელებას, ამ ახალ მკვლელს, რომელიც თათარივით გარეგარე კი არ უვლიდა, სხეულში ჩასახლებოდა და როცა მოეხასიათებოდა, მაშინ მოუღებდა ბოლოს.

შინ რომ შემობრუნდა, ანამ ცოტას მორჩა შეჰკივლა, ცარიელი თვალებიღა იყო, გადმოცვენილი, მავედრებელი, შემცოდებლისა და მშველელის მაძიებელი თვალები; არაბივით გაშავებოდა პირისახე და ისე ნირწამხდარი იღიმებოდა, ანას საცოდაობისგან გული დაემდუღრა, არაფერი ენახა ამის მსგავსი. იმ დღის მერე ქაიხოსროსთვის შარდზე გასვლა სიკვდილმისჯილის სახრჩობელაზე გასვლას უდრიდა. მიდიოდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა, მიდიოდა, რადგან არ შეეძლო არ წასულიყო, თუმცა უკანასკნელ წუთამდე იკავებდა თავს, მაგრამ იმის იმედი, რომ შეიძლებოდა დღეს მაინც შეწყვეტილიყო სისხლის დენა, ისევ მიაძუნძულებდა ხოლმე მისთვის ესოდენ საბედისწერო კედელთან. ორივე ხელისგულით კედელს მიყრდნობილი, არაადამიანური, განუსაზღვრელი სიძულვილით დასცქეროდა იგი მოშავო-მოწითალო ნაკადს, შიშინით რომ იღვრებოდა მის ფეხებთან. ის სამიოდე ლიტრა სისხლი, რომლის გადარჩენაც ასე ძვირი უჯდებოდა ქაიხოსროს, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა და ინახავდა, ახლა აქოთებულ შარდს გამოჰქონდა სიკვდილგამჯდარი, შიგნიდან გამომპალი სხეულიდან და აღარაფერს შეეძლო მისი შეკავება. ამას თვითონაც გრძნობდა და ღამღამობით, სიკვდილზე ფიქრით შეძრწუნებული, გალახული ბავშვივით ქვითინებდა, ხმით, გულსაკლავად.

ვინ არ მოუყვანა, ვის არ გაასინჯა ზოსიმე მღვდელმა, ფურცლეს და ქექეს კარაბადინი (რომელიც მერე, კიდევ დიდხანს იდო მის სასთუმალთან), მაგრამ ამ უცნაური სენის ვერც სახელს მიაკვლიეს და ვერც წამალს. იმ ხანებში, საკმარისი იყო ჩაეთვლიმა, მაშინვე ორი თვის, უზარმაზარი ულვაშებიანი გოგო გამოეცხადებოდა ხოლმე და ყაფლან მაკაბელის ხმით, დინჯად, დარბაისლურად ეუბნებოდა: ეგრე გინდა, რად მიითვისე ჩემი გვარიო. რაღა ეს უნდოდა ქაიხოსროს. საწოლიდან წამოვარდნილი, ლამპით ხელში, გზააბნეული კაცივით დაბო-

რიალობდა ღამის წყვდიადით გაუცხოვებულ სახლში, რომლის კედლებშიაც თამამად და თავისუფლად მხოლოდ კარადისხელა საათის რკინის გული ფეთქავდა.

— მე მგონი, ყველაფერი ადგილისა და ჰაერის გამოცვლის ბრალი უნდა იყოს, — ამბობდა ზოსიმე მღვდელი. — მიჩვეულს ნუ გადააჩვევ და მიუჩვეველს ნუ მიაჩვევო, ამაშია ადამიანი ბუნების მთელი საიდუმლო. ინდოელი რომ მოკლა, ცივ წყალს ვერ დაალევინებ, ჩვენ კი, ცივსა ვართ მიჩვეულნი, კოკა დაორთქლილი უნდა იყოს. ერთი კაცი ყოფილა, თურმე, გველსა, ღრიანკალსა და ფუტკარს ხილივითა ჭამდა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! მეორე კი — ცოცხალ კატას; კუდით დაიჭერდა და მადიანად შეექცეოდა; უბრალო ვინმე კი არა, — სულთანი.

სახეს მაინც არ აბღორტნიდნენ იმ შეჩვენებულს?! ჩვენებურ კაცს ერთი ციცქნა კატის ხორცი რომ შეაპარო, დედის რძე არ შერჩება, ის კი უკატოდ ვეღარ ძლებდა. მიჩვეული იყო და იმიტომ. აი, რას ამბობს ფანასკერტელი, — ზოსიმე მღვდელი ზუსტად იმ ადგილას გადაშლიდა ხოლმე კარაბადინს, რომელიც სჭირდებოდა, მერე თავს ოდნავ უკან გადასწევდა, წიგნს მოაშორებდა სახეს და მსუქან თითს ნელა აყოლებდა სიტყვებს.

— „..ადვილად იქმნების.. ხო. და კაცი რომლისაცა თემისა არის, მის თემისა საჭმელი და სასმელი უნდა შეეწყოს, რასაც სასმელსა და საჭმელსა ნაჩუევი იყოს“. აგე, ნაჩვევი იყოსო.

— ხომ არ გგონია, მამაო, მთელი ჩემი სიცოცხლე გველებსა და ღრიანკალებს ვჭამდი, ანდა ცოცხალ კატებს?! — მწარედ, ღვარძლიანად იღიმებოდა ქაიხოსრო.

— არა მგონია, შვილო ჩემო, არა მგონია, მაგრამ ყველაფერი უნდა გამოვჩხრიკოთ, ავადმყოფობას ათასი მიზეზი აქვს. — პასუხობდა თვალებაჟუჟუნებული ზოსიმე მღვდელი, თითქოს განუწყვეტლივ იღიმებაო.

გარეგინას დუქანშიც სულ მაიორის ავადმყოფობაზე იყო ლაპარაკი. დუქანში წამსვლელ-მომსვლელს რა გამოლევდა, მარტო ურუქელები კი არა, მეზობელ სოფლებიდანაც მოდიოდ-

ნენ აქ ნავთისა თუ შაქრისა, მარილისა თუ ფართლისათვის, და საქონელთან ერთად მაიორის ავადმყოფობის ამბავიც გაჰქონდათ დუქნიდან, რათა თავისიანებში „ერთი კარგად მიეკითხმოეკითხათ, ვინმემ რაიმე წამალი ხომ არ იცოდა ამნაირი სენისა. ყველა თავს ვალდებულად თვლიდა, თუ არ ჩაერეოდა, დაინტერესებულიყო მაინც მისთვის უცხო ადამიანის ბედით; ბევრ მათგანს თვალითაც არ ენახა მაიორი და მხოლოდ გარეგინას ნალაპარაკევით იცნობდა. „მაშ ესაა სამართალი, — წუხდნენ, ვიშვიშებდნენ ქალები ურუქიდან ათეული კილომეტრებით მოშორებულ სოფლებშიც, ქმრებისაგან რომ შეეტყოთ ვიღაც თვალტანადი და კეთილშობილი მაიორის ავადმყოფობის ამბავი. — ამისთანა ვაჟკაცი მიწაში როგორ უნდა ჩადონ, როცა ჩემი დედამთილი, ღმერთო ნუ მიწყენ, ლამის ცას გამოეკეროსო“. მალე ალაზნის გაღმა-გამოღმა სოფელი არ დარჩენილა, სადაც ურუქელი მაიორის ავადმყოფობა სალაპარაკოდ და სადარდელად არ ჰქონოდა ხალხს გამხდარი. იცნობდა თუ არ იცნობდა, ყველას ეცოდებოდა „შახივით ვაჟკაცი“, რომელსაც თურმე „ეპოლეტებისა და ჩინ-მენდლების შუქი შარავანდედივით ედგა თავზე“. გარეგინა ყველას ყურს უგდებდა, ყველას რჩევასა და დარიგებას ცალკე ფურცელზე იწერდა, რათა ყველაფერი წვრილად მოეხსენებინა მაიორისთვის. „ეგ უკვე მითხრეს. ყველა ექიმი გამომივიდა!“ — ბრაზობდა მაიორი, უარესად აღიზიანებდა უაზრო და უშედეგო ყურადღება. „ერთმა, ჩემს ცოლისდასაც ეგა სჭირდაო, მაგრამ იმის მერე საუკუნე გავიდა და ახლაც კაჟივითააო“. — ცდილობდა მაიორის დამშვიდებას გარეგინა. „შენ თუ კარგი კაცი ხარ, ცოლისდის ამბები ასე კარგად საიდან იცი-თქო, — მიჰყვიროდა მოთმინებიდან გამოსული მაიორი უკვე კიბეზე დაშვებულ გარეგინას, გულში ბედსა და სამართალს რომ სწყევლიდა სიკეთის ასე გადახდისათვის. — თვიურში შეეშლებოდა-თქო... რა საერთო აქვს მაიორს შენს ბოზანკალა ცოლისდასთან-თქო!“ — მძვინვარებდა მაიორი.

— საოცარია, — ამბობდა ზოსიმე მღვდელი. — ვიბადებით, რათა შევცოდოთ, და ვიხოცებით, რათა განვიწმინდოთ.

— სიკვდილი განწმენდა კი არ არის, მამაო, სიკვდილი სიბინძურეა —პასუხობდა მაიორი. თან გაფაციცებული შესცქერო-

და მღვდელს, რამე რომ არ გამორჩენოდა მისი ნათქვამიდან.

— სიკვდილს გააჩნია. — აჟუჟუნებდა თვალებს ზოსიმე მღვდელი და ნელა, აუჩქარებლად წრუპავდა მუცლიანი ჭიქიდან სისხლივით სქელსა და ხასხასა ღვინოს.

— იქნებ მოყვასისთვის სიკვდილია ვარდივით სურნელოვანი? ჰა, მამაო? გიყვარდეს მოყვასი შენიო... ასე არ არის? — ნიშნის მოგებით ეუბნებოდა მაიორი და ერთბაშად ცლიდა ჭიქას. ნიკაპზე ღვინის მსუყე წვეთი უბრწყინავდა.

— მოყვასისთვის სიკვდილი ყველას როდი შეუძლია. ყველას თავისი სატკივარი კლავს. დაილოცოს ამ ღვინის მომყვანი. — ტუჩების წკლაპუნით ამბობდა მღვდელი.

იგი შეგნებულად ლაპარაკობდა მაიორთან სიკვდილზე, რადგან თავს ვალდებულად თვლიდა, მოემზადებინა სიკვდილისათვის. ხოლო მაიორის შფოთვა და წინააღმდეგობა არც აკვირვებდა და არც აბრაზებდა, თვითონაც ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და არც ღვთისმსახურება ავალდებულებდა, სხვებისაგან მოეთხოვა ის, რასაც, ალბათ, თვითონაც ვერ მოახერხებდა: უშიშრად და უდრტვინველად შეხვედროდა სიკვდილს, ოღონდ, მაიორისაგან განსხვავებით, მართლა სჯეროდა, ყველა სიკვდილი ერთნაირი რომ არ იყო, როგორც ყველა სიცოცხლე, მაგრამ არც ამის ცოდნა ნიშნავდა ბევრს, არც ეს იყო დიდი ნუგეში, რადგან ადამიანის სიცოცხლესაც და სიკვდილსაც არა თვითონ ადამიანი, არამედ უხილავი სული ქმნის და ადამიანი უმწეოა, იღონოს რამე. ზოსიმე მღვდელს მაიორი ეცოდებოდა, ეს იყო და ეს. თუმცა არ სჯეროდა, სასიკვდილოდ რომ გაეწირა იგი ღმერთს, რადგან საამისოს ვერაფერს ატყობდა გარეგნულად, მაგრამ თავს მაინც ვალდებულად თვლიდა, ხშირ-ხშირად მოენახულებინა სიკვდილის შიშით რწმენადაკარგული კაცი და თუ ვერ მოაქცევდა, გაერთო მაინც სიკვდილ-სიცოცხლეზე ზოგადი, სასხვათაშორისო ლაპარაკით, რომელიც კარგ გამგებს, შეიძლება, კიდევ გამოსდგომოდა რამეში.

— ყველას არ შეუძლიაო... მართალი ბრძანებაა. ნოემაც ვერ შესძლო მოყვასისათვის სიკვდილი და მოყვასთან ერთად და-

ღუპვას, ისევ მოყვასის ღალატი ამჯობინა. ასე არ არის? განა ასე არ სწერია ბიბლიაში? ნოეზე დიდი მოღალატე კაცობრიობას არ ახსოვს. იუდა ვინ მიგდია. ნოემ ადამის მოდგმა გაწირა. იმის მაგივრად, რომ გაეფრთხილებინა, არიქა, ვისაც როგორ შეგიძლიათ გადაირჩინეთ თავიო, იჯდა და კიდობანს აკოწიწებდა. ვინ იცის, თან ღიღინებდა კიდეც. ნოე ჩემი ღმერთია! — იყვირა მაიორმა და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადო, კი არ დადო — დააგდო. — ნოე ჩემი ღმერთია, რადგან სიკვდილი ყველას შეუძლია, გადარჩენა კი — არა.

— შენ სხვა რაღაცა გაწუხებს, შვილო ჩემო, და ვერ გითქვამს. — ზოსიმე მღვდელმა ჭიქას უსუნა. — ეგ ეგრეა, მაგრამ იმ კიდობნიდან ახალი სიცოცხლე ამოვიდა, ღვთისმორწმუნე და ღვთისმოშიში.

— ოღონდ იმ სიცოცხლესაც ფეხებს შორის იგივე გამოჰყვა, რამაც მისი წინამორბედი დაღუპა. — მიახალა მაშინვე მაიორმა.

— ისა.. — მღვდელს ჩაეცინა, ხელისგული ჭიქას დააფარა, თავი გადაიქნია და გააგრძელა. — ისა, შე კარგო ადამიანო, შარაზე გამოსაფენად კი არ მოუცია ღმერთს.

— გინდა, სიმართლე გითხრა? — მაიორი მღვდლისაკენ გადაიხარა, თითქოს ხმას ვერ მიაწვდენდა. — გინდა, სიმართლე გითხრა? — გაიმეორა. მერე ხელადას მისწვდა და ღვინო დაისხა ხელი უცახცახებდა, ღვინო მაგიდაზე ეღვრებოდა. — მე მეზიზღება მოყვასი ჩემი. — თქვა და გასწორდა. ჭიქა პირისკენ წაიღო, მაგრამ არ მოუსვამს, პირთან გააჩერა. მღვდელს თვალებში შესცქეროდა. მუნდირზე ღვინის წვეთი დაეცა და გაჭყლეტილი ბაღლინჯოს მსგავსი ლაქა დაამჩნია. მღვდელმა ლაქას შეხედა. მაიორმაც დაიხედა მუნდირზე უნებურად და თავისუფალი ხელი სხარტად ჩამოისვა ზედ, თითქოს მღვდლის მზერა მოკვეთა, მოიშორა, შეხოხებული მწერივით. — რა ვიცი, რომ მე მართლა მე ვარ, ანდა, ჩემი მოყვასი რომ მართლა ჩემი მოყვასია? — ჰკითხა გამომწვევად.

— ეგ რაღაცა ახალია. — ზოსიმე მღვდელს დაინტერესება შეეტყო. ისიც გადასწვდა ხელადას, შუამდე დაყვანილი ჭიქა გადაივსო და ერთი ყლუპით ისევ გაანახევრა. ჯერ ანაფორის კალთა გადაიფერთხა და მერე ჭიქას ძირი მოუმშრალა ხელისგულით.

— სრულებითაც არა. — მაიორმა სავსე ჭიქა ღვინის გუბეში ჩადგა. — ეს ყველაზე ძველი ეჭვია ადამიანისა, თანაც ყველაზე ვერაგი. არაფრით არ შეიძლება მისი შემოწმება. აი, მე ერთი მეგობარი მყავდა, მყავდა კი არა, მყავს, ცოცხალი იქნება, ალბათ. რა ჭირი ეცემოდა, ოთხი წლითაა ჩემზე უფროსი.

ხოდა, ის ჩემი მეგობარი ბავშვობაში ბოშებმა მოიტაცეს თურმე. მხოლოდ ორი წლის მერე უპოვიათ მშობლებს, შემთხვევით გადაყრიან რომელიღაც ბაზრობაზე. უპოვიათ, მაგრამ აღარც ბოშა ანებებდათ და აღარც იმას სდომებია მშობლებთან დაბრუნება, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მაინც წამოუყვანიათ. მერე მშობლები დაეხოცა და თვითონ გახდა მშობელი, ცოლიც ღვთისნიერი შეხვდა და დაფასებული კაციც გახლდათ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ამოიგდო გულიდან ეჭვი, რომელსაც მარტო მე მიმხელდა ხოლმე, ისიც სიმთვრალეში, რა ვიცი, რომ მართლა ჩემი თავი დაუბრუნეს მშობლებს ბოშებმაო. — მღვდელმა გაიცინა, ყელში ჩაირაკრაკა, პირწაქცეულ კოკურასავით. — განა სასაცილოა?! მთელი სიცოცხლე მშობლები ეჯავრებოდა და მთელი სიცოცხლე მისი მომტაცებელი და მისი გამყიდველი ბოშა ქალი ენატრებოდა. — დაამთავრა მაიორმა. მერე ჭიქა აიღო და სულმოუთქმელად დასცალა, წინ გადახრილმა და ფეხებგაფარჩხულმა.

ორივენი გაჩუმდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ სახეში.

აივნის მოაჯირზე ჩიტი შემოჯდა, მაგრამ მაშინვე წამოფრინდა. თითქოს არ ეგონა, აქ თუ დახვდებოდა მაიორი და მღვდელი. — რას არ გაიგებს კაცის ყური. — თქვა ზოსიმე მღვდელმა, ნაძალადევი გაოცებით, ზრდილობის გულისთვის, უპასუხოდ რომ არ დაეტოვებინა აღგზნებული მასპინძელი.

— მიდი და გაარკვიე. — თქვა მაიორმა. ჯერ ისევ იქ იყო. თავისსავე ნაამბობში. თვალები ბრჭყვიალა ნაპერწკლებით გავსებოდა, უციმციმებდა.

— შენ არ უნდა ამბობდე ამას. — ახლა მღვდელი გადმოიხარა მაიორისკენ. ღიმილმა ლოყები დაუნაოჭა. — ეჭვიანობაც სენია, ძნელად განსაკურნავი. — თქვა და ისევ გაიმართა, სკამის საზურგეს გადააწვა.

— ვითომ რატომ არ უნდა ვამბობდე მე?! — აიმრიზა ქაიხოსრო, — ეშმაკი კაცი ხარ, ქაიხოსრო, განა ტყუილად გცემენ პატივს ურუქელები. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. ჭიქა დაცალა და მაიორის ცარიელ ჭიქას ამოუყენა გვერდით.

ასე იყო თითქმის ყოველ დღე. აივნის რიკულებს შორის ლობიოს ყვავილი იჭყიტებოდა, ძაბრისმაგვარი, უსუნო და უფერული, მაგრამ მაინც მიმზიდველი, დამამშვიდებელი. ჩინური ჟასმინის ბუჩქს ფუტკრები ეხვეოდნენ. მაგიდა სველი, ერთმანეთში არეული წრეებით იყო მოფენილი, რომლებსაც ხელადის ძირი აჩენდა. „დილამშვიდობისა“, „შუადღემშვიდობისა“, „საღამომშვიდობისა“, — ისმოდა ორღობიდან, ისინი კი საუბრობდნენ და ვერც-კი ამჩნევდნენ, როგორ უახლოვდებოდნენ, როგორ ხდებოდნენ ერთმანეთისთვის აუცილებელნი, განსხვავებული ფიქრისა და გონების პატრონნი. „ცუდია, ხალხს რომ ღმერთის რწმენა დაეკარგა“. — ამბობდა ზოსიმე მღვდელი. „ღმერთისა თუ თქვენი?“ — ნიშნს უგებდა მაიორი. „ეგ ერთი და იგივეა, — პასუხობდა ზოსიმე მღვდელი. — ჩვენა, ძმაოსა, დიდი ძალა ვიყავით ადრე, გორგასალისთვის კბილები ჩაგვიმტვრევია“.

„ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“, — რეკავდა კარადისხელა საათი და საათისა არ იყოს, არც ცხოვრება ჩერდება ერთი წამით. ყოველ წამს რაღაც ხდებოდა, იბადებოდა ან კვდებოდა, ყვაოდა ან იხრწნებოდა, იკურნებოდა ან ავადდებოდა. მარტო ქაიხოსროს სენი იყო მარადიული, არც კლავდა და არც თავს ანებებდა, მაგრამ ქაიხოსრო თანდათან სენსაც შეეჩვია, გაიცნო, შეეხმატკბილა კიდევაც და ყოველთვის მომზადებული ხვდებოდა მის მორიგ შემოტევას, ცხელი აგურითა და ათასნაირი ბა-

ლახ-ბულახის ნახარშებით. თავშალი, რომელშიაც ანა ცხელ აგურს უხვევდა ქაიხოსროს, აილანძა, შეიტრუსა და ალაგ-ალაგ გამოიძენძა. აგური ხშირი გაცხელებისაგან, გაიმურა და უარესად განმტკიცდა. ასე რომ, ადვილი შესაძლებელი იყო, ამ ავადმყოფობით, ვიღაცის ცოლისდისა არ იყოს, მთელი საუკუნე ეცხოვრა ქაიხოსროს. ეგ იყო რომ, სენის ყოველი შემოტევის მერე, ტკივილებისგან, ნამშობიარევი დედაკაცივით, უძლურდებოდა და ორი დღე ცივი ოფლი გადასდიოდა სახეზე. მაგრამ სიცოცხლე ძველებურად მომხიბვლელი იყო, ძველებურად კი არა, უფრო მეტად. საკუთარი ვაჟიშვილი უკვე მამას ეძახდა, ვირზე მარტო ჯდებოდა, გიორგას ლოგინში ბაყაყებსა და ჭიაყელებს უყრიდა, ქათმებს ქვით უჩეჩქვავდა ნისკარტებს. ცოცხალ წიწილებს ყელამდე მარხავდა მზეზე გახურებულ სილაში და კიდევ ათასნაირ ოინბაზობებს იგონებდა მამისერთა და მამის იმედი პეტრე, პეტრიკელა.

თითქოს არაფერი უნდა ჰქონოდა ქაიხოსროს ბედთან სასაყვედურო, შეიძლებოდა უარესადაც აწყობილიყო მისი ცხოვრება, მაგრამ ერთ დღეს ურუქში მომხდარმა არაჩვეულებრივმა ამბავმა ისევ გაახსენა, სენზე უარესი მტერი რომ ჰყავდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი რომ იყო იმ მტრის გამოცხადება. ურუქელები მართლაც უცნაური შურისძიების მოწმენი გახდნენ. ვიღაცამ (თუ ვიღაცებმა) გარეგინა საკუთარი დუქნის კარზე ყურით მიაჭედა. გარეგინამ მთელი ღამე თითის წვერებზე გაატარა, რადგან მიჭედებისას, ტკივილის მოლოდინში, უნებურად ცერებზე აიწია, მერე კი ლურსმანმა აღარ გაუშვა და დარჩა ასე, ლეკურის მოცეკვავესავით, თითის წვერებზე შემდგარი. ხალხმა რომ თავი მოიყარა დუქანთან, გარეგინას სისხლის დენა უკვე შეწყვეტოდა, კარზე ჩამოწუწულ სისხლს ბუზები ეხვეოდნენ, ხოლო ქმრისა და მამის საცოდაობით გულდათუთქული ცოლ-შვილი იქვე, გარეგინას ფეხებთან ჩაცუცქულიყო და უმწეოდ შეზმუოდა ქვემოდან შიშითა და ტკივილით გაკერპებულ კაცს, უხმოდ და უდრტვინველად რომ იტანდა ამ არაადამიანურ ტანჯვას, წმინდანივით სუსტი და უდრეკი. როცა მჭედელმა სტეფანემ სისხლშემხმარი ლურსმანი ამოაძრო, მაშინ დაკარგა მხოლოდ გარეგინამ გონება, ფეხები მოეკვეთა, და დროზე რომ არ შეეშველებინა სტეფანე მჭედელს ხელი, მიწაზე მოადენდა

ბრაგვანს. მაშინ კი წამოცვივდა მისი ცოლ-შვილი და წივილ-კივილით მიესია, თითქოს სანამ ყურით იყო მიჭედილი დუქნის კარზე, არაფერი უჭირდა, ანდა თითქოს მართლა წმინდანი იყო და სანამ სხვებიც მიხვდებოდნენ ამას, თავად უნდა დაეტაცნათ მისი ნაწილები. ძნელი მისახვედრი არ არის, რა საშიში და თავზეხელაღებული უნდა ყოფილიყო გარეგინას მიმლურსმავი, რაკი მისმა ცოლ-შვილმა მთელი ღამე ვერც ხმის ამოღება გაბედა და ვერც გარეგინასათვის ქუსლების ქვეშ ქვების შედგმა, ოდნავ მაინც რომ შეემსუბუქებინათ მისთვის ტანჯვა-წამება. ვერც ქალს, ვერც ბავშვებსა და ვერც თვითონ გარეგინას ვერ ათქმევინა ვერავინ იმის სახელი. ძმრითა და არყით ყვრიმალებდაზელილი, ქრისტეს ნეშტივით გადალურჯებული და თვალებდაცეცებული გარეგინა უარის ნიშნად უღონოდ იქნევდა თავს და სუსტი, არაფრის მთქმელი, არაფრის გამო გაჩენილი ღიმილი დასთამაშებდა გადათეთრებულ ტუჩებზე. ვერაფრით რომ ვეღარ მოიშორა ცნობისმოყვარე ჭირისუფლები, ისიც კი თქვა, აღთქმა მქონდა დადებული და ჩემით მივიჭედე თავიო, მაგრამ რაღა თქმა უნდა, არავის დაუჯერებია მისთვის, აშკარა შურისძიებასთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ ვერც შურისძიების მიზეზი გაიგეს და ვერც შურისმაძიებლის ვინაობა.

— ასეა, როცა ქვეყანას პატრონი არა ჰყავს. — თქვა ვიღაცამ. ქაიხოსრო აიმრიზა, თითქოს მას გადაუკრეს სიტყვა, არც შენა ხარ დაზღვეული და ადრე თუ გვიან შენს სეირსაც ვნახავთო.

განსაცდელი განუწყვეტლივ არსებობდა, მაგრამ სხვა ვინ იყო დაზღვეული განსაცდელისაგან? ყველანი ერთნაირად დაუცველები იყვნენ, სიკვდილისათვის არც რკინის ალაყაფი არსებობდა და არც ქვიტკირის კედელი. სიკვდილისთვის მაიორიცა და გარეგინაც ერთნაირები იყვნენ: სიკვდილმა გარჩევა არ იცოდა, მაგრამ სიკვდილიცაა და სიკვდილიც. ქაიხოსრო კი უმტკიცებდა ადრე ზოსიმე მღვდელს, ყველა სიკვდილი ერთნაირიაო, მაგრამ ახლა ასე ხელს აღარ აძლევდა. ახლა ორნაირი სიკვდილი იყო მისთვის: ღმერთისმიერი და კაცისმიერი. პირველი გარდაუვალიც იყო და განურჩეველიც. ყველანი და მათ შორის ქაიხოსროც, ვალდებულნი იყვნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ მას, მაგრამ მეორე, კაცისმიერი სიკვდილი, რომლის შიშიც ჰქონდა ქაიხოსროს, თუკი სამართალი საერთოდ

არსებობდა ქვეყანაზე, არ უნდა ყოფილიყო იმდენად ბეცი, რომ მაიორი და დუქნის ბიჭი ვერ განესხვავებინა ერთმანეთისაგან. ქაიხოსრომ იცოდა, მისი ეპოლეტების ბრჭყვიალი ადამიანს ხელს რომ ვერ ააღებინებდა კაცის კვლაზე; ისიც იცოდა, რომ მას მერე, რაც ღმერთმა ადამიანს კაცის კვლა აუკრძალა, სინამდვილეში, ამით უარესად გაუმძაფრა მკვლელობისკენ მიდრეკილება და ისიც განუწყვეტლივ კლავდა თავის მსგავსს. რამდენჯერ შეუძრწუნებია თვითონ ქაიხოსრო ადამიანის სიმკაცრესა და სიმძვინვარეს, თავისიანების გარდა, რანაირი მკვლელობა არ უნახავს, რანაირი იარაღით არ კლავდა ხალხი ერთმანეთს სიძულვილის, სიყვარულის, სილაჩრისა თუ სიბრიყვის გამო. ათი მცნება ხომ სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა, ხოლო ადამიანობა — ამ ათი, ერთმანეთზე ძლიერი და ერთმანეთზე ძნელად მოსარევი თვისების დათრგუნვისა თუ მიჩქმალვის ცდა. ადამიანი ყოველთვის კლავდა ანდა ეკვლევინებოდა საკუთარ ძმას, რადგან სწორედ ძმის, მისი მსგავსის, მისი ჩამონაჭერის არსებობა აღიზიანებდა ყველაზე მეტად, მაინცდამაინც ძმის ხელობა ეგონა თავისაზე სარგებლიანიცა და იოლიც, მაინცდამაინც ძმის ხელშენავლები ქალი ეჩვენებოდა ლამაზად, და დარწმუნებული იყო, უძმოდ უკეთესად მოიწყობდა ცხოვრებას, იმ ხელობას მოეკიდებოდა, რომელიც ძმის არსებობის გამო მისთვის მიუწვდომელი გამხდარიყო და იმ ქალს დაისვამდა ცოლად, რომლის გაბახებაც უკვე დაესწრო ძმას. ეს ღმერთისაგან თავსმოხვეული წყევლა იყო და ერთადერთი გამოსავალი არსებობდა ამ წყევლისაგან გასანთავისუფლებლად: ყველაფერზე თვალის დახუჭვა, ყველაფერზე უარის თქმა, რაც თავისთავად შეუძლებელი იყო, რადგან ეს, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი არსებობის უარყოფამდეც მიიყვანდა კაცს, ძმის მკვლელობიდან — თვითმკვლელობამდე, რაც სრულებითაც არ არის საერთო ადამიანური თვისება და ღალატად, უმადურობად და უსინდისობადაც ითვლება, რამეთუ შენ, თვითმკვლელმა, შენს ორმოციათას ძმას არა მარტო ერთნაირობის რწმენა დაურღვიე, არამედ შენი მოკვლის შესაძლებლობაც წაართვი. ასე თუ იფიქრებდით, გამოდიოდა, რომ კაცი თავიდანვე გაეწირა ღმერთს. სიცოცხლე კი მიეცა, მაგრამ იმ სიცოცხლის დაცვა თვითონ კაცისათვის მიენდო, რადგან უკეთესად იცოდა, რა ძნელი მოსავ-

ლელი და შესანარჩუნებელი იყო იგი, — მით უფრო კაცისთვის, რომლის არსებაც ნაზსა და მტკივნეულ ქსოვილში იყო გამოხვეული და რომელსაც წყალიც ადვილად ერეოდა, ცეცხლიც, მიწაცა და ჰაერიც. მართალია, ქაიხოსროს ისეთი სახლი ედგა, ურუქელებსაც და ურუქზე შემთხვევით ჩამოვლილ მგზავრებსაც კისრები ეღრიცებოდათ, თვალს ვერ აშორებდნენ, სანამ თვალთაგან არ მიეფარებოდა იგი, მაგრამ სიკვდილისაგან ვერც ეს სახლი გადაარჩენდა ქაიხოსროს, რადგან სიკვდილი იმიტომ იყო სიკვდილი, არაფერს რომ არ შეეძლო მისი შეჩერება, მოსვლითაც აუცილებლად მოვიდოდა და მოგნახავდა კიდეც, გვარი კი არა, კანიც რომ გამოგეცვალა. ამგვარი ფიქრებით შეძრწუნებულსა და სასომიხდილ ქაიხოსროს თავისი ორსართულიანი, გალავანშემოვლებული და რკინის ალაყაფშებმული სახლიც ეჯავრებოდა და გვარიც, რომლისთვისაც სიკვდილისთვის გზა-კვალის არევის მიზნით შეეფარებინა თავი და ამით ერთხელ კიდევ გაპამპულებულიყო მხოლოდ, რადგან, როგორ უნდა დაეცვა იგი გვარს, როცა თავად გამქრალიყო, უკვალოდ გადაშენებულიყო, ცრუ შთამომავლის, ცრუ მემკვიდრის, ცრუპენტელას იმედზეღა დარჩენილიყო და ახიც იყო ალბათ, თუკი ისეთი ანჩხლი და კაპასი სისხლი ედგათ ძარღვებში მის წარმომადგენლებს, რომ ორი თვის ჩვილსაც ღაჟღაჟათი აბრუებდნენ. „უფალო, შეიწყალე, უფალო, შეიწყალე, — ჩურჩულებდა ძილგამკრთალი ქაიხოსრო და თითქმის მაშინვე შეუწყრებოდა ხოლმე საკუთარ თავს: ვის ავედრებ? თუ იცი მაინც, ვინ უნდა შეიწყალოს, უფალმაო?“

ქვეყანას კი მართლაც ფეხზე ეკიდა ქაიხოსროს განცდები.

დრო შეუფერხებლად მიიწევდა წინ, კარადისხელა საათის ისრებით გამოთვლილი და კარადისხელა საათის გუგუნით დადასტურებული. არავინ არ იცოდა, რა იყო წინ და, ამიტომაც, ყველანი ბრმად, ბრმად კი არა, რაღაცნაირი ძნელად ასახსნელი.

ხალისითა და მღელვარებით მიჰყვებოდნენ დროს, იდუმალისკენ, გაურკვევლობისაკენ, შეიძლება, არარსებულისკენაც, როგორც ბავშვები ეკლესიისკენ მიჰყვებიან უფროსებს ანდა სოფლის მოედნისაკენ, სადაც ქალაქიდან ჩამოსულმა მსახიო-

ბებმა წარმოდგენა უნდა გამართონ. მიწაც ძველებურად იღებ-
და ყველანაირ თესლს, მარადიული და იდუმალი, როგორც შო-
ბა და სიკვდილი; წარამარა იცვლიდა ჭრელაჭრულა კაბებსა და
თავსაფრებს, ალბათ, ჩამსახველის მისაზიდად, მერე კი, იწვა
და ისვენებდა ყელამდე ჩათბუნებული თოვლის ცივსა და სპე-
ტაკ ლოგინში, რათა ხელახლა მიეღო, გამოეტანა და მოეკლა.

5

რომ გეკითხათ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რატომ იქ-
ცეოდა ასე, რატომ ცდილობდა, არავის შეეტყო, არავის დაენა-
ხა, არავის გაეგონა, როგორ იპარებოდა იგი ღამღამობით ჩა-
ძინებული სახლიდან, კარადისხელა საათის მარად მომუშავე
მექანიზმით დაძაბული წყვდიადიდან, თვითონაც დაძაბული,
მუხლებაცახცახებული, მღელვარებისაგან გათოშილი და აღ-
გზნებული, ატაცნილი, განსჯის უნარს მოკლებული, გამოუვალ
მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცივით, რომლის ყოფნა-არ-
ყოფნაც ამ ნაბიჯზეღაა დამოკიდებული, რომელსაც მხოლოდ
ამ ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, სხვა ყველაფერი დავიწყნია,
ოჯახიც, სოფელიც, ეკლესიაც, რადგან მხოლოდ ასე, მხოლოდ
ამ გზით შეუძლია მოინანიოს, კი არ მოინანიოს, ერთი ორი
დღით მაინც ჩაიწყნაროს სინდისი, ერთი-ორი დღით, სანამ
ხელმეორედ გამოიპარება, ხელმეორედ შეუდგება ამ ეკლიან
გზას, მთვარის შუქით განათებულს, ვერაგულად გატრუნულს,
გაუთავებელს, გაუცხოვებულს მისივე წარმოდგენების, მისივე
შიშისა და მღელვარების გამო; ასეთივე გზით გადადიან, ალ-
ბათ, ცოდვილნი სულეთში, მაგრამ ისინი ერთხელ გადადიან,
ერთხელ და სამუდამოდ, მან კი, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ
უნდა გაიაროს იგი, მთვარის ყვითელი ფერფლით მოფენილი,
ხის ტოტებზე ჩამომხრჩვალი ჩრდილების ქვეშ მიმავალი, ხელ-
წაკრულივით შეძრული, შეტორტმანებული და ცარიელი,
მტკივნეულად, აუტანლად ცარიელი, როგორც მისი გონება, სა-
დაც ერთადერთი სიტყვა დაძრწის, დაფაჩუნობს, მხდალი და
გაუბედავი, შიმშილისაგან გამწარებული და გაჯიუტებული, რო-

გორც თაგვი ჩაბნელებულ სამზარეულოში. „შვილო, შვილო, შვილო“, — იძახის მისი გონება, — და აი, ისიც: საწოლზე წამომჯდარი, პატიმარივით ფერმკრთალი, გაოცებული და გაბედნიერებული ყურადღებით, თანაგრძნობით, მოულოდნელი სტუმრობით; სიბნელის, სიმარტოვის, გაუზიარებელი, გადაუხარშავი ფიქრისა და ოცნების.

დაღდასმული შუბლზე, თვალებს ქვემოთ, პირის კუთხეებში; მორიდებული, მოუხერხებელი, სიტყვაძუნწი და უსაზღვროდ, წარმოუდგენლად მადლიერი. ამ ერთი წამისთვის ღირს სიცოცხლე, ამ ერთი აკრძალული წამისთვის, და ისიც ბედნიერია, აღარ ღელავს, აღარ ეშინია, თითქოს სამშვიდობოსაა.

თითქოს მდევარს დააღწია თავი, იქ არის, სადაც უნდა იყოს.. უბედურ საყვარლებს უფრო გვანან, ვიდრე დედა-შვილს. შვილი საბნის ქვეშ უნებურად ფეხებს იკეცავს, ჩამოსაჯდომი ადგილი რომ მოუცალოს დედას. ისიც ჯდება. უაზროდ მომღიმარნი, უმიზეზოდ დარცხვენილნი შესცქერიან ერთმანეთს.

ცალი ხელი ისევ წინსაფრის ქვეშა აქვს ამოდებული (ცოტა ხნის მერე თვითონვე გაეცინება საკუთარ დაბნეულობაზე, „რამ გამომაშტერაო“, — იტყვის და ოდნავ წამოიწევს, სასთუმლის ქვეშ რომ ამოუდოს შვილს შინ მოპარული ვაშლი, — ჩურჩხელა თუ ნაზუქის ნაჭერი), მეორე ხელით ქვეშაგებს ეფერება, შეფარვით ამოწმებს ლეიბის სირბილეს, საბნის სისქეს, ზეწრის სისუფთავეს. თან იქაურობას ათვალიერებს, თითქოს პირველადაა, თითქოს მოსწონს იქაურობა, თითქოს კმაყოფილია, ასე კარგად რომ მოწყობილა მისი შვილი. მას კი, აქ მოსვლამდე, რაღა არ ელანდებოდა. რაღას არ ფიქრობდა, რაღა არ წარმოიდგინა „ღმერთო, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. შენ გაამარჯვებინე ჩემს უბედურ გიორგის!“ გომურის ერთ კუთხეში სახედარი ატუზულა, უფრო სწორედ, სახედრით ჩახურებული და ჩამუქებული წყვდიადი, ოდნავ შეშფოთებული, ოდნავ შეძრული მისი გამოცხადებით, თითქოს ესეც მოსწონს, დიდხანს იყურება ჩამუქებული კუთხისაკენ ცნობისმოყვარე სინაზითა და თანაგრძნობით. დრო კი გადის, ახლა უფრო სწრაფად გადის და ყოველი წამი ძვირფასია, ყოველი წამი, შეიძლება, საბედისწერო გახდეს. ორივეს ეტყობა შეშფოთება, მოუსვენრობა, თუმ-

ცა არც ერთმა არ იცის, რა აშფოთებს, რას აშავებს. „წადი ახლა“ — ეხვეწება შვილი, ჩურჩულით, მხურვალედ, თითქოს სატრფოს დარჩენას სთხოვდეს. შეიძლება, გრძნობენ კიდევაც, უარესად რომ აშორებთ ეს წამიერი, ნაქურდალი სიახლოვე, მაგრამ რაკი ერთხელ დაყაბულდნენ ასე ცხოვრებას, ახლა სხვა არაფერი შეუძლიათ, ამისიც მადლობლები არიან და უარესის ეშინიათ, უარესის მოლოდინი აწუხებთ, თუმცა ერთმანეთს უმალავენ.

როცა ერთად არიან, არ შეუძლიათ უარესზე იფიქრონ და ერთი ვენახის ამბებს ყვება, მეორე კი სახლისას. „წადი, წადი, დაიძინე, ცოტა გყავს მოსავლელი“. — ეხვეწება, ემუდარება, ელოლიავება შვილი. „დღითი დღე უარესდება, მამამისივით სულ იღრინება. როგორ უნდა იცხოვროს ასე“. — ჩურჩულებს ისიც და უცებ ორივე რინდდება ყურდაცქვეტილნი, კისერმოღრეცილნი სხედან, პირზე სიტყვა შეყინულნი, ქანდაკებებივით უსიცოცხლონი, გაქვავებულნი, დამთავრებულნი, დატყვევებულნი საკუთარი უძრაობითა და უსახსრობით. ორსართულიან სახლში კარადისხელა საათი რეკავს. გომურის კედელშიც აღწევს მისი დაძაბული, მბრძანებლური, დამთრგუნავი ხმა. სახედარი უარესად იკუნტება კუთხეში, ეშინია ამ ხმისა, ყოველთვის მოულოდნელად რომ შემოიჭრება ხოლმე სოფლური ღამის სიმყუდროვეში. კარადისხელა საათი შინიდან გაპარულ დიასახლისს უხმობს. ახლა კი, მართლა აღარ შეიძლება დაყოვნება, საათის ხმამ ყველაფერი მის წინააღმდეგ აამხედრა: ჰაერს ეკალი გამოესხა, მთვარის შუქი ნაღველივით გამწარდა, ტუჩებზე გადაიგლისა, ტოტებზე დაკიდული ჩრდილები კი არ ირხევიან, ფართხალებენ, თითქოს საათის ხმამ გააცოცხლა და ხელმეორედ იხრჩობიან, მიწაც აიბურძგნა, აიტალღა, ყოველ წუთას უვარდება ფეხი წყვდიადით შენიღბულ ღრმულში, კიბეც გაიჭიმა, საფეხურები უარესად მოშორდნენ ერთმანეთს, ლამის აფოფხდეს ზედ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უკვე შინაა. ქაიხოსრო ხვრინავს, პეტრეს საბანი გადახდია. მივა და დააფარებს. არა, ჯერ თვითონ გაიხდის, მოშინაურდება, ჯერ ყოველნაირ კვალს მოსპობს ღამეული პაემანისას და მერე დააფარებს პეტრეს საბანს.

— სად იყავი? — ჰკითხა პეტრემ.

— რატომ არ გძინავს? — შეუბრუნა კითხვა ანამ.

— განა არ ვიცი? — თავი გადაუქნია პეტრემ.

ანამ უნებურად პირზე ხელი მიაფარა.

— ჩუმად, ჩუმად. მამა არ გააღვიძო. — შეევედრა ჩურჩულით და უაზროდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეუცხოვა იქაურობა, თითქოს ეს წუთია, გამორკვეულიყო სიზმრიდან და ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გონზე მოსვლა.

— ის უფრო გიყვარს, ის... — პირიდან ძალით მოიშორა დედის ხელი პეტრემ.

— არ თქვა! — უყვირა ანამ. მერე ისევ ჩურჩულით გააგრძელა. — არ თქვა. შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ.. დაიძინე...

გეხვეწები.

მერე, საკუთარი საქციელით გაოცებული, ორივე ხელს ურტყამდა პეტრეს მოწყვეტილად, გამეტებით. ხორცი ეწვოდა, ძვლები სტკიოდა, მაგრამ მაინც ურტყამდა, თითქოს სახრით მატყლსა პენტავდა, თითქოს მობეზრებოდა ეს საქმე და ცდილობდა, მალე მოეთავებინა, დაეძლია ტკივილიცა და დაღლილობაც, რადგან ახლა რომ შეესვენა, მერე კარგა ხანს ვეღარ მიუბრუნდებოდა. „ნაბიჭვარია, ნაბიჭვარია, ნაბიჭვარია“, — თითქოს მის ხელებს აყოლებდა ხმას ბალიშაფარებული, დაკლაკნილი, დაუშნოვებული პეტრე. ის კი, ურტყამდა, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, თითქოს მაჯებზე ქვები შეუბამთო. გმინავდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ აღარც გაჩერება შეეძლო, საკუთარი ტკივილი მიერეკებოდა, საკუთარი ტკივილი უწუოდა ყურებში, სისხლმოწყურებული კოღოსავით, და ვერ მოეშორებინა, ვერ შეეტოვებინა შვილის სხეულისათვის, რათა იმასაც გაეგო მისი სიმწარე, გაეგო და მიმხვდარიყო, რას უძლებდა, ამდენი ხანი რას ითმენდა იგი. გონზე რომ მოეგო, პეტრე ტახტის ბოლოში ჩაცოცებულიყო, კედელს აჰკვროდა, პერანგშემოფლეთილი, შემცბარი და შემკრთალი.

ღია კარში ლამპის შუქით განათებული ქაიხოსრო მოჩვენებასავით ჩამდგარიყო. ანამ ტახტის წინ დაიჩოქა, სახე შვილის აწეწილ ლოგინში ჩადო და აქვითინდა, აზმუვლდა, ასლუკუნდა, გალახული, დამარცხებული, განწირული.

არც ქაიხოსროსა და არც პეტრეს არასოდეს აღარ გაუხსენებია მისთვის ეს ღამე. თვითონ კი, ვერ ივიწყებდა, ვერ ეპატიებინა თავისთვის წამიერი სიგიჟე, ქმრისაც რცხვენოდა და შვილისაც, სირცხვილის გრძნობა დანაშაულის გრძნობასაც უღვიძებდა და უარესად ითრგუნებოდა, უარესად ბეჩავდებოდა მისი ისედაც მორჩილი და მორიდებული ბუნება. იმდენად უდანაშაულო შვილის გალახვა კი არ აწუხებდა, — პეტრე მართლაც არაფერ შუაში არ იყო იმ ღამეს, — რამდენადაც საკუთარი სიმკაცრე, საკუთარი თავშეუკავებლობა და სითამამე.

ესოდენ უცხო და შეუფერებელი მისთვის და, ამიტომაც, სასაცილო, დასაგმობი, გასაპამპულებელი, როგორც მთვრალი ბავშვი, სამზარეულოში უმეთვალყუროდ დარჩენილს, უზომოდ რომ უყლაპია ტკბილი ნუნუა და თვითონაც ვერ გაუგია, რა ამბავია მის თავს, რატომ ტრიალებს ჭერი, რატომ ერევა გული, რატომ კრავენ აქეთ-იქიდან ასე უხეშად ხელს უსაშველოდ სახეგადიდებული უფროსები, რატომ აწვენენ ძალით, რატომ ადებენ სველ ტილოს შუბლზე, რომლის შეგრძნებაც უარესად ურევს გულს, რატომ ყირავდება ტახტი თავისით და რატომ ცდილობს, გაოჩნებული სახედარივით, მის მოშორებას, მის გადაგდებას სადღაც, თვალჩაუწვდენელ უფსკრულში.

გამოფხიზლება ამაზრზენია, მტანჯველი და დამაკნინებელი, მით უფრო პირველი და უნებლიე სიმთვრალის შემდეგ.

ანას თვალის გასწორება უჭირდა ქმარ-შვილისთვის და ამას ისინიც ატყობდნენ. ქაიხოსროს არც უკითხავს, რას ერჩოდი, რა გინდოდა იმ შუაღამისას ბავშვისგანო, არც პეტრეს უჩვენებია უმიზეზოდ დალილავებული ხორცი, მაგრამ გიორგას გომურში იმდენი წყალი შეასხა, მთელი იატაკი დაატბორა და საღამოს ვენახიდან მობრუნებული გიორგა იძულებული გახდა, ისევ ვენახში წასულიყო და იქ, თალარის ქვეშ, ნამჯასა და ძველი თექის ნაკუწებზე გაეთია ღამე. ისევ გიორგა დაზარალდა

და ისევ ანას მიზეზით. განა შეიძლება უარესი სასჯელის გამონახვა დედისთვის? ღმერთს მხოლოდ სიყვარულის უნარი მიეცა, ცხოვრება კი სიძულვილს ათესვინებდა. მის ნავალზე შხამიანი ბალახი ამოდიოდა და ის ბალახი, უპირველეს ყოვლისა, მისი მეორე წყება ქმარ-შვილის თვალებში ხასხასებდა. კი მაგრამ რატომ? თუ ასეთი ცუდი იყო, რატომ უვარდებოდნენ შინ? რატომ არ დააყენეს თავის ობოლთან და მკვდარ ქმართან ერთად? ის ხომ არაფერს თხოულობდა, არაფერს ჩიოდა, არაფერს, არაფერს, არაფერს... მკვდარი ქმრისთვისაც არ უთქვამს საყვედური, უპატრონოდ რომ მიატოვა.

მომღიმარი რომ წავიდა სასიკვდილოდ, დაუფიქრებლად რომ შეელია ორი თვის მოყვანილ ცოლს, დაკარგული მიწებისთვის, მაგრამ რა ეჭარბელაქნებოდა, როცა საკუთარი, ერთი მტკაველა ეზო-ყურის დასაცავადაც არ ეყოფოდა ჯანი, იმდენი მტერი ჰყავდა, თურმე, ზურგს უკან ჩასაფრებული. „მგონი გვეშველა ქართველობასო“, — ეჩურჩულებოდა იგი ცოლს წინა ღამეს და ისეთი აღგზნებული, ისეთი გახარებული იყო, ანას ენა ვერ მოუტრიალდებოდა მისი აღტაცების, მისი სიხარულის გასაქარწყლებლად, თუმცა გული უტიროდა, ქალი იყო და სხეულითა გრძნობდა, სასიკეთო არაფერი რომ მოყვებოდა ამ ამბავს, „სულელო, — ასე უნდოდა ეთქვა ანას ქმრისთვის. — სულელო, მე ვარ შენი მიწის მიწა და შენი სამშობლოს სამშობლოო“, — მაგრამ ვერ უთხრა, ვერც ეტყოდა, ამას თვითონ უნდა მიმხვდარიყო, ეს ისედაც უნდა სცოდნოდა, რადგან სამშობლო ოჯახიდან იწყება და თუ ოჯახს მოუშლი კაცს, ცოლს გაუბახებ, შვილს ნაბიჭვრად გამოუცხადებ, მისთვის სამშობლო ჩვეულებრივ მიწა-წყლად იქცევა მხოლოდ, საძოვარ და სათეს ფართობად, რომელიც არსად არ იწყება და არც არსად მთავრდება, რადგან ცისქვეშეთმი მიწა ყველგან მიწაა და წყალი ყველგან წყალია, მაგრამ იმას, ოჯახმოშლილს, ცოლგაბახებულს, შვილდაკარგულს, ქვეყნის მკვიდრი კი აღარ ჰქვია, არამედ მაწანწალა, რომლისთვისაც უკვე სულ ერთია, რომელ ცის ქვეშ, რომელ ჭიშკართან გამოუტანენ სამადლოდ ერთ ლუკმა პურსა და ერთ ყლუპ წყალს. ანამ ეს თავისი ბუნების, თანდაყოლილი ქალური სიბრძნის წყალობით იცოდა, მაგრამ იგივე ბუნება და სიბრძნე გაჩუმებასაც ავალდებულებდა, ვერ დაუშლი-

და სასიკვდილოდ მიმავალ ქმარს ჭეშმარიტი თავისუფლების განცდას ჭეშმარიტად მის კუთვნილ მიწაზე.

„ახლა რაღაზე ტირიხარო“, — ეჩურჩულებოდა, ეფერებოდა, ყურის ბიბილოს უკოცნიდა ქმარი და ისიც სლუკუნით, ცრემლითა და კოცნით გახურებული, შეშუპებული ტუჩებით პასუხობდა:

მიყვარხარ და იმიტომო. „ვიღუპებით და იმიტომო“, — უნდოდა ეთქვა სინამდვილეში, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ერთი და იგივე იყო. ქალი არსებულის მსახურია და არა წარმოდგენილისა, რაღა თქმა უნდა, ავისა და კარგის გარჩევა იმასაც შეუძლია, მაგრამ ცაში გაჭიმულ წეროებს თავის საქათმეში ჩაბუდრებული ქათმები ურჩევნია, მისთვის მთავარი ის არის, რასაც თვალი და ხელი მოეკიდება, მოვლა და პატრონობა სჭირდება. ის ძველს კი არ ანგრევს ახლის შესაქმნელად, არამედ ძველშივე ქმნის ახალს, კაცისაგან განსხვავებით, ყველაფრის თავიდან დაწყებას კი არ ცდილობს, არამედ — გაგრძელებას, რადგან უფრო მძლავრადაა დაკავშირებული მიწასთან, უფრო ენდობა, უფრო სჯერა მიწისა. მიწას მოწყვეტილი ქალი უმწეოა, რადგან სხვა არაფერია იგი, თუ არა მიწისა და მიწიურობის განსახიერება. ქალი, როცა სიყვარულს უხსნიან, მიწას დასცქერის, თითქოს იქ, მიწის დაღარულ სახეში ამოიკითხავს პასუხს, თითქოს სანამ მიწა არ მისცემს ნებას, უფლება არა აქვს, აჰყვეს გულისთქმას. ქალი მიწაზე წვება, როცა უყვარს, ანდა, როცა მშობიარობს, და სადაც არ უნდა დაწვეს იგი, ყველგან შინაა, უფრო სწორედ, სადაც ქალი წევს, იქაა ყველასათვის მარადიული სახლი, იმისთვისაც, ვინც ბრმად, ვნებისმიერ ნეტარებას აყოლილმა ახალი სიცოცხლე უნდა ჩასახოს და იმისთვისაც, ვინც ვნებისმიერი ნეტარების შედეგად ასევე ბრმად უნდა დაიბადოს. დაწოლილი ქალი ღვთაებაა, ის ქმნის, რადგან უყვარს და უყვარს, რადგან ქმნის, მაგრამ რა იცოდა ანამ, რომ თვითონვე გაუჩენდა მტერს მისი პირველი და ერთადერთი სიყვარულის ნაყოფს, რა იცოდა, ბოროტებას რომ სჩადიოდა, თორემ საკუთარი ხელით ამოიშანთავდა საშოს, ბალიშით მოგუდავდა აკვანშივე და თვითონაც ჩამოეკიდებოდა თოკზე, მაგრამ განა მიწამ იცის, რისი თესლი ღვივის მის წიაღში, ანდა, განა მიწა ერთმანეთისაგან არჩევს ვაზსა და ძაღლყურძენას, განა ერთნაირად არ კვებავს ორივეს და განა ორივენი ერთნაირი

სიფრთხილით, ერთნაირი სიძლიერით არა ჰყავს გამობმული ყოვლის ამტანსა და ყოვლის შემწყნარებელ გულზე? ასე იყო ანაც. ანაც ამ გაუნელებელ ცეცხლში იყო ჩავარდნილი და ისეთი არავინ ჰყავდა გვერდით, თავისი უბედურება რომ შეეჩივლა. ქმარს იგი აგურის გასაცხელებლად და ჯავრის ამოსაყრელად სჭირდებოდა მხოლოდ; გიორგას კი, მის დანახვაზე ისე უბრწყინდებოდა სახე, ენა მუცელში უვარდებოდა, შვილის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება უარესად აჩანაგებდა, სიცოცხლეს აზიზღებდა და სიცოცხლეს ავალდებულებდა კიდევაც, რადგან ის ერთადერთი ბედნიერებაც არ მოეშალა, რომელსაც უბრალოდ მისი არსებობა ანიჭებდა გიორგას, გიორგასაც და მასაც, რადგან გიორგას თვალებში ის ქალწულივით უბიწო დარჩენილიყო, გიორგას კბილა გოგოდ, კაბაგადაცმულ ოცნებად, — იმედად, სიმშვიდედა და სიხარულად. გიორგას თვალებიდან გიორგას სულში ხელმეორედ დაბადებული, სამუდამოდ დაკანონებული, ღვთაების ხატივით მარად უცვლელი ანა იმზირებოდა და ნამდვილ ანას, ცვალებადს, წარმავალსა და მოკვდავ ანას, ამ უცვლელი, ამ მარადიული და ამ უკვდავი ანას გამჩენის გამჩენ ანას რა უფლება ჰქონდა, მოესპო საკუთარი სიცოცხლე, შვილისთვის ხელიდან გამოეგლიჯა თიხა, რომლისგანაც იგი დედის უკეთეს ორეულს ძერწავდა. ხოლო პეტრეს იმოდენა გულიც არ გააჩნდა, დედისთვის რომ მეორე შვილი ეპატიებინა, მასზე ადრე გაჩენილი, მაგრამ მასზე უუფლებო, რადგან იმას გერი ერქვა, თავად კი — ვაჟიშვილი. შეიძლება, ეჭვიანობდა კიდეც პეტრე გიორგაზე, მისი პირველობა შურდა, ვერ შელეოდა იმ პირველ დედობრივ კოცნას, რომელიც მან კი არა, გიორგამ დაიმსახურა, იმ პირველ ყლუპ რძეს, რომელიც მან კი არა, გიორგამ გამოწოვა დედის ძუძუს, — მაგრამ ეს შური, შეიძლება ითქვას, ეს ბუნებრივი შური, სიძულვილში არასოდეს არ გადაეზრდებოდა ალბათ, გიორგაც რომ მამამისის შვილი ყოფილიყო. გიორგა სხვა იყო, სხვისა იყო, გულის ნახევარი სხვაგან ჰქონდა, ამ კედლებს გარეთ, მამიკოსთან, თუკი საერთოდ ჰყავდა მამა, ჩამსახველი კი არა — მამა. პეტრეს მამა ჰყავდა და მამისთვის პირველი შვილი იყო იგი, მამისთვის პირველი, დედისთვის კი — მეორე, კოჟანდარი, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, დედამისს მამამისამდეც შეეცოდა, როგორც მამამისი ამბობდა „რაღაც-რაღაცეები ეეშმაკა“,

„სულს წაეძლია“, მაგრამ პეტრე სრულებითაც არ იყო ვალდებული, დედის ძველი ცოდვების გამო პირველობა დაეთმო ვიღაცისთვის თავის საკუთარ სახლში, იმ ვიღაცას კეთილი ენება და იქ დაეჩემებინა პირველობა, საიდანაც გამომტყვრალიყო, აქ პეტრეს სახლი იყო, ნამდვილი მაკაბელი პეტრე იყო, ის ვიღაცა კი მხოლოდ მაკაბელობდა. მართალია, ის ვიღაცაც დედამისს გაეჩინა, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმაროდა, ძმად რომ ჩაეთვალა იგი პეტრეს. სულო ცოდვილო და, ძაღლი რომ გაეჩინა დედამისს, განა ის ძაღლი და პეტრე ძმები იქნებოდნენ? თუმცა, დედამისს თუ დაუჯერებდა, ძაღლიც ძმად უნდა ჩაეთვალა, რადგან ერთ მუცელში მჯდარიყვნენ და ერთი ძუძუ ეწოვათ. კი, ასე იყო, პეტრე და გიორგაც ერთი მუცლიდან დაიბადნენ, ერთი ძუძუ ჰქონდათ ნაწოვი, მაგრამ გიორგა მაინც არ იყო ნამდვილი მაკაბელი, რადგან სხვა მამა ჰყავდა, სხვა სისხლის, სხვა გვარის, სხვა ჭკუა-გონების. — ძმები არა, ტოროლა! — ყვიროდა პეტრე, როცა დედამისი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა ხოლმე მისი გულის გახსნას, აჩუყებას, დანამუსებას.

პეტრეს დედა უყვარდა, მაგრამ სიყვარული ერთია და სამართლიანობა მეორე. დედამისი ვალდებული იყო, ეთრია თავისი ცოდვის ნაყოფი, რაკი გაეჩინა, უნდა ეპატრონა კიდეც, მაგრამ პეტრეს ხარჯზე რატომ უნდა მომხდარიყო ეს? პეტრე პატიოსნად ელოდებოდა თავის რიგს, ის კი, ურიგოდ გამოხტა წინ, უკანონოდ მოინდომა პირველი ვაჟის უფლებების მოპოვება, მაგრამ, ღვთის წყალობით, სამართალიც არსებობდა ამ ქვეყანაზე და კანონიც.

— მადლობა თქვი, მამაჩემი პურს რომ აჭმევს, — ეუბნებოდა კოპებშეკრული პეტრე დედას. — რაღაი გაპატიეთ, განა სულ თავზე უნდა დაგვასვა?!

ანას ნაღველი ჩაექცეოდა ხოლმე გულ-მუცელში, ენა უქვავდებოდა და სხვას რომ ვერაფერს ახერხებდა, გაკვირვებული ღიმილი ეყინებოდა სახეზე.

— რას მიცინი? ტყუილს ვამბობ? — ვერ ხვდებოდა დედის ღიმილს პეტრე. „ყველა გზა მოვუჭერიო“, — ფიქრობდა გულში.

— რატომ მუცელში არ გამიწყალდი, შვილო. — ბოლო-ბოლო, ისეთი ხმით ამოიღმუვლებდა ანა, პეტრეს კანი ებურძგნებოდა და, ცოტა არ იყოს, შემკრთალი თუ შეცბუნებული გაეცლებოდა ხოლმე იქაურობას.

„შვილო, შვილო, შვილო, როგორ უნდა იცოცხლო ასე, შე უბედურო“, — მოთქვამდა გულში ანა. ასე გადიოდა დრო მაკაბელების გალავანშემოვლებულ სახლში, საიდანაც მედილეგეს ნაბიჯებივით ისმოდა კარადისხელა საათის ერთფეროვანი გაუთავებელი, ერთმანეთზე გადაბმული, ერთმანეთის მიმყოლი, მოკლე ბიძგების მაგვარი ხმა. ერთ დღეს კი, გიორგა დაიკარგა, საღამოს აღარ მობრუნდა ვენახიდან, მაგრამ იფიქრეს, ალბათ, ვენახში დარჩა ღამის გასათევადო. მეორე დღეს პეტრემ ჩააკითხა, იმის გასაგებად კი არა, რამე ხომ არ უჭირსო, ისე, ჩვეულებისამებრ: დასახედად, როგორ მუშაობდა, როგორ მისდიოდა საქმე. ვენახში მარტო სახედარი დაუხვდა. პეტრეს ფეხის ხმაზე თავი ასწია და დიდხანს უყურებდა. თვალის გარშემო თეთრი ბალნის ვიწრო ზოლი გასდევდა, თითქოს ცარცით შემოუხაზავთ, უკეთესად რომ გამოჩნდეს მისი წყლიანი, სათუთად ამობურცული თვალიო.

— სადაა შენი ამხანაგი? — ჰკითხა პეტრემ. — ჩვენი ბიჭი — არ დაგინახავს?! — გასძახა მომიჯნავე ვენახში მომუშავე გლეხს. — მეც ეგ არა ვთქვი, კაცო... გუშინდლიდან არ გამოჩენილა. — უპასუხა ბარის ტარზე დაყრდნობილმა გლეხმა. ცერა თითი ნესტოზე მიიჭირა და მეორე ნესტოდან ხმაურით გამოიგდო წვინტლი. რაღაი დრო იხელთა, ეს საქმეც მოითავა.

— გუშინდლიდანო?! — გაუკვირდა პეტრეს.

— მააშ. — გააგრძელა გლეხმა.

— ეგე, ოჯახის მარჩენალი, დაუგდია ვენახი ამ გაგანია მუშაობაში და გაპარულა. — თქვა შინმობრუნებულმა პეტრემ. — გაპარულაო? — გაუკვირდა ქაიხოსროსაც, — სად მამა ჩემთან... სად მამამისთან გაპარულა?

ანას მუხლი მოეკვეთა, მომუწული ხელები პირთან მიიტანა, თითქოს მოჰყინვია და სუნთქვით უნდა გაითბოსო. პეტრემაც და ქაიხოსრომაც უნებურად ანას შეხედეს. ქმარ-შვილის დაჟინებულმა მზერამ უარესად ააფორიაქა, მოკვდა და მიმალავენო, ჯერ ეს გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რატომ უყურებდნენ ასე, არაფერი არ იცოდნენ, მართლა არაფერი არ იცოდნენ გიორგასი და მისგან მოელოდნენ პასუხს. ცოტა გულზე მოეშვა, ცოცხალი ყოფილიყო და სადაც უნდოდა იქ წასულიყო, ცხრა მთის იქით გადაკარგულიყო თუნდაც. იქნებ ჯობდა კიდეც, იქნებ კი არა — ჯობდა, ნამდვილად ჯობდა, სხვა თუ არაფერი, შხამს გაეცლებოდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა და თავსაც უკეთესად შეინახავდა, გომურში ყველგან აცხოვრებდნენ. უნდოდა, რამე მწარე ეთქვა, რატომ გიკვირთ, ან აქამდე როგორ გაგიძლოთო, ანდა, — ამას არ ცდილობდით თქვენი დღე და მოსწრებაო, — მაგრამ თავი შეიკავა, ენას კბილი დააჭირა, ისინიც შეეცოდა, დაბნეულები, ნირწამხდრები რომ შემოსცქეროდნენ, თავიანთ სიავკაცეს მიხვედრილები.

მიხვედრილები? რა იყო, არ შეიძლებოდა, მიხვედრილიყვნენ? თვალი ახელოდათ, გული სტკენოდათ? შენს ხელში გაზრდილი ძაღლი და საქონელი დაგენანება კაცს და ის ხომ ძაღლზე მაინც, საქონელზე მაინც მეტი იყო? ხმას გაგცემდა, წყალს მოგაწვდიდა, შეშას დაგიპობდა... უყურეს, უყურეს და თავი გაანებეს, იმდენი ჭკუა და მორიდება ეყო ორივეს, ამ უბედური ქალისთვის რომ არ ეკითხათ: სად არის შენი შვილიო.

ის ერთი კვირა რაღას არ ამბობდნენ გიორგაზე გარეგინას დუქანში: ზოგმა — თბილისში უნახავთო, ვიღაც ვაჭარს დასდგომია ხელზე მოსამსახურეთო; ზოგმა — ქართულ მილიციაში ჩაწერილა და რუსის ჯართან ერთად თურქებს ჩვენი მიწები უნდა წაართვასო. ზოგს სჯეროდა, ზოგს კი — არა. ზოგს ეცოდებოდა, ზოგი კი სულელად თვლიდა და ქილიკობდა:

რაც მამამისმა წაართვა თურქებს, ეგეც იმას წაართმევსო. ერთი კვირის მერე კი, პეტრემ ყველაზე ნამდვილი ცნობა მოიტანა.

— ვენახში გდია და ბარავს. — თქვა პეტრემ.

გონს რომ მოეგო, ორღობეში მირბოდა, თავსაფარი გადაეძრო და ხელში ეჭირა, მეორე ხელით კაბის კალთა აეწია, უფრო თავისუფლად რომ ერბინა და მირბოდა, თითქოს ათი წლის გოგო იყო, სრულებითაც რომ არ ენაღვლება, დაუნახავენ თუ არა კანჭებს სოფლის ბიჭები. ცა და მიწა თავისი ეგონა, თითქოს მთელი სიცოცხლე ასე ქროლვაში გაეტარებინა, არც ოჯახი ადარდებდა, არც სოფელი. სოფელს ვერც ამჩნევდა, არც ძაღლების ეყურებოდა, გაანჩხლებულები რომ აწყდებოდნენ ღობეებს, ვერც წყაროსთან თავშეყრილ ქალებს ხედავდა, გულხელდაკრეფილნი, მხრებაწურულნი, ტუჩებმოპრუწულნი რომ აყოლებდნენ თვალს, არც გარეგინას დუქნიდან გამოცვენილი კაცების მორიდებია, რა ჰქონდა მოსარიდებელი, უნდოდა და მირბოდა, ვისი რა საქმე იყო, შვილთან მირბოდა, დაბრუნებულ შვილთან, ხელმეორედ დაბადებულ შვილთან, თითქოს საუკუნე არ ენახა, თითქოს იქ, სოფლის განაპირას, მზით გახურებულ ვენახში დაეთქვათ საუკუნის წინ პაემანი და აჰა, ეს დღეც დამდგარიყო. თბილი, ფაფუკი მტვერი ედებოდა გულმკერდზე, სახეზე, თმაზე, სუნთქვას უჭირვებდა, მღელვარებისაგან გამომშრალ პირში უცვიოდა, სასაზე ეკვროდა, ენას უსიებდა, ძნელად ჩასაყლაპი და ძნელად გადმოსაფურთხებელი, მაგრამ მაინც მირბოდა, მიფრინავდა, მიილტვოდა თამამად, შეუფერხებლად, როგორც ზარის ხმა, როგორც სანთლის ალი, როგორც გარდაცვლილის სული — უფლისკენ. სოფელს რომ გასცდა, ფლოსტი წასძვრა ფეხიდან, მაგრამ არ შეჩერებულა, თითქოს წამები წყვეტდა საქმეს (ის ფლოსტი აქეთობისას ისევ იქ დაუხვდა, — ეგდო უპატრონოდ, უცალოდ დარჩენილი, მტვრით გადათეთრებულ შარაზე, გაცვეთილი და ქუსლმობრეცილი. ან ვინ წაიღებდა, ვის რაში გამოადგებოდა. ხოდა, ისიც ელოდებოდა ანას ერთადერთ პატრონს, პატრონივით უბრალო და უჩუმარი) და აი, ვენახიც გამოჩნდა. მოესმა, როგორ ჩახია, ჩაფხრიწა გიორგას ბარის პირმა მიწა, როგორც შუბმა ურჩხულის ხორცი, როგორ ყრუდ დაეზანყა გიორგას ხელებით ამოტრიალებული ბელტი. შეიძლება, არც მოესმა და მხოლოდ მოეჩვენა, რადგან პეტრემ თქვა, ვენახში გდია. და ბარავსო. გიორგას ცხელი, მიწიანი ხელები ჰქონდა, დედა ბალღივით აეტატებინა და ქუსლებით ჩაგლესილ ბელტებში ბზრიალებდა. „რატომ, ბიჭო, რატომ?“ — უსასრულოდ იმეორებდა ანა და თვითო-

ნაც არ იცოდა, რისი თქმა უნდოდა: რატომ გაიპარე თუ რატომ დაბრუნდიო. შვილის დიდი ხელები აკრთობდა და აბედნიერებდა კიდეც, უკან აბრუნებდა, შორეულ წარსულში, ხელმეორედ აბავშვებდა, თითქოს საქანელაზე შემოესვათ, თითქოს ვარსკვლავებს უნდა მისწვდენოდა.

არა, თითქოს იმასთან იყო, პირველთან, ერთადერთთან, მარადიულთან და სამარადისოდ მკვდართან. მთელი ქვეყანა ბზრიალებდა, ვენახიც, კაკლის ხეებიც, კაკლის ხეების ჩრდილში გარინდული სახედარიც, ქუჩეჩით თავდაცობილი დოქიც.

ერთი წუთიც და ყველაფერი ანასთან ერთად მოწყდებოდა მიწას და ყამარის ჭურჭელივით გაფრინდებოდა ცაში. „ჩამომსვი, ბიჭო, სირცხვილიაო“, — იძახდა ყასიდად, რადგან არ უნდოდა, შვილს რომ ჩამოესვა, ხელი გაეშვა, გაეჩერებინა ისიცა და ქვეყანაც. მერე თალარში ისხდნენ და თავბრუდამხვევი ქროლვისაგან წამონთებულ სახეს თავსაფრით ინიავებდა.

— მეგონა, მარტო დაგაგდე... ქმარ-შვილთან კი არა, მტრებთან. — ეუბნებოდა გიორგა.

გიორგა თბილისში მიმავალ ურმის ქარავანს აჰკიდებია.

მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი, აღარ მობრუნებულიყო შინ. დიდხანს უყოყმანია ამ ნაბიჯის გადასადგმელად და ბოლოს მაინც გაუბედავს, რადგან დარწმუნებული ყოფილა, ასე რომ აჯობებდა ყველასთვის. არავის ადანაშაულებდა, თავის თავზე იყო გამწყრალი, თვითონ იყო უვარგისი და უნდილი, რაკი ვერავის შეაყვარა თავი, ვერც მამინაცვალსა და ვერც ძმას.

ღმერთი — რჯული, ცდილობდა, ღმერთი — რჯული, მხოლოდ ესა ჰქონდა ამოჭრილი გულში, მაგრამ არ გამოსდიოდა. მამინაცვალი მტრად სთვლიდა, ძმას ეგონა, სახლ-კარში შემეცილებაო, დედამისი კი — ორ ცეცხლს შუა იყო ჩავარდნილი, ორად იყო გაჭრილი, მაგრამ არც აქეთ იყო და არც იქით, რადგან გაუყოფელს ვერ გაყოფდა, შეულეველს ვერ შეელეოდა, შეუძლებელს ვერ შესძლებდა. ასე კი იმიტომ ხდებოდა, გიორგა რომ არსებობდა. განა ვერ ხვდებოდა? ხვდებოდა, მაგრამ

რა ექნა, რა გზა გამოენახა ისეთი, სხვისთვის ლუკმა რომ არ გაემწარებინა და ამავე დროს მამობილის ვალიდანაც ამოსულიყო, ძმისთვის ძმობა დაემტკიცებინა, დედისთვის კი — შვილობა. გაქცევა ადვილია, არც ერთბაშად უფიქრია, საქორწილო კაბაში გამოწყობილი დედა ეკლესიაში რომ მიაცილა, იმ დღეს მიხვდა, ზედმეტი რომ იყო, ხელისშემშლელი, — შემბორკავი. მაგრამ მაშინ თვითონაც პატარა იყო, ღამე მარტო დარჩენისა ეშინოდა, ტურის ჩხავილისა, ჭოტის ხმისა, ჭექა-ქუხილისაც. მართალია, დედის ქორწილში მაყარივით დათვრა, მაგრამ ესეც ბავშვობით მოუვიდა, დედის დაკარგვის შიშით. მერე სულ ფიქრობდა გაქცევაზე, მაგრამ მარტო კი არა, დედიანად, დედა უნდა მოეტაცა, ქმრისთვის უნდა მოეტაცა ცოლი, წარმოდგენილ ნაბადში უნდა გაეხვია, წარმოდგენილ რაშზე უნდა შემოესვა და წარმოდგენილ ცხრა მთის — იქით გადაეყვანა, უკეთეს ქვეყანაში, უკეთეს ხალხთან, თუკი არსებობს უკეთესი ქვეყანა და ხალხი სადმე. მერე დედამისს შვილი გაუჩნდა და მიხვდა, ვეღარ მოიტაცებდა, რადგან დედამისი მარტო მისი დედა კი არ იყო, არამედ იმისიც. დედას კი ვერავის მოსტაცებდა, რადგან დედა სხვაა, ცოლი კი სხვა. ცოლის მაგიერი შეიძლება იშოვოს კაცმა, — დედისა კი — ვერა, დედის დათმობაც არ შეიძლება, რადგან არ მოიპოვება, არც აირჩევა, არც გაიყოფა, შენიც იმდენია, რამდენიც შენი ძმისა, ორნი კი არა, შეიძლება ათნი იყოთ, დედა.

კი ერთია და ათივესთვის ერთნაირი! მაგრამ გიორგა მაინც. სხვა იყო, გიორგა დედის ჭირად იყო გაჩენილი, დედის დასაკნინებლად, რადგან სხვა კაცის ნაშიერი იყო, ქაიხოსრომდე და პეტრემდე არსებული, ბედნიერისა თუ უბედური ცხოვრების დამღა, ნაიარევი, რაც ქაიხოსროსა და პეტრეს თვალში, მხოლოდ და მხოლოდ, ამახინჯებდა ერთისთვის ცოლისა და მეორისთვის დედის სუფთა სახეს, წარამარა ახსენებდათ, რომ ერთის ცოლსა და მეორის დედას ადრე, მათ გამოჩენამდე, სხვა ცხოვრებით ეცხოვრა, მათთვის საიდუმლო, მათთვის მიუღებელი და მათთვის შეურაცხმყოფელი ცხოვრებით. სანამ გიორგა იქნებოდა, ანაც უცხო იქნებოდა საკუთარ ოჯახში, უცხო კი არა, გაუცხოვებული, გასაიდუმლოებული და ამიტომაც გამაღიზიანებელი. განა დედამისი სხვაზე ნაკლებად ხვდებოდა ამას? აბა,

რატომ იყო, შეყვარებულ გოგოსავით რომ მოიპარებოდა შინიდან გიორგასთან შესახვედრად? აბა, რატომ იყო, გაწუწკებულ მოახლესავით რომ. იპარავდა საკუთარ ოჯახში ნაზუქსა და ჩურჩხელას, გიორგასთვის რომ მიერბენინებინა, თუკი თვითონაც არ გრძნობდა, გიორგა რომ სხვა იყო და პეტრე სხვა? პეტრე სინამდვილის ნაყოფი იყო, გიორგა კი — ზღაპრისა, ოცნებისა, შეიძლება, სიზმრისაც, დაუნდობლად რომ გახვევს თავზე მოგონილ ბედნიერებას, ენით აუწერელ ნეტარებას, ღმერთებისთვის განკუთვნილს და ადამიანისთვის შეუფერებელს, რათა სიზმრიდან გამორკვეულს ცივი წყალივით გადაგასხას მკაცრი და უგულო სინამდვილე, რომელსაც შენი სიზმარი სასაცილოდაც არ ყოფნის, ფეხებზე ჰკიდია, და იქამდე არ მოგეშვება, სანამ სიზმრით გაბრუებულს მიწაზე არ დაგაბრუნებს და ცხენივით არ ჩაგაყენებს ხორკლიანსა და შენივე თეძოებით გადახეხილ ხელნებს შორის, რომლებზედაც ერთფეროვანი ყოველდღიურობაა გამობმული, თანაც უბორბლებოდ. ასეთი ფიქრები სტანჯავდა გიორგას ვენახშიც და გომურშიც, არცა ჰკლავდა და არც არჩენდა, მოსდგებოდა და უბაგუნებდა თავში უხილავ ჩაქუჩებს, თითქოს ტვინზე ნალს აჭედებდა. მარტო სახედარს თუ შესჩივლებდა, ასე და ასეა ჩემი საქმეო, მაგრამ სახედარს მოსმენის მეტი რა შეეძლო? უსმენდა და უარესად ყეყეჩდებოდა ისიც. რაც არ უნდა ძნელი ყოფილიყო, უნდა გასცლოდა აქაურობას, გაპარვამდე დარწმუნებული იყო, ასე აჯობებდა. თუმცა არც ის ავიწყდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ აქ რომ იყო მისი ადგილი, ტყუილუბრალოდ რომ არ ჰყავდა მამინაცვალს ქოფაკივით ეზოში გაშვებული. მამინაცვალს მარტო ვენახში სამუშაოდ არ სჭირდებოდა იგი და ეს მხოლოდ გიორგამ და მამინაცვალმა იცოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, აქამდე თვითონ მოიშორებდა თავიდან და არ აარევინებდა ოჯახს. ან რა ძნელი მოსაშორებელი იყო, ეტყოდა და ისიც აიკიდებდა გუდანაბადს, მე შენ გეტყვი, წილს მოითხოვდა, ჯიბრში ჩაუდგებოდა, მამისეული სახლის იმ ერთადერთ ქვასაც, ზედ მიხატული კაცუნას წყალობით რომ ცნობდა, დატოვებდა, შეელეოდა, რადგან იმ ერთი ქვის გამოცლაც შეასუსტებდა კედელს.

ის კედელი კი, მის ძმას უნდა დარჩენოდა, დედამისის ნაშიერს. ჯობდა, მამინაცვალს რომ გაეგდო, მაშინ უფრო თავისუფ-

ლად წავიდოდა, კი არ გაიპარებოდა, წავიდოდა, მოვალეობის-
გან განთავისუფლებული, გაპარვა ღალატს ნიშნავდა, მაგრამ
ბოლოს მაინც შეცდა, მაინც გაბედა, მამალმა გააბედვინა, ურ-
მის კოფოზე შემომჯდარმა, ალისფერმა, მზესავით გაფოფრილ-
მა და მზესავით თვალეებბრიალამ. ისეთი, ხმით გაჰყიოდა, დავ-
რდომილს წამოაყენებდა, ქვასაც აუჩქროლებდა სისხლს. ესეც
ადგა და გაეკიდა; იფიქრა, ქვეყანა ვრცელია, რა ღმერთი გა-
მიწყრება, სადმე რომ ვერ მოვიკიდო ფეხიო.. რამეს თუ იშოვი-
და, შორიდანაც შესძლებდა თავისიანების პატივისცემას. ბარი
მიწაში ჩატოვა, ახალუხის კალთები ჩამოიშალა და აედევნა
ურმის ქარავანს. მამალი ყიოდა, გაუთავებლად, გადაბმულად,
ურმის რწევას აყოლილი, ბუმბულაშლილი, გაფარჩხული, ავად
მბზინავი კლანჭებით ფიცარს ჩაფრენილი, თვალგაშეშებული,
გაბრაზებული თუ გაკვირვებული, გაბრაზებულიცა და გაკვირ-
ვებულიც ქვეყნის სიყრუითა თუ იმის სიშორით, თავისი ჭკუით,
ვის გასაგონადაც ყიოდა. მეურმეები იცინოდნენ. მოგვეშალა
საათიო, და გიორგაც, ბალღივით გაღიმებული, გახარებული
და გაამაყებული შესცქეროდა ყვითელსა და ქერცლიან ფეხებ-
ზე აქანავებულ მამალს, თითქოს მთელ ქვეყანას რომ იწვევდა
საძიძგილაოდ, საჩხუბრად, ყელმოღერებული, ცალთვალზე ბი-
ბილოჩამოფარებული, თითქოს თავიდან სისხლმა ამოასხაო,
ყოჩაღი და ყოყლოჩინა. სანამ დღე იყო, სანამ გზაზე იდგნენ,
კიდევ არაფერი უშავდა, მამლის გაუთავებელი ყივილი ახალი-
სებდათ კიდეც. გზისპირა ბორცვებზე და ბუჩქებზე რწევა-რწე-
ვით გადადიოდა მამლის ვეება ჩრდილი. საქმე საქმეზე რომ წა-
სულიყო, მთელი ფარა, თავისი ძაღლებიანად და მწყემსებია-
ნად შეაფარებდა თავს მამლის ვეება ჩრდილში. ესეც მოსწონ-
დათ, ამაზედაც იცინოდნენ მეურმეები, ქალაქში ჩასვლისთანა-
ვე, პირველსავე დალაქს თუ არ დავაყვერინეთ ეს ვაჟბატონი,
დედლის სახსენებელს გაწყვეტავსო. მაგრამ თვითონ მამალს
დიდი დრო აღარ ჰქონდა ამ ქვეყანაზე, არ ეწერა ქალაქში ჩას-
ვლა, ღამით, როცა საქონელი გამოხსნეს და დაბანაკდნენ, აუ-
ტანელი გახდა მამლის ყივილი. საქონელიც წუხდა, შფოთავდა,
ზმუოდა, მამლის ყივილით დარღვეული დროის დინებიდან
ამოვარდნილი. ხალხსაც დაეკარგა საუკუნოობით გამომუშავე-
ბული უნარი დროის შეგრძნებისა, დაბნეულნი და გაავებულნი
უთვალთვალებდნენ ვარსკვლავებს, თითქოს იქიდან ჩამო-

დიოდა ეს შემაწუხებელი, შემაშფოთებელი ხმა, იქიდან, — სხვა ქვეყნიდან, ღმერთის საუფლოდან და თავისი არაჩვეულებრივობისა და ადამიანის ცრუმორწმუნე ბუნების წყალობით მაგიურ ძალასა და მნიშვნელობას იძენდა. მამალი აშკარად გაგიჟებულიყო, მაგრამ ეს იმდენად უჩვეულო ამბავი იყო ყველასთვის, არ შეიძლებოდა, არ გასჩენოდათ ავი წინათგრძნობა. გიჟი მამალი რაღაცას ანიშნებდათ, რაღაცის მაუწყებლად მოვლენოდათ, გათენებისა და დაღამების კი არა, რაც. აქამდე ევალებოდა ღმერთისგან, უფრო მეტის და უფრო მნიშვნელოვანისაც. იქნებ მეორედ მოსვლა იწყებოდა, განკითხვის ჟამი, ჰა? დასწყევლოს ეშმაკმაო, ხელებს შლიდნენ აყივლებულ წყვდიადში აბორიალებული მეურმეები. მამალი კი ყიოდა, ყელს იხევდა, გულს იხეთქავდა, კუჭს იბრუნებდა. ყანყალებდა დაძაბულობისაგან აძაგძაგებულ ფეხებზე და მთელი ქვეყანა იკუმშებოდა, იბურძგნებოდა განსაცდელში ჩავარდნილი ზღარბივით. ასე გაათენეს ღამე, მაგრამ მამალი არც დილით გაჩუმებულა, ვეღარ ამჩნევდა დღისა და ღამის მონაცვლეობას, დღისა და ღამის გამმიჯნავი, დაუზარელი შუაკაცი და სამართლიანი მომრიგებელი. ისევ ისე ყიოდა, ნირიც არ შეეცვალა, თუმცა უფრო გალახულიყო, ღამის სუსხსა და ველის ნიავს გაეჩეჩა, დაეუშნოვებინა, მართლის მთქმელივით ამაყი და საცოდავი, რომელსაც თავისი გაუთავებელი ქადაგებით ყბედის სახელი დაუგდია ხალხში, ამაოდ დამშვრალა, ამაოდ დაქანცულა წიგნთან ჭიდილში, ენის გაწაფვაში, მეტყველების დახვეწაში, ამაოდ უოცნებია ხალხით გაძიძგულ მოედნებსა და ტაძრებზე, რადგან არავის აინტერესებს, არავის არ ესმის ის, რასაც მან მიაკვლია, რაზედაც მხოლოდ მას აუხილა უფალმა თვალი. მოთმინებიდან გამოსულმა მეურმეებმა მამალი ძალით მოაგლიჯეს კოფოს, კუნძზე დაადებინეს — გრძელი, ფოლადის ზამბარასავით ღონიერი კისერი და წალდის ერთი დაკვრით წააგდებინეს თავი, ნისკარტდაბჩენილი, ყვითელთვალება, ალისფერბიბილოიანი. ტანი ცალკე ხტუნავდა, ჭრელი ბურთივით ასკდებოდა მიწას, ცეკვა-ცეკვით კვდებოდა, თითქოს უხაროდა, რომ კვდებოდა, თავისუფლდებოდა იმ მძიმე და დაუფასებელი მოვალეობისაგან, რაც ღმერთს დაევალებინა მისი მოდგმისათვის. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა უცებ, გეგონებოდათ ცის ქვეშ, შარაგზაზე კი არა, მიწისქვეშა აკლდამაში ჩაულალავთ

ხალხიცა და საქონელიცო. მამლის უთავო და ფეხებგაფშეკილი ტანი ობლად ეგდო სისხლის გუბეში. ბუმბულიც მოჰკვდომოდა, უცებ დაეკარგა ძველებური ბზინვა და სილბილე. თავს კი, თვალები ისევ დაჭყეტილი ჰქონდა, ერთი ვნახო, რას იზამენ, რა გუნებაზე არიან უჩემოდო. ყველანი მოშხამულები იყვნენ, თითქოს კაცი შემოკვდომოდათ. გიორგა ერთი დღე კიდევ მიჰყვა ურმის ქარავანს, თუმცა გამობრუნება იმავე წუთას გადაწყვიტა, მამლის სისხლის ნაფლეთებით რომ მოიფინა იქაურობა, როგორც ნეკერჩხლის ფოთლებით, მაგრამ მაინც მისდევდა დამუნჯებულ, ნირწამხდარსა და გულმოკლულ ქარავანს. ეუხერხულა მაშინვე გამობრუნება, ცოტაზე მაინც უნდა გაჰყოლოდა, როგორც სხვის მკვდარს მიყვებიან ყველასთვის საერთო ვალის მოსახდელად. მერე, გადაქუცული გორაკების იქით თბილისი რომ გამოჩნდა, ყველას თავი დაუკრა და გამობრუნდა, მარტო უნდოდა დარჩენა, მარტოს უნდოდა გაევლო გიჟ მამალთან ერთად გამოვლილი გზა.

ანა შეაძრწუნა გიორგას ნაამბობმა. ათრთოლებული ხელებით თავსაფარი მოიხვია, კაბის კალთა გადაიბერტყა, პირზეც გადაისვა ხელი, თითქოს უცხო სახლში შედიოდა, და მერე შეხედა სახეში შვილს, დაკვირვებით, ხანგრძლივად. გიორგა გამოცვლილიყო ამ ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ ეს კი არ გაჰკვირვებია, თავისმა უყურადღებობამ ატკინა გული. გიორგას ლოყები ჩასცვენოდა, ყვრიმალები გამოზრდოდა, ზედ კანი გადასჭიმვოდა და ქონგადასმულივით უბზინავდა, როგორც სიცხიან ავადმყოფს. თვალებიც ავადმყოფისა ჰქონდა, უპეებამოშავებული, აწრიალებული. საფეთქელზე ისე ცხადად ეტყობოდა ლურჯი, განუწყვეტლივ მფეთქავი ძარღვი, უნებურად თვალი აარიდა, თითქოს ცუდი იყო, რომ ფეთქავდა, ჯიუტად, ყველას დასანახად, მხოლოდ და მხოლოდ სიფრიფანა კანით დაცული, დაცული კი არა, უარესად გამომჟღავნებული, უკვე ადვილად მისაგნები, როგორც თხლად ნაქსოვი, ლამის უჩინარი ბადით დაჭერილი ფრინველი. ქარით დაშაშრულ ტუჩებზე დაბნეული ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ეს წუთია წყლიდან გამოეყვანათ, დახრჩობას გადაერჩინათ და ერთდროულად მადლიერიც იყო და რცხვენოდა კიდეც გადარჩენისა.

— შენს შვილსაც გავზრდი და წავალ, მივაკითხავ მამაშენს. — თქვა ანამ, ყალბი, მოგონილი ხმით, როგორითაც პატარა გოგოები ელაპარაკებიან თავიანთ თოჯინებს.

ეს თვითონვე იგრძნო და ისე სწრაფად წამოდგა, გიორგამ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო. მეტს ვეღარ გაჩერდებოდა აქ, ერთი წუთიც და ძაღლივით ააყმუვლებდა უსაშველო სევდა. უზარმაზარი კაკლის ხის ტოტებში კოდალა დახტოდა და ამ პატარა ჩიტის წყალობით მთელი ხე ჭრელი და მოძრავი ჩანდა. მაგრამ ანას არც კაკლის ხე დაუნახავს და არც კოდალა, ვენახიდან უხმოდ გადავიდა, პატარა, მარად დამშრალ ღელეში გაუჩინარდა თანდათანობით, მერე ისევ გამოჩნდა, ჯერ მისი თავსაფარი, მერე მზეზე გამოხუნებული ბეჭები, მერე კი მთლიანად, თავიდან ფეხებამდე, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სოფლელი ქალი, ცოლი, დედა, დიასახლისი, არაფრით რომ გამოირჩევა სხვა ქალებისგან, არც ჩაცმულობით და არც საფიქრალით. მერე შარაზე გავიდა და ფაფუკ მტვერში შინისაკენ გააბიჯა. მისი ცალი ფლოსტი შარაზე ეგდო და ელოდებოდა. ალაყაფი მოღებული დაუხვდა და უნებურად ფეხს აუჩქარა. ეზოში, ცაცხვების ძირას ცხენშებმული ორთვლიანი ეტლი იდგა. ცხენის ზემოთ მუმლის გუნდი ტრიალებდა და უცებ მოინაცვლებდა ხოლმე ადგილს, როგორც კი ცხენი თავის მძიმე და ვერცხლისფერ კუდს აიქნევდა. სახლში შესვლის შეეშინდა, ამ უცნაურმა ეტლმა და უცხო ცხენმა შეაშფოთა რაღაცნაირად. ეზოც დამაეჭვებლად გატრუნულიყო. სადღაც, სხვის ეზოში, კვერცხით შეწუხებული ქათამი კაკანებდა. სახლიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. მუხლებაკანკალებულმა აათავა კიბე.

ისინი დიდ ოთახში ისხდნენ: ქაიხოსრო, პეტრე, ზოსიმე მღვდელი და უცნობი.

— კარგია, ცოცხალს მომისწარი. — უთხრა ქაიხოსრომ, — ჩემი მეუღლე გახლავთ. — მიუბრუნდა უცნობს.

უცნობი წამოდგა, გამორჩეულად, თვალში საცემად სუფთა და ასევე გამორჩეულად, თვალში საცემად უცხო, თეთრი, გახამებული საყელოსი თუ დაბალყელიანი, გრძელცხვირიანი და შავად მბზინავი ფეხსაცმელების გამო. ახოვანი კაცი იყო, დიდი,

ფაფუკი, საოცრად ცოცხალი ხელები ჰქონდა და გულში ჩამ-
წვდომად იღიმებოდა, გულში ჩამწვდომად კი არა, გამომცდე-
ლად, თითქოს უნდა გცნობოდათ და გამოწმებდათ, აბა მიც-
ნობს თუ ვერაო. სანამ ანა გონზე მოსვლას მოასწრებდა, მისი
ხელი პირთან მიიტანა და ფრთხილად აკოცა, ოდნავ შეახო ტუ-
ჩები, ანამ ხელი გამოსტაცა და უნებურად ზურგს უკან დამალა,
თითქოს ხელის წართმევას უპირებდნენ. ქაიხოსრომ გაიცინა.

— გვაპატიეთ, ექიმო. ჩვენ ხომ სოფლელები ვართ. — თქვა,
თანაც ანას უყურებდა სახეში.

ანას კი არ შერცხვა, სოფლურობით კი არ მოუვიდა ეს, არა-
მედ თავზარი დაეცა, ნამდვილი თავზარი, გამაოგნებელი, თავ-
ფეხიანად შემარყეველი, მოულოდნელობას, მოუმზადებლო-
ბას, გაუთვალისწინებლობას რომ მოსდევს ხოლმე. ეს უცნობი
მეორე კაცი იყო, რომელმაც ხელზე აკოცა. მართალია, ეს კოც-
ნა იმ კოცნისაგან ბევრად განსხვავდებოდა, მაგრამ რაღაცა
ჰქონდათ საერთო, რაღაც ფარული გრძნობა, ძნელად გამოსა-
ხატავი, ძნელად გამოსამჟღავნებელი, მოკრძალება? თუ თა-
ნაგრძნობა? არა, ანას ახლა არ შეეძლო ამის გარკვევა. იდგა
სახეწამოჭარხლებული, დაბნეული, გაბითურებული, თითქოს
შინ კი არ იყო, შემოეტყუებინათ აქ, უცხო მამაკაცებით სავსე
ოთახში.

— მოგვაშველე რამე, ადამიანო. მოგვკლა ცარიელა ღვინის
სმამ. — გამოაფხიზლა ქაიხოსრომ.

მერე ქათამს პუტავდა, ცომს ზელავდა, სახაჭაპურე ყველს
ალბობდა წყალში და იმ დღეზე ფიქრობდა, როცა იმან,
მკვდარმა, ძალით გააშლევინა მომუწული თითები და გაოფ-
ლილ ხელისგულზე აკოცა.

ხელმეორედ რომ შემობრუნდა ოთახში, ყველანი შეზარხო-
შებულიყვნენ. უცნობი ისევ წამოდგა: მაპატიეთ, წეღან ვერ მო-
ვასწარი გაგცნობოდით... ექიმი. ჯანდიერი გახლავართო. ანა
შეკრთა, ორივე ხელი თეფშებითა ჰქონდა დაკავებული, მაგრამ
ექიმი აღარ წამოსულა მისკენ.

— დაჯექი, დაჯექი. — შინაურულად უთხრა ქაიხოსრომ ექიმს. ექიმი დაჯდა, თან ლაპარაკობდა: სტუდენტობისას ესკულაპეს მეძახოდნენ, მაგრამ ახლა ჩვეულებრივი ექიმი ვარ მხოლოდ, ესკულაპობას ბევრი მიკლია. არც ვაპირებ. — ანას მიმართავდა, თუმცა ანა არ უყურებდა. პეტრემ ხელადა მოაშორა, თეფშების ჩასადგმელი ადგილი მოუცალა დედას. „მადლობთ“, — თვალებით უთხრა ანამ. „განა არ ვიცი, სადაც იყავი“, — თვალებითვე დაუბრუნა პეტრემ. ექიმი კი ლაპარაკობდა, თავაზიანი, მხიარული, თავისუფალი, ღვინომოკიდებული, პირველად მოხვედრილი ამ ოჯახში და დაზღვეული ამ ოჯახის საიდუმლოებებისაგან. — ესკულაპე ექიმების პეპერაა, დიდი პაპა, და ყველა პაპის არ იყოს, ცხოვრებით კი არ ვბაძავთ მას, არამედ მისი სახელი გვეამაყება მხოლოდ. ნამდვილ ექიმს, ესკულაპესავით, ორკაპა ჯოხი უნდა ეჭიროს ხელში, ძაღლების მოსაგერიებლად, და საგზაო აბგაში გველი და მამალი უნდა ეჯდეს — სიბრძნე და სიფხიზლე. (მამლის ხსენებაზე ანამ ყურები დაცქვიტა, გაუბედავად, ერთი წამით შეხედა ექიმს).

— ესკულაპე მკვდარს აცოცხლებდა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა თვალების ჟუჟუნით.....

— არა, მამაო. ეგ მითია. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა. — ესკულაპე მკვდრის გაცოცხლებაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნებაც არ აპატიეს ღმერთებმა. წვიმისაგან ხისძირას შეფარებულს, მეხი დასცეს მეოცნებე თავში. საწყალს, ალბათ, დანახშირებულ გულმკერდზე ბოლოებშეტრუსული მამალი ეჯდა და დაჰყიოდა. (ანა ისევ შეკრთა, ისევ წამიერად გახედა ექიმს და გიორგა დაინახა ლოყებჩაცვენილი, თვალებამოშავებული, ბარის ტარზე დაყრდნობილი, მზედაცხუნებული, ჩაკარგული სადღაც, უკიდეგანო ვენახის შუაგულში, მარტოხელა, მიტოვებული, როგორც მათ ეზოში ცაცხვებთან გაჩერებული, ორთვლიან ეტლში შებმული ცხენი). — თუმცა სიკვდილით ყველა ექიმი ესკულაპესავით კვდება, მარტო ამაშიღა ვგევართ მკურნალობის ღვთაებას. ავადმყოფის უმადურობაცა და საკუთარი შეცდომაც ექიმისთვის იგივე მეხია.

— თუ ღმერთი გწამს, ჩემთან ნუ დაგეცემა მეხი. — თქვა ქაიხოსრომ.

— ხა, ხა, ხა,— გულიანად გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა. — ნუ გეშინიათ, თქვენ ადვილი ავადმყოფი ხართ.

— რა ვიცი, ღორი არაო, ცხვარი არაო, მჟავე არაო, ცხარე არაო, მწვავე არაო. კვერცხი რომ კვერცხია, ისიც კი ამიკრძალეთ. — ხელები გაშალა ქაიხოსრომ. — ბალახი ვძოვო?

— ცოტა-ცოტა ყველაფერი შეიძლება, აუცილებელიცაა, — მოიღუშა ექიმი ჯანდიერი, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, მომხიბვლელად, გადამდებად, ბავშვურად. ანას შეხედა და გააგრძელა. — უფრო მკაცრი უნდა ვიყო, მაგრამ რა ვქნა, დამათვრეთ, მომისყიდეთ.

— მამაჩემმა ღორის ქონი თუ არ შეჭამა, მოკვდება, — თქვა პეტრემ.

— ერთი შენც უნდა გაგასინჯო. — გამოცოცხლდა ქაიხოსრო, თითქოს ლამაზი ქალი შემოვიდა ოთახში — სხვაგან ვერსად ვერ შეჭამ, მე თვითონ გამომყავს, ჩემი ხელით. ჩვენში არც იციან. გასასუქებელ ღორსაც მე თვითონ ვყიდულობ ხოლმე ყოველ წელიწადს. მე უნდა ავარჩიო. საღორეც განსაკუთრებული მოვიგონე, ზუსტად იმოდენაა, რამოდენაც ღორი უნდა გახდეს საახალწლოდ. დაბმული მყავს, მოკლე ჯაჭვით, საძრაობა რომ წაერთვას და წოლას მიეჩვიოს. საჭმელს კი თავზე საყრელად ვაძლევ, სულ ცხვირწინ უდგას სალაფავით სავსე ტაშტი და ისიც სულ ჭამს, უნდა თუ არა, მა, რისი ღორია, სამაგიეროდ ისეთი ნაზი ქონი აქვს, თავისითა დნება პირში. ბასრი, კარგად გალესილი დანით თხლად რომ დავჭრი ხოლმე, ეტრატივით იგრაგნება, ალაგ-ალაგ კი, ალისფერი გადაჭკრავს, ჩაის ვარდის ფურცელივით. როგორ გამომყავს, ამას მერე გეტყვი, როცა გასინჯავ. არაყთან მისწრებაა. ერთმა ჩემმა მეგობარმა მასწავლა. აი, ბოშებმა მოიტაცეს-მეთქი, რომ გითხარი — მიუბრუნდა ზოსიმე მღვდელს.

— ბოშებმაო? — გაიკვირვა ექიმმა ჯანდიერმა.

— ხო, ბავშვობაში.

— ბოშები კარგი ხალხია. — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა.

ანა ქაიხოსროს გვერდით იჯდა, ძალით დაისვა ქმარმა გვერდით და ისიც არ გაუძალიანდა, ვერ გაუძალიანდა, სტუმრის მოერიდა, იგრძნო, ქმარი სტუმრის დასანახად რომ მოიქცა ასე, თითქოს უერთმანეთოდ ლუკმა არ გადასდიოდათ ყელში, დამორცხვებული იჯდა, ეგონა სულ მას უყურებდა სტუმარი თავისი თბილი, გულშიჩამწვდომი თვალებით და ყველაფერს ხვდებოდა, ყველაფერს კითხულობდა მის სახეზე. რატომღაც უნდოდა სტუმარს მისი არაფერი სცოდნოდა, ანდა, ბედნიერი ჰგონებოდა, ბედის კმაყოფილი, ქმარ-შვილისგან დაფასებული, ერთგული ქმრისა და მოყვარული შვილების პატრონი. თითქოს, მისი ოჯახის ამბები რომ გაეგო სტუმარს, ასე თავისუფლად თავს ვეღარ დაიჭერდა, ვეღარ გაიცინებდა ასე გულიანად, აღარც საჭმელი მოეწონებოდა და აღარც ღვინო, რადგან ამ ჭერქვეშ დაბუდებული სიძულვილი მასაც გაუმწარებდა პირს, ჩაითრევდა, დასვრიდა და აქედან ვეღარ გავიდოდა ისეთივე სუფთა და უცხო, როგორიც მოსულიყო. იმას რაღაზე უნდა გამწარებოდა სიცოცხლე, ან რა ხელი ჰქონდა ამათ უბედურებასთან? იმას უფლება არ ჰქონდა, ამათნაირი გამხდარიყო, უნდა გადაერჩინა, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა თავისი სისუფთავე და სიუცხოვე, რაც, შეიძლება, იმდენად მას არ სჭირდებოდა, რამდენადაც ანას — იმ რწმენის განსამტკიცებლად, რომ ყველანი ერთნაირები არ იყვნენ, რომ სადღაც, ოცნებაში კი არა, სინამდვილეში, არსებობდა სხვა ქვეყანაც, საქანელაზე შემდგარი გოგოსავით თამამი, თავისუფალი და ბედნიერი, სადაც ერთნაირად სუფთა, მისთვის და მისნაირებისთვის, ერთნაირად უცხო ადამიანები ცხოვრობდნენ, ბავშვებივით კეთილები და ბავშვებივით გულუბრყვილონი, რადგან კიდევ სჯეროდათ, შესაძლებელი რომ იყო ქაიხოსროს განკურნვა, ანდა პეტრესი, ანდა გიორგასი, ანდა თვითონ ანასი. მისი სტუმარიც იმ ქვეყნიდან იყო, სიკეთის, სიწმინდის, სიმშვიდისა და სილამაზის ქვეყნიდან, რომლისკენაც ანა მიისწრაფოდა განუწყვეტლივ, გაჩენის დღიდან, რომელშიაც ორი თვე ეცხოვრა მხოლოდ და რომელიც უკვე სამუდამოდ დაკარგულიყო მისთვის. მაგრამ იმისთვის არ უნდა დაკარგულიყო, იმისთვის, აგერ, ორ ნაბიჯზე რომ იჯდა შინაურივით და ფაფუკი, მოუსვენარი თითე-

ბით პურის გულს ასორსოლებდა. ის იმ ქვეყანას სჭირდებოდა, მისი იქ ყოფნა იმ ქვეყანას უფრო გააღონიერებდა, გაახანგრძლივებდა კიდეც, აქ კი, ზედმეტი იყო, უსარგებლო და უმწეოც, რადგან წამალი სენისა, რომელიც ამ ქვეყანას მოსდებოდა, ჯერ ღმერთს არ გამოეგონებინა, ვერც გამოიგონებდა, რადგან არც ის სენი იყო მისი მოგონილი.

ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას აქ შეეძლო, რაც მადლად ჩაეთვლებოდა, თუკი საამისო გამბედაობა აღმოაჩნდებოდა, ნავთი უნდა გადაესხა ყველაფრისთვის და, ჭირიანის ლოგინივით დაეწვა. ის აქ თავის სიკეთეს, თავის მოვალეობას, უფრო სწორედ, თავის ოცნებას მოეყვანა და ისე იყო გატაცებული ამ ოცნებით, როგორც თვითონვე თქვა, არ შეეძლო, შეემჩნია ავადმყოფის სიბინძურე, ეგრძნო მისი სიმყრალე, რადგან მკურნალი, ესეც თვითონ თქვა, მკურნალი აღარაა, თუკი ავადმყოფი კი არ ებრალება, არამედ ეზიზღება. ანასაც არ უნდოდა, რომ შეზიზღებოდა იმას, მაგრამ არც ის უნდოდა, გაეგო სად მოხვედრილიყო, სად მოეყვანა სიკეთესა და მოვალეობას. არა, ოცნებას! ანას (ეს თვითონვე უკვირდა და, ცოტა არ იყოს, სიამოვნებდა კიდეც) ეცოდებოდა ის კაცი, როგორც სულელი ბავშვი, ცოფიან ძაღლთან რომ ჩაცუცქულა, გულათრთოლებული რომ ეფერება დუჟმომდგარ პირზე, შეუზიზღებლად რომ აცლის ტანზე შემპალი ბალნიდან ტკიპებს, რადგან ბავშვია, სულელია, ჯერ არც სიფრთხილისა გაეგება რამე და არც ზიზღის.

არადა, თუ დროზე არ მოუსწრო პატრონმა... არა, უნდა მოუსწროს პატრონმა, აუცილებლად უნდა მოუსწროს, აუცილებლად უნდა გადაარჩინოს ბავშვი.

— გიორგიც ავადაა, ექიმო, ჩემი უფროსი ვაჟი, — თქვა ანამ და გაშტერდა, პირი დააღო თვითონვე.

— გიორგი? უფროსიცა გყავთ? — შეჰღიმილა ანას ექიმმა ჯანდიერმა, თითქოს ანას ნათქვამიდან მარტო ის გაიგოო, რომ ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზ ქალს ამოდენა შვილები ჰყავდა. — აბა, ერთი მაჩვენეთ თქვენი ავადმყოფი.

— ავადმყოფი? ნეტავ მეც ვიყო ეგეთი ავადმყოფი. — თქვა ქაიხოსრომ და ხელადას გადასწვდა, — რატომ არაფერს გადმოიღებ? — ნიკაპი აუქნია ზოსიმე მღვდელს. ზოსიმე მღვდელმა ხელები გულზე გადაიჯვარედინა, ვითომ ყელამდე ვარო, აღარ შემიძლიაო. — დღეს უნდა აპატიო დიასახლისს, არ გელოდებოდათ.

— შემახედეთ მაინც. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა.

— შინ არ გახლავთ, — თქვა პეტრემ. — ვენახშია, ბარავს. — ხა, ხა, ხა, ხა, — გულიანად გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა, თან ანას თვალს არ აშორებდა. არც ანას დაუღუნია თავი. — თუკი ვენახშია და თუკი ბარავს, საჩემოდ არ ჰქონია საქმე. — კარგი ბიჭია, გულიანი, მშრომელი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ტუჩები გააწკლაპუნა. — მადლობა უფალს, მადლობა მასპინძელს. ტკბილი იყო ყველაფერი.

— მოიცა, ადამიანო, ნუ იცი ხოლმე, ასე უცებ წამოშლა, — შეიჭმუხნა ქაიხოსრო, მაგრამ ექიმი ჯანდიერი უკვე ფეხზე იდგა, ახოვანი, ლამაზი, კეთილად მომღიმარი.

— ამის შემდეგ მხოლოდ ქორწილებზე და ძეობებზე მოვსულიყავი თქვენთან. — უთხრა ანას.

ანას ერთმანეთზე ჩაფრენილი ხელები წინსაფრის ქვეშ დაემალა, ექიმს უმალავდა. ახლა, როცა უკვე მიდიოდა იგი, გული სწყდებოდა, გრძნობდა, როგორ გამოცარიელებულიყო მის ზურგს უკან ოთახი, სადაც ის იჯდა, ლაპარაკობდა, იცინოდა, პურის გულს ასორსოლებდა. უცებ შესჩვეოდა ამ უცხო კაცს და ყოველგვარი იმედისა, ყოველგვარი დაპირებების.

გარეშე, უცებვე შეჰგუებოდა მის დაკარგვას, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, წუთები რომ ჰყოფნით, რათა უცხო ძია, რომელმაც თავი გაუყადრათო, თამაშში აჰყვათ, მათი ჭკუისა გახდა, მეგობრად ჩათვალონ, მთელი არსებით მიეკედლონ, მთელი გულით მიენდონ, მაგრამ ასევე იოლად შეელიონ და იოლად დაივიწყონ იგი, თუმცა ერთი წამით, სანამ ჯერ კიდევ ესმით იმ უცხო ძიას ფეხის ხმა, უკვე დიდური, საქმიანი, მათი სამ-

ყაროდან გამავალი, მათაც ეუფლებათ გაწბილების გრძნობა, უფესვო, სწრაფწარმავალი, ასეთივე სევდა, მოულოდნელად შეწყვეტილი თამაშის გამო, და ასეთივე ეჭვი, უფროსისთვის შეუფერებელი საქციელით აღძრული. ის მიდიოდა და ანას გული სწყდებოდა, გული სწყდებოდა და უკვირდა თავისი უსაფუძვლო, ლამის სულელური წუხილი. აი, ცალი ფეხი უკვე შესდგა ეტლის საფეხურზე, ეტლი დაიზნიქა, ცხენმა დაიფრუტუნა და თავი ასწია. აი, უკვე კოფოზე ზის, სადავე აუკრეფია, ერთხელ კიდევ იხედება აქეთ, ერთხელ კიდევ იღიმება, ღმერთივით დიდებული, თავისუფალი, თავაზიანი, და მისი ღიმილი მზის შუქივით ეთათუნება ანას სახეზე.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე“. — ლოცულობს ანა გუნებაში, შემკრთალი და დაბნეული. შემკრთალი, დაბნეული და ბედნიერი. მერე შინ შერბის, რათა იმისი ხელშენავლები ჭიქა და თეფში გამოარჩიოს, სანამ ჭუჭყიანი ჭურჭელი ერთმანეთში აირევა, ცალკე გარეცხავს და ცალკე შეინახავს, ეს თეფში და ჭიქა უკვე მხოლოდ იმისია და მხოლოდ იმას გამოუტანს, როცა მოვა, თუკი კიდევ მოვა როდისმე. მაგიდაზე დასორსოლებული პურის გული გდია, თიხის პაწაწინა თოჯინის მაგვარი, აშკარად ატყვია იმისი თითების ანაბეჭდები. ანა დაუფიქრებლად, გაუაზრებლად იღებს პურის დასორსოლებულ გულს და ჭამს. მხოლოდ ახლა ახსენდება, რომ მთელი კვირაა, ლუკმა არ ჩაუდია პირში. ეტლი კი მიდის, მიირწევა უკაცურ გზაზე, საღამოს მზე ბეჭებში აცხუნებს კოფოზე მჯდომარეს, ავადმყოფის გასამხნევებლად დალეული ღვინო თავს უმძიმებს, გულისპირზე ჩამოწუწული წამლის სუნი სასიამოვნოდ უღიტინებს ნესტოებში, ჩვეულებრივი ცერეცოს ნახარში, თაფლით გაზავებული, დასამშვიდებელი, ზიზღითა და ეჭვით რომ სვამენ სნეულები, ნახევარს ზედ ასხამენ, კოვზიან ხელს უჭერენ გამხდარნი, გალეულნი, გაძვალტყავებულნი, მაგრამ შიშითა და უნდობლობით გაღონიერებულნი, გაღონიერებულნი კი არა, გაკერპებულნი. „რა სჭირს ადამიანს?“ — ფიქრობს ის, კოფოზე მჯდარი, ყველას იმედი, ყველას გამკითხავი, თავად უპოვარი და უამხანაგო, ცხელ კერძსა და მშვიდ ძილს გადაჩვეული, გაუთავებელ გზაზე დამდგარი, ავადმყოფიდან ავადმყოფისკენ მიმავალ გზაზე, ერთფეროვან, ერთი და იმავე ფიქრების აღმძვრელ გზაზე, ჯოხმო-

მარჯვებული, მხარზე აბგაგადაკიდული ესკულაპე, მრავლის მცოდნე და მრავლის მნახველი, უნებლიე მოკრძალებისა და სიამაყის აღმძვრელი, მაგრამ სინამდვილეში უვიცი და უმწეო, ყალბისმქმნელი, ფუჭი იმედებისა და ტყუილი დაპირებების ჩამომრიგებელი, დაუმსახურებლად განდიდებული მის შესახვედრად გამოქცუნებული ბავშვისა, აქოთებულ ქვეშაგებზე გადასვენებული სნეულისა თუ გულხელდაკრეფილი, მისი ბოლო სიტყვის მომლოდინე ჭირისუფლის თვალში, რადგან ვერც ის ჩაწვდომია მთავარს, ვერც მას შეუღწევია დოდო სენის საბუდარში, ადამიანის სულში, ვერც სიმართლე უთქვამს, ვერ გამოტეხია მის მოიმედე ხალხს, მოურჩენელი სენით. რომ არიან ისინი შეპყრობილნი, ქეცი და მუცლისგვრემა მოგონილი რომაა იმ ჯოჯოხეთთან, რაც მათ სულში ტრიალებს, რასაც ისინი ნებაყოფლობით ეკვლევინებიან, დაუფიქრებლად, განუსჯელად, რაღაცნაირი, არამიწიერი ნეტარებითაც კი. „რა სჭირს ადამიანს? რა ამბავია მის თავს?“ — ფიქრობს იგი, ცხენის ალაპლაპებულ გავაზე თვალებდაბჯენილი და ხან ყალბად მომღიმარი მაიორი ელანდება, ხან ძმის სახელის ხსენებაზე ყბამოქცეული პეტრე; ხან სიტყვის ბანზე ამგდები ზოსიმე მღვდელი და ხან წინსაფრის ქვეშ ხელებდამალული, დაბნეულად გამომზირალი ანა. შხუილით მიქრიან უკან გზაზე გადმოფენილი ტოტები, სოფელს სოფელი ენაცვლება, სარკმლებში უკვე ჭიატობს ბიისფერი, მშვიდი სინათლე, ხანდახან რომელიმე დაუზარელი ძაღლი გამოენთება ყეფით, ბინდი მძლავრობს, გზა ვიწროვდება, ცხენი ბორძიკობს, კაცივით ხვნეშის, თავის ფიქრებში ჩაძირული, გამოვლილი სოფლებისა და მზეზე ნაწოლი მინდვრების სუნით გაჟღენთილი, მცოდნე და უსაზღვროდ ერთგული თავისი საქმისა. „რა გვჭირს.

მეგობარო, რა ამბავია ჩვენს თავს?!“ — ეძახის კოფოზე მჯდარი და ცხენს სიამაყით გული ებერება, პატრონმა გაიხსენა, დაელაპარაკა ახლა უფრო ხალისიანად მიაპობს უჩინარი მტვრით გასქელებულ წყვდიადს, ზურგი უთრთის, გაოფლილი თეძოები ულაპლაპებს და ყველაფერ ამას სიცოცხლე ჰქვია.

ასაკით გიორგას უფრო ეკუთვნოდა ცოლის შერთვა, ვიდრე პეტრეს, მაგრამ ჯერ პეტრე დაქორწილდა, როგორც ურუქელები ამბობდნენ — „უფროს ძმას აჯობა“ — და არა მარტო უფროს ძმას აჯობა, არა მარტო ურუქელებს, — ალაზნის გაღმა-გამოღმა ყველას დაუყენა თვალი, ლამის უცხოელი ქალი მეირთო. თანაც უბრალო კი არა, ლიხსიქეთელი, ზღვისპირელი თავადის ასული, რბილ მიწაზე სიარულს მიჩვეული, ნოტიო ჰაერზე ყოფნით გაფერმკრთალებული, ნაავადმყოფარივით ნაზი და სათუთი, ფიქრიანი, თითქოს სევდიანიც, ალბათ, ზღვის განუწყვეტელი სიახლოვის გამო; ამაყი და ნებიერი, ალბათ, მწევრებისა და ულვაშების მოვლაპატრონობას გადაყოლილი მამისა და განუწყვეტელი ყურადღებით გარემოცული დედის წყალობით; ხის ფარღალალა.

სახლში დაბადებული, „მჭადითა და პრასით“ გაზრდილი და ამიტომაც, თვალში საცემად გამორჩეული ლიხსაქეთა, გამტკიცული პურისა და ერბოიანი, მოშუშული ხახვით გამოტენილი ნაზუქების ჭამით ლოყებდაღაჟღაჟებული ქალებისაგან, რომლებსაც, სხვათა შორის, მართლა აუჩუყათ გული პატარძლის სიგამხდრემა და სიფერმკრთალემ და, ცნობისმოყვარეობის გარდა, ერთგვარი სიბრალულითაც უცქეროდნენ, როცა პირველად შედიოდა იგი მაკაბელების რკინის ალაყაფში, უდედმამოდ, უდაძმოდ, უნათესაოდ, მზითვად მოყოლილი ერთადერთი მოახლის ანაბარა, რომელიც ურუქის ჩახჩახა მზეს საკმაოდ გამოხუნებული ქოლგით უჩრდილავდა თავის ქალბატონს, თავად სახეწამონთებული, ოფლით პირდაცვარული, ნაძალადევად მოღუშული, ნაძალადევად გამედიდურებული, მღელვარების დასაფარავად და ღირსების შესანარჩუნებლად, როგორც საერთოდ მარტივი სულისა და მხდალი ბუნების ადამიანებს სჩვევიათ უცხო გარემოში მოხვედრისას. პატარძალს ბაბუცა ერქვა, მიქელაძის ქალი გახლდათ, მის მოახლეს კი — აღათია. მოახლის გარდა, ფიცრის პატარა ყუთში ჩარგული ლიმონის ხე მოჰყვა (რომელიც ორი კვირის თავზე გახმა და ყუთიანად გადააგდეს), იმ დროის კვალობაზე საკმაოდ ვრცელი ბიბლიოთეკა, დედისეული ყურთბალიში და მამისეული ხმალი და ჯვარი, რომელიღაც მკვდარი მწერივით რომ ესვენა შვინდისფერ, კი-

დეებგამოშვებულ ბაბთაზე, როგორც მოყვარული ზოოლოგის კერძო კოლექციის ექსპონატი.

სიმდიდრის გულისთვის არც პეტრეს შეურთავს ბაბუცა, ბევრი შეძლებული ოჯახი ნატრობდა მის სიძობას, მაგრამ მამის „შეცდომის“ გამეორებას და სისხლის „უარესად გაუბრალოებას“ პეტრემ ღარიბი, ოღონდ კეთილშობილი ქალის შერთვა ამჯობინა, თუმცა მასზე ნამდვილი და მასზე ღირსეული თავადიშვილები სოვდაგრების გოგოებზე ნადირობდნენ, ნათხოვარ ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილნი, მხრების თამაშით, დარდიმანდულად მომღიმარნი მთელი დღე ქარვასლების წინ დასეირნობდნენ, თავი რომ მოეწონებინათ მომავალი სასიმამროებისთვის, ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, პეწი რომ შეენარჩუნებინათ, არ გამოჰკლებოდნენ ქელეხსა თუ ქორწილს, დაუფიქრებლად ყიდდნენ და აგირავებდნენ წინაპრების ძვლებით გაპოხიერებულ მიწებსა და წინაპრების აჩრდილებით გამოტენილ ციხე-კოშკებს, საგვარეულო ხატებსა თუ იარაღს, მათი ნებიერი პეპერების, ბებიების, დედებისა თუ დეიდების ნაქონ ყელსაბამსა თუ ბეჭედს, უკანასკნელ წუთს, სამარეში კუბოს ჩაშვების წინ რომ წაეძროთ მიცვალებულის თითიდან, მოეგლიჯათ კისრიდან, რათა ისიც ჯიბიდან გავარდნილი მაჭანკლებისთვის შეეტენათ და რომელიმე ვაჭრის ოქროს ტომარაზე შემოსკუპებული, ფერუმარილით ასაკგადაშლილი გომბეშო ჩაეგდოთ ხელში და ასე, მხოლოდ ასე, რადგან სხვა აღარაფერი შეეძლოთ, გამკლავებოდნენ, ცოტა ხნით მაინც, მათ გასათელად, მათ დასაკნინებლად ამოვარდნილ ქარიშხალს, სამოცდაერთი წლის რეფორმას რომ ჩამოჰყოლოდა ყინულეთის ქვეყნიდან. ქარიშხალი იყო, აბა რა იყო! იმ დღის მერე ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა. უგლეხოდ დარჩენილ ბატონს კარ-მიდამო რჩებოდა ოხრად, უბატონოდ დარჩენილ გლეხს კი, თავისუფლება, რომლის არც მოხვნა შეიძლებოდა და არც დათესვა. მაგრამ მაკაბელები თავიანთი ჭუჭრუტანიდან უყურებდნენ ცხოვრებას, არაფერში ერეოდნენ და არც არაფერი აინტერესებდათ, რაც მათი გალავნის გადაღმა ხდებოდა, მათ არც კრწანისის ველზე დაუჩოქიათ და არც სამშობლოში გადმოსვენებული პოეტის ნეშტს აჰყოლიან მთაწმინდაზე.

„ჩვენ არ გვეხება, ჩვენ არ უნდა ჩავერიოთო“. — ყველაფერზე ერთნაირად ამბობდა მაიორი, მაგრამ რაც იმ დროს ხდებოდა, მეტნაკლებად, მაკაბელებზეც ვრცელდებოდა, მათი მტკიცედ ნაგები გალავნის კედელსაც აწყდებოდა, სადღაც, ცხრა მთის იქით, ზამთრის სასახლის სარკესავით მოპრიალებულ იატაკზე დაბაკუნებული ფეხის ხმა. ბაგრატიონების სიგელ-გუჯარები გამოხეულ შარვალზე ასაფარებლად თუღა ვარგოდნენ, მაგრამ მაკაბელებს მაინც თავი მოსწონდათ კეთილშობილი რძლით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ურუქელებიც მეტი მოწიწებით; შურიანი მოწიწებით შესცქეროდნენ ორსართულიან სახლს, თითქოს აბისინიაში მოტაცებული ქალი ესვათ იქ და არა მათი კარის მეზობელი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, საერთო მტრის გამოგონილ ორმეფობას, ორპირობასა და ორგულობას რომ გაეუცხოვებინა, როცა სინამდვილეში ერთი ქეციანი, ხარის ზურგისხელა ქედით იყვნენ ერთმანეთისგან გათიშულნი, როგორც საწოლშიც მოუსვენარი ტყუპები — მუთაქით.

— მეშინია, აღათია. — თქვა ბაბუცამ, როცა ისა და მისი მოახლე მარტო დარჩნენ ოთახში და ბარგის ამოლაგებას შეუდგნენ. ბარგი ბევრი არ ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი ძვირფასი იყო მათთვის, ნაცნობი, სანდო, საიმედო, მით უფრო ახლა, ამ უცხო გარემოში, — თითქოს ციხეში ვარ... თავი მიბრუის. — რისა, შემოგევლე, რის გეშინია? აქ არა ვარ. — გაამხნევა აღათიამ და უნებურად მოათვალიერა ოთახი.

აღათია თითისტოლა გოგო ყოფილა, პირველად რომ მოუყვანიათ მიქელაძეებთან. დიდ ქალბატონს, ბაბუცას ბებიას, ძალით დაუბანინებია ცხვირპირგამურული გოგო და ნიფხავიც ძალით ჩაუცმევია მისთვის, პირველად თავის სიცოცხლეში.

„უნიფხვოდ აღარ დაგინახო, თორემ თავს მოგჭრი, ხალხში შეგამოწმებ, ხალხში წამოგხდი კაბასო“ — უთქვამს დიდ ქალბატონს და იმ დღის მერე აღათია, ნიფხვის ტარებასთან ერთად, ისე შესჩვევია მიქელაძეების ოჯახს, ისე შეუყვარებია, ძალით რომ გაეგდოთ, მაინც მობრუნდებოდა და, რომ აღარ მიეღოთ, ჭიშკარზე ჩამოიხრჩობდა თავს. შეიძლება, ამიტომაც დარჩა გაუთხოვარი, გათხოვების დრო სხვათა მოვლა-პატრონობაში

გაეპარა, არც თვითონ გახსენებია და არც სხვას შეუხსენებია. მერე დიდი ქალბატონი მოკვდა და ბაბუცას დედამ დაიკავა მისი ადგილი, ამას კი, ბაბუცა ჩაუსვეს კალთაში. ბაბუცა შვილივით უყვარდა და ესეც ყოფნიდა. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ბაბუცას გულისთვის დაუფიქრებლად მოკლავდა კაცს, თუმცა ქათმის დაკვლას ვერ აყურებინებდით.

ხოლო დიდი ქალბატონისა და დიდი ბატონის სიკვდილის მერე, ლამის ზედ გადაჰფარვოდა, რადგან ბაბუცას, აღათიას გარდა, სხვა აღარავინ ჰყავდა ახლობელი, ნამდვილად ახლობელი, გულის შემატკივარი, გაჩენის დღიდან თვალის მიმდევნებელი, რომელიც მისი პირველი კიჭის ამოსვლასაც შესწრებია და ქალურის დაწყებასაც. აღათია ბაბუცასთვის დედაც იყო და მამაც, ქალიცა და კაციც, სითბოცა და იმედიც და უბრალოდ ამის შეგრძნება არა მარტო ასულდგმულებდა, არამედ აამაყებდა და აყოჩაღებდა კიდეც. სხვებს კი ჩვეულებრივი მოახლე ეგონათ.

— აქ არა ვარ! — გაიმეორა აღათიამ. — ეგ ხმალი და ჯვარი კედელზე დავკიდოთ, გამოსაჩენად. არ იფიქრონ, მთლად უპატრონოები ყოფილანო.

რკინის ჯვარი, მკვდარი მწერივით რომ ესვენა შვინდისფერ ბაბთაზე, იმპერატორის რომელიღაც ნათლულს უჩუქებია ლუარსაბ მიქელაძისთვის საჯავახოს სადგურში, სადაც მის შესახვედრად გამოსული თავადაზნაურობიდან მარტო ბაბუცას მამამ, ლუარსაბ მიქელაძემ შესძლო თურმე შვიდლიტრიანი ყანწის დაცლა. იმპერატორის ნათლულს, ამ უცნაური სანახაობით, ცოტა არ იყოს, შემკრთალსა და გაოგნებულს, რკინის ჯვარი მკერდიდან მოუგლეჯია და იქვე, ყველას თვალწინ, ყველას გულის გასახეთქად გადაუცია ლუარსაბ მიქელაძისთვის, დაცლილ ყანწზე დაყრდნობილი, ძირგამოჭრილ ხესავით ატორტმანებული, გიჟი ხარივით რომ უბღვერდა მოტირალი დედაკაცივით ჩაშავებულს, ავიშვიშებულსა და აკივლებულ ორთქლმავალს, თითქოს გული უგრძნობდა, მის სამფლობელოში ამ უცნაური ურჩხულის შემოჭრას კარგი არაფერი რომ მოჰყვებოდა მისთვის. ძნელი სათქმელია, მართლა გრძნობდა თუ არა რამეს საჯავახოს სადგურში ატორტმანებული, შვიდი ლიტრა

ღვინით გაოგნებული ლუარსაბ მიქელაძე, მაგრამ რაც მის ოჯახს მომავალში დაატყდა თავს, მარტო მისი უყაირათობისა და ქარაფშუტობის ბრალი არ იყო. პატარა, შავად გამურულმა ორთქლმავალმა, ცეცხლსა და ჭვარტლს რომ აფრქვევდა, ახალი დრო მოიყოლა თან, ხოლო ახალმა დრომ სხვა ყველაფერთან ერთად, ცხოვრების ყაიდაც შეცვალა. ნაზი და მეოცნებე მეუღლის მოულოდნელმა სიკვდილმა ხომ უარესად ააჩქარა, უარესად აამჩატა ლუარსაბი, მამულები დააგირავა და თავისი ერთადერთი ქალიშვილიანად თბილისში გადასახლდა, სადაც უკვე საკმაოდ მოეყარა თავი მასავით გუდაფშუტას, იმპერატორის სამსახურისა და იმპერატორის წყალობის მაძიებელს. გადარჩენისა და ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინს ისე გაეცოფებინა და ისე გამოეთაყვანებინა ყველანი, მამა შვილს ვეღარ სცნობდა და შვილი — მამას; მეფისნაცვლის სასახლეში გამართულ მეჯლისებზე რომ მოხვედრილიყვნენ, ხელის აუკანკალებლად ჩაუყრიდნენ ერთმანეთს საწამლავს, ოდესღაც ღირსეული და ერთგული მამულიშვილები. ლუარსაბ მიქელაძე, ალბათ, იქაც გამოირჩეოდა, ალბათ, იქაც გააწბილებდა სხვებს, როგორც ერთხელ გააწბილა, საჯავახოს სადგურზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა, აღარ დასცალდა, ძვალ-რბილში გამჯდარმა სიამაყემ დაღუპა. ან რა გასაკვირია, კაცი თავზე ბუზს არ ისვამდა და ვიღაც ქალაქელი ვიგინდარას გადაბრუნებულ სიტყვას როგორ მოითმენდა, სუფრაზე რომ აუტყდა, გინდა თუ არა, ულვაშები მომყიდეო. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გამთენიისას, როცა ჯერ კიდევ ეძინა ქალაქს (თუმცა ბაბუცას და აღათიას რა დააძინებდათ! ღამის პერანგებზე თავშალმოხვეულები, მობუზულები ისხდნენ ნასხვისარ ტახტზე, ნასხვისარ კედლებს შორის და გულის ფრიალით ელოდებოდნენ საქეიფოდ წასული ლუარსაბის დაბრუნებას), ორმა მეეზოვემ და ერთმა გოროდოვოიმ ძლივს გამოიტანეს ორთაჭალის ბაღებიდან ყელგამოჭრილი ლუარსაბ მიქელაძის უზარმაზარი, გალურჯებული და გასივებული გვამი. ამის შემდეგ ბაბუცას ისღა დარჩენოდა, მაჭანკლისთვის დაეჯერებინა, თბილისიდან მისთვის კიდევ უფრო შორეულსა და უცხო ურუქში გადასახლებულიყო, მაკაბელების რძალი გამხდარიყო და სამუდამოდ აეღო ხელი გულუბრყვილო ოცნებაზე, რომლისაც მარტო თვითონ და სულელ აღათიას სჯეროდა და რომელიც მზეჭაბუკის მო-

ულოდნელ გამოცხადებას პირდებოდა, იმ ოქროს კულულებიანი მზეჭაბუკისას, ზღვის პირას ამართულ ბროლის კოშკში რომ წაიყვანდა, სადაც ვარდის სურნელით ჩაძინებულს, იადონების ხმაზე გამოეღვიძებოდა. სამაგიეროდ, ქმრის სახლს რკინის ალაყაფშებმული გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ციხესავით პირქუში და შეუვალი იყო და ცხოვრებისგან გაწბილებულ ქალს თავისუფლად შეეძლო შიგ ჩაკარგვა, ყოველგვარი ოცნების დავიწყება და მშვიდად, შეუმჩნევლად ცხოვრება საქარგავითა და წიგნებით. მაგრამ ბაბუცა პირველსავე დღეს შეაშინა ამ სახლმა, თავისი ნახევრად ბნელი ოთახებით, სქელი კედლებით, დაძაბული, მოგუდული ხმებით, ამ კედლებს შორის რომ ბუდობდნენ, უჩინარი არსებებივით, თითქოს ბაბუცას გულის გასახეთქად და დასაშინებლად. ბაბუცა კი, ისეთი მხდალი ბუნებისა გახლდათ, ფეხსადგილშიც ვერ წავიდოდა დაღამებულზე, აღათიას რომ არ გაეცილებინა ჭრაქით.

„ისიც არ ეცოდინება, ვის გააჩენს, ვისი დედა იქნება“, — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი, როცა საკურთხევლის უკან ეპიფანე დიაკვნის დახმარებით ირთვებოდა, ემზადებოდა პეტრესა და ბაბუცას შესაუღლებლად. არასოდეს არ უღელვია ასე, ხელები უცახცახებდა, წარამარა ისწორებდა ფართე, ოქრომკედით ამოქარგულ ოლარს, უმიზეზოდ დაჰყვიროდა ეპიფანე დიაკვანს, თითქოს სასიკვდილო განაჩენის აღსასრულებლად მიდიოდა და არა ორი ახალგაზრდის გასაბედნიერებლად.

ჰაეროვანი და კდემამოსილი ბაბუცა საკმაოდ ნაყოფიერი დედაკაციც აღმოჩნდა და თითქმის ერთმანეთის მიყოლებით — სამი შვილი გაუჩინა პეტრე მაკაბელს: ჯერ ალექსანდრე, მერე ნიკო (ნათლობის წიგნში — ნიკოლოზი) და ბოლოს — ანეტა (ნათლობის წიგნში — ანა, ბებიის პატივსაცემად). პეტრე დამშვიდდა, ახლა ვეღარავინ გაუბედავდა პირველობაში შეცილებას.

გიორგა, გინდაც ნამდვილი ძმა ყოფილიყო მისი და გინდაც ორჯერ უფროსი, მაინც ვერ მოვიდოდა მასთან, ცოლიან კაცთან, სამი შვილის მამასთან, რომელსაც თბილისელი თუ თელაველი სირაჯებიც მოკრძალებითა და რიდით ელაპარაკებოდნენ, აფასებდნენ და ყოველთვის უთმობდნენ, რადგან პეტ-

რე თავის სიტყვას მაინც არ გადაუხვევდა, ღვინო გინდაც აძმარებოდა, მაინც აღარ დაუკლებდა ერთხელ დადებულ ფასს. ლაპარაკისას ჟილეტის ვიწრო ჯიბიდან მალ-მალე იღებდა საათს, ხელისგულზე იდებდა და დასცქეროდა, თითქოს დრო განსაზღვრული ჰქონდა, წუთი-წუთზე გამოთვლილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სირაჯებზე მართლა მოქმედებდა საათის წიკ-წიკი, უნებურად ისინიც ჩქარდებოდნენ, უნებურად ისინიც დასცქეროდნენ ხელისგულზე დასვენებულ საათს, განუწყვეტლივ რომ წიკწიკებდა თავისი პატრონის სასარგებლოდ და იმ წიკწიკის ბრალი იყო, თუ რა იყო, თითქოს დაცოცავდა კიდეც, ერთ ადგილას ტრიალებდა, ფრთებდაგლეჯილი მწერივით. პეტრე უკვე კაცი იყო, საქმისა და ოჯახის პატრონი, ქუდის მოხდით ესალმებოდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ, ხოლო გარეგინას დუქანში რომ შევიდოდა, ყველანი ჩუმდებოდნენ, განზე გადგებოდნენ ხოლმე და ხელებში შესცქეროდნენ, რას აირჩევდა, რას იყიდდა და რამდენს (ერთხელ პეტრემ, მხოლოდ იმიტომ, რომ ტალახიანი ფეხსაცმელი გაეწმინდა, ჩითის თოფს მთელი არშინი შეახია, საიდანაც თავისუფლად გამოიჭრებოდა ხუთი წლის გოგოს კაბა და სათავსაფრეც მორჩებოდა, იქვე, დუქანშივე შეიხოცა იმ ჩითით მარილის ტომარაზე რიგრიგობით შემოდგმული ფეხები და მერე, დაჭმუჭნული და გაბინძურებული, კუთხეში მოისროლა). გიორგა კი ბიჭად დარჩენილიყო ისევ, მაყვლით ტუჩებმოთხუპნული ბრუნდებოდა ვენახიდან, ხან ოფოფის ბარტყს მოუყვანდა უბით ძმისშვილებს, ხან კი, სამხრის ნარჩენივით, ცოცხალი ზღარბი ჰყავდა ხილაბანდში გამოკრული. ბიჭები, მის დანახვაზე ყიჟინით მიაწყდებოდნენ ხოლმე რკინის ალაყაფს. როგორც თავი ეჭირა და როგორც იმსახურებდა, ბავშვებიც ისე ექცეოდნენ, შინ მობრუნებულს ოფლიანი პერანგის გამოცვლასაც არ აცლიდნენ, მიწაზე აგორებდნენ, ზურგზე ასხდებოდნენ, როგორც სახედარს, და თვითონაც ითითხნებოდნენ იმისი ოფლითა და ტალახით. ხოლო, როცა მასთან ნაბღლაძუნებ ბავშვებს აღათია ხელმეორედ ბანდა სპილენძის დიდ ტაშტში, იმ სულელს სწყინდა და მხრებაწურული, ბრიყვულად გაღიმებული, იძახდა: რა იყო, ჭირიანი ხომ არა ვარო. გიორგა ყველასთან პატარა იყო, უფროსობა არ გამოსდიოდა, ასაკი ემატებოდა, მაგრამ არ ეტყობოდა, ლეკვობაში

არაყდალეული ძაღლივით სულ ლეკვად დარჩენილიყო, სულ სხვისი ხელის შემყურედ.

პეტრეც დედაზე უფრო იყო ნაწყენი, ვიდრე გიორგაზე, რადგან გიორგა ყველაფერს უსიტყვოდ უთმობდა, არასოდეს უთქვამს — ჯერ მე და მერე შენო, ხოლო დედა, რაც თავი ახსოვს, სულ უკან ეწეოდა, გიორგა რომ გამოეგდო წინ. ჯერ ეგ არიო, პატივი უნდა სცეო, ეგ სხვანაირი გულის ბიჭიაო და, რა ვიცი, რაღას არ იგონებდა, პეტრე რომ დაეჩაგრა, თანაც უსამართლოდ, რადგან ამ სახლში, ამ ჭერქვეშ პეტრე იყო პირველიც:

და ერთადერთიც, რომელმაც მამის ვინაობაც იცოდა და დედისაც. ვინ რა იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა პეტრეს გულში, როგორ სტანჯავდა დედის უსამართლობა! რამდენი რამე მოუთმენია, რამდენი შხამი და ბალღამი ჩაუყლაპავს ისევ დედის ხათრით, თუმცა არც ის გაემტყუნებოდა, საერთოდ უარი რომ ეთქვა ასეთ დედაზე, ასეთ ქალზე, რომელიც მამამისის სიკეთის გამო გახდა მხოლოდ მისი დედა და იმის მაგივრად, რომ თავი ჩაეღუნა, ენა მუცელში ჩაეგდო, კანონიერი ქმრისა და შვილის დასანახად მაინც დაევიწყებინა თავისი ბნელი წარსული, რაც სხვებმა დაუვიწყეს, აპატიეს და შეარგეს, იმ წარსულის ნათესლარს ისე დაჰფოფინებდა, ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე სახეზე, ვინმე თუ გაეხუმრებოდა, ანდა, რამეს დაავალებდა, რამეზე დაასაქმებდა, თითქოს მეფის შვილი იყო გამოძიძავებული და არა ვიღაც გლეხუჭას ნაშიერი. კი, ბატონო, ისიც ყვარებოდა, ვინ დაუშლიდა, ან ვისი რა საქმე იყო, მაგრამ სხვა რაღაზე უნდა მოიძულო, იმ სხვამ რა დააშავა, გარდა იმისა, რომ მოთმინებით უცდიდა ღმერთის ნება-სურვილის აღსრულებას, თავისი ჯერის დადგომას. მართალია, ნაქურდალი ხილი ტკბილია, მაგრამ რატომ უნდა გერჩიოს იგი შენს საკუთარ ბაღში დაკრეფილს, თუკი... არა, პეტრე გუნებაშიც არ იტყოდა იმას, რასაც დედამისი იმსახურებდა, მაგრამ ნურც იმის თქმას მოსთხოვდნენ ხმამაღლა, რაც არ დაემსახურებინათ.

ცოლ-შვილმა პეტრეს პირველობის, უპირატესობის რწმენაც განუმტკიცა და ის შფოთვა და წუხილიც დაავიწყა, რაც ადრე, მოულოდნელად გამოღვიძებულს, დედის ცარიელი ლოგინის დანახვაზე ეუფლებოდა. „იქ არის, ისევ იმასთანო“, — ეროსა-

ვით ჩაჰკრავდა ხოლმე პეტრეს თავში, მაგრამ ახლა, ყურადღებიანი და მორჩილი მეუღლის გვერდით ჩათბუნებულს, აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი, ეეჭვიანა გომურის ბინადრებზე, ქურდებივით ყურდაცქვეტილნი რომ ისხდნენ ბნელში, სახედრის შარდის სუნით გაჟღენთილ კედლებში და ჩურჩულით ეფიცებოდნენ ერთმანეთს სიყვარულს.

თუ ვინმე ეცოდებოდა პეტრეს, ისევ მამამისი. მამას თაყვანს სცემდა, აღმერთებდა, იმ დღიდანვე, როცა საბოლოოდ აეხილა თვალი და მთელი ბრწყინვალებით აღიქვა იგი. პირველი, რამაც სამუდამოდ აღაფრთოვანა და რამაც სამუდამოდ გააამაყა, მამის მუნდირი იყო, ბრჭყვიალა ღილებითა და ეპოლეტებით გაწყობილი, მოკრძალებისა და პატივისცემის ჩამნერგავი.

მერე, ჭკუაში რომ ჩავარდა, ეს შთაბეჭდილება არ გახელებია, პირიქით, უფრო განუმტკიცდა, მაგრამ ერთი რამის გაგება უჭირდა მხოლოდ, ასეთმა კაცმა, როგორადაც მამა ეხატებოდა, რატომ შეირთო ასეთი ქალი, როგორიც დედამისი.

იყო, თანაც ასეთი წარსულის მქონე; რა საერთო ჰქონდათ, რა შეიძლებოდა ჰქონოდათ საერთო ქვეყანამოვლილ კაცსა და უპატრონოდ გაზრდილ-ქალს, რომელიც ერთნაირად თავჩაღუნული, ერთნაირად დარცხვენილი ელაპარაკებოდა სტუმარსაც.

და შინაურსაც. არც ღირსება გააჩნდა და არც სიამაყე, თითქოს მონად გაეჩინა ღმერთს, და ვისაც მოეპრიანებოდა, ის გადაიყვანდა ბოსტანში; რადგან ვერავის გაუბედავდა უარის თქმას. მამის სიკეთე და კეთილშობილება ცოტა იყო ამ შეუღლების ასახსნელად, სხვა მიზეზიც არსებობდა და, ალბათ, სათაკილო, რაკი ვერც თვითონ ეკითხა მამისთვის და ვერც მამას გაემხილა აქამდე. მამას რომ დედამისი არ უყვარდა, ეს დიდი ხანია იცოდა და ამის ცოდნა ამშვიდებდა ცოტათი, რადგან დედა სხვაა და ცოლი სხვა. დედა, შეიძლება კუზიანი იყოს და გიყვარდეს, სოფლის გიჟივით წარამარა დაწანწალებდეს კაბაწამოხდილი და მაინც გიყვარდეს, რადგან იმის გაჩენილი ხარ, ღმერთმა დაავალა იმას შენი დედობა და ამით თავიდანვე, გაჩენამდე მოგისპო შენ არჩევანის უფლება. ამიტომ ვერავინ

დაგძრახავს მახინჯი თუ გიჟი დედის გამო, რადგან იმავე ღმერთმა, რომელმაც შენ დედის. არჩევის უფლება ჩაგართვა, სხვებს — თავისთავად, შენი განკითხვის საშუალება მოუსპო. ცოლი კი სხვაა, ცოლს კაცი ირჩევს და ამ არჩევანში გამოჩნდება ხოლმე კაცის გემოვნებაცა და ღირსებაც. მაგრამ, რაც არ უნდა გემოვნებიანი და ღირსეული იყოს კაცი, მაინც შეიძლება შეეშალოს არჩევანი. ეს უკვე ბედის საქმეა. — ბედის კი არა — უბედობის. ასე მოუვიდა მამამისსაც, ბედმა არ გაუმართლა. აკი თვითონვე უთხრა: მე რაზედაც ვოცნებობდი, შენ აგისრულა ღმერთმაო. პეტრეს თვალში ქაიხოსრო გაცილებით მეტის ღირსი იყო, მაგრამ ისღა უმშვიდებდა გულს, მამის უბედურება უბედობის ბრალი რომ იყო და არა უგემოვნებისა. „როგორც გაჭირვებული კაცი სირცხვილს აღარ დაგიდევს და პირველსავე მოფარებულ ადგილზე ჩაკუნცხდება, მეც ისე ვარ, შენთან რომ ვწვებიო“ — უთხრა ერთხელ მამამისმა დედამისს,. დიდი ხნის წინათ, როცა პეტრე პატარა ბიჭი იყო და ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა. ვერც ამ სიტყვების აზრს ჩასწვდა მაშინ, მაგრამ მამის ნათქვამი სამუდამოდ დაამახსოვრდა და დიდხანს აწვალებდა მისთვის ჯერ კიდევ გაუგონარი სიბილწითა და სიმკაცრით. ეს სიტყვები მის გასაგონად არ იყო ნათქვამი, მაგრამ, ეტყობა, ღმერთს უნდოდა, პეტრესაც რომ მოესმინა ისინი, მოესმინა საიდუმლოდ, ქურდულად, რადგან მოულოდნელად გამოღვიძებული, ღმერთმავე აიძულა, გატრუნულიყო ლოგინში, ისევ მოემძინარებინა თავი იმის სანახავად და მოსასმენად; რაც ჯერ მისთვის ადრე იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან მასაც უნდა სცოდნოდა, რადგან ამის ცოდნამ, უფრო სწორედ, როცა შემთხვევით ნანახი და გაგონილი თანდათანობით ცოდნად იქცა, ბევრი სხვა რამეც თავისთავად ნათელი გახდა მისთვის. პეტრეს. რომ იმ ღამეს გამოეღვიძა, არც მის მშობლებს ეძინათ; ერთად იწვნენ, ერთ ლოგინში და, პირველად ისე მოეჩვენა, თითქოს რაღაცაზე ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მამა რაღაცის წართმევას უპირებდა დედას, დედას კი, ის რაღაც მაგრად ჰქონდა ორივე ხელით ჩაბღუჯული და არ ანებებდა. უხმოდ იბრძოდნენ, თითქოს სუნთქვასაც ძალით იკავებდნენ, ალბათ პეტრე რომ არ გაეღვიძებინათ, და მართლაც იყო მათ ბრძოლაში რაღაც დასამალი, შემაშფოთებელი, შემაწუხებელი და დამძაბველი, თვითონაც სუნთქვა შეეკრა,

ლამის გული ამოუხტა საგულედან, იგრძნო, დანაშაულს ჩადიოდა, თუნდაც უნებლიე მოწმე რომ გამხდარიყო დედისა და მამის ამ უცნაური სიახლოვისა. ცოტა ხნის მერე მამამისი წამოდგა, იატაკზე, საწოლის ფეხთან დადგმულ ლამპას დაწვდა და ოთახიდან გავიდა, თუმცა იქამდე ის სიტყვები უთხრა დედას, რომლებმაც დიდი ხნით დაუკარგეს პეტრეს მოსვენება, თავიანთი იდუმალი სიუხეშით, დაუნდობლობითა და სიბილწით, რაც ასე რიგად ესადაგებოდა მისი მშობლების იმღამინდელ საქციელს. იმ ღამის მეორე მშობლები მისთვის გამოცანად იქცნენ, ხოლო როცა, დროთა განმავლობაში, მამის ნათქვამში ჩამალული აზრის ამოკითხვა შესძლო, მამა შეეცოდა, თუმცა არც მერე შეცვლია რწმენა მამის სიდიადისა და განსაკუთრებულობისა, რაც მამის სუნით გაჟღენთილი მუნდირიდან გადაედო თითქოს, როცა იგი, ჯერ კიდევ თითის ტოლა ღლაპმა, სხვების უჩუმრა, მუხლების კანკალითა და გულის ფრიალით, კი არ ჩაიცვა, ნაბადივით მოიხურა, ერთი წამით, მძიმე და უხეში, მხურვალე და საიმედო, როგორც დაკაცებაზე, მამობაზე, ოჯახის უფროსობაზე ფიქრი. ის ფიქრი, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა.

პეტრე დაკაცდა კიდეც, მამაც გახდა და ოჯახის უფროსიც; მისი ჩარევისა და ნებართვის გარეშე თეფში არ გადაადგილდებოდა სახლში, ჩიტი ვერ გამოკენკავდა მარცვალს ვენახში, რადგან თვითონ ქაიხოსრომ მოინდომა ასე, უფროსიც შენა ხარ და უმცროსიცო, ყველას გასაგონად გამოუცხადა ქორწილზე, და ამის მერე, რაღა თქმა უნდა, გიორგა თავისთავად ამოირიცხა სათვალავიდან, თუმცა არც იქამდე ეკითხებოდნენ რამეს.

ახალმა დიასახლისმა ახალი წესები დაამკვიდრა. ახლა საღამოობით ყველანი თეთრი ფაიფურის მუცლიანი ლამპით განათებულ ოთახში იკრიბებოდნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ მძიმე, ყდაგაქეცილი წიგნებიდან ბაბუცას მთრთოლვარე ხმით ამოკითხულ ამბებს, ბავშვებზე ნაკლებად, არც დიდებს სიამოვნებდათ სხვათა თავგადასავლების მოსმენა. კითხვა თავადაც იცოდნენ. მაგრამ ბაბუცას უნებართვოდ ვერავინ გაბედავდა მზითვებში მოყოლილი ბიბლიოთეკიდან წიგნის გადმოღებას, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და დღეში სამჯერ

ინდაურის ფრთით გადასწმენდდა ხოლმე მტვერს ბიბლიასა თუ სახარებას, „ვეფხისტყაოსანსა“ თუ „ყარამანიანს“, დაუჯდომელსა თუ ბარბარე ჯორჯაძის საოჯახო წიგნს, უმალ საკუთარ სამკაულებს მისცემდა ბავშვებს სათამაშოდ, ვიდრე დაუკითხავად და დაუდევრად გადააშლევინებდა რომელიმე მათგანს. თანაც, დიდებისა არ იყოს, ბავშვებსაც მოსმენა ერჩიათ კითხვას, ისინი თითის მიუყოლებლად და სიტყვის დაუმარცვლავად ჯერ კიდევ ვერ კითხულობდნენ და წინადადების ბოლოში გასულებს წინადადების თავისა აღარაფერი ახსოვდათ. ბაბუცა კი, მშვიდად, აუჩქარებლად, მკაფიოდ, წაუბორძიკებლად, გადაბმულად, ხმის რაღაცნაირი სინარნარით კითხულობდა და გეგონებოდათ, თეთრი, გაფუყული ლამპის შუქით განათებულ ოთახში მთვარის ყვითელი ფოთლებით გადაპენტილი ნაკადული მოწკრიალებსო. დიდებიც და პატარებიც გაფაციცებულნი უსმენდნენ ამ იდუმალი ნაკადულის წკრიალს, რომელსაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყავდა მსმენელები, ქაღალდის გემებივით თავის ნებაზე მიშვებულნი, გამსუბუქებულნი და გათავისუფლებულნი ყოველგვარი საზრუნავისა და ტვირთისაგან; შეყავდა ისინი ზღაპრულ ციხე-კოშკებში, რომლებშიაც გმირები და მზეთუნახავები ცხოვრობდნენ და შეუმჩნევლად, ჩაურევლად, თითის გაუნძრევლად, მათი არაჩვეულებრივი ბედისა თუ უბედობის მონაწილეებად, მოზიარეებად ხდიდა. მაგრამ ამ მღელვარე სიმყუდროვეში კარადისხელა საათის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე მოულოდნელად და თვალისდახამხამებაში ყველას ისევ დიდი, გაფუყული ლამპის შუქით განათებულ ოთახში აბრუნებდა, ერთხელ კიდევ ახსენებდათ, მათი გამოთიშვა განსაზღვრული რომ იყო, დროებითი, წარმავალი, წიგნში აღბეჭდილი ამბებისგან განსხვავებით.

— ეგრე მხოლოდ წიგნებში ხდება. — ეუბნებოდა ქაიხოსრო ბავშვებს, თვალანთებულნი, მღელვარებისგან დაძაბულნი, ხარბად მთელი არსებით რომ უსმენდნენ დედას.

მამამთილის ამ უადგილო და უსაფუძვლო შენიშვნით გამწყრალი და გაკვირვებული ბაბუცა, წარბებს მკაცრად შეწკიპავდა ხოლმე, როგორც მასწავლებლებმა იციან მოუსვენარი მოწაფის გასაფრთხილებლად; ხოლო პეტრეს იმდენად წიგნიდან

ამოკითხული ამბები არ აღაფრთოვანებდა, რამდენადაც მეუღლის სიჭკვიანე და სიდარბაისლე.

„ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ!“ — დაუნდობლად, დაუზოგავად რეკავდა კარადისხელა საათი და ეს ჟღრიალა, მბრძანებლური და, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელი ხმა ბაბუცას წიგნს ახურვინებდა, რა საინტერესო ადგილამდეც არ უნდა ყოფილიყო მისული, ბავშვებს საწოლებისკენ მიელალებოდა, როგორც არ უნდა გასძალიანებოდნენ უეცრად გამკაცრებულ უფროსებს, კაცებს დილით გასაკეთებელ საქმეს ახსენებდა, რაც არ უნდა მომაბეზრებელი ყოფილიყო ეს საქმე, ქალებს ერთხელ კიდევ ამოწმებინებდა, რამე ხომ არ დარჩენოდათ დასაბინავებელი, თავის ადგილზე დასადები, და საკუთარი სიფხიზლითა და სიზუსტით კმაყოფილი, ისევ ხარბად, ისევ ფაცაფუცით აგრძელებდა წამების თვლას, როგორც საგანძური შეპარული ავაზაკი ფულისას, რომელმაც კარგად იცის, დაყოვნება მისთვის დაღუპვას რომ ნიშნავს, მაგრამ მაინც ვერ მოუთმენია, ვერ მორევია ცნობისწადილს და იქვე, აუწერელი, დაულეველი სიმდიდრის ხილვით გათავხედებული, თვლის სხვის საკუთრებას, ითვლის, ითვლის და მზადაა უსასრულოდ ითვალოს კიდევ, თუკი არ მოუსწრეს, თუკი ძალით არ ააღებინეს ამ საქმეზე ხელი. ბავშვები თავიანთ დაუძინებელ მტრად თვლიდნენ ამ მოუსყიდველსა და ყოვლისშემძლე ყუთს, სათამამოდ განკუთვნილ დროს თვალისდახამხამებაში რომ ნთქავდა, როგორც მათი პაპის ღორი — სალაფავს, ხოლო სადღესასწაულო დღის გათენებას საშველს არ დააყენებდა ხოლმე. იმდენი კი აღარ იცოდნენ, მათი უდარდელი და ტკბილი ბავშვობაც, თავად აუტანლად და მწარედ რომ ეჩვენებოდათ, ამ საათთან იყო დაკავშირებული, ამ საათს ეჭირა ფოლადის ორი ისრით, როგორც პეპელა ორი თითით, და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ შეაწყვეტდა ფრთებს. ბავშვები ერთმანეთს ზრდიან, ერთმანეთი გამოყავთ ბავშვობიდან, როგორც დიდებს ბრძოლის ველიდან, ანდა ცეცხლწაკიდებელი სახლიდან, რადგან ადამიანის ბუნება საფუძვლიანად ვერც ერთ ასაკს ვერ ეგუება, შემდეგი, უფრო ზემო საფეხური მიაჩნია სრულყოფილად და, ამიტომაც დაუნანებლად, უკეთესობის იმედით გადადის ერთი ასაკიდან მეორეში, სანამ ბოლო საფეხურს მიაღწევდეს, რომელსაც სიბერე ჰქვია, რომლის იქი-

თაც აღარაფერი აღარაა, და სწორედ მაშინ, ხელმეორედ ამოტივტივდება ხოლმე ადამიანის სულსა და გონებაში მისი ცხოვრების პირველი საფეხური, იმ პირველ საფეხურზე შემომდგარი, სულის შემძვრელად ნორჩი არსება, რომელიც თვითონ იყო ოდესღაც, თუმცა ახლა ისევე გვანან ისინი ერთმანეთს, როგორც თავკომბალა და გომბეშო, ანდა თავთავი და დაობებული პურის ყუა, მაგრამ იცის, რომ ის, პირველ საფეხურზე შემომდგარი და თვითონ, უკანასკნელ საფეხურზე ჩამომჯდარი, ერთი და იგივე არსებაა, ორად გაყოფილი, არა, ორ უკიდურეს წერტილს შორის გაბმული, გაჭიმული, სიმივით, სიმივით კი არა, ჭიაყელასავით, რომელიც სადაცაა გაწყდება, სადღაც, შიგნით, საკუთარ არსებაში და ყველაფერი გათავდება, მაგრამ ერთბაშად კი არ მოკვდება, არამედ ნაწილ-ნაწილ, უფრო ზუსტად — ორჯერ, ჯერ პირველ საფეხურზე, მერე — უკანასკნელზე, ჯერ თავს მოუკვდება და მერე ქვეყანას. ბავშვობა მხოლოდ მაშინ აჩენს სინანულის გრძნობა, როცა კარგა ხნის დამთავრებულია იგი, როცა წესიერად აღარც გვახსოვს, როცა ამ სათუთი და ვარდისფერი ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ნამტვრევიღა ბრჭყვიალებს დაბერებული სულის კუნჭულში, როგორც ხელმეორედ გათხრილი სამარხის ფსკერზე, და როგორც არ უნდა ვეცადოთ, იმ ნამტვრევებისგან მაინც ვეღარ შევაკოწიწებთ სწორედ ისეთ ჭურჭელს, როგორიც ის იყო ოდესღაც და მაინც ბოლომდე ვერ ამოვიცნობთ იმ ჭურჭლის დანიშნულებას.

ქაიხოსროს ძველმა სიზმრებმა გაუხსენეს. სიზმარში ისევ ხუთი წლის ბიჭი იყო და ისევ სუნთქვაშეკრული მიქროდა ავად აპრიალებული ქვაფენილისკენ, რომელიც, ამავე დროს, თათრის დაკრეჭილ კბილებსაც აგონებდა. ქვაფენილიდან წამომხტარს, მუხლებგადატყაულს, ორი თვის მკვდარი გოგო მოსდევდა, ყოჩის რქებისხელა ულვაშებს მოაფრიალებდა და მოსძახოდა: არ მოგეშვები, სანამ არ მეტყვი, ვინა ხარო. „ნოე. ვარ, ნოე ვარ, ნოე ვარ“, — ყვიროდა ოფლში გაღვრილი, საბანგადამძვრალი, პერანგის საყელოში ხელებჩაფრენილი. სიზმარში კი გარბოდა, აღარ თავდებოდა თბილისის დაკლაკნილი, ვიწრო ქუჩები. როცა ეგონა, ესაა გავაღწიეო, ორსართულიანი, ხის აივნიანი სახლი გადაუჭრიდა გზას. ქუჩა კი, ერთხელ კიდევ იზნიქებოდა წელში, როგორც ნუჟრს წამოდებული ხერხი, ერ-

თხელ კიდევ გვერდს უვლიდა იმ სახლს, მოულოდნელად, უკანასკნელ წამს, როგორც ღამურა ბნელში გარინდულ ტოტს, და ისევ მისრიალებდა, მიცოცავდა, მიფარფატებდა ცეცხლით გამურულ კედლებს შორის, გადადიოდა უკაცურ, სახტად დარჩენილ ხიდებზე, წვიმის დანატოვარ გუბისხელა მოედნებზე და არ თავდებოდა, არ თავდებოდა, თითქოს საკუთარი კუდი პირით ეჭირა. „ბიჭს უშველეთ, ბიჭს უშველეთ, ბიჭს უშველეთ“, — ქალის ხმით ყვიროდნენ ჩაბნელებული ფანჯრები. ბოქლომდადებული დარაბები, ყრუ, ჩაკარგული ეზოები, ბინდჩამდგარი თაღები, მოულოდნელად შეწყვეტილი კიბეები. გაშეშებული, ენაშეხსნილი ზარები — და ქაიხოსროს ეღვიძებოდა, გაშტერებული, ნირწამხდარი, უაზროდ მომღიმარი უსმენდა სახლში გამეფებულ სიჩუმეს. შვილიშვილებმა ქაიხოსროს ყველაზე მკაცრი, ყველაზე მიუდგომელი და მოუსყიდველი მტერი გაახსენეს: სიბერე და სიკვდილი, ბუნებრივი და გარდაუვალი დასასრული ადამიანის სიცოცხლისა, რომელსაც ვერც ქაიხოსრო დაუჭერდა იმ სამიოდე ლიტრა სისხლს, რომლის გადასარჩენადაც ცხოვრობდა იგი საერთოდ, ხოლო ერთ მშვენიერ ღამეს, ამგვარი სიზმრიდან გამოფხიზლებულმა ქაიხოსრომ გამაოგნებლად იგრძნო, რომ ამდენი განსაცდელის გადამტანსა და ამდენი მტრის პატრონს, ყველაზე მეტად საკუთარი შვილიშვილებისა ეშინოდა. ალბათ, უყვარდა კიდეც ისინი, რაკი შეაშფოთა ამ აღმოჩენამ, მაგრამ უფრო ეშინოდა, ვიდრე უყვარდა. შვილიშვილების ყოველდღიური, თვალნათელი ზრდა, მისი დაბერებისა და მოახლოებული აღსასრულის დადასტურება იყო და მეტი არაფერი. იმ ღამიდან მოყოლებული სამი ბავშვი ქერუბიმის სამ საყვირად იქცა მისთვის და როცა მათი ჟივილ-ხივილი ესმოდა, ტანი ებურძგნებოდა, ხელ-ფეხი უსუსტდებოდა, მზად იყო სიტყვის შეუბრუნებლად, ბოლომდე გაუაზრებლად შეესრულებინა ყველა მათი აჩემება, რაც არ უნდა უაზრობად და სისულელედ მოსჩვენებოდა იგი სხვებს. ქაიხოსროს ახლა ერთადერთი ოცნება ჰქონდა, ისიც სულელური, თვითონვე გრძნობდა ამას, მაგრამ მაინც ჯიუტად ოცნებობდა, არასოდეს არ დაზრდილიყვნენ მისი შვილიშვილები, კი არ დახოცილიყვნენ, ამას გულშიც გერ გაივლებდა, იმდენად ეშინოდა მათი, არამედ სულ ბავშვებად დარჩენილიყვნენ, სულ, უსასრულოდ. ზრდა შეეწყვიტათ და არა — სიცოცხლე. „ნუ ანებივრებო“, — ეუბნებოდა პეტრე,

მაგრამ პეტრეს რა ესმოდა, ანდა, რა ენაღვლებოდა, პეტრე ჯერ მხოლოდ მამა იყო, ის კი — ბაბუა. რომელიმე ბავშვისთვის ქაიხოსროს თანდასწრებით ვინმეს რომ ეთქვა: როგორ იქცევი, უკვე დიდი ხარო, — ისეთ ამბავს ასტეხდა ქაიხოსრო, საღამომდე მთელს ურუქში ზრიალებდნენ ფანჯრები.

— რა ხელს უწყობთ, რა ყრია დიდობაში, ან ჯერ რა დროს მაგათი დიდობაა! — ბობოქრობდა ქაიხოსრო.

— ყველას და ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა ბავშვებისთვის დიდობის სურვილი აღეძრა, ქაიხოსრო თავის მტრად თვლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას თვითონაც ხვდებოდა და განიცდიდა, რაც ბავშვების თვალწინ შეიძლებოდა მომხდარიყო, ან რაც ბავშვების გარშემო შეიძლებოდა არსებულიყო, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბავშვების ზრდის დასაჩქარებლად იყო გამიზნული, რადგან ქვეყანა, რომელშიაც ბავშვებიც ცხოვრობდნენ, დიდებს ეკუთვნოდათ, დიდების ჭკუაზე იყო მოწყობილი. ასე რომ, ქაიხოსრომ ტყუილუბრალოდ ჩააგდო ფეხსადგილის ორმოში თავისი თოფი და დამბაჩა, რადგან სხვაც ბევრი თოფი და დამბაჩა არსებობდა ამ ქვეყანაზე და რაკი უკვე შეეტყოთ მათი არსებობა, მაინც ვეღარაფრით ამოუგდებდა თავიდან თოფსა და დამბაჩაზე ფიქრს თავის დამთხვეულ შვილიშვილებს. ასევე ტყუილუბრალოდ გაანაწყენა რძალიც, რადგან მისი რძლის წიგნებიდან ამოსული გმირები და მზეთუნახავები ოდესღაც ისეთივე გაკნაჭული, კიკინებაპრეხილი გოგოები და ქოჩორგადაგლესილი ბიჭბუჭები იყვნენ, რომლებთანაც მისი შვილიშვილები თამაშობდნენ დილიდან საღამომდე. ქაიხოსრო უმწეო იყო, გრძნობდა თავის უმწეობას, გრძნობდა შვილიშვილების სიძლიერესაც, მაგრამ მაინც ჯიუტად აგრძელებდა თავისას, თვითონაც ენის ჩლექით ლაპარაკობდა, თვითონაც მიზეზობდა საჭმელზე, თვითონაც მაგიდის ქვეშ იმალებოდა, როცა ბავშვების დაწოლის დრო მოაწევდა და თვითონაც კისკისებდა, თვითონაც ვითომ ეშინოდა, როცა გამწარებული აღათია ფეხებს უბაკუნებდათ და უყვიროდათ: ახლავე გამოდით, არ შემომიყვანოთ მანდაო. მაგრამ პაპასა და შვილიშვილებს შორის განხეთქილებამ მაინც იჩინა თავი, პირველებმა ბიჭებმა აუბზუეს პაპას ცხვირი, იუკადრისეს მასთან თამაში, რადგან ტანმა უგრძნოთ, ერთი გზითა და ერთი მი-

მართულებით რომ არ მიდიოდნენ, პაპა იქით ექაჩებოდათ ჯიუტად, საიდანაც. გიჟებივით გამორბოდნენ თვითონ.

— როზგი უნდათ მაგათ, როზგი! — გაჰყვიროდა შვილიშვილების ღალატითა და დაუნდობლობით გამწარებული ქაიხოსრო, მაგრამ ნიკოსა და ალექსანდრეს მაგიდის ქვეშ რაღა გაეჩერებდათ, როცა ამდენი საოცრება არსებობდა ქვეყანაზე. მთელი სოფელი აკლებული ჰქონდათ.

ქაიხოსროს მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი, ახლა ანეტას დაუწყო ლაქუცი, რადგან ანეტა ბიჭებზე უმცროსი იყო, ბიჭებზე სუსტიც და ბიჭები თუ თვალსა და ხელს შუა ყაჩაღდებოდნენ, ანეტას არც-კი ეტყობოდა ზრდა; შეიძლება იმიტომაც, სულ რომ ლოგინში იწვა, ყველა მოსახდელი, გაუთვალისწინებელი, თუ თავიდან ადვილად ასაცილებელი სენი მაინცდამაინც მას შეეყრებოდა ხოლმე და მაკაბელების სახლი თითქმის განუწყვეტლივ სავსე იყო ბაბუცას ცრემლით, აღათიას ბუზღუნითა და ათასნაირი წამლის სურნელით. ურუქელებს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ, თითქოს ექიმი ჯანდიერის ორთვლიანი ეტლიც ფეხმოუცვლელად იდგა გალავანშემოვლებულ ეზოში, ცაცხვების ძირას; ხოლო ეტლის კოფოზე ნიკო და ალექსანდრე დასკუპებულიყვნენ, ვითომ მიმქროლავნი, ვითომ არსებული ქვეყნების ვითომ მტვერსა და ვითომ ქარში. ცხენი მშვიდად, ყბების გამოზომილი მოძრაობებით ახრამუნებდა ქერსა თუ შვრიას, ბლომად რომ ჩაეყარათ მისთვის კისერზე. გადაცმულ თოფრაში, თვალები გიშრის კრიალოსნის მარცვლებს მიუგავდა, პრიალა, ჭაღარაგარეული კუდით იგერიებდა მუმლსა და ბუზანკალს, და აინუნშიც არ აგდებდა ვითომ მეეტლეების სტვენასა და პრუწუნს. სახლში კი, ანეტას ფერხთით ჩამომჯდარი ბაბუცა უზარმაზარი სანთელივით უხმოდ იცრემლებოდა, თავისით ჩამოსდიოდა ცრემლი — სატირელი მართლაც რომ არაფერი სჭირს, ქალბატონო, თქვენს ქალიშვილს. ორი დღის მერე კურდღელს გაეჯიბრება სირბილში — ამბობდა ექიმი ჯანდიერი. — დიდი, ღონიერი, ქათქათა ხელი ანეტას გაოფლილ შუბლზე ედო და, ღმერთივით მშვიდი და ახოვანი, მთელ სახლს სასიამოვნო, ტკივილის ჩამაწყნარებელი ბურანით ავსებდა. — კურდღლები ხომ გიყვარს? — ეკითხებოდა ანეტას, ისეთი ხმითა და სახით, თითქოს მხოლოდ ამის გასაგებად იყო მოსული.

ანეტა სიამოვნებისგან მხრებში იწურებოდა, საბანში მიძვრებოდა და, მორცხვად მომღიმარი, მეჩხერ კიჭებს აჩენდა.

მერე, ერთი წამით, გამოღებულ კარში ანას სახე გაიელვებდა, ზრდილი მოახლესავით უხმაუროდ, სწრაფად ჩაივლიდა — ანა, სადღაც, ვიღაცეების ზურგს უკან და ექიმ ჯანდიერს გული შეეკუმშებოდა ხოლმე. „აი, ვინაა სამკურნალო... აი, ვინაა მისახედი“. — ფიქრობდა იგი და უნებურად ეფერებოდა ანეტას ოფლიან შუბლს, თბილი, ფაფუკი თითებით, რომელთა არსებობა იმ. წუთას აღარც-კი ახსოვდა თვითონ, თითქოს ცოტა ხნით ანეტას შეატოვა სათამაშოდო. „ზედმეტი სიკეთეც ავადმყოფობაა.. აუძლურებს კაცს. — ფიქრობდა იგი. — ნუთუ სიკეთე უძლურებაა? ნუთუ ძლიერი რომ იყო, უნდა გაბოროტდე აუცილებლად?“.

ერთხელ ანეტა : ყვავილის მტვერმა მოწამლა და ყინწმოწყვეტილი, თვალებმიბლანტული ბავშვი აღათიამ ისეთი ამბით მოარბენინა შინ, თითქოს მეზობელ სოფელში მოუტაცნიაო, ანდა მომტაცებლები დასდევნებიანო. ექიმი ჯანდიერის ეტლი ისევ რბილად შემოსრიალდა მაკაბელების ეზოში. ქაიხოსრო ალაყაფთან ელოდებოდა ექიმს. მიშველეო, — მიაძახა და ცხენს აღვირი დაუჭირა. ექიმ ჯანდიერს მუხლებზე მუყაოს დიდი ყუთი ედო, ვარდისფერი ზონრით შეკრული.

— თვალებს ვეღარ ახელს... ძლივსღა სუნთქავს... ეს რაღაა? — ხელი მიუშვირა მუყაოს ყუთს ქაიხოსრომ.

— ასკლიპიოდოტა. — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა, — ასკლიპიოდოტა. — გაიმეორა. — ყველაზე უებარი წამალია ანეტას ტოლა ბავშვებისთვის. — თქვა და ვარდისფერი ზონარის კვანძი უცებ გამოხსნა, ყუთს სახურავი ახადა და თავი აუწია. მუყაოს ყუთში ლამის ანეტას ხელა თოჯინა იწვა. გრძელი, აპრეხილი წამწამები ჰქონდა, პატარა, პაჭუა ცხვირი, დაბრაწული, ფუნთუშა ლოყები, ბურბუშელასავით დახვეული, ოქროსფერი კულულები და თითქოს გაბუტული, ვარდის ფურცლებივით აბურცული ტუჩები. როცა ექიმმა ჯანდიერმა ყუთს თავი აუწია, თოჯინამ თვალები გაახილა, დიდი, ცისფერი თვალები. — ღმერთო დი-

დებულო! — თქვა ქაიხოსრომ. გაშტერებული შესცქეროდა, დავიწყებოდა, ავადმყოფი ქალიშვილი რომ ეწვა შინ.

თოჯინა გრძელსა და აპრეხილ წამწამებს ახამხამებდა, თითქოს ეს წუთია გამოეღვიძაო, თითქოს მზე აწუხებს და ამიტომ ვერ გაუხელია კარგად თვალებიო. სახე კი არ შესცვლია, ისევ ისეთი, მშვიდი და გულუბრყვილო გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე, როგორითაც მოევლინა ქვეყანას, სადღაც ცხრა მთის იქით, აქედან ძალიან შორს, მასავით ცისფერთვალება და ოქროსფერკულულებიანი გოგონებისთვის განკუთვნილი.

თუმცა მისთვის სულერთი იყო, ვინ ჩაიხუტებდა, სიხარულისაგან ვის გაუდიდდებოდა თვალები მის დანახვაზე. მშვიდად. იწვა მუყაოს ყუთში, არც ეშინოდა და არც გული სწყდებოდა, დღითიდღე რომ შორდებოდა სამშობლოს, აღმა-დაღმა რომ დაატარებდა ბედი, ამდენი ხანი ყუთის წყვდიადში რომ ცდებოდა უქმად, როცა მისი მილიონი ტყუპისცალი უკვე დიდი მაღაზიების ნათელსა და კრიალა ვიტრინებში დასკუპებულიყო. იწვა თავისთვის, თვალდახუჭული, და მოთმინებით ელოდებოდა, როდის იყიდდა ვინმე, როდის ამოიყვანდნენ ამ ბნელი ყუთიდან, რათა მასაც მისცემოდა საშუალება, ფარჩის ლამაზი კაბისა და მაქმანებიანი საცვლის გამოჩენის; მისთვის სულერთი იყო, ვის ხელში მოხვდებოდა, არც ყუთში დაკარგული დრო ენანებოდა, რადგან ვერც გზა დაღლიდა, ვერც დრო დაამჩნევდა კვალს. იწვა და ელოდებოდა, მერე ვიღაცის დიდმა და ფაფუკმა ხელებმა ამოიყვანა ყუთიდან, ერთი-ორჯერ შეატრიალ-შემოატრიალა ჰაერში, თავი გადააწევინა და, თვალები რომ გაახილა, იმ ხელების პატრონის სახე დაინახა, ერთდროულად მოღუშულიცა და მომღიმარიც.

არც გახარებია და არც შეშინებია, მიხვდა, ეს ის არ იყო, ვისთვისაც გაემწესებინა ბედს. შესცქეროდა მშვიდად; არც მაშინ შესცვლია სახეზე სამუდამოდ აღბეჭდილი გამომეტყველება. სულერთი იყო, მოიწონებდნენ თუ დაიწუნებდნენ, ბედი მაინც იქ მიიყვანდა, სადაც უნდა მისულიყო. მერე ისევ ყუთში ჩადეს, ისევ გადაუჭირეს ვარდისფერი ზონარი და სწორედ მაშინ, ყუთის სიბნელეში ჩაფლულს, ჩაესმა დიდი ხნის ნანატრი სიტ-

ყვა. „ვყიდულობო“, — თქვა იმ კაცმა. მერე ეტლის კოფოზე იდო, იმ კაცის გვერდით, და ღელავდა, პირველად თავის სიცოცხლეში, რადგან გრძნობდა, მალე ნახავდა იმასაც, თავის კანონიერ პატრონს. არ იცოდა და არც უნდოდა, სცოდნოდა, როგორი იყო ის, მაგრამ მაინც მიისწრაფოდა მისკენ, გარეგნულად უშფოთველი და უგრძნობელი; მერე ისევ ამოიღეს ყუთიდან და ისევ რომ გაახილა თვალები, ახლა სულ სხვა სახე დაინახა: შეშინებული, დაბნეული, აწრიალებული... და თვითონაც შეეშინდა.

— ღმერთო, დიდებულო! — თქვა ქაიხოსრომ (აი, რა უნდოდა! აი, როგორები უნდოდა, რომ ყოფილიყვნენ მისი შვილიშვილები! სულ პატარები, სულ ლამაზები, სულ საპატრონებლები.

სულ, სულ. უსასრულოდ). — ათმაგად გადაგიხდი, ოღონდ... — აღელდა მოულოდნელად.

— როგორ გეკადრებათ, — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა. — ეს ჩემი საჩუქარია. იმიტომაც ჰქვია ასკლიპიოდოტა. სათქმელად ცოტა ძნელია, მაგრამ სწორედ რომ ზედგამოჭრილი სახელია, ესკულაპეს მონიჭებულს ნიშნავს.

— ასკლიპიოდოტა. — გაიმეორა ქაიხოსრომ, თითქოს ამოწმებდა, შესძლებდა თუ არა, ამ ძნელი სახელის წარმოთქმას.

— მაშინ... — აბორძიკდა, ხელები მოიფშვნიტა, მორცხვად, გაუბედავად გაიღიმა. — მაშინ.. მე შევუტან, თუ შეიძლება. — რა თქმა უნდა. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა.

ჯერ ისევ ეტლის კოფოზე იჯდა, ჯერ ისევ მუხლზე ედო მუყაოს ყუთი, რომელშიაც მკვდარი. ბავშვივით ესვენა თოჯინა. „არ შეიძლება სხვისი სიკეთის მითვისება, ბრიყვო. არ შეიძლება ყველაფრის მითვისება“. — ფიქრობდა იგი.

თოჯინა უკვე ქაიხოსროს ეჭირა ხელში. ექიმმა ჯანდიერმა ვარდისფერი ზონარი მოჭმუჭნა და ცარიელ ყუთში ჩააგდო, — ხომ არ გვეკურთხებინა, ჰა? — თქვა ქაიხოსრომ, თავისთვის,

ექიმისთვის არც შეუხედავს. ექიმი ჯანდიერი ეტლიდან ჩამოდიოდა, ერთი წამით შეყოვნდა საფეხურზე, მშვიდი, ახოვანი. — სად გაგონილა, ადამიანო, თოჯინის კურთხევა. — თქვა და გაიცინა ხმამაღლა, გულიანად.

— სად გინახავს ამისთანა თოჯინა? — შეჰღრინა ქაიხოსრომ. ცოტა ხნის მერე ექიმი ჯანდიერი ანეტას ოთახის კარში იდგა, ქაიხოსროს ზურგს უკან, და ანას უყურებდა. ანას ისეთი სახე ედო, თითქოს ვერ მოესწრო ამ ოთახიდან გასვლა, თითქოს შემთხვევით, დაუკითხავად შემოსულიყო აქ და მოულოდნელად წამოდგომოდნენ თავზე. „რატომ, რატომ, რატომ არ იცი შენი ფასი“, — ეუბნებოდა ექიმი ჯანდიერი პირის გაუხსნელად, მაგრამ დარწმუნებული იყო, ანას ესმოდა მისი, ყოველ შემთხვევაში, უნდოდა, რომ გაეგონა ანას.

— მეგობარი გესტუმრა... — ამბობდა მის წინ მდგარი ქაიხოსრო. თოჯინა ჰყავდა ატატებული, ოდნავ მოხრილიყო ბეჭებში, ვითომ პაპა კი არ იყო, პაპობას თამაშობდა. ექიმი ჯანდიერი ვეღარც თოჯინას ხედავდა და ვეღარც ქაიხოსროს სახეს, მაგრამ გრძნობდა, როგორ იმანჭებოდა იგი, როგორ ცდილობდა, უფრო სასაცილო ჩვენებოდა შვილიშვილს. ცოტა ხნით გაჩუმდა, ალბათ, გუნებაში გაიმეორა თოჯინის უცნაური და ამიტომაც ძნელად წარმოსათქმელი სახელი. — ასე ამბობს, ასკლიპიოდოტა მქვიანო.

— რა მქვიანო? — წამოჯდა ცხვირშეჭმუხნული, თვალებში ღიმილჩამდგარი ანეტა.

თოჯინა მეოთხე ბავშვივით მიიღეს ოჯახში. „ღმერთმანი, ცოცხალიაო“, — იძახდა აღათია, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიმახსოვრა მისი სახელი. დორას ეძახოდა. დორა კი, იმ დუხაბორის ქალს ერქვა, თვეში ერთხელ იატაკების მოსარეცხად რომ დადიოდა მაკაბელებთან. ურუქელები ამბობდნენ:

მაიორი დორას ჯერ იატაკს აპრიალებინებს და მერე ზედ აწვენს, ჭრელი და ფაშფაშა კაბა რომ არ დაესვაროსო. დუხაბორის ქალს მართლაც თოჯინასავით მრგვალი და ფუნთუშა სახე ჰქონდა, სულ ერთნაირი, ცოტა არ იყოს, სულელური ღიმილი

დასთამაშებდა პირზე, სულ რაღაცას იცმუცნებოდა, იდაყვში მოხრილ მკლავზე ყოველთვის თეთრი ბოხჩა ჰქონდა წამოცმული, თითქოს ეს წუთია აბანოდან გამოსულაო, არხეინად, რწევა-რწევით მოუყვებოდა ხოლმე ორღობეს. მისი გამოჩენა სოფელს ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებდა. ხილაბანდის ბოლოებით პირაკრული ქალები ქოქოლას აყრიდნენ, ხოლო ბრიყვულად, დაბნეულად მომღიმარი კაცები იქამდე არ აშორებდნენ თვალს, სანამ კიდევ შეიძლებოდა ორღობეში აკონწიალებული ჭრელი ქვედაკაბის დანახვა. ძნელი სათქმელია, მართალი იყო თუ არა, რასაც ხალხი ლაპარაკობდა, მაგრამ დორამ, ასე თუ ისე, მაინც მოიხადა თავისი დედაკაცური ვალი მაკაბელების ოჯახში, თუმცა ანეტას მაშინ არც ამდენი გაეგებოდა და არც აინტერესებდა ეს ამბავი, მას უბრალოდ მოსწონდა, აღათიას რომ ვერ დაემახსოვრებინა მისი თოჯინის სახელი და ვიღაცა დიდი ქალის სახელში ეშლებოდა.

დრო კი გადიოდა და ქაიხოსროს ჯიბრზე ბავშვები მაინც იზრდებოდნენ. ნიკო და ალექსანდრე უკვე თაკილობდნენ ბავშვობას და ძაღლებივით დასტრიალებდნენ დას, აივნის რიკულებში რომ არ გამძვრალიყო, ძირნაყარი თუთა რომ არ ეჭამა, ეკალზე რომ არ გამოეგლიჯა კაბა, გუბეში რომ არ ეჭყუმპალავა, რასაც თვითონაც სიამოვნებით აკეთებდნენ, არა მარტო მაშინ, როცა ანეტას ხნისანი იყვნენ, არამედ ახლაც, როცა თავი დიდები ეგონათ. ანეტა სკოლაშიც ძმებს დაყავდათ.

ერთი ძმა რომ წინ მიუძღოდა, მეორე უკან მოყვებოდა სახედარს, რომელზედაც ანეტა დასკუპებულიყო თავისი თოჯინიანად და პატარა ქოლგიანად. სახედრის ზურგზე გადაკიდული, მჭიდროდ ნაქსოვი ხურჯინი ანეტას შიშველ კანჭებს უსუსხავდა, მაგრამ ხმას როგორ ამოიღებდა, როგორ მოიკლებდა ამ დიდ სიამოვნებას. ეგონა, მთელი ურუქი შემოსცქეროდა, ყველა მას შენატროდა. რა გასაკვირია, ასე რომ გონებოდა, მაკაბელების ბავშვებს ძაღლებიც არჩევდნენ, ღობის ძირებში იკუჭებოდნენ, ხოლო მასწავლებელი თავისი ხელით ჩამოსვამდა ხოლმე ანეტას ვირიდან. ხურჯინში სამი ბავშვის წიგნები და საუზმე ეწყო, თუმცა იმდენ საჭმელს ატანდნენ შინიდან (აღათია პატარა ჭინჭილით წყალღვინოსაც დებდა ხურჯინში), სამ ბავშვს კი არა, მთელს სკოლას დააძღობდა. ასედაც ხდებოდა: დიდ შესვენება-

ზე მთელი სკოლა მაკაბელების სახედრის გარშემო იყრიდა თავს, ხოლო ახალი მოვალეობით დაბნეული, ბავშვების ჟივილ-ხივილით უარესად გაოგნებული სახედარი დიდი და წყლიანი თვალებით ჩასცქეროდა მიწას.

— შენა, — ეუბნებოდა შეკავებული სიბრაზისგან ხმადახეული ქაიხოსრო რძალს. — ჩემი სიკვდილის დედაცა ხარ.

— რას ბრძანებთ, მამა?! — გულწრფელად წუხდა გულწრფელად გაკვირვებული ბაბუცა.

ქაიხოსრომ კი აღარ იცოდა, რითი შეეკავებინა ბავშვების ზრდა. ანეტას ჯერ კიდევ აჩერებდა, ჯერ კიდევ აყოვნებდა თოჯინა, ერთად დგებოდნენ და ერთად იძინებდნენ, საჭმელს პირს არ დააკარებდა, თუ პურჩაფშხვნილ რძეს თოჯინასაც არ დაუდგამდა აღათია ფინჯნით, თავისი სითბოთი, თავის სურნელით გაეჟღინთა იგი და ტყუპისცალივით უყვარდა; თითქოს თოჯინაც გრძნობდა ანეტას სიყვარულს, თითქოს ამ სიყვარულს სული ჩაებერა მისთვის და ისეთი ცოცხალი თვალებით იმზირებოდა, აღათია უნებურად პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე.

მუნჯი ბავშვის თვალები ჰქონდა: დიდი, სევდიანი, მეტყველი. სამაგიეროდ, ბიჭებს აღარაფერი ეშველებოდათ, ყოველ წუთას უმუქდებოდათ ღინღლი საულვაშეზე და ჭამის დროსაც იწიწკნიდნენ საყმაწვილო მუწუკებს, რასაც ქაიხოსროს აღშფოთება, მაგიდაზე მუშტების ბრახუნი და ბაბუცას ტირილი მოსდევდა. „მეშინია, აღათია, მეშინია“, — სლუკუნებდა ბალიშებზე მიწოლილი, მამამთილის საქციელით ნირწამხდარი, დაბნეული და თავში სისხლავარდნილი ბაბუცა. „რისა გეშინია, აქ არა ვარო“, — ამშვიდებდა აღათია და თვითონაც შიშით შესცქეროდა კარს, რომლის იქითაც ჯერ კიდევ ისმოდა ქაიხოსროს ყვირილი.

— მოესწრებით თქვე ოხრებო! რა გეჩქარებათ! — ბრდღვინავდა ქაიხოსრო.

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა, ან ვინ აღუდგებოდა წინ. ერთ მშვენიერ დღეს დუხაბორის ქალი ჩვეულებისამებრ მოვი-

და, ჩვეულებისამებრ მადიანად ისაუზმა, ჩვეულებისამებრ ერთი ჭიქა წითელი ღვინოც დააყოლა საუზმეს, ჩვეულებისამებრ დაიკაპიწა მსუქანი მკლავები, ჩვეულებისამებრ ამოწურა ტილო წყლით სავსე ტაშტში და ჩვეულებისამებრ შეუდგა იატაკების რეცხვას. ჯერჯერობით არაფერი იყო უჩვეულო და მოულოდნელი. დუხაბორის ქალი იატაკს რეცხავდა და თან ღიღინებდა, ათასში ერთხელ თუ გაიმართებოდა წელში, სველი, დაწითლებული მკლავით თვალებზე ჩამოშლილი თმა რომ გადაეწია. მაგრამ მერე მოხდა ის, რაც იქამდე არასოდეს მომხდარა, ყველასათვის უჩვეულოცა და მოულოდნელიც, თუმცა დუხაბორის ქალი აგერ უკვე მეორე წელი იყო, რაც მაკაბელებთან დადიოდა. იმ დღეს, სკოლიდან მობრუნებული ნიკო და ალექსანდრე, ხმელა პურის ღეჭვა-ღეჭვით მაშინვე ეზოში კი არ გაცვივდნენ, როგორც საერთოდ იქცეოდნენ ხოლმე, არამედ შინ დარჩნენ და დუხაბორის ქალს დაუწყეს ბღლარძუნი. ლეკვებივით ფეხებში უგორდებოდნენ ტაშტზე გადმოხრილ ქალს, კაბის კალთას უწევდნენ და ცდილობდნენ როგორმე შეეხედათ კაბის ქვეშ. დუხაბორის ქალი ჯერ იცინოდა, ჯერ ისიც ყვებოდა ბავშვებს და სველი, გაწურული ტილოთი იგერიებდა, ისე, ყასიდად, რაც თამაშობაში აყოლას უფრო გავდა, ვიდრე მოგერიებას. ბავშვები ამას გრძნობდნენ და უარესად ეტანებოდნენ კაბაზე. „კარგით, გეყოფათ, რა ამბავში ხართო“. — ხანდახან გამოსძახოდათ აღათია მეორე ოთახიდან, მაგრამ ბავშვებს აღარაფერი ესმოდათ, დუხაბორი ქალის ხითხითის მეტი, ვერაფერს ხედავდნენ მრგვალი, აღაჟღაჟებული, სულელურად მომღიმარი სახის გარდა, და ერთი სული ჰქონდათ, როგორმე მისწვდენოდნენ, სადმე მაინც მოეკიდათ ხელი აკონწიალებული კაბისთვის, სიჭრელესთან ერთად, უცნაურ, ამაფორიაქებელ მხურვალებას რომ აფრქვევდათ გაოფლილ სახეებში და ასევე უცნაური, ასევე ამაფორიაქებელი და ასევე ჭრელი ძალით იზიდავდათ თავისკენ; ბავშვები გაიოფლნენ, ქოჩრები გადაეგლისათ, თვალები გაუდიდდათ, გაუბრწყინდათ და ახლა მათი სიცილ-კისკისი უფრო და უფრო ემსგავსებოდა რომელიღაც მტაცებელი ცხოველის გაღიზიანებული ლეკვების ღრენასა და წკავწკავს. დუხაბორი ქალიც დაიღალა, მძიმედ სუნთქავდა, აფორიაქებული მკერდი აქეთ-იქით დაუდიოდა, ახლა უფრო ხშირ-ხშირად ისვამდა შიშველ, დაწითლებულ მკლავს შუბლზე,

ჩამოშლილი თმის გადასაწევად, და ქალის მკლავის ეს უბრალო, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მოძრაობა, უარესად აკრთობდა, უარესად აღიზიანებდა ძმებს.

— გამოყარე ეგ ოხრები, დორა! — იძახდა მეორე ოთახიდან აღათია.

დორა კი იცინოდა, იცინოდა და თვითონაც რაღაცნაირად მოთენთილი თუ გამოთიშული უკვე გამეტებით უტყლაშუნებდა გაწურულ ტილოს მის ფეხებთან აფუტფუტებულ ბავშვებს.

ბავშვები მის შიშველ მკლავს აყოლებდნენ თვალს და ყურებში ამოგმინვის მაგვარი ხმა უგუბდებოდათ, რომელსაც მოქნეული ტილო გამოსცემდა. სწორედ ამ დროს ოთახში ქაიხოსრო შემოვიდა. ძმებმა ერთი კი გახედეს პაპას, ამღვრეული, გაფართოებული, უაზრო თვალებით, და ისევ აკონწიალებულ კაბის კალთას მიეტანნენ. არავის დაუნახავს, როდის მეიხსნა ქაიხოსრომ ქამარი, მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, როცა ჯერ კიდევ მოუტეხავმა ტყავმა ჰაერი წივილით გახია და იატაკზე დაყრილ ბავშვებს მდუღარესავით გადაესხათ. თვითონაც ასე იფიქრეს ჯერ, დორამ ცხელი წყალი ხომ არ გადაგვასხაო, მაგრამ ერთი წამით მხოლოდ; უცებ, თითქოს წინასწარ დაუთქვამთო, ორივენი მუხლებზე წამოიმართნენ, ერთდროულად, და ახლა გაოცებულნი, დაბნეულნი მიაჩერდნენ პაპას. პაპამ კი, ქამარი მოუნაცვლათ და ორივემ ერთდროულად შეჰყვირა, თითქოს ამაშიც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, პაპამ თუ ქამარი მოგვინაცვლოს, ერთდროულად შევყვიროთო; ერთდროულად წაეტანნენ აწივლებულ ქამარს, ჯერ უნებურად, ალალბედზე, გაუბრაზებლად, თითქოს პაპა ლახტობანას ეთამაშებოდათ. ქამარი კი წიოდა, ჰაერს ფხრეწდა და ტკივილისგან დაბრმავებული, უარესად გაშმაგებული ძმები ახლა უკვე შეგნებულად, ღრენით, ღმუილით, კბილთა ღრჭიალით, ნადირის თავგანწირვითა და სისასტიკით მიეტანნენ პაპის ქამარს, ქამარს კი არა, პაპის ხელებს, თითქოს გულები დაუსკდებოდათ, თუ ვერ მიწვდებოდნენ, თუ არ მოაღრღნიდნენ, თუ არ მოაჭამდნენ მაჯებში. პირველი ისევ დორა გამოფხიზლდა და, ალქაჯივით თმაგაწეწილი, ჩავარდა პაპასა და შვილიშვილებს შორის. ძმებმა ერთდროულად დაინახეს, როგორ შეატოვა ქამარ-

მა ფართე და სისხლისფერი ზოლი დორას შიშველ მკლავს. ბიჭები კუთხეში მიიყუჟნენ და ახლა იქიდან ჭამდნენ პაპას ბოროტი და აპრიალებული თვალებით. ქაიხოსროს ქამარშეხსნილი შარვალი მუხლებამდე ჩამოფლაშვოდა; მობოშებული, იატაკზე მოთრეული ქამარი მკვდარი გველივით ეჭირა ხელში. ოთახში შეუმჩნევლად შემოსული ბაბუცა ტახტზე იჯდა, გაშლილი ხელის მტევნები მუხლებზე დაეწყო და უხმოდ იცრემლებოდა. იმ დღეს იატაკები მოურეცხავი დარჩა. სახედაფორაჯებულმა, სუნთქვააჩქარებულმა დორამ სახელოები ჩამოიშალა, თავსაფარი ნიკაპის ქვეშ გაინასკვა და ისე გადავიდა ეზოდან, უკან აღარ მოუხედავს. მას აქ სხვა არაფერი ესაქმებოდა. მან შეუგნებლად, მაგრამ პირნათლად შეასრულა ის, რაც ბედს მაინცდამაინც მისთვის დაეკისრებინა:

ძმების დაკაცება.

დორა წავიდა — დაუვიწყარი და დაუფასებელი, როგორც ანბანის მასწავლებელი — მაკაბელების სახლში კი, კარგა ხნით დაისადგურა დუმილმა და გაურკვევლობამ. ახლა თეთრად გაფუყული ლამპის შუქით განათებულ დიდ ოთახში უმთავრესად უფროსები იკრიბებოდნენ. წიგნი ვიღას ახსოვდა, ბავშვებზე ლაპარაკობდნენ, და იყო ერთი ბჭობა და კამათი, სანამ კარადისხელა საათი არ აუწყებდათ, რომ იმ დღეს აღარაფერი მოესწრებოდა, სჯობდა დაესვენათ და ხვალისთვის გადაეტანათ ბავშვების ბედისა და მომავლის განსჯა. ბაბუცას გულწრფელად უკვირდა, გულწრფელად ვერ მიმხვდარიყო, რა აღელვებდა ასე მის ქმარსა და მამამთილს, რა დააშავეს მისმა შვილებმა ამისთანა, რომ „საკუთარ სახლში ბაბუამ ქამრით დალახათ, როგორც მონები სტამბოლის ბაზარზე“. იმ დღის მერე ბაბუცას თვალზე ცრემლი არ შეშრობია, გინდაც მე გაგელახეთო, — რამდენჯერმე თქვა ქაიხოსროს გასაგებად, მაგრამ ქაიხოსრომ, ერთ ყურში შეშვებული მეორედან გაატარა, წარბიც არ შეუხრია, ზრდილობის გულისთვისაც არ მობოდიშებია რძალს, პირიქით, სულ იმას გაიძახოდა: ბავშვი თუ უვარგისია, მშობელია დამნაშავეო.

— ბოდიში... — სლუკუნით ამბობდა ბაბუცა. — არავის არ უთქვამს ჩემი შვილების უვარგისობა. ჩემი შვილები თამამები

არიან... მამაჩემივით.

და მართლაც, რა უნდა გაჰკვირვებოდა ბაბუცას ორი რძეშეუმშრალი ბიჭისა, როცა მამამისი, ლუარსაბ მიქელაძე, სიკვდილამდე ისეთი ხმაურიანი და მოუსვენარი კაცი იყო, ერთი ორი დღით შინიდან რომ გავიდოდა, მისი მეუღლე მოსამსახურე ბიჭს იატაკზე ჯოხს არაკუნებინებდა, მიუჩვეველი სიწყნარისგან თავი რომ არ ასტკიებოდა.

— ღმერთმა აცხონოს მამათქვენი, — დასისინებდა ქაიხოსრო რძალს. ხმის აწევას ვერ ბედავდა, რადგან დარწმუნებული იყო, ბიჭებს ყური კედელზე ჰქონდათ მობჯენილი. — ღმერთმა აცხონოს მამათქვენი. მე ჩემს შვილიშვილებზე მოგახსენებთ. ამას სითამამე კი არა, გარყვნილობა ჰქვია.

— ბოდიში მომიხდია! — სამაგიეროდ ხმას უწევდა ბაბუცა.

წელგამართული იჯდა, წარბებაწკიპული. ცალი ხელი აღათიასთვის ჩაევლო მაჯაში, — გარყვნილობა თქვენში მოიკითხეთ.

ჩვენი სისხლი პატიოსნების დასაცავად იღვრებოდა მხოლოდ. ყველაზე მეტად იმ წუთას გავდა თავადის ქალს. წამიერი თავდაუჭერლობა, წამიერი გაცხარება დიდებულობის შარავანდედში ხვევდა. ამ სუსტი და ფერმკრთალი ქალის არსებაში საუკუნეების მანძილზე. ცხენთა ჭიხვინითა და ხმლების ტრიალით მოპოვებული სიამაყის გრძნობა იღვიძებდა და ერთი წუთით ყველანი მისი ტყვეები ხდებოდნენ. პეტრე და ქაიხოსრო რატომღაც ანას შეხედავდნენ ხოლმე, თითქოს ნიშნს უგებდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ, აი, როგორი უნდა იყოს ქალიო.

ასე იყო თუ ისე, ოჯახში ახალი საფიქრალი გაჩნდა, არც ისე იოლი და უმნიშვნელო, ჰაიჰარად რომ გადაეწყვიტათ.

ერთი კი ცხადი იყო, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბავშვებისთვის ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო და ისინიც ვალდებულნი იყვნენ, მიხმარებოდნენ გზის არჩევაში. ბაბუცა ორივე ვაჟის გიმნაზიაში გაგზავნას მოითხოვდა. პეტრე ეთანხმებოდა

და არც ეთანხმებოდა მეუღლეს, რადგან, მისი აზრით, ბიჭების დაშორება უფრო აჯობებდა, ერთი თუ ქალაქში წავიდოდა სასწავლებლად, მეორე საოჯახო საქმეებს მოეკიდებოდა, თორემ ისევ ერთად თუ იქნებოდნენ, ერთმანეთის წამხედურობით, კიდევ ათას სისულელეს ჩაიდენდნენ და, ღმერთმა იცის, როდის ჩავარდებოდნენ ჭკუაში. ქაიხოსროსთვის სულერთი იყო, რა გზას დაადგებოდნენ მისი შვილიშვილები, ქალაქელ კახპებს დაუწყებდნენ დევნას თუ ბაღ-ვენახებში იტრიალებდნენ გიორგასავით. მისი აზრით, ჯერჯერობით ადრე იყო ბავშვების ეზოდან გადაშვება, მისი რჩევა და თხოვნა იყო, ჯერ კიდევ ბავშვებად ჩაეთვალათ ისინი და ისე მოქცეოდნენ, როგორც ბავშვებს შეეფერებოდათ.

— როდისმე ხომ უნდა დაკაცდნენ, მამაჩემო. — ხელებს შლიდა პეტრე.

— როცა დრო მოუვათ, მამა. ხვალვე კი არ გაგზავნით თბილისში, — ახლა უკვე მშვიდად, შემარიგებლად ეუბნებოდა ბაბუცა.

ანას არავინ არაფერს ეკითხებოდა, არც თვითონ ერეოდა საუბარში, ცალი ყურით უსმენდა, დიდი, გაფუყული ლამპის მუქით განათებულ ოთახში შეკრებილთა ხმებს, ცალი ყური კი, გარეთ ჰქონდა, ეზოსკენ, გომურისკენ და იჯდა გარინდული, მთელი არსებით დაცქვეტილი, როგორც რომელიღაც უწყინარი ცხოველი, ბალახის წიწკნით გართულს რაღაც უცხო, დამაეჭვებელი, საფრთხის მაუწყებელი ჩქამი რომ ჩასმენია. ბავშვების გალახვის ამბავი, რაღა თქმა უნდა, მთელმა ურუქმა გაიგო. ტყუილად კი არ ტრაბახობდა გარეგინა, ჩემი დუქნის იატაკს ფეხი რომ დაეკრა, ხმა ბაღდადამდე ჩააღწევსო. მაკაბელების სახლში ჩამოვარდნილი დუმილი მათაც აწუხებდათ, ცნობისწადილი კლავდათ, რა ხდებოდა ამ ციხესავით სახლის კედლებში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იქიდან „ბუზიკის“ წიპა-წიპა რომ შემოესმათ, მხრები აიჩეჩეს, ხელი ჩაიქნიეს და ეს ამბავი კარგა ხნით გადაიბერტყეს გულიდან. „ბუზიკა“ ქაიხოსრომ ბიჭებისთვის იყიდა და ფეხსადგილის კარზე დაჰკიდა. „უბუზიკოდ“ ვერც ერთი ბიჭი ვერ შევიდოდა ფეხსადგილში, რათა იქ „რამერუმეებზე“ არ ეფიქრათ და „რამე არ ემამაძაღლათ“. ბი-

ჭები იძულებული იყვნენ, შეესრულებინათ პაპის მოთხოვნა, რადგან განუწყვეტლივ გრძნობდნენ მის მკაცრსა და ფხიზელ თვალს. „ბუზიკა“ ფეხსადგილის კარზე ეკიდა, როგორც მუხლუხო ჭია ფოთოლზე, და მალე ყველამ შეაჩვია თვალიცა და ყურიც. ბიჭები კი, დღითიდღე გულჩათხრობილები ხდებოდნენ, ჭამასაც მოუკლეს და თამაშსაც: სამაგიეროდ, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ ყველაფერს, რასაც უფროსები ავალებდნენ, რასაც უფროსები მოითხოვდნენ მათგან. ოჯახში გამეფებული წესრიგი და მორჩილება ქაიხოსროს ყაზარმაში გატარებულ დროს ახსენებდა და თვითონაც დამშვიდდა. ძმების „დაჭკვიანებამ“ ყველაზე მეტად ანეტა დააზარალა. ძმები აღარ მეგობრობდნენ მასთან, ის კი არა, ძალით თუ არ გაებლანდებოდათ ფეხებში, ვეღარც კი ამჩნევდნენ. თანდათანობით ანეტაც გადაეჩვია ძმებს და, ცოტა არ იყოს, უკვე ეშინოდა კიდეც ამ მარად დაბღვერილი, მარად მდუმარე ბიჭებისა, სხვების თანდასწრებით მხოლოდ თვალებით რომ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით ღამღამობით ეშინოდა ანეტას, როცა ასკლიპიოდოტას ამარა დარჩენილს, ათასნაირ საზარელ ჩვენებებში ხვევდა ძმების ჩურჩული, კედელში გამოღწეული და ამიტომაც უარესად გაიდუმალებული, უარესად ამაფორიაქებელი. ანეტამ არ იცოდა, რაზე ჩურჩულებდნენ მისი ძმები, მაგრამ ამ ჩურჩულისაც ეშინოდა, უფრო უკაცურსა და უფრო სახიფათოს რომ ხდიდა წყვდიადში ჩაფლულ სახლსა და გაუთავებელ სოფლურ ღამეებს. თავის განუყრელსა და ერთგულ მეგობარს გულში მაგრად იხუტებდა და როდის-როდის ჩაეძინებოდა ხოლმე, ბავშვური გაურკვევლობითა და ბავშვური წარმოდგენებით შემკრთალსა და დაბნეულს. ბომმმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ, — დროის მდინარებას ახსენებდა მაკაბელების ოჯახს კარადისხელა საათი და მისი შემაშფოთებელი ხმაც მდორედ, მღვრიედ ემატებოდა, უარესად ამძაფრებდა სახლში გამეფებულ ბურანსა და მდუმარებას. ერთ ასეთ ღამეს ანეტას თავზარდაცემულს გამოეღვიძა, ძილშივე შეეშინდა და შიშისაგან ასკლიპიოდოტასავით გაშეშდა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სად იყო, ცხადში თუ სიზმარში. მთელი სახლი, მისი ოთახის გარდა, გაეჩაღებინათ, როგორც ახალწლის ღამეს. კედლები ზრიალებდა, ზანზარებდა, ვიღაცეები დარბოდნენ, დაბრახუნობდნენ, ვიღაცა კიოდა, ვიღაცა კი არა, დედამისი კიოდა: ჩქარა, ჩქარაო, და სისხლის-

გამყინავად ჟღრიალებდა იატაკზე დავარდნილი თუ ძალით დაგდებული ტაშტი.

მერე აღათია შემოვარდა მის ოთახში, აქაც აანთო ლამპა, საწოლზე ჩამოუჯდა და იმდენი ეძახა, ნუ გეშინია, არ იტირო, ახლავე მოვა დედაშენიო, უარესად გულგახეთქილმა და თავ-ზარდაცემულმა ანეტამ, ერთი ისეთი დაიწივლა, სახლს ჭერი აეხადა და ვარსკვლავიანი ზეცა გამოჩნდა, ლამპის შუშა დამაყ-რუებელი ჭახანით გასკდა და განთავისუფლებული ალი უცებ კაცის სიმაღლეზე წამოიმართა. მერე აღარაფერი ახსოვს ანე-ტას. ისევ რომ გაახილა თვალი, თავთით დედა ეჯდა და გა-უხარდა. დედა უხმოდ იცრემლებოდა. მერე იმანაც შეამჩნია ანეტას გამოღვიძება თუ გამოფხიზლება და დაბნეულად გაუღი-მა, მისკენ გადმოიხარა, მხართან საბანი ამოუკეცა, ლოყაზე აკოცა, კი არ აკოცა, ლოყაზე მიეხუტა ტუჩებით და ჩაჰქვითინა: ნუ გეშინია, გადავრჩით, მგონი გადავრჩითო. აფეთქება ძლი-ერი არ იყო, მაგრამ მაინც სავალალოდ დამთავრდა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, თვითონ ბავშვები რომ დაზარალდნენ. მარ-თალია, ორივენი ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ იმღამინდელი ელდა, ტკივილი და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება გამო-უთქმელ ბოღმად, გამოურწყავ ბალღამად ჩაილექა სამუდამოდ ორი პატარა ბიჭის სულში, სადაც ჯერ კიდევ არ შექმნილიყო სამყარო, ჯერ კიდევ უღმერთო ქაოსი და წყვდიადი სუფევდა. ცხადია, ბიჭებმა შური იძიეს პაპაზე, უფრო სწორედ, შურისძიე-ბა უნდოდათ და ამიტომაც აირჩიეს ასაფეთქებლად საღორე, რომელშიაც მათი პაპა ყოველ წელიწადს ღორს ასუქებდა და სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა ხოლმე, როცა უსაშველოდ გასისინებული ღორის ფერდები საღორის კედლებს ააჭრაჭუ-ნებდა. ვინ იცის, რამდენი ღამე გაათიეს თეთრად პაპის ქამრით გალახულმა ბიჭებმა, სანამ მათი არჩევანი საღორეზე შეჩერ-დებოდა, თუმცა მათთვის მთავარი საღორის აფეთქება კი არ იყო, არამედ გულისწყრომის გამოხატვა, რათა უფროსებს არ ეფიქრათ: უსიტყვოდ, მორჩილად რომ შეეგუებოდნენ ყველა-ფერს და ვისაც მოეპრიანებოდა, ის ჩაუპარტყუნებდათ თავში. ამ აფეთქებით ბიჭები ჯერ აფრთხილებდნენ უფროსებს, უფრო ძლიერ აფეთქებებს პირდებოდნენ და ადვილი შესაძლებელია, სიბნელისა და სიჩქარის გამო, საერთოდ შემთხვევით დადეს

დენთით სავსე კოლოფი საღორის გვერდით და სულ ამოუვარ-
დათ თავიდან, იმ საღორეში ცოცხალი არსება რომ იწვა, ბეჰე-
მოტის ხელა ღორი, უჭკუო და უდანაშაულო. მათთვის მთავარი
აფეთქება იყო, ცეცხლმიცემული დენთის ხმა, თუნდაც ერთი წა-
მით რომ გააყრუებდა იქაურობას, ფეხზე რომ წამოაგდებდა
მთელ სოფელს, ააფორიაქებდა და დააფრთხობდა. თუნდაც
ერთი წამით. ის ხმა, სინამდვილეში, უფრო სწორედ, ბიჭების
წარმოდგენაში, მათი, პაპის ქამრით გალახული და „ბუზიკით“
შეურაცხყოფილი ბიჭების ხმა იქნებოდა. ასეც უნდა აღექვა ყვე-
ლას (სხვათა შორის, ასედაც აღიქვეს. ზოსიმე მღვდელმა მე-
ორე დღესვე უთხრა ქაიხოსროს: ეს ამბოხებაა და თანაც სის-
ხლიანიო), რადგან ის ბიჭები რომ არ ყოფილიყვნენ, ასეთები
რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ არც ის ხმა იქნებოდა, აფეთქების
ხმა, დენთის სანახევროდ დანესტიანებულმა კოლოფმა რომ
გამოსცა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოსცა, მეოთხე ცდაზე,
რადგან ასე სურდათ ბიჭებს, ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული და
მეოთხეჯერ კი არა, მეასეჯერ ცდიდნენ, საჭირო რომ გამხდარი-
ყო; — დენთიც მათი ნაშოვნი იყო, ნავთიც, კანაფის გორგალიცა
და ასანთიც, და როცა კაცსაც და ბუნებასაც ენა ჰქონდა ჩავარ-
დნილი, ძილით იყო გართული, ისინი ალაპარაკდნენ, აფეთქე-
ბულ დენთს ათქმევინეს, რომ არავის შეარჩენდნენ, არავის
აპატიებდნენ უპრაგონო ცემა-ტყეპასა და აბუჩად აგდებას. გინ-
და პაპა ყოფილიყო და გინდა მამაზეციერი. ისინი შუაღამისას,
დენთიანად, ნავთიანად, კანაფიანად, ასანთიანად, ლეიბების
ქვეშ რომ ჰქონდათ დამალული თავიანთ ოთახში, გამოიპარ-
ნენ ჩაძინებული სახლიდან, მათმა ღამის პერანგებმა თეთრი
მოჩვენებებივით გაიელვეს სიბნელეში, და ეზოს ბოლოში, სა-
ღორის გვერდით ჩაცუცქდნენ, ნავთში ამოვლებულ კანაფს,
რომლის ერთი ბოლო დენთის კოლოფზე იყო გამობმული, ნი-
კო უკიდებდა ცეცხლს. „ჩქარა ქენი, გაშრა ნავთიო“, — დასჩურ-
ჩულებდა ალექსანდრე, მაგრამ ნიკოს ასანთის ღერი ხელში
ატყდებოდა, ანდა, უშედეგოდ ფხაჭნიდა გოგირდწასმულ მუყა-
ოს. მაინც მოახერხა და სამჯერ წაუკიდა ნიკომ ცეცხლი ნავთში
ამოვლებულ კანაფს, და ერთმანეთის გვერდით ჩაცუცქულნი,
მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულნი, მისჩერებოდნენ ისინი,
ლეკის ჯამბაზივით როგორ მიცეკვავდა მოლურჯო ალი კანაფის
ძაფზე, მაგრამ დენთის კოლოფამდე ძლივს მიღწეული ცეც-

ხლის ალი სამჯერვე ჩაქრა, გაიშიშინა და ღამის ჩახუთულ ჰაერში ტუსის სუნი დააყენა. მაშინ კი იმძლავრა ბავშვურმა სულსწრაფობამ, ბავშვურმა სისულელემ, შეიძლება თავმოყვარეობამაც და ალექსანდრემ ძმას ასანთი გამოსტაცა, ბოთლში ჩარჩენილი ნავთი დენთის კოლოფს მოასხა და, სანამ ნიკო დაყვირებას მოასწრებდა, ანთებული ასანთი ზედ მიაგდო. აფეთქების ტალღამ ნიკოც გადააქცია, თუმცა იგი გაცილებით შორს იყო დენთის კოლოფისგან. ჰაერში ამოტრიალებულმა ნიკომ მაინც მოასწრო დაენახა, როგორ აფრინდნენ ცაში საღორის დანაფოტებული, ცეცხლწაკიდებული ფიცრები და თვალისმომჭრელ სინათლეში დათოვლილი ბორცვივით, ერთი წამით გაიელვა ქაიხოსროს თეთრმა ღორმა. ღორს ბალანიც არ შეტრუსვია, მაგრამ აფეთქების ხმამ და მიუჩვეველმა სინათლემ ისიც გამოაფხიზლა მარადიული რინდიდან და თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად მხოლოდ ერთხელ ამოიღრუტუნა, მოკლედ და ბრაზიანად. საკუთარ სისხლში თავფეხიანად ამოსვრილ ალექსანდრეს კი მარცხენა მკლავი იდაყვთან ტყავზეღა ეკიდა.

ალექსანდრეს მკლავი იდაყვს ზემოთ მოჰკვეთეს და როცა იგი საავადმყოფოდან გამოვიდა, გამხდარი და ფერდაკარგული, ანეტას გაუჭირდა მისი ცნობა, თუმცა წინასწარვე იცოდა, ალექსანდრეს ცალი ხელი რომ აღარ ჰქონდა; მაინც გაუჭირდა ამ ფერდაკარგული, მობუზული და რაღაცნაირად, შიშისა თუ ზიზღის მომგვრელად დავიწროებული ბიჭის დაკავშირება იმ ალექსანდრესთან, რომელსაც აქამდე იცნობდა. ალექსანდრემ ოდნავ, ნაძალადევად გაუღიმა, თითქოს ტუჩები სტკიოდა, და ისე ავიდა ეტლში, ხმა არ ამოუღია. საერთოდ ყველანი დუმდნენ, ყველას უჭირდა ლაპარაკი. აქეთ რომ მოდიოდნენ, ანეტას ეგონა, ერთი ჟივილ-ხივილით შეეგებებოდნენ ამდენი ხნის უნახავ ალექსანდრეს, ისიც ყველას გულში ჩაიხუტებდა (ცალი ხელით?) და ყველას დაკოცნიდა, რადგან, ალბათ, იმასაც მონატრებული ეყოლებოდა ყველანი, მაგრამ ამის მსგავსიც არაფერი მომხდარა, ეტლში ჩასხდნენ და შინისაკენ გამოსწიეს. ერთ მხარეს ქაიხოსრო, ნიკო და ანეტა ისხდნენ, მეორე მხარეს კი — პეტრე, ალექსანდრე და ბაბუცა. მშობლებს შორის ჩამჯდარი ალექსანდრე უარესად დაჩიავებულიყო, თითქოს ადგილი არ ყოფნიდა, ვერ ჩატეულიყო, მხრები თავისუფლად ვერ გა-

ეშალა. ექვსი უახლოესი ადამიანი კრიჭაშეკრული, დაბნეული შესცქეროდა ერთმანეთს. ეტლი კი, რბილად, მსუბუქად მიუყვებოდა თეთრი, მზეზე გახურებული მტვრით დაფარულ შარას და ცხენების ფლოქვების განუწყვეტელი, ერთფეროვანი ბაკუნი კი არ აფრთხობდა, უარესად ამძაფრებდა ეტლში — გამეფებულ დუმილს. გზის გაყოლებით, წვიმებისგან ჩამორეცხილსა და ჩამოღარულ ფლატეებზე, ერთმანეთს გადაბმოდნენ, ერთმანეთში გადახლართულიყვნენ ასკილის, კუნელისა თუ მაყვლის ბუჩქები. ეკლიანსა და ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად აქანავებულ ყლორტებს აქა-იქ კიდევ შერჩენოდა შავი, დამტვერილი, დამეჭეჭებული ნაყოფი, ხანდახან ბროწეულის ყვავილი გამოაჭყეტავდა წითლად და მისი გაბაცებული ანარეკლი, ერთი წამით, ეტლში მსხდომთა სახეებსაც გადაეფინებოდა, გამოაცოცხლებდა, გაახალისებდა. გზაზე ხმელი, გამოფიტული ნაზუქებივით ეყარა ფუნა. უცებ შაშვი აჭახჭახდებოდა, ანდა ოინბაზი კაჭკაჭი გადაიხარხარებდა და მსუბუქად, მშვიდად, უხმაუროდ მიმავალი ეტლის თავზე გავარვარებული ჰაერი თვალისმომჭრელად ალიცლიცდებოდა. ხანდახან გზა მოულოდნელად წყდებოდა, ეტლი დამშრალი მდინარის ქვაღორღიან კალაპოტზე მიირწეოდა და ეტლში მსხდომნი უნებურად ერთმანეთს აწყდებოდნენ. ნამდინარევზე აქა-იქ კიდევ შემორჩენილიყო პატარა, ამღვრეული გუბეები, რომელთა გარშემო უზარმაზარი, ტალახშემხმარი კამეჩები მიყრილიყვნენ და ბიბლიური სიმშვიდით დარაჯობდნენ გაზაფხულამდე უგზოუკვლოდ გადაკარგული მდინარის ამ უკანასკნელსა და საცოდავ ნარჩენებს; მერე ისევ გზა იწყებოდა და ეტლიც ისევ მსუბუქად, რბილად, უხმაუროდ მისრიალებდა ცხელსა და ფაფუკ მტვერში და ისევ აუჩქარებლად, რულისმომგვრელად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მარტოხელა, სახტად დარჩენილი ხეები თუ ჩუქურთმიანი ქვებით მოფენილი პატარა სასაფლაოები, ხრიოკ ფერდობზე შეფენილი, ლამის ვერტიკალურად გარინდული, ჯიქანდაბზეკილი თხები თუ ღობის ძირას მიყრილი.

უღლიანი ღორები, ქვითკირის ნავიან წყაროებში მოჭყუმპალავე ბიჭბუჭები თუ მხარზე კოკურაშედგმული შაოსანი ქალები, დაგვილი, წყალმოპკურებული ეზოები თუ რიკულიანი აივნები, ხის ძირას დადგმული, ხილაბანდგადაფარებული აკვანი

თუ ჩრდილიან კედელზე თავმიბჯენილი სახედარი, მეხუთე ფეხივით, მიწამდე რომ დასთრევდა სასირცხვო. მერე ისევ გადაებმეოდნენ კუნელის, ასკილისა და მაყვლის ბუჩქები, ისევ გადაეფინებოდა. ეტლში მსხდომთა მოღუშულ სახეებს ბროწეულის ჭყეტელა ყვავილის ალისფერი ანარეკლი, ისევ გააბამდნენ ჭრიჭინები გაუთავებელ ჭრიჭინს და, ოქროს კენჭივით, ისევ შემოვარდებოდა ეტლში მბზინავი, ბუსუსიანი ფუტკარი. ნახევარი გზა გამოვლილი ჰქონდათ, ქაიხოსრომ ეტლი რომ გააჩერებინა და ალექსანდრესა და ბაბუცას გარდა, ყველანი გზისპირა ბუჩქნარში გაუჩინარდნენ. მეეტლემ მათრახი ტარით ჩაამაგრა კოფოზე, რკინის ფოსოში, და ფართე ქამრის სწორებსწორებით, თითქოს ისიც იმ საქმეზე არ მიდიოდა, გადავიდა გზიდან. ანეტა ნოტიო, ჩრდილჩამდგარ თხრილში მიმოფანტულმა ყვავილებმა გაიტაცეს და მამამისს რომ არ დაეძახა სად მიდიხარო, მიყვებოდა ყვავილებს, აღარც-კი ახსოვდა, რისთვის გადმოსულიყო ეტლიდან.

— შენ არ გინდა? — ჰკითხა ბაბუცამ ალექსანდრეს.

დედის ხმამ ალექსანდრე თითქოს შეაკრთო, უარის ნიშნად თავი გაიქნია და მხოლოდ მაშინ იგრძნო, ლაჯები რომ გაოფლიანებოდა და გადაჭრილი მკლავი უბჟუოდა.

— მე მოგეხმარები. — არ მოეშვა ბაბუცა.

ალექსანდრეს ყბა ჩამოუგრძელდა, ლოყა აუცახცახდა და ისეთი მძვინვარე თვალებით მეხედა, ბაბუცა შიშისაგან კუთხეში მიიყუჟა.

ანა, გიორგა და აღათია ჭიშკართან ელოდებოდნენ. ეტლი რომ გამოჩნდა, ანა თავს ვეღარ მოერია, ეტლისკენ გამოიქცა და მეეტლეს რომ არ ემარჯვა, ლამის გადაეთელვინა კისერმობრეცილ, პირზე დუჟმომდგარ ცხენებს. ალექსანდრე ეტლიდან გადმოხტა, მკლავებში ჩაუვარდა თავსაფარგადამძვრალ ანას და აღრიალდა. მაშინ ვეღარც ეტლში მსხდომებმა შეიკავეს თავი და ნათმენი, ნატყუები ცრემლით დამდუღრულნი ჩაეხვივნენ ერთმანეთს. ასე, ერთმანეთის ხვევნა-კოცნით, სი-

ცილ-ტირილით შეიკეტეს იმ დღეს მაკაბელებმა რკინის მძიმე ალაყაფი.

7

თვალის გახელვამდე იცოდა, მარტო რომ არ იყო ოთახში.

გრძნობდა, ვიღაცა დაჟინებით უყურებდა. თვალი რომ გაახილა, ვიწრო, თაღისმაგვარ სარკმელში ლურჯად აბურძგნული წყვდიადი ჩამდგარიყო, შორს, ძალიან შორს, ჩაწეული ლამპა ბჟუტავდა. საწოლის ფეხებთან, უზურგო სკამზე, უცხო ქალი იჯდა, ხნიერად მოეჩვენა, თუმცა სინამდვილეში ის ქალი მხოლოდ ხუთი წლით თუ იქნებოდა მასზე უფროსი, შავი კაბა ეცვა, უსაყელო, უმაჯებო; ხუჭუჭი, ბუჩქივით თმა ჰქონდა, ოთხკუთხა სახე და დიდი, კაცური ხელები. კაცივით გაიზმორა, ფეხები გაფარჩხა და წელში გაიზნიქა, ღონივრად, მადიანად. უსიამოდ ამოებურცა გულმკერდი, კაბის უხეში ქსოვილი შეინძრა, სილის ნაკადივით ჩაუშვავდა სხეულის ღრმულებში, — მეც დამძინებია. როგორა ხარ? — ჰკითხა მთქნარებით.

ალექსანდრემ უნებურად თვალი აარიდა; ქალმა რაღაცას მიაყურა, გაიღიმა, მუხლზე გადაფარებული ხილაბანდი, რომელიც იქამდე არ შეუმჩნევია ალექსანდრეს, რადგან ისიც კაბის ფერისა იყო, სწრაფად, ხელის ერთი მოქნევით მოიხვია თავზე.

— მამაჩემსაც გაუღვიძია. მე კი ისევ ღამე მეგონა. — თქვა უმისამართოდ, ჰაერში, მერე ისევ შეხედა ალექსანდრეს. — გესმის? — ჰკითხა და ისევ მიაყურა რაღაცას.

თითქმის მაშინვე ალექსანდრესაც ჩაესმა შორეული, ყრუ, სუსტი კაკუნი, არა, მაშინ კი არ ჩაესმა, დიდი ხანია ესმოდა, შეიძლება ამ კაკუნმაც გამოაღვიძა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება.

— კუბოს აკეთებს. გუშინ ერთი მოგვიკვდა. ისეთ დღეში იყო, საწყალი, კედლებზე გადადიოდა. თავში ბაყაყი ყავდა. — ცხვირში გაიცინა ქალმა და დიდი, დაშაშრული ხელი პირზე აიფარა. — გინდა ქილა? — ჰკითხა მოულოდნელად.

ალექსანდრეს თავი უბრუოდა, კი არ უბრუოდა, გვერდზე მიუდიოდა რაღაცნაირად; უცხო, უსიამო სუნი უღიტინებდა ნესტოებში და თითქოს იმას ერიდებოდა ალექსანდრეს თავი ალექსანდრეს ჩაურევლად. ეგონა, ლორწოში იწვა, თავადაც დონდლო და მოშვებული, როგორც წყალში ამოწებული ბამბა, ცოტაც და გული აერეოდა, თავზარდაცემული ელოდებოდა გულისრევას.

— წყალი მინდა. — ამოიკნავლა, როგორც იქნა.

პირიც ლორწოთი ჰქონდა სავსე. ქალმა ცალი ხელი თავქვეშ ამოუდო, მეორეთი ჭიქა მიუტანა პირთან. ალექსანდრემ ჭიქის ჩამორთმევა დაუპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. მარჯვენა ხელი საწოლზე ჰქონდა დაბმული, მარცხენას კი ვერ იმორჩილებდა, დაბუჟებოდა, უსაშველოდ გაზრდოდა, გასივებოდა, წვრილ-წვრილი, ბასრი ნემსებით გავსებოდა შიგნიდან, ჭიქამდე თითქოს მიჰქონდა, თითქოს ეხებოდა კიდეც, მაგრამ ჭიქას ვერ გრძნობდა, ჭიქა ცალკე იყო, მისი ხელი კი — ცალკე, ჭიქა ისევ ქალს ეჭირა, რადგან ქალის ხელს ხედავდა, თავისას კი — ვერა.

— ხელი, ჩემი ხელი. — გაუკვირდა ალექსანდრეს.

— ჯერ სადა ხარ, ახლა დაგეწყება ტკივილი. — უთხრა ქალმა და დაშაშრული ხელის ზურგი ტუჩებზე მოუსვა.

მერე ტკივილი დაიწყო. ტკივილს ხერხის კბილები ჰქონდა, ხერხივით ხროტინობდა, დაუნდობლად გლეჯდა ხორცს, ძარღვებს, ძვალს ჩაფრენილი, წელში იბრიცებოდა, ღრჭიალებდა და ჯიუტად მიიწევდა წინ, ძვლის ტვინისკენ. ალექსანდრე კვდებოდა და ცოცხლდებოდა, სული ეხუთებოდა, თითქოს ბოლში იწვა, ვერაფერს ხედავდა შავად დაგრაგნილი ბოლის მეტს, ათასში ერთხელ წითლად რომ ფეთქდებოდა და საყრდენგა-

მოცლილი, დაცარიელებული, სუნთქვაშეკრული ალექსანდრე ნელა, რაღაცნაირი, შემაშფოთებელი, დამაეჭვებელი ნეტარებით ეშვებოდა უძირო ორმოში, გრილი, ლორწოვანი ბაყაყებით სავსე კუბოში; თვალებზედაც ბაყაყები ესხდნენ, გუგებით გრძნობდა მათ სლიპინა მუცლებს. მერე ისევ ბჟუტავდა ლამპა, ისევ იჟღინთებოდა წამლის სუნით, ისევ ერეოდა გული, ისევ თხოულობდა წყალს, ისევ ცდილობდა არარსებული ხელით ჭიქის ჩამორთმევას, ისევ იზმორებოდა უზურგო სკამზე ქალის უხეში, მოურიდებელი სხეული, ისევ გრძნობდა ტუჩებზე იმ ქალის დაშაშრულ კანს, ისევ ესმოდა ყრუ, სუსტი კაკუნი და ისევ ებურძგნებოდა მისავათებული სული, სადღაც, მისი არსების გარეთ, გველივით წამოფოფრილი, ტკივილის მოლოდინში; მერე იმ ქალთან ერთად იწვა ლოგინში, გაყუჩებული, შემკრთალი და ბედნიერი.

— რა გატირებს, ვაჟკაცი არა ხარ? ეუბნებოდა ქალი.

ქალის სიმხურვალე და მძაფრი სუნი თავბრუს ახვევდა ისედაც დასუსტებულს, მაგრამ ახლა სხვა არაფერი უნდოდა ამ სიმხურვალისა და ამ სუნის გარდა, ისე შეყუჟულიყო შიგ, როგორც ნარბენი, ხიფათს გადარჩენილი ნადირი დიდი ხნის წინათ მიტოვებულ სოროში, გასაჭირმა რომ გაახსენა მოულოდნელად. — მეც მახინჯი და შენც მახინჯი, — ეუბნებოდა ქალი. — დავიწეროთ ჯვარი და ვიცხოვროთ ბედნიერად.

— ხო, ხო, ხო, — იმეორებდა იგი უსასრულოდ, უაზროდ, ჟინიანად. ოღონდ დიდხანს გაგრძელებულიყო ასე, ოღონდ არ მიეტოვებინა ქალს.

ქალს მარო ერქვა, აქვე ცხოვრობდა, მონასტერში, მამასთან ერთად. მამამისი მონასტრის დარაჯიც იყო და ხელობაც იცოდა, სკამებსა და თაროებს აკოწიწებდა, ხანდახან კუბოებსაც, თუკი ვინმე უპატრონო მოკვდებოდა მონასტერში. მაროს დედა ადრე მოუკვდა, წესიერად აღარც ახსოვდა, მაგრამ ხშირად ახსენებდა, ხშირად უთვლიდა წყევლასა და კრულვას. მარო დაბადებით კოჭლი იყო, დედამისი ორსულობისას წაქცეულა, თვითონ არაფერი მოსვლია, მარდად წამომხტარა ფეხზე, მარო კი, სამუდამოდ დაუმახინჯებია, დედის მუცელში მოსტე-

ხია ფეხი. იმის მერე მოდის და მობარავს თავის მწარე ბედს, რახან ცალი ფეხი მოკლე აქვს, აღარც მისი შავი თვალები უნდა ვინმეს და აღარც მისი ხუჭუჭა თმა. თხუთმეტი წლისა იყო, მესაფლავე იაგორამ რომ გააუპატიურა.

სულელი იყო მაშინ, სასაფლაოზე უყვარდა სიარული, ჩამოჯდებოდა ვინმეს საფლავთან და მოთქმით ტიროდა, დიდ ქალებს ბაძავდა. იაგორას იქამდეც იცნობდა, ხან საიდან გამოტყვრებოდა მხარზე ბარგადებული და ხან საიდან. „შენ რომ არ ყავდე, რა ეშველებოდა ამდენ უპატრონო მკვდარსაო“, — ეუბნებოდა და იღრიჭებოდა შავი, ჩამპალი კბილებით. წითელი თმა ჰქონდა, ბეჭებზეც წითელი ბალანი მოსდებოდა, ზამთარზაფხულ წელზევით ტიტველი დადიოდა. მაროს არ ეშინოდა იაგორასი, ან რატომ უნდა შინებოდა, ის საფლავებს თხრიდა, ეს მკვდრებს ტიროდა, შეეჩვივნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ იმ დღეს მაინც გადაუტრიალდა გული. იაგორა საფლავში იდგა და მარომ ერთბაშად ვერც-კი შეამჩნია იგი. „ბუჰო“, — დაუძახა იაგორამ საფლავიდან და ისე მოულოდნელად ამოყო წითელი თავი, გეგონებოდათ ალი ამოვარდაო. „ჭირი და დოზანა. როგორ გამიხეთქე გული“. — მიაწყევლა მარომ დიდი ქალივით. „ჩამო, გოგო, რა გაჩვენო“. — უთხრა იაგორამ. „რა უნდა მაჩვენო“. — დაინტერესდა მარო. „ჩამო და გაიგებ“, — უთხრა იაგორამ. მაროც ჩავიდა; ჩავიდა და ჩავიდა. იაგორას ცხელი, მიწიანი ხელები ჰქონდა. მაროს კისერი ეტკინა, მოუხერხებლად იწვა. „იცოდე, ცოცხლად დაგმარხავ, სადმე თუ გითქვამს“. — უთხრა იაგორამ. „როგორა ძლებს ამ სივიწროვეში მკვდარი“, — თქვა მარომ. იაგორამ გაიცინა, იღლიებში ხელი შეუყო და საფლავიდან ამოახტუნა. ნამდვილი შიში მერე გადაიტანა მარომ, სიზმარში; ვითომ იაგორა ფეხში თოკს აბამდა და საფლავში მიათრევდა, მაროს დაყვირება უნდოდა, მაგრამ პირზე იაგორას ცხელი, მიწიანი ხელი ეფარა და სული ეხუთებოდა. ინათა თუ არა, სასაფლაოზე გაიქცა, დასიზმრებულ იაგორას ცხადი იაგორა სჯობდა. ახლა აღარ ტიროდა უპატრონო მკვდრებს, საფლავის ქვაზე შედგებოდა ხოლმე და ჩუმად, მოთმინებით ელოდებოდა, როდის, რომელ მხარეს ამოყოფდა იაგორა წითელ თავს მიწიდან. მერე იაგორა დაიკარგა, მიწამ უყო პირი. ტყუილუბრალოდ დადიოდა მთელი წელი სასაფლაოზე. ხალხი ისევ

იხოცებოდა, საფლავებიც ისევ ითხრებოდა, მაგრამ ახლა სხვები თხრიდნენ საფლავებს. იაგორა კი არ ჩანდა. არც არავინ იცოდა მისი ასავალდასავალი, ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო, — ერთნაირად ამბობდნენ ყველანი. მერე ისა და მამამისი ამ მონასტერში გადმოსახლდნენ. მერე მონასტერი ლაზარეთად გადააკეთეს და იმანაც დაისვენა, სადღა ეცალა იაგორასთვის, ხან ვის უთევდა ღამეს და ხან ვის, მთელი თვე რომ არ დაეძინა, არაფერი მოუვიდოდა, ისე შეუყვარდა ავადმყოფების მოვლა-პატრონობა.

ავადმყოფებთან აღარც გამორჩეულად გრძნობდა თავს და აღარც დაჩაგრულად. „დაო, დაო“, — ეძახდნენ აქეთ-იქიდან ცეცხლით დამწვრები, ტყვიით დაფლეთილები, ცულით დაჩეხილები, ჩირქში, ბალღამში, დამპალ სისხლში ამოთითხნილნი.

და ისიც შეუზიზღებლად წმენდდა ჩირქს, ბალღამს, დამპალ სისხლს; გაჰქონდა მათი შარდი და განავალი, ჭამდა მათ მონარჩენ საჭმელს და ბედნიერი იყო, რადგან მასზე უბედური ხალხიც არსებობდა ამ ქვეყანაზე. ის, რაც იაგორამ ასწავლა, ავადმყოფებმაც იცოდნენ, სიცხიანები, ტკივილისაგან აღმუვლებულნი იწვენდნენ ლოგინში, გაშმაგებულნი კოცნიდნენ, მკლავებს ულოკავდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ, და ბავშვებივით მშვიდად იძინებდნენ მის მკერდზე, დროებით ტკივილ-ჩამცხრალნი დროებით განკურნებულნი. ერთი იმ დროს.

მოუკვდა, მის მკლავებში დალია სული. „მადლობელი ვარ, დაოო“, — ამოიგმინა და გათავდა, მკვდართან ერთად მოუსწრეს ლოგინში, რადგან მოერიდა მკვდრისა, არ წამოვარდა მაშინვე, აცალა ბოლომდე გაციება. მერე მამამ სარდაფში ჩაიტყუა, სადაც კუბოებს აკეთებდა, და ჩაქუჩით დაედევნა. კოჭლი იყო, მაგრამ მაინც ვერ ეწეოდა მამა, ისე ყოჩაღად მიხტოდა დაუმთავრებელ კუბოებზე, თვითონვე ეცინებოდა, თითქოს დაჭერობანას თამაშობდნენ ისა და მამამისი. ბოლოს მამა დაიღალა, გამწარებულმა ჩაქუჩი ესროლა, თვითონ კუბოზე ჩამოჯდა და ატირდა. ბალღივით სლუკუნებდა: ხომ იცი, შენს. მეტი არავინა მყავს, რატომ მღუპავ, რატომ მჭრი თავსაო. „კოჭლი რად გამაჩინე?“ — ნიშნს უგებდა მარო, ეგონა მამამისი თავს იკატუნებდა, მიტყუებას უპირებდა და იმიტომ ტიროდა. უცებ იგრძნო,

რომ მამამისი არ თვალთმაქცობდა და გაბრაზდა, თვითონაც არ იცის, რამ გააბრაზა, მაგრამ ისე მწარედ წაეკიდა ცეცხლი გულმუცელზე, ბალღივით ასლუკუნებულ მამას ხელი ჰკრა და კუბოში ჩააყირავა. არც ის იცის, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ ასე რომ არ მოქცეულიყო, გული გაუსკდებოდა. აკი მაშინვე დამშვიდდა კიდეც, კუბოდან ამოსვლაშიც მიეხმარა ფეხებაფართხალებულ მამას და ღიღინ-ღიღინით ამობარა სარდაფის კიბეები. მერე მამამაც თავი გაანება, მამაც მიხვდა, მარტო საფლავებსა და ავადმყოფთა ლოგინებში ჩასაწვენად რომ ვარგოდა მისი ქალიშვილი, რადგან კოჭლი დაბადებულიყო და თავიდანვე გამოყოფოდა ჯანსაღი ადამიანებით დასახლებულ ქვეყანას, სადაც მისი გამოჩენა ყველას სიცილისა და ხუმრობის გუნებაზე აყენებდა. „ამოჰკარი, ერთიც ამოჰკარიო“, — ეძახდნენ ქუჩაში მიმავალს უსაქმური ბიჭბუჭები და ისიც უარესად კოჭლობდა, ამაყად მომღიმარი, გაცისკროვნებული და აღგზნებული მთელი ქვეყნის სიძულვილითა და საკუთარი სიმახინჯის შეგრძნებით.

ეს ყველაფერი საწოლში მოისმინა ალექსანდრემ, უშვილო, გაუთავებელი ტკივილითა და ქალის სიახლოვით გასპეტაკებულ ღამეებში, წამლებისა და ლამპის სუნით გაჟღენთილ სენაკში, კირით გადათეთრებულ კედლებს შორის, დედ-მამას, და-ძმას მოწყვეტილმა და ხელმეორედ დაბადებულმა, ისევ ჩვილად კი არა, დასრულებულ მამაკაცად, აქოთებულ სახვევებსა და უცხო დედაკაცის მკლავებში.

— მე არ მიგატოვებ, მე არაფრის არ მრცხვენია, — ჩურჩულებდა ხმაშეცვლილი, სულშეძრული საკუთარი ნათქვამით, მისივე პირიდან ამოსული პირველი მამაკაცური სიტყვებით. — ისემც მე ვიხარო, — დაშაშრულ ხელს პირზე აფარებდა ქალი. — იცი რასა გევხარ? — ეუბნებოდა ცოტა ხნის მერე. — ჭიაყელას. აი, მეორე ხელიც რომ არ გქონდეს, ნამდვილი ჭიაყელა იქნებოდი.

მერე ალექსანდრე წაიყვანეს. მაროს არ გამოუცილებია, ვიწრო, თაღისმაგვარ სარკმელთან იდგა და იქიდან უყურებდა. „სად მიდიხარ, ბიჭო, რა საერთო გაქვს მაგათთან“, — ლაპარაკობდა გუნებაში. ალექსანდრემ მოიხედა, თვალი ჩამოაყოლა

მონასტრის ერთნაირ სარკმლებს, იცოდა, მარო რომ უთვალ-თვალებდა საიდანღაც. „ჰი, ჰი, — ჩაიცინა მარომ თავისთვის, შორიდან გაეთამაშა, გაუხარდა, ალექსანდრემ რომ ვერ აღ-მოაჩინა იგი. ალექსანდრე კი, მთელი გზა მაროზე ფიქრობდა, მისი სუნი ასდიოდა და დედ-მამის შორის ჩაჭედილი, გრძნობ-და, თანდათან როგორ ეუფლებოდა სურვილი, ეტლში მისთვის უკვე უცხო ხალხი იჯდა, რა თქმა უნდა, იცოდა, ვინ ვინ იყო, ვინ რად ეკუთვნოდა, მაგრამ მხოლოდ იცოდა, გრძნობით კი, ვე-ღარ გრძნობდა. სრულებით არ აწუხებდა ეს ამბავი, თავისთვის იჯდა და იხსენებდა მონასტრის სენაკში გატარებულ ცხოვრე-ბას, რომელიც ეტლში მსხდომთათვის არც კი არსებობდა, არა-ფერი აკავშირებდათ თაღისმაგვარ ვიწრო სარკმელთან, ახ-რჩოლებულ ლამპასთან, რკინის უხეშ საწოლთან, ტკივილისა და სიკვდილის სარეცელთან, — რომელიც ყველასათვის ერ-თნაირია და რომლისათვისაც ყველანი ერთნაირები არიან, ერთნაირად ტანჯულნი და განწირულნი, რომელზედაც კი არ იკურნება ადამიანი, არამედ ხელმეორედ იბადება, სულ სხვა, სულ სხვანაირი, ანდა კვდება.

— ასევე არაფერი აკავშირებდათ უხეში, ცუდად გარანდული ფიცრებისგან გაკეთებულ სკამთან, რომელიც, ალბათ, მაროს მამის ნახელავი იყო და რომელზედაც მარო იჯდა ხოლმე, უხე-ში, უშნო, მოურიდებელი, დაუზარელი და გამგები, მოწყალების და კი არა, ტანჯულთა და მახინჯთა მოწყალების ცოლი, თავა-დაც ტანჯული და მახინჯი. ალექსანდრე ისე ფიქრობდა მონას-ტრის სენაკზე, როგორც უცხო ცის ქვეშ მოხვედრილი — მშობ-ლიურ სახლზე, ერთადერთ ადგილზე, რომლის დავიწყება არ შეიძლება და სადაც, თუ ბედმა არ გიმუხთლა, აუცილებლად უნდა დაბრუნდე, ადრე თუ გვიან. ცხენები მტვერში მიბაკუნობ-დნენ, ეტლი მშვიდად, რულის მომგვრელად მიირწეოდა ბორ-ბლებზე და ალექსანდრემ იცოდა, დარწმუნებული იყო, რომ დაბრუნდებოდა, იქ, გაქუცული კვიპაროსებით შემოღობილ მონასტერში, ღრმად, ხარბად ჩაისუნთქავდა, ერთხელ კიდევ, წამლების, სიდამპლისა და დამწვარი ნავთის სუნს, განაბული, თვალმილულული მიუგდებდა ყურს ჩაქუჩის შორეულ კაკუნს და ერთადერთი ხელით მტკივნეულად მიიხუტებდა მაროს ტლანქ სხეულს, საიდანაც ტკივილითა და შვებით, ტანჯვითა და

ნეტარებით ამოვიდა ის, ახალი ალექსანდრე, ცალხელა ალექ-
სანდრე, თავისიანებისთვის უცხო და საიდუმლო ალექსანდრე.
თუ ალექსანდრე მართლა ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებუ-
ლი, როგორც ისინი, მისიანები ამბობენ, რაკი თავის მაგივრად
მკლავი დაკარგა მხოლოდ, მაშინ მისი ბედნიერი ვარსკვლავი,
მისი ბედნიერების ვარსკვლავი იქ ანათებს, გაქუცული კვიპა-
როსების თავზე, აქოთებულ ტალანებში, ვიწრო, თაღისმაგვარ
სარკმელში, ახრჩოლებულ ლამპის შუშაში, ბნელსა და ნესტიან
სარდაფში, სადაც უპატრონო მკვდრისთვის შეკოწიწებულ კუ-
ბოზე ჩამომჯდარი მოხუცი საკუთარ უმწეობასა და ერთადერთი
ქალიშვილის კოჭლობას ტირის, და არა იქ, ერთმანეთზე სულე-
ლი, ერთმანეთზე გულუბრყვილო და ერთმანეთზე მშიშარა
ადამიანების ბუნაგში, სადაც მისი სიმახინჯე უფრო თვალში სა-
ცემიცაა და უფრო გაუმართლებელიც, გაუგებარიც; როგორც
არ უნდა ითვალთმაქცონ, მაინც უჭირთ მასთან შეგუება. ამი-
ტომაც ლაპარაკობენ ამდენს, ამიტომაც სჯერათ ვიღაც ბოდ-
ბისხეველი მკითხავისა, ამასწინებზე ღვარძლიანად რომ უხუმ-
რია: ჯერ პატარაა და ყველაფერი გაეზრდებაო.

ჩხრეკენ და ქექავენ სხვათა უბედურებებს, რათა თვალი აა-
რიდონ იმას, რაც ცხვირწინ უდევთ, რაც მათზედაც ვრცელდე-
ბა, რამდენადაც, უნდათ თუ არა, ალექსანდრე მათი სისხლი და
ხორცია, მათი სახელის მატარებელი, და თუკი სახელი გა-
უზიარეს, მაშინ თავადაც უნდა გაიზიარონ მისი სიმახინჯე. ეს
აბნევთ, ეს აშინებთ, ეს აიძულებთ თვალთმაქცობას, თავის ძა-
ლად გაბრიყვებას, იმის დაჯერებას, რაც ალექსანდრეს კი არ
მოეხმარება, მათ დაამშვიდებს, ცოტა ხნით მაინც, ერთი-ორი
დღით გაუხანგრძლივებთ უსაფუძვლო იმედს, სანამ რამე ახა-
ლი სისულელე გამოჩნდება, ახალი სასწაულის მაგალითი.
არარსებულს ეპოტინებიან, რადგან არსებული ხელს არ აძ-
ლევთ, ის კი გაუგიათ, დრუნჩიაანთ ნატომ ექვსთითიანი ბავშვი
რომ გააჩინა და ექიმმა ჯანდიერმა ის თითები ხუთამდე დაუყვა-
ნა, მაგრამ იმის გაგებაც არ უნდათ, ოთხთითიან ბავშვს მამაზე-
ციერიც რომ ვეღარ მიუმატებს მეხუთეს; იმას კი გაიძახიან,
ყრუჩუჩა კოლას ორმოცი წლისას გაეხსნა სმენაო, მაგრამ იმა-
ზე ჩუმად არიან, იმ ყრუჩუჩა კოლას ყურის გამოწმენდა კი არა,
პირზე წყლის შესხმაც რომ ესიკვდილება და იმავე ექიმმა ჯან-

დიერმა მთელი ტაშტი ჭუჭყი და ბალღამი გამოუღო ყურებიდან; ისიც შეუტყვიათ, ახლა უკვე ბეხრეკ იოსებას, თხუთმეტი წლისას რომ დაულაპარაკია პირველად, პაპამისის ქელეხში, და ხალხი ისე გაუოცებია, პურმარილი მიუტოვებიათ და გალობითა და პირჯვრისწერით დაძრულან ეკლესიისკენ. რაც მართალია მართალია, ასე ყოფილა, იოსებაც არ უარყოფს ამას, მაგრამ შაურიანსაც თუ ჩაუდებ ხელში, თავიდან ბოლომდე მოგიყვება, რატომ იყო დამუნჯებული თხუთმეტი წლის განმავლობაში და რამ ამოუდგა უცებ ენა. იოსებას მონახვას რა უნდა, დილიდან საღამომდე გარეგინას დუქნის წინაა ჩამომჯდარი, მაგრამ ამათ შაურიანიც არ ემეტებათ, სიმართლე რომ გაიგონ. სიმართლე სასაცილოა და იმიტომ, სიმართლე ხელს არ აძლევთ, სასწაული კი უფრო კეთილია, იმედის მომცემია, ღვინოსავით გათრობს და გალაქლაქებს. ისხდნენ და ილაქლაქონ სანამ არ მობეზრდებათ, რა ესაქმება ალექსანდრეს იმათ ლაპარაკთან. ალექსანდრეს არც დასამალი აქვს რამე და არც სათვალთმაქცო.

მახინჯია და გათავდა. იცის, რომ მახინჯია და ესაა მისი სიძლიერე, ამიტომაც არიდებენ ყველანი თვალს, კი არ ეცოდებათ, რა სჭირს მათი შესაცოდი, ეშინიათ მისი, განსხვავდება, გამოირჩევა მათგან. დედამისს ხომ ორი დღე აბრუნებდნენ ნიშადურით, როცა მოთმინებიდან გამოსულმა ალექსანდრემ პერანგი ჩამოიხია და ცხვირწინ აუსავსავა მკლავის ნარჩენი. აბა, რა ეგონა? მართლა გაეზრდებოდა ალექსანდრეს მკლავი, თუ ჩიტი ამოუფრინდებოდა პერანგის სახელოდან? იმის მერე ბოდბისხეველი მკითხავი აღარ უხსენებია დედამისს, აღარც ოთახში შედის, სადაც ალექსანდრე წევს და აღარც ტანის დასაბანად გომურში შეკეტილ ალექსანდრეს ეხვეწება, გომურის კარს გარედან აკრული, შემომიშვი, ზურგზე მაინც წაგისვამ საპონსო. ალექსანდრესი ეშინიათ, ალექსანდრე კი, გულში იცინის და, სულო ცოდვილო, კმაყოფილიცაა თავისი ბედით. ის ნიკოსავით ცაში კი არ დაფრინავს, ყელამდე ტალახში დგას, დედიკოს კალთას კი არაა ამოფარებული, მაროს სუნითაა გაჟღენთილი, ნიკოსავით ლექსებს კი არ წერს წმინდა გიორგის გამოცხადებაზე, რომელმაც მათი სამშობლო ურჩხულს უნდა გამოსტაცოს პირიდან, არამედ იმ დღეებზე ოცნებობს, როცა

მტირალა მეკუბოვეს მიუვარდება და ერთადერთ ქალიშვილს წაართმევს, ხოლო თუ ბევრს გააჭირებს, თავისსავე შეკოწიწებულ კუბოში ჩაჭედავს ცოცხლად, რადგან კოჭლმა მარომ ახალი, ცალხელა ალექსანდრე თავისთვის გააჩინა, თავისი კოჭლი ფეხით შემოუბარა კარ-მიდამო, გამზადებული დაახვედრა ოფლისა და თესლის ჩასაღვრელად.

რაც იქამდე იცხოვრა ალექსანდრემ, დაკარგული დროა მხოლოდ, არარსებული, გამოგონილი; და იმის გახსენება, თუ არ შეაფერხებს, არაფერში გამოადგება, რადგან მაშინდელი ალექსანდრე სხვა იყო და ახლანდელი სხვაა. ის გამოგონილი იყო, ეს კი — ნამდვილია, რადგან იმას ორი ხელი ჰქონდა და არ იცოდა, რამი მოეხმარა, ამას კი, ერთი ხელი აქვს და იცის, რამდენი რამის გაკეთება შეიძლება ცალი ხელითაც, თუკი შენს ჭკუაზე გაწვრთნი, როგორც ყაჩაღი — ცხენს, მწყემსი — ქოფაკს და ბაზრის ოინბაზი — მაიმუნს. ამისათვის მთავარია, ანკესზე არ წამოეგოს, არ გააბრიყვოს თავისიანების გულისხმიერებამ და გულკეთილობამ, თავიდანვე ჩაინერგოს თავში, რომ დასახმარებლად კი არ მოისწრაფვიან ისინი მისკენ, არამედ დასაღუპად. ერთხელ მაინც რომ მოხვრიპოს სხვისი ხელით მოწოდებული კოვზი, ყველაფერი წყალში ჩაეყრება, სხვისი ხელის შემყურე დარჩება სულ, ისევ სხვებს დაემსგავსება და ისევ იქ შებრუნდება, საიდანაც აფეთქებულმა დენთმა გამოისროლა ერთხელ და სამუდამოდ. მან ცალხელა კაცის ცხოვრება უნდა ისწავლოს და რაც შეიძლება მალე. მოკვდება და ისწავლის, მოკვდება და თავის ჭკუაზე გაწვრთნის ერთადერთ მკლავს, თავიდანვე მოუსპობს სხვისი დახმარების იმედს, გააუხეშებს, გააღონიერებს, გააეშმაკებს, თვითონ იცის და მისმა მკლავმა, რომელიც ჯერ კიდევ დარდობს ტყუპისცალზე, ჯერ კიდევ ახსოვს იმის საიმედო შეხება, სითბო და სირბილე, მასთან ერთად გატარებული დრო, უაზრო, უდრტვინველი ბღლაძუნი და კოტრიალი, ჯერ კიდევ მიზეზიანობს, ჯერ კიდევ მოუხერხებელია, ხან რა უვარდება და ხან რა, მაგრამ ალექსანდრე მოიყვანს ჭკუაზე, მიაჩვევს უამხანაგოდ ცხოვრებას. თუ იმან დაკარგა ტყუპისცალი, ალექსანდრემ ძმა დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრესთვისაც ისეთი უმნიშვნელო და უსარგებლო გახდა ძმა, როგორც მისი ერთადერთი მკლავისთვის დაკარგული

მკლავის ნარჩენი, პატარა, პირმოკუმულ ტომსიკასავით დანაოჭებული ხორცის მორგვი, მხოლოდ და მხოლოდ ზიზღნარევი სიბრალულის აღმძვრელი, რომელსაც ბუნდოვნად ჯერ კიდევ ახსოვს, როდის როგორ უნდა მოიქცეს, უნებურად ახლაც ცდილობს გაიმეოროს გადარჩენილი ტყუპისცალის მოძრაობები, მაგრამ აღარ შეუძლია, რადგან აღარ არსებობს, ცვედანი და ფუყე სიცარიელე აგრძელებს მხოლოდ და იმ სიცარიელეს ვეღარაფერი ამოავსებს. ერთადერთი გზა შეგუებაა, დანარჩენი თავისით მოვა. ვაი იმისი ბრალი, ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა, ვისაც სიმართლის გასაგებად შაურიანიც არ ემეტება, სიმართლის ფასი შაურია, რადგან არავის არ სჭირდება იგი. ტყუილი კი, ჯადოსნური წამალივითაა, თვალებზე გადაისვა და გათავდა, ისეთ სიზმრებს დაგასიზმრებს, გაღვიძება არ მოგინდება. ამიტომაც ღირს უფრო ძვირი, ორმოცწლიანი სიყრუე ანდა თხუთმეტწლიანი მუნჯობაა მისი ფასი. ყველანაირი სიმართლე უბრალოა, ცარიელ-ტარიელია, რაც არის — ის არის, არც მეტი და არც ნაკლები, ვერც შეკვეცავ და ვერც გაწელავ, ნალივით მარტივია და ნალივით გამოსადეგი, ოღონდ უნდა იცოდე მისი გამოყენება, როგორც ნალისა, რადგან ნალი ცხენს შუბლზე თუ მიაჭედე, დაასახიჩრებს და გააგიჟებს, ხოლო ფლოქვზე მოერგება და მოეხმარება კიდეც სიარულში. პირჯვრის გადასაწერად ცალი ხელიც საკმარისიაო, თქვა ზოსიმე მღვდელმა. ესეც სიმართლეა. ცალი ხელი იმის ამოსაღებადაც კმარა, მაგრამ ძალიან შემცდარან, თუ ჰგონიათ, რომ ალექსანდრე იმიტომ გადარჩა, მთელი. სიცოცხლე პირჯვარი იწეროს და შარვლის ღილები აწვალოს.

მართალია, მკლავი დაკარგა, მაგრამ არც სხვებზე ნაკლები მადა აქვს და არც უნარი. სხვებზე მეტიც ეკუთვნის, რადგან მათ ოჯახში მარტო ისაა პირნათელიცა და თავისუფალიც, რადგან დასაშავებელი უკვე დააშავა და სასჯელიც უკვე მოიხადა, დასაკარგი დაკარგა და რაც დარჩა, იმითაც კმაყოფილია.

ისხდნენ და იყბედონ, სანამ არ მოსწყინდებათ, იმათ ჯერ არც ნამდვილი ტკივილის ფასი იციან და არც საკუთარი სიმახინჯის დასანახი თვალი ახელიათ. ამიტომ, არც ამ ქვეყნისა გაეგებათ რამე, ნეხვი ვარდად ეჩვენებათ, ნეხვშიც ვარდს ეძებენ. ნიკოსავით პოეტები არიან, მაგრამ ნიკოსი არ იყოს, თავს იტ-

ყუებენ მხოლოდ, სხვის ტკივილსა და სიმახინჯეს დაჰფოფინებენ ღმერთის დასანახად, ღმერთს ატყუებენ თავიანთი ჭკუით, ვითომ ნახე, როგორი კეთილები ვართ, როგორ გვტანჯავს სხვისი ჭირი და ჩვენ მაინც დაგვზოგე, ჩვენ მაინც ნუ გვატკენ, ჩვენ მაინც ნუ დაგვამახინჯებო. მაგრამ არა, არ გამოვა ასე, თავის თავს თვითონ მოუვლის ალექსანდრე, სხვებმა კი სხვა გზით, სხვა საშუალებებით მოინანიონ თავიანთი ცოდვები. რა წმინდანი ის ნახეს, რომ მისი მოვლა-პატრონობა სიკეთესა და ღვთისნიერობაში ჩაეთვალოთ? ის იმიტომ კი არ დაამახინჯა ღმერთმა, რომ სხვების გასართობი გახდეს, სხვებმა ითამაშონ მისი მახინჯი სხეულით, როგორც ანეტას თოჯინით, არამედ იმიტომ, სხვებისგან რომ გამორჩეულიყო, სხვებზე ადრე რომ ახელოდა ქვეყნის დასანახი თვალი. სიმახინჯე მისთვის იგივეა, რაც ნიკოსთვის სწავლა-განათლება. რისთვისაც ნიკომ წლები უნდა დაკარგოს და კიდევ საკითხავია, მოიპოვებს თუ არა, მან ერთ ღამეში მოიპოვა, სისხლითა და ტკივილით, წიგნით კი არა, სისხლითა და ტკივილით, როგორც დაპყრობილი ქალაქის კედელთან ჩამჯდარმა მეომარმა ცხელი ულუფა. ძნელი სათქმელია, მოიპოვებს თუ არა, ანდა როდის მოიპოვებს ნიკო იგივეს წიგნისა და დედამისივით ქერქეტა გიმნაზიელი გოგოების დახმარებით. ღმერთმა ხელი მოუმართოს. რა მისი საქმეა? იმ ღამის მერე, ნიკო მისთვის იგივეა, რაც მისი მარჯვენა ხელისთვის მარცხენა ხელის მონარჩენი, აღარც მოემატება და აღარც მოაკლდება რამე. „მაპატიეო“, — უთხრა ნიკომ ქალაქში გამგზავრების წინა დღეს. რა? რა უნდა აპატიოს ალექსანდრემ ნიკოს? ან ვინ მისცა ალექსანდრეს იმდენი უფლება, ნიკოს რომ აპატიოს? მპატიებელი, მიმტევებელი და გამკითხველი სხვაა, ერთია ნიკოსთვისაც და ალექსანდრესთვისაც და იმან უკეთ იცის, ვინ რამდენი დააშავა და ვინ რა სასჯელს იმსახურებს. ნიკოს ნათქვამმა კი არ გააბრაზა, გააკვირვა, რადგან ნიკოსთან აღარაფერი ესაქმებოდა. ასედაც უთხრა: მე რისი მპატიებელი ვარო, აგე, იმან გაპატიოსო, და ერთადერთი ხელი ცას მიუშვირა. ღვთის წყალობით, ალექსანდრეს არაფერი სჭირს სხვათა საპატიებელი, არც დასაყვედრებელი, არც დასამადლებელი. ალექსანდრე მოწყალების არც გაღებას აპირებს და არც მიღებას, რადგან მოწყალების მიღება საკუთარი უმწეობის აღიარებაა, ხოლო მოწყალების გაღება საკუთარი უპირატესობის და-

სამტკიცებლად სჭირდება ადამიანს. ამ ქვეყანაზე ტყუილად არავინ არაფერს იძლევა, მაგრამ ძლიერია არა ის, ვინც იძლევა, არამედ ის, ვინც არ იღებს. ალექსანდრე უარს რომ ეუბნებათ მოწყალებაზე, იმიტომ არიან ასე გასაცოდავებულები ყველანი, იმიტომ იმზირებიან ასე დამფრთხლები. აბა, ახლოს მოუშვას! სიამოვნებით გახდიან და ჩააცმევენ დღეში ათასჯერ, როგორც ანეტა თავის ასკლიპიოდოტას, ჩვილივით გადააყენებენ, ფრჩხილებსაც დაუქნიან და ზურგსაც მოფხანენ, აღარც ძმარში გაწურული ტილოების აფარება დასჭირდებათ შუბლზე და არც ნიშადურის სპირტი, რადგან მომვლელი მოსავლელზე მეტია, მოსავლელზე ძლიერია და არაფერი სჭირს თავის ასატკივებელი და გულის შესაღონებელი. ხა, ხა, ხა... ვერ მოგართვით! მე ჩემთვის და თქვენ თქვენთვის — აი, ყველაზე სწორე სიტყვა; მე ერთი და თქვენ მრავალი — აი, ყველაზე სამართლიანი ანგარიში, მაგრამ ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს, ვინ ვის უტირებს დედას. კეთილი ინებონ და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, ჭკუას მოუხმონ, თუკი უმტკივნეულოდ შესაძლებელია ეს, და უფრთხილდნენ ალექსანდრეს, რადგან იგი არაფერს არ თხოულობს, მაგრამ არც არაფრის დათმობას აპირებს, რაც ეკუთვნის მაინც მიიღებს, ქვეყანაც რომ გადაუდგეს წინ. ღმერთი სამართლიანია. ალექსანდრემ დააშავა, მაგრამ დაისაჯა კიდეც. ასე რომ, ახლა ბარი-ბარში არიან ისა და ღმერთი, სხვებს არაფერი ესაქმებათ არც მის სიცოცხლესთან და არც მის აღზრდასთან.

ნიკოს მიხედონ, ნიკოს უპატრონონ, ნიკოზე გამოსცადონ თავიანთი სიკეთე და გულისხმიერება, რადგან ნიკო ჯერ კიდევ იმათია, ნიკოს ჯერ ღმერთი არ უნახავს. მან კი, იხილა და განიცადა კიდეც, რამეთუ ღმერთი არის ტკივილი და საკუთარი სიმახინჯის მიხვედრა. „ახლა ჭკუით იქნები. — უთხრა ღმერთმა ალექსანდრეს, მერე დაშაშრული ხელის ზურგი ტუჩებზე მოუსვა და ისა და ალექსანდრე ნელ-ნელა, თანდათანობით ჩაიწრიტნენ, ჩაიკარგნენ ერთმანეთში. გიმნაზიელ გოგოებს უკითხოს ნიკომ ახლა თავისი ლექსები, გიმნაზიელი გოგოები მოატყუოს: შუბი შემართა წმინდა გიორგიმო.

გიორგას გულისხმობს, ალბათ. მაგრამ წმინდა გიორგიც გიორგასავით გულადი თუა, კიდევ დიდხანს დააყოვნებს შუბის

შემართვას. მათ ოჯახს გიორგა უფრო შეეფერება, ურჩხულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი სოფლის ძაღლები ყეფით მოსდევენ აქეთ-იქიდან, როცა ვირზე ამხედრებული და მხარზე ბარგადებული, მოჩაქჩაქებს ხოლმე იგი ვენახიდან.

თეთრი, დიდმუცლიანი ლამპის შუქზე თავმოყრილი მაკაბელები ათასნაირად ჭრიდნენ და კერავდნენ, რთავდნენ და ალამაზებდნენ ბავშვების მომავალს. „ბავშვები“ უფროსების ლაპარაკში არ ერეოდნენ, ნიკო წიგნს კითხულობდა, ანეტა თავის ასკლიპიოდოტას ეჩურჩულებოდა რაღაცას, ალექსანდრე კი, თვალმოუშორებლად შესცქეროდა ლამპას და მონასტრის სენაკი ედგა თვალწინ, მაროზე ფიქრობდა, მარო ენატრებოდა, მისი სუნი სცემდა, მისი დაშაშრული კანის შეხებას გრძნობდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა ხოლმე ერთი წამით, როცა ლამპა გაიტკაცუნებდა და მაგიდაზე დაფენილ ჩრდილებს შეაკრთობდა. „ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმმ“, — მოულოდნელად გამოიღვიძებდა კარადისხელა საათი და ამ ხმის გაგონებაზე პეტრე ჟილეტის ვიწრო ჯიბიდან ვერცხლის მძიმე ძეწკვზე გამობმულ საათს ამოიღებდა, ცერა თითით მონოგრამიან ხუფს ახდიდა და დახედავდა, თითქოს იმას, კარადისხელას, არ ენდობოდა; კაი დრო გასულაო, იტყოდა მერე და დასაძინებლად მიდიოდა.

— დრო გადის, ჩვენ კი ვერაფერი გადაგვიწყვეტია. — წუხდა ბაბუცა.

აღათიაც მაშინვე დაფაცურდებოდა ხოლმე, ანეტას, თავისი ასკლიპიოდოტიანად აიტაცებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ანეტა უძალიანდებოდა, არ ანებებდა ატატებას, ხომ ხედავ, ჯერ არც ნიკო დაწოლილა და არც ალექსანდრეო, მაინც მიჰყავდა, მაინც თავისას უმეორებდა: მაგათ, რას უყურებ, ეგენი უკვე კაცები არიანო.

— კაცები, კაცები... — ბურდღუნებდა ქაიხოსრო. — ეგე, ხომ ხედავთ, რა უყოთ თქვენმა უპრაგონო ლაპარაკმა?!

ასე იყო ყოველ საღამოს და ვერავინ გრძნობდა, რა ერთფეროვნად, რა მოსაწყენად, რა უაზროდ მიედინებოდა მათი

ცხოვრება. არა, ნიკო და ალექსანდრე გრძნობდნენ, რადგან ერთი უკვე გზაზე იდგა თითქმის, დღეებს ითვლიდა, გული აღარ უჩერდებოდა აქ, სულითა და გონებით უკვე გიმნაზიელი იყო, ქუდის დახურვაღა აკლდა და ეგონა, აღარ დაადგებოდა საშველი იმ დღის გათენებას; მეორე კი, ქალზე ფიქრობდა, ჯიუტად, ბრაზიანად, როგორც თავმოყვარე კაცი — ვალის გადახდაზე, იმ ქალის ხმა გამუდმებით ედგა ყურებში: ნუ სულელობ, ნუ სულელობო, და ერთი სული ჰქონდა, როდის დაუმტკიცებდა, რომ არაფერი ჩაედინა და არაფერი წამოსცდენოდა მასთან ბავშვობით. შეიძლება, ესეც უწყობდა ხელს მის ნაადრევად დაკაცებას, ის საკუთარ არსებაში ახალ ადამიანს ქმნიდა, სპარტანელი მასწავლებლის სიმკაცრით, და მალე ცალი ხელით ცხენსაც კაზმავდა, შეშასაც აპობდა და ბარსაც გიორგაზე მარჯვედ ხმარობდა. ხოლო ასანთის კოლოფს ისე მარდად ხსნიდა, ისე ადვილად ამოჰქონდა ღერი და ისე მოხდენილად უკიდებდა პაპიროსს, მნახველები გაოცებისგან პირს აღებდნენ. ბაბუცაც გაოცებამ გადაარჩინა გულისწასვლას, პირველად ნახა, ადამიანს ცხვირპირიდან ბოლი რომ გამოსდიოდა. ჯერ იფიქრა, დარდისაგან ალბათ გულზე ცეცხლი უკიდია და გულის ბოლი ამოსდისო, მაგრამ როცა მისმა მამამთილმაც გააბოლა პაპიროსი და აცრემლებულმა, ხველებ-ხველებითა თქვა: გამახსენდა კარგი ცხოვრებაო, ცოტათი დამშვიდდა, თუმცა მაინც ვერ დააკავშირა ერთმანეთთან „კარგი ცხოვრება“ და ცხვირ-პირიდან გამომავალი ბოლი. ალექსანდრე კი ამ ბოლით, პაპიროსის მწარე ბოლითაც ბავშვობას ებრძოდა, ბოლით უნდოდა ამოეხრჩო საკუთარ არსებაში, თუკი რამე დარჩენოდა ბავშვური; იბრძოდა, წვალობდა, ჯიუტად მიიწევდა წინ, როგორც თაფლზე დამჯდარი ბუზი. ნიკო მხოლოდ ხელს უშლიდა ბრძოლაში, რადგან ნიკო, სანამ თბილისში გაემგზავრებოდა, უნებურად საკუთარ ბავშვობას ახსენებდა, თავისი დარცხვენილი ღიმილითა და შემკრთალი, შეწუხებული თვალებით.

„წადი, სანამ ლამაზი ხარ, გიმნაზიელ გოგოებს აუჩუყე გული“, — ბურდღუნებდა გუნებაში ალექსანდრე. ხოლო იმ დილას, როცა ნიკო გაემგზავრა, ძმები ისე ცივად დაშორდნენ, თითქოს შემთხვევით მოხვედრილიყვნენ ერთდროულად ამ

სახლში და მხოლოდ ზრდილობა აიძულებდათ, შეემჩნიათ და მოეთმინათ ერთმანეთი.

— კარგად იყავი, ალექსანდრე. — უთხრა ნიკომ.

— კარგად, კარგად. — ჩაიბურდღუნა ალექსანდრემ და მაშინვე მამას მიუბრუნდა. — აგრონომი მავთულს თხოულობს, რაც ავზიდეთ, ორი რიგისთვის ძლივს უმყოფინებია.

— თხოულობს და აუტანე, ჩემი თქმა რად გინდა? — ხელები გაშალა პეტრემ.

— შენი თქმა არ მინდა, მაგრამ შენც ხომ უნდა იცოდე.

— უპასუხა ალექსანდრემ და პიტნის ნაყენით სავსე სირჩა მაგიდაზე დადგა.

მაგიდაზე კიდევ სამი ასეთივე სირჩა იდგა, სამივე სავსე, პირდაუკარებელი. ბროლის გრაფინის გვერდით ვერცხლის მძიმე დანები ეყარა. თეფშზე ვაშლის დაკლაკნილი ნაფცქვენი ეგდო. ნიკო ჯერ კიდევ აივანზე ტრიალებდა, თვალებაწყლიანებული ჯერ კიდევ ემშვიდობებოდა იქაურობას, როცა ალექსანდრე დუქნისკენ მიაბიჯებდა, რათა ვენახის გასამართი მავთული დროულად მიეწოდებინა ქალაქიდან ჩამოყვანილი აგრონომისთვის.

ნიკოს გამგზავრებამ ალექსანდრეს უბედურება ყველას დაავიწყა. ახლა სულ ნიკოზე იყო ლაპარაკი: როგორ მოეწყობა, საჭმელს ვინ მოუმზადებს, როგორ მოუვლის თავსაო.

ეტლი, რომელმაც ნიკო წაიყვანა, კარგად არც იყო თვალს მიფარებული, ბაბუცა უკვე წერილს რომ წერდა. „აქ ყველას უყვარხარ. ალექსანდრეს ძალიან დაწყდა გული. ვინა ყავს შენზე ახლობელიო...“ — აწრიპინებდა ბაბუცა კალამს ცრემლით დამბალ ქაღალდზე.

— კაცი რომ ოჯახს მოწყდება, გათავებულია იმისი საქმე.

ვინ იცის, ვის გადაეყრება იმ წყეულ ქალაქში. — იგესლებოდა ქაიხოსრო ბაბუცას გულის მოსაკლავად. — ახლა რაღა დროსია, გაზრდა უნდა დაგეცლიათ და ისე უნდა გაგეშვათ შინიდან — კარგი ერთი, მამაჩემო. მეტი რაღა უნდა დაგვეცლია, კალთაზე ხომ არ გამოიკერავდა დედამისი. — ეუბნებოდა პეტრე. მაგრამ ქაიხოსროს სხვა ადარდებდა, სხვა სატკივარი ჰქონდა, გაქურდული კაცივით სკდებოდა გულზე, თითქოს გაექურდათ, თითქოს შავი დღისთვის გადანახული ფული წაერთმიათ და სანამ ის უმწეო სიბრაზით იხრუკებოდა, დაუდევრად, დაუზოგავად ფლანგავდნენ ქალაქელ კახპებსა და კინტოებში.

— ნეტაი შენა! ასე როგორ უნდა გადამიბიროს ცოლმა! — არც შვილს ინდობდა ქაიხოსრო.

ალექსანდრე განზე იდგა და, თავისიანების შემყურე, გულში იცინოდა.

ნიკო არდადეგებზე ჩამოდიოდა სოფელში და მისი ყოველი ჩამოსვლა ახალ დარდსა და წუხილს უჩენდა ბაბუცას.

ყოველ ჩამოსვლაზე შვილი უფრო გამოცვლილი, უფრო გამხდარი და უფრო ფერდაკარგული ეჩვენებოდა და ახლა სულ ამაზე იყო ლაპარაკი, ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: ხომ არ შიმშილობს, ხომ არ იღლება, ან რამე უბედურება ხომ არ არის ჩვენს თავსაო.

— ნაზია და ნებიერი, — ეუბნებოდა ალექსანდრე, — აბა, ერთხელ გამოუბაროს ვენახს ძირი და მერე ნახავთ, როგორ აუღაჟღაჟდება ლოყები.

— შვილი იქამდეა დედისა, სანამ უცხო ქალის სუნს დაიკრავს. — ცეცხლზე ნავთს უსხამდა ქაიხოსრო.

ბაბუცას შვილისა და მამამთილის ნალაპარაკევი მხოლოდ აბნევდა და აღიზიანებდა. ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ ნიკოსგან, რატომ იყვნენ ორივენი დაძაბულნი და აღრენილნი, სანამ ნიკოს არდადეგები ჩამოთავდებოდა.

— შენ რომ არ იყო, საერთოდ არ ჩამოვიდოდი აქ. — ეუბნებოდა ნიკო ბაბუცას.

ბაბუცა კი ტიროდა, სანთელივით უხმოდ დნებოდა ოთახში შეკეტილი, რადგან ვერაფერი გაეგო საკუთარი ოჯახისა, ერთმანეთისთვის ახლობელი მამაკაცების სიძულვილისა და, რაკი სხვა არაფერი შეეძლო, იჯდა და იცრემლებოდა, ტირილში ეპარებოდა ნიკოს არდადეგები. მერე ფხიზლდებოდა, როცა ნიკო უკვე შორს იყო და გაუთავებელ სოფლურ ღამეებს ისევ მხურვალე ლოცვა-ვედრებაში ათენებდა.

დილით კი, ჯერ ისევ პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი, ღამის პერანგის ამარა, მაგიდასთან იჯდა და კალამს აწრიპინებდა, თავსაც ატყუებინებდა და შვილსაც: აქ ყველას უყვარხარ, სულ შენს ხსენებაში ვართ, ნეტავ სულ უსწავლელი დარჩენილიყავი, ასე თუ გაგვიჭირდებოდა უშენობაო.

ნიკო და ალექსანდრე არდადეგების დროსაც იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზაფხული ერთისთვის თუ დასვენების დრო იყო, მეორისთვის — შრომისა და ჭაპანწყვეტისა.

დილაუთენია შინიდან გასული ალექსანდრე გვიან ღამით ბრუნდებოდა და მთელი სახლი ოფლის, გახურებული მიწისა და შაბიამნის სუნით ივსებოდა. ხოლო ნიკო უმთავრესად ბაბუცას ბიბლიოთეკაში იქექებოდა, დედის ხათრით ცხვირშეჭმუხნილი სვამდა ახალმოწველილ, ქაფიან რძეს და მერე პატიმარივით დაბორიალობდა გრილსა და სანახევროდ ჩამობნელებულ ოთახებში, ადგილს ვერ პოულობდა და მხოლოდ მაშინ მიდიოდა სასეირნოდ, როცა ისევ დედა აუჩემებდა:

შინ რას უზიხარ, გაანებე მაგ წიგნებს თავი, ჰაერზე გადი, იქნებ ცოტა მოგეკიდოს მზეო. ნიკოს სოფლელებისა ერიდებოდა: ის ისვენებდა, ისინი კი შრომობდნენ. კარგ მანძილზე გასცდებოდა ხოლმე ურუქს, მზით გამოხუნებულ ბალახზე გულაღმა წვებოდა და ცას უცქეროდა. ცაში გიმნაზიის ნაცრისფერი შენობა ილანდებოდა, შავსერთუკიანი მასწავლებლები დაფუსფუსობდნენ, თეთრწინსაფრიანი, სადად თმაგადავარცხნილი გოგოები მელნიანი თითებით ფურცლავდნენ წიგნებს და დაძაბუ-

ლი გულგრილობით იგერიებდნენ ფურთხით ქოჩორგადაპრიალებული გიმნაზიელი ბიჭების დაჟინებულ მზერას. მერე ის ბიჭები ნიკოს ოთახში იყრიდნენ თავს. თუთუნის ბოლით იხრჩობოდნენ, ჩიტებივით უთავბოლოდ ისხდნენ საწოლზე, მაგიდაზე, სარკმლის რაფაზე და გაუთავებლად კამათობდნენ სიყვარულზე, ქალზე, თავისუფლებაზე, სანამ ნიკოს სახლის პატრონი, ორი ქალიშვილის, ნინოსა და ქეთევანის დედა, ქალბატონი ჯუფანა არ მოუკაკუნებდათ, დაიხრჩობით, ფანჯარა მაინც გამოაღეთო. ნიკო ცაში აძრულ მოგონებებს უღიმოდა, თვალნათლივ ხედავდა დედის ზურგს ამოფარებული გოგოების დაცქვეტილ სახეებსაც, ერთი სული რომ ჰქონდათ გაეგოთ, რა ხდებოდა ბიჭებით გავსებულ ოთახში და დედის ზურგით შეკავებულნი, დედის თავით გათიშულნი, დედის მხრებზე აქეთ-იქიდან ნიკაპდაბჯენილნი იცქირებოდნენ, სანამ მათი იდუმალი ბუნება, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუღვიძარი, ჯერ კიდევ არმცოდნე საკუთარი, ყველაფრის წამლეკავი ძალისა, ამაფორიაქებელი, თავბრუდამხვევი დაუდევრობით მოედინებოდა თუთუნის ბოლითა და ენაჩავარდნილი ბიჭებით სავსე ოთახში, როგორც გხაზე დახვედრილი ლოდით ორად გაპობილი მდინარე. „კარგი ბიჭები ხართ, მაგრათ როგორ დააჯერებ ქვეყანას რომ ყველაფერი რიგზეა სახლში, სადაც გასათხოვარი გოგოები ცხოვრობენ და სადაც ერთბაშად ამდენი ბიჭი იყრის თავსო“, — ამბობდა ქალბატონი ჯუფანა და ვერც-კი ხვდებოდა, ამით ხელს რომ უწყობდა მხოლოდ, „სხვანაირად“ ეფიქრათ ბიჭებს მის გოგოებზე. შეიძლება, ხვდებოდა კიდეც და შეგნებულად იქცეოდა ასე, ბიჭებს აფრთხილებდა, გადაკრულად ეუბნებოდა, რომ, თუ რამე გაქვთ გუნებაში, მხოლოდ და მხოლოდ, წესისა და რიგის დაცვითაო. ბიჭებიდან მარტო ნიკომ იცოდა, წესრიგის როგორი დამცველი გახლდათ ქალბატონი ჯუფანა. კვირა არ გავიდოდა ისე, ერთმანეთს რომ არ დარეოდნენ დედა და ქალიშვილები, რაც ყოველთვის ქალბატონი ჯუფანას გულის შეღონებით, ნიშადურის დამტვერილი ბოთლის ძებნით, არასოდეს რომ არ იდო თავის ადგილზე, და ნინოსა და ქეთევანის სლუკუნით მთავრდებოდა.

— ყველა ქალს თავისი ოჯახი უნდა ჰქონდეს. ერთ ოჯახში სამი ქალი უბედურებაა რომელიღაც ქვეყანაში, ერთად დახა-

ტული სამი ქალი სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავს თურმე. — შესჩიოდა სავარძელში მისვენებული, ნიშადურის მძაფრი სუნითა და ქალიშვილების მწარე სილაქებით მოსულიერებული ქალბატონი ჯუფანა ნიკოს.

ნიკოს ისინი ოჯახის წევრად თვლიდნენ და ნიკოც ნამუსს უნახავდათ, არ ყვებოდა ბიჭებში, როგორი გააფთრება იცოდა ამ მარად მომღიმარმა, მარად გაპუდრულმა, სუნამოს ნაზი სურნელით მარად გაჟღენთილმა ქალმა და მისმა ორმა, მორცხვად თავდახრილმა ქალიშვილმა. ბალახზე გულაღმა გაშოტილი, ცას მიშტერებული ნიკო, სევდიანად გრძნობდა, როგორი ახლობლები გამხდარიყვნენ ისინი მისთვის, შემაწუხებლად გრძნობდა, როგორ ენატრებოდა ისინიც, თბილისის გავარვარებული ჰაერის ჩასუნთქვაც, ქაშვეთის წინ გაჩერებაც, მთაწმინდიდან გადმოხედვაც, ტიტლიკანა ბავშვებით დახუნძლული ვირის ხიდზე გავლაც, ხიდიდან გადამხტარი ბავშვის სხეულისთვის თვალის ჩაყოლებაც, ცეცხლისფერი, მკვრივი, კუდიანი ვარსკვლავივით რომ გაიელვებდა ხოლმე ჰაერში, სანამ მტკვრის ავადმბრუნავ მორევში ჩაინთქმებოდა, წამიერი, ძნელად ასახსნელი ბედნიერების მომნიჭებელი, ალბათ, თავისი სრულყოფილი სილამაზითა და ბავშვური გამბედაობით. იწვა მზის ცხელი ტერფით გადათელილ ბალახში, მოგონებებით გავსებულ ცას მიჩერებული, გულაჩუყებული, თითქოს მთელი სამყაროს სევდა დაუფლებოდა მის სუსტსა და უმნიშვნელო არსებას, სამუდამოდ მიტოვებულს ყველასგან, სამუდამოდ ჩაკარგულს კალიებისა და ხოჭოების ფაჩუნში, წრიპინში, კუთვაში, მარადიულ ზაფხულში, ბოლისფერი ვენახებით შემოსაზღვრულ სივრცეში, პაპის, მამისა და ძმის ოფლით გაპოხიერებულ მიწაზე, რომლისთვისაც მარტო ის იყო უცხო და ზედმეტი, ქალაქის მტვერნაყლაპი, მის მიჯნებს გამცდარი, მის ბნელ, ოფლიან ნაოჭებში ჩაუხედავი და მარტო წიგნებიდან ამოკენკილი ცოდნის ამარა დარჩენილი. ის აქ უცხოც იყო და ზედმეტიც, მის დანახვაზე სოფლელები სამუშაოს თავს ანებებდნენ, თითქოს ნიკო მაინც ვერ მიხვდებოდა, ვერ ჩაწვდებოდა მათი საქმიანობის აზრსა და მიზანს; რამეს თუ მოკიდებდა ხელს, ცული იყო თუ სასხლავი, მაშინვე ღიმილით ჩამოართმევდნენ ხოლმე, თითქოს თავს დაიშავებდა, ცულს ფეხში ჩაირტყამდა ანდა სას-

ხლავით თითებს მოიწეწკავდა. ასე თავაზიანი მასპინძელი სტუმრის ბავშვს საოჯახო რელიკვიის მაგივრად ვაშლსა და ჩურჩხელას ჩაუდებს ხოლმე ხელში, რადგან თავად იმ რელიკვიას თვალისჩინივით უფრთხილდება, ბავშვს კი, მხოლოდ და მხოლოდ, თავისი ბავშვური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჭირდება იგი.

ნიკოსაც ასე ექცეოდნენ, ყველგან და ყოველთვის დაჯდომასა და ცივ წყალს სთავაზობდნენ, როცა თვითონ არც დასაჯდომი დრო ჰქონდათ და არც წყურვილის მოსაკლავი. ნიკოც გრძნობდა, ხელს რომ უშლიდა, განებივრებული ლეკვივით ფეხებში რომ ებლანდებოდა ყველას, გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი, თვალშისაცემად გამოკვეთილი, გამოცალკავებული ზაფხულის ხვატით ჩახუთული ვენახების, სახედაღარული, შაოსანი დედაკაცებისა და მოღუშული, მიწასთან ჭიდილში დუმილს მიჩვეული კაცების გვერდით. შესცქეროდა მათ გაოფლილ ბეჭებს, მტვრით გადათეთრებულ, ჯიუტად მოკუზულ ტუჩებს და დარწმუნებული იყო, ვერასოდეს წამოაცდევინებდა საიდუმლოს, რაც მათ მიწისგან გაეგოთ და რაც არც ერთ წიგნში არ ეწერა. „რა ხდება ქვეყანაზეო“, — უინტერესოდ, სხვათა შორის, ზრდილობისთვის ეკითხებოდნენ ისინი ნიკოს, რამე რომ ეკითხათ, მთლად ლენჩად და მთლად უცხოდ რომ არ გამოეყვანათ იგი, რადგან ქვეყანა, საიდანაც ნიკო მოვლენოდათ, თითქოს არც არსებობდა მათთვის,— ან თუ არსებობდა, მადლობელები იქნებოდნენ, საერთოდ თუ გაანებებდათ თავს, არ ჩაერეოდა მათ საქმეებში, არ ჩაითრევდა ომებსა და ამბოხებებში, არ აიძულებდათ გაზეთებისა და პროკლამაციების კითხვას, დააცლიდათ ერთი ხელი საცვლის გაცვეთას, მშვიდად შეაჭმევდათ ერთ ჯამ შეჭამანდს და მშვიდად ჩაიყვანდათ გლეხურ, ბარაქიან საფლავებში. ნიკოსაც უჭირდა, ნიკოსაც ეუხერხულებოდა მათთან ლაპარაკი, რადგან — რაც მან იცოდა, იმათ არ აინტერესებდათ, ხოლო რაც იმათ აინტერესებდათ, თვითონ არაფერი გაეგებოდა იმისი. „რაღაც უნდა მოხდეს, არ შეიძლება ასე. — ელაპარაკებოდათ ნიკო, უხმოდ, პირის გაუხსნელად, გუნებაში. — თქვენ ხომ ისიც არ იცით, რომ აღარა ხართ, აღარ ითვლებით სათვალავში.

აღარც ეს მიწა არსებობს. ზედ კი არ დგეხართ, გეჩვენებათ, კი არ გრძნობთ — გახსოვთ, როგორც ჩემს ძმას — მოკვეთილი მკლავი, და ეს მახსოვრობა გაბრიყვებთ, მახსოვრობა გაღვრევინებთ ოფლს, მიწაზე კი არა, არარაობის უძირო ორმოში და, ამიტომაც, თქვენი ჭაპანწყვეტაც ისეთივე უაზრო და უნაყოფო იქნება ყოველთვის, როგორც დასიზმრებულ ქალთან შეუღლება. ნიკო ვერც საკუთარ სახლში გრძნობდა თავს თავისუფლად.

ბაბუცასა და აღათიას გადამეტებული ყურადღება უფრო აჩენდა მის სიუცხოვეს, ისე დაჰფოფინებდნენ თავზე, თითქოს საპატიო სტუმარი იყო და არა მათი კანონიერი მკვიდრი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ალექსანდრე შეგნებულად არიდებდა თავს (ყველაზე მეტად ეს აწუხებდა ნიკოს), ხოლო ანეტას სიმორცხვის გრძნობა უშლიდა, ძველებურად რომ ჩაესვა მისთვის კალთაში უკვე საკმაოდ შელახული ასკლიპიოდოტა და მოეყოლა, კიდევ რა სისულელე ჩაედინა, რა საოცარი და სასაცილო ამბავი გადახდომოდა თავს ამ თვალხუჭუნა თოჯინას. გარდა ამისა, ანეტას ძმებისაგან განსხვავებული ბუნება აიძულებდა, უფრო თავდაჭერილი ყოფილიყო, განსაკუთრებით კაცებთან, ძმებად ეკუთვნოდნენ ისინი თუ მტრებად. მამამისს ერთი ფეხი ალაზნის გაღმა ჰქონდა, მეორე კი — ალაზნის გამოღმა, სოფელ-სოფელ დაძრწოდა და წინასწარ, მოსავლის შემოსვლამდე იბევებდა გლეხებს, რათა ქალაქელ სირაჯებს მხოლოდ მასთან ჰქონოდათ საქმე. „ბედნიერი კაცი ხარ, ნასწავლი შვილი გყავსო“, — ეუბნებოდნენ ურუქელები პეტრეს და იმასაც ეამაყებოდა, მაგრამ შვილის ნასწავლობიდან სახეიროს ჯერ ვერაფერს ხედავდა. ქაიხოსრო დილიდან საღამომდე სავარძელში იჯდა და ჯიუტად მისჩერებოდა კარადისხელა საათის ციფერბლატს, თითქოს ეშინოდა, არ გამოპარვოდა ნიკოს წასვლის დრო. ერთადერთი, ვისი დანახვაც უხაროდა, ვისაც მისი გამოცოცხლება შეეძლო, ზოსიმე მღვდელი იყო. გავიდოდნენ აივანზე, გაიყოლებდნენ ხელადით ღვინოს და საღამომდე ლაპარაკობდნენ თავიანთთვის, — ცუდია, ღმერთის რწმენა რომ დაკარგა ხალხმა. — ვინ იცის, მერამდენედ ამბობდა ზოსიმე მღვდელი.

— ღმერთისა თუ მღვდლისა? — ვინ იცის, მერამდენედ უგებდა ნიშნს ქაიხოსრო თავის სიყრმის მეგობარს.

— თუნდაც მღვდლისა. — ახალგაზრდულად ცხარობდა ზოსიმე მღვდელი. — ჩვენა, ძმაოსავ, გორგასლანისთვის ჩაგვიმტვრევია კბილები.

სოფლის ეზო-შუკებში ცაცხვისა და აკაციის ხეები ყვაოდნენ და მათი მძაფრი სურნელით გასქელებული ჰაერი თითქოს დროის დინებასაც აფერხებდა. შავი თუთით დალაქავებული ეზოები ჩახურებული თონეებივით ბუბუნებდნენ. აქეთ-იქიდან ლობიოსა თუ გოგრის ყეყეჩი, სარის სიმაღლიდან დანახული ქვეყნის სილამაზით პირდაბჩენილი ყვავილები იჭყიტებოდნენ. წყაროს ნავში დამსხვრეული დოქის ყური ათასნაირად ლივლივებდა. ცარიელ, გადათეთრებულ შარაზე ბატები მისუსულობდნენ. გამოღებული განჯინებიდან შვების მომგვრელი სიგრილე და დაძველებული ნივთების სუნი ამოდიოდა.

სიცხისაგან გაბრუებული ქათმები ნელა, თავაწეულნი დაბიჯებდნენ დაბზარულ ფილაქანზე, როგორც მცველები — მძინარე მზეთუნახავის სასახლეში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩამოთავდებოდა ხოლმე ზაფხული, ერთ დღეს სხვანაირ ხმაზე შეიშრიალებდნენ ცაცხვები და ბუდიდან გადმოგდებული ბარტყივით ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდოდა თავქვე პირველი ყვითელი ფოთოლი.

— მივდივარ, ძმაო, — ბოლო წუთას მაინც ვერ ერეოდა თავს ნიკო და მავედრებელი, თანაგრძნობის მაძიებელი თვალებით შეაჩერდებოდა ხოლმე სხვებთან ერთად მის გასაცილებლად გამოსულ ალექსანდრეს, იქნება ახლა მაინც მითხრას რამე, იქნება ახლა მაინც დამანახოს გულიო.

— ეგრეა. სოფელი ჭუჭყიანია, რა თქვენი საკადრისია. — ეუბნებოდა ალექსანდრე.

მერე, ეტლი რომ დაიძვრებოდა, ერთს გადააფურთხებდა და ვერ გაიგებდით, მტვერს აფურთხებდა თუ იმ მტვერში გაუჩინარებულ ძმას. დედამისი კი, უკვე მაგიდასთან იჯდა, ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდდა და ცრემლისაგან გაბლანდული, დაბინდული თვალებით ძლივს არჩევდა საკუთარ ნაწერს.

„შვილო ნიკო, — წრიპინებდა კალამი. — აქ ყველას უყვარხარ, ალექსანდრემაც რა ქნას, შვილო, უბედური ყოფილა, ნაადრევად ეტკინა გული. ღმერთს მაინც მადლობა ვუთხრათ, სულ რომ არ წაგვართვა მისი თავი, სულ რომ არ დაგვიქცია ოჯახი. შენც უნდა გაუგო, შვილო. სიყვარული გაგებაა“. — წრიპინებდა, ჩქარობდა კალამი, რადგან ალექსანდრეს რომ შემოესწრო შემთხვევით, ცხვირს დაატეხინებდა ფურცელზე. ნიკოც წერდა დედას წერილებს, მაგრამ უფრო იშვიათად, დროის უქონლობას უჩიოდა, სამაგიეროდ, ყოველ წერილში ყველას ცალ-ცალკე უთვლიდა კოცნასა და მოკითხვას, პაპით დაწყებული და ასკლიპიოდოტათი გათავებული.

ბაბუცას შვილის წერილები ვარდისფერი ზონარით ჰქონდა შეკრული (ის ზონარი თოჯინის ყუთში იპოვა და დაენანა გადასაგდებად) და ახალი წერილი რომ მოუვიდოდა, ყველას ერთად გამოიტანდა ხოლმე დიდ ოთახში, სადაც ადრე გმირებისა და მზეთუნახავების თავგადასავლებს უკითხავდა ბავშვებს სულშიჩამწვდომი, ათრთოლებული ხმით. ახლა შვილის წერილებს კითხულობდა ხმამაღლა, თანამიმდევრულად, პირველიდან ახლახანს მიღებულ წერილამდე და კითხვისას მხოლოდ იმას თუ შეხედავდა ერთი წამით, ვისთვისაც მოკითხვის გადაცემას თხოვდა შვილი. ეს წერილები, უკანასკნელის გარდა, თუმცა არც უკანასკნელი გამოირჩეოდა ბევრად თავისი წინამორბედებისაგან, ყველას ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს გულისყურით უსმენდნენ ბაბუცას, ბაბუცასი კი არ ეშინოდათ, მისი გულუბრყვილო, გამასაცოღდავებელი აღტაცება უბორკავდათ უნებურად ხელ-ფეხს. მაგრამ ხანდახან მაინც ირღვეოდა ეს მოგონილი თანხმობა, და სიმყუდროვე.

— რაო, იმ მამაძაღლმა? სანამ არ აძმარდება, იქამდე არ აპირებს ღვინოების წაღებას? — გასძახებდა ხოლმე პეტრე ალექსანდრეს.

— ამ დღეებში წაიღებს, — მოკლედ პასუხობდა ალექსანდრე, მაგრამ ეს წუთიერი უყურადღებობაც საკმარისი იყო, ბაბუცას გუნება რომ მოშხამვოდა, კითხვის ხალისი რომ დაკარგვოდა და ცრემლით ამოვსებოდა თვალები.

ამაოდ იღვწოდა, ამაოდ ცდილობდა ბაბუცა სიყვარულის გაღვივებას სიძულვილის ბუნაგში და ერთხელ კიდევ გაბითურებული, შემცბარი და დაბნეული, ჩუმად, ტუჩების ცმაცუნით აგრძელებდა კითხვას, უფრო ტირილის შესაკავებლად, და ცოტა ხნის მერე წერილებიანად გადიოდა ოთახიდან.

ასე ცხოვრობდნენ მაკაბელები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, ნიკოს წერილები აკავშირებდათ მხოლოდ გარე სამყაროსთან. თვითონ არაფერში ერეოდნენ, პირადად მათ არავინ აბიჯებდათ ფეხს, არავინ ართმევდათ სახლსა და ვენახს და, ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც არაფერი ხდებოდა ისეთი, მათი მყუდროება რომ დაერღვია. ნიკოც თავდაჭერილად, სხვათაშორის იწერებოდა ქვეყნის ამბებს, მაგრამ შიგადაშიგ ისეთ სიტყვებს გამოურევდა ხოლმე, ბაბუცასაც უჭირდა მათი ერთბაშად ამოკითხვა. ის სიტყვები, თავიანთი სიუცხოვითა და სირთულით, ანეტას თოჯინის სახელს აგონებდათ, მაგრამ ბაბუცას ისინიც მოსწონდა, იმათაც თრთოლვითა და მღელვარებით კითხულობდა, რადგან ისინიც ნიკოს დაწერილი იყო.

— ჯერ სადღა ხართ, — ამბობდა ქაიხოსრო. — რაც უფრო ნასწავლია კაცი, მით უფრო უჭირს ადამიანურად ლაპარაკი. შემდეგ ჩამოსვლაზე ხელებით თუ გაგვაგებინებს რამეს, იმაზედაც მადლობა ვთქვათ.

ბაბუცა კი, სასოებითა და ნეტარი მღელვარებით დასცქეროდა უცხო სიტყვებს, როგორც უიმისოდ, მისგან შორს, სხვა ქვეყანაში დაბადებული შვილიშვილების სურათებს და შვილიშვილების სახელებივით, სათუთი სიამაყით იმეორებდა გუნებაში: ამნისტია... მანიფესტაცია... პროკლამაცია... რევოლუციაო, და ეს სიტყვები თანდათან ახლობელნი ხდებოდნენ მისთვის, ახალ, მხოლოდ ბაბუცასთვის გასაგებ მნიშვნელობას იძენდნენ და სამუდამოდ იმკვიდრებდნენ ადგილს მის სულში, ბაბუცასთვის ასევე ძვირფასი სახელების გვერდით, — თუმცა ეჭვადაც არ იცოდა, ეს სიტყვები მთელ ქვეყანას რომ ეკერა პირზე, მთელ ქვეყანაზე რომ დაძრწოდნენ ისინი, როგორც გამოქცეული, შურისმაძიებელი კატორღელები. ქვეყანაზე მართლაც დიდი ამბები ხდებოდა. და აი, ერთ დღეს თბილისიდან თავზარდამცემი ამბავი ჩამოიტანა ვიღაცამ: ნიკო ხელმწიფის საწინა-

აღმდეგო საქმეში გარეულა და დაუჭერიათო. ბაბუცა ძლივს მოაბრუნეს. აღათია გალურჯებულ ხელებს უსრესავდა, პეტრეს მთელი ღამე ეჭირა მის ცხვირთან ნიშადურის ბოთლი.

— ტყუილი იქნება, ჩემს შვილს რა უნდა ჰქონოდა ხელმწიფის საწინააღმდეგო. — იძახდა პეტრე. — ჰა? რას იტყვი, ადამიანო? — მიუბრუნდებოდა ხოლმე სავარძელში ჩასვენებულ ქაიხოსროს. — როგორ მოვიქცეთ?

— უკვე დიდიაო, თქვენ არ იძახდით?! — მხრებს იჩეჩავდა ქაიხოსრო, — ხოდა, თვითონ მიხედოს თავის თავს.

— უღმერთოვ! უსვინდისო! — იყვირა ბაბუცამ.

იმ ღამეს, თავის სიცოცხლეში პირველად, უყვირა ბაბუცამ მამამთილს, მაგრამ ეს წამიერი თავშეუკავებლობა აუცილებელი იყო მისი გაოგნებული არსებისთვის, თუკი სიცოცხლე უნდოდა, ბაბუცას კი, სწორედ ახლა უნდოდა სიცოცხლე:

შვილის უდანაშაულობა უნდა დაემტკიცებინა და, რაც მთავარია, შვილი უნდა ენახა, ერთხელ მაინც.

— ხელმწიფემდე მივალ, მაგრამ ჩემს ავისმსურველს მაინც ვიპოვი. — მტკიცედ განაცხადა ბაბუცამ, თითქოს ვიღაცას დაემუქრა, ვიღაცას კი რა, ყველას, პირველ რიგში თავისიანებს.

მერე ოთახიდან გავიდა, მაგრამ თითქმის მაშინვე შემობრუნდა. ერთ ხელში მამისეული ხმალი ეჭირა, მეორეში — შვინდისფერ ბაბთაზე მკვდარი მწერივით დასვენებული ჯვარი. — აი, — შეჰყვირა. თვალები უბრწყინავდა. თმა ასწეწოდა. ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, მეამბოხესავით ფერმკრთალი და აღგზნებული. — აი! ხელმწიფის ნაჩუქარია... მამაჩემის დამსახურებული.. უპატრონო არ გეგონოთ ვინმეს. — უცებ ნებისყოფამ უმტყუნა, თითქოს წინასწარ მომზადებული სიტყვები დაავიწყდა, მკლავები ჩამოუცვივდა და აქვითინებული გულმკერდზე მიეხუტა აღათიას. — შვილი დამიღუპეს, აღათია...

შურიანმა ხალხმა დამღუპა, აღათია... კარგი რომ იყო, იმიტომ... ყველანი რომ ვუყვარდით... — სლუკუნებდა იგი.

ხმალი ჟღრიალით დავარდა იატაკზე.

იმ ღამეს, ქაიხოსროს გარდა, არავის დაუძინია. სანამ ანა და აღათია ქათმებს გაპუტავდნენ და ცომს მოზელავდნენ, გიორგამ თონე ჩაახურა. სოფელი უკვე კარგა ხნის ჩაძინებული იყო, ისინი კი, თონის ამონაშუქით განათებულნი, უზარმაზარ ლანდებგამობმულნი, ეზოში დაბორიალობდნენ, გეგონებოდათ, მაკაბელებისას ალქაჯებს თავყრილობა გაუმართავთო.

ბაბუცა მთელი ღამე ნიკოზე ლაპარაკობდა.

— მოკიდე ხელი და წამოიყვანე. ერთი დღეც აღარ გააჩერო. ჩემი თავი დააფიცე. უთხარი, ცუდად არის-თქო. შენი ნახვა უნდა-თქო. — გაუთავებლად არიგებდა ქმარს.

მართლა ცუდად იყო, სიცხე ალაპარაკებდა, მაგრამ თვითონ ვერ გრძნობდა, არ იცოდა, თავისთვის არ ეცალა, შვილის ბედით იყო შეპყრობილი.

— დამაძინე, ადამიანო, მეც ცოდო ვარ. — შფოთავდა პეტრე. დილით პეტრე თბილისში გაემგზავრა. დარწმუნებული იყო, ნიკო ადგილზე დაუხვდებოდა და ყველაფერი მტრების მონაჭორი აღმოჩნდებოდა. მაგრამ პეტრემ, რაც ურუქშიაც იცოდა, იმაზე მეტი ვერც თბილისში შეიტყო, ოღონდ, რაც ურუქში მუქთად გაიგო, იმის დადასტურება თბილისში თუმანი დაუჯდა, გზის ფულის გარდა. „რაში აიღო თუმანი, იმ კრუხის პალომ, იმ შაშიბეშამო“. — მერე სკდებოდა გულზე პეტრე. ჟანდარმერიის ჩინოვნიკს სათვალე კეთებია, თითები და ქვედა ტუჩი მელანში ჰქონია ამოსვრილი და პეტრე, რატომღაც, ნდობით გამსჭვალულა მის მიმართ. იმას კი, თუმნად დავთარი უჩვენებია პეტრესთვის, სადაც შავით თეთრზე წერებულა, რომ ტერორისტი ნიკო პეტრეს-ძე მაკაბელი დაუჭერიათ, გაუსამართლებიათ და უკვე გაუციმბირებიათ კიდეც. პეტრემ შვილისთვის წაღებულ ძღვენს შვილის ნივთებიც ჩამოაყოლა, ზეწარში გამოკრული. „ღვთის გულისათვის, მომაშორეთ. ქალიშვილების პატრონი

ვარ. შვილი იქამდე უნდა მოიკითხოთ, სანამ ციხეში ამოყოფს თავსო“, — უთქვამს ნიკოს სახლის პატრონს, ქალბატონ ჯუფანას. „დასწყევლოს ღმერთმა. გათხიპნილი ჰქონდა სახე. ისეთი სუნი ასდიოდა, ლაპარაკისას ცხვირი განზე მიმქონდაო“, — ყვებოდა პეტრე.

— შვილის ამბავი თქვი, უბედურო! — უყვირა ბაბუცამ.

— ყუმბარა უსვრია გენერლისთვის, გენერალი მოუკლავს.

— თქვა პეტრემ.

ბაბუცას აღარაფერი უკითხავს, ნიკოს ნივთები ზეწრიანად თავის ოთახში გაიტანა და ჩაწვა. აღარც წამომდგარა, სანამ ნიკოს წერილი მოუვიდოდა. ზეწარში ორიოდე წიგნი, ქაღალდის საჭრელი, ხისპირიანი დანა, რკინის სასაპნე, წითელყვავილებიანი ფინჯანი, თავისივე ლამბაქით, ვერცხლის პატარა ყუთი, რომელშიაც ქალის, კიდეებშემოქარგული ცხვირსახოცი და, ალბათ, იმავე ქალის შეჭრილი კულული იდო, მაღალყელიანი შავი ფეხსაცმელი და ძველი, იდაყვებგადაქექილი სერთუკი იყო გამოხვეული, რომლის ჯიბეშიაც ბაბუცამ ვიღაცის ოთხად გაკეცილი სურათი იპოვა, როცა, ვინ იცის მერამდენედ, სინჯავდა და ეფერებოდა ნიკოს ხელშენავლებ ნივთებს.

სურათზე, მკვეთრად რომ ეტყობოდა განაკეცები, მაღალშუბლიანი, დიდთმიანი და დიდწვერიანი კაცის სახე იყო აღბეჭდილი. „ღმერთსა ჰგავსო“, — ერთი კი გაიფიქრა ბაბუცამ, მაგრამ ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის სურათი, მისთვის მაინც ძვირფასი იქნებოდა, რაკი ნიკოს ასე სათუთად შეენახა სერთუკის ჯიბეში.

ის სურათი ჩარჩოში ჩაასმევინა და ხატებთან ჩამოაკიდებინა აღათიას.

— ღმერთმანი, ცხონებული ბაბუაშენია. — იძახდა სურათის წინ გაჩერებული, დოინჯშემოყრილი აღათია, უფრო იმიტომ, ბაბუცასთვის რომ ესიამოვნებინა.

მერე ნიკოს წერილი მოვიდა და ცოტა გამოიდარა მაკაბელების ჭერქვეშ. მღელვარებისგან ხმაწართმეული, ქალიშვილივით სახეშეფაკლული ბაბუცა წერილს რომ ჩაათავებდა, თავიდან იწყებდა კითხვას, მაგრამ ისე უხაროდა ნიკოს ნაწერის წაკითხვა, აზრი ვერ გამოჰქონდა. მაინც სიამოვნებდა, მაინც აფორიაქებდა, როგორც ჩვილის უთავბოლო ღუღუნი.

ხანდახან გაკვირვებული მიუბრუნდებოდა ხოლმე მსმენელებს: გამაგებინეთ ერთი, ნიორი რად უნდაო. ძველებური სიმშვიდისა და სიდარბაისლის ნატამალიც აღარ შერჩენოდა. გოგოსავით იყო ატაცებული, პირველად რომ შემოუთვლიან სიყვარულს.

— ალბათ, ხაშს აჭმევენ იქ და უნივროდ აბა რა გემო უნდა ჩააყოლოს. — იცინოდა ალექსანდრე.

— ძმაა, ბიჭო, ძმა! — ჯერ კიდევ იღიმებოდა ბაბუცა, ბედნიერებისგან მოტეხილი, დაუძლურებული.

ამაოდ ცდილობდა, არ გაეგონა, არ შეემჩნია ალექსანდრეს პირიდან ამოსული გესლი. უნდოდა, დღეს მაინც ყოფილიყვნენ ყველანი სუფთები და ლამაზები, როგორც დღესასწაულს შეეფერება, მაგრამ დღესასწაული მხოლოდ მაშინაა დღესასწაული, როცა სხვებიც დღესასწაულად თვლიან. მარტო კაცს დღესასწაულიც არ გააჩნია, ხოლო გაუზიარებელი ბედნიერება გაზიარებულ უბედურებაზე მწარეა, ეს ბაბუცამაც იგრძნო და ტირილი აუვარდა, ნიკოს წერილი მიიფარა პირზე, თითქოს კოცნისო, — რა სჭირს სატირალი ცოცხალ ადამიანს? აგე, საცვლები და ნიორიო, აკი თვითონვე იწერება? — ამშვიდებდა აღათია. — მეც მაგიტომ ვტირი, ჩემო აღათია, ბაბუცამ და ცხვირსახოცით ლოყები შეიმშრალა. — კარგი ამბავი რომ იყოს მის თავს, ნიორს როგორ მოინატრებდა.

ის იყო და ის, იმ დღის მერე ბაბუცა აღარ ამდგარა. საღამოს დიდი სიცხე მისცა, შფოთავდა, საბანს იშორებდა, ყრუდ, გადაბმულად, სულის მოუთქმელად ახველებდა, მერე, ბალიშებზე გადასვენებული, გაუბედავად, ძლივსშესამჩნევად სუნთქავ-

და. ბნელაო, რატომ ბნელაო, — ჩიოდა უნდილად, უხერხემ-ლოდ.

მერე ისევ წამოახურებდა და მღეროდა, სუსტი, მიკნავებუ-ლი ხმით. აღათია, აღათიაო, — შეშფოთებული დაიძახებდა უცებ, მაგრამ აღათია ხელს რომ დაუჭერდა, მომშორდი, შე კუ-დიანოო, — უყვიროდა გაანჩხლებული, სახეშეშლილი:

— ხომ არ გგონია, მამაჩემმა აქ დამტოვოს... სულ ლუკმა-ლუკმა აგკუწავთ სუყველასაო დილით გულისპირი სისხლში ჰქონდა მოსვრილი. შემკრთალი და დარცხვენილი უყურებდა აღათიას. საღამოს ისევ აუწია სიცხემ, ისევ აღებინა სისხლი, ისევ მღეროდა, ისევ უხეთქავდა გულს აღათიას უაზრო და უთავბოლო ლაპარაკით: რა მოიგე ჩემი მოტაცებითო... ვინ იცის, მამაჩემი დამეძებს, მე კი ლოგინში ვკოტრიალობო... შე უბედურო, ბაბუაჩემს რომ მიამსგავსე ღმერთი, ჯოჯოხეთის მა-ინც არ გეშინიაო... — ბოდავდა საწყალი. მერე ანეტა შემოაყვა-ნინა აღათიას. დიდხანს, ხმისამოუღებლად უყურა ნამძინარევ, სიცივისგან აბუზულ გოგოს და ცრემლმა თვალები რომ აუჭრე-ლა, კედლისკენ გადაბრუნდა. მთელი თვე მაკაბელების სახ-ლის აივანზე ბაბუცას ზეწრები, ბალიშისპირები და პერანგები ეკიდა, გაშრობას ვერ ასწრებდნენ, ოფლად იღვრებოდა ავად-მყოფი. მთელი თვე ცაცხვების ძირას იდგა ექიმ ჯანდიერის ორ-თვლიანი ეტლი, მაგრამ ესკულაპე უმწეო იყო, სწრაფი ჭლექი დაუნდობლად, ხანძრის მძვინვარებით ანადგურებდა ბაბუცას სიცოცხლეს. ექიმმა ჯანდიერმა კარგად იცოდა ამ სენის ვერა-გობა და იმასღა ცდილობდა, ავადმყოფი გამოეცალკევებინა ოჯახის სხვა წევრებისგან, რამაც ყველაზე მეტად ქაიხოსრო დააფრთხო, გამოუხარშავი ჭიქიდან წყალს აღარ სვამდა, გა-რეთ ჭამდა და ის ერთი თვე ზოსიმე მღვდელთან ეძინა. ანეტას სანახევროდ გამოღებული კარიდან შემოაჭყიტებდნენ ხოლმე დედის ოთახში და თვალებადქცეული, მიტკლისფერი და სევ-დიანად მომღიმარი დედის დანახვაზე ანეტას ტუჩები ებრიცე-ბოდა, თუმცა თვითონაც გაღიმებას ცდილობდა და ბავშვური სიკერპით იკავებდა ყელში მობჯენილ ცრემლს.

— ბევრს კი არ გთხოვთ, ექიმო, აი, ნიკოს ჩამოსვლამდე... — ეუბნებოდა შემკრთალი და დარცხვენილი ბაბუცა ექიმ ჯანდი-

ერს.

— ყველაფერი კარგად იქნება. ნუ გეშინიათ. — უსვინდისოდ ატყუებდა ექიმი ჯანდიერი.

ბაბუცა ექიმის მადლიერი მოკვდა, რადგან ერთი წუთითაც არ დაჰკარგვია რწმენა, ნიკოს ნახვას რომ ეღირსებოდა.

მშვიდად, უხმაუროდ მიიცვალა, ჩიტივით. მისი ლოგინი და ტანსაცმელი იმავე დღეს დაწვეს ეზოში, გომურის უკან. ალექსანდრე ის დღეები სულ მთვრალი დადიოდა, ჩახმახივით იყო შემართული საჩხუბრად, ხარივით უბრიალებდა თვალებს სამძიმარზე მოსულ ხალხს. ნიკოს წერილმა, რომელიც სასწაულად ბაბუცას გარდაცვალების მეორე დღესვე მოვიდა, უარესად გააცეცხლა. ისიც ცეცხლში ჩააგდო, სადაც დედამისის ლოგინი და ტანსაცმელი იწვოდა. „დედაჩემს რა მოუვიდაო“, — იწერებოდა ნიკო. მეტი არაფერი, არც სალამი და არც მოკითხვა ერთადერთი წინადადება ეწერა მხოლოდ კომშივით გამოყვითლებულ ქაღალდზე: გამაგებინეთ, რა მოუვიდა დედაჩემს. ტანმა უგრძნო, ალბათ, სიზმარმა აუწყა, ალბათ, დედამისის ამბავი. ასე იცის დიდმა სიყვარულმა, არც გზა არსებობს მისთვის და არც კედელი. ცაში ჰკიდია, ვარსკვლავივით, და ციდან ატყობინებს შეყვარებულებს ერთმანეთის ამბავს. — დედაჩემი ჩემს ძმას გადაჰყვა. — ბობოქრობდა ალექსანდრე და ერთადერთ ხელს ავად ასავსავებდა ჰაერში, — მე არ ვიყავი, მე არ ვარსებობდი მისთვის. არა, როგორ არ ვარსებობდი. ჩემს დანახვაზე გული მისდიოდა, თითქოს... თითქოს... — სიბრაზისგან ენა ებმოდა, უნდოდა, რამე საშინელი სიბილწე ეთქვა და ვერ მოეგონებინა. — ცალხელა რომ ვარ, იმიტომ, უწიგნური, გლეხაჭუა.

დაკრძალვის დღეს, როცა ზოსიმე მღვდელმა კუბოსაც და პირდაღებულ საფლავსაც ჯვარი გადასწერა და ჭირისუფლები გვერდზე გაიყვანეს, ალექსანდრემ კუბოსთან დაიჩოქა, მესაფლავეებს, მობოშებული თოკებით რომ იდგნენ კუბოს აქეთ-იქით, კუბო ხელახლა აახდევინა, მერე ზედ გადაემხო, ჯოხივით დაიბჯინა მარჯვენა და დედის გაცრეცილ შუბლს დაეკონა.

ხალხმა ამოიზმუვლა. ალექსანდრე წამოდგა, მუხლისთავები ჩამოიბერტყა და მისი საქციელით შეჩოჩქოლებული ხალხი წინ გაშვერილი ხელით გააპო, თითქოს მხარზე გადებული მორი მოჰქონდა; თავაწეულმა, ყბებდაჭიმულმა გაიარა ხალხში. უკვე იცოდა, სადაც წავიდოდა აქედანვე, სასაფლაოდან, დედის კუბოდან.

8

კაცი თავისავე გაკეთებულ სკამზე იჯდა კვიპაროსების ძირას. შეიძლება, თვლემდა კიდეც, რადგან მესამე დაძახებაზე გამოიხედა მხოლოდ. დაბნეული, გაოგნებული იყურებოდა.

— ხო, შენ გეუბნები. — დაუძახა ალექსანდრემ. ღობესავეთ დაწნულ, დაბალ ჭიშკართან იდგა. — მარო სად არის?

— მარო? რომელი ხარ? — გამოერკვა კაცი.

— მეასე, მეათასე, მემილიონე. უკანასკნელი! მარო... მარო მინდა! — დაუყვირა ალექსანდრემ.

— რა თავს იგდებ, ვიღაცა ხარ? — გაწყრა კვიპაროსების ძირას მჯდომი.

ალექსანდრემ ჭიშკარი მუხლით შეაღო, კაცთან მივიდა და გამეტებით შემოჰკრა სახეში. კაცი სკამზე გადაქანდა, ხელები მოაფათურა ჰაერში, საყრდენს დაუწყო ძებნა. უკან გადაწეული გაირინდა და ქვემოდან ამოხედა გამოთიშული თვალებით.

— აი, თუ თავს ვიგდებ. აი, თუ თავს ვიგდებ. სად არის-მეთქი მარო? — დაჰყვირა ალექსანდრემ.

— მარო ტყეშია... რა გინდა, ადამიანო, ვინ ოხერი ხარ? — ერთდროულად შეკრთა და გაბრაზდა კიდეც კაცი. ხელები სახის წინ ეჭირა. თითები უცახცახებდა.

— ხომ არ გგონია, შეგრჩეს. კარგი იყო, მაროს ჩაქუჩი რომ ესროლე? — უთხრა ალექსანდრემ. ღვინო უკვე თითქმის გამონელებოდა, კეფა სტკიოდა, გამომშრალი პირი აწუხებდა, სასაზე სქელი, წებოვანი, ძნელად ჩასაყლაპი ნერწყვი აჰკვროდა. — ხომ არ გგონია, ჰა? — გაიმეორა და კვიპაროსს მიეყრდნო მხრით. კვიპაროსს გამომშრალი, დაფშხვნილი, მტვრადქცეული მოწითალო კანი ჩამოსცვივდა; კაცი ადგომას ვერ ბედავდა, ისევ სკამზე იჯდა და ქვემოდან აჰყურებდა დაბნეული, განაწყენებული. ლოყა უხურდა, უბჟუოდა, თითქოს რაღაცა გადაუწეპებიათო ზედ. ხელს მაინც არ ისვამდა ლოყაზე, რატომღაც რცხვენოდა ტკივილის გამომჟღავნებისა. იჯდა და აჰყურებდა ქვემოდან.

— მამილო. — მიესიყვარულა ალექსანდრე. ხის სიახლოვემ დაამშვიდა.

— ვის ურტყამ, შე მამაძაღლო, შენა. — გათამამდა კაცი.

— რაც იყო-იყო, შევრიგდეთ. მე და მაროს ერთ ლოგინში გვძინებია. — უსიამოდ, თითქოს ნაძალადევად გაიღიმა ალექსანდრემ.

— გადადი ეზოდან, სანამ ხალხისთვის დამიძახნია. — უარესად გათამამდა კაცი, თუმცა ჯერ ისევ დაძაბული, ყურადღებად ქცეული იჯდა სკამზე.

ალექსანდრემ თავი შეატრიალა და კვიპაროსის ტანს უსუნა, კაცის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თითქოს არც არაფერი უთქვამს კაცს. ისევ: უსუნა ხეს ღონივრად, ლოყები შეუცვივდა, თვალები დახუჭა და ასე გაირინდა, თვალდახუჭული, ხეზე თავმიდებული. მზის მუქი ედგა სახეზე და ოდნავ უხამხამებდა ქუთუთოები. კაცს ახლა უფრო შეეშინდა მისი, სიკვდილის მოციქულივით დასდგომოდა თავზე ეს ცალხელა ახმახი, სიკვდილივით გადაფითრებული, უჩუმარი და დაუნდობელი, ეშმაკმა იცის, რა ფიქრები უტრიალებდა თავში, რას მოიმოქმედებდა მისი საზარელი მკლავი, ლამის მიწამდე რომ ეთრეოდა ოდნავ მოღუნული, რკინის კაუჭების მსგავსი თითებით. ასე გაშეშებული, გაყუჩებული, რომელიღაც, საწამებლად გამოგო-

ნილ იარაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ხელს. კაცს ვერ გადაეწყვიტა, გაქცეულიყო თუ ასე მჯდარიყო, დაეცადა, სანამ ისევ გაახელდა თვალს ზეზეულად მძინარე. კაცი მონუსხული იყო, მაინც ვერ წამოდგებოდა, გინდაც გაქცევა გადაეწყვიტა. ამას თვითონაც გრძნობდა.

დაძაბული ჯდომისაგან ზურგი დაეღალა, მაგრამ ადგილის მონაცვლებაც არ უცდია სკამზე, უფრო მოსახერხებლად დაჯდომა. პირველად ხედავდა ფეხზე მძინარე კაცს. საერთოდ, ამის მსგავსი არაფერი განეცადა. იჯდა და იცდიდა. როდის-როდის ალექსანდრემ თვალები გაახილა, ამღვრეული, უაზრო.

— შვილს ჩაქუჩი როგორ ესროლე, რა დაგიშავა? — თქვა ალექსანდრემ.

— ადამიანო... — ამოიხრიალა კაცმა, მაგრამ ალექსანდრემ არ დააცალა.

— რა დაგიშავა! მახინჯებთან შენ რა ხელი გაქვს! — იყვირა და ახლა ხეს შემოჰკრა მუშტი გამეტებით. ხე კენწერომდე შეთრთოლდა. მისი დაბურული წიაღიდან შეშინებული ჩიტი გამოფრინდა, მაგრამ არავის შეუმჩნევია ის. ჩიტის დასანახი თვალი ორივეს დაბრმავებოდა. — ჩვენ მარტო ღმერთთან ვაგებთ პასუხს, ჩვენი შეღავათი ესაა. — დაუმატა ცოტა ხნის მერე.

კაცმა უნებურად მონასტერს გახედა ზურგს უკან. მონასტრის თეთრად შეფეთქილი შენობა მიტოვებულსა ჰგავდა, უარესად გაუკაცრიელებულიყო, მზემიმდგარი, თვალის მომჭრელად ელავდა. მარტო ჭრიჭინები ეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

ხრეშმოყრილ გზაზე კვიპაროსის ხეების ჩრდილები იწვნენ ერთმანეთის მიყოლებით, ირიბად, თითქოს გზა მოურწყავთ და ალაგ-ალაგ მიწას ჯერ კიდევ შერჩენია სისველეო.

— ამოშაქრე, ადამიანო, აღარ შემიძლია. გუშინდელს აქეთ მოვდივარ. — სხვა, ნაღველგარეული ხმით თქვა ალექსანდრემ. მისმა გამოცვლილმა ხმამ შეაწუხა, თუ ხიფათის გადავლა იგრძნო, კაცი მკვირცხლად წამოხტა სკამიდან. ჩია მოხუცი იყო,

შავი სატინის ხალათი ნათხოვარივით ეკიდა გაძვალტყავებულ მხრებზე. ასაკისთვის შეუფერებელი სიხალისით დაიძრა ჭიშკრისკენ.

— ტყეშია-მეთქი, აკი გითხარი, — მილაპარაკობდა გზადაგზა. — აგეეე, იმ ფერდობზე დადის ხოლმე. ახლაც იქ იქნება, — ხელი მიუშვირა დაბალი ტყით ჩამოლურჯებულ მთებს.

თითები ისევ უცახცახებდა, მაგრამ აღარ ეშინოდა, ახლა მოულოდნელად გადარჩენილი კაცის მღელვარებას შეეპყრო იგი, რასაც სიცოცხლის მარად დაუცხრომელი წყურვილისა და.

სიცოცხლის უსუსურობის ერთდროული შეგრძნება ბადებს.

მერე ალექსანდრე აღმართში მიქლოშინობდა. უგზოდ, უვარაუდოდ, თითქოს მთავარი ტყეში შეღწევა იყო, სადაც პირველსავე ხის ძირას მარო დაუხვდებოდა. მარო უნდა დახვედროდა, აუცილებლად უნდა ენახა მარო. ერთადერთი მკლავით მთელ ტყეს გადაჩეხავდა და მაინც იპოვიდა, მზით გადაპრიალებულ ბალახზე ფეხი უცურდა, ჯერ წვრილი ბუჩქები ხვდებოდა მხოლოდ, საფეთქლები გადმოცვენაზე ჰქონდა.

„მარო ტყეშია, მარო ტყეშიაო“. — უსასრულოდ იმეორებდა.

ვიღაც უხილავი მეს ზურგს უკან, მის წინ, მის გვერდით.

ის კი, მიალაჯებდა, გაბოროტებული, აღრენილი, გაგულისებული, თითქოს ტყეში დაკარგული საქონლის მოსაძებნად მიდიოდა და არა ქალთან შესახვედრად. მაროზე ბრაზობდა, ამოდენა გზა რომ გამოატარა და ადგილზე არ დაუხვდა, ტყეში დაემალა, უარესად დაუხლართა გზა-კვალი. რა უფლება ჰქონდა მაროს, ადგილზე რომ არ დაუხვდა, რატომ არ უგრძნო გულმა, ალექსანდრე მასთან რომ მოდიოდა მეზობელი სოფლიდან, თუკი ნიკომ ცხრა მთის იქით, გადასაკარგში იგრძნო დედის სიკვდილი? ისა და მარო მახინჯები იყვნენ და გინდაც არ სდომებოდათ, მაინც უნდა ეგრძნოთ და გაეგოთ ერთმანეთისა. მერე მარო დაინახა, შვინდით თავმობმული ვედრო მოჰქონდა და მობარავდა ბილიკს. „ჩემი სისხლი მოაქვს, ჩემი სისხლი და

ჩემი მოჭრილი მკლავი“. — გაიხუმრა გუნებაში ღვარძლიანად. „ჰეი!“ — დაუძახა, შორიდანვე და გაჩერდა, ფეხებგაფარჩხული, თითქოს გზა გადაუკეტა ნადირს, მარო თანდათან მოახლოვდა, თანდათან გამოიკვეთა, გაიზარდა და მოულოდნელად ზრდა-შეწყვეტილი მის წინ გაჩერდა. შვინდით თავმობმული ვედრო ფეხთან დაიდგა.

— უი, ლექსო! მე კი იაგორა მეგონე. იმასავით მოალაჯებდი, — გაიღიმა მარომ.

— იაგორა? — ხმა ჩაეფხრიწა ალექსანდრეს. — აბა, იაგორა? — თითქოს ვერ გაიხსენა. — იაგორას მოგცემ მე შენ. — შეუყვირა და ვედროს ფეხი მოუქნია.

სისხლის შხეფივით იფეთქა გადაყირავებული ვედროდან შვინდმა და ფერდობს გადაესხურა.

— სათითაოდ აკრიფავ, ისემც მე ვიხარო. — მშვიდად უთხრა მარომ.

— უმალ ფეხი გაგისწორდება. — ენა მოუჩლიქა ალექსანდრემ. ქალის ნაცნობი სუნი სცემდა სახეში, აგიჟებდა, აბნევდა, აბრმავებდა. თითქოს მარო აქ არ იყო და თითქოს ნიავს დაჰკრავდა, თითქოს ნიავს წამოეღო საიდანღაც ეს მძაფრი სუნი.

— ისემც მე ვიხარო. — გაიმეორა მარომ.

არა, მარო აქ იყო, მის წინ იდგა, მახინჯი და სასურველი; არა რჩეულთა, არამედ გამორჩეულთა ხვედრი, ვიღაცის საფლავის ფსკერზე ნამუსახდილი, ჭრილობის სახვევივით ბინძური, ტკივილივით ბრიყვი, მაგრამ მაინც სასურველი და აუცილებელი, აუტანლად სასურველი და აუტანლად აუცილებელი.

ალექსანდრემ მაჯა დაუჭირა მაროს.

— ხელი! — აიბურძგნა მარო. — ხომ არ გინდა, ეგეც მოგაწყვიტო. — უარესად დაუშნოვდა, სახეზე ფართე, ფერფლისფერი ლაქები დაასხდა, ყელ-კისერზე ხორკლმა დააყარა, მაგრამ მა-

ინც უნდოდა იგი ალექსანდრეს, უშნო რომ იყო, იმიტომ უნდოდა სწორედ.

— რა ფასს იდებ! — შეუღრინა და უარესად მოუჭირა.

ხელი მაჯაში, — ხამადა ხარ აი, ბებიაშენისამ.

— ჰი, ჰი, — გაიცინა მარომ, თითქოს პირზე მომდგარი დორბლის მოსაშორებლად. — რამდენი გყავს ჩემისთანა? მა, რას მომივარდი ტყეში? — დორბლთან ერთად შეაფრქვია სახეში, — მარო...

— ხელი-მეთქი!

ალექსანდრემ ხელი ზურგს უკან ამოუტრიალა და ცალმხარეს გაბრეცილი, მკერდზე მიიჭყლიტა. ახლა ცულით თუ ჩამოათლიდნენ ამ ქალს, თორემ ისე ქაჯიც ვერ გააშვებინებდა ხელს. მარო ხაფანგში ფეხჩავარდნილი ნადირივით ხტოდა და თავს ნიკაპში სცემდა ალექსანდრეს. ალექსანდრე კბილებით ჩააფრინდა ბუჩქივით თმაში და მომუწული პირით დააწვა თავზე. მარო მაინც იბრძოდა, ცხელი და ოფლიანი, მაგრამ ისე იყვნენ ერთმანეთზე მიწებებულნი, ჰაერიც ვეღარ გადიოდა მათ შორის. მერე მიწა გამოეცალათ ფეხქვეშ და ღმუილით, ღრენით, კბილთა ღრჭიალით მიგორავდნენ ფერდობზე, სანამ ბუჩქმა არ გააჩერათ. „მთხოვე და ხო... მთხოვე და ხო...“ — ყვიროდა მარო. „აკი გთხოვე, აკი გთხოვ“, — ლუღლუღებდა მაროს თმით პირგამოტენილი ალექსანდრე.

ცოტა ხნის მერე მარო წამოჯდა, ბალახი გადაქექა, ზემოდან დაგორებული შვინდის მარცვალი ამოიღო, ხელის გულზე შეიწმინდა და პირში ჩაიდო.

— ჰი, ჰი. — ჩაიცინა. თან ბალახში იყურებოდა. — რა პატარა წახვედი და რამოდენა დამიბრუნდი.

— წეღან მამაშენს ხელი შემოვკარი. — უთხრა ალექსანდრემ. — დაგიმიწდეს. — უთხრა მარომ და ისევ ბალახს დაუწყო ქექვა.

ქვევით, ძალიან შორს, ყრუდ გუგუნებდა ზარი. ალბათ, მონასტერში რეკავდნენ. ალექსანდრე პირაღმა იწვა, ერთადერთი ხელი გულზე ედო, თითქოს მაროს წინაშე თავს იმართლებდა ანდა ფიცსა სდებდა.

მონასტერს ისე აუარეს. გვერდი, იქითკენ არც გაუხედავთ, ფეხიც არ შეუნელებიათ. „თუ გინდა, უთხარი მამაშენსაო“. — ცალყბად უთხრა ალექსანდრემ მაროს. „ვუთხრა? რა ვუთხრა?“ — გაუკვირდა მაროს. ეგ იყო და ეგ. მეტი აღარც მონასტერი უხსენებიათ და აღარც მონასტრის მეკუბოვე. ფიქრობდნენ.

სალაპარაკოდ არ ეცალათ. უბრად მოაბიჯებდნენ.

წინ ალექსანდრე მოდიოდა. მხარწაგდებული, ერთადერთ ხელს შოლტივით მოაშხუილებდა ჰაერში. მარო უკან მოსდევდა.

მშვიდად ადი-ჩადიოდა ალექსანდრეს ფეხით წამოშლილ მტვერში, რაღაცით წყალსაქაჩ მოწყობილობას ჰგავდა. მოდიოდნენ და ფიქრობდნენ. „ნიკოზე დარდმა და ჩემმა ყურებამ მოკლა დედაჩემიო“. — ფიქრობდა ალექსანდრე. „შემეცოდა და იმიტომ, ისემც მე ვიხაროო“, — ფიქრობდა მარო.

თმის ძირები სტკიოდა, მაჯაც უბჟუოდა, საკუთარი სხეული ეჩოთირებოდა, თითქოს გაუხდელს სძინებიაო, და მაინც ბედნიერი იყო. მოდიოდნენ, მოდიოდნენ, გზა კი არ მთავრდებოდა, თითქოს მბრუნავ კასრზე იდგნენ და მხოლოდ წონასწორობის შესანარჩუნებლად ამოძრავებდნენ ფეხებს. მოაბიჯებდნენ მტვერში და, მათ დანახვაზე გამონთებული ძაღლებივით, ავსა და ღვარძლიან ფიქრებში. მახინჯები იყვნენ, შემთხვევით გაჩენილნი, ანდა შემთხვევით გადარჩენილნი და არავინ იმსახურებდა მათგან მადლობას, არც გამჩენი და არც გადამრჩენი.

არც ისინი მოდიოდნენ მადლობის სათქმელად. ამას ძაღლებიც გრძნობდნენ, ღობეებზე ეხეოდნენ და ყეფითა და ღრენით აუწყებდნენ სოფელს მახინჯების შემოსევას. ისინი კი მოდიოდნენ, გამომწვევად, უტიფრად. არც შუადღის სიცხით ჩაყუჩებულ სახლებს აქცევდნენ ყურადღებას და არც წყაროს ღარი-

დან გულუხვად მოთქრიალე ნაკადს. თითქოს მართლა უცხო ქვეყანაში შემოჭრილიყვნენ, უცხო ქვეყანას შესეოდნენ, სადაც არც სახლი იყო მათთვის სანდო და არც წყალი.

ამაყი სიძულვილი ათმენინებდათ წყურვილსაც და დაღლილობასაც, ამაყი სიძულვილი, რომელიც მხოლოდ მახინჯსა და სუსტს უჩნდება ლამაზისა და ძლიერის მიმართ. მოდიოდნენ. მარო და ალექსანდრე მოდიოდა, კოჭლი და ცალხელა, ეშმაკის შექმნილი წყვილი, ღმერთის ჯიბრზე, ქვეყნის გულის გასახეთქად. „ნიკოს გულის გასახეთქად...“ — ფიქრობდა ალექსანდრე.

რამდენადაც ალექსანდრემ იცის, რამდენადაც ალექსანდრეს შეუტყვია, შემთხვევითი და ხანმოკლე გამოლაპარაკებების ჟამს, ნიკო ერთი პირველთაგანი და დაუძინებელი მტერია სიმახინჯისა, ესე იგი — ალექსანდრესიც, რადგან ალექსანდრე არავისზე ნაკლები მახინჯი არ არის, მაგრამ ნიკო პირში ვერ უბედავს ამის თქმას და საერთო, ქვეყნის დამღუპველ სიმახინჯეს ეომება, ურჩხულს — რომელიც ვითომ მის სამშობლოს შემოხვევია და თავისი შხამიანი დორბლით ბილწავს მიწასაც, ჰაერსაც, წყალსაც და ცეცხლსაც. მაგრამ ალექსანდრეს უკვე ყელში ამოუვიდა იმისი გადაკრული ლაპარაკი.

ვინც სიმახინჯეს ებრძვის, ის ალექსანდრეს მტერიცაა, რადგან ალექსანდრეც მახინჯია და არავითარი შეღავათი არ არის მისთვის, მეფეების სიბეცის ბრალია ეს, თუ გარეგინას დუქანში მოპარული დენთისა. ხოლო ნიკოს თქმისა არ იყოს, თუკი მთელი ქვეყანა მიისწრაფის სიმახინჯისკენ, თავქუდმოგლეჯილი, როგორც ხალხი სანახაობისკენ, მაშინ მით უარესი ნიკოსთვის, მაშინ ნიკოს აღარ დაედგომება აქ და სწორედ მოქცეულან, მადლი უქნიათ, ციხეში რომ გამოუმწყვდევიათ, რადგან მაინც ვერაფერს მოუხერხებდა ამოდენა სიმახინჯეს თავისი მაღალფარდოვანი ლაპარაკითა და დაშაქრული ლექსებით, რომლებითაც, დიდი-დიდი, ორიოდე ქერქეტ გიმნაზიელ გოგოს თუ გამოადენს ცრემლს. სიმახინჯე შემთხვევით გაჩენილი ანდა შემთხვევით გადარჩენილი სიცოცხლეა, ბედისწერაა მისი დედ-მამა და ამიტომაც გარდაუვალიცაა, გაუთვალისწინებელი გარდაუვალობაა, რომლის გათვალისწინება ჩვენ არ გვინდა, არ

მოგვწონს და იმიტომ. მაგრამ ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ყოველთვის უდროო დროს გამოგვეცხადება ხოლმე ლოთი ნათესავივით და იმის ნაცვლად, რომ კარი მივუხუროთ, გავაძევოთ, ვუსაყვედუროთ მაინც, ღიმილით ვუზიდავთ სასმელ-საჭმელს, გამოსაჩენ ადგილასა ვსვამთ, რათა უარესი სისულელე არ ჩაიდინოს, უარესად არ მოგვჭრას თავი უცხო და საპატიო სტუმრებთან. სიმახინჯეც ასეა, სიმახინჯისაც ეშინიათ და იმის მაგივრად, რომ მუსრი გაავლონ, ამოქოლონ, ყველა გზა გადაუკეტონ, მოგონილი თანაგრძნობით შესცქერიან, გზას უთმობენ, წინ ატარებენ, ოხრავენ და ვიშვიშობენ, თითქოს ოდნავ მაინც შეუძლიათ იგრძნონ და განიცადონ ის, რასაც მახინჯი გრძნობს და განიცდის. სინამდვილეში, სიმახინჯე ზიზღს, აღშფოთებასა და ძრწოლას იწვევს მნახველში, რასაც თანაგრძნობის ნიღბით მალავენ. მაგრამ აბა, ერთი ბოდბისხევის ბაზარშიც გაიარეთ იმ დღეს, როცა ბაზრის მოედანზე ჯამბაზები მახინჯებს ანსახიერებენ! მუცლები ხელით უჭირავთ, ერთმანეთს აწყდებიან, სიცილისგან ცრემლი სდით, რადგან ვითომ ყრუ, ვითომ მუნჯი, ვითომ კოჭლი, ვითომ კუზიანი და ვითომ ბრუტიანი ჯამბაზები ამასხარავებენ იმას, რისიც მათ ეშინიათ, სიმახინჯეს! ხალხი უცნაურია, ცალ-ცალკე რისიც ეშინიათ, ერთად თავშეყრილნი იმაზე სიცილით კვდებიან. აბა, ნამდვილი ყეენის ჩამოვლისას ჩაეფხუკუნა ვინმეს, თუ ვაჟკაცი იყო. აქლემზე უკულმა შემომჯდარ, ვითომ ყეენს კი, რაღას არ ეძახიან, რაღას არ ესვრიან, რადგან ის ვითომაა, ტყუილია, დახატულია, უძლური ჯავრის ამოსაყრელი. ამიტომაც უყვარს ხალხს ჯამბაზები, ყველაფერს აბიაბრუებენ: სიკვდილსაც, ბოროტებასაც, სიმახინჯესაც, და ამავე დროს წვრთნიან კიდეც ხალხს სიკვდილთან, ბოროტებასთან და სიმახინჯესთან შესახვედრად, როგორც გამოცდილი მეომრები წვრთნიან კაცის კვლაში ახალწვეულებს ნახერხით გატენილი ტომრებითა და ჩამოწერილი, ყავლგასული იარაღით. მაგრამ ჯამბაზებისაგან განსხვავებით, მახინჯები არაფერს იგონებენ, რაც აბადიათ, ყველაფერი ნამდვილია.

ნაღდია და ხალხის გასაცინებლად კი არ მოსულან ამქვეყანაზე, არამედ — გასაფრთხილებლად, ჭკუის სასწავლებლად. სხვათა შორის, ნიკო მართალს ამბობს, სიმახინჯისაკენ მიდრე-

კილება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა, რადგან სიმახინჯე სილამაზის ხვალინდელი დღეა, უფრო მშვიდი და ხანგრძლივი. სიმახინჯეს დასამალი არაფერი სჭირს და არც აპირებს დამალვას, გინდაც ვიღაც-ვიღაცეებს მის დანახვაზე გული უღონდებოდეთ. ასე და ამგვარად, ისინი მოდიოდნენ, მარო და ალექსანდრე მოდიოდნენ. გახურებულ მტვერში, ნახირის, პურის, დაბინავებული თივისა თუ გამზეურებული ლოგინის სუნით. გაჟღენთილ შარაზე. ორივეს შიოდა, ორივეს სწყუროდა, ორივეს ტყვიასავით დამძიმებოდა თავი და ფეხები, მაგრამ მაინც მოდიოდნენ, ეს მათი გზა იყო, მათი დამწყვილებელი, მათი საერთო ცხოვრებისკენ მიმავალი. „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“, — ამბობდნენ ალბათ გამოვლილ სოფლებში, თუკი საერთოდ შეამჩნიეს და თუკი დაამახსოვრდათ ისინი, მოდიოდნენ, მოდიოდნენ, მოამტვერებდნენ შარას. „ძაღლი ქურდს არ გაეკიდება ამ სიცხეში, მე კი, მივსდევ არხეინად, ისემც მე ვიხაროო“, — ფიქრობდა მარო. მერე, შორს, რაღაცამ გაიპრიალა შავად და კარგა ხანს ლიცლიცებდა ის შავი ლაქა უსასრულო, გამაოგნებელ სითეთრეში. ახლოს რომ მივიდნენ, ორი ფაეტონი დაინახეს, ორ-ორ ცხენიანი, დუქნის წინ გაჩერებული. ჯერ ფაეტონები დაინახეს და მერე დუქანი, რადგან დუქანი გზის გადაღმა იდგა, ტაფობში, და მისი სახურავი ლამის გზის პირს უთანასწორდებოდა. მზეზე გაჩერებული ფაეტონები შავად ვარვარებდნენ, ბუღი ასდიოდათ.

ცხენებიც გაელახა მზეს, მოწყენილები იდგნენ, რაღაცნაირად მობოშებულნი, თითქოს დიდი ზომის შალითები ჩაუცმევიათო. დუქნიდან დოლ-გარმონის ხმა ისმოდა. ალექსანდრეს მწვადის სუნი ეცა და იმავე წუთს დაინახა კიდეც ის სუნი, მსუყე ოქროსფერი, შიშველი ქალივით მონებივრე ჰაერის ტალღებში, თვალებში წრეები დაუტრიალდა, ალყა-ალყა დაჭრილი ხახვის მაგვარი. ცხენებისთვის შუბლზე წითელი, გაფუყული პომპონები დაეკიდათ, ფაფარშიც წითელი ძაფები ჩაეწნათ.

ერთ-ერთი ფაეტონის საფეხურზე: პომპონივით წითელი და გაფუყული მიხაკი ეგდო. ფაეტონის კოფოზე ცარიელი, თავზე ჭიქაჩამომხობილი ბოთლი იდგა. მეფაეტონეებს მეორე ფაეტონის უკან ეძინათ, პირდაპირ მიწაზე ეყარნენ ერთმანეთის გვერდით, თავები ეტლის ქვეშ შეეყოთ, ხელისგულის ხელა ჩრდილ-

ში, ტანი კი — გარეთ დარჩენოდათ, მზეზე. გაოფლილნი, პირდაღებულნი, სახედაფორაჯებულნი იწვნენ, უზარმაზრები ჩანდნენ კარტუზიანი ქუდებით, ყვითელი ჟილეტებითა და შავი სატინის ფართე, დანაოჭებული შარვლებით.

შემაშფოთებელი, დამაეჭვებელი იყო მათი ძილი. დახოცილებივით ეყარნენ. თითქოს სისხლის გუბეც უნდა ყოფილიყო იქვე სადმე. ცხენებიც ალბათ ამიტომ იდგნენ ასე საცოდავად, პატრონების ძილი აკრთობდათ.

— ქორწილი აქვთ, აი. — მოხედა ალექსანდრემ მაროს.

— ისემც მე ვიხარო. — დაუდასტურა მარომ.

ფაეტონის საფეხურზე დაგდებული მიხაკი აიღო, კბილით გადაუღრღნა გამომშრალი, გაუხეშებული ღერო და თმაში ჩაიმაგრა. ბუჩქივით თმაში აკიაფებულმა ყვავილმა ალექსანდრეს მოულოდნელი სურვილის ურო ჩათხლიშა თავში. გაოგნებული უყურებდა, „ვისზე რა ნაკლებია ვითომ“, — გაიფიქრა და უნებურად ცარიელი ფაეტონები მოათვალიერა.

— მიწას შეგაყრი თვალებში, ისემც მე ვიხარო — უთხრა მარომ.

— არ გინდა, ფაეტონით გაგასეირნო? — უთხრაა ალექსანდრემ. — მივეჩვევი. ძვირი დაგიჯდება. — თქვა მარომ. ისიც ფაეტონებს უყურებდა.

— ფაეტონით... ფაეტონში... — ხმა აებლანდა ალექსანდრეს. — რა მეფაეტონება, კუჭი მიხმება, ადამიანო! — შეუტია მარომ.

— გიხმება და გაგიხმეს. — უცებ გადაუარა სურვილმა ალექსანდრეს.

მერე დუქანში ისხდნენ. მათ მეზობლად თბილისელები ქეიფობდნენ. შვიდნი იყვნენ, ნიკოს ხნისანი, ნიკოსავით ჩაცმულები. ქალი არ ერიათ და ყველაზე ძალიან ეს გაუკვირდა ალექსანდრეს, რადგან, სანამ დუქანში შევიდოდა, რამდენჯერმე მოეყურა ქალის სიცილი.

აბრეშუმის არშია, არც მწყურია, არც მშია, ერთი ძველი თუმანი მაქვს, — ვაფრიალებ ქარშია.

მღეროდა თავგადაგდებული მედოლე. მაროს ხორცის ნაჭერი ორივე ხელით ეჭირა და გამალებული ძიძგნიდა, წვენი ნიკაპზე ჩამოსდიოდა. ალექსანდრემ თმიდან ყვავილი ამოუღო, მუჭში მოსრისა და მაგიდის ქვეშ შეაგდო. მაროს ყურადღება არ მიუქცევია, ხორცის ჭამით იყო გართული. ჯერ ისევ შიოდა. ალექსანდრესაც შიოდა, მაგრამ ლუკმა არ გადასდიოდა ყელში, წიწმატს აწებდა მარილზე და იმას აყოლებდა ღვინოს, ღვინო უცებ და გამაღიზიანებლად ეკიდებოდა. თვალებითა ჭამდა მეზობელ სუფრას, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, თავისთვის ქეიფობდნენ. „ეეეერთი ძვეეელი თუმაანი მააქვს“, — ხმას წელავდა მედოლე. დოლი ბაგუნობდა, ღვინოც დოლის ხმით ბაგუნობდა ძარღვებში, საფეთქლებში, გულში. იატაკი მზის ვეება ნამტვრევებით იყო მოფენილი, ზედ ბუზები დაცოცავდნენ. მუმლივით ფუსფუსებდა მტვერი. ცხელოდა. წარამარა ეჩხირებოდა თვალში შავი სერთუკები და თეთრი საყელოები, შუაზე გაყოფილი, ან გვერდზე გადავარცხნილი ქოჩრები, ყურსა ჭრიდა მათი გაუთავებელი: ბატონებო...

ბატონებო... მედოლის გაუთავებელი: არშია... არ მშია... ქარშია... „იქნებ ნიკოს ამხანაგები არიან?“ — ფიქრობდა ალექსანდრე. მარო ჭამდა, უშნოდ, შემაწუხებლად აჭყლაპუნებდა პირს. ალექსანდრემ რამდენჯერმე დააპირა, მაროსთვის ხელუკუღმა ეთხლიშა ტუჩებში, მაგრამ თავს იკავებდა. „მე რას მიშლის, როგორც უნდა ისე ჭამოსო“, — ფიქრობდა თავის დასამშვიდებლად, მაგრამ ეს უსიამო ხმა ნამდვილად უშლიდა, უარესად აღიზიანებდა, თუმცა მთავარი გულისყური მაინც იქითკენ ჰქონდა, „ნიკოს ამხანაგებისკენ“. მათი ლაპარაკი გარკვევით ესმოდა, აზრი კი ვერ გამოჰქონდა გაგონილიდან. ლაპარაკითაც ჰგავდნენ ნიკოს. შეიძლება ალექსანდრეს აგიჟებდნენ, შეიძლება, შეამჩნიეს, ალექსანდრე რომ უსმენდათ და აპამპულებდნენ, ქალაქურ ოინს უკეთებდნენ, ისე უცნაურად ალაგებდნენ ალექსანდრესთვისაც ნაცნობ სიტყვებს, ალექსანდრე კი არა, ქაჯი დაიბნეოდა. არა, ქაჯს რა დააბნევდა. ქაჯებიც ასე ლაპარაკობენ ალბათ, ეს ქაჯების ენაა, ალექსანდრესთანა ტეტიებისა და გლეხაჭუების გასაბრიყვებლად მოგონილი.

გგონია, რომ გესმის, მშობლიური ელფერი დაჰკრავს და ამით გიზიდავს, ამითვე გაბნევს, ცნობისწადილს გიღიზიანებს, თანდათან გითრევს, გიტყუებს, დედის რძესთან ერთად შეწოვილი სიტყვები გიტრიალებს ყურში და ჯერ არ გეშინია, თამამად მიჰყვები, თამამად კი არა, ჯიუტად, ბრაზიანად, რაშია საქმეო, გიკვირს კიდეც, შენი სიმთვრალის ანდა შენი სიბრიყვის ბრალი გგონია, მილიონჯერ ნათქვამი და მილიონჯერ გაგონილი სიტყვები რომ ვეღარ დაგიკავშირებია ერთმანეთთან, ვეღარც შეშვებიხარ, რადგან უკვე მონუსხული ხარ, უკვე ანკესსა ხარ წამოგებული და თუმცა უკვე გიაზრა ტანმა ხიფათი, ნიშანი მოგცა, მაინც არ უტყდები თავს, კიდევა გაქვს იმედი, კიდევ გჯერა, ანკესი რომ შიშმა მოგალანდა მხოლოდ, ჭიაყელა კი ნამდვილია და მისი ნაცნობი გემო მალე სასიამოვნო ჟრუანტელად დაგივლის ძარღვებში. იგივე გრძნობა აიძულებს გზაზე მიმავალ გლეხს, უკან გამობრუნდეს და დაიხაროს იმ ბრჭყვიალა საგნის ასაღებად, წეღან რომ მოხვდა თვალში, იმიტომ კი არა, ძალიან რომ ჰგავს ის ბრჭყვიალა საგანი ვერცხლის მანეთიანს, არამედ იმიტომ, რომ ძალიან მოუნდა უცებ, ის ბრჭყვიალა საგანი ვერცხლის მანეთიანი აღმოჩნდეს. ისინი კი, ლაპარაკობდნენ და ალექსანდრეც ისევ უსმენდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი, თავის შეცდომას მიხვედრილი კაცივით მწარედ და ღვარძლიანად მომღიმარი, გადახდაზე, შურისძიებაზე რომ ფიქრობს უკვე, თუმცა წესიერად არც კი იცის, რაზე ანდა ვისზე უნდა იძიოს შური, რაკი ამ დღეში საკუთარმა სიბრიყვემ ჩააგდო მხოლოდ. დუქანი სკასავით ბზუოდა, მზის ნამტვრევებზე ბუზები დაცოცავდნენ, დოლ-გარმონის ხმა ჭურჭელს აზრიალებდა, ღვინო უცებ თბებოდა და მდორედ, უსიამოდ ჩადიოდა ყელში.

ალექსანდრეს ერთადერთი მკლავი ურისავით ედო მაგიდაზე.

გრძნობდა, როგორ ეზრდებოდა თავი, თავი კი არა, უზარმაზარი სათავსო, უხილავი და მგრძნობიარე კედლებით შეკრული; ამ სათავსოში უთავბოლოდ ჩაყრილიყვნენ ხმები და საგნები, ერთმანეთში არეულიყო ორი ცარიელი ფაეტონი — თავიანთი მეფაეტონეებიანად, დუქნის იატაკი — მზის ნამტვრევებიანად, მტვრიანად, ბუზებიანად: დახლი — დახლიდარიანად;

დამკვრელები — საკრავებიანად; ხორცის გაძიძგნილი ნაჭერი — პირმოწკლაპუნე მაროიანად და შვიდი ნიკო, შვიდად გაყოფილი, შვიდნაირად გადასხვაფერებული ნიკო. „არშია... არ მშია... ქარშია...“ — გუგუნებდა თავი — სათავსო. სიცხით გასავათებულმა ცხენმა ფლოქვი მძიმედ ჩაჰკრა მტვერში და ალექსანდრეს კეფა ეტკინა. ხელნის უხეში, გადაპრიალებული თავი შიგნიდან აწვებოდა შუბლზე.

„ბატონებო, ბატონებო“, — ყვიროდა ნიკოს ერთი მეშვიდედი. მეორე ბოთლზე ჩანგალს უკაკუნებდა და ამ უსიამო წკრიალსაც ალექსანდრეს თავი-სათავსო გამოსცემდა. ალექსანდრე იჯდა და უსმენდა, უსმენდა და ითმენდა. არასოდეს განეცადა ამგვარი რამ, გრძნობდა, ესმოდა, ხედავდა და მაინც უგრძნობელი, ყრუ და ბრმა რჩებოდა ყველაფრის მიმართ, გასაგნებულიყო, საგნის უძრაობა და გულგრილობა გადასდებოდა, რაც მხოლოდ ადამიანისთვისაა უძრაობა და გულგრილობა, რადგან უნარი არ შესწევს ბოლომდე ჩასწვდეს საგნის ჭეშმარიტ ბუნებას. ადამიანმა ხომ არ იცის და არც აინტერესებს, რას განიცდის მაგიდა, როცა საჭმელად ანდა ქაღალდის სათამაშოდ მიუჯდება ხოლმე; ანდა — საწოლი, რომელზედაც ძილს, სენსა და სიყვარულს ეძლევა. ასევე არ იცოდა არავინ, რას განიცდიდა იმ წუთას ალექსანდრე და, ალბათ, ამიტომ არ ერიდებოდნენ მას, როგორც ნებისმიერ საგანს. „ამ გრძნობის დასაცავად, — ამბობდა ნიკოს რომელიღაც მეშვიდედი. — ანდა, იმიტომ, რომ არ შეუძლია აიტანოს ამ გრძნობის აბუჩად აგდება, ატროფირება, ამპუტაცია, იმპორირება თუ, აღარ ვიცი, როგორ გითხრათ კიდევ, ადამიანი მოედანზე გამოდის და ცეცხლს იკიდებს, რათა იქნებ იმ ცეცხლის შუქზე მაინც დავინახოთ, თუ როგორ ჩაწვნია, ჩახლართვია, ჩაკვდომია ეს გრძნობა მთელ მის არსებას, როგორ აუღია თავის თავზე მთავარი სასიცოცხლო ძარღვის ფუნქცია და ამიტომაც, მისი ამოკვეთა, ამოშანთვა თუ ამოგლეჯა, ყოველთვის სავალალო შედეგს იძლევა, თუკი იქამდე, ყოვლად გაუმართლებელ მიზეზთა გამო, მთლად არ ჩამპალა და მთლად არ გადაგვარებულა.

მართალია, ადამიანი ამგვარი ოპერაციის მერეც ცოცხლობს, ჭამს, სვამს, სძინავს, მოძრაობს, მაგრამ ეს სიცოცხლე კლინიკური სიცოცხლეა უკვე, საზოგადოებისთვის არავითარი

სიკეთის მოტანა აღარ შეუძლია, ვინაიდან მისი წონასწორობის ცენტრი მუდმივ მოძრაობაშია და განუწყვეტლივ საჭიროებს დასაყრდენს, გარეშე ძალას; დაუფიქრებლად ეყრდნობა ყველას ხელს, ვისიც არ უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა მიჰქონდეს დახმარების სანაცვლოდ". ესეც შენ, ალექსანდრევ!

გაიგე რამე? ვერაფერიც ვერ გაიგე და იმიტომაც იბღვირები ასე, ნიკოსთვის ვერ გიპატიებია — იმ დღეს რომ გითხრა, ცალხელობა კი არა, უვიცობაა უბედურებაო. „თქვენ ყოველთვის აზვიადებთ და ყოველთვის, როცა ლაპარაკობთ, ისეთი სახე გადევთ, თითქოს ყველანი, აი, ეს პატიოსანი ცოლ-ქმარიც, თქვენს გაღიზიანებას ცდილობდეს. თქვენგან ნათქვამი ყველაზე უწყინარი სიტყვაც კი გინებასავით ჟღერს, უნებურად ვწითლდები ხოლმე..." „ევროპაში მიეჩვიეთ ალბათ სიმორცხვეს". „..თქვენი პირიდან ამოსულ სიტყვას ვხედავ კიდეც, მის უხეშ შეხებასაც ვგრძნობ. ან გენიოსი ხართ, ან ჩვეულებრივი თავხედი..." „ხა, ხა, ხა, ხა... პირად შეურაცხყოფებს ვერიდოთ, ბატონებო. ხა, ხა, ხა, ხა..." „ორივე შემთხვევაში თქვენი მოსმენა სასიამოვნოა, თქვენი უეცარი, თითქმის უმიზეზო აღელვება გადამდებია. რა თქმა უნდა, ამას საწყენად არ გეუბნებით. ნურც ის გეწყინებათ, რომ თქვენი პატრიოტული აღტკინება პროვინციალობის ბრალია, პროვინციული ხილია, ბაზრის სილამაზე, იქვე, დახლთანვე რომ ჭამ, ნიკაპზე რომ ჩამოგდის მისი ტკბილი წვენი და უნებურად წელში გხრის, რათა შარვალიც არ დაისვარო. მაგრამ იმდენად დიდია გემოს გასინჯვის ცდუნება, ერთი წუთით აბსოლუტური თავისუფლება გეუფლება. არავითარ ყურადღებას აღარ აქცევ ეთიკის ნორმებს, თუმცა უზრდელობაც თავისებური თავისუფლებაა. მეორე წუთას კი, როცა ცდუნება გადაგივლის, აღარ იცი, სად წაიღო იმ ლამაზი ნაყოფის წვენით გაწებილი ხელები, დგახარ ამდენ ხალხში, სასაცილოდ თითებგაფარჩხული, სანამ ვინმე გაზეთის ნახევს არ მოგაწოდებს, ანდა, სამადლოდ, გულის ჯიბიდან ცხვირსახოცს არ ამოგიღებს, რაკი შენთვის, შენივე სისულელისა და სულწასულობის გამო, საკუთარი გულისჯიბე მიუწვდომელი გამხდარა. თქვენთვის ჯერ არ მოუწოდებიათ ცხვირსახოცი, საგულდაგულოდ დაუთოვებული და დაკეცილი? ან იქნებ სწორედ ახლა გჭირდებათ? ღმერთო ჩემო, ვისაც უნდა დავენიძლავები, რომ

ახლა თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ. ხომ გინდათ? ესეც ხომ ჩვენი, ქართველების თვისებაა — ერთმანეთის დახოცვა? ერთმანეთთანა ვართ ვაჟკაცები. მაგრამ თქვენ მაინც ბედნიერი ადამიანი ხართ, თქვენი ცხოვრება, ალბათ, ძალიან საინტერესოა..“ „ძალიან საინტერესოა“. ჰა, რას იტყვი, ალექსანდრე? გამოტყდი, ხომ გშურს ნიკოსი? ხომ გერჩია, შენთვისაც გამოეგზავნა დედას ნიორი და თბილი საცვლები? „ისემც მე ვიხარო“, — თქვა მარომ. „ჰა?“ — წამოსცდა ალექსანდრეს, რადგან ჯერ ისევ იქ იყო, საკუთარი უვიცობის ფსკერზე. „შენი მწვადიც მე შევჭამე“. — თქვა მარომ, მაგრამ ალექსანდრე აღარ უსმენდა „...მართალი ბრძანდებით. წინასწარ ვერაფრით ვერ განვსაზღვრავ ხოლმე, ვის როგორ ველაპარაკო. მით უფრო მსოფლიო მოქალაქეს. მაგრამ რაღაი გაწყენინეთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ კოსმოპოლიტიზმი სათბურის ხილია, შურისა და ავადმყოფური ჟინიანობის ნაყოფი, მის შესაჭმელად ყველას როდი მიუვა გული. დამერწმუნეთ, სრულებითაც არ მინდოდა თქვენი განაწყენება. ღვინოს რომ ვსვამდე, სიამოვნებით გადღეგრძელებდით...“ „...ხა, ხა, ხა.. განაწყენება რა შუაშია. მე პიროვნების და სიტყვის თავისუფლების მომხრე გახლავართ და მსოფლიო მოქალაქეობა სრულებითაც არ მიშლის ამაში ხელს. მაგრამ თქვენ როგორი ქართველი ხართ, თუკი ღვინოს არ სვამთ? ნურც თქვენ გეწყინებათ, გეთაყვა. მე ვიცი, თქვენ რაც გაღიზიანებთ, მაგრამ რა გაეწყობა, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. მე განვთავისუფლდი სამშობლოსაგან, როგორც ცოდვისგან, და ვაღიარე იდეა, როგორც ღმერთი. ამიტომ, ჩემი სამშობლო მთელი მსოფლიოა. ყველგან შინაურულად ვგრძნობ თავს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა ცოტა მეშინია. რასაც ამბობენ, ნახევარი მაინც თუ მართალია... თქვენ არ ატარებთ ხანჯალს?“

„როგორ არა. თუ ძალიან მთხოვთ, დაგაჭერინებთ კიდეც...“ „ხა, ხა, ხა.. ბატონებო, ბატონებო... ეს უკვე მეტისმეტია...“ არშია... არ მშია... ქარშია... ეეეერთი ძვეეეელი თუუუუმანიიი მაააქვს...

— გუშინ დედა დავმარხე — თქვა ალექსანდრემ.

— აკი გული მიგრძნობდა. ისემც მე ვიხარო. — თქვა მარომ. — იტირე.

— პა?

— იტირე-მეთქი. — ალექსანდრემ მკლავი გაახრიგინა მაგიდაზე, თითქოს რამე მძიმე, უხეში საგანი გააჩოჩა.

— რა ერქვა, რომ არ ვიცი. — მოტყდა მარო.

მერე მარო ტიროდა. ხმითა და ცრემლით. მეზობელ სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი აქეთ იყურებოდნენ, დაბნეულები, მხრებაჩაჩულნი, ტუჩაპრუწულნი. მედოლეს ხელის მსუქანი, ბალნიანი მტევნები დოლზე გადმოეკიდა, გასაშრობი წინდებივით. „ბაბუცა, ბედდამწვარო ბა-ბუ—ცა“, — მოთქვამდა მარო.

— ეი! — დაუძახა ალექსანდრემ დახლიდარს, დახლიდარი უხალისოდ წამოიზლაზნა, ფეხები უკან რჩებოდა, უაზრო, ბრიყვული ღიმილი უპრიალებდა ტუჩებზე.

— აი, იმათ.. ერთ ფუთ ღვინოს მიართმევ. ნიკოს ამხანაგებს, ნიკოს ძმისგან-თქო. — უთხრა ალექსანდრემ.

დახლიდარი გატრიალდა.

— მოიცადე. — დაუძახა ალექსანდრემ. — გაიგე?

— ნიკოს ამხანაგებს, ნიკოს ძმისგანო. — თქვა დახლიდარმა. სანამ დუქნიდან გავიდოდნენ, მარო სულ მოთქვამდა. მეზობელ სუფრაზე კი დუმილი იყო ჩამოვარდნილი. ალექსანდრე დაძაბული, უთანასწორო ნაბიჯებით მიდიოდა კარისაკენ, თითქოს ორმოებს არიდებს ფეხსო. მაროც უკან მიჰყვა, ტირილ-ტირილით. მეეტლეებს ისევ ეძინათ, მზე გადახრილიყო და ახლა უფრო მეტი ჩრდილი წამოსდგომოდათ. ცხენებმა გამოხედეს, სევდიანად, გულგრილად. ყველაზე აქეთურა ცხენს თვალში ცერის ხელა ყვითელი წირპლი ჰქონდა. ალექსანდრემ ხელი აუქნია. ცხენმა თავი ასწია და კბილები დაკრიჭა, თითქოს გაუცინა. „ადი, ადი-მეთქი“, — ფაეტონისაკენ უბიძგა ალექსან-

დრემ მაროს, მეფაეტონეები რომ წამოცვივდნენ, მტვრის ბუღი ეცათ სახეში, ხოლო მოტაცებულმა ფაეტონმა კარგა შორს გაიელვა შავად, მოსახვევში. „ქორწილია, ქორწილი!“ — ყვიროდა ალექსანდრე. „ბაბუცااა... ბედდამწვარო ბაბუცااა“, — მოთქვამდა მარო. ერთ ადგილას დგომით გულგაწყალებული ცხენები დაოთხილები გარბოდნენ, კისერმობრეცილები არიდებდნენ თავებს თბილსა და მტვრიან ქარს. „ეი, დამთხვეულო!“ — ეძახდნენ გზიდან გადასული, გაკვირვებული და შიშნაჭამი გლეხები. გვერდულად მოსდევდნენ გაფაციცებული, გადარეული ძაღლები, თითქოს მოსწრებაზე იყო, თითქოს გულები გაუსკდებოდათ, აღარ დაედგომებოდათ სოფელში, სადმე მაინც კბილს თუ არ გამოჰკრავდნენ ამ უზარმაზარსა და უცნაურ არსებას, ოთხი ბორბლითა და რვა ფეხით რომ მოგრიალებდა ქვეყანაზე: ქორწილია... ქორწილია. ბედდღამწვარო ბაბუცااა. ურუქამდე სული არ მოუთქვამთ ცხენებს, არაფერი დაუნახავთ, არაფერს მორიდებიან, გრიგალივით ბრმად, თავგადადებულად მიქროდნენ. კრიახით, სისინით, ჭყივილითა და პეტელით აწყდებოდნენ აქეთ-იქით ღობეებს ქათმები და ბატები, ღორები და თხები, როგორც ფეხჩაკრული გუბის ტურტლიანი შხეფები. „თქვენი დედა... თქვენი პატრონის დედა“, — ღრიალებდა ალექსანდრე. მტვერი ბოლქვა-ბოლქვა ეფინებოდა ქლიავსა და ჭერამს, ხის ძირას დადგმულ აკვანს, აივანზე გადმოფენილ სარეცხსა თუ ვარცლში გაფუებულ ცომს, ორსული დედაკაცის ტიტლიკანა მუცელივით რომ ფეთქავდა.

ფაეტონი კი მიქროდა, მიგრიალებდა. ალექსანდრე და მარო მიფრინავდნენ შინისაკენ მოტაცებული ფაეტონით. ეს მათი ქორწილი იყო.

— ფაეტონი მანდ იყოს, არ შემოიყვანო — დაუძახა ალექსანდრემ გიორგას.

ის უკვე კიბესთან იდგა და მაროს ელოდებოდა, უყურებდა, როგორ მობარავდა მაკაბელების ეზოს მისი ერთგული და მახინჯი მეგობარი.

„ჯერ გვეგონა, ნაქელეხარი სახლის დასალაგებლად მოიყვანა, — უყვებოდა მეორე დღეს ქაიხოსრო ზოსიმე მღვდელს. —

ასედაც ვუთხარი. რად გინდოდა, ანა და აღათია აქ არ იყვნენ-მეთქი? ხალხი თუ იყოო, — მკითხა, სიტყვა ბანზე ამიგდო. არა, კი არ ამიგდო, შორიდან დაიწყო პასუხი, შეგვამზადა ვითომ, თავისი ჭკუით, თუმცა იმდროისათვის უკვე მიხვედრილი ვიყავი ყველაფერს, იმან მიმახვედრა, ქალმა, მარტო იჯდა ცარიელი სუფრის თავში და სუფრას წიწკნიდა, თვალს გვარიდებდა.

მოხედეთ, მოართვით რამეო, ეძახდა ჩემი სულელი ვაჟი ანასა და აღათიას, ჩემი მეუღლე კეთილი ქალი იყო და არავის აწყენინოთო. ჯერ კიდევ ცაში დაფრინავდა, ჯერ კიდევ იქ იყო. არ მეგონა, ასე თუ უყვარდა ცოლი. არ მეგონა, საერთოდ თუ შეეძლო პეტრეს სიყვარული. პეტრე კარგად იყოს და მე უკვე ვიცოდი, რასაც იტყოდა ალექსანდრე, სანამ თქმას გაბედავდა. ხალხი როგორ არ იყო, შენს გარდა, მთელი ურუქი აქ ტრიალებდა-მეთქი, სამი გზობა დაჯდა და აიშალა ხალხი-მეთქი, მარტო ჭურჭლის რეცხვას რომ ვერ აუვედით, პეტრე და გარეგინა მექელეხეებს ზურგზე ცარცით ნიშანს ადებდნენ-მეთქი. ასე არ იყო? მაინც მამაძაღლობდნენ, ერთმანეთს უშლიდნენ ნიშანს და ისევ ბრუნდებოდნენ სუფრაზე. მესამე გზობა რომ დავსხით, ყველას თეთრად ჰქონდა გადათითხნილი ზურგები. ხოდა, თუ მასეა, ახლა მეოთხე გზობა დავსვათ ხალხიო, ალექსანდრე მეუბნება, თან იღიმება, კი არ იღიმება, ტუჩებს ჭიმავს. ღიმილი არ მინახავს მაგის სახეზე. დედაჩემის მაგიერი მოგიყვანეთ, ეგ უფრო შეეფერება აქაურობასო, დარდი ნუ გაქვთ, ყოჩაღი ქალია, იოლად არ მოგეკვლევინებათო, გესმის, ადამიანო? დედამისი ჯერ არ გაციებულა საფლავში, ის კი — მაგიერი მოგიყვანეთო. ვინც უნდა, ის მოიყვანოს, რა ჩემი საქმეა, თუნდაც გომბეშო ჩაუწვენია ლოგინში, ჩემი შვილიშვილი არცაა მეტის ღირსი, მაგრამ ერთი-ორი დღე არ უნდა მოეთმინა?“

— წუხელაც სუფრა გქონდათ? — ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა.

— წუხანდელ სუფრას რომ გამოაკლდი, შენ ის გადარდებს, მამაო? — შეუბრუნა კითხვა ქაიხოსრომ.

— შენმა შვილიშვილმა გონჯი ქალი რომ მოიყვანა, შენ ის გიხარია? — შეჰღიმილა ზოსიმე მღვდელმა.

— მიხარიაო?! — შეიცხადა ქაიხოსრომ.

მერე ერთმანეთს უყურებდნენ, თითქოს ორივეს შეეშინდა საუბრის გაგრძელება. ზოსიმე მღვდელი თვალებს აჟუჟუნებდა, ღვინოს წრუპავდა და მსუქან, სისხლისფერ ტუჩებს აწკლაპუნებდა. ქაიხოსრომ უყურა, უყურა სახეში მღვდელს და ბოლოს თვითონაც გაეღიმა.

— ხალხი ვინ გყავდათ? ვინ მონახეთ იმ შუაღამისას? — ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა.

— ნიკოს ამხანაგები იყვნენ და მეფაიტონეები. რა ვიცი, ნიკოს ამხანაგები არიანო. ცალკე მოვიდნენ. ჯერ იმან მოაბრძანა პატარძალი ფაეტონით. ალაგებული სუფრა ხელახლა გაგვაშლევინა, ხალხი უკვე გზაშია, სირცხვილია, გაინძერით, ნიკოს ამხანაგები არიანო, მერე ისინიც მოვიდნენ. — თქვა ქაიხოსრომ. — მოვიდნენ! — თქვა ალექსანდრემ.

— ეი, ცალხელა, ნიკოს ძმაო! — ყვიროდნენ მთვრალები ალაყაფთან. „თვრამეტი ხელი აქვთ, მე კი — ერთი“, — გაიფიქრა ალექსანდრემ და წამოდგა: იცოდა, ისინი რომ მოვიდოდნენ. ალბათ, უნდოდა კიდეც, ისინი რომ მოსულიყვნენ და იმიტომ გააჩერა ალაყაფის წინ ფაეტონი. დამალვა არც უფიქრია. რა ჰქონდა დასამალი? დედის სულსა სცა პატივი და საყვარელი შვილის ამხანაგები დაუპატიჟა, როგორც მოახერხა, ისე დაპატიჟა, ტეტიურად. თუ რამე ეყარათ თავში, ისინიც მიხვდებოდნენ ამას, თუ არა და... „არა, ვერ გაბედავენ, უკვე ეშინიათ ჩემი“, — ფიქრობდა ალაყაფისკენ მიმავალი. დაინახეს თუ არა, მომხდურები მაშინვე გაჩუმდნენ. დაბნეული, უხერხული დუმილი ჩამოვარდა ერთბაშად.

— შენ ეი, ეს ცხენები ლატარიაში კი არ მომიგია. — დაუყვირა ერთ-ერთმა მეფაეტონემ.

— გიორგა, გააღე ალაყაფი. — დაიძახა ალექსანდრემ, ისე რომ თვალი არ მოუშორებია ცხრა კაცით დახუნძლული ფაეტონისთვის. მეფაეტონეები ტყუპი ძმებივით ისხდნენ კოფოზე, ერთმანეთის გვერდით: ცოდოც იყო მათი დაშორება. თუმცა,

მაინცდამაინც არც თვითონ ჩქარობდნენ დაცალკევებას. მეორე ფაეტონი, რომლითაც მარო და ალექსანდრე მოვიდნენ, ჯერ ისევ ცარიელი იდგა. მოსულმა და დამხვდურმა ცხენებმა რამდენჯერმე დაუფრუტუნეს ერთმანეთს: გიცანითო. დაბეგვილი, ნანჯღრევი, ერთმანეთზე ნაჯდომი შვიდი ნიკო სიცილით, ფერთხვა-ფერთხვითა და ზმორებით გადმოდიოდა ფაეტონიდან.

კარგ გუნებაზე იყვნენ, ღვინო ჯერ კიდევ უხიცინებდათ თავში, მათთვის ეს გასართობი თავგადასავალი იყო მხოლოდ, ქეიფისა და დროსტარების აუცილებელი გაგრძელება. რაკი ქალაქიდან გამოსულიყვნენ, ყველაფრიდან სიამოვნების მიღებას ცდილობდნენ და რაკი თვითონ მოცლილები იყვნენ, სხვებიც მოცლილები ეგონათ.

— ბატონო ჩემო, ღვინისთვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ თუ გინდათ, რომ შეგვერგოს კიდეც, გაგვარკვიეთ, ვინ არის ნიკო. ჩვენ ვერ გავიხსენეთ. ღმერთი-რჯული, ვერ გავიხსენეთ. ღვინო კი დავლიეთ, მაგრამ სინდისმა შეგვაწუხა, სინდისმაც და ღვინომაც. ხომ გაგიგიათ, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, იქნება შეგეშალათ და უნებურად ჩვენც გვაცდუნეთ? — ამბობდა ერთი.

დანარჩენები იცინოდნენ. ალექსანდრე უკვე გრძნობდა, სისულელე რომ ჩაიდინა, ნიკოს ამხანაგობა დასწამა ვიღაცეებს, თითქოს აუცილებელი იყო, ყველა ნიკოს ჭკუისა ყოფილიყო, ვისაც ქალაქურად ეცვა და ქალაქურად ლაპარაკობდა.

საბოდიშოდ გაიხადა საქმე. მეფაეტონეებივით იმათაც თითო მანეთიანს ხომ ვერ ააფარებდა პირზე? გინდაც ცნობოდათ ნიკო, გინდაც ნიკოს ამხანაგები ყოფილიყვნენ, თვითონ რა საერთო ჰქონდა ამ ხალხთან? რამ წამოუარა უცებ? თუმცა კარგად იცოდა, რამაც წამოუარა. იმათმა სიუცხოვემ, იმათმა აბდაუბდა ლაპარაკმა მიიზიდა, როგორც მწერი სინათლემ.

გააბრიყვა, როგორც მარო იაგორამ და ახლა, საკუთარი სახლის წინ ასვეტილი, ღვარძლიანად გრძნობდა ამას, ახლა ბრაზდებოდა, რადგან შეცდომის გამოსწორებას კი არ აპირებ-

და, არამედ გაღრმავებას, ბოლომდე უნდოდა ჩაჰყოლოდა, როგორც მარო ჩაჰყვა იაგორას ბოლომდე ვიღაცის საფლავში.

— ნიკო პატიმარია. ვითომც იმას დაელიოს. — თქვა ალექსანდრემ. ატყდა და რა ატყდა. დაბნეულმა ალექსანდრემ უნებურად გიორგას მოხედა, ზურგს უკან რომ ედგა ანთებული ჭრაქით ხელში. „გაუმარჯოს ნიკოსა.. გაუმარჯოს ყველა პატიმარსა, გაუმარჯოს პატიმრების ძმობასა... ყველანი პატიმრები ვართ!“ — ყვიროდა შვიდი ნიკო.

— ეგ არ გამეგო, შენც ვირის აბანოში ამოგაყოფინებდი თავს. — გადმოსძახა კოფოდან ერთ-ერთმა მეფაეტონემ.

— ცალხელა არ იყო... — ჩაიბურდღუნა მეორემ. ეტყობა, იმისი იყო მოტაცებული ფაეტონი და აქამდე გაოგნებული იმიტომ იჯდა, თვალებს არ უჯერებდა, კიდევ რომ ხედავდა თავის ცხენებსა და ფაეტონს.

— ნუ მემუქრები, თუ კაცი ხარ... — მშვიდად უთხრა ალექსანდრემ. ჯერ კიდევ ერეოდა თავს, ჯერ კიდევ სიამოვნებდა შეცდომის ტყვეობაში ყოფნა. — მეც ვიცი, რომ ცალხელა ვარ. — დაამატა უფრო მშვიდად, ღიმილით.

— ბატონებო, ბატონებო! ნიკოს სადღეგრძელო უნდა დაილიოს, აუცილებლად... გაგვიძეხი, მასპინძელო, აქეთ ჯერ ხომ კიდევ საქართველოა... გაუმარჯოს ძმობასა! რა გვაქვს საჩხუბარი... — ყვიროდა შვიდი ნიკო.

— მობრძანდით რა, — თქვა ალექსანდრემ. — ქელეხიცა მაქვს და ქორწილიც.

„ბაბუცა, გამოხედე, ქალო, ნიკოს ამხანაგები მოგივიდნენო“, — ტიროდა აღათია. მუნდირში გამოწყობილი ქაიხოსროს დანახვამ ყველაზე ძალიან მეფაეტონეები დააბნია. გაბრუნება დააპირეს, მაგრამ ალექსანდრემ მკლავი ჯოხივით ჩაუდგათ კარში. სუფრასთანაც გვერდიგვერდ ისხდნენ, ისხდნენ და არ იცოდნენ, სად წაეღოთ ხელები, ხან მუხლებზე დაიწყობდნენ, ხან მაგიდაზე. ქუდები არ მოუხდიათ, რაღაცნაირად გვერდუ-

ლად ისხდნენ, მოუხერხებლად, ეკუთვნოდნენ და არც ეკუთ-ვნოდნენ სუფრას, ყოველ წუთას წამოწევა უხდებოდათ, რამეს რომ მისწვდენოდნენ, თუმცა პურისა და ყველის მეტი არაფერი გადაუღიათ, მთელი დღე არა ვჭამთო, თავს იმართლებდნენ და თან ერთმანეთს აქილიკავებდნენ დაუნდობლად, ძველ ამბებს უხსენებდნენ, რათა სხვები გაეცინებინათ და სხვების სიცილში მიეჩქმალათ თავიანთი სიმორცხვე და დაბნეულობა. „ამან ერ-თხელ ცხენზე მეტი შვრია შეჭამა. ცხენს გავაჯიბრეთ და აჯობა“, — ამბობდა ერთი. მეორე კი, იღიმებოდა, მაგიდაზე დარჩენილ ხელსა მუშტავდა, ჭუჭყიანი ფრჩხილები რომ დაემალა.

— დედაჩემი გუშინ დავმარხეთ. ეს კი მაროა. აი, დუქანში რომ ტიროდა... დედაჩემს ტიროდა. — თქვა ალექსანდრემ.

ყველამ რაღაცა ჩაიბურდღუნა, სამძიმარისა და თანაგ-რძნობის გამომხატველი. მარო თავჩაღუნული იჯდა და ისევ სუფრას წიწკნიდა. ყველაზე უცხო ის იყო, სტუმარზეც და მას-პინძელზეც. „ეს სად მომიყვანაო“, — ფიქრობდა შეშფოთებუ-ლი.

ვერაფერს ხედავდა უზარმაზარი, ყვითლად აბრიალებული ლამპის მეტს, თითქოს ლამპა მარტო მისთვის მიეშუქებინათ, უკეთესად რომ დაეთვალიერებინათ იგი დანარჩენებს. მერე ღვინომ მაინც თავისი გაიტანა და აალაპარაკა ყალბი სიახლო-ვით გაბრიყვებული ხალხი. სუფრა ახმაურდა, ამოძრავდა და მარომაც შვებით ამოისუნთქა. დროისა და სივრცის ოკეანეში შემთხვევითა და დროებით დაკავშირებულნი, დარწმუნებულნი იყვნენ, ხვალაც მოიკითხავდნენ ერთმანეთს, ხვალაც იგივე აზ-რი და მომხიბვლელობა შერჩებოდათ სიტყვებს, რომლებსაც ახლა ისეთი გზნებითა და თავმომწონეობით წარმოსთქვამ-დნენ, თითქოს იმ სიტყვებზე იყო დამოკიდებული, თუ მთელი ქვეყნის არა, ერთი ოჯახის ბედი მაინც. „წავიდა, დამთავრდა, ჩვენდა სამწუხაროდ, გენერლების თაობა, ბატონო ქაიხოსრო. ვერ გაგიმართლეთ შვილებმა“, — ამბობდა ნიკოს რომელიღაც მეშვიდედი. „სამაგიეროდ, ვექილების თაობა მოდის, — გაიძა-ხოდა სხვა მეშვიდედი — როცა ხმალი დაჩლუნგდება, ენამ უნდა გასჭრას“. „ბატონებო, ბატონებო, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ სრულიად სხვა, რა თქმა უნდა, უარესი წარმოდ-

გენა მქონდა ქართულ სოფელზე. როგორც ირკვევა, ცივილიზაციისათვის საზღვრები არ არსებობს“, „ბატონო ვარლამ, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი არასწორი წარმოდგენა გაქვთ.

(მსოფლიო მოქალაქე გახლავთ, ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს, ასე რომ, ჩვენი საერთო სტუმარია, უფრო სწორედ, საერთო მასპინძელი). მართალი ბრძანეთ, ცივილიზაციისათვის საზღვრები არ არსებობსო, მაგრამ გასახარი და საამაყო არაფერია ამაში, რადგან კაცობრიობის ერთიანობას ერთ ქარგაზე გამოჭრილი ნიფხავი კი არ განაპირობებს, არამედ დიადისკენ ერთნაირი მიდრეკილება, შექმნის მოთხოვნილება და უნარი. საერთო ფეხსადგილში ერთნაირად გაჭირვებული ხალხი იყრის თავს და არა — ერთნაირად მოაზროვნე. ამ პატრიარქალურ ოჯახს გაუმარჯოს“. „აქ მაინც გამანებე თავი, ვეჟო“, „ბატონებო, ბატონებო, ოჯახის სადღეგრძელო ისმევა“. „წავიდა, დამთავრდა გენერლების თაობა“. „მე მხოლოდ მაიორი გახლავართ“. „რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო. მე ჩინს კი არ ვგულისხმობ, არამედ — სულს“, „ბარემ ისიცა თქვი შენი მურტალი ენითა, მარილის მაგივრად მიწა რომ ჩამიყარეთ ლობიოში“, „ხე, ხე... ხა, ხა...“ „ფუი, დასწყევლოს ღმერთმა“ „ესეც დავლიოთ და შაბაშ! თავი უკვე მირატრატებს“. „ნუ გეშინია, მე წავიყვან ფაეტონს“. „ქუდებით რატომ სხედხართ სუფრასთან?“ „წასვლის დროა, თქვენი ჭირიმე“. არავინ აკავებდათ, წასვლა თუ უნდოდათ, გზა ხსნილი ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე ვერ ახერხებდნენ წასვლას, ვერ ბედავდნენ, თითქოს დიდ დანაშაულს ჩაიდენდნენ, გაანაწყენებდნენ ოჯახს, რომელთანაც არც აქამდე ჰქონდათ რამე საერთო და არც ამის მერე ექნებოდათ. მაგრამ საკუთარი ნალაპარაკევი აბრიყვებდათ, საკუთარი ნალაპარაკევი ბორკილებად დასდებოდათ ხელ-ფეხზე. იმდენი ექოთ და ედიდებინათ ეს ოჯახი, იმდენნაირად გამოეთქვათ დაუვიწყრობის, სამაგიერო სიკეთის გადახდისა და სამარადისო მეგობრობის პირობა, ახლა მართლა უხერხული იყო, ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ, როგორც ჩვეულებრივ სტუმრებს შეეფერებათ. ერთმანეთს აქეზებდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბოლოო, გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმაში და თვითონაც ვეღარ გრძნობდნენ, თავიანთ ჭკუაზე რომ ათამაშებდნენ სიტყვები, სიტყვები რომ ბატონობდნენ მათზე და არა ისი-

ნი სიტყვებზე. ერთი ნაბიჯიღა აკლდათ სიგიჟემდე, რადგან იმ წუთას მართლა სჯეროდათ, კაცობრიობის გაზაფხული კარზე რომ იყო მომდგარი, დროშებითა და გალობით რომ შეეგებებოდა ხალხი სატუსაღოდან გამოსულ ნიკოს და ეს ოჯახი კვლავაც რომ დარჩებოდა სიკეთის, სიდარბაისლის, პატიოსნებისა და თავისუფლების ტაძრად.

ქათქათა პერანგებსა და შავ სერთუკებში გამოწყობილნი, მერცხლებს გავდნენ და მერცხლებივით ჭიკჭიკებდნენ. ტყუილად იყვნენ ვექილები? ვექილი იმისია, თეთრი შავად რომ მოგაჩვენოს, შავი კიდევ თეთრად. ენა უძვლოა,. საითაც გინდა,.

იქით შეატრიალებ. ხოდა, ისინიც ატრიალებდნენ, ატრიალებდნენ არღნის სახელურივით. ესაა მათი ხელობა: სიტყვებით ოინბაზობა, კაცის გაბრიყვება. ხარაზმა რაც არ უნდა ცუდი წუღა შეკეროს, მაინც წუღაა, ჩაიცმევა ერთ-ორ თვეს თავს გაგატანინებს; რაც არ უნდა კოჭლი სკამი გააკეთოს დურგალმა, რამეს შეუყენებ და მაინც დაიჯდომება ზედ. ესენი კი, თავიანთი გრძელი ენებით ჰაერს ჭრიან და კერავენ, არც ტყავი ჭირდებათ და არც ფიცარი. რაც მოეპრიანებათ, იმას შეაკოწიწებენ ბრიყვი კაცისგან. განავალში რომ იჯდეს ყელამდე, დააჯერებენ — ოქროში ზიხარო; თაგვის გაფაჩუნებისაც რომ ეშინოდეს, გმირობას დააბრალებენ, მაიორის მუნდირი კი გაცვია, მაგრამ, გინდა თუ არა, გენერალი ხარო; ლექსის წერის მეტი რომ არაფერი შეეძლოს, ყუმბარას ასროლინებენ, ხალხისთვის წამებულ რაინდად მონათლავენ და... ციხეში უკრავენ თავს, რადგან თვითონვე დაუდგნენ ვექილებად და ილაქლაქონ, ილაქლაქონ, ილაქლაქონ, სანამ თავფეხიანად არ გაკრეჭენ ხალხისთვის წამებული რაინდის ნათესავებს. ნიკო ციხეში, ისინი კი — დუქან-დუქან, ფაეტონებით, დამკვრელებით!

კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ იქამდე არაფერი ეტკინოთო, სანამ ამ პურ-მარილის მეტი კიდევ რამე დასტყუონ მაკაბელების ოჯახს. ეს პურ-მარილი ისედაც გაოხრდებოდა, მაინც გადასაყრელი იყო, სამგზის ალაგებული და სამგზის ხელახლა გამოტანილი. ჭამონ და სვან, რამდენიც ჩაეტევათ, ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ ნუ იფიქრებენ, რომ ალექსანდრეც

გააბრიყვეს, ალექსანდრესაც მოაწონეს თავი და ერთი სიტყვა მაინც დააჯერეს, ალექსანდრემდე ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ, რადგან ალექსანდრემ მუქთად დააძღოთ, ისინი კი, მუქთად საკუთარ დედას არ დაიცავენ. ახლა კი, ადგნენ და წავიდნენ, შეაყოლონ, თორემ, შეიძლება, ვეღარ მოითმინოს ალექსანდრემ და რაც პატივი სცათ, სულ ძმრად ადინოს ცხვირებიდან.

ნიკოც ეყოფათ, იმაზედაც მადლობა თქვან, ნიკო რომ ჩაიგდეს ხელში. ჩაიგდეს და ჩაიგდეს, ისიც შეარგოთ ღმერთმა, რადგან ახია ნიკოზე, თვითონ ჩაუვარდათ პირში, თვითონ ისე წაიყვანა საქმე, ამათი დასაცველი რომ გამხდარიყო ბოლოს. იმიტომაც შემოჰკრეს ტაში, იმიტომაც იყვირეს, გაუმარჯოს ყველა პატიმარსო, რადგან ნიკოს ვეღარავინ გააგდებინებთ ხელიდან. ნიკო მათია და სანამ ბოლომდე არ გამოსწოვენ სისხლს, სანამ ბროწეულივით არ გამოწურავენ, არ შეეშვებიან და არც უნდა შეეშვან, რადგან ნიკოც იგივეა მათთვის, რაც ობობასთვის — აბლაბუდაში მოხვედრილი ბუზი. როგორც ობობა ოცნებობს, ნეტავ ყველა ბუზი ჩემს ქსელში გაეხვეოდესო, ისე ოცნებობენ ისინიც, რომ ყველანი პატიმრები იყვნენ, რადგან ვექილისათვის პატიმარი იგივეა, რაც ხარაზისათვის ტყავი, ანდა დურგლისთვის ფიცარი. ახლა კი წავიდნენ, იქეიფეს და ეყოფათ. ახლავე თუ არ წავლენ, მერე შეიძლება, სანანებლად გაუხდეთ საქმე.

— ვექილებო! — დაიყვირა ალექსანდრემ და წამოდგა. გაშლილი მკლავი მაგიდაზე ჰქონდა დაბჯენილი, კეტივით.

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა, როგორც წეღან, დუქანში, როცა მარო ტიროდა.

— პირკატა გვეცა ყველას, — უყვებოდა მეორე დღეს ქაიხოსრო ზოსიმე მღვდელს — დაიშალეთ, გათავდა ქეიფი, ისიც გეყოფათ, ძმა რომ გამიბრიყვეთო. არც კი გააცილა. არც ჩვენ მოგვცა გაცილების ნება. როგორც მოვიდნენ, ისევე წავლენ, გზა არც აქეთობას უსწავლებია მაგათთვის ვისმესო. თავი მოგვეჭრა და ეგაა, რას იტყვის ის პატიოსანი ხალხი, ან რას გვპატიჟებდნენ, ან რას გამოგვლალეს საყდრის გლახებივითაო. არ იტყვიან? ჩვენს ოჯახში წესიერი კაცი არც შემოიშვება, მაგრამ

ერთი საღამო მაინც მოეთმინა, დედის ხსოვნისთვის მაინც ეცა პატივი. მე რომ მაქეს და მადიდეს, ის ეწყინა, ის ვერ აიტანა. ჩემი სადღეგრძელო რომ დალიეს, ისა და მისი გომბეშო თვალს უშვრებოდნენ ერთმანეთს. რა მოხდა, გინდაც გადამეტებულად შეგაქოს სტუმარმა, გინდაც ჩინი მოგიმატოს?! შენ ხომ ამით არაფერი გაკლდება? ახია ჩემზე, მამაო, ახია, ცხოვრებას ზურგი შევაქციე და ტალახში დავიწყე თითხნა. ტალახიდან ღმერთს რა გამოუვიდა, მე რომ გამომსვლოდა.

— ღმერთს ვინ დაუფასა, შენთვის რომ დაეფასებინათ. — თვალები ააჟუჟუნა ზოსიმე მღვდელმა.

— ვერ გავიგე და რა ვქნა. მომკალი, თუ გინდა. — გაიღიმა ქაიხოსრომ. — — რა? რა ვერ გაიგე? — გადმოიხარა ზოსიმე მღვდელი.

— რას მაბრალებ. — მაშინვე უპასუხა ქაიხოსრომ და სახეში შეაჩერდა, ჯერ ისევ მომღიმარი, მაგრამ შეწუხებული, დაბნეული, ცნობისმოყვარეობას აყოლილი კაცივით.

— ხოოო, — გააგრძელა ზოსიმე მღვდელმა და ისევ სკამის ზურგს მიესვენა. ღვინით სავსე ჭიქა ორივე ხელით ეჭირა, სათუთად, მოწიწებით, თითქოს ცოცხალი არსება იყო და ხელი რომ გაეშვა, წაუვიდოდა, გაუფრინდებოდა. — სხვა რაო? არაფერი უთქვამთ? ჩასხდნენ და წავიდნენ?

— ჩასხდნენ და წავიდნენ. რატომ არ მეტყვი, მამაო, რაში მადანაშაულებ. ხომ უნდა ვიცოდე? — უთხრა ქაიხოსრომ. — ჩასხდნენ და წავიდნენ, — გააგრძელა მაშინვე, თითქოს პასუხისა შეეშინდა, თითქოს იმ წუთას თვითონვე მიხვდა, რაში ადანაშაულებდა ზოსიმე მღვდელი და რაკი თვითონვე მიხვდა, აღარ ჩააცივდა ზედმეტად. — სამასსამოცდახუთი წმინდა გიორგი შეგეწიოთო, გარედან იძახდნენ, სანამ ფაეტონებს მოაბრუნებდნენ. ამან კი, თავისი გომბეშო დედის ოთახში შეათრია, დღეიდან ჩვენ ვიცხოვრებთ აქაო, მე გადმომკრა, მე ხომ იმ ოთახის ამოქოლვა მინდოდა? ოთახების მეტი რაა, მაგრამ მაინცდამაინც იქ შეყო ცხვირი, რათა დედის სენიც ჩემს წინააღმდეგ გამოიყენოს, უარესად რომ დამაჯდეს თავზე. რაკი თვითონ და-

იმართებს, სხვებსაც დასვრის და ამით დამთავრდება ყველაფერი. არ მოისვენებს, სანამ არ დააქცევს აქაურობას. თუ არ ვუნდივართ, წავიდეს, გაგვანებოს თავი. შენ თუ ხევში ვარდები, მე რატომ უნდა გადმოგყვე, ჰა? მე ეს სახლი ჩემთვის ავიშენე, შენ ხომ იცი, ჩემი ხელით ავაშენე და ვისაც არ მოსწონს, მიბრძანდეს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. ისიც მეყოფა, ჩემმა სულელმა შვილმა ჭლექიანი ქალი რომ მომიყვანა. კუდაბზიკა იმერელი კი არა, ინგლისის დედოფალი არ მინდა ჭლექიანი, ადამიანო. ყველა მე რატომ უნდა ჩამიდგეს კრიჭაში? რატომ უნდა უნდოდეს ყველას ჩემი სიკვდილი, შინაურსაც და გარეულსაც? ვისაც მე არ ვუნდივარ, არც მე მინდა, კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, სულელიც გამომიყვანეს, მტრებით გავავსე სახლი. მე არ ვიცი, შენი ღმერთი რას ფიქრობს, მაგრამ მე ჩემი ჭკუა მაქვს ჯერ. ერთ დღეს აღარ გავიჩერებ არავის, ვისაც ჩემი სიცოცხლე თავისას არ ურჩევნია. მე ჭერი მივცე, პური ვაჭამო, ჩავაცვა და დავახურო, იმათ კი, აღარ იცოდნენ, როგორ და რანაირად მომიღონ ბოლო? ااااარა, თქვენო უუუწმინდესობავ. სამაგისო კბილები დიდი ხნის წინათ მოვიცვალე. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, გავაგდე.

წუხელვე გავყარე ორივენი. — უცებ მოსჭრა ქაიხოსრომ.

„გასკდა ნაღველი, გადმოიღვარა, ახლა აღარაფერი ეშველება, — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი. — წავა, მოედება ქვეყანას“. მერე დიდხანს დუმდნენ ორივენი. ათასში ერთხელ ღვინოს თუ მოწრუპავდნენ უხალისოდ.

— არ უნდა გაგეშვა. — თქვა ბოლოს ზოსიმე მღვდელმა.

— რას ქვია, არ გამეშვა, გავაგდე-მეთქი, ადამიანო. — გაბრაზდა ქაიხოსრო — ბაბუცას ლოგინივით უნდა დაგეწვა ორივენი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ქაიხოსროს გაკვირვებული სახე დაედო, ისევ ცნობისმოყვარე კაცის მავედრებელი თვალებით მიაჩერდა ზოსიმე მღვდელს.

მაგრამ ახლაც ვერ გაიგო, ხუმრობდა თუ გულწრფელად ლაპარაკობდა იგი. ზოსიმე მღვდელს ნირიც არ შეუცვლია, მშვიდად უსწორებდა მოჟუჟუნე თვალებს. „იცის, ყველაფერი იცის, — გაიფიქრა ქაიხოსრომ. — თუმცა არასდროს არ გვილაპარაკია გულახდილად“, გახვრეტილი შაურიანის ფასიც აღარ ჰქონდა ზოსიმე მღვდლის, ვინ იცის, რა გზებით შეძენილ ცოდნას, რადგან ქაიხოსრომ იმავე წუთას იგრძნო პირველად, რა უმნიშვნელო იყო მისი საიდუმლო, აზრი დაჰკარგვოდა, როგორც დიდი ხნის დამარხულ ღვინოს — გემო და სიმაგრე, ახლა გინდაც სამრეკლოდან დაეძახა: მაკაბელი არა ვარო, ან არ დაუჯერებდნენ, ან მხრებს აიჩეჩავდნენ, რადგან მართლა აღარაფერს ნიშნავდა, ოდესღაც ვინ იყო იგი, ან ვინ იქნებოდა, სხვანაირად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება. ახლა გინდაც უარი ეთქვა მითვისებულ გვარზე, სხვებს მაინც ვერ დაავიწყებდა, სხვებისთვის მაინც მაკაბელად დარჩებოდა სიკვდილამდეც და სიკვდილის მერეც, რადგან მხოლოდ ამ გვართან დაკავშირებით შეეძლებოდათ მისი გარეგნობის, მისი ჩვევებისა და საერთოდ მისი ცხოვრების გახსენება; ნამდვილი გვარი კი, თვითონაც აღარ ახსოვდა და გინდაც გაეხსენებინა, ის უფრო უცხო იქნებოდა მისთვის, შეუფერებელი და საჩოთირო, სხვებისთვის კი — ყალბი, გამოგონილი, დამაეჭვებელი, რადგან ადამიანისთვის ნამდვილი ის არის, რასაც ეჩვევა ყოველდღიურად, თანდათანობით და სამუდამოდ, ქაიხოსროს სიცილი აუვარდა, პირმოკუმული იცინოდა, უხეშად, უსიამოდ. მერე ზოსიმე მღვდელმაც ჩაიკიკინა ყელში, პირწაქცეული კოკურასავით. — რაღა ცოდვის მომატება გინდოდა, შე უბედურო. — მოაყოლა უცებ.

— უსამართლოა შენი ღმერთი, მამაო, უსამართლო. — კბილებში გამოსცრა ქაიხოსრომ.

ხელებს ყველაფერი ახსოვდათ. გაშლილ მტევნებს ერთმანეთს მიატყუპებდა, მუხლებზე დაიწყობდა და ტყვიისაგან გაჩენილ ფოსოებს ჩასცქეროდა, როგორც მკვდარი მეგობრის თვალებს. მკვდარი მეგობრის გვამივით მოიტანა იმ ღამეს საკუთარ სისხლში ამოსვრილი ხელები შინ. მეათასედიც არ იცოდა მისმა ცოლ-შვილმა იმისი, რაც ამ ხელებმა იცოდნენ, რაც ამ ხელებს მასთან ერთად განეცადათ, ცუდიცა და კარგიც. მისი ოთხივე ცოლი მიხვედრილი იყო, ქრისტიან ქალთან რომ დადიოდა იგი, მაგრამ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ თუკი მართლა უყვარდა ვინმე ამ ქვეყანაზე, ის ქრისტიანი ქალი იყო მხოლოდ, ხელებმა ესეც იცოდნენ, მათი მეშვეობით იშორებდა ის, ტანისამოსთან ერთად, ოჯახსაც და რჯულსაც, თავმოყვარეობის, მოვალეობისა და შიშის გრძნობასაც, და როგორც სიცხეში ნავალი მგზავრი — უცხო მდინარეში, დაუფიქრებლად, დაუდევრად შედიოდა სიყვარულის გრილსა და ხავერდოვან ზვირთებში, გაბავშვებული, განწმენდილი, გაკეთილშობილებული მისი სიანკარით, სიმშვიდით, სიუხვითა და იდუმალი, სახიფათო, მტკივნეულად მიმზიდველი სიღრმეების შეგრძნებით. იმ სიყვარულის სუნი ასდიოდა, რადგან მისმა ცოლებმა ყოველთვის შეუმცდარად იცოდნენ, საიდან და ვისგან ბრუნდებოდა იგი. ცხვრის ტყავებზე მიგდებული, განცდილ ნეტარებას იგონებდა და ნებივრად იღიმებოდა ცოლების ბუზღუნზე, კეთილი და უწყინარი, როგორც ყველანაირი ნადირი საკუთარ ბუნაგში, თუმცა თვითონვე გრძნობდა, როგორ გადაჩვეოდა აქაურობას. მაგრამ სრულებითაც არ ადარდებდა ეს ამბავი, არც სინდისი ქენჯნიდა: ოჯახი ვალი იყო, ის კი — ჯილდო. ბნელ კუთხეებში მისი შთამომავლობა ფუტფუტებდა. ერთმანეთის მიყოლებით გაჩენილი, ლამის ერთი ასაკის ბავშვები შორიდან ზვერავდნენ ცხვრის ტყავებზე მიწოლილს, თეთრი ლაქებივით კრთოდნენ ჭრაქის შუქზე მათი ტიტლიკანა მუცლები და დუნდულები, მაგრამ ოთხი ქალის ნაშიერნი უკვე გუმანითა გრძნობდნენ, ბრმად და სამუდამოდ აღიარებდნენ უკვე ერთადერთი მამის სიდიადესა და ძალაუფლებას, როგორც ქვეყნის ოთხივე კუთხიდან დაძრული მორწმუნენი — ქვეყნის შუაგულში დაბრძანებული ღვთაებისას.

ერთნაირად დაეჭვებული, შეშფოთებული და გაბრაზებული ოთხი ქალი მის ტანსაცმელს ყნოსავდა, ქექავდა და ფერთხავდა, ის კი, მოგონებებს უღიმოდა და ბედნიერი იყო, რადგან ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ ეს ოთხი რამეთი ემუქრებოდა იმ ერთის, იმ ერთადერთის არსებობას. მერე სისხლში ამოთხვრილი რომ მობრუნდა შინ, ცოლების თვალებში სიხარული დაინახა, შვილებისაში კი — რისხვა. ხელებს დიდხანს ვერ ხმარობდა, ბევრჯერ ჩაულპა და გაუმიზეზდა ნატყვიარი, მაგრამ მშვიდად, უდრტვინველად ითმენდა ტკივილსაც და უმწეობასაც. ჭრელი ჩვრებით მრავალგზის გადახვეული ხელები მსუქანი მუთაქებივით ეყარა გულზე და ჭერს შესცქეროდა. მთლად მართალი არ იქნება იმისი თქმა, რომ გულგრილი იყო ყველაფრისადმი, მაგრამ არ იცოდა, რა ეღონა, როგორ მოქცეულიყო, ახლა კი არა, საერთოდ, თუკი აღარ მიესვლებოდა იქ, იმასთან ურომლისოდაც აღარც ჯალაბს ჰქონდა მისთვის ფასი და აღარც საქონელს.., აღარც კაცობას. უსაშველო, გამაბრუებელი, გამაზარმაცებელი სევდა ჩასახლებოდა შიგანში და გატრუნული უსმენდა იმის გაუთავებელ ფაჩუნს, კვნესასა და ოხვრას. ჯერ სხვა არაფერი უნდოდა და არც შეეძლო. „ჯადო აჭამა იმ კუდიანმაო“, — ვიშვიშებდნენ მისი ცოლები და პირველად თავის სიცოცხლეში, ცოლებისა რცხვენოდა, იმიტომ კი არა, იმასთან რომ ღალატობდა, არამედ ცოლებმაც რომ იცოდნენ, ის რომ დაეკარგა. დარწმუნებული იყო, ცოლები ღალატს უფრო აპატიებდნენ, ვიდრე იმის დათმობას, და მართლა რომ ესწავლებინა მათთვის გზა, თმით მოუთრევდნენ, ქოხში დაუბამდნენ, ოღონდ ასე უბრად და უმწეოდ არ წოლილიყო მათი პატრონი და მარჩენალი, ოღონდ ისევ მობრუნებოდა გული ოჯახზე და საქმეზე. ის კი, ჭერს შესცქეროდა, შეფუთნული ხელები მუთაქებივით ეყარა გულზე და გრძნობდა, როგორ სასიამოვნოდ ღრღნიდა, როგორ აქუცმაცებდა შიგნიდან სევდის ვირთხა. მერე ნატყვიარები აჰქავდა და კბილით იგლეჯდა სახვევს, საკუთარი ხელები ეჩოთირებოდა, საკუთარი ხელები აწუხებდა, როგორც მოპარული საქონელი, რომელიც ან დროულად და საიმედოდ უნდა გადამალო, ან დროულად და სამუდამოდ უნდა მოიშორო თავიდან, მით უფრო, თუ ის საქონელი დამღიანია და იმ დამღას ყველგან სცნობენ. ხელები აიძულებდნენ დაბრუნებოდა ცხოვრებას, ისევ მამაკაცი ყოფილიყო, ისევ გარეულიყო

ცხვარში, საქონელში, ქოფაკებსა და ცხენებში: კვირაობით, თვეობით, მჯდარიყო ჩაიხანაში და გახურებული სხეულიდან ოფლისათვის გამოეტანინებინა ყოველგვარი უჟმური სევდა და სინანული არ შეეფერებოდა ბატკნის თავისხელა მუშტების პატრონს, სადარდებლად და სანანებლად სხვისთვის უნდა გაეხადა საქმე, მაგრამ ისიც ვერ გაერკვია აქამდე, ვისი ჯავრი სჭირდა და, საერთოდ, სჭირდა თუ არა ვინმეს ჯავრი. გაბოროტებული კი არ იყო, არამედ — განაწყენებული, თანაც უსამართლოდ, რადგან, მისი ჭკუით, თვითონ იყო პატრონი იმისიც და იმის შვილისაც, ბოლოს კი, ყველაფერი შებრუნებულად გამოვიდა:

ამისაგან დაიცვეს ისინი. მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი. ერთი მაიორი კი არა, ბატალიონი ვერ ააღებინებდა ხელს ათი წლის სიყვარულზე, იმათგანაც რომ ეგრძნო სიყვარული. მისი ცოლებისა არ იყოს, ათი წელი თურმე ჯადოთი იყო შეპყრობილი, ვიღაცის ნათესლარს სულში იძვრენდა, როცა ისიც არ იცოდა, რამდენი ჰყავდა საკუთარი. ათი წელი ფეხებს უკოცნიდა უცხო რჯულის ქალს, თანაც ნასხვისარს, როცა მისი ფეხის ნაბანის გატანაზე ნაგაზებივით გლეჯდა ერთმანეთს ოთხი ქალი. ათი წელი ჩერჩეტ გოგოსავით შეყვარებული დადიოდა და დაუფიქრებლად გამოჭრიდა ყელს, ცოლი იქნებოდა თუ შვილი, ვინც პირველი გადაუდგებოდა წინ ურუქისკენ მიმავალ გზაზე. ათი წლის განმავლობაში სხვა კაცი იყო, სხვა გული ედგა საგულეში, სხვა თვალები ესხა შუბლზე და ამას ერთბაშად, ერთ ღამეში მიხვდა, მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო სწორედ, რომ ის ათი ბრმა წელიწადი ყველაზე ძვირფასი დრო იყო მისთვის, მაშინაც და ახლაც, როცა უკვე ყველაფერი გარკვეულიყო, უფრო სწორად, როცა ის ათი წელი მას აღარ ეკუთვნოდა, სამუდამოდ მოწყვეტოდა მის სიცოცხლეს და ცალკე ფართხალებდა, ხვლიკის კუდივით.

შურისძიების სურვილი არ გასჩენია, რადგან დარწმუნებული არ იყო, ნამდვილად რომ ეკუთვნოდა ის, რაც დაჰკარგვოდა, რაც თავისი ეგონა, მხოლოდ და მხოლოდ თავისივე სიბრიყვის გამო. მაგრამ შურისძიებაზე მაინც ფიქრობდა, უნდოდა თუ არა, შური უნდა ეძია, რადგან ეს მარტო, მის სურვილზე აღარ იყო დამოკიდებული, ეს უკვე ვალდებულება იყო ღმერთისა და შთამომავლობის წინაშე, მისი ტიტლიკანა შთამომავ-

ლობის წინაშე, ფარასავით რომ გამრავლებულიყო და ოთხი დედაკაცი ოთხი ავი ნაგაზივით დასტრიალებდა თავს. ისინი ყველაფერს მოითმენდნენ, ყველაფერს აპატიებდნენ, ქრისტიანი ქალის ლოგინში კოტრიალსაც და ქრისტიანი ბავშვისთვის გახიდულ ერბოსაც, მაგრამ ქალისგან უარყოფილი კაცის ცოლობასა და ჯავრნაჭამი მამის შვილობას უმალ სიკვდილს ამჯობინებდნენ, უმალ მონებად გაიყიდებოდნენ, რადგან მაინც აღარ ეცხოვრებოდათ ამ ცის ქვეშ და ამ მიწაზე, სადაც სისხლი სისხლით იბანება მხოლოდ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ანჩხლდებოდნენ, მით უფრო უთამამდებოდნენ ცოლები, ახლა ვერ ურიგდებოდნენ ათი წლის განმავლობაში დაკარგულსა და ჩაყლაპულს. ის კი არ ჩქარობდა, რადგან შურისძიებაზე ფიქრი, ასე თუ ისე, კიდევ აკავშირებდა იმათთან, შურისძიების მერე კი, ესეც აღარ ექნებოდა. არც ერთი ბავშვი არ გაზრდილა მის ჭერქვეშ, თითი რომ არ ჩაეყოფინებინოს ნატყვიარში. ლაჯებში ჩაიყენებდა, ჩაბღუჯავდა მის სუსტსა და დაძაბულ ხელს და იქამდე ისვამდა ნატყვიარზე, სანამ ბავშვის დაცქვეტილსა და სირსველიან სახეს გაუაზრებელი სიხარულისა და ასევე გაუაზრებელი სიამაყის ღიმილი არ გადაეფინებოდა ხოლმე, რასაც უსაფუძვლო ეჭვისა და შიშის გაქარწყლება აჩენს. თვითონაც არ იცოდა, რატომ იქცეოდა ასე. ალბათ, ეგონა, რომ მის ნატყვიარ ხელებს უფრო მეტის თქმა შეეძლოთ ბავშვებისთვის, ვიდრე მის ენას. ამ ორ ნატყვიარში, ორ დანაოჭებულ ფოსოში, მთელი მისი ცხოვრება იყო ჩატენილი, ჩალექილი, ჩამკვდარი, რომლის მოყოლასაც ის არ აპირებდა, იმიტომ კი არა, ბევრი რამე თვითონვე რომ ეჩოთირებოდა, იმიტომ, რომ ის მისი ცხოვრება იყო და სხვას, გინდაც საკუთარ შვილსაც, ხელი არ მიუწვდებოდა. რაც სააშკარაოზე იყო, რისი დამალვაც არ შეიძლებოდა, გამგები იმითაც ბევრს გაიგებდა. ჭრილობა უფრო მეტს და უკეთესად ლაპარაკობს კაცზე, ვიდრე კაცი ჭრილობაზე. ამას ბავშვის თვალებშიც კითხულობდა, სადაც წამიერ დაბნეულობასა და ცნობისმოყვარეობას, რისხვა და შურისძიების წყურვილი ენაცვლებოდა. ასე რომ, მარტო თავშესაქცევად არ ათვალიერებინებდა იგი თავის ნატყვიარ ხელებს ჯერ შვილებსა და მერე შვილიშვილებს, ისინი ჭრილობის უხეში და უშნო ნაოჭებიდან ცხოვრების ამოკითხვას სწავლობდნენ თავიანთი ჯერ კიდევ ნაზი და სუსტი თითებით, როგორც ბრმები —

ანბანისას, შურისძიება გარდაუვალი იყო და ახლა ისღა რჩებოდა გადასაწყვეტი, ვისზე უნდა ეძია შური, იმ ორიდან რომელი უფრო იმსახურებდა სიკვდილს, დედა თუ შვილი; მაიორზე არც ფიქრობდა, მაიორი იგივე იყო მისთვის, რაც მაიორის დამბაჩა. მაიორის სიკვდილი არავითარ კვალს არ დატოვებდა მის სულში, რადგან არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მის მიმართ, არც იქამდე და არც იმის მერე, ისინი კი, მაიორის ზურგს ამოფარებული დედა-შვილი, იქამდეც უყვარდა და იმის მერეც. სისხლს კი არ მისტიროდა იგი, ათი წლის სიყვარულის გაბითურება ხეთქავდა გულზე. რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ღრმად ეფლობოდა ფიქრებში, მით უფრო რწმუნდებოდა, დედაზე მეტად შვილზე რომ იყო ნაწყენი. გიორგა რომ არ ყოფილიყო, ვერც ანა გაუბედავდა ღალატს, რადგან ანამ მაიორში კი არ გასცვალა იგი, არამედ გიორგაში. გიორგამ აითვალწუნა იგი და არა ანამ. მერე კი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ანამ შვილი არჩია საყვარელს. ძნელი იყო, მწარე იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ანას გამართლება. ანა ქალი იყო და თავის მოვალეობას ასრულებდა, იმას ეკუთვნოდა, ვინც ზემოდან დასცქეროდა, ვისაც უფრო სჭირდებოდა და მეტი ძალა ჰქონდა მის დასანარჩუნებლად. ამან კი, სიყვარულობანა გაუმართა, ოჯახშიც შეირცხვინა თავი და ოჯახს გარეთაც, მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი მოგონებად ქცეულიყო, ვნების ცეცხლიც ჩამქრალიყო და ჩაფერფლილიყო, როცა უკვე მისი შვილები იტაცებდნენ და ყიდულობდნენ ქალებს, როცა უკვე შვილიშვილები უყოფდნენ მხდალსა და ცნობისმოყვარე თითებს ნატყვიარებში, სულის შემძვრელი სევდითა და წუხილით გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში მთავარი ანა კი არ იყო, არამედ გიორგა, ათი წელი ანას კი არ აწონებდა თავს, არამედ გიორგას, რადგან ანას, რა წუთსაც მოინდომებდა, მაშინ დაისვამდა ცოლად, აკი ამ მიზნით მიბრუნდა იმ წყეულ ღამეს იმ წყეულ ურუქში, მაგრამ გიორგას ვერასოდეს და ვერავითარი ჯადოქრობით ვერ ჩაუდგამდა თავის გულსა და სისხლს. ქალისაგან ათვალწუნებულ კაცს ულვაში არ დასცვივა, იმ ქალს ძალით დაიმორჩილებს ან სხვა ქალით შეცვლის, მაგრამ როცა ათი წლის ბიჭი, ეს ათი წელი შენს მუხლებზე რომ ბუქნაობდა, მოკვლას დაგიპირებს, თავი აღარ გამოგეყოფა გარეთ, ვინც არ უნდა მოატყუო ქამარ-ხანჯლითა და არშინიანი ბეჭებით, ბავშვსა და ძაღლს ვერ მოატყუ-

ებ, მაშინვე შეგატყობენ, რა ვაჟკაცია ხარ. შურისძიება გარდაუვალი იყო, დღითიდღე იზრდებოდა ჯიუტად და გამომწვევად, როგორც ნაცდუნები გოგოს მუცელი, და მან უკვე ისიც იცოდა, ვისი სიკვდილი უნდა დაბადებულიყო ამ მუცლიდან. მაგრამ იქამდე სხვა საქმე გამოუჩნდა მოულოდნელად და სული მოითქვა, შვებით ამოისუნთქა, რადგან საშუალება მიეცა, ცოტა ხნით კიდევ გადაედო გადაწყვეტილისა და უკვე გარდაუვალის აღსრულება. „ურუქელი მედუქნე შენი ამბებით თურმე ხალხს აცინებს და მუშტარს ამით იმრავლებსო“, — უთხრა ერთ დღეს უფროსმა ვაჟიშვილმა. თვალი ვერ მოწყვიტა მის პირქუშ სახეს, მის ხმაში ჩამალულმა რისხვამ და მოუთმენლობამ გული აუჩუყა, მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა პირველად საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ, მიხვდა, როგორ იტანჯებოდა იგი მის მაგივრად და გაუხარდა, ყმაწვილური სიმსუბუქე და სიხალისე დაეუფლა უცებ, რადგან ურუქელი ვაჭრის დასჯა მართლაც მსუბუქი და სახალისო საქმე იყო იმასთან შედარებით, რის თქმასაც მისი ვაჟიშვილიც ერიდებოდა, რადგან ის წმინდა, საშვილიშვილო საქმე იყო, გვარის ღირსების თანაბარი. იმავე ღამეს ურუქში იყვნენ ორივენი. შვილი ამხანაგად კი არ წამოიყვანა, არამედ მოწმედ, თავის გამოჩენა მოუნდა უცებ შვილთან, უნდოდა დაემტკიცებინა, კიდევ რომ შეეძლო ერთი კაცობის გაწევა. „ცხენიდან არც ჩამოვუშვებ და იმ ჭორიკანა ვაჭრის თავს საზამთროსავით ვესვრიო“, — ფიქრობდა უნაგირზე გაყურსული. ასე კი ფიქრობდა, მაგრამ გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ასე იმიტომ ფიქრობდა, სხვაზე რომ არ ეფიქრა, იმ სხვაზე ფიქრს რომ არ წაეხდინა. პირველი შემთხვევა იყო, ავი და სისხლიანი განზრახვით რომ მოდიოდა აქეთ, ურუქში, თანაც ვაჟიშვილთან ერთად. ეს გზა მხოლოდ მისი გზა იყო, ათასჯერ გავლილი, სხვანაირი თრთოლვითა და ნეტარებით, და ყველაზე ნაკლებად მის ვაჟიშვილს ჰქონდა ამ გზაზე გავლის უფლება, რადგან ამ გზას საყვარელ ქალთან მიჰყავდა იგი ყოველთვის. ახლა კი, ოდნავ გამრუდებულიყო, გაგრძელებულიყო კიდეც, რადგან ახლა მოსაკლავი კაცით მთავრდებოდა და არა საყვარელი ქალით. ის კი, ძველებურად ღელავდა, თითქოს ის უნდა ენახა, იმას უნდა მოფერებოდა, იმისი ცრემლიანი ლოყები უნდა აელოკა. „რას ფიქრობ, მამაჩემოო?“ — ეხმიანებოდა ათასში ერთხელ შვილი. „ვფიქრობ?

რა ვიცი, ვფიქრობ“. — პასუხობდა უაზროდ, უკვე გაღიზიანებული შვილის სიახლოვითა და ყურადღებით. სოფელს ეძინა, ჩაკარგულიყო წყვდიადში, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რაღაცა რომ შეცვლილიყო მის აქ არყოფნაში. თუმცა დღის სინათლეზე არასოდეს უნახავს, ხუთი თითივით იცოდა აქაურობა და როცა ნაცნობი და ლამის საყვარელი სახლის მაგივრად, შავი, ჩახუთული სიცარიელე დაეძგერა სახეში, უნებურად ცხენი შეაჩერა, თუმცა თავიდან განზრახული ჰქონდა, არც კი გაეხედა იმ სახლისკენ დაემალა შვილისთვის მისი ადგილსამყოფელი. შვილმაც შეაყენა ცხენი, მაგრამ არაფერი უკითხავს. გაოცებულმა მოხედა შვილს, რა მოუვიდათო — უნდოდა ეკითხა, მაგრამ მხოლოდ გაიფიქრა, თითქოს გარეგინას მოსაკლავად კი არ მოსულიყო, იმათ წასაყვანად, როგორც იმ წყეულ ღამეს. „წავიყვან და გათავდება, ფეხსაც აღარ დავადგამ ამ სოფელშიო“, — ფიქრობდა მაშინ და ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რამე თუ შეუშლიდა ხელს, რამე თუ გადაეღობებოდა წინ მის პატიოსან განზრახვას. მაშინ ტყვია დაახალეს, როგორც ქურდსა და ავაზაკს, და კიდევ კარგი, ენას კბილი დააჭირა და არ მოჰყვა თავის მართლებას, მაინც არავინ დაუჯერებდა და, შეიძლება, პანღურიც მოეყოლებინათ ტყვიისთვის. მაგრამ უფრო დიდი უსამართლობა ის იქნებოდა, იმათ რამე რომ დამართვოდათ უამისოდ, ამის ჩაურევლად, ამის სურვილის გარეშე, ნასახლარმა გააბოროტა, ნასახლარმა კი არა, იმათი ბედის გაურკვევლობამ, ვინც აქ, ამ ჩახუთულ წყვდიადში უნდა დახვედროდა, როცა არ უნდა მოსულიყო იგი. ერთი წუთის მერე უკვე დუქნის წინ იდგა და მათრახის ტარით დაუდევრად, ბრაზიანად აბრახუნებდა დარაბაზე. გარეგინა ის-ის იყო, ცოლის გაღვიძებას აპირებდა და საბნის ქვეშ შეცურებული ხელი გაუშეშდა. ცოლი პირველი წამოჯდა საწოლში. „ვინ ოხერიაო“, — თქვა ჯერ ისევ მძინარემ, დარაბაზე კი აბრახუნებდნენ.

გაშმაგებული აბრახუნებდა, მთელი ძალით, თითქოს გასაჭირში ჩავარდნილი, დახმარების სათხოვნელად იყო მოსული და არა მოსაკლავად. ვაჟიშვილი ცხენიდან არ ჩამოსულა, მოშორებით იდგა, ჩახმახშემართული დამბაჩა უნაგირის კეხზე ჩამოედო და მშვიდად იცდიდა, თითქოს არც ამ დუქანში ესაქმებოდა რამე და არც ამ კაცთან, უკვე მუშტებით რომ ჩამოჰ-

ქონდა დარაბა. დუქნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგრამ გამოცდილებით იცოდა, გრძნობდა, ეს სიცარიელის დუმილი რომ არ იყო, ეს შიშის დუმილი იყო და ისევ შიშის მიმატებით შეიძლებოდა მხოლოდ მისი დარღვევა. დუქანში ისე მოულოდნელად აინთო შუქი, თვითონვე გაუკვირდა, თითქოს ამის მოლოდინში არ იყო სულ. კარი წესიერად არც იყო გაღებული, როცა მისი ხანჯლის წვერი გარეგინას უკვე ყანყრატოზე ჰქონდა მიბჯენილი: ხანჯალს შეჰყვა დუქანში და მაშინ გაჩერდა, როცა საცვლების ამარა გამოსული გარეგინა რძის შხეფივით მიესხურა კედელს. დუქნის ბნელ კუთხეში ბავშვები ვირთხებივით გაშლიგინდნენ. გარეგინას ცოლმა დასაყვირებლად გაღებულ პირზე ხელები მიიჭირა. თითქმის მაშინვე ჭრიჭინების ხმა გაიგო და გაახსენდა, რომ გარეთ მისი ვაჟიშვილი იდგა და ღია კარიდან ყველაფერს ხედავდა. „არ შეიძლება ამის მოკვლა, სისხლი არ გამოუვა“, — გაიფიქრა ცხარედ, ბრაზიანად, თითქოს შვილის გადარწმუნებას ცდილობდა. „სად არიან?“ — წამოსცდა უნებურად და შემკრთალმა გაიხედა კარისკენ, შვილი ხომ არ გაიგებდაო. „რატომ დამცინი, ბატონო!

უთხრა გარეგინას ხმამაღლა, შვილსაც რომ გაეგო.

პასუხს არ დალოდებია, იცოდა, მაინც ვერაფერს ათქმევინებდა შიშისაგან დამბლადაცემულს, ისიც იცოდა, არ მოკლავდა, უკანასკნელი ლაჩარიც რომ გამოსულიყო შვილის თვალში.

ვაჭრის ბინძურ სისხლში ხელს არ გაისვრიდა, რადგან წინ წმინდა, ლამის ღვთაებრივი მკვლელობა ელოდებოდა. ახლა მისთვის იმათი ბედის გაგება გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ენაგრძელი ვაჭრუკანას გასრესა, მოსპობა, დედაწულიანად ამოწყვეტა. „სად არიან?“ — მიუბრუნდა ქალს. „მაიორთან... გადასახლდნენ“. — დაუფიქრებლად უპასუხა ქალმა, თითქოს ამ შეკითხვის მოლოდინში იყო, ქალურმა ალღომ უშველა, ყველაფერში გაარკვია უცებ. ჩაეცინა, რადგან ცოტას მორჩა მადლობა არ წამოსცდა, ცოტას მორჩა ფული გადაუყარა ბნელ კუთხეში მოფაჩუნე ბავშვებს. „ნუ გეშინიათ.

აი, ის რომ შემოსულიყო, მაშინ სხვანაირად წავიდოდა საქმე“. — თქვა გუნებაში. „ქვა და ლურსმანი“, — დაუყვირა ქალს, რადგან იმ წუთას მოუვიდა აზრად, გარეგინა ყურით მიეჭედებინა საკუთარი დუქნის კარზე. ესეც ეყოფოდა ჭკუის სასწავლებლად, ენის დასამოკლებლად, და თვითონაც მთლად არ შეირცხვენდა თავს ბოღმით გასიებულ შვილთან. მოღიავებულ კარში წყვდიადი იდგა, ხოლო წყვდიადში — მისი ვაჟიშვილი და ყველაფერს ხედავდა, უნაგირის კეხზე ჩახმახშემართული დამბაჩა ედო, უტყუარი, სწრაფი, დაუზარელი, ოღონდ უუფლებო, რადგან მამის სიტყვას ვერ გადავიდოდა, ის უბრალო მოწმე იყო და არა მონაწილე. „გულზე სკდება, ალბათ“ — ფიქრობდა მამამისი, ხანჯლის ბრტყელი პირით ლოყაზე აწვებოდა გარეგინას და კარისაკენ მიდენიდა. „მომინათე“, — უთხრა ქალს. ქალს ცალ ხელში ლამპა ეჭირა, მეორეში — ქვა და ლურსმანი. გარეგინა კარს მიაწყდა, მკვახე გოგრასავით გაარახუნა თავი. ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და ქალს ქვა და ლურსმანი ჩამოართვა. იგრძნო, როგორი მადლიერი თვალებით შეხედა ქალმა. ბნელ კუთხეში ბავშვები ფაჩუნობდნენ. იცოდა, ხელებში შესცქეროდნენ ისინიც. გარეთ კი, მისი ვაჟიშვილი სიბრაზისგან ტუჩებს იჭამდა, ალბათ. „არ მოვკლავ, არა... სადაც აქამდე მომითმენია...“ — იყვირა გუნებაში. გარეთ ცხენმა დაიფრუტუნა, მისმა ცხენმა. ცხენი, რომელზედაც მისი ვაჟიშვილი იჯდა, ასეთ დროს დაფრუტუნებას ვერ გაბედავდა. აბნეულად, გაუაზრებლად გაუხარდა რაღაცა. შეიძლება, შვილის ბოღმიანობა და სიმკაცრე. გამეტებით დაჰკრა ლურსმანს ქვა. ლურსმანმა რბილად გაიარა ყურის ბიბილოში და უნებურად ხელი მოუდუნდა თვითონაც, წინააღმდეგობის ნასახსაც არ წაწყდომია, უხალისოდ ირჯებოდა, უნდილად, რადგან სიბრაზემ მაშინვე გადაუარა, როგორც კი ფეხი შემოდგა დუქანში, არა, როცა ქალისგან შეიტყო, ისინი რომ ცოცხლები იყვნენ. „ღვთის რისხვა გერჩიოთ, ჩემი სახელის ხსენებას“. — თქვა და ისევ დაჰკრა ლურსმანს. ქვას კიდე ჩამოეფშხვნა და ნაფშხვენები საყელოში ჩაუცვივდა.

გარეგინას. მაინც არ განძრეულა, განაბული იდგა, დუქნის კარზე ყბამიბჯენილი, ცდილობდა, ხელი არ შეეშალა დამსჯელისთვის. „ასე იყოს... ხვალამდე“. — მოუტრიალდა ქალს,

თითქოს რჩევის საკითხავად დაეძახათ მისთვის. „მადლობთ, შენი მუხლების ჭირიმე, მადლობთ“. — თქვა ქალმა მხურვალედ. ქვა ღია კარში მოისროლა. იგრძნო, დაინახა, გაიგონა, როგორ შეკრთნენ ცხენები და სიგიჟემდე მოუნდა აქედან გადაკარგვა. უკვე ცხენზე იჯდა, როცა ქალი ლამპიანად გამოვიდა დუქნიდან და დაუძახა: გზის აქეთა მხარესაა, ეკლესიამდეო. ეკლესიამდე ნაბიჯით ატარა ცხენი. არ გასჭირვებია მაიორის სახლის გამოცნობა, შეხედა თუ არა, იცნო, თითქოს ნახევარი სიცოცხლე იქ ჰქონდა გატარებული. არა, სახლი კი არ იცნო, ტანმა უგრძნო, რომ სწორედ ამ სახლში იყვნენ ისინი. იმათი სული ტრიალებდა ჰაერში. მერე სადავე მიუშვა და ცხენს გადააწვა კისერზე. ვაჟიშვილი ფეხდაფეხ მოსდევდა და ცხენების ფლოქვების თქარათქურში ცდილობდა, გამოერჩია საკუთარი გულის ბაგუნი.

იმას მერე კიდევ ბევრმა წყალმა ჩაიარა, კიდევ დიდხანს ითრია ფეხი, ორი ცოლი, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი მიწას მიაბარა, უფროს ვაჟიშვილს კი, სამუდამოდ შეაჯავრა თავი, მის დანახვაზე ფურთხება აუტყდებოდა ხოლმე, ვითომ ბეწვი ჰქონდა პირში და იმის მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ორივემ კარგად იცოდნენ, რა ბეწვი აწუხებდათ და რა ჰქონდათ გულიდან მოსაშორებელი. „სოფელში ჩვენზე” ამბობენ, ეგენი თათრები კი არა, ლახლუხები არიანო. მართალია, მამაჩემო? — ღვარძლიანად, დამცინავად ეუბნებოდა უფროსი ვაჟიშვილი, მაგრამ ამას სრულებითაც აღარ ადარდებდა ვაჟიშვილის განცდები, რადგან იცოდა, რა ელოდებოდა წინ.

გარეგინას მიჭედების მერე კიდევ ბევრჯერ ჩამოვიდა ურუქში, მაიორის კარ-მიდამო ისე ჰქონდა შესწავლილი, თვალახვეული მოივლიდა, მაგრამ აღსასრულებელი აღსასრულებლად რჩებოდა მაინც, რადგან ბოლო წუთას ისეთი სისუსტე წამოუვლიდა ხოლმე, თავქუდმოგლეჯილი მოაჭენებდა ცხენს ურუქიდან, მაწანწალა ძაღლივით სხვის ეზოში არ ამომძვრეს სულიო. და აი, ისევ აქ არის. ახლა კი, ნამდვილად უკანასკნელად, რადგან ხელმეორედ მოსასვლელად, შეიძლება დროც აღარ ეყოს. რაღა დროს მისი წანწალია, მისაღები უნდა მიიღოს, გასაცემი უნდა გასცეს, მოსახდელი უნდა მოიხადოს და ცოდვებისგან სისხლით განბანილი, განწმენდილი, გათავისუფლებული ამ-

ქვეყნიური ჭუჭყისაგან, გადასახლდეს სამუდამო სამყოფელში, მამაკაცად გაჩენილი მამაკაცადვე მიეახლოს გამჩენს დიდი ხანია, რაც აქა დგას, ცაცხვების ძირას.

თავბრუ დაეხვა ვარსკვლავების ჭვრეტით, რამდენი ვარსკვლავის დანახვაც შესძლო, იმდენჯერ ახსენა ალაჰი და იმდენჯერ შეევედრა ალაჰს, თუ ჩემი ხელით მოსაკლავია, გაიღვიძოს და გამოვიდესო. ახლა დგას და ელოდება. ახლა ალაჰი გადაწყვეტს თვითონ, ალაჰის ხელში არიან ორივენი, მომკვლელიცა და მოსაკლავიც. ფეხს არ მოიცვლის მამლის ყივილამდე, რადგან მამლის ყივილამდე უნდა გამოვიდეს იგი გომურიდან, თუკი ალაჰს ასე ნებავს. გამოვა, გული უგრძნობს, რომ გამოვა, და ისიც მზად არის. ის ახლა ალაჰის ნება-სურვილს ასრულებს და არა თავისას, და ეცდება პირნათლად, უყოყმანოდ, უკეთესად აღასრულოს იგი. და აჰა, სამართალი უფლისა! გომურის კარი იღება და გომურიდან გამოდის იგი, მიზეზი და მიზანი, სამსხვერპლო სისხლის ჭურჭელი, გულუბრყვილო ბატკანი, ღმერთისათვის შეწირული, ნამდვილი შვილის მაგიერ.

გიორგას მოულოდნელად გაეღვიძა, შეწუხებული იყო.

ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო სიზმრიდან, სიზმარში კი, ვიღაცა ელოდებოდა თითქოს, დიდხანს, ძალიან დიდხანს, იმდენად დიდხანს, რომ ახლა თავხედობაც იქნებოდა, გასულიყო და ეთქვა, დამავიწყდა რომ მელოდებოდიო. სხვა რაღაცა უნდა მოეფიქრებინა უკეთესი, მაგრამ გონება დახშოდა, აზრის ნატამალიც არ უღვივოდა გონებაში და ამიტომაც გამოეღვიძა შეწუხებულს. მაშინვე ფლოსტებში წაჰყო ფეხები და გომურიდან გამოვიდა, გამოვიდა და ელდა ეცა: ცაცხვების ძირას მართლა იდგა ვიღაცა. ერთი პირობა გომურში შებრუნება დააპირა, სიზმრისა და ცხადის ასეთმა დამთხვევამ დააბნია, იმის თავიც არ ჰქონდა, გაერკვია, რომელი იყო სიზმარი და რომელი ცხადი, მაგრამ ახლა საფიქრალი დროც აღარ ჰქონდა, მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ცხადი იყო თუ სიზმარი, უნდა მისულიყო უცნობთან და ბოდიში მოეხადა, ეკითხა, ვინ იყო, რა უნდოდა, რატომ ელოდებოდა ამდენ ხანს. როცა სულ უბრალოდ შეეძლო მისი გაღვიძება, ბეღურის ნისკარტის მოკაკუნებაც საკ-

მარისი იყო მის გასაღვიძებლად. გიორგა ცაცხვებისაკენ წავიდა. დაიძრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო ის უცნობი. იმის მაგივრად, რომ გომურში შევარდნილიყო და კარი გადაერაზა, უნებურად ფეხს აუჩქარა: უცნობი არ განძრეულა, ცაცხვების ძირას იდგა და ელოდებოდა. გიორგას ხანჯალი არ დაუნახავს, მაგრამ მუცელში მკვეთრი, ცივი ტკივილი რომ იგრძნო, არც გაჰკვირვებია და არც შეშინებია, ჩინასჩარვე იცოდა, რაღაც ამის მაგვარი რომ უნდა მომხდარიყო. ტკივილი განმეორდა, უფრო მძაფრად, უფრო მწვავედ, მაგრამ ახლა თითქოს მისი სხეულის გარეთ. ერთბაშად გაიოფლა და რომ არ წაქცეულიყო, თვითონვე მიეხუტა უცნობს, ტყაპუჭის ბეჭვიან საყელოში ჩაუყო სახე და უცებ, გასაკვირვებლად ნაცნობმა, ბავშვობის დროინდელმა სუნმა თავბრუ დაახვია. ერთდროულად იმდენად დავიწყებული და იმდენად დაუვიწყარი იყო ის სუნი, გული აუჩუყდა, მამისეული სახლი დაუდგა თვალწინ, კედელზე გაკრული ჩოხა. ვაშლის ხეებით გადალურჯებული ეზო და ბოსტანში მოფუსფუსე დედა. ქინძის სუნიც ეცა, იმდროინდელი, ბავშვობის დროინდელი ქინძისა. „აქამდე არ დაგავიწყდით, შე მართლა თათარო, შენა“, — მიესიყვარულა გიორგა მკვლელს, როგორც დიდი ხნის წინათ დაკარგულსა და შემთხვევით ნაპოვნ ძაღლს. თათარმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი. გიორგას თავი უტრიალებდა, რაღაცნაირ, გამაბრუებელ სიმსუბუქეს გრძნობდა მთელს სხეულში, მიწა აქეთ-იქით დაუდიოდა და უფრო და უფრო ეხუტებოდა მკვლელს, სიამოვნებდა მისი ოფლიანი კისრის სიმხურვალე. იმ წუთას თითქოს უყვარდა კიდეც იგი, მისი სიკვდილის მომტანი, სიკვდილის ანგელოზივით წმინდა და პირქუში. „გავასწორეთ ვალები“, — ამოიგმინა გიორგამ და მაშინ შეამჩნია, ატატებული რომ მიჰყავდა იგი თათარს, „სად მიდიხარ, კაცოო“, — ამოიხრიალა გიორგამ, მაგრამ უკვე თვითონაც არ იცოდა, ვის მიმართავდა, თათარსა თუ საკუთარ თავს, თუ ორივეს ერთად. მერე ტახტზე იჯდა, გომურში. „იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი... იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი... იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი“ — სამჯერ ჩასძახა თათარმა ყურში და კისრიდან ძალით მოიშორა მისი ხელები. გიორგას შეამცივნა და ისევ გამოიხედა თვალში. უკვე მარტო იყო, მარტო, უსაშველოდ მარტო და ახლა ამან გააკვირვა, თითქოს ისიც

აქ უნდა ყოფილიყო... ბოლომდე, ტახტზე გადაწოლა სცადა, მაგრამ სისხლი ყელში დაეძგერა და ისევ წამოჯდა. „დედაჩემმა რომ ამ დღეში მნახოს, გული გაუსკდებაო“, — გაიფიქრა და ხელი მოაფათურა სიბნელეში, ისე, გაუაზრებლად, თუმცა მაინც არაფერი დახვედრია ნოტიო სიცარიელის მეტი. „ჩვენებს სძინავთ“. — გაიფიქრა შეშფოთებით და ისევ გადაწვა ტახტზე, ნელა, დაძაბული, თითქოს ბავშვი ეჯდა მუცელზე. დიდხანს ვერ გაჩერდა ასე, ისევ წამოჯდა და სისხლი ამოასლოკინა. „კარგი იყო, თოფს რომ მესროდი?!“ — დაუძახა ქვაზე ამოკაჩრულმა კაცუნამ. „მე როდის?“ — ეწყინა უსამართლო საყვედური. „შენც იქ არ იყავი? ხომ არ დაგიშლია იმისთვის?“ — თვალი მოუჭუტა კაცუნამ. „მე მომკითხე, ღმერთო... მე მომკითხე ყველაფერი“, — ამოილუღლუღა დარცხვენილმა. ფეხები საკუთარი სისხლის გუბეში ეწყო. წვივებში ცივი ჟრუანტელი ჩასდგომოდა.

ისევ გადაწვა ტახტზე. ტკივილი აღარ უგრძვნია, სასიამოვნოდ უხურდა გულ-მუცელი. რაღაცა თბილი, წებოვანი და უსასრულო, მდორედ გამოდიოდა მისი გატრუნული არსებიდან.

„აგე, შენი ადამიანი! ან უნდა მოკლას, ან უნდა მოეკვლევინოს“ — დაიძახა კუდიანმა კეკელამ გომურის იმ კუთხიდან, სადაც სახედარი ეგულებოდა. მერე დაინახა კიდეც, მაშინვე იცნო მისი გადმობრუნებული ქუთუთო. ცერა და საჩვენებელი თითით ყურძნის გამოკენკილ მტევანს თითისტარივით იბზრიალებდა კალთაში. კუდიან კეკელას აქ რა უნდაო, გაუკვირდა გიორგას. ჯერ კიდევ მამისეულ სახლში ცხოვრობდა, კუდიანი კეკელა რომ დაასაფლავეს, თვითონაც იქ იყო და სამუდამოდ დაამახსოვრდა ის დღე, ალბათ, იმ ერთი ლუკმა წანდილისა და იმ ერთი ყლუპი ღვინის გამო, ტანჯვითა და ზიზღით რომ ჩაყლაპა კუდიანი კეკელას საფლავთან. კუდიანი კეკელა სამრევლო სკოლის კიბის ქვეშ ცხოვრობდა და კიბის საფეხურებს შორის დარჩენილი ბზარებიდან ბავშვები პურს უფშხვნიდნენ, მიწას აყრიდნენ, წყალს ასხამდნენ, სანამ მათი ცელქობითა და დაუნდობლობით გამწარებული კეკელა არ გამოუვარდებოდა აშმორებული წყვდიადიდან, მართლა კუდიანივით თმაგაჩეჩილი, ბინძური და დაკონკილი. „თქვენ მოიყარეთ ჩემი ხნისა.. თქვე არგასაწყვეტებო... — მისძახოდა ჩიტის გუნდივით წამოფრთხიალებულ ბავშვებს კეკელა და თმაში ჩარჩენილ მიწასა თუ

პურის ნაფშხვენებს იფერთხავდა. გიორგას არასოდეს გაუბრაზებია კუდიანი კეკელა, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ეშინოდა მისი. კუდიან კეკელას ცალი თვალი გადმობრუნებული ჰქონდა და მარად სველი ქუთუთო წითელი ატლასის სარჩულივით უპრიალებდა.

სოფელმა დამარხა სამადლოდ, თუმცა მაინცდამაინც არ გამოუდვია თავი, ორ კაცს მიჰქონდა მისი კუბო, როგორც ძველი, ხევში გადასაგდები ტახტი. ესეც სამუდამოდ დაამახსოვრდა გიორგას, იქამდე და იმის მერეც არასოდეს უნახავს, ორ კაცს რომ წაეღოს კუბო, თუმცა კეკელას მეტი არც უნდოდა, ისეთი პატარა და გაჩხინკული იყო, ქარიან ამინდში გარეთ ვერ გამოდიოდა. კუბოს მარტო მესაფლავის ცოლი მიჰყვებოდა, გაზეთის ნაგლეჯში გამოხვეული სანთლები, ერთი ბოთლი ღვინო. და ერთი თეფში წანდილი მიჰქონდა. წანდილზე დიდი, ლურჯად მბზინავი ბუზი იჯდა. ამ უცნაურ პროცესიას გიორგაც აედევნა შორიახლოს. კეკელას ჭირისუფლები საქმეს რომ მორჩნენ, მერე შეამჩნიეს იგი, კუნელის ბუჩქს ეფარებოდა, ეგონა დაუტატანებდნენ, გაუბრაზდებოდნენ, რას გვითვალთვალებ, რა გესაქმება ამ კუდიან დედაბერთანო, მაგრამ, მისდა გასაოცრად, დაუძახეს, გვერდით დაიყენეს საფლავის ჯერ კიდევ ნესტიან ბორცვთან, ძალით ააღებინეს წანდილი და ღვინოც ძალით მოასმევინეს ბოთლიდან: მიუვა, მადლიაო. დუბელა, მწკლარტე სითხემ ლამის გული აურია, ეგონა ბუზი ჩააყოლა, დიდი, ლურჯად მბზინავი, წანდილზე რომ იჯდა წეღან. გადმოფურთხება უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, მოერიდა. ასე არასოდეს დატანჯულა, მაგრამ იდგა და ითმენდა. „შენ მოიყარე მაგის ხნისაო“.

— გაოფლილ თმაზე ხელი გადაუსვა მესაფლავის ცოლმა.

„მოისვენა უბედურმაო“, — თქვა მესაფლავემ და ბოთლში ჩარჩენილი ღვინო საფლავის ბორცვს მოასხურა. „ექიმო, ბიჭი გელოდება-მეთქი. აი, მაკაბელებისა... მოუკლავთ“, — დაიძახა კუდიანმა კეკელამ. „ცუდად არის შენი საქმე, გიორგა“, თქვა ექიმმა ჯანდიერმა თბილი, სხივიანი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე. მიცნოო, — გაუხარდა გიორგას და ის დღე გაახსენდა, პირველად რომ ნახა ექიმი ჯანდიერი, მაკაბელების სახლის აივანი ბაბუცას პერანგებითა და ზეწრებით იყო მოფენილი. ეზოში

ორთვლიანი ეტლი შემოვიდა და ცაცხვების ძირას გაჩერდა. ექიმი ჯანდიერი ნელა, აუჩქარებლად გადმოვიდა ეტლიდან. „რას შვრება შენი ვენახიო“,— ჰკითხა გიორგას და გაუღიმა, სწორედ ასე, როგორც ახლა იღიმება. მერე უცებ მოიწყინა, თავი გადაიქნია, ცუდათაა საქმეო, — თქვა და სახლში შევიდა. ეტლში შებმული ცხენი მიწას ყნოსავდა და მბზინავსა და გაჭაღარავებულ კუდს ზანტად იქნევდა. „ეგე, შენი ადამიანი, ან უნდა მოკლას, ან უნდა მოეკვლევინოს“, — დაიძახა კუდიანმა კეკელამ და ადგილზე დაბზრიალდა. წამოფრიალებული კაბიდან გამხდარი, ჩამომჭკნარი კანჭები გამოუჩნდა, რამაც გიორგას, სულ ერთი წამით დედის ქორწილში გაცნობილი, მუხლებგადატყაული გოგო გაახსენა. „გაჩუმდი, შე კუდიანო, შენა“, — ღიმილით დაუტატანა ექიმმა ჯანდიერმა კეკელას და გიორგასაც გაეღიმა. „აი, ბევრი კი არ მინდა...“ — დაიწყო გათამამებულმა, მაგრამ ენა დაება, იმავე წუთას მიხვდა, აღარაფერი ესაქმებოდა ამ ქვეყანაზე, რაც ევალებოდა — შეესრულებინა და ახლა გინდაც მართლა ეშველა ექიმ ჯანდიერს, თვითონაც ვერ იტყოდა, როდემდე ან რიღასთვის უნდოდა სიცოცხლე. „ცუდად არის შენი საქმე, გიორგა, ცუდად!“ — თქვა ექიმმა ჯანდიერმა. „დედაჩემის ხათრით... დედაჩემისთვის...“ — ისევ დაიწყო გიორგამ და დედის ხსენებამ მკვდარი მამა გაახსენა. გაურკვეველი, გამაოგნებელი, ძირფესვიანად შემარყეველი იმედი ჩაესახა უცებ, ექიმი ჯანდიერიც გაქრა და კუდიანი კეკელაც, ისევ მარტო იყო, უსაშველოდ მარტო, ტახტზე.

გულაღმა გადაწოლილი, ნაწლავებგამოყრილი, სისხლის გუბეში ფეხებჩაყოფილი. არ ესმოდა, როგორ შფოთავდა, როგორ წრიალებდა ადამიანის სიკვდილით დამფრთხალი, ბნელსა და ნესტიან კუთხეში მიყუჟული სახედარი. „მამი, — დაიჩურჩულა ძლივს. — შინ მინდა.. სადა ხარ, კაცოო“, — ამოიგმინა გუგებამოტრიალებულმა. თითქმის მაშინვე გამოფატრულ მუცელზე აქოთქოთებული მამალი დააფრინდა, მტკივნეულად ჩაასო ხორცში ბასრი, ღონიერი კლანჭები, გაშეშებული თვალით გვერდულად გამოხედა, აიწურა, აიფოფრა და მთელი ძალით ჩაჰყივლა სახეში. გიორგა უკვე მკვდარი იყო.

„გადავრჩი, ერთხელ კიდევ გადავრჩი“, — ფიქრობდა ქაიხოსრო მეორე დღეს. მაგრამ საბოლოოდ გადარჩენილად მა-

ინც არ თვლიდა თავს, არ ჰქონდა საამისო საბაბი, რადგან გიორგას სიკვდილი სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ თათარი ამით დაკმაყოფილდებოდა. გიორგას სიკვდილმა ძველი შიში გაუღვიძა მხოლოდ, ერთხელ კიდევ დაარწმუნა, განუწყვეტლივ ბეწვზე რომ ეკიდა მისი სიცოცხლე. შიშით ატანილი, ეზოში იდგა და გომურის კარს შესცქეროდა. საცოდავი სანახავი იყო, კაცს შორიდან მგლოვიარე ეგონებოდა. შიში ეს იყო, თუ იყო. თავხედურად, თამამად გაბარჯგულიყო მთელს მის არსებაში, უხვად ამოეყარა მსუყე და ეკლიანი ფოთლები, როგორც ნაკელზე მოხვედრილ სარეველას. გომურიდან ზოსიმე მღვდელი გამოვიდა.

— რა ხდება, მამაო? — ჰკითხა, კი არ ჰკითხა, შეევედრა ქაიხოსრო.

— იცვამს. — მოკლედ უპასუხა ზოსიმე მღვდელმა.

ქაიხოსრო კი არა, ცაცხვებთან გაჩერებული სახედარიც გააკვირვა მისმა ნათქვამმა. დიდი, წყლიანი თვალები მიაშტერა, ჯერ კიდევ არ განელებოდა წუხანდელი შიში და თითქოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, კიდევ რა ხდებოდა იქ, გომურში. დაძაბული იყურებოდა კაცებისკენ.

— იცვამს? ვინ იცვამს, ადამიანო? — აღელდა ქაიხოსრო, — შვილს გახადა და თვითონ იცვამს. დიდება შენდა ღმერთო. — პირჯვარი გადაიწერა ზოსიმე მღვდელმა. — ისეთი სახე ადევს, თითქოს საქორწილოდ ირთვებოდეს. ახლა უკვე უკანასკნელად. — დაამატა ცოტა ხნის მერე და სახედარს თვალი აარიდა; ვერ გაუძლო პირუტყვის დაჟინებულ მზერას. — აღათია არ ანებებდა, ერთხელ მაინც გავავლებ წყალშიო... ჩაიცვამს და შევბრუნდები. — ჩაილაპარაკა თავისთვის, თითქოს პირუტყვის შერცხვა და ბოდიში მოუხადა, უმწეო რომ იყო, უმწეოცა და ზედმეტიც, ცხედრისთვისაც და ჭირისუფლისთვისაც. — პეტრე სადღაა? — უყვირა უცებ ქაიხოსროს.

— რა ვიცი, ბრინჯი და თევზი უნდა ვიშოვოო... იღუპება ქვეყანა, მამაო. — ვერ შეატყო გაბრაზება ქაიხოსრომ.

— არა, ჯერ არა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია, ქვეყანა არ დაიღუპება. — ახლა უკვე ჩვეულებისამებრ უჟუჟუნებდა თვალები. ქერტლით გადაპენტილ მხრებზე დილის მზის სუსტი სხივი უციმციმებდა. — რა დროს ეგენია, მამაო, — აიმრიზა ქაიხოსრო. — ერთი დღე ვერ ვიცხოვრე მშვიდად.

— ადამიანი წისქვილივითაა, ჩემო ქაიხოსრო, რასაც დააყრი, დაფქვამს, მაგრამ წისქვილისგან განსხვავებით, ის მაინც უნდა იცოდეს, რასა ფქვამს. დასწყევლოს ღმერთმა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ის იყო და ის, იმ დღის მერე ანა გომურში დასახლდა, გიორგას სისხლიანი საცვლები ეცვა კაბის ქვეშ და ღამით გიორგას სისხლიან ლოგინში წვებოდა. ახლა იმას უკაკუნებდნენ დილაობით გიორგას შემოჩვეული ბეღურები და სანამ გათამამებული, გათავხედებული ჩიტები ჟივილ-ხივილით ეხვეოდნენ ამ ფარატინა, ნაადრევად მოტეხილს, მაგრამ საქანელაზე შემომდგარი გოგოსავით მარად მომღიმარ ქალს, ის გიორგაზე ლაპარაკობდა და დარწმუნებული იყო, ყველაფერი ესმოდათ ჩიტებს. „გულკეთილი იყო ჩემი ბიჭი, ყველანი უყვარდით“. — ამბობდა ანა და გაღიმებული გამოხედავდა ხოლმე მისი საცოდაობით გულდათუთქულ აღათიას, — გულხელდაკრეფილი შორიდან რომ ადევნებდა თვალს — ვითომ ნახე, რა ამბავში არიან, როგორ უხარიათ გიორგაზე რომ ველაპარაკებიო. ანას სურვილით, სახედარს ღამღამობით ისევ გომურში აბამდნენ, თუმცა ანას იქაურობა საყდრისთვის დაემსგავსებინა გომურის კედელზე გიორგას შარვალ-ხალათი, თუშური ქუდი, დაბრეცილი, გაუხეშებული ქალამნები და ჭრელი წინდები ეკიდა. ერთ კუთხეში, გიორგას ხელისგულებით ტარგადაპრიალებული ბარი აეყუდებინა. ქვაზე ამოკაწრული კაცუნას გარშემო განუწყვეტლივ, ჩაუქრობლად ლაპლაპებდნენ სანთლები, ტახტის თავთან საკმეველი ბოლავდა და იისფერი კვამლის ძაფი ნელა და ნელა, შეუჩერებლად მიიკლაკნებოდა ჭერისკენ. აცრემლებული, საკმევლის სუნით გაოგნებული სახედარი მუქად ინაკვთებოდა გასაყდრებული გომურის ბინდბუნდში, როგორც სიმარტოვისა და დაულეველი სევდის ქანდაკი.

„ღამეები აღარ მძინავს, დედი“, — ამბობდა ქვაზე ამოკაწრული კაცუნა გიორგას ხმით. „რატომ, შვილო, შენ მოგიკვდეს დედა“. — წუხდა მის წინ დაჩოქილი ანა, „აი, იმ მამლის ხმა მიდგას ყურებში“, „იღლები, ძალიან იღლები, შვილო.

ჯერ პატარა ხარ“. — ჩურჩულებდა ანა. „ყველაზე ვფიქრობ, დედი, ყველანი მეცოდებით“ — ცვილის ცრემლებით ტიროდა კაცუნა. „რა გატირებს, შვილო, რა გატირებს“. — გული ეხეოდა ანას, „როგორ თუ რა მატირებს, სულელო, — არ ინდობდა კაცუნა. — დედას ვტირი“. „ეგრე, გენაცვალე, ეგრე, შემოგევლოს დედა.. დედა შვილმა უნდა იტიროს“, — გულში მუშტს იცემდა ანა. ერთადერთი, რასაც გომურში გამეფებული მყუდროების დარღვევა შეეძლო, საათის ხმა იყო. ანას ისე შეაკრთობდა ხოლმე მისი ბრაზიანი, დაუნდობელი ჟღრიალი, თითქოს ისევ ძველი დრო იყო, ისევ გიორგასთან შემოპარულიყო პაემანზე და ისევ იქ უნდა შებრუნებულიყო, სიძულვილის ბუნაგში, ისევ უნდა გაეხურებინა აგური ფერდგამომპალი ქმრისთვის და ერთი შვილის გამო ისევ უნდა ეთვალთმაქცა მეორე შვილის წინაშე. გუგუნებდა, ჟღრიალებდა მაკაბელების ორსართულიანი სახლის მოუსყიდველი და ფხიზელი მცველი, ეძახდა, აფრთხილებდა, აშინებდა გაქცეულ პატიმარს, ამაოდ რომ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას, წარსულში შებრუნებას, არარსებულ, მკვდარ დროში დამალვას. საათს ის დრო ერთხელ უკვე გამოეთვალა, მოეშორებინა და სრულებითაც არ აპირებდა, ვინმეს გულისთვის ხელახლა მიბრუნებოდა, ხელახლა გადაექექა მკვდრის ძონძები და ნაგავი, როცა ისედაც თავზე საყრელად ჰქონდა გამოსათვლელი, მოსაკლავი, მოსაშორებელი დრო. ანა ერთი წუთით იძაბებოდა, ერთი წუთით ფხიზლდებოდა, ან, უფრო სწორად, ეთიშებოდა მისივე წარმოდგენებით შეკოწიწებულ სამყაროს და შეშფოთებული უსმენდა საათის ხმას. კიდევ არსებობდა რაღაც იდუმალი კავშირი ამ ხმასა და მის არსებას შორის და კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო, სამუდამოდ რომ გათიშულიყვნენ, სამუდამოდ რომ დაევიწყათ ერთმანეთი. ანას მთვარის ყვითელი ფერფლით მოფენილი, ხის ტოტებზე ჩამომხრჩვალი ჩრდილების ქვეშ მიმავალი, წყვდიადით შენიღბული ორმოებით დაჩეხილი, ცარიელი, მტკივნეულად, აუტანლად ცარიელი და საათის ხმით გამოღვიძებული, აბურძგნული და

გაწეწილი გზა ახსოვდა, რომელსაც იქ მიჰყავდა, შვილის ღვარძლთან, ქმრის გულცივობასთან, აგურივით ტლანქსა და ხორკლიან ვნებასთან. ანას აგურიც ახსოვდა, ბუხრის კედელზე აყუდებული, გამურული აგური, ვინ იცის, რამდენჯერ გახურებული და რამდენჯერ გახვეული შალის ნაჭერში, მცივანა და ყვიციანი ჩვილივით. ხელშესახები სიცხადით დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ ის აგური და ისე შეაძაგძაგებდა, თითქოს ისევ ფეხშიშველი, ისევ ცივ იატაკზე, ისევ ბუხრის წინ იყო ჩაცუცქული.

აგური მყარად, საფუძვლიანად იდო იქ, სადღაც ანა დებდა, სადაც ანამ მიუჩინა, უფრო სწორად, სადაც თვითონ დაიმკვიდრა ადგილი, რადგან ყველა ნივთი, თავისი მოცულობის, წონისა და დანიშნულების მიხედვით, აიძულებს ადამიანს, ერთსა და იმავე ადგილას დადოს იგი და გონების დაუძაბავად დაიმახსოვროს მისი ადგილსამყოფელი, საძებარი რომ არ გაუხდეს, როცა დასჭირდება; მარტო ერთხელ არაფერი არ სჭირდება ადამიანს და შეიძლება ისეთ დღეშიც ჩავარდეს, ერთი შეხედვით უბრალოსა და უფასურ ნივთზეღა დადგეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. თუმცა, ორსართულიან სახლთან აღარაფერი ესაქმებოდა ანას, აგური არც გომურში დავიწყნია. ჩაწვებოდა თუ არა გიორგას ლოგინში, რატომღაც მაშინვე ის აგური დაუდგებოდა თვალწინ, ბუხრის კედელზე აყუდებული, გამურული, უტყვი და უძრავი, და კი არ იძინებდა, თითქოს იმ აგურის წვრილსა და უხეშ ნასვრეტებში ჩაიწრიტებოდა ხოლმე. ღამღამობით შურისძიებაზეც ფიქრობდა. ღამე დაუნდობელი იყო, ღამით ძნელი იყო გამოთიშვა, თავის მოტყუება. ღამე იმას აჩენდა, რაც დღის სინათლეში ითქვიფებოდა, განზრახვასაც ისევე აშიშვლებდა და ამარტივებდა, როგორც ადამიანს. დღე სიგიჟისა იყო, ჟივილ-ხივილით ეხვეოდნენ გიორგას ბეღურები, ყველგან, საითაც არ უნდა გაეხედა, ჭერმის ყვავილი ბრიალებდა, როგორც გიორგას დასაფლავების დღეს, კიბის საფეხურზე ანეტა და ასკლიპიოდოტა ისხდნენ და შემკრთალი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, როგორ დაჩოჩავდა იგი გომურის გარშემო. „ნუ მომჭერი თავი. არავინ აღარ არის შენთვის? გიორგა იყო ყველაფერი?“ — დაჰყვიროდა თავზე პეტრე. ის კი ღიმილით ამოხედავდა ხოლმე და თავსაფრიდან გამოცვენილ თმას

უკანვე იბრუნებდა ათრთოლებული თითებით. დღისით აღათიაც იყო, ზოსიმე მღვდელიც და ხანდახან ისიც გამოჩნდებოდა აივანზე, მისი ქომაგი და დამღუპველი, გიორგას სისხლის სირაჯი. დღისით გიორგა ვენახში იყო და ბარავდა. „იღლება, ქალო, ძალიან იღლება, — ეუბნებოდა მის დასახედად შემოსულ აღათიას. — ჯერაც არ მოსულა. პურიც არ წაუღია, რამ უნდა გააძლებინოს? მუშა კაცს ჭამა უნდა, აღათია, მშიერი კუჭით როგორ უნდა იმუშაოს?“ „შენ შეჭამე და მიუვა. ძალით შეჭამე. ანეტა ხომ გიყვარს? ბებო თუ არ შეჭამს, არც მე შევჭამო. ანეტას ხათრით შეჭამე ერთი ლუკმა“, — ეხვეწებოდა აღათია. „შენ შვილი არ გყოლია და ამიტომ... არ გამოგიცდია. შვილი მწარეა, აღათია“. — ეუბნებოდა მიწაზე ჩოჩიალით კალთა გამოთეთრებული, სახეალანძული და თავსაფარმობრეცილი ანა. აღათია კი ტიროდა, ცრემლით ევსებოდა ბებერი კანის ღარები და პირმოკუმული დაზმუოდა.

ანას უბედურებასაც ტიროდა და თავისასაც, მარადიული მოახლე, დედობაგანუცდელი ქალი, რომელსაც „გამონაცვალი ნიფხვებით ასაჩუქრებდნენ სხვათა ბავშვების მოვლა-პატრონობისთვის, რადგან ისეთივე უნიფხვო გოგოდ დარჩა ბოლომდე, როგორიც პირველად მიიყვანეს მიქელაძეების სახლში. მთელი სიცოცხლე სხვათა ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვათა ტკივილსა და სიხარულს იზიარებდა, მთელი სიცოცხლე ბავშვი ეჯდა კალთაში, მაგრამ დედობისა ანეტაზე მეტი არც ახლა გაეგებოდა, რადგან მის კალთაში გაზრდილი ბავშვები, როგორც კი ჭკუაში ვარდებოდნენ, ყველაფერს ივიწყებდნენ, იმის გარდა, რომ ის მოახლე იყო, მათ ოჯახში — გაზრდილი უნიფხვო გოგო, რომელიც თურმე კი არ ყვარებიათ, არამედ შეჩვევიან, აუცილებელი კი არ ყოფილა, არამედ — საჭირო. არც კი გაუკვირდებოდა, რომელიმე მის გაზრდილ ბავშვს, ლუარსაბ მიქელაძესავით, ხალხში, სტუმრების თვალწინ რომ წამოეხადა მისთვის კაბა, აცვია თუ არა ნიფხავიო, რასაც ვერასოდეს გაუბედავდნენ ნამდვილ დედასა და ბებიას. ის ნამდვილი არ იყო, რადგან არავინ დაინტერესებულა, მასაც შეეძლო თუ არა ბავშვის გაჩენა. ისიც თოჯინა იყო. მაგრამ ანეტას თოჯინასაგან განსხვავებით, ის სათამაშო დედა იყო, დედის თოჯინა, და კიდევ იმით განსხვავდებოდა ანეტას თოჯინასაგან, რომ იმას სა-

კუთარი ნიფხავი მოჰყვა თან, ამას კი — არა, ახლა შვილის სიკვდილით ტვინშერყეულ ანას დაზმუოდა თავზე, მაგრამ სულის ყველაზე შორეულსა და საიდუმლო კუნჭულში, ყველაზე ადამიანური და ყველაზე შემზარავი შურით შურდა ანასი, რადგან მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამას ნატრობდა, წინასწარვე იყო თანახმა შვილის სიკვდილზე, თუკი ერთი-ორი დღით მაინც აღირსებდა ბედი. „არ გამოგიცდიაო“, — უთხრა ანამ და ამან უფრო დაჭრა იგი, ამან უფრო შეაკრთო და შეურაცხყო მისი ბუნება, რადგან ისიც ქალი იყო და მასაც უნდოდა გამოეცადა ყველაფერი, რაც ქალისთვის დაუმწესებია ღმერთს: შობაცა და დატირებაც.

ასე იყო თუ ისე, ახლა აღარც იმას ეშველებოდა რამე და აღარც ანას, მოსახდენი მომხდარიყო, ცხოვრება ჩამოთავებულიყო, ჩამოევლო მეწვრილმანე ვაჭარივით, დასატყუარი დაეტყუა, წაერთმია, წაეგლიჯა ამ ორი უმწეო ქალისთვის და სანაცვლოდ ერთისთვის გაუჩენელი შვილი მიეგდო, მეორესთვის კი — მკვდარი.

— წავალ, ანეტას დავაწვენ, — თქვა აღათიამ, — ამოდენა გოგოა და რომ მოკლა, მარტო არ დაიძინებს.

ანას ხმა არ ამოუღია, პირგამეხებული, დაძაბული იჯდა ტახტის კიდეზე. უკვე ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა აღათია, შეგნებულად თუ შეუგნებლად მის გამოთრევას რომ ლამობდა გამოგონილი საყდრის მყუდრო ბურანიდან. აღათიამ, შეიძლება, არც იცოდა, როგორი დაუნდობელი იყო, როგორ უკლავდა ანას გულს, როცა ანეტაზე, ნიკოზე ანდა ალექსანდრეზე ელაპარაკებოდა; შეიძლება, პეტრესავით, ისიც გიჟად თვლიდა და იმიტომ ახსენებდა შვილიშვილების სიყვარულს, მაგრამ აღათიამ ის არ იცოდა, ვალდებული რომ იყო ანა, სულ აქ ეტრიალა, ან გომურში, ან ეზოში, რათა გიორგის მოსვლა არ გამოპარვოდა. გიორგი რომ ცოცხალი იყო, ისიც არ იცოდა აღათიამ და ის საიდან ეცოდინებოდა, რომ გიორგი, როგორც არ უნდა სდომებოდა დედის ნახვა, მამობილის სახლში ფეხს არ შემოადგამდა. გიორგი ცოცხალი იყო და ეს მხოლოდ ანამ იცოდა. არა, ზოსიმე მღვდელმაც იცოდა, რადგან ზოსიმე მღვდელმა უთხრა სწორედ, სანამ შენ ცოცხალი ხარ, გიორგიც

ცოცხალი იქნება, რადგან ადამიანი მხოლოდ მაშინ ითვლება მკვდრად, როცა იმის სიკვდილს შეეგუებიანო. გიორგი სხვებისათვის მოკვდა, უფრო სწორად, სხვები თვლიდნენ მკვდრად, ხოლო ანასათვის ისევ ცოცხალი იყო და მტრებს რომ დამალვოდა, ათასნაირ სახეს იღებდა, ხან ბეღურად იქცეოდა და სხვა ბეღურებში გარეული, ნისკარტით უკაკუნებდა დედას, ხან წვიმად მოდიოდა და გომურიდან გამოვარდნილი, უთავსაფრო, ფეხშიშველი ანა, გოგოსავით ბზრიალებდა მის ცხელსა და მიწიან ხელებში. სოფელს გიჟი ეგონა, ანა კი, ბედნიერი იყო. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა აქაურობის მიტოვება, რადგან გიორგი ხან ქვიდან გამოეხმაურებოდა ხოლმე, ხან კი ბარის ტარიდან და, რაც მთავარია, ახლაც ძველებურად უთქმელი და დამთმობი კი არ იყო, უცებ ბრაზდებოდა, ერთი წუთით რომ არ მიექცია ანას ყურადღება, დაჰკრავდა ფეხს და წავიდოდა. ამიტომაც, ან გომურში ფუსფუსებდა, ან გომურის გარშემო დაჩოჩავდა. თავსა მჭრიო, ეუბნებოდა პეტრე, მაგრამ ანასი რა ბრალი იყო, პეტრე თვითონ იჭრიდა თავს, ასე იოლად რომ იჯერებდა და ეგუებოდა ძმის სიკვდილს.

ასე ფიქრობდა ანა დღისით, ღამით კი, შემაწუხებლად, შემაშფოთებლად ახსოვდა ბუხრის შიდა კედელზე აყუდებული აგური, თვალებზე ებჯინებოდა მისი ცივი და ხორკლიანი ზედაპირი და გრძნობდა, როგორი ნეტარებით, ყველაფრისაგან გამანთავისუფლებელი გულგრილობით იწრიტებოდა მის ნასვრეტებში. ხოლო ერთ ღამეს შუა გზაზე შეუწყდა ეს სასიამოვნო, სიკვდილთან შეუღლების მსგავსი შეგრძნება. ვიღაცამ მოუკაკუნა კარზე. არც გაუგია, როგორ წამოდგა და როგორ გააღო კარი. გომურში ალექსანდრე შემოვიდა. რამდენიმე, ლამის ძირამდე ჩამწვარი სანთელიღა ბჟუტავდა კედლებზე, მაგრამ ანას არ გაჭირვებია მისი ცნობა. ალექსანდრე მთვრალი იყო. ერთი ამოიქშინა და ღვინის სუნით გაიჟღინთა მთელი გომური. ბნელ კუთხეში სახედრის ლანდი შეინძრა. სანთლის ალი უარესად აპარპარდა.

— შენა ხარ, ბიჭო? — თქვა ანამ.

— ბებო.. როგორა ხარ, ბებო, — მიესიყვარულა ალექსანდრე. — მე ნიკოსთან მგონიხარ. ხალხს ვეუბნები, ძმას ჩააკით-

ხა-მეთქი. — გაუღიმა ანამაც.

— შენს თავზე იფიქრე, შე უბედურო, რატომა ხარ ასეთი... — თავი დაარატრატა ალექსანდრემ.

— როგორი ვარ? — გაეკეკლუცა ანა.

— ბეჩავი, საბრალო, უსუსური... მონა! — იყვირა ალექსანდრემ. — მე გიჟი ვარ, ბიჭო. — გაიღიმა ანამ.

— არა. — ღვარძლიანმა ღიმილმა პირი მოუღრიცა ალექსანდრეს, — გიჟი კი არა ხარ, თავის მოგიჟიანება გირჩევნია ომს, მონა ხარ.

— ე, მამაილა. სულ უნდა იყეფო? — ვითომ შეუწყრა ანა.

— მონა! — გაიმეორა ალექსანდრემ. თავჩაქინდრული იდგა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას. — რატომ წაყევი პაპაჩემს? რატომ დაგვღუპე ყველანი? შენმა სიკეთემ დაგვღუპა, გაგვაუნდილა, — თავი ასწია და უაზროდ მოათვალიერა გომური, ძირამდე ჩამწვარი სანთლის ალი სუსტად ფეთქავდა, თითქოს ცოცხალი პეპელა ნემსით მიუმაგრებიათ კედელზეო. ანა აწეწილ ლოგინზე იჯდა, ხელში თეფში ეჭირა, თეფშზე ქადის გამხმარი ნაჭერი იდო.

— ჭამე, — უთხრა ანამ, — შენი სახლისაა.

ალექსანდრეს ცალ მხარეს პირი ჩამოუგრძელდა, გაოცებული, ბრიყვული ღიმილი შეახოხდა სახეზე და მისდა გასაოცრად, მართლა მოუნდა ქადა, ნერწყვით გაევსო პირი. ქადის ნაჭერს სამი თითით კიდე ჩამოაფშხვნა. ანამ თეფშს მეორე ხელიც შეაშველა, აიღე, სულ აიღეო, უთხრა და უფრო ახლოს მიუტანა თეფში. ალექსანდრემ ისევ მიატეხა ლუკმა. მერე ხელის ზურგით ნიკაპზე შერჩენილი ნამცეცები მოიშორა.

იდგა და იღეჭებოდა.

— იცი, საიდან მოვდივარ... — დაიწყო და გაჩუმდა, ლუკმას ჩასვლა დააცალა. — იქ ვიყავი, — თავი აიქნია ცხენივით და ისევ

მისწვდა ქადას. — პაპაჩემი უნდა მომეკლა. — ლუკმა თითით შეიტენა პირში, — მაგრამ ბოლო წუთას გულმა მიმტყუნა. შენგან გამოყოლილმა სიბეჩავემ შემიშალა, შენგან გამოყოლილმა სიკეთემ... შხამივით მიდგას ძარღვებში.

ჩამოჯექი, რა ცხენივით ზეზეულად იღეჭები. — უთხრა ანამ.

— შხამივით მიდგას-მეთქი შენი სიკეთე ძარღვებში. — იყვირა, ალექსანდრემ და ხველა აუტყდა, ქადის ნამცეცი გადასცდა სასულეში.

— ალალი, ბიჭო, ალალი. სად გეჩქარება. — უთხრა ანამ.

— კუბოში, — ხველას ამოაყოლა ალექსანდრემ. — ცოლი კუბოში მელოდება, სხვაგან არა გვაქვს ადგილი, — როგორც იყო, ჩაიბრუნა ხველება, მაგრამ ხმა შეეცვალა, დაბოხებული, ხრინწიანი ხმა ამოსდიოდა ყელიდან. — არც ნიკოა კაცის მომკვლელი. ისიც ჩემსავით ჩანჩურაა. ან გადააბრალეს, ან ძალით ასროლინეს. მკვლელებივით ვცხოვრობთ, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენ კი არა ვკლავთ, ჩვენა გვკლავენ.

— თუ გინდა, რომ მოისვენო, ძმას ჩააკითხე. — უთხრა ანამ. ალექსანდრეს აღარ უყურებდა, თეფშზე დარჩენილ ნაფშხვენებს უყრიდა თავს. — ესეც ბეღურებს. — თქვა და თავი ასწია, სუსტად, სევდიანად მომღიმარმა, დარწმუნებულმა, რომ ალექსანდრეს დაინახავდა, მაგრამ ალექსანდრე იქ აღარ იყო. გომურის ღია კარში შორეული ვარსკვლავების სიცივე შემოდიოდა. „აღარ გათავდა ეს წყეული ღამე“, — გაიფიქრა ანამ. სრულებითაც არ გაჰკვირვებია ალექსანდრეს გაქრობა, არც იმით დაინტერესებულა, მომეჩვენა, თუ მართლა მოვიდაო. აღარ დაწოლილა, ლოგინი გაასწორა და ხედ ჩამოჯდა.

„ბავშვობიდან ეგეთია, მარცხიანი“. — გაიფიქრა. ღია კარის ოთხკუთხედში ჩამდგარ წყვდიადს უყურებდა და ხორკლიანი აგური ედგა თვალწინ, ბუხრის შიდა კედელზე აყუდებული, გამურული, მომლოდინე. ფეხები ნელ-ნელა ეთოშებოდა და სიამოვნებდა. ფეხები უკვე გამოფხიზლებოდა და მის არსებაში ჩაბუდებული ბურანი თანდათან იკუმშებოდა, იკვრებოდა,

მკვრივდებოდა, როგორც ყალიბში ჩასხმული თიხა. „უნდა შევ-ძლო... საჭიროა... კიდევ რამე არ აუტეხოს თავს“. — ფიქრობდა მშვიდად. ბნელ კუთხეში სახედარმა ამოიფშვინა, ეტყობა, ფეხი მოინაცვლა, ყრუდ, გაუბედავად გაბაკუნდა მისი ფლოქვი მიწის იატაკზე. „არც შენ დაგაძინეთ, საცოდავო“. — თქვა ანამ. წელ-გამართული, წამოსადგომად გამზადებული იჯდა, როგორც ფეხწართმეული ხეიბრები სხედან მაგიდასთან, მაგიდის ქვეშ დარჩენილი უმწეობის მისაჩქმალად. მაგრამ ანა დარწმუნებუ-ლი იყო, რომ ადგებოდა. ის მხოლოდ იმას ელოდებოდა, ფეხე-ბიდან დაწყებული სიფხიზლე, როდის ამოაღწევდა თავამდე. აქედან ვარსკვლავები არ ჩანდნენ, მაგრამ მთელი ცა ვარ-სკვლავებით იყო გაჩახჩახებული. ყვითელი ქაფივით მოსდე-ბოდა მიწას მათი გამონაშუქი. სადღაც, ძალიან შორს, მარტო-ხელა ძაღლი ყეფდა. გომურში ყველა სანთელი ჩამწვარიყო და დაფერფლილი პატრუქის სუნი იდგა. არა, კი არ იდგა, დაძრწო-და, სუფთა. და ჯანსაღ ჰაერს გაურბოდა, თავს არიდებდა და ბნელსა და ჩათბუნებულ კუთხეებში იყუჟებოდა, გზააბნეული ჩიტივით. მაგრამ ეს განწმენდის ღამე იყო და ვეღარაფერი უშ-ველიდა. ღიად დარჩენილი კარიდან ვარსკვლავების სიცივე და სუფთა ჰაერის ღონიერი ნაკადი შემოდიოდა, ღმერთივით უხი-ლავი, ღმერთის მახვილივით ბასრი და სპეტაკი. ანა წამოდგა და გომურიდან გამოვიდა, როგორც მდინარიდან — მობანავე, სასიამოვნოდ აბურძგნული, ეკალდაყრილი, გამსუბუქებული და გახალისებული. ყოჩაღად გაიარა ეზო, კატის სიმარდით აა-თავა კიბე და ერთი წუთის მერე ქაიხოსროს საწოლთან იდგა. გამურული აგური ჩვილივით მიეხუტებინა გულზე. დაიცადა, სა-ნამ სიბნელეს შეაჩვევდა თვალს.

ოთახში ადამიანის მძაღე, სქელი სუნი იდგა. ქაიხოსროს პირღიას ეძინა, თავი გვერდზე გადაეგდო და გრძელი, შემაწუ-ხებელი შუალედებით ხვრინავდა, თითქოს, საიდანღაც, ბნელი და ღრმა უფსკრულიდან ამოდიოდა თანდათან. ახლა ქაიხოს-როს მთელი სახე გარკვევით ჩანდა. ძილს ასაკი გადაეშალა და ბავშვური გულუბრყვილობა, ბავშვური უმწეობა და სიმშვიდე გადაჰფენოდა სახეზე. ანამ თვალები დახუჭა და თავს ზემოთ შემართული აგური მთელი ძალით დაიქნია. მერე არაფერი ახ-სოვს, გიორგისგან, ნიკოსგან, ალექსანდრესგანო, — იძახდა და

გამეტებით ნაყავდა დამახსოვრებულ სახეს, ქუთუთოებით რომ ჩაემწყვდია საკუთარ თვალებში, ხოლო სისხლში ამოსვრილი ქაიხოსრო, ამ დროს ღრიალით დარბოდა ოთახებში, სისხლიანი ხელის ანაბეჭდებს ატოვებდა კედლებს, მაგიდებს, სკამებს, კარადისხელა საათს, მის ღრიალზე წამოვარდნილ პეტრეს, აღათიასა და ანეტას, ჩიხლებით იშორებდა სამივეს, თითქოს ისინიც მოკვლას უპირებდნენ და აივანზე გამავალ კარს დაეძებდა, გაუაზრებლად, გუმანით, მაგრამ ისე იყო თავზარდაცემული, გაოგნებული და დამფრთხალი, თითქოს საკუთარ სახლში კი არა, ლაბირინთში გაღვიძებიაო. „მიშველეთ, მკლავენ“. — ღრიალებდა ქაიხოსრო და ნიფხავ-პერანგის ნაფლეთებს ხელში ატოვებდა გამოდევნებულ პეტრეს. ანა კი, ბალიშსა და ბალიშზე წარმოდგენილ სახეს ნაყავდა. მერე ვიღაცამ აგური დააგდებინა, ზურგსუკან ამოტრიალებული ხელები თოკით გაუკრა, ბალღივით აიტატა და ოთახიდან გაიყვანა. „რატომ?“ — გაუკვირდა ანას. „ბებო, ბებო, ბებო“, — მოსძახოდა ანეტა.

მეორე დღეს, ექიმი ჯანდიერი რომ მოვიდა, აღათიას, ასე თუ ისე, დაელაგებინა სახლი, მაგრამ მაინც იგრძნობოდა წუხანდელი ქარიშხლის სული. ირგვლივ არაბუნებრივი, დაძაბული დუმილი სუფევდა, დუმილი და რაღაცის მოლოდინი, ექიმისა კი არა, უფრო მნიშვნელოვანის, მაგრამ გაურკვეველის. აღათიას ვერ შეემჩნია თუ ვერ შესწვდენოდა, კედელს ერთ ადგილას კიდევ აჩნდა ქაიხოსროს სისხლიანი ხელისგულის ანაბეჭდი, ობობასავით გაფარჩხული. თითქოს მიცოცავდა კიდეც, მაღლა, უფრო მაღლა, უფრო საიმედო ადგილისკენ.

თავშეხვეული, ტახტზე მიწოლილი ქაიხოსრო დაბღვერილი, დაეჭვებული უყურებდა ექიმს.

— რაღა დროს თქვენი ჩხუბია. — გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა, — აბა, მაჩვენეთ.

ქაიხოსრო აშკარად არ იყო საუბრის გუნებაზე, დატყვევებული ცხოველის სევდა ედგა თვალებში, უცებ შეგეცოდებოდათ, იმის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდით, რა სჭირდა შესაცოდი. თავშეხვეული, რაღაცნაირად უმწეო და უპატრონო ჩანდა.

ექიმმა ჯანდიერმა დალაქული, გამხმარი სისხლით გამკვრივებული სახვევი ფრთხილად მოხსნა, ბარძაყებზე ხელებდაბჯენილი, წინ გადაიხარა და ჭრილობას დააკვირდა.

— დიდი არაფერი. წარბი გაქვთ ჩამოტყაული. ოდნავ გვერდზე და ოდნავ ზემოთ რომ მოგხვედროდათ, მაშინ სულ სხვა სურათი გადაგვეშლებოდა თვალწინ. — თქვა საქმიანად, სერიოზული სახით.

— ყველას ჩემი მოკვლა უნდა, ექიმო. რაც გავჩნდი, იმის მერე ასეა. — თქვა ქაიხოსრომ. ჭრილობის გარშემო გაუბედავად მოითათუნა თითები. გაშიშვლებულ ჭრილობას ცივი ჰაერი არ ესიამოვნა, ღრმად, საიდუმლოდ ფეთქავდა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხართ. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა.

ისევ ჭრილობას ათვალიერებდა.

— ბედნიერიო? — შეიცხადა ქაიხოსრომ.

— კაცის მოკვლას რა უნდა. თქვენ კი, ვერავინ ვერ მოგკლათ. აკი თვითონვე ამბობთ, სულ ასეაო. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა და ბინძური სახვევი იატაკზე დააგდო.

— ასეა. — დაადასტურა თავისი ნათქვამი ქაიხოსრომ. — ჩემივე მკვლელები გავამრავლე მხოლოდ, სხვა არაფერი გამოვიდა ჩემი სისხლიდან. — ჩაიცინა და დაიკვნესა ერთდროულად, რადგან სიცილის უმნიშვნელო ბიძგმა ჭრილობა ატკინა.

ხელი თავისთავად გაექცა შუბლისკენ.

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ. — დაამშვიდა ექიმმა ჯანდიერმა, — არ გეკადრებათ, თქვენ ხომ ძველი მეომარი ხართ. — გაიცინა, თბილად, კეთილად — დაჭრილ ოფიცრებს იერიშზე მიჰყავთ ჯარი. ასე არ არის? ილიკო ორბელიანი ნაწილ-ნაწილ გამოიტანეს თურმე ბრძოლის ველიდან.

ქაიხოსრომ ცალი ლოყა შეიჭმუხნა, თითქოს ბუზი მოიშორა.

ექიმი ჯანდიერი გასწორდა, სკამის ზურგს მიებჯინა. გაშლილი ხელისგულები ბარძაყებზე რამდენჯერმე დაიტყაპუნა.

— მართალი ბრძანდებით, — გააგრძელა ცოტა ხნის მერე, ვითომ მიგიხვდი, რას ნიშნავდა შენი ლოყის შეჭმუხვნა და იმაზე გპასუხობო. — მართალი ბრძანდებით, წავიდა გმირობისა და თავგანწირვის დრო. დავბერდით, მაიორო. სიბერე შემოგვეპარა. სული კი, სიბერეში გატკბილდება ხოლმე, როგორც ხილი შემოდგომაზე. იქამდე არც კი გვახსოვს. სიბერეა, აბა რა ოხრობაა, ავადმყოფთან მოვედი, ჩანთა კი ეტლში დამიტოვებია.

— პეტრე! — გაუბედავად დაიძახა ჭრილობისგან დაშინებულმა ქაიხოსრომ. — თქვენ იყავით. პეტრე მოიტანს. — უთხრა ექიმ ჯანდიერს. ცდილობდა ისე ამოეშვა ხმა, არც ერთი ნაკვთი არ შეტოკებოდა სახეზე.

— ახლავე წამალს დაგადებ და, როგორც იტყვიან, ქორწილამდე აღარც გემახსოვრებათ. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა და სკამიდან წამოდგა.

— ეგეც მალე იქნება. — ისევ წამოუარა სევდამ ქაიხოსროს, — მიქელ-გაბრიელი გადამწერს ჯვარს.

პეტრე და ექიმი ჯანდიერი ერთად გამოვიდნენ ქაიხოსროს ოთახიდან. „ის სადღაა?“ — ჰკითხა ექიმმა ჯანდიერმა პეტრეს, როცა კიბეზე ჩამოდიოდნენ, თუმცა უკვე იცოდა, სადაც იყო ის, უკვე გომურის ბარმიბჯენილ კარს უყურებდა. პეტრემაც იქითკენ მიუშვირა ნიკაპი.

— როგორ გაბედე, უგუნურო! — იყვირა ექიმმა ჯანდიერმა და გომურის კარს გიორგასეული ბარი ფეხით მოაშორა.

ანა ტახტზე იჯდა, ხელები ისევ ზურგს უკან ჰქონდა გაკრული და ამის გამო, კუზიანს ჰგავდა.

— ოჯახი დამიქცია. ნაბიჭვარს გვანაცვალა ყველანი. — სცადა თავის მართლება პეტრემ, მაგრამ ექიმი ჯანდიერის თვალებს რომ წააწყდა, დატატანებული ძაღლივით, უნდილად და

უხალისოდ გაეცალა იქაურობას, ექიმმა ჯანდიერმა ჩანთა მიწაზე დააგდო და მხოლოდ მაშინ იგრძნო, მთელი ტანი რომ უცახცახებდა. მაგრად მოჭერილ თოკს წითელი ღარები გაეჩინა ანას მაჯებზე, ფრთხილად გადაუსვა ხელი, თითქოს დამწვარზე მალამო წააცხოო.

— რა ვქნა? — გაუღიმა ანამ.

— ჩუმად. — შეუყვირა. — ჩუმად. — გაიმეორა ახლა უკვე ჩურჩულით. — ჩუმად, შე უბედურო. უნდა გამაგრდე, უნდა გაუძლო, შენს თავზეც უნდა იფიქრო ცოტა... ნუ იღიმები. — იყვირა ისევ.

— მოკვდა? — კი არ ჰკითხა, შეევედრა ანა.

— შენთვის რახანია მკვდარია. ამოიგდე თავიდან. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა.

ხელებით ანას მაჯები ეჭირა. ანა კი წყნარად იჯდა, მშვიდი, მორჩილი, დამყოლი, ქოთნის მცენარის ღერივით. არაფერს დაუბნევია ასე ექიმი ჯანდიერი. ანას სუსტი და დრეკადი ძვლების შეგრძნება გულს უჩუყებდა და თავბრუს ახვევდა, თითქოს უბედურ სნეულთან კი არა, ახალგაზრდა და საყვარელ ქალთან განმარტოვებულიყო პირველად, თავადაც ახალგაზრდა და გამოუცდელი. „შენი თითებით დასორსოლებული პური რომ შევჭამე, იმან გამაძლებინა აქამდე“. — ჩაესმა ანას ხმა. „პური?, რომელი პური?“ — აღელდა, შეწუხდა, შერცხვა. უარესად დაძაბულიყო, მაგრამ განძრევა ვერ გაებედა, ეხათრებოდა, თითქოს თვითონ კი არა, ანა ჩაფრენოდა მაჯებში. ანას პატარა, ეზოს ყურეში გაშენებული ბოსტნის სურნელი ასდიოდა. წყნარი, სუფთა, ლამის ახალშობილი თვალებით ამოხედა, თითქოს ფეხით გადაქექილი თოვლიდან ენძელებმა გამოაჭყიტესო. ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს, სანამ ანას თვალებიდან გაზაფხულის ნიაღვარივით, გამარჯვების ყიჟინასავით, ფარეხის კედლებისგან განთავისუფლებულ ფარასავით, ვინ იცის როდინდელი, რამდენ გულში ნადგამი, რამდენჯერ გადადუღებული და რამდენი ხნის ნათმენი ცრემლი არ გადმოიღვარა. „ხო, ხო. იტირე, იტირე, იტირე“. — უაზროდ იმეორებდა აღელვებული ექიმი ჯანდიერი. ანა ტიროდა და ცრემლით გახურებული ტუჩე-

ბით უკოცნიდა ხელებს. ექიმ ჯანდიერს არც უფიქრია ხელების წართმევა, როგორც არასოდეს არ იფიქრებდა, ავადმყოფისთვის პირთან მიტანილი წამალი დაეგდებინებინა, ანდა გლახასთვის — პურის ლუკმა. „წადი. დაგვივიწყე. ნუღა მოხვალ. მადლობელი ვარ, ექიმო. ჩვენ აღარაფერი გვიშველის. ეს ყოფილა ჩვენი ბედი“, — ლუღლუღებდა ექიმი ჯანდიერის სუფთა და სურნელოვან ხელებს დაწაფებული ანა. ანა მართალი იყო. ერთნაირი ბოროტება იქნებოდა ახლა, როგორც ანას დამშვიდება თაფლით გატკბილებული წამლით, ასევე იმის გამომჟღავნებაც, რასაც თვითონ განიცდიდა. ცოტა ხნის მერე, ეტლის კოფოზე იჯდა და მძიმე, მამაკაცური ცრემლი ყვრიმალებზე აშრებოდა.

შხუილით მიქროდნენ უკან გზაზე გადმოფენილი ტოტები.

გზისპირა თხრილები ცაცხვის, ალვის, აკაციისა და ათასნაირი ხეხილის გამხმარ ფოთოლს ამოევსო. ბზრიალ-ბზრიალით ქრებოდნენ გამოცარიელებულ სივრცეში ხელისგულივით მოტვლეპილი, ნაცრისფერი ეზოები, მზეზე გამოხუნებული, ალაგ-ალაგ ხავსმოდებული კრამიტის სახურავები, მიწაში ჩაკარგული და ჯვარჩამოხსნილი საყდრის გუმბათივით გარინდული ზვინები, ფუტკარმისეული ჯაგნებითა და ჯერ კიდევ სველი ჩურჩხელებით მოკაზმული აივნები, პირდაპირ იატაკზე დაყრილი კომშისა და ვაშლის სურნელი... ის კი, ვერაფერს ხედავდა, ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში და ყველაფერი ერთნაირად ბრჭყვიალებდა მისთვის, სივრცეც, გზაცა და ცხენის ზურგიც, ყველაფერი დამსხვრეული შუშით იყო თითქოს მოფენილი, როგორც გარეგინას დუქნის იატაკი, სამაგიეროდ, ვერც იმის ცრემლს ხედავდა ვერავინ და გინდაც დაენახათ — ქროლვისაგან, ქარისა და მტვრისგან აღძრულ ცრემლად ჩათვლიდნენ, ალბათ, ცხენის მუცლის ბუყბუყი ესმოდა მხოლოდ და შოლტის შხუილი, ცხენის ასაჩქარებლად კი არა, ამ უცნაური სევდის, ამ უცნაური სისუსტის დასაფრთხობად მოქნეული. „რა ჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი?“ — ფიქრობს, ჩურჩელებს, ყვირის იგი, ესკულაპეს შთამომავალი, მამლის სიფხიზლის, გველის სიბრძნისა და კვერთხის სიმტკიცის მპყრობელი, რისი არ მნახველი, რისი არ გადამტანი, მაგრამ მაინც გულუბრყვილო და მეოცნებე ბავშვად დარჩე-

ნილი, სიკვდილისა და სიცოცხლის მეცნიერი, უნივერსიტეტებში განსწავლული, წიგნის სიღრმეთა მხილველი და მაინც უმწეო და უვიცი გომურში მცხოვრები უბრალო სოფლელი დედაკაცის უბედურების წინაშე, რადგან იმ დედაკაცის ცხოვრება არ ემთხვევა ვითომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოჩენილს, შესწავლილს, დაფორმულებულსა და დაკანონებულ მცნებებსა და ჭეშმარიტებებს, იმისთვის აღმართი მეტია, ვიდრე დაღმართი, ერთი კილო რკინა მძიმეა, ვიდრე ერთი კილო ბამბა და გაცილებით მეტ ფართობს ითხოვს, გაცილებით მეტ საიდუმლოს ინახავს მისი ცრემლის ერთი წვეთი, ვიდრე ოკეანე. „ეი, ესკულაპე! როდემდე ვიყოთ ასე, როდემდე ვიოცნებოთ?“ — ყვირის იგი, ორთვლიანი ეტლის კოფოზე მჯდომი, ღმერთივით დიდებული და ახოვანი და იმავე დროს, მტვრის ნამცეცივით ჩაკარგული საკუთარი ცრემლის ბრჭყვიალა წყვდიადში, ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით გახლართული საკუთარი სევდის ეკალ-ბარდებში. ცხოვრება კი გრძელდება, საზამთროდ მომზადებული ხალხი სახლებში შეკეტილა, გუგუნებენ ბუხრები, თუნუქის ღუმელები. ორთქლი ასდის ნუჟრიანი შეშის ნაპობზე გადაფენილ წინდებს, აბუყბუყებულ ქვაბებსა და ქოთნებს. საკუჭნაოში ფეხმძიმე ქალს მკლავი დაუკაპიწებია და მწნილის გაყინულ ქილაში ჩაუყვია. „რას შვრები, გო?“ — ეძახის დედამთილი. „მემჟავება და, რა ვქნა“. — ამბობს ფეხმძიმე ქალი და იდაყვამდე დასველებულსა და დაწითლებულ მკლავს ილოკავს.

10

ანა იმ ზამთარს მოკვდა. მოულოდნელად გამოეღვიძა შუაღამისას, გიორგიო, დაიძახა, კი არ დაიძახა, დაიჩურჩულა, თითქოს ჩათბუნებული სოფლის გაღვიძებისა მოერიდა, და შვილის სახელს სულიც ამოაყოლა. სოფელმა მაინც გაიგო და სანახევროდ ისევ ძილ-ბურანში მყოფი, თვალების ფშვნეტითა და ჭრაქების პარპალით მაკაბელების სახლისაკენ გამოეშურა, როგორც ოდესღაც, იმ საბედისწერო ღამეს, როცა მაიორმა თა-

თარს ხელები გაუხვრიტა. იმოდენა თოვლი იდო, ხალხი კი არ მოდიოდა, მოცურავდა. მამლები ისევ ყიოდნენ, როცა ზოსიმე მღვდლის შავი. ლანდიც აისვეტა თოვლით ამოქოლილ ორღობეში. გეგონებოდათ, უცებ ტანი აუყრია, ანდა რაღაც ზებუნებრივი ძალა აკავებს ჰაერშიო. ასედაც იყო:

ზოსიმე მღვდელი ეპიფანე დიაკვანს მოჰყავდა ორი ფიცრით, გალუმპულ ფიცრებს უნაცვლებდა ფეხქვეშ და სანამ ერთ ფიცარზე ატორტმანებული ზოსიმე მღვდელი დაჰყვიროდა:

ჩქარა ქენი, ჩავიძირეო — მეორეს წინ ახვედრებდა. ისეთი გაშმაგებული მოარღვევდა წელამდე თოვლს, თითქოს ანაფორის ბოლოებზე ეშმაკები ებღაუჭებოდნენ და ტანზე ეფხრიწებოდა. თოვლში ცურავდა და ხვითქი გადასდიოდა საწყალს.

მაკაბელების სახლს რომ მიაღწიეს, თხასავით აცემინებდა. მოხუცებსაც არ ახსოვდათ ისეთი თოვლი, იმ ზამთარს რომ მოვიდა. შიმშილმა ნადირი ტყიდან გამოდენა, სოფლის ირგვლივ ჩაცუცქული მგლები და ტურები საწყალობლად ყმუოდნენ, თითქოს დასჯილი ბავშვები იყვნენ და მშობლებს პატიებასა და შინ შესვლის უფლებას თხოვდნენ. ხოლო ანას დასაფლავების დღეს სოფელში ირემი შემოვიდა. თავაწეული მოდიოდა, ფრთხილად, გამოზომილად აბიჯებდა ადამიანის ნაფეხურებით გადატკეპნილ თოვლზე. ფერდები ჩასცვენოდა, ბღუჯა-ბღუჯა ეკიდა ბალანი ტანზე. მოცლილი კაცი თავისუფლად დაითვლიდა იმის ძვლებს. მშიერი ნადირის დანახვამ ურუქელები შეაწუხა, საყელოებით ეჭირათ ირმის სუნით აღგზნებული და პატრონების საქციელით გაცოფებული, თვალებგადათეთრებული ძაღლები, ღობეებს მოსდგომოდნენ, რაღაცნაირად დაბნეულნი და დასევდიანებულნი მისჩერებოდნენ ტყეთა ბინადარს, დატოტვილ რქებზე ზამთრის სუსტი მზე სანთლებივით რომ ანთებოდა და მშვიდად, აუჩქარებლად მოაბიჯებდა ორღობეში, თითქოს ვერც ხალხს ამჩნევდა და არც გაგიჟებული ძაღლების ყეფა ესმოდა. შიმშილსა და სიმარტოვეს დაებრმავებინა და დაეყრუებინა, შიში ტყეშივე დაეძლია, ყველაფერს წინასწარვე შეჰგუებოდა, რაკი თავისივე ფეხით მოსულიყო ადამიანთან, რომელსაც მთელი სიცოცხლე გაურბოდა, ემალებოდა და რომლის თოფმომარჯვებული აჩრდილი იქაც, ტყეთა წიაღში

ჩაკარგულს, ელდასავით ეცემოდა ხოლმე გულზე. ახლა სოფლის ორღობეში მოაბიჯებდა, მშვიდი და ლამაზი, როგორც ღარიბი, მაგრამ პატიოსანი მშობლების გაზრდილი ბავშვი, სიბრალულის კი არა — დანაშაულის გრძნობისა და სიკეთის ჩადენის სურვილის აღმძვრელი. მისი მხდალი გულის ბაგაბუგი სოფელს აოგნებდა, ანამუსებდა, ხელ-ფეხს უბორკავდა კიდევ ერთი ცოდვის ჩასადენად და ისიც, სხვა რომ ვერაფერი გაეწყო, სხვა რომ ვერაფერი მოესაზრებინა, „ფუჩი-ფუჩიო“, — ეძახდა აქეთ-იქიდან ღობეებზე მკლავებგადმოწყობილი, გაბავშვებული თუ უარესად გაადამიანებული, სამათხოვროდ მოსული ნადირის ნდობით. ირემი გრილი, ხაოიანი, ორთქლიანი ნესტოებით ყნოსავდა მისკენ გამოწვდილ ხელისგულებს, რომლებზედაც ზამთრის სუსტი მზე ქვამარილის ნამტვრევებივით ბრჭყვიალებდა.

ირემმა ორღობე აიარა, გასცდა სადალაქოს, უკან მოიტოვა გაოცებული სახეებით ამოვსებული გარეგინას დუქნის გამოღებული კარიც. რუზე გადებულ პატარა ბოგირზე გადაბაკუნდა და, დაბარებულივით, პირდაპირ მაკაბელების რკინის ალაყაფს მიადგა, დრუნჩი ცას მიუშვირა და სატირალში მოსული კაცივით დაიზმუვლა. ირმის ზმუილმა ანას ჭირისუფლებიც წამოშალა, ყველანი აივანზე გამოეფინენ და ერთი წუთით ყველას დაავიწყდა ჩიხტაკოპიანი მიცვალებული, მშვიდად რომ იწვა კუბოში და კეხიან ცხვირზე სანთლის ალი დასთამაშებდა.

— ეგ გიორგას სულია. დედას მოაკითხა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და მოჟუჟუნე თვალები ქაიხოსროს მიაშუქა. მერე პირჯვარი გადაიწერა და დაამატა დიდება შენდა, ღმერთოო, ქაიხოსრო ცარიელ კედელთან იჯდა, შავი სატინის ხალათზე მუნდირი მოეხურა და მუხლზე დადებული მუშტიდან თეთრი ცხვირსახოცის ყური მოუჩანდა.

— გიორგას სული არა... — შეხედა ზოსიმე მღვდელს ეჭვის ღიმილით დაღრეჯილმა პეტრემ.

— გიორგას სულია. გაანათლოს უფალმა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

პეტრესკენ არც გაუხედია, მაგრამ დარწმუნებული იყო, ყოველ შემთხვევისთვის, პეტრეც რომ გადაიწერდა პირჯვარს. ჯერ გაუბედავად, მერე კი სწრაფად, რამდენჯერმე, ზედიზედ. რკინის ალაყაფთან თავაწეული ირემი იდგა და ზმუოდა.

პეტრე კიბეზე ჩავიდა, ეზო აუჩქარებლად გადასჭრა, თითქოს რაღაცას ეძებდა თოვლში, ალაყაფი გამოაღო და დაელოდა, სანამ ირემი, საბალახოდან დაბრუნებული ძროხასავით, ეზოში შემოვიდოდა. ირემმა ეზო დაყნოსა, ხომ სწორად მოვედიო, და შავი დრუნჩი თოვლში ამოეგანგლა, მერე თავი აიღო და გაირინდა: დიდი, დანამული თვალები ჰქონდა, გეგონებოდათ მართლა უტირიაო. პეტრე გომურისკენ გაუძღვა ირემს.

ეს უცნაური და მოულოდნელი სტუმარი გაზაფხულამდე შეინახეს მაკაბელებმა, თუმცა იმისი მოვლა-პატრონობაც აღათიას დააწვა კისერზე. ირემიც ბავშვივით მისახედი იყო, არაფერი გაეგებოდა ადამიანებისა, მაგრამ აღათიას ხელში გაზრდილი ბავშვებისგან განსხვავებით, უდედმამო იყო, უპატრონო, ღმერთისაგან მოგდებული და, ამიტომაც, სხვა ბავშვებზე მეტად მასზე ჰქონდა უფლება, თავის ღვიძლ შვილად ჩაეთვალა იგი. არც არავინ დაუშლიდა და არც არავის დასწყდებოდა გული. ზღაპრებში რაღას არ აჩენდნენ ქალები და რა დიდი ამბავი იყო, მართლა აღათიას გაჩენილი რომ ყოფილიყო ეს ირემი. ისიც ხომ შეიძლებოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ამ ირემს ტყავი გადაეძრო და ოქროსთმიანი ვაჟი დახვედროდა აღათიას გომურში? ასე ფიქრობდა აღათია, ეს აღათიას საიდუმლო ფიქრი იყო, უკანასკნელი გაბრძოლება დედობისკენ და, რაღა თქმა უნდა, ვერ ხვდებოდა, ესეც ზღაპარი რომ იყო, ახალ ზღაპარს რომ იგონებდა უნებლიეთ, დაბერებული და უნაყოფო იმედის გასაყუჩებელსა და ჩასაძინებელს. აღათია თავს ევლებოდა ირემს, ქვიშა რომ არ შეეყოლებინა, ბრინჯივით ურჩევდა ქერსა და ქატოს, თბილ წყალში გავლებულ მარილს ალოკვინებდა მხოლოდ, ჯაგრისით წმენდდა, როგორც სასადილო ოთახის კედელზე გაკრულ ხალიჩას და, თქვენ წარმოიდგინეთ, რქებსა და ჩლიქებსაც უპრიალებდა, როგორც ანეტას — კბილებსა და ფრჩხილებს. ანეტასაც შეუყვარდა ირემი, ისე შეუყვარდა, რომ ასკლიპიოდოტაც დაავიწყდა, ყველაფერს ერჩია ტყისა და ტყიურის სუნით გაჟღენთილ გომურში ყოფნა, უსასრულოდ შეეძ-

ლო ეცქირა, თანდათანობით როგორ ევსებოდა და როგორ უნათდებოდა შიმშილისგან ჩაცვენილი ფერდები ირემს, აღათიას წყალობით, „გეხვეწები, მეც აქ მომიტანე საჭმელიო“, — ყელს უწევდა აღათიას და მამა-ბაბუის რომ არ შინებოდა, ღამითაც აქ დაიძინებდა, ირემთან და სახედართან ერთად, თუმცა ისე მაინც არ ჩაწვებოდა ლოგინში, ერთხელ კიდევ რომ არ დაეხედა ირმისთვის, ღამე მშვიდობისა რომ არ ესურვებინა და ფრთხილად არ ჩამოესვა ხელი მფრთხალსა და დაძაბულ თეძოზე, თავადაც დამფრთხალს, დაძაბულს, უმიზეზოდ გაბედნიერებულსა და დასევდიანებულს. სულ იმის შიში ჰქონდა, ვაი თუ, ირემი აღარ დაგვხვდეს, ვაი თუ, გაგვეპაროსო, „იმიტომ რომ ნამდვილია, იმიტომ რომ იზრდები, შვილო“. — ეუბნებოდა აღათია, უსაზღვროდ მადლიერი, და თან ჭრაქს უნათებდა, აცახცახებული ჭრაქი ანეტას თავს ზემოთ ეჭირა, უკეთესად რომ შესძლებოდა მას ირმის დანახვა. ჭრაქის ალით დაფეთებულ წყვდიადში მკვეთრად ინაკვთებოდა ირმის უზარმაზარი ლანდი, რომელიც ათასში ერთხელ, თითქოს ანეტას დასამშვიდებლად, ღონივრად ამოიფშვენდა ხოლმე და ანეტას სახეში უღიტინებდა ტყეთა სურნელი, ტყეთა იდუმალებით გაჟღენთილი და გამთბარი ჰაერი.

იმ ზამთარს ანეტას გაუთავებელი ბავშვობაც დასრულდა.

ეს ყველაზე ადრე, ასკლიპიოდოტამ იგრძნო, ტახტიდან გადმოვარდა და დაიმტვრა, მარჯვენა წარბი ჩაიმსხვრია. წარბის ნაცვლად გაჩენილ ხვრელში რკინის წვრილი ჩხირი გამოჩნდა, რომელზედაც მისი თვალი იყო მიმაგრებული. მაშინვე დაეკარგა ცოცხალისა და ნამდვილის იერი. ანეტას მაინც არ გადაუგდია ის, მაგრამ აღარც ერთად იძინებდნენ. ახალი ადგილი მიუჩინა, დიდ ოთახში ტახტზე, მუთაქებს შორის დაასკუპა და ისე არ ჩაუვლიდა, უცაბედად დასევდიანებული თვალი რომ არ გასჩერებოდა ძველისძველი მეგობრის უსისხლო და უშნო ჭრილობაზე. თოჯინის ტყვეობიდან თავდაღწეული ანეტა დღითი დღე იყრიდა ტანს, დღითი დღე ივსებოდა ფერხორცით და, შემკრთალი და დაბნეული, უაზროდ უღიმოდა სარკეში საკუთარ გამოსახულებას, როგორც უცხო გოგოს, რომელსაც უნდა გასცნობოდა და დამეგობრებოდა კიდეც, რადგან დღეიდან ერთ ჭერქვეშ მოუწევდათ ცხოვრება. აგერ უკვე ხუთი წელი იყო, რაც

აღათია ყოველ შურისკვირას ბედისკვერებს უცხობდა ანეტას, ყოველ წელიწადს აკლებდა ფქვილს, მარილს კი — უმატებდა, მაგრამ თოჯინასთან ერთად დაძინებულ გოგოს წვიმები ესიზმრებოდა მხოლოდ, თითქოს ისა და ასკლიპიოდოტა გუბეებში ჭყუმპალაობდნენ, ანდა თავფეხიანად გაწუწულნი შინისაკენ გამორბოდნენ, წვიმა კი, თქარათქურით მოსდევდათ უკან. მლაშე კვერით მოწყურებულს, არც ხარკათი ასმევდა სიზმარში ვინმე წყალს და არც ჭიქით. ანეტამ აღათიასგან იცოდა, რომ სიზმარში ხარკათი მოწოდებული წყალი გლეხის ცოლობას ნიშნავდა, ჭიქით კი — თავადისას, მაგრამ გათხოვება იმდენად ადარდებდა, რამდენადაც ასკლიპიოდოტას. გათხოვების წინააღმდეგი არ იყო, რადგან ზღაპრებში ყველა მზეთუნახავი თხოვდებოდა ბოლოს. შემოუჯდებოდა მფრინავ ხალიჩაზე დევების გამჟუჟავ ბიჭუნას და აფრინდებოდა ცაში, ვარსკვლავებზე, მაგრამ, მისი რწმენით, იმ ბიჭუნას ერთად უნდა წაეყვანა ისა და ასკლიპიოდოტა.

ორივე უნდა შეერთო, რადგან ცალ-ცალკე არც ერთი არ წაყვებოდა მაინც, რაც არ უნდა მომხიბვლელი ყოფილიყო მფრინავი ხალიჩით სეირნობა.

— ეგრე როგორ შეიძლება, გოგო. ეგრე ხომ თათრებმა იციან. — გულწრფელად წუხდა აღათია.

— მერე რა, — მხრებს იჩეჩავდა ანეტა. — მაშინ სულ ნუ მოვა. ჩვენ არაფერში გვჭირდება. არა? — ეუბნებოდა ასკლიპიოდოტას. და ისიც, თანხმობის ნიშნად, გრძელსა და აპრეხილ წამწამებს უხამხამებდა.

— ეგრე როგორ შეიძლება. — წუხდა აღათია. — აბა, ჩემსავით უნდა დარჩე, უშვილძიროდ?

მაგრამ ეს ადრე იყო, ირემმა სიცოცხლის ველური, დაუდეგარი და იდუმალი სული შეასუნთქა თოჯინის წამხედურობით ზრდაშეწყვეტილ ანეტას. იმ წელიწადს ბედისკვერმაც გასჭრა და ანეტამ ნახა სიზმარი. ვითომ წყაროზე გაეშვათ მარტო. ჯერ მოსწონდა, უხაროდა, უკვე დიდი გოგო ვარო, იძახდა გუნებაში, მაგრამ რამდენჯერაც შეუყენა კოკურა ღარს, იმდენჯერ ფერ-

ფლით აევსო. გვიან შეამჩნია, რომ რკინის ღარში წყლის მაგივრად ფერფლის ნაკადი მოდგაფუნობდა. თვალის საჩიერზე ფერფლით გადაპენტილიყო ყველაფერი. თვითონაც მუხლებამდე ფერფლში იდგა. „ეს სად მოვედიო“, — გაუკვირდა. აღათიასთვის უნდოდა დაეძახა, მაგრამ პირიც. ფერფლით ამოვსებოდა. ერთი წუთიც და დაიხრჩობოდა.

გრძნობდა, როგორ იხრჩობოდა. ვერც ტყვიასავით დამძიმებულ კოკურასთვის გაეშვა ხელი და უფრო და უფრო იძირებოდა ფერფლის ზღვაში. ბუჰო, — დაიჭექა უცებ კოკურამ და ფერფლის ღრუბელი ამოაფრქვია. ხოლო ის ღრუბელი კაცად იქცა. დილით ვერაფრით გაიხსენა ანეტამ იმ კაცის სახე, სიზმარში კი, ისე გაუხარდა, თითქოს იმის საძებრად გამოსულიყო შინიდან. რამდენჯერაც შეუშვირა იმ კაცმა პეშვები ღარს, იმდენჯერვე წყლით აევსო. ანკარა, ჰაერივით გამჭვირვალე წყლით. „ეს მკვდრების წყაროა და ყველას არ ემსახურებაო“ — უთხრა ანეტას. ანეტა პირდაპირ იმის პეშვებიდან სვამდა წყალს. ისეთი გრილი და გემრიელი წყალი ცხადშიც არ დაულევია, სვამდა, სვამდა და გრძნობდა, როგორ ებერებოდა მუცელი. თან იმასაც გრძნობდა, სიზმარში რომ იყო, და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიღვიძებდა, როდის მოუყვებოდა აღათიას, გამოღვიძებულმა კი, გადაიფიქრა, აღათიასი მოერიდა, არ კი იცოდა, რატომ.

ახლა დილაობით ფეხშიშველი, პერანგის ამარა იდგა ხოლმე აგუგუნებული ბუხრის წინ და კეფაზე ხელებშემოწყობილი, ცეცხლის სიმხურვალით შემკრთალი და ალანძული, ნებიერად ანჩხლი და ნებიერად მიზეზიანი, კატასავით იზმორებოდა, სანამ ყველა სახსარი არ გაუტკაცუნდებოდა, სანამ ყველა კუნთი არ დაეჭიმებოდა, სანამ ერთიანად არ აღიქვამდა საკუთარ არსებას, როგორც მხედართმთავარი ერთი მიზნისთვის დანაწევრებულ ჯარს. „ჩაიცვი, გოგო, გაცივდები“. — ეძახდა აღათია, ის კი, მოჯადოებულივით შესცქეროდა ცეცხლს, შიშველ ფეხებზე სასიამოვნოდ ელაციცებოდა ცეცხლის სიმხურვალე და რცხვენოდა ამ სასიამოვნო შეგრძნებისა, როგორც გათხოვილ ქალს — ქმრისა, რომელმაც პირველად იხილა მისი სიშიშვლე და რომელსაც კი არ გაურბის, უარესად ეტმასნება, რადგან იმისია და მხოლოდ უაღრესი სიახლოვით შეუძლია დაემალოს იმას.

— ავდგები და წავალ. — ამბობდა ანეტა.

— სად წახვალ, გოგო, ძაღლი არ გაიგდება ამ თოვლში, — უკვირდა აღათიას.

— არ ვიცი... თუნდაც ნიკოსთან.

— ქალს ციმბირში რა უნდა, შვილო. იქ, თურმე, მარტო პატიმრები არიან. — იჯერებდა აღათია...

— მე რა, პატიმარი არა ვარ? — მხრებს იწურავდა ანეტა და უხალისოდ წრუპავდა რძეს. — ყველაფერი ყარს. — იბზუებდა ტუჩს და გვერდზე აჩოჩებდა ფინჯანს.

— რას ამბობ, გოგო, როგორ თუ ყარს? — იბნეოდა აღათია, — ყარს, ყარს... ყველაფერი ყარს. — ანჩხლდებოდა ანეტა. სამაგიეროდ, მამისა და პაპის თანდასწრებით პირს არ გააღებდა, თუმცა, პაპამისს ვეღარც ხედავდა, ანას დაკრძალვის მერე ქაიხოსრო თავის ოთახში იყო შეკეტილი და ზოსიმე მღვდლის მეტს არავის უღებდა კარს. მამასაც იშვიათად ხვდებოდა, სადილზე ან ვახშამზე, მაგრამ მაშინაც დამდურებულებივით არიდებდნენ ერთმანეთს თვალს. ანეტასთვის უცხო იყო მამა, არც არასდროს გაწყრომია და არც არასდროს მოფერებია, უბრალოდ იცოდა, რომ მამამისი იყო და ეს სავსებით აკმაყოფილებდა, სანამ ასკლიპიოდოტასთან მეგობრობდა, ახლა კი, ამის ცოდნა ბორკავდა, აბნევდა და აღიზიანებდა კიდეც, რადგან არც არაფერს აძლევდა და არც არაფერს ართმევდა.

პეტრეც დაახლოებით ამ დღეში იყო, სანამ ანეტა ბავშვად ითვლებოდა, უიმისოდაც მიხედავდნენ ქალები, ახლა კი, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ან რაზე ელაპარაკა ქალიშვილთან, რომელსაც იმდენივე გაეგებოდა ღვინოების ყიდვა-გაყიდვისა, რამდენიც თავად — ქალებისა. პირმოკუმულები ისხდნენ და საჭმელსაც პირმოკუმულები ჭამდნენ.

— თოვლიც საჭიროა მიწისთვის. ვაზი თუ არ დააზრო, წელს კარგი მოსავალი იქნება. — იტყოდა ხოლმე პეტრე, ისე, სხვათა

შორის, რამე რომ ეთქვა და სტუმარივით არ მჯდარიყო საკუთარ სახლში.

ქვეყანა თოვლში იყო ჩაკარგული. საითაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან მისი კაშკაშა, თვალისმომჭრელი სითეთრე ხასხასებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, სხვაგანაც თუ არსებობდა სიცოცხლე, გზებით თუ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან სოფლები და ქალაქები, და როდისმე თუ გაადნობდა, როდისმე თუ მოერეოდა მზე ამოდენა თოვლს. მაგრამ სიცოცხლეც არსებობდა და გზებიც, თოვლით დამარხული გზები და ამის იმედი აძლებინებდა ანეტას. ერთი გზა ურუქზეც გადიოდა და, ღმერთმა იცის, საიდან დაწყებული, სად მთავრდებოდა. ანეტას თოვლის ქვეშ გზა ეგულებოდა და დიდი იმედი ჰქონდა იმ გზისა, როგორც წერა-კითხვის უცოდინარ დედაბერს თამასუქისა, რომელსაც კიდობანში თეთრეულის ქვეშ საგულდაგულოდ ინახავს და რომელიც, იმერული აბაზიანივით, შეიძლება ყალბიც აღმოჩნდეს.

— საჭმელი მიუტანე? — ეკითხებოდა დანაყრებული, სკამის ზურგს მიწოლილი პეტრე აღათიას და გათლილი ჩხირით კბილებს იჩიჩქნიდა. — პაპაშენი კაი ხნის მკვდარია, — ამბობდა მერე ანეტას გასაგონად. — მაგრამ ამ თოვლში საფლავის გათხრას, ისევ მკვდრის შენახვა ჯობია; უფრო იაფი დამიჯდება. პეტრე, თავისი ჭკუით, ანეტას გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ ანეტას სახეც არ ეცვლებოდა მამის უკბილო და ღვარძლიან ხუმრობაზე, თითქოს დაყრუებულიყო, ჯიუტად დასცქეროდა თეფშს და ვერც კი გაიგებდით, გამწყრალი იყო თუ მოწყენილი. სარკმელი თოვლს ამოეთეთრებინა. კედლებშიც ჟონავდა თოვლის ღრმა, უკიდეგანო სიჩუმე. უკვალოდ იკარგებოდა ამ სიჩუმეში ყოველგვარი ხმა და ხმაური, რადგან თვითონ ხმაურობდა, განუწყვეტლივ გუგუნებდა ყურებში, როგორც უზარმაზარი თეთრი ნიჟარა. ხანდახან ტოტიდან დაცურებული თოვლის ბოლქვები ფეთქდებოდნენ გარეთ, ყრუდ, მოგუდულად და თოვლის ბრჭყვიალა მტვერში დიდხანს ირხეოდა გალუმპული, სიმძიმისაგან განთავისუფლებული ტოტი.

ქაიხოსრო თავის ოთახში იყო გამოკეტილი და თოვლის სიჩუმე აგიჟებდა, აეჭვიანებდა, მოსვენებას უკარგავდა. ვიღაცის

შემპარავი, ქურდული ნაბიჯები ეჩვენებოდა განუწყვეტლივ და ხან კარზე ჰქონდა ყური მიდებული, ხან კი ფარდას ამოფარებული, ფანჯრიდან უთვალთვალებდა გადათეთრებულ ეზოს, სუნთქვაშეკრული, დაძაბული და აღგზნებული. ვინმე რომ მოუკაკუნებდა, ქურდობაზე წასწრებული კაცივით გაშეშდებოდა ხოლმე შუა ოთახში, ენაჩავარდნილი, ერთიანად აგანგაშებული, და კაკუნი რომ განმეორდებოდა რამდენჯერმე, ისიც იძულებული ხდებოდა გამოემჟღავნებინა თავი. „რომელი ხარო“, — უღრენდა კარს, თითქოს განგებ გაუხეშებული და გამკაცრებული ხმით შეაშინებდა და მოიგერიებდა მისი მოკვლის მსურველს. „აღათია ვარ, ადამიანო, საჭმელი მოგიტანე“ — ეპასუხებოდა აღათია კარს იქიდან. ქაიხოსრო ცოტათი მშვიდდებოდა. აღათია ჯობდა ყველა წარმოდგენილ მტერს, მაგრამ ბოლომდე აღათიას კი არა, საკუთარ ლანდსაც აღარ ენდობოდა იგი. „იცოდე, ჯერ შენ შეგაჭმევო“. — კარს აქედან ცდილობდა საბრალო მოახლის გამოტეხვას. „მე უკვე ვჭამე, მადლობელი ვარ“, — ვერ უგებდა აღათია, თეფშს კართან დებდა იატაკზე და მიდიოდა, მიაფლასუნებდა ფეხებს. ქაიხოსრო ელოდებოდა, როდის მიწყდებოდა აღათიას ფლოსტების ტყაპუნი და მხოლოდ მერე აღებდა კარს, ოდნავ, თეფში რომ შემოტეულიყო, ჩაკუნცხული, ცალი ხელით კარის სახელურზე ჩამოკონწიალებული, მეორე ხელს ღრიჭოში გააძვრენდა და ფრთხილად, ნელ-ნელა შემოაცოცებდა ოთახში საჭმლიან თეფშს. მერე თეფში შუა ოთახში იდო იატაკზე და ზურგზე ხელებდაწყობილი ქაიხოსრო გარშემო. უვლიდა, თითქოს უხილავი თოკით იმ თეფშზე იყო მიბმული, როგორც ვირი პალოზე.

არაქათგამოცლილი, წარმოდგენებში ათასჯერ მკვდარი და გაცოცხლებული, შიმშილისგან მუცელაყმუვლებული, ბოლოს თვითონაც იატაკზე ეშვებოდა, ძაღლივით მიუცუცქდებოდა ხოლმე მისთვის ესოდენ ამაზრზენსა და ამავე დროს აუცილებელ საჭმელს და თქლაფათქლუფით, ფაციფუცით ნთქავდა, რათა თუ მოსაკლავი იყო, დროზე მომკვდარიყო, ბოლოს და ბოლოს, დაესვენა, თუ არადა, დროზე ჩაებრუნებინა შიმშილისგან სანახევროდ გაპარული სული.

— აღარ შემიძლია, მამაო, აღარ შემიძლია. — შესჩიოდა მის სანახავად მოსულ ზოსიმე მღვდელს. — კაცი არ მომიკლავს და

კაცის მკვლელივითა ვცხოვრობ.

— გინდა მოგეკლას და გინდა მოკვლა გდომებია. — თვალებს უჟუჟუნებდა ზოსიმე მღვდელი.

— შენა... — სიბრაზისგან ენა ებმებოდა ქაიხოსროს. — ერთხელაც იქნება, მოგაგლეჯავ მაგ წვერსა.

— იმიტომაც. — ტუჩებს აწკაპუნებდა ზოსიმე მღვდელი და კალთაში ჩადგმულ ჭიქას ეფერებოდა, თითქოს ოთახში შემოხეტებული წიწილა აუყვანიაო.

— რა, იმიტომაც, ადამიანო? — პირში ჩასცქეროდა მოუთმენლობისგან აწრიალებული ქაიხოსრო, იქნება ახლა მაინც მითხრას, წამოსცდეს, რა ამბავია ჩემს თავსო.

— ამისთანა ცუდი ზრახვები რომ გიტრიალებს თავში. — ღიმილით, მშვიდად უნმარტავდა ზოსიმე მღვდელი.

თოვლში სიარულისგან ანაფორა მუხლებამდე სველი ჰქონდა და გეგონებოდათ, უფრო მუქი ნაჭრით დაუგრძელებიაო, — მე ჩემი გამჭირვებია. შენ კი, ცეცხლზე ნავთს მისხამ. — უსაყვედურა ქაიხოსრომ და მაშინვე მხურვალედ შეევედრა. — წამიყვანე, მამაო, აქედან. აღარ შემიძლია. ღამღამობით კედლებიდან გადმოდიან, მოსისინებენ, მოჩურჩულებენ, მოდიან...

აი, ამ ბზარში მთელი ქალაქი შემოეტევა ხოლმე. ის წყეული ქალაქი. ყველას ჩემი მოკვლა უნდა, ცოლსაც, შვილსაც და შვილიშვილსაც. ღმერთი აღარა გწამთ, ადამიანო?!

— ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ჰა? — ყურები დაცქვიტა ქაიხოსრომ. — ჰა? — თითქოს რაღაც ეცნაურა, თითქოს დიდი ხნის დავიწყებული გაახსენეს უცებ:

— ყოველმან ჩემმან მპოვნელმან... — გაიმეორა ზოსიმე მღვდელმა.

— რათა? მე რომ არავინ არ მომიკლავს?! — დაიბნა, გაცხარდა, დაფრთხა ქაიხოსრო.

თვალებში წითელი ბინდი ჩაუდგა. სარკმელში ჩაბუდრებულ სითეთრესაც თითქოს ალმურმა გადაუარა უცებ.

— კარგი ღვინოა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა, ღვინო მოწრუპა და ჭიქა კალთაში ჩაიდგა.

არ იყო ქაიხოსროს საშველი, კაციც გადამტერებოდა და ღმერთიც, ყველას მის სისხლზე ეჭირა თვალი, კაცსაც. და ღმერთსაც. ღმერთის მოგზავნილი იყო ეს გველაძუა მღვდელი, მის ღვინოს რომ წრუპავდა და სისხლსაც თხოვდა, სისხლზე ევაჭრებოდა. გაცნობის დღიდანვე ისე უპრუწავდა ტუჩებს, თითქოს დიდ საიდუმლოს უნახავდა, თითქოს ზოგავდა და იცოდებდა, თითქოს გული შესტკიოდა და ამასაც აბრიყვებდა, თანდათანობით ამასაც უღვივებდა დანაშაულის გრძნობას, თვალების ჟუჟუნითა და ტუჩების წკლაპუნით თანდათანობით აბამდა ყელზე არარსებული ცოდვის მარყუჟს, ნათლობის ჯვარივით; ახლა კი, ამდენი წლის მერე, რაკი გაუჩუმდნენ, რაკი აჰყვნენ კუკუმალაობაში, იმ არარსებული ცოდვის შენახვისთვის გასამრჯელოს თხოულობდა, გაუთავებელ, აულაგებელ პურმარილს კი არ ყაბულდებოდა, იმასაც მაინცდამაინც სისხლი უნდოდა, სამიოდე ლიტრა ბებერი სისხლი, ამდენი შიშისა და დავიდარაბისგან გაწყალებული და ობმოკიდებული. ქაიხოსრომ ლამის სახეში შეასხა ღვინო ზოსიმე მღვდელს, აჰა, წაიღე ჩემი სისხლიო, მაგრამ ხელიცა და სიტყვაც ძალით შეაკავა, რადგან სიმარტოვე უფრო მწარე და დაუნდობელი იყო, ვიდრე სიმართლე. წავიდოდა თუ არა ზოსიმე მღვდელი, ოთახი მოჩვენებებით გაივსებოდა. ჭუჭრუტანებიდან, ნასვრეტებიდან, კედლის ბზარებიდან დენას დაიწყებდა თბილისი, როგორც საზარლად დაპობილი, საზარლად დატალღული, საზარლად მობუყბუყე ლავის მდუღარე ნაკადი. ბზარებში, ჭუჭრუტანებში, ნასვრეტებში გამოატევდა და, ვინ იცის, მერამდენედ შემოუწყობდა გარშემო უკვე სახეგადაშლილსა და ხრწნაგამჯდარ გვამებს, რომლებიც ოდესღაც მისიანები იყვნენ და რომლებთანაც ახლა აღარაფერი აკავშირებდა სასოწარკვეთის, შიშისა და უსაზღვრო სიძულვილის მეტი. გვამები თანდათან ლაგდებოდ-

ნენ მის გარშემო, ჯერ მუხლებამდე წვდებოდნენ, მერე წელამდე, მერე კისრამდე და ისიც იხრჩობოდა, იხრუკებოდა გამდნარი ქალაქის მდუღარე მორევში. თავზე კი, ყოჩის რქისხელა ულვაშებიანი, ორი თვის გოგო დასტრიალებდა, მკვდარი ანგელოზივით, და ამას ხელი ვერ გაენთავისუფლებინა, ვერ ამოეღო სქელი და წებოვანი მორევიდან, რათა თუ ვერ მისწვდებოდა ხელმეორედ მოსაკლავად, აექშია მაინც. თბილისი კი, მოედინებოდა, მოაბზრიალებდა ჭრელაჭრულა სარეცხს, მზეზე მოლივლივე გუმბათებს, ციხის მოედანზე დაძიძგილავებულ მამლებს, შუბლებით დაჯახებულ ყოჩებს, აქლემების ქარავანს, აღმოსავლური ტკბილეულის გორაკებს, ფარჩისა და აბრეშუმის თოფებში გზააბნეულ ქალებს, მოგუგუნე ზარებს, ურჩხულის ხახასავით ცეცხლისმფრქვეველ სამჭედლოებს, ხიდზე გახირულ ჩარდახიან ურმებს, ეტლებს, ფაეტონებს, დილიჟანსებს... და მოდიოდა, მოედინებოდა, მდინარესავით ცოცხალი და მარადიული. ხოლო ქაიხოსრო მის ფსკერზე იდგა, გვამებით დამძიმებული, ცოცხალი მკვდარი, ზეზეურად დამარხული.

ერთ საღამოს ქაიხოსროს მართლა მოესმა უცხო ნაბიჯების ხმა, მაგრამ ქურდული და შემპარავი კი არა, დაურიდებელი, თამამი და უხეშიც. დიდხანს იყო კარზე აკრული, მიყურადებული. მერე პეტრესა და აღათიას ხმები გამოიცნო, ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრა და ის იყო, კარს უნდა მოშორებოდა, რომ სწორედ ამ დროს ვიღაცამ გაიცინა, უცხოდ, შემაწუხებლად, „აღათია, აღათია, — დაიძახა მოთმინებიდან გამოსულმა, — რა ხდება? ვინ არის?“ — არ აცალა აღათიას კართან მოსვლა. „სტუმარია. ზოსიმე მღვდელმა მოიყვანა, ღამე გაათევინეთო, აქეთ ყოფილა საქმეზე და დაღამებია. ინჯენერი ვარო“. — სხაპასხუპით მიაყარა აღათიამ გამოკეტილ კარს და აღათიას ხმამაც დააეჭვა ქაიხოსრო, გამოცვლილად, უჩვეულოდ გაახალგაზრდავებულად და გახალისებულად მოეჩვენა.

„თვითონ სად არის? რატომ არ შემოვიდა ჩემთან?“ — ჩურჩულით ჰკითხა ქაიხოსრომ. შუბლი კარზე ჰქონდა მიბჯენილი, ორივე ხელით სახელური ჩაებღუჯა. „რა იცის, რომ აქა ხარ“, — გაიცინა აღათიამ. „სტუმარი კი არა, მღვდელი!“ — უყვირა ქაიხოსრომ. „მღვდელი რა ხანია წავიდა“. — აღათიას ხმაზე ეტყობოდა, გაქცევაზე რომ იყო, სულ რომ არ ეხალისებოდა ასე სუ-

ლელივით ლაპარაკი გამოკეტილ კართან. „რა იცით, ვინ ოხერია“. — სცადა აღათიას შეშინება ქაიხოსრომ, „ოხერი არა, — აღათიას გაეღიმა. ესეც ხმაზე შეეტყო. — არ მცალია, ადამიანო. მერე ვახშამს მოგიტან“. — უთხრა კარს ქაიხოსროს დასამშვიდებლად და გატრიალდა, დამთავრებულად ჩათვალა საუბარი. ქაიხოსრო კი ვერ დამშვიდდა, პირიქით, უფრო ააფორიაქა აღათიას დაბნეულმა ლაპარაკმა. ან რას შეატყობდა სულელი აღათია, ის კაცი მართლა უცხო იყო, თუ უცხოდ იყო შენიღბული. მთელი ღამე ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. სანამ დიდი ოთახიდან შვილისა და სტუმრის ხმები ესმოდა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ სახლი რომ ჩაწყნარდა და ჩაბნელდა, ნამდვილი წამება მერე დაეწყო. იმ ღამეს არც ანეტას სძინებია. სტუმარი რომ მოვიდა, ის უკვე ლოგინში იწვა, მაგრამ არ ეძინა, ქსოვას სწავლობდა ლამპის შუქზე. უცხო ნაბიჯების ხმა და სიცილი რომ შემოესმა, გული გადაუქანდა, ნიკო ჩამოვიდაო, დაიჯერა დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად, და ის იყო, უნდა წამოვარდნილიყო საწოლიდან, ოთახში აღათია შემოიძურწა და ზურგს უკან ფრთხილად მოიკეტა კარი. სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა. — ნიკო.. ნიკოა? — მავედრებელი თვალებით მიაჩერდა საწოლიდან სანახევროდ გადმოსული ანეტა.

— არა, შენ მოგიკვდეს აღათია. — დაიმდუღრა აღათია ანეტას საცოდაობით.

ვერ იქნა და ვეღარ გათბა იმ ღამეს ანეტა, თითქოს თოვლში იწვა, თითქოს თოვლად ქცეულიყო თვითონაც, სიჩუმისა და სიცივის დედოფალივით იწვა, მაგრამ ამის შეგრძნება საშიში კი არ იყო, არამედ სასიამოვნო, ოღონდ მამისა და სტუმრის ლაპარაკი აღიზიანებდა, აღათიას გაუთავებელი ფუსფუსიც, ჯერ წალოსთან და მერე სტუმრის ოთახში, და ეს უშლიდა, მთელი არსებით, სამუდამოდ რომ შერწყმოდა სიჩუმესა და სიცივეს. მტკივნეულად, გაათმაგებული სიძლიერით ესმოდა ყოველი უბრალო ჩქამიც კი, თითქოს პირველად ახლა გახსნოდა სმენა. მერე, ყველანი რომ დასაწოლად გაიკრიფნენ და სახლი ჩაწყნარდა, მიხვდა, ნიკოზე ფიქრობდა განუწყვეტლივ. წეღანდელი შეცდომა ძვირად დაუჯდა; როგორც არ უნდა დაწოლილიყო, პირქვე თუ გულაღმა, თვალღია თუ თვალდახუჭული, ხან ნიკო ედგა თვალწინ, ხან ნიკო და ალექსანდრე ერთად. პირვე-

ლად სტუმრებოდნენ ძმები და ანეტა იტანჯებოდა, ახლა გრძნობდა, როგორი უცხოები იყვნენ ისინი და როგორი უბედური იყო თვითონ, რადგან ორი ძმის პატრონი, ვერც თავს მოიწონებდა ძმებით და ვერც მათი იმედით იცხოვრებდა, ერთი ალთას იყო, მეორე ბალთას, და, შეიძლება, საერთოდ აღარც ახსოვდათ, დაც რომ ჰყავდათ, დასაც რომ სჭირდებოდნენ ისინი. უცებ, ისე მოენატრა ძმების სიახლოვე, ძმების უხეში სიყვარული, ალერსი და ყურადღება, ტირილი აუვარდა. ტიროდა და, სიცივისა და სიჩუმის არ იყოს, ცრემლიც სიამოვნებდა. იმ ღამეს, იმ ოთახში, იმ საწოლში მარტო ცრემლი იყო მხურვალე, ქომაგისა და მამაკაცის ბრმად მაძიებელი, თოვლის სიჩუმითა და სიცივით დაქალებული გოგოს ცრემლი. გამთენიისას ერთი წუთით ჩათვლიმა მხოლოდ და მაშინაც თოვლი დაესიზმრა, ტრიალ მინდორში იდგა, უსასრულო თოვლში ჩაკარგული, და არ იცოდა საით წასულიყო.

ოთახიდან რომ გამოვიდა, აღარც კი ახსოვდა, უცხო სტუმარი რომ იყო მათ სახლში, თანაც მამაკაცი. პერანგისამარამ, ჩვეულებისამებრ, ბუხარს მიაშურა, ბუხრის წინ რომ გაეთბო გათოშილი სხეული, მაგრამ ბუხარსა და აივანზე გამავალ სარკმელს შორის გაირინდა, ირემივით ფეხაწეული, მთელი არსებით უკვე დაძრული. აივანზე წელზევით შიშველი კაცი თოვლით იხელდა ტანს. ანეტას უარესად შესცივდა, უარესად აებურძგნა კანი. ბუხარში ცეცხლი ღუღუნებდა, ეძახდა, ეხვეწებოდა, დაკლაკნილ ხელებს უწვდიდა, პირდებოდა ალერსს, სიმხურვალეს, რინდს... ხოლო აივანზე, თოვლის მოზღვავებულ სითეთრეში, უცხო მამაკაცის შიშველი, სველი და ვარდისფერი სხეული ელავდა, და ისიც ცეცხლს ჰგავდა, ბუხარსა და ღუმელში კი არა, ცის ქვეშ დანთებულს, გასათბობად კი არა — ნადირის დასაფრთხობად, ანდა რაღაცის, მნიშვნელოვანისა და გარდაუვალის მაუწყებლად. უცნობი ანეტასკენ რომ შემობრუნდა, ანეტა ადამიანის სუნნაკრავი ირემივით მოწყდა და ისევ თავის ოთახში შევარდა. ხოლო ხელმეორედ რომ გამოვიდა ოთახიდან, უკვე ჩაცმული და დავარცხნილი იყო.

მამამისი და სტუმარი მაგიდასთან ისხდნენ და საუბრობდნენ. აღათია საუზმეს აწყობდა. სტუმარი ახლა არაფრით განსხვავდებოდა სხვა მამაკაცებისაგან და, ალბათ, არც ანეტას გა-

უჭირდებოდა მისთვის თვალის გასწორება, თავიდანვე ჩაცმულები რომ ჩვენებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მან იცოდა, რომ სტუმრის ჩვეულებრივი მამაკაცური ტანსაცმლის ქვეშ, თოვლით დაზელილი, ვარდისფერი, ცეცხლივით მოქნილი და ცეცხლივით ღონიერი სხეული იმალებოდა, როგორც თოვლის ქვეშ — ქვეყანა, თავისი სოფლებითა და ქალაქებით და, რაც მთავარია, ამ სოფლებისა და ქალაქების დამაკავშირებელი გზებით.

ანეტას დანახვაზე სტუმარი წამოდგა და რაღაცა ჩაიბურდღუნა, ანეტამ ვერაფერი გაიგო.

— ჩემი ქალიშვილი გახლავთ. — თქვა პეტრემ.

— არ ვიცოდი, ქალიშვილიც თუ გყავდათ. — შეწუხდა სტუმარი. თითქოს თავს იმართლებდა.

„თორემ რა?“ — ჰკითხა ანეტამ გუნებაში. რატომღაც ეწყინა, სტუმარმა რომ არ იცოდა აქამდე მისი არსებობა.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, ასე მოულოდნელად, ასე თოვლივით რომ დაგეცით თავზე, — თქვა სტუმარმა. — საგზაო ინჟინერი მქვია, გზა კი ამერია. — ღიმილით მიუბრუნდა პეტრეს, თითქოს დახმარებას სთხოვდა, მხარში ამოდგომას, როგორც მამაკაცი მამაკაცს, ცოტა არ იყოს, შემცბარი და აღელვებული ამ უტყვი და მოღუშული გოგოს მოულოდნელი გამოცხადებით.

— ამოდენა თოვლში აქაურებს ეშლებათ გზა. — გაამართლა პეტრემ. მერე შეამჩნია, რომ მარტო თვითონ იჯდა და ანეტასაც და სტუმარსაც ერთად უთხრა: რატომ არ დაჯდებითო. სტუმარი ანეტას დაჯდომას დაელოდა და მერე თვითონაც დაეშვა სკამზე. „საგზაო ინჟინერი, საგზაო ინჟინერი“. — იმეორებდა ანეტა გუნებაში.

— ასე რომ, რკინიგზა თქვენთვისაც ხელსაყრელია, — გააგრძელა სტუმარმა ანეტას შემოსვლით გაწყვეტილი საუბარი.

პეტრეს მიმართავდა. — ვერც კი გაიგებთ, როგორ ჩაგრიალდება თქვენი კასრები თბილისში. დრო დროდ და ღვინოც ნაკლებად გაილახება.

— ჩვენი ხალხი მაინც არ ჩაჯდება. ჩვენ ურემსა ვართ მიჩვეული... ნელა და მშვიდად, — თქვა პეტრემ.

— ჩაჯდება. — გაიღიმა სტუმარმა. ხალხი ყველგან ერთნაირია. ჯერ ეჭვით უყურებს ახალს, მერე სული წასძლევს, მერე კი, იქნება ცხვირპირიც დაამტვრიოს სხვას, ჩემზე წინ რატომ მიდიხარო.

ანეტას გუნებაში გაეღიმა. აღათიამ ერბოკვერცხი შემოიტანა ტაფით. ერბო ჯერ კიდევ შიშინებდა. პეტრემ გრაფინს მრგვალი ხუფი მოხადა და არაყი ჩამოასხა. „რძე თუ ჩაი?“ — იკითხა აღათიამ. „არაყი. რძე და ჩაი რა კაცის საქმეა“. — თქვა პეტრემ. „თუ შეიძლება, მე ჩაისაც დავლევ“, — თქვა სტუმარმა, ანეტამ განაწყენებულმა შეხედა აღათიას, რა დროის ჩაი და რძე იყო, გულისყურით უსმენდა სტუმარს, თუმცა კარგად ვერც გარკვეულიყო, რაზე ლაპარაკობდა იგი. სტუმარი თითქოს მიუხვდა და გააგრძელა.

— რკინისგზა ნამდვილად სიკეთეა ქვეყნისთვის, მაგრამ მარტო ჩვენს გამო, ნიკოლოზი ფულს არ ჩაყრიდა ამ საქმეში. რკინიგზა ჩვენს ქვეყანას უფრო მჭიდროდ დააკავშირებს იმპერიასთან არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ეკონომიურადაც და სტრატეგიულადაც. — თქვა სტუმარმა.

ანეტამ ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ გზაზე იყო ლაპარაკი. ამიტომაც სიამოვნებდა ალბათ სტუმრის ხმა. მისთვის მთავარი გზა იყო, გინდაც რკინისა.

— მეც ბიჭების მამა ვარ, მაგრამ თქვენი ვერაფერი გამიგია, ყმაწვილკაცებისა, — თქვა პეტრემ. — ერთი სახარება, შეგვეწიოს. — სირჩა მიუჭახუნა სტუმარს. არაყი ერთბაშად გადაჰკრა და ხელი ჩამოისვა ყანყრატოდან ჭიპამდე, თითქოს გარედან გზა ასწავლა, ჩააცილა ცხარე ყლუპი, თანდათან და თანაბრად რომ გაეხურებინა შიგანი. — კარგია, რკინისგზა რომ გაყავს,

მაგრამ თვითონ არაფერი იხეიროსო. ეგრე როგორ შეიძლება? — პურს ლუკმა შეატეხა, უსუნა და ცარიელი თეფშის კიდეზე ჩამოდო ფრთხილად. — ეგრე როგორ შეიძლება? — გაიმეორა გაგულისებულმა. — ხელმწიფე კი არა, გარეგინა არ მოგცემს კვნიწა მარილს, რამეს თუ არ გამორჩება, — ხეირი სხვაა, — თქვა სტუმარმა მორიდებულად. — მე მითხრეს, რომ თქვენი ვაჟიც ციმბირშია... — გააგრძელა ცოტა ხნის მერე, მაგრამ პეტრემ არ აცალა.

— ღირსიცაა! — იყვირა პეტრემ და თითის წვერები მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა, ანეტას სტუმრის შერცხვა, არკი იცოდა, რატომ. იგრძნო, როგორ გაწითლდა და როგორ შეხედა სტუმარმა, როგორ ჩააცივდა თვალებით. „აღათია, აღათია“, — შემოიჭრა ოთახში ქაიხოსროს შეშფოთებული ხმა. ანეტამ თავი ასწია და თამამად შეხედა სტუმარს.

— პაპაჩემი გახლავთ, — წარუდგინა ქაიხოსროს ხმა. — დიდი ხნის მკვდარია, მაგრამ მკვდრის შენახვა უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე დამარხვა.

სტუმარმა გაიღიმა და საოცრად დაემსგავსა ნიკოს, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ანეტას და თვითონაც გაუღიმა, უბრალოდ, შინაურულად. უკვე იცოდა, უკანასკნელად რომ არ ხედავდა იმას, არ შეიძლებოდა, არ დაუშვებდა, ისიც რომ დაჰკარგვოდა.

— პაპაზე ეგრე უნდა თქვა?! — ნაძალადევად მოიღუშა პეტრე. თითქოს საყვედურობდა და, ამავე დროს, ხუმრობაშიც ყვებოდა ქალიშვილს. — დაბერდა საწყალი მამაჩემი. ბავშვივით მისახედია, მაგრამ რას ვიზამთ, ესაა შვილების ვალი.

— მართალი ბრძანდებით. — უთხრა სტუმარმა, ისე რომ ანეტასთვის თვალი არ მოუშორებია.

— ყარს, ყველაფერი ყარს... ნუთუ ვერ გრძნობთ? — ყვიროდა ანეტა სტუმრის წასვლის მერე.

— რად ამბობ, შვილო? მომიკვდეს თავი, რასაც მე ვხეხავ და ვრეცხავ... — ბუზღუნებდა გულნატკენი აღათია.

ასე გავიდა ზამთარი. თოვლი თანდათან დაბლდებოდა, ჭუჭყიანდებოდა, დნებოდა და წყლად მიდიოდა. აქა-იქ უკვე მოჩანდა მიწა. ზმუილით, ზლაზვნით გამოდიოდა ბაგა-ბოსლებიდან გამოზამთრებული პირუტყვი. ჯერ კიდევ ორთქლიან ფუნას ბეღურები ეხვეოდნენ. ერთი ბინძური, ვინ იცის, სად გამოზამთრებული მტრედიც გამორეოდათ. ეზოებში თოვლისაგან თავდაღწეული, სისველისგან გაშავებული ზვინები აბოლდნენ. მზე ძალას იკრებდა, სასიამოვნოდ აცხუნებდა სხეულის ტიტველ ნაწილებს. ხალხს ჯერ ისევ თბილად ეცვა.

ზურგსუკან გაკვანძული შალებით დაბორკილი ბავშვები ღუმელთან გახუხულ ხელისგულებს უშვერდნენ ლოლუებს. „ტყაპ და ტყაპ, ტყაპ და ტყაპ“, — გულუხვად არიგებდა მღვრიე წვეთებს ისედაც გასაქრობად განწირული ლოლუა. ახლა უფრო გარკვევით ისმოდა შაშვის ჭახჭახი, ხტუნვა-ხტუნვით რომ გადაირბენდა ხოლმე ეზოს, არდადეგებზე ჩამოსული სემინარიელივით ამაყად თავაწეული. მერე გზაც გამოჩნდა, ტალახიანი, წებოვანი, ძნელად სავალი, გამოშავებული თოვლის უშნო არშიებში ჩაწოლილი. ისევ მოჩანდა ქვეყანა, ზამთრის კლანჭებისგან თავდაღწეული, სამთვიანი მონობით დამახინჯებული, გადაგვარებული, გადასხვაფერებული, დაბინძურებული და დაუძლურებული. ახლა ყველაფერი მზეზე და ადამიანზე იყო დამოკიდებული, უნდა აღედგინათ, განებანათ, განემტკიცებინათ ხელახლა. მზეცა და ადამიანიც ხალისიანად ფუსფუსებდა.

ხოლო, როცა ათასფრად გადაბრიალდა სოფელი და ეზოშუკები ქარის ჩამოყრილი ყვავილით მოიფინა, ანეტამ თავისი ხელით გაუღო ირემს ალაყაფი და გხაზე გადაუშვა.

— წადი, საითაც გინდა, ოღონდ შორს წადი! — უთხრა ანეტამ ირემს.

ისევ მოაწყდა ხალხი ღობეებს, ისევ დაუჭირეს საყელოები ტყიურის სუნით გაღიზიანებულსა და პატრონების საქციელით გაკვირვებულ ძაღლებს. „ფუჩი-ფუჩიო“, — ისევ ეძახდნენ აქეთ-

იქიდან გაზაფხულის მზით რქებგაბრწყინებულ ირემს, ყელმოღერილი, ხორციანი და მბზინავი თეძოების რხევით რომ მიუყვებოდა ორღობეს და გრილი, ხაოიანი დრუნჩით ყნოსავდა მისკენ გამოწვდილ ხელისგულებს, გადარჩენილი, მადლიერი, ადამიანის სიკეთეში დარწმუნებული. ირემი მიდიოდა, სამუდამოდ სტოვებდა თეთრად, ალისფრად, ცისფრად გადაპენტილ სოფელს და როგორც შეეძლო, ისე ეუბნებოდა ადამიანს მადლობას: სიკეთისთვის, შენახვისთვის, დანდობისთვის. ფრუტუნებდა, თავს იქნევდა, ყველასა და ყველაფერს იმახსოვრებდა დიდი, ნამიანი თვალებით, მაგრამ ირემს ამ სოფლიდან გასვლა არ ეწერა, ცხოველის კვალობაზე, ზედმეტად ბევრი იცოდა ადამიანებისა და ამ ცოდნას თანდაყოლილი სიფრთხილისა და შიშის გრძნობა წაერთმია მისთვის.

ანეტა ჯერ ისევ ალაყაფთან იდგა, აღათია ჯერ ისევ მჯიღს იცემდა მკერდში, პეტრე კი, ფეხის წვერით ამოვარდნილ ფილაქანს ასწორებდა, თოფმა რომ დაიჭექა. პეტრე შეკრთა, გაირინდა, ხომ არ მომეყურაო, მაგრამ თოფის ხმა მარტო მაკაბელებმა კი არა, მთელმა სოფელმა გაიგო და არც იმის მიხვედრა გასჭირვებიათ, რატომ უნდა გავარდნილიყო ასე მოულოდნელად თოფი გაზაფხულის ამ მშვიდსა და ხალისიან დღეს. ანეტა ირმის ნაფეხურებს გაჰყვა. სიცხადეში, მარტო, უუფროსოდ და უთოჯინოდ, პირველად გადავიდა იმ დღეს იგი ეზოდან. ირმის ნაჩლიქარი მკვეთრად ეტყობოდა ქარის ჩამოყრილ ყვავილს, ღობის ნოტიო ჩრდილებში აქა-იქ კიდევ ჩარჩენილიყო ირმის თბილი სურნელი და ჯერ ისევ თრთოდა თოფის ხმით შეძრული ჰაერი. ანეტამ იქამდე იარა, სანამ სოფლის ბოლოში, სამჭედლოს წინ ირმის ცრემლჩამდგარ თვალებს არ გადააწყდა. მოკლულ ირემს სტეფანე მჭედელი და ზაქარია ჩაფარი დასდგომოდნენ თავზე. სტეფანე მჭედელს ტყავის ფეშტამალი ჰქონდა აფარებული და მსხვილი, ცეცხლზე დაშაშრული მკლავები დაეკაპიწებინა. ზაქარია ჩაფარს ხელში თოფი ეჭირა, შავ ჩოხაზე თეთრი, გაჭუჭყიანებული ნაჭრის სამხრეები ეკერა, — ე... ე,— მღელვარებისგან ენა დაება ანეტას.

— ერთი მწვადი მეც მეკუთვნის. — გაიღრიჯა ზაქარია ჩაფარი, ნაძალადევად გაიღრიჯა, აქეთ-იქით დაუდიოდა ტურის ბალნისფერი თვალები, ანეტას დანახვამდე შეშინებულიყო,

ანეტას გამოჩენამდე მიხვედრილიყო, სატრაბახოდ რომ არ ჰქონდა საქმე. — დაუმიზნებლად ვესროლე. ვიფიქრე, დავაფრთხობ-მეთქი... ეგ კი, მხართეძოზე არ წამომიკოტრიალდა!

— ირემს გადააბრალა თავისი კარგი კაცობა.

— რაღა ახლა ამოიარა მაგ საცოდავმაც, — სიტყვა ჩამოართვა ზაქარია ჩაფარს სტეფანე მჭედელმა. — ეს წუთია მოვიდა ზაქარია, ბალთის გასწორება მთხოვა... გავიხედე და მოყელყელაობს შენი ირემი. მე კი ვიცანი, მაგრამ ზაქარიამ რა იცოდა... — სტეფანე მჭედელი უცებ გაჩუმდა, თითქოს გაუჭირდა ეთქვა, ზაქარიამ რა იცოდა, ეგ ირემი გიორგას სული რომ იყოო.

— მეზიზღებით ყველანი! — ფეხი დაჰკრა მიწას ანეტამ.

პეტრემ ირემი ადამიანივით დაამარხვინა, იქვე, სამჭედლოს წინ, ბებერი ჭადრის ძირას. არც გატყავების ნება მისცა ვინმეს და არც რქების დახერხვისა. სანამ ირმის საფლავს თხრიდნენ, დაბღვერილი, განაწყენებული ზაქარია ჩაფარი სამჭედლოს კედელთან, ურმის ბორბლის გვერდით ჩამჯდარიყო, ლაჯებში თოფი ჩაედგა და დამჭკნარ ვაშლსა ჭამდა.

გაზაფხული იდგა. ათასნაირად გადაპენტილი ხეები თითქოს ბზრიალ-ბზრიალით გამოდიოდნენ ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით, ხასხასა და გულისამაჩუყებლად სუფთა სილურჯის წიაღიდან, ლამაზი და მშიერი გაზაფხული იდგა ქვეყანაზე, გრილოებში დარჩენილი თოვლისა და ყვავილის სუნი ტრიალებდა ჰაერში, ბუსუსოვან ბუტკოში ფუტკარი ფუტფუტებდა, ათასნაირი მწერი დაძრწოდა და დაფაჩუნობდა ნესტიან ნეშოში, ფრთხიალით, ჟივჟივით, გულისხეთქვით აწყდებოდნენ აქეთ-იქით ჩიტები, ხიდან ხეზე, ბელტიდან ბელტზე, ეზოდან ეზოზე... ყველას შიოდა, ყველანი მოსწრებაზე იყვნენ. ამბრები და ქვევრები ფსკერამდე დაეყვანა ზამთარს, შემოდგომამდე კი ჯერ დიდი დრო იყო. მხოლოდ ბარბარე ჯორჯაძის საოჯახო წიგნშიღა ტრიალებდა მსუყე კერძების სუნი და ბარაქა. სამაგიეროდ, მზე დღითი დღე ღონიერდებოდა და ორთქლად გამოჰქონდა მიწიდან ზამთრის ჟრჟოლვა და უჟმური. „მოვრწყათ, დედი, ფილაქანი, შეჭამეს ბავშვი ბუზებმა“, — ეძახდა დედამ-

თილს მოლოგინებული ქალი, ორსულობიდან გამოყოლილი სიზანტით, ორსულობისას გაზარმაცებული, რძისა და ჩვილის სუნით გაბრუებული. მოაჯირზე პირქვე დამხობილი ქვიჯა შრებოდა. ზურგზე დავარდნილი ხოჭო ადგილზე ბზრიალებდა და ბზუოდა. გზაზე ათი-თორმეტი წლის ბიჭი მიდიოდა, სახეზე ეწერა, აშმორებული ფქვილისა თუ ერთი მუჭა ლობიოს სასესხებლად რომ იყო გამოგზავნილი. „ამ ერთხელაცაო“ — შეეხვეწა, ალბათ, მარტოხელა დედა ანდა ავადმყოფი ბებია და ისიც წამოვიდა, ერთხელ კიდევ დაძლია თავმოყვარეობა, რადგან ჯერ სხვა არაფერი შეუძლია, საკუთარი თავმოყვარეობის დაძლევის მეტი, პატარაა, სუსტი, მეოცნებე. „როცა გავიზრდები, დოლზე დაკვრას ვისწავლი და ბევრი ფული მექნება“, — ფიქრობს იგი, მაგრამ სრულებითაც არაა აუცილებელი, მართლა მედოლე გამოვიდეს, დუქნებსა და სარდაფებში გაატაროს სანახევროდ მთვრალი სიცოცხლე, ერთხელაც ვერ გაშალოს მთელი სიგრძე-სიგანით მობოჭილი ფულივით დაჭმუჭნული სული. მოდის, მაგრამ ფეხები უკან რჩება, თვალწინ უდგას „ხელის გამმართავი“ ნათესავები. ბებიაზე და დედაზე უკეთესად იცნობს იმათ, რადგან ბებია და დედა მათ ნაწყალობევ ფქვილსა და ლობიოს ხედავენ მხოლოდ, ის კი — მათ სახეებს, სანამ გამოწირავენ, სანამ შეელევიან ერთ მუჭა ფქვილსა თუ ლობიოს, ჩიტის ჩიჩახვშიც რომ ჩაეტევა თავისუფლად. დედასა და ბებიას ისინი ისეთები ჰგონიათ ახლაც, როგორებსაც ადრე, უკეთეს დროს იცნობდნენ, როცა მათაც კაცი ედგათ თავზე და ნასესხების ჩასესხება შეეძლოთ. მან კი, ახლა გაიცნო ისინი, გაჭირვების ჟამს, როცა მის იმედზეღაა დარჩენილი ოჯახი, რადგან მამა ან მოუკვდა, ან დაუჭირეს, ანდა სალდათშია გადაკარგული. მოდის ქვეყნის ხვალინდელი დღე, ქვეყნის იმედი, სიცოცხლის გაგრძელება, საკუთარი სიპატარავით შეწუხებული, დედა-ბებიის უმწეობით გულმოკლული, მამის ბედით გაბოროტებული და წინასწარვე შეგუებული მორჩილებას, მოთმენას, თავიდანვე გზას ამცდარი, ცხოვრებაშიც და ოცნებაშიც, რადგან მედოლეებითა და დახლიდარებითაა სავსე მისი ცხოვრებაცა და ოცნებაც. ისინი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თვითონ კი მღილია და სულ მღილი იქნება, სანამ დოლს არ ამოიდებს იღლიაში, საიდანაც თავისთავად ცვივა დაჭმუჭნული თუმნიანები. ასეთად იცნობს ცხოვრებას, ასეთი დახვდა, ასე-

თიაო, დაუდასტურეს ყველგან და მასაც თავისთავად შეემოსა სული ამგვარ ცხოვრებასთან შესახამებელი ბუმბულით.

გაზაფხული კი ბზრიალებდა, ბუბუნებდა, იფოთლებოდა, მაკაბელების ირმის სისხლით კაბაგადაწინწკლული, და ანეტას მტკიცედ სჯეროდა, უკანასკნელი გაზაფხული რომ იყო ეს, რომელსაც მამისეულ სახლში ხვდებოდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეღწია აქედან. აქ ისევ სულელ ბავშვად თვლიდნენ, უყვავებდნენ, სიტყვას ბანზე უგდებდნენ, მიზეზიანობაში უთვლიდნენ იმას, რისი შემჩნევაც მარტო მას შეეძლო, რადგან აქამდე დახშული ჰქონდა აქაურობის დასანახი თვალი, აქამდე ასკლიპიოდოტასავით უგრძნობელი თოჯინა იყო და იმას ამჩნევდა მხოლოდ, რაზედაც უფროსები მიუთითებდნენ. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა, მისი მახსოვრობა ყველაფერს ისრუტავდა თურმე, თანდათანობით ივსებოდა ამ კედლებს შორის დატრიალებული სიკვდილით, შიშითა და უნდობლობით, როგორც ასკლიპიოდოტას წარბჩამტვრეული თავი — მტვრით. ანეტა საკუთარმა მახსოვრობამ შეზარა, არა მარტო ის ახსოვდა, რისი მოწმეც თვითონ იყო, არამედ ისიც, რაც მის გაჩენამდე მომხდარიყო, რაც არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ უფროსების დაუდევრობის წყალობით, მის არსებაშიც შეეღწია. რაც დრო გავიდოდა, მით უფრო მეტი იქნებოდა დასამახსოვრებელი, მაგრამ განა ძალუძს ადამიანის გონებას ყველაფრის დამახსოვრება? რაც ახსოვდა, ისიც საკმარისი იყო, გარდაუვალი უბედურება რომ ეგრძნო, ქვეყნის წამლეკავი უბედურება, რომელსაც ჯერჯერობით მათ ჭერქვეშ გამოეჟონა, აქ მოენახა სუსტი ადგილი, მაგრამ ვინ იყო თავდები, რომ ამას დაყაბულდებოდა, აქ დარჩებოდა და სხვებსაც არ გადაედებოდა თანდათანობით. კარადისხელა საათის ჟღრიალი უარესად უკარგავდა მოთმინებას, უარესად არწმუნებდა, დაყოვნება დაღუპვას რომ ნიშნავდა. დღითი დღე აუტანელი ხდებოდა, ტუსაღივით ერთ ოთახში გამოკეტილი პაპის გაუთავებელი წრიალი, მამის დავთრების ფაჩუნი და საანგარიშოს ჩხაკუნი, აღათიას უაზრო და უნაყოფო ფუსფუსი, რადგან სახლი საძირკველშივე იყო დამპალი და საძირკვლიდან ედებოდა ყროლის სუნი.

— გეჩვენება, შვილო, — იძახდა შეურაცხყოფილი აღათია.

მაგრამ ანეტამ უკვე იცოდა, რომ აღათია ვერასოდეს იგრძნობდა ამ სუნს, რადგან თავადაც ამ სუნით იყო გაჟღენთილი, ამ სუნში ჩაბერებულიყო და ჩაკარგულიყო სამუდამოდ. ანეტას კი, ღამეები არ ეძინა, ცხვირზე საბანწაფარებული იწვა ბნელში და ყოველ კუთხეში თოფმომარჯვებული ზაქარია ჩაფარი ელანდებოდა, მაგრამ მთელი ურუქი ზაქარია ჩაფრად რომ ქცეულიყო, მაინც უნდა გაეღწია აქედან, მახსოვრობით უნდა გაეტანა სააშკარაოზე მამისეული სახლის დამყაყებული სუნი და ჰაერი, როგორც გარდაუვალი, საერთო უბედურების მაუწყებელი ნიშანი. შეიძლება გაზაფხულის ბრალი იყო, ასე მკაცრად, ასე დაუნდობლად რომ ფიქრობდა თავისიანებზე, მაგრამ მარტო გაზაფხული ვერაფერს შეცვლიდა, მამამისივით ვერც ის მიხვდებოდა ვერასოდეს, უაზრო და უმომავლო რომ იყო მათი არსებობა და, როცა აღათიას აღარ შეეძლებოდა, ალბათ, თვითონ მოკიდებდა ხელს ცოცხსა და აქანდაზს, თვითონ იკისრებდა ამ უსაძირკვლო ოჯახის დიასახლისობას, ერთ მშვენიერ დღეს მათი კიბის საფეხურზე რომ არ დაებერტყა თოვლიანი ფეხები საგზაო ინჟინერს. ანეტას ინჟინერი უყვარდა და არ იცოდა, დანახვისთანავე შეუყვარდა, დანახვამდე, რადგან ძმაში შეეშალა და ამ შეცდომამ ძალაუნებურად განაიარაღა მისი არსება, დაუცველი და მოუმზადებელი ჩაუგდო ხელში გრძნობას, რომელსაც დაკარგული ძმების სუნი ასდიოდა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ძმებს ავიწყებდა, უფრო სწორად, ძმებისათვის განკუთვნილ ადგილსაც თვითონ იკავებდა გულში. ანეტა წუხდა, თან ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს წუხილს იგონებდა რაღაცის, უფრო მნიშვნელოვანისა და იდუმალის შესანიღბად. საათობით იდგა სარკმელთან და მოუთმენლად ელოდებოდა შორეული აფეთქებების ხმას. ამ ხმამ პირველად თოვლის გადნობისთანავე შემოაღწია ურუქში. ჯერ ეგონათ, ელიამ გადაიგრიალა ცაზეო, მაგრამ ელიასთვის ადრე იყო, ეს თვითონაც იცოდნენ და დაბნეულები ასცქეროდნენ ცას, სანამ ყველაფერი არ გაირკვა. გარეგინას დუქანში ახლა მარტო რკინიგზაზე იყო ლაპარაკი. რაღას არ ყვებოდნენ რკინის ურჩხულზე, რომელიც, თურმე, თავისით დადიოდა და ბარგი-ბარხანიანად მთელი სოფლის გადაყვანა შეეძლო ერთი ადგილიდან მეორეზე. „აბა, ახლა ჩამოგვიზიდავს კაკილებს გარეგინაო“, — უფრო გულის დასამშვიდებლად იძახდნენ დუქანში თავშეყრი-

ლი გლეხები და დახლზე გამოწოლილ გარეგინას გამომცდელად შესცქეროდნენ სახეში. გარეგინა ორთქლმავლის გამომგონებელივით თავმდაბლურად იღიმებოდა, გულში კი, თავისი საიდუმლო სადარდელი ჰქონდა. ის უფრო შორს იყურებოდა, იცოდა, რკინიგზა ბევრ გზასა და ბილიკს მოშლიდა, ბევრ რამეს გადაადგილ-გადმოაადგილებდა, ამისდა მიხედვით ცხოვრების შუაგულიც გადაინაცვლებდა, ხალხიც ახლებურად განაწილდებოდა და, ადვილი შესაძლებელი იყო, მისი დუქანი მიუდგომელსა და მოუხერხებელ ადგილას აღმოჩენილიყო უცებ.

— იქნება, ჩემს დუქანში აღარც შემოხვიდეთ. დილით ჩასხდებით და საღამოს უკვე თბილისში იქნებით. — თავს აცოდებდა, ანამუსებდა გარეგინა თავის ძველ მუშტრებს, როგორც ძიძა — წვითა და დაგვით გამოზრდილსა და უკვე დასაფრენად გამზადებულ შვილობილებს.

— დასწყევლოს... რა უნდა მომცენ, იმაში რომ ჩავჯდე. — იტყოდა რომელიმე გლეხი გარეგინას გულის მოსაგებად, თუმცა ხმაზე ეტყობოდა, მთლად გულწრფელი რომ არ იყო, საქმე საქმეზე რომ წასულიყო, ისიც ჩაჯდებოდა, ვერც ის გაუძლებდა ცდუნებას, მაგრამ იქამდე ჯერ დიდი დრო იყო კიდევ, გარეგინას უკვე შესჩვეოდნენ, უკვე გამოენახათ მასთან საერთო ენა, ის კი, რკინიგზა, ჯერ მოდიოდა, ჯერ ადგილს უსუფთავებდნენ, ჯაგსა და ეკალბარდს უკაფავდნენ, ძირფესვიანად უფეთქებდნენ ასწლოვან ტყეებსა და კლდე-ღრეებს. წინ ჭორები მოუძღოდა, ჭორების მეშვეობით იკიდებდა ფეხს ხალხის შეგნებაში. რაღას არ აბრალებდნენ, რაღას არ უკავშირებდნენ, ვითომ მეორედ მოსვლა იწყებაო, მკვდრები გაცოცხლდებიანო, ეკლესიებში წირვები გაუქმდება და მღვდლებს გაკრეჭენო, ზარებს ჩამოხსნიან და ბორბლებად ჩამოასხამენო, და მრავალ ამგვარ საოცრებებს ყვებოდნენ შორეული აფეთქებებით შეშფოთებული ურუქელები. ზოსიმე მღვდელი კი, იის კონით დადიოდა, ანაფორის კალთაზე ბირკა ჰქონდა აკრული, სახეზე და ხელის მტევნებზე გაზაფხულის მზე მოჰკიდებოდა და ძველებურად აჟუჟუნებდა თვალებს.

საითაც არ უნდა გაგეხედათ, თვალში მოგხვდებოდათ უპატრონო ცხენივით.

— მართალია, მამაო, აი, რასაც ამბობენ? — ეკითხებოდნენ სოფლელები.

— ალბათ, შვილო, ალბათ. — ისეთი ხმით პასუხობდა, თითქოს ეჭვსა და შიშს უქარწყლებდათ. — მაინც მაქეთკენ მიდის ყველაფერი.

— რა შეაკავებს, მამაო, ამ უბედურებას? — არ ეშვებოდნენ სოფლელები, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდათ მისი იმედი.

— რაღა შეაკავებს, შვილო. — უღიმოდათ ზოსიმე მღვდელი, — ასე თუა ჩვენი საქმე, რაღას იღრიჭება ეგ რეგვენი? — ჩაიბურდღუნებდა მის ზურგს უკან ვიღაცა, სხვებზე უფრო შეშინებული და შიშისაგან გათავხედებული.

— მართალი ხარ, შვილო, — მიუბრუნებლად პასუხობდა ზოსიმე მღვდელი. — სიბერეს სირეგვნემდე მიჰყავს ადამიანი. ზოსიმე მღვდელს იის კონა და ლოცვანი გულზე მიეხუტებინა და, შეიძლება, ამის გამოც უფრო უმწეო და უთვისტომო ჩანდა, თვალშისაცემად გამოცალკევებულიყო გაზაფხულით გადაკრიალებულ სივრცეში, ქერტლით გადაპენტილი ანაფორის ბეჭები მზეზე უბზინავდა და ზამთარში მოჩიტულ ბავშვებს, პირველად რომ გამოფენილიყვნენ სამზეოზე, რატომღაც ეშინოდათ მისი. ზოსიმე მღვდლის გარეგნობაში მართლაც იყო რაღაცა, შემაშფოთებელი, დამთრგუნველი, მიმზიდველიცა და ამაზრზენიც, რასაც ასაკისთვის შეუფერებელი სიხალისე და სიცოცხლის წყურვილი აჩენს და რასაც, ალბათ, თვითონაც გრძნობდა, რადგან დამნაშავესავით მომღიმარი და შებორკილი მოაბიჯებდა ორღობეში, როგორც კაცად გადაცმული ქალი. ქვეყანა კი, თავიდან იწყებდა ცხოვრებას, მინდვრებს სახნავად ამზადებდნენ, ვენახებიდან ნეშოსა და წალამს ეზიდებოდნენ და საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ცეცხლი ენთო. ყველგან ნეშო და წალამი იწვოდა. მზემიშუქებული ცეცხლი არ ჩანდა, მაგრამ მის გარშემო ჰაერი ბიბინებდა, ჭავლებად ინაკვთებოდა და სასიამოვნო სიმხურვალეს აფრქვევდა. „მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა და მეშინია უფალო შენი, — მიბუტბუტებდა თავისთვის ზოსიმე მღვდელი. — მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, ქვეყნისა დამღუპველი, რამეთუ კიდევ დაგივიწყებენ უფა-

ლო შენ, მშვიდობითა გაბრიყვებულნი, კვლავაც შეინანებ უფალო შენ, რამეთუ კვლავაც გამრავლდება კაცი და უშჯულოებანი კაცთანი.

მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, უფალო, წარღვნისა მაუწყებელი". — ვის ელაპარაკები, მამაო? — დაუძახა პეტრემ.

აქლოშინებული მოაბოტებდა ტალახში.

— მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა. — შეაგება ზოსიმე მღვდელმა ღიმილით.

— მშვიდობა კი არა, მკვდრებითა და გიჟებით გამევსო სახლი. — ამოიხრიალა პეტრემ. გზიდან გადავიდა და რიგრიგობით შეაბერტყა ღობეს ტალახიანი ფეხები. — შენ გეძებდი, მამაო, მომიყვანეო, ვირის მუშა გამოვედი ბოლოს.

პეტრე ღობესთან იდგა, ზოსიმე მღვდელი — შარაზე, სანახევროდ შემობრუნებული პეტრესკენ, გეგონებოდათ, ძველი მტრები შეხვედრილან შემთხვევით და ერთმანეთთან ახლო მისვლა ვერ გაუბედავთო.

ია თუ დაგიყნოსავს როდისმე. — ჰკითხა, ზოსიმე მღვდელმა და თვითონ უყნოსა იის კონას.

— რაო? — საკუთარ ყურებს არ ენდო პეტრე.

— აი ია. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ის ხელი ასწია, რომელშიაც იის კონა და ლოცვანი ერთად ეჭირა, პეტრეს დაანახვა. — აქედან იწყება ადამიანი.

— მამაჩემი კვდება. უზიარებლად ნუ გამიშვებსო. — თქვა ზოსიმე მღვდლის საქციელით ნირწამხდარმა პეტრემ.

— ჩვენც ასეთი სუნი გვაქვს, როცა ვიბადებით. ასეთივე სუსტი, გულში ჩამწვდომი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მაგრამ ცოტა ხანს, ერთი-ორი დღით, სანამ სიარულს ვისწავლით და ტალახში ამოვიგანგლებით. თუ გინდა, რომ ტალახში გაძლო, ჯერ ია უნდა მოკლა, იის სუნი უნდა მოიშორო. ჩვენს ბედზე, ია

ადვილად კვდება. — ლოცვანი ახლა ორივე ხელით ეჭირა, ბრტყლად, ლანგარივით, ზედ იის კონა იდო. ერთმანეთს მიტ-მასნოდნენ ღია წითელი, ლამის გამჭვირვალე, ჯერ კიდევ მი-წიანი ფესვები. ლოცვანი ცხვირთან მიიტანა, ფრთხილად, კერ-ძით სავსე თეფშივით, ერთხელ კიდევ უყნოსა, ღონივრად, მა-დიანად და მერე ოდნავ დაიქნია. იის კონა ტალახში დავარდა, პეტრეც, თითქოს ამას ელოდებოდაო, ღობეს მოშორდა და გზა-ზე გადმოვიდა.

— სადა ხარ, ადამიანო, ღმერთი აღარა გწამს? — შეჰღმუვლა ქაიხოსრომ, როცა ზოსიმე მღვდელი და პეტრე მის ოთახში შე-მოვიდნენ.

ზოსიმე მღვდელმა პეტრეს შეხედა. გაკვირვებულმა და ცო-ტა არ იყოს, გამწყრალმაც, ვითომ, ცხენივით რას გამომაჭენე, რა სჭირს მამაშენს სასიკვდილოო, მაგრამ პეტრეს ნირიც არ შეუცვლია, ისევ შეწუხებული, ზედმეტად გარჯილი კაცის სახე ედო.

— არ ჯობია, ნაზიარებმა იცოცხლოს, ვიდრე უზიარებელი მოკვდეს? — თქვა ბოლოს, მღვდლის შემაწუხებელი მზერა რომ მოეშორებინა.

— საათი გაჩერდა, მამაო. ორი დღეა მკვდარივითა დუმს. — შესჩივლა ქაიხოსრომ.

— ამისთვის მარბენინე, შე დალოცვილო?! — გაიღიმა ზოსი-მე მღვდელმა. — საათისა რომ არაფერი გამეგება.

— ჩემი დრო ჩამოთავდა, ზოსიმე. ორი დღეა ჩუმადაა და ჩემს მეტმა ვერავინ გაიგო. ჩემთვის გაჩერდა, ნიშანი მომცა, მოემზადეო. — ქაიხოსრო მშვიდად ლაპარაკობდა. ოდნავ, ძლივს შესამჩნევად უთრთოდა შეშუპებული, ჭორფლიანი ხე-ლები. — ხოდა, მომამზადე. შენს ხელში ვარ, ღმერთს ეკუთვნი თუ ეშმაკს ოღონდ სამართლიანი იყავი. ამასაც უნდა მოეკითხოს, — ხელი მიუშვირა პეტრეს. — ჩემზე მეტი უნდა მოეკითხოს ამას. ჩემთვის გერი იყო, ამისთვის კი — ძმა. მარტო მე ნუ ამკი-დებ იმას, რაც მიწისთვისაც მძიმეა, რაც მიწამაც არ მიიღო.

— ეგე, მაგის კურთხევაც! პეტრე ნეხვების გასახვეტად უნდათ მხოლოდ. — თქვა პეტრემ და ოთახიდან გავიდა.

ისე ღონივრად გაიჯახუნა კარი, კი არ დაიკეტა, უარესად მოღიავდა. თითქოს განგებ მოიქცა ასე, შორიდან რომ დაეგდო ყური მამისა და მღვდლის საუბრისთვის. ოთახში დამპალი ვაშლისა და მტვრის სუნი იდგა, მძაფრი, ჩახუთული. სარკმლის რაფაზე, ეზოს მხრიდან, პურის ქერქი ეგდო. პურის ქერქს ბეღურები უტრიალებდნენ, ვერც დაეძრათ და ვერც შელეოდნენ, ერთმანეთისთვის არ ემეტებოდათ, თუმცა ოთახში მყოფთა გარინდული ჩრდილებიც აფრთხობდათ და საკუთარი, სიჩქარის გამო პურის ქერქს ამცდარი ნისკარტების კაკუნიც ერთიანად, ერთბაშად გადაცვივდებოდნენ ხოლმე სარკმლის რაფიდან. ზოსიმე მღვდელი ბეღურების თვალთვალმა გაიტაცა.

— ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, ვიღაცამ ლობიო მაჭამა.

ახლაც იმის გემო მაქვს პირში. — თქვა ქაიხოსრომ.

ქაიხოსრო სააღსარებოდ იყო განწყობილი, გულის ამობერტყვა უნდოდა, მაგრამ საამისოდაც არ ყოფნიდა გამბედაობა, ღობე-ყორეს ედებოდა, იმ ქურდს ჰგავდა, რომელსაც ქურდობისა კი არ რცხვენია, არამედ ნაქურდალის გამოჩენისა, რადგან ბოლო წუთას, უკვე დაჭერილი, მიმხვდარა, რა უბრალო რამეზე შეურცხვენია თავი; ვინ იცის, მისი დამჭერი ხალხი, რას არ ელოდება, რა თვალმარგალიტი არ უტრიალებს გონებაში, მას კი, უბე ბებერი და მწარე კიტრებით ამოუვსია.

შეიძლება, გაუშვან კიდეც, პანღური ამოჰკრან და აპატიონ, მაგრამ იქამდეა ძნელი, ერთი სიკვდილი უნდა გაათავოს, სანამ პერანგს ამოიჩაჩავს შარვლიდან და ფუყე კიტრები დაუცვივდება ფეხებთან. ქაიხოსრო ყველაზე მძაფრად ახლა გრძნობდა, მთელი სიცოცხლე რომ ეჯავრებოდა ზოსიმე მღვდელი, გაუაზრებელი და გამოუთქმელი სიძულვილით, როგორც საპყარის ცოლს — დედამთილი. თითქოს ზოსიმე მღვდელი რომ არ ყოფილიყო, სულ სხვანაირად აეწყობოდა მისი ცხოვრება, თითქოს სანამ ზოსიმე მღვდელს გადაეყრებოდა, კიდევ არაფერი უჭირდა, ზოსიმე მღვდელმა კი, სამუდამოდ მოუჭრა უკან დასა-

ხევი გზა, უარის თქმა არ აცალა გამვლელ-გამომვლელის განავალით აყროლებულ ნასახლარზე და იმ საბედისწერო დღეს, როცა პირველად გამოეცხადა ორი თვის ბავშვის საფლავთან, თავისი მზაკვრული ღიმილითა და თევდორეს ბალახივით ტკბილი ენით უარესად შეატოპინა ტყუილსა და შეცდომაში, უარესად მოახვია თავზე უცხო გვარი და უცხო მკვდრების ჭირისუფლობა, ნამუსზე შეაგდო, მკვდარი ბავშვი შეაცოდა, დაუნათესავა, ლოდივით ჩამოკიდა კისერზე, სულზე, ენაზე და ამასაც გაუჭირდა უარის თქმა, თუმცა, ჭკუა თუ ჰქონდა, მაშინ უნდა ეთქვა უარი, გადარჩენა თუ უნდოდა, რადგან მაშინ დაიღუპა სწორედ, როცა თავი სამშვიდობოს ეგონა. მაგრამ მაშინ სულელი იყო, იმის შიში კლავდა მხოლოდ, არავინ დაეჭვდეს, არავინ ჩაეძიოს, მემკვიდრეობის ქაღალდი მოპარული ხომ არა აქვსო. კვლევა-ძიებისა ეშინოდა; სხვა არაფერზე ფიქრობდა და ამან დაუბრმავა თვალიცა და გონებაც, თორემ ვის რა ჰქონდა დასაეჭვებელი, ან ვინ რას ეტყოდა, გინდაც უკანონოდ მიეთვისებინა მაკაბელების ნასახლარი, სადაც, ალბათ, თელეთის გლახაც არ იკადრებდა ცხოვრებას, რომც ეჩუქებინათ, არ გაჩერდებოდა, ისევ ტაძრის წინ ყურყუტს არჩევდა, გველებით სავსე შამბნარის გლეჯვასა და ქვეყნის სიბინძურის ხვეტას; ამან კი, ვიღაცის მკვდარი ბავშვი მამიდად გაიხადა ოღონდ არ გაეძევებინათ აქედან, ოღონდ გამოუძიებლად დაეჯერებინათ მისთვის, რომ ამ სიბინძურის, გველებისა და საფლავების კანონიერი მემკვიდრე იყო და უკეთეს ადგილს კი არ ირჩევდა, წმინდათა-წმინდა მოვალეობის აღსრულებას აპირებდა: ხიდის გადებას უცნობ წინაპრებსა და ასევე უცნობ შთამომავლობას შორის.

სინამდვილეში ძროხას უნაგირი დაადგა, აქლემი ჩასვა გალიაში. ისე იყო დაბნეული, ეგონა, სწორად იქცეოდა, მარტო ამ გზით გადაირჩენდა თავსა და სახელს, შეკაზმული ძროხითა და გალიაში ჩამჯდარი აქლემით აურევდა კვალს მისი სისხლის მაძიებელს, მაგრამ რა სჭირდა სათვალთმაქცო, ან დასამალი? ყაფლან მაკაბელს გინდაც არ გადაჰყროდა, ოცდახუთწლიანი ჯარისკაცობით იმდენი კი ჰქონდა დამსახურებული, მისთვისაც რომ მოეზომათ ერთი ქეციანი კარმიდამო გადაყრუებულ კოლონიაში, სხვა თუ არაფერი, რაც მან მტვერი ყლაპა იმ ოცდა-

ხუთი წლის განმავლობაში, ისევ მიწად რომ ქცეულიყო, ბატალიონი დასახლდებოდა ზედ. მაგრამ მაშინ ასე არ ფიქრობდა, ახალგაზრდა იყო და არ შეეძლო, ასე ეფიქრა. „ისე გაცნობ, თითქოს შორებელი იყოო“, — უთხრა მაშინ ზოსიმე მღვდელმა ვიღაცის მკვდარ ბავშვზე და ამით უკანასკნელი კარიც მიუკეტა სამზეოზე, სააშკარაოზე გამოსასვლელად. მაშინ თვითონვე გაუხარდა, ასე უბრალოდ რომ აღიარა მღვდელმა მისი და ორი თვის მკვდარი გოგოს სისხლისმიერი ნათესაობა, ლამის ხელები დაუკოცნა, მაგრამ ეს ჭკუა რომ ჰქონოდა მაშინ, ასე იოლად არ წამოეგებოდა მღვდლის ანკესზე, რომელმაც ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა, უპატრონო მკვდარიც გაასაღა (რაც ღვთისნიერობაში ჩაეთვალა, ალბათ) და მუქთა ღვინის საწრუპავი ადგილიც იშოვა. ახლა რაღა დროსია, მაშინ უნდა ეყვირა, დაუფიქრებლად უნდა ეთქვა უარი მაკაბელობაზეც, მემკვიდრეობაზეც და სამუდამოდ, უკანმოუხედავად გადახვეწილიყო აქედან, რადგან რაც აქ დაემართა, ამაზე უარესს არსად დამართებდნენ, ანდა ამაზე უარესი რაღა უნდა დამართვოდა, გვარიშვილობა, წოდება და სახელი კი არა, თესლიც არ ჰქონდა საკუთარი, თუკი შერჩებოდა ამ ქვეყანას, მისი შთამომავალი ვერასოდეს გაიგებდა, სინამდვილეში ვინ იყო, და ყოველთვის არასწორად ეგონებოდა, ესა და ეს ვარო. ზოსიმე მღვდელმა მოუსპო უარყოფის, უარის თქმის უნარი, თვალების ჟუჟუნითა და ტუჩების წკლაპუნით გაუადვილა სიცრუის ვიწრო ნიჟარაში შეყუჟვა და ამით დაღუპა სამუდამოდ. იმის მაგივრად, რომ ცოდვის გზაზე დამდგარი გაეფრთხილებინა (რაც ევალებოდა კიდეც), აღიარე სიმართლე, მითვისება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე წამიერი სისუსტისა და სიბეცის ჟამს მითვისებულის უარყოფაო, თავის გადარჩენის მიზნით, მოციქულმა სამჯერ უარყო მოძღვარი და შენ ვინ მიგდიხარ, ამ გადაშენებული გვარის გულისთვის ჯოჯოხეთის ცეცხლში რომ იგდებ თავსაო, უარესად უბიძგა, უარესად ჩააფლო ცოდვაში, საიდანაც მამაზეციერიც ვეღარ ამოიყვანდა ახლა, რადგან მამაზეციერსაც გაუჭირდებოდა მისი ვინაობის დადგენა, არ ეცოდინებოდა, ვისთვის უნდა გაეწვდინა ხელი.

— ლობიო ყვავის. — თქვა ქაიხოსრომ და უცებ გაბრაზდა.

— ჩემი სულის გადასარჩენად მოხველი, თუ ფანჯარაში საყურებლად!

— სხვათა შორის, კაცის ოცნება და ლობიოს ყვავილი ძალიანა გავს ერთმანეთს. ორივეს მაღლა-მაღლა უყვარს ძრომიალი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ერთმანეთს შესცქეროდნენ სახეში. ერთი — დაძაბული, დაეჭვებული, გამწყრალი; მეორე — მშვიდი, ლმობიერი, მომთმენი. — აღარ არის დრო? აღარ გავიცნოთ ერთმანეთი? — თქვა ბოლოს ქაიხოსრომ.

ზოსიმე მღვდელმა პირველად მაშინ მიაქცია ყურადღება, როგორ დასძველებოდა ქაიხოსროს მაიორის მუნდირი, იღლიებში გამოშავებული, ათასნაირად გამოხუნებული და დალაქული, ჩვარივით ეკიდა მხრებზე. ეპოლეტებიც ძველებურად აღარ ბრწყინავდნენ, ჩამოყრილ, ჩამოძენძილ, პირქვე დაცვენილ ბუდეებს გავდნენ. ოქროსფერი ღილებიც ალაგ-ალაგ გადაცვეთილიყვნენ, ღარები ჩაშავებოდათ. ერთი ღილი საერთოდ დაჰკარგვოდა და მხოლოდ ნაჭერს ეტყობოდა ღილის მრგვალი ანაბეჭდი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მუნდირის პირვანდელი ფერი და ძაფის პატარა, მკვრივი კვანძი.

— შე დალოცვილო, — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა. — ჩვენ თუ არ ვიცნობთ ერთმანეთს...

— არა! — იყვირა, სიტყვა გააწყვეტინა ქაიხოსრომ. — არა. შენ თავიდანვე იცოდი, მე რომ ის არა ვარ, ვინც ხალხს ვგონივარ, მაგრამ არც შენ იცი, ვინა ვარ.

— ეგრე გეგონოს. — უარესად გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა.

— რა? რა მეგონოს? — დაიძაბა ქაიხოსრო.

— რა და, ის რომ არა ხარ, ხალხს ვინც გონიხარ და მეც რომ არ ვიცი, ვინ ხარ.

— მაშინ... მაშინ... — მღელვარებისგან ენა დაება ქაიხოსროს. — მეც მითხარი, მეც გამაგებინე. რატომ მაწვალებ?

ღმერთსაც გაფიცებ და ეშმაკსაც. მითხარი, ვინა ვარ!

— ია, — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ია? — თვალები გადმოუცვივდა ქაიხოსროს.

— ხო.— თავი დაუქნია ზოსიმე მღვდელმა. — ფესვიანად მოგლეჯილი, შინ მიტანამდე სუნდაკარგული, ხელში დამჭკნარი ია.

ისევ მიაჩერდნენ ერთმანეთს. ახლა ორივე იღიმებოდა, ერთი — ჩვეულებრივად, მშვიდად, მეორე — ღვარძლიანად, დაბნეულად, დამცინავად. მერე ქაიხოსროს სიცილი აუვარდა, ხველანარევი სიცილი. თვალები დაუსისხლიანდა, ყვრიმალები დაებერა, წარამარა ხელის ზურგს იფარებდა პირზე.

— ჩემი ხნის ია სად გინახავს, ადამიანო. — ძლივს ამოთქვა. — მომშორდი! — დაუყვირა მოულოდნელად და სახე გადაუსხვაფერდა, გაუმკაცრდა, გაუშავდა, გაუუხეშდა. — მომშორდი. — გაიმეორა ჩურჩულით, რადგან ხმა აღარ. ეყო, ხელმეორედ დასაყვირებლად.

— დამშვიდდი, დამშვიდდი. — ეუბნებოდა ზოსიმე მღვდელი, გარეთ კი, ათასნაირად ბრიალებდა ქვეყანა, ლამაზი და მშიერი გაზაფხული იდგა, ხალხი მხალსა და ჭინჭარს ჭამდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა მაინც. გარეგინა ნისიად ვაჭრობდა და მუშტარი არ აკლდებოდა, პირიქით, ახლა უფრო მეტი ხალხი ირეოდა მის დუქანში, ტკბილი და უბარაქო იყო ნისიად შეძენილი საქონელი. „დასავლეთში შიმშილობა ყოფილა, მჭადიც საძებარი აქვთ თურმე“, — იტყოდა ვიღაცა, ვითომ ჩვენ ჯერ კიდევ რა გვიჭირს, ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ აქამდეო. იტყოდა და გვერდზე გადგებოდა, რათა ახლა სხვებისთვისაც მოესმინა და იმისდა მიხედვით განექარწყლებინა ანდა განემტკიცებინა გლეხიკაცის მარადიული შიში და ეჭვი. „მჭადი? მჭადი რა კაცის საჭმელია?“ — მაშინვე გამოუჩნდებოდა ამტაცებელი გადმოგდებულ სიტყვას. და ცხოვრებაც ჩვეულებისამებრ გრძელდებოდა. არავის აინტერესებდა ქაიხოსროსა და ზოსიმე მღვდლის ვნებანი.

— მომშორდი-მეთქი... დამაცალე სულის ამოსვლა. — თქვა ქაიხოსრომ, მაგრამ ხმაზე შეეტყო, ყველაზე მეტად ზოსიმე მღვდლის წასვლა რომ არ უნდოდა ახლა. — ვერ ვისწავლე შენთან ლაპარაკი. მეც უნდა გამიგო, მამაო, კიდობანში ვარ გამომწყვდეული.

— ეს რა კიდობანია, — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა, — დედალ-მამალი ბაღლინჯოს მეტს ვერაფერს ნახავს კაცი.

— სხვა არცაა საჭირო, — აჰყვა ქაიხოსრო. — რითი ვჯობივართ ბაღლინჯოს... ან მე... ან პეტრე.

— პეტრეც ცოდოა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

„რა მჭირს თქვენი შესაცოდი?!“ — გაბრაზდა პეტრე. ის დიდ ოთახში იდგა, კარადისხელა საათის წინ და იქიდან უსმენდა მამისა და ზოსიმე მღვდლის ლაპარაკს. „რა მჭირს თქვენი შესაცოდი?!“ — ერთხელ კიდევ გაიმეორა გუნებაში, გამწყრალმა, გაგულისებულმა. ხელი ჟილეტის ჯიბეზე ედო და გრძნობდა, როგორ ფეთქავდა, როგორ წიკწიკებდა ჟილეტის ჯიბეში მონოგრამიანი ვერცხლის საათი, როგორც მისი მეორე გული. კარადისხელა საათი კი — დუმდა, მართლა გაჩერებულიყო, მაგრამ პეტრეს რატომღაც ვერ გადაეწყვიტა, დაექოქა თუ არა იგი, თუმცა თავიდან ამ განზრახვით შეჩერდა მამისეულ საათთან. გასაღები ფოსოში იყო მორგებული, რამდენჯერმე უნდოდა გადატრიალება და საათი ისევ ამუშავდებოდა, ისევ დასძრავდა ოთახის ჩახუთულ ჰაერს ყრუ და ჟღრიალა ბიძგებით. ამის შეგრძნებამ ააფორიაქა პეტრე, იმ წუთას რაღაც ახალი დაიბადა მის არსებაში, იდუმალი, მნიშვნელოვანი, და საკუთარი სხეულიც ეუცხოვა უცებ, ერთი წამით, როგორც სარკის წინ ჩავლილ ფეხმძიმე ქალს. დაძაბული და აღგზნებული იდგა, უცხო კარზე მიყურადებული მსტოვარივით, თუმცა ზოსიმე მღვდელსა და მამამისს ახალი არაფერი უთქვამთ, ჩვეულებრივად ბჟუტურობდნენ, მაგრამ მისდა მოულოდნელად, საათის დუმილმა იმდენ რამეს მიახვედრა ერთბაშად, სიხარულისგან თავზარი დაეცა. საათის დუმილმა, უპირველეს ყოვლისა, იმას მიახვედრა, რომ გაცილებით მეტის ღირსი იყო, ვიდრე მოითხოვდა და გაცილებით მეტი შეეძლო, ვიდრე ეგონა. მერე ღიმილი გადაეფი-

ნა სახეზე და ნეტარებით მოიფშვნიტა ათრთოლებული ხელები. „პეტრეც ცოდოაო“, — სწორედ ამ დროს თქვა ზოსიმე მღვდელმა. შესაცოდი რა სჭირდა, როცა ეს წუთია მოიპოვა ძალაუფლება, როცა ეს წუთია აღმოაჩინა, რომ ლითონის ამ პატარა ნაჭერში იყო ჩამწყვდეული არა მარტო კარადისხელა საათისა, არამედ მამამისის სულიც. ასე რომ, ამ სახლში მამაზეც მეტი იყო იგი და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გახდებოდა ნამდვილად პირველი და ნამდვილად უფროსი. პეტრემ გასაღები ფოსოდან ამოიღო და მუჭში დამალა. ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა, თუმცა სრულებითაც არ აპირებდა, ხელი აეღო ერთბაშად გაჩენილ განზრახვაზე. კი არ ყოყმანობდა, თამაშობდა, ვითომ ვყოყმანობო, ვითომ ძალიან მიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმაო, როგორც დიდმა კაცებმა იციან, ერთი ბებრის კი არა, ქვეყნის ბედი რომ უპყრიათ ხელთ. პეტრე აივანზე გავიდა, მომუწული ხელი თავსზემოთ დაიტრიალა და თვალები დახუჭა, რათა თვითონაც არ დაენახა, საით გაფრინდებოდა ლითონის ჩიტი, კარადისხელა საათის გასაღები.

11

ფოთოლი ჩამუქდა. გამომშრალსა და გამკვრივებულ შარას ისევ სქლად დაედო თბილი, ფაფუკი მტვერი. სახლებიც ისევ შეიყუჟნენ დაბურულ ეზოებში. ჰაერი ჩაიხუთა, გასქელდა.

ზანტად დაფრინავდნენ აზუზუნებული ფუტკრები. ნახევრად ბნელ ოთახებში საიდუმლოდ, ამაფორიაქებლად ჟღერდნენ გარედან შემოღწეული, გაუვალი სიმწვანით დარბილებული ხმები. ტოტებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანები მზით იყო ამოვსებული და ამაოდ ცდილობდა თვალი, მთლიანად დაენახა გზაზე ჩავლილი ცხენი თუ საქონელი. იქნებ, ცხენი არ იყო? იქნებ, საქონელი არ იყო? წრიალებდა გაბრუებულ თავში ნაძალადევი, დროის გასაყვანად გამოგონილი ეჭვი. მაგრამ იმ ეჭვსაც ჰქონდა თავისი საფუძველი: ოცნება და შიში, უმწეობა და სურვილი. არასოდეს არ ყოფილა ასეთი დაბნეული და შეწუხებული. მო-

უთმენლად ელოდებოდა დაღამებასა და ჭოტის კივილს და როგორც მისი ასაკის გოგოებს სჩვევიათ (იმ გაზაფხულზე თხუთმეტისა გახდა), რაღაცნაირი ვნებიანი მღელვარებით ნატრობდა სიკვდილს, ოღონდ დარწმუნებული არ იყო, ჭოტისა და აღათიას ჭკუაზე თუ დადიოდა იგი. ჭოტიც იმ გაზაფხულზე შემოეჩვია მაკაბელების ცაცხვებს და ისე მოულოდნელად დაიკივლებდა ხოლმე, აღათიას შიშისაგან ხელ-ფეხი ერთმეოდა.

— შენიანი ამოჭამე, შე წყეულო, შენა. — ლუღლუღებდა აღათია და გამალებული იწერდა პირჯვარს.

მას კი სიკვდილი უნდოდა, რადგან მხოლოდ სიკვდილს შეეძლო ერთბაშად გაენთავისუფლებინა იმ სევდა-წუხილისაგან, ნასხვისარი, სხვისი სუნითა და ოფლით გაპოხილი პერანგივით რომ გრძნობდა კაბის შიგნით. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სულ ასეთი შეწუხებული იყო გაჩენის დღიდან და სულ ასეთი შეწუხებული იქნებოდა. სულ, უსასრულოდ. ამაოდ ებრძოდა თავს, არც წასვლა შეეძლო და არც დარჩენა.

წასვლაში სიბრალული უშლიდა ხელს, დარჩენაში კი — სიძულვილი. სძულდა და ებრალებოდა ისინი, ვინც უბრალოდ უნდა ყვარებოდა, წესიერად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება. ეს ორი გრძნობა, უპატრონო, წვიმიდან შემოსული ძაღლებივით ებლანდებოდა ფეხებში, ამაზრზენად ეგლისებოდა შიშველ კანზე, და ისიც იდგა სარკმელთან, საცოდავად მხრებაწურული, გულის ამაჩუყებლად სევდიანი, სლუკუნშეკავებული, ამრეზილი, აღშფოთებული და უმწეო. ახლა გრძნობდა დედის სიკვდილსაც, ძმების დაკარგვასაც, მამა-პაპის გაუცხოვებასაც და, შემკრთალი და დაბნეული, წუხდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი საერთო არ უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან, მაგრამ საკმარისი იყო, თავი მიედო ბალიშზე, მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა თოვლით დაზელილი უცხო მამაკაცის სხეული და მკვდარი ირმის ცრემლჩამდგარი თვალები. ეს ორი, ერთნაირად ამაფორიაქებელი და ერთმანეთისგან უაღრესად განსხვავებული ჩვენება სამუდამოდ შერწყმულიყო მის წარმოდგენაში, საერთო ფესვი გაედგა და ამ ფესვის შეგრძნება აწუხებდა სწორედ, ამ ფესვის იდუმალება და ორაზროვნება, რადგან თუ უცხო მამაკაცის შიშველმა სხეულმა

იმედი ჩაუსახა და გზების არსებობა დაუდასტურა, მკვდარი ირმის ცრემლჩამდგარ თვალებში იმედის უსუსურობა და გზების ვერაგობა დაინახა მხოლოდ.

ბავშვობა აღარც ახსოვდა. ბავშვობამ მარადიული, ხელშეუხებელი სიმშვიდისა და სიამტკბილობის რწმენაც თან გაიყოლა და სამაგიეროდ, რაღაც ცივი და უხეში ჩაუტოვა სულში, რკინის იმ ჩხირივით, რომელზედაც ასკლიპიოდოტას თვალი იყო წამოცმული. ახლა იმის დაჯერებაც უჭირდა, ოდესღაც მართლა რომ ყავდა დედა, ვირზე დასკუპებულს, მართლა რომ მიაცილებდნენ სკოლისაკენ ჩხუბისთავი ძმები... არავითარი მსგავსება აღარ არსებობდა მარად აღრენილ, მარად დამწყვდეულ ბებერსა და იმ კეთილ პაპას შორის, რომელმაც ასკლიპიოდოტა მოუყვანა და ენის ბორძიკით უთხრა: მეგობარი გესტუმრათ, ქალბატონო, ასე ამბობს ასკლუ... ასკლო...

ასკლიპიოდოტა მქვიანო. ის დრო ან დაესიზმრა, ან სხვა ზღაპრებთან ერთად სამუდამოდ ჩაიყოლა დედამისმა მიწაში. სინამდვილე ის იყო, რასაც ამ წუთას განიცდიდა და არა ის, რაც მომხდარიყო. რაც მომხდარიყო, არ ითვლებოდა, ამიტომ აღარც უფლება ჰქონდა, წინ აღსდგომოდა მოსახდენს. უფლება, შეიძლება ჰქონდა, მაგრამ ძალისა რა მოგახსენოთ. განა პეტრეს ცოლის შერთვაზე ხელს ააღებინებდა ბაბუცას საფლავის არსებობა? რა თქმა უნდა, არა. ან ანეტას არსებობა შესცვლიდა რამეს? პეტრე მაინც შეირთავდა ცოლს. ცხოვრებას თავისი ადათ-წესები ჰქონდა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მაინც თავისას გაიტანდა, მაინც ყველას მოახვევდა თავის ადათსა და წესს. ეს უკვე ანეტამაც იცოდა, უფრო ადრე იცოდა, ვიდრე მამა ზოსიმე მღვდელს მიუგზავნიდა „შესამზადებლად“. ანეტა შეყვარებული იყო, საიდუმლოდ, ღრმად და ყველაზე მეტად ამან შეაძრწუნა, როცა მამის განზრახვა შეიტყო, თითქოს მისი გულუბრყვილო, გაუთვითცნობიერებელი, ველური ყვავილივით თავისით გაჩენილი სიყვარულის დასაკნინებლად, გასაპამპულებლად, გადასათელად გამოეგონათ მამამისისა და ვიღაც თელაველი, სამგზის ნაქმარევი და კიდევ ვიღაც მეოთხისგან უტვინო ბავშვით დაჯილდოებული ქალის რომანი. ანეტა იცინოდა, გულიანად კისკისებდა. თავისივე საქციელით შეცბუნებული და წარამარა ებოდიშებოდა ზოსიმე მღვდელს.

— დამშვიდდი, შვილო, — ეუბნებოდა არანაკლებ შემცბარი ზოსიმე მღვდელი. — დამშვიდდი.

— დავმშვიდდე?! რა მჭირს დასამშვიდებელი? — იცინოდა ანეტა.

— ღვთის წყალობით, ქალად გაგაჩინა ბუნებამ, — ეუბნებოდა ზოსიმე მღვდელი. — შენ შენი გზა გაქვს.

— უი, მამაო, მაპატიეთ. — პირზე ხელს იფარებდა ანეტა.

— მაინც ასე ჯობია, — ხმას უწევდა ზოსიმე მღვდელი. — მაინც ასე ჯობია, შენ წამსვლელი ხარ...

— ახალი დედიკო და ახალი ძამიკო მეყოლება, — არ აცლიდა ანეტა.

— შენ წამსვლელი ხარ...

— თვითონაც არ ვიცი, რა მაცინებს, დედას გეფიცებით.

არ გეწყინოთ, მამაო. — სიტყვას ბანზე უგდებდა ანეტა.

ანეტას აღიზიანებდა ზოსიმე მღვდლის გულახდილობა, არ ელოდა და იმიტომ. დარწმუნებული იყო, მღვდელი თანდათანობით შეაპარებდა მამის დანაბარებს, დაუშაქრავდა, მომხიბვლელად დაუხატავდა მათ ოჯახში მოსახდენ ცვლილებებს, რადგან, მისი აზრით, რაც თავისთავად გამოუმუშავდა ბავშვობიდანვე, მღვდელი და ექიმი იმითაც განსხვავდებოდნენ სხვებისაგან, ყურადღებას რომ არ აქცევდნენ სენსა და განსაცდელს და მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე გაებიაბრუებინათ ის, რაც სხვებს თავგზას ურევდა. რაც არ უნდა ავად ყოფილიყო, მაშინვე განიკურნებოდა ხოლმე, როგორც კი ექიმი ჯანდიერი შემოვიდოდა ოთახში. დედამისი რომ შესტირებდა ექიმს, მიშველეო, ის იღიმებოდა, კი არ დაეძგერებოდა წამლებით, ასკლიპიოდოტას ჩაისვამდა კალთაში და ჯერ იმის ამბებს გამოიკითხავდა, თითქოს ანეტა კი არა, ის იყო ავად. ახლაც ამის მაგვარ რაღაცას მოითხოვდა მისი არსება ზოსიმე მღვდლისგან, თუმცა იმასაც გრძნობდა, თვალთმაქცობა და ტყუილი ყველაზე

დიდი ბოროტება რომ იქნებოდა ახლა, რადგან ზოსიმე მღვდელი რომელიმე ჩვეულებრივი და მოსახდელი სენისაგან განკურნებას კი არ უპირებდა, არამედ მისი სულის გადასარჩენად და გასამტკიცებლად იღვწოდა.

— მამაჩემს უთხარით, გაუხარდა-თქო. — თქვა მოულოდნელად, — ცხოვრება დედა კი არაა, დედინაცვალია. ესეც დაიხსომე, — უთხრა ზოსიმე მღვდელმა.

მოკლედ, ამ ბოლო დროს იმდენი რამე გადახდა თავს, თხუთმეტი წლის გოგო კი არა, ბრძენი დაიბნეოდა. თავი გახეთქვაზე ჰქონდა, აღათიაც რომ არ ჰყოლოდა, მართლა გაგიჟდებოდა.

ისხდნენ ისა და აღათია საღამოობით, ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპით სანახევროდ განათებულ ოთახში და სხვა რომ არაფერი შეეძლოთ, ერთმანეთზე იყრიდნენ ჯავრს, ერთმანეთს აბრალებდნენ საკუთარ უმწეობას. ანეტას აღათია უყვარდა, მაგრამ აღარ შეეძლო მისი დაზოგვა, ვიღაცა უნდა გაეწირა, ცოტა შვება რომ ეგრძნო, მთლად უსიტყვოდ და მთლად უბრძოლველად რომ არ შეეჭმევინებინა თავი ამოუხსნელი და დაუნდობელი წუხილისთვის. მათი ღამეული საუბრები უმთავრესად ერთმანეთის განაწყენებითა და გაღიზიანებით მთავრდებოდა. ანეტა უმწეო იყო, ამ ერთი ქალისთვის მაინც აეხილა თვალი იმ უბედურების დასანახად, რომელიც მას, ბავშვობიდან გამოსვლისთანავე, მძორის სუნით გაჟღენთილი ქარივით დაეძგერა სახეში. აღათიაც იმ უბედურების ნაწილი, იმ უბედურების მსახური იყო და ერთგული მსახურის სიჯიუტით ცდილობდა მის დაცვასა და გამართლებას, რადგან სხვა არაფერი ენახა ამ ქვეყანაზე, არც ამაზე უკეთესი და არც ამაზე უარესი. ის სულიან-ხორციანად მსახური იყო და ალღოთი გრძნობდა, მისი პატრონების ყოველნაირი საქციელის გამართლება უფრო რომ ახანგრძლივებდა ოჯახის არსებობას, ვიდრე განსჯა და განქიქება. მისთვის მთავარი ოჯახის სიმტკიცე იყო, რადგან იმავე ალღოთი იმასაც გრძნობდა, არეულ ოჯახში პირველ რიგში თვითონ რომ აღმოჩნდებოდა უცხო და ზედმეტი, როგორც ნებისმიერი უპატრონო დედაბერი. აღათიას ყველაზე მეტად უპატრონოდ დარჩენისა ეშინოდა, მაგრამ პატრონში, საერ-

თოდ მაკაბელებს კი არ გულისხმობდა, არამედ ანეტას, როგორც ადრე — ბაბუცას და უფრო ადრე — ბაბუცას დედას. ვისაც ზრდიდა, იმის საკუთრებად თვლიდა თავს და საგვარეულო ნივთივით, მშვიდად, უმტკივნეულოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ის მსახური უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრულებითაც არ იყო სულერთი, როგორც ანეტამ უთხრა ერთ ასეთ საღამოს, ვისი მსახური იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ანეტა არსებობდა. ხოლო რაკი ანეტა არსებობდა, აღათიაც ისეთივე საკუთრება იყო მისი, როგორც ბაბუცას დანატოვარი ბიბლიოთეკა, ორიოდე ხატი, ლუარსაბ მიქელაძის ხმალი და გამოხუნებულ ბაბთაზე მიმაგრებული ჯვარი. ამდენად, აღათიას მომავალიც პირდაპირად ანეტასთან იყო დაკავშირებული და გუნებაში, თავისთვის უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი იგი. ანეტა რომ გათხოვდებოდა, ახლა იმას წაყვებოდა მზითევში და, თუ ღმერთი დააცლიდა, ახლა იმის ბავშვს გაზრდიდა. ამიტომ ანეტას აბდაუბდა ლაპარაკი უფრო აღელვებდა და აფრთხობდა, ვიდრე პეტრეს მოსალოდნელი დაოჯახება. არაფერი იყო პეტრეს განზრახვაში უცნაური. ის სამიოდე მამაკაცი, რომლებიც მისი გაზრდილების ქმრები ან მამები იყვნენ, საკმარისი იყო, გარკვეული წარმოდგენა რომ შეჰქმნოდა საერთოდ მამაკაცებზე. პეტრე რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, როცა ლუარსაბ მიქელაძე ავადმყოფ ცოლსაც არ ერიდებოდა და აღათიას კახპისთვის მეზობელ ოთახში აშლევინებდა ლოგინს, ქაიხოსრო მაკაბელს კი, დუხაბორის ძირგავარდნილი დედაკაცი დაუდიოდა შინ, ვითომ იატაკების მოსარეცხად, თავად ბინძური და გასარეცხი პირველად რომ უთხრა პეტრემ:

ცოლი უნდა შევირთო, სანამ მამაჩემივით მეც ტილი დამეხვევაო, პეტრეს ბუზღუნს, წუნიაობასა და მუქარებს შეჩვეულმა აღათიამ, პეტრეს ნათქვამი ჩვეულებრივ საყვედურად მიიღო და იმან კი არ შეაშფოთა, რა შეიძლებოდა მოყოლოდა პეტრეს ხელმეორედ დაქორწინებას, არამედ ის ეწყინა, ერთხელ კიდევ უსამართლოდ რომ დაუწუნეს დიასახლისობა.

შეშფოთებით მერე შეშფოთდა, როცა შემთხვევით მოჰკრა ყური ზოსიმე მღვდლისა და ანეტას საუბარს. ანეტას უჩვეულო სიცილმა და ზოსიმე მღვდლის დაუნდობლობამ დასცა თავზარი და პირველად მაშინ შეიგნო, რა უმნიშვნელო იყო მისი საფიქ-

რალი და სადარდელი ამ პატარა გოგოს უბედურებასთან შედარებით, რა ადვილი შესაძლებელი იყო, მართლა ჩაედინა ანეტას ის, რასაც საღამოობით ელაპარაკებოდა ხოლმე და რასაც აღათია ანეტას უასაკობასა და უცნაურობას აწერდა. მართლაც, ვინ გაუმტყუნებდა ანეტას, ერთ მშვენიერ დღეს ფეხი რომ დაეკრა და ისიც გადაკარგულიყო ნიკოსა და ალექსანდრესავით, ახალი ქალი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, პირველ რიგში გადაყრუებულ მოახლეს კი არა, რომელსაც თავსაც არ გაუყადრებდა ალბათ, არამედ ანეტას დედის სულს გადევნიდა აქედან და ანეტაც სწორედ მაშინ დაობლდებოდა ნამდვილად. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აღათიას რა შეეძლო, ერთგულებისა და სამსახურის მეტი?

უნდა მჯდარიყო და დაეცადა. ის ანეტას მზითვები იყო და ანეტას გვერდით უნდა ყოფილიყო ყოველთვის, ბედნიერებისა თუ უბედურების ჟამს. ბუნებით მორჩილი, არც ახლა აპირებდა აჯანყებას, მაგრამ ახლა გაცილებით მეტი გაეგებოდა, ვიდრე ანეტასა და ზოსიმე მღვდლის საუბრამდე. ოჯახში დაძაბული, დაუნდობელი ომი მძვინვარებდა თურმე და ის, არა მარტო მოწმე, არამედ მონაწილეც იყო ამ ომისა, რადგან მოწინააღმდეგეთა ერთი მხარე მის გამოხუნებულ კალთაში იყო გაზრდილი. ის, რაღა თქმა უნდა, თავისი გაზრდილების მხარეზე იქნებოდა ყოველთვის, მაგრამ ეს კი არ იყო მთავარი, ამას არც ჰქონდა, ალბათ, მნიშვნელობა, მთავარი იყო, მშვიდობიანად დამთავრებულიყო ყველაფერი, უმსხვერპლოდ, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ანეტა დაასწრებდა მამამისს, თუკი ჯერ ანეტა დაქორწინდებოდა და მერე პეტრე, მაგრამ ანეტას გათხოვებამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლიდა, პეტრეს კი, დღესვე შეეძლო ქალის მოყვანა; ასე რომ, აღარ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო, ღამღამობით ჭოტი დაჰკიოდა თავხე და, უარესად დამფრთხალი და დაბნეული, მოკუნტული იჯდა სკამზე, ვითომ წინდების კემსვით გართული, ვითომ სხვა არაფერი ადარდებდა, ქუსლებგამორღვეული წინდების გარდა. ან სხვა რა შეეძლო? ვერც ანეტას მოუგებდა სიტყვას და, მით უფრო, ვერც სიკვდილის მოციქულს. — შენი თავი ამოჭამე. დაგწყევლოს ღმერთმა. — შფოთავდა აღათია.

— რათა სწყევლი? — მაშინვე პირში ეცემოდა ხოლმე ანეტა. — იქნებ მე მინდა სიკვდილი?

— ღმერთს ნუ სცოდავ, გოგო. რა დროს შენი სიკვდილია?!

— სახე უშტერდებოდა აღათიას.

— სიკვდილს მივყვები ცოლად. არ იცოდი? ამწინებზე, შენ რომ ბედისკვერი გამომიცხე, იცი რა დამესიზმრა? სიკვდილი. პეშვით დამალევინა წყალი. მამაჩემიც იოლად გამოვა.

სად ქორწილი და სად ქელეხი! — მშვიდად, უდარდელად. ტიტინებდა სკამზე მუხლებით შემდგარი და მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ანეტა.

— თავი გაწიე, გოგო, ისედაც ვერაფერს ვხედავ. — სიტყვას ბანზე უგდებდა სატირლად გამზადებული აღათია.

— შენ ის მითხარი, ქორწილი ხომ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ქელეხი? — არ ეშვებოდა ანეტა, თავადაც გულაჩუყებული, მაგრამ გაკერპებული, გაღიზიანებული საკუთარი უმწეობის შეგრძნებით.

ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპა სანახევროდ ანათებდა ოთახს. ბიისფერი ალი ისევ ჯიუტად აგრძელებდა ადამიანების თვალთვალს თავისი შუშის კოშკიდან, როგორც გონიერი არსება, შორეული ვარსკვლავების ბინადარი, დიდი ხნის წინათ გადმოსროლილი ამ უცხო გარემოში, აქაური ადათ-წესების შესასწავლად, რომელმაც სამუდამოდ აქ დარჩენა არჩია, აქაური ამბების გარეთ გატანას, ამჯობინა, დაღუპულად ჩაეთვალათ იგი თანამემამულეებს, ვიდრე მისი მეშვეობით გაეგოთ ის, რისი მოწმეც თავად გამხდარიყო. აღათიას ძველი წინდების გროვაზე ეწყო ხელები, ყოველ საღამოს ასე ჩაიხვავებდა კალთაში და კი არ კემსავდა — წვალობდა, ნემსით თითებს იჩხვლეტდა, რადგან მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ანეტას თავი სანახევროდ ფარავდა ლამპას.

— სიკვდილი რამ დაგასიზმრა? შენ რა იცი, როგორია სიკვდილი? — თქვა აღათიამ ისეთი შეწუხებული, ისეთი განაწყენებული ხმით, რომ ანეტას უნებურად გაეცინა.

— ვიიიცი. — თქვა ანეტამ.

— ღმერთო, შენ გვიშველე. — პირჯვარი გადაიწერა აღათიამ ნემსიანი ხელით. — ტყუილია. — თქვა ცოტა ხნის მერე.

ლამპას მისჩერებოდა, თვალებმოჭუტული, ქუთუთოებდანაოჭებული, თითქოს რაღაცას იხსენებსო. უცებ თავი ასწია და ისევ გაიმეორა — ტყუილიაო, — ოღონდ ახლა უფრო მტკიცედ და თამამად.

— რა? რა არის ტყუილი? — ბრაზიანად, გამომწვევად ჰკითხა ანეტამ და მისკენ შემობრუნდა. სკამი, რომელზედაც მუხლებით იდგა, ორი ფეხით ასცდა იატაკს.

— ბედისკვერი. — თქვა აღათიამ. — დედაშენი ვითომ უფლისწულს უნდა წაჰყოლოდა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — არ აცალა ანეტამ. — თქვი. რატომ არ ამბობ? მაგრამ მამაჩემს წაჰყვა, არა? — თქვა ანეტამ და ერთდროულად შეკრთნენ ისიცა და ლამპის შუშაში ჩამწყვდეული ალიც, რადგან მუხლებქვეშ მოულოდნელად შეუტოკდა გადაბრეცილი სკამი.

— ნელა, გოგო. — შესძახა აღათიამ.— ბედისკვერი ტყუისმეთქი. მამაშენი ვისზე რა ნაკლებია.

— მამაჩემი. — თქვა ანეტამ და ლამპას შეაორთქლა. ალი შეწუხდა, წელში გაიზნიქა, გაერიდა. გახურებულმა შუშამ კი, უცებ შეიშრო მისი ამონასუნთქი.

მერე ორივენი კარგა ხანს დუმდნენ. ანეტას სახე ლამპისთვის მიეფიცხებინა და სასიამოვნოდ გრძნობდა, როგორ ფეთქავდა მის თვალებშიც ბიისფერი და თბილი სინათლე. აღათია დაბნეული იჯდა, ბედისკვერი ტყუისო, რა თქმა უნდა, ანეტას დასამშვიდებლად თქვა, მოიტყუა, თორემ თავად ახლაც ისევე

სწამდა მისი, როგორც გუშინ, ათი, ოცი, ოცდაათი წლის წინათ, სწამდა ბრმად, ჯიუტად, შეურყევლად, როგორც ცრუმორწმუნე და უვიც ხალხსა სჩვევია „რატომ მე არ მოვკვდები, რატომ ხელები არ გამიხმება“. — თავს იწყევლიდა გუნებაში და გული ემდუღრებოდა ანეტას ბავშვურად სუსტი და ჯერ კიდევ უდარდელი სხეულის შემყურეს. ქალის გათხოვება, ქალის მამაკაცთან შეუღლება აღათიასთვის ყოველთვის შეუვალი საიდუმლოება იყო და ბედისკვერის გამოცხობის მეტი, არაფერი იცოდა ამ საიდუმლოებასთან დაკავშირებული. როგორც ყველა შინაბერა, ბედგაუხსნელ ქალს, ეს უმნიშვნელო და ფუჭი ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი, ხელშეუხებელი და ამიტომაც სამარადისოდ შეურაცხყოფილი ქალწულობის დასამშვიდებლად, დასაშოშმინებლად ჭირდებოდა, თუმცა თვითონ ვერ ხვდებოდა ამდენს და ვერც უნდა მიმხვდარიყო, რადგან ამის მიხვედრა უფრო მტანჯველი და აუტანელი იქნებოდა, ვიდრე მარადიული სიქალწულე, რომელსაც, თავად შეგუებული, სხვებისათვის უბედურებად თვლიდა და იმავე უმნიშვნელო და ფუჭი ცოდნით ებრძოდა, მაგრამ აღათიას გამომცხვარმა მლაშე კვერმა ვერც ბაბუცა დააყენა სწორ გზაზე და ვერც ანეტა, ერთი მზეჭაბუკის მაგივრად ღვინის ვაჭარს გადაჰყარა, მეორეს კი, არც ღვინის ვაჭარი აღირსა და სიკვდილი დაასიზმრა საბედოდ.

ჭოტიც იმის მოგზავნილი იყო ალბათ, იმის მოციქული. აფრთხილებდათ, გაემზადეთო, მაგრამ ანეტას ჭოტის ენა არ ესმოდა, ჯერ ბავშვი იყო, აღათია კი, იმის მაგივრად რომ ქვეყანა შეეძრა, როგორმე ეშველა ანეტასთვის, ძველ წინდებს კემსავდა, უარესად არ შევაშინო ბავშვიო. რისი ღირსი იყო აღათია? ჩაქოლვის, დაწვის, გავარვარებული მარწუხებით დაგლეჯვის... მაგრამ ნაკლებად არც ახლა იტანჯებოდა, განათებულ, მყუდრო ოთახში მჯდარი, კალთაზე წინდებდახვავებული, ოჯახური სიმშვიდის, ოჯახის მარადიულობის დამადასტურებელი თავისი გარეგნობითა და საქმიანობით. ასე იყო ყოველ საღამოს, მთელი გაზაფხული ასე წვალობდა გაურკვევლობის დაუნდობელ კლანჭებში მომწყვდეული ორი სხვადასხვა ასაკის ქალი. ერთი დაღამებამდე სარკმელთან იდგა ფეხმოუცვლელად და მოუთმენლად, არა, მოთმინებით, იმედით, სიამაყითაც კი, ელოდებოდა, როდის განმეორდებოდა შორეული აფეთქების ხმა და

როდის გადაატარებდა ქარი ურუქის თავზე მტვრისა და მიწის მოწითალო ღრუბელს. მეორეს, დღისითაც ჭოტის ხმა ედგა ყურებში და მუხლების კანკალით ელოდებოდა დაღამებას. ისინი ამ ორი ხმითღა უკავშირდებოდნენ გარე სამყაროს. ამ ორ ხმაში ეტეოდა მთელი მათი წარმოდგენა გარე სამყაროზე, რადგან ერთ ხმას საგზაო ინჟინერი მოჰყვებოდა, მეორეს კი — სიკვდილი.

— ღორს რას ერჩოდნენ. — თქვა ერთ საღამოს ანეტამ.

აივნის კარი ღია იყო და მთელ სახლს ავსებდა შეფოთლილი, გაღონიერებული ცაცხვების შრიალი. აღათიას მთელი ყურადღება ცაცხვებისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ჭოტის დაკივლებას ელოდებოდა და ვერ გაიგო ანეტას ნათქვამი.

— ღორს რას ერჩოდნენ-მეთქი. — დაუყვირა ანეტამ.

— რა გაყვირებს, გოგო. რა ვიცი, რას ერჩოდნენ. პატარები იყვნენ, სულელები. — უნებურად ხმას აუწია აღათიამაც.

— ბიჭები ყველანი ერთნაირები არიან, ძნელი გასაზრდელები. არც თავი ეცოდებათ და არც პატრონები. — გააგრძელა ცოტა ხნის მერე, უკვე ჩვეულებრივი ხმით.

— იდაყვზე რომ ვიკბინო, მართლა ვიქცევი ბიჭად? — ჰკითხა ანეტამ.

— არაფერსაც არ უნდა გიყვებოდე. სისულელეებითა გაქვს თავი გამოტენილი. — გაწყრა აღათია.

— გინდა, ვიკბინო? აი, თუ ვერა... — თქვა ანეტამ და მაგიდაზე დაყრნობილ იდაყვს საკბენად მიეტანა. იდაყვი მაგიდაზე გაუცოცდა, დაძაბულობისაგან კისერი ეტკინა და სანახევროდ გაშლილ მკლავზე ჩამოდო თავი, თითქოს უცებ ჩამოეძინა.

ტუჩები ისევ მომუწული და გამობზეკილი ჰქონდა.

გაბუტული ბავშვივით.

— ნუ წევხარ ეგრე, — დაუძახა აღათიამ. — ხერხემალი გაგიმრუდდება. — გამიმრუდდეს. — თქვა თვალმილულულმა ანეტამ.

— შენი თავი ამოჭამე, შენი თავი ამოჭამე. — შეჰყვირა აღათიამ, რადგან სწორედ იმ დროს გაისმა ჭოტის კივილი.

ანეტამ გაიცინა, მაგრამ არც თვალი გაუხელია და არც განძრეულა, ისევ ისე დარჩა, მაგიდაზე გადაწოლილი, მკლავზე თავმიდებული, მისივე არსებიდან ამომავალი ბურანის ტყვე, საკუთარი ხორცის სიგრილითა და სურნელით გაბრუებული.

— შენ გოგო ხარ, გენაცვალოს აღათია. შენს ძმებს რას ედრები? — თქვა აღათიამ და დაკემსილ წინდას კბილით ძაფი შეაწყვიტა. — მუთაქებს შემოგიწყობდი და იყავი შენთვის, იმათ კი არ გავდი, ყაჩაღებს. ცხონებული დედაშენიც ასეთი იყო.

— კი, როგორ არა! — თავი წამოწია ანეტამ. — შენ რა იცი, მე როგორი ვარ? ან იქნებ, მამაჩემივით, შენც სულელი გგონივარ? აი, ერთ დღეს გაგეღვიძება და აღარ დაგხვდები. — უი, მომიკვდეს თავი.— ავიშვიშდა აღათია.— აღარ უნდა ჩავარდე ჭკუაში? სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, ჯერ მე უნდა წამიყვანოს. მე აქ არა ვარ?

— ჭკუაში რომ ჩავვარდი, იმიტომ... — თქვა ანეტამ. ისევ მკლავზე მისდო თავი და დაამთქნარა. — არც მე მიყვარს მამაჩემი, — ამოაყოლა მთქნარებას. ნელა, ძლივსშესამჩნევად ამოძრავებდა იმ ხელის თითებს, რომელზედაც თავი ედო, თითქოს უჩინარ კატას ეფერებაო, კატას კი არა, ლამპის ბიისფერ სიმხურვალეს. — ცოლიც ეყოლება და შვილიც. ის ქალი ხომ შვილიანია? აღათია, ხომ ყავს იმ ქალს შვილი? — პასუხისთვის არ დაუცდია, რადგან აღათიას კი არ მიმართავდა, თავისთვის ფიქრობდა ხმამაღლა. „ნეტავი როგორია? უნდა ვაკოცო?“ — გააგრძელა გუნებაში.

— მომიკვდეს თავი, მომიკვდეს თავი, — ისევ ავიშვიშდა აღათია. — მამაზე ეგრე ლაპარაკი როგორ შეიძლება?! მამაშენიც ცოდოა, შვილო. ჯერ ახალგაზრდა კაცია და ბებერივით ცხოვრობს. რა მისი ბრალია, ასე რომ მოხდა? შენ მაგაზე ნუ დარ-

დობ, მოგიკვდეს აღათია. ან რომელი გეტყვის, შენ ადექი, მე უნდა დავჯდეო. ეს ჯერ შენი სახლია და მერე იმათი.

— მე სახლს ავაფეთქებდი. — თქვა ანეტამ და თვალები გაახილა. აღათიას შეაცქერდა. — გესმის? საღორეს კი არა, სახლს... და გათავდებოდა ყველაფერი.

— აღარ დავწვეთ? — მოუყრუა აღათიამ. — ნავთსაც ტყუილუბრალოდ ვწვავ, ბინდი მიდგას თვალებში, — მე სახლს ავაფეთქებდი. — ბრაზიანად, ჯიუტად გაიმეორა ანეტამ.

— ააფეთქებდი და ააფეთქე. ვინ დაგიმალა? იმის მაგივრად, რომ... — მშვიდად დაიწყო აღათიამ, მაგრამ, თავს ვეღარ მოერია, სიტყვა დამპალი ძაფივით ჩააწყდა პირში და მღელვარების დასაფარავად წინდებში დაიწყო ქექვა.

— აღათია, აღათია, მოიხედე აქეთ. — დაუძახა ანეტამ. — შენც ხომ გეშინია? თქვი, ხომ გეშინია?

— რისა, გოგო? — მართლა შეშინდა აღათია და წინდებში ჩაფლული ხელები გაუშეშდა, სმენად იქცა.

— აღათია, საბრალო აღათია. — თქვა ანეტამ. — ასკლიპიოდოტას შენ გაჩუქებ. შენთან არაფერი გაუჭირდება.

— რა გინდა, გოგო, ხომ არ უნდა გამაგიჟო? მოდი, ძაფი მაინც ამიგე. იმის მაგივრად რომ... — ისევ დაება ენა.

— რის მაგივრად? რის მაგივრად? — უყვირა ანეტამ და მუხლებზე წამოიმართა, — ჩუმად. გვიანია. — შეევედრა აღათია და, თითქოს მტრისას იყვნენ შეპარულები, ჩურჩულით გააგრძელა. — იმის მაგივრად, რომ ბედს ეწიო. პატარა ხომ აღარა ხარ...

— ბე-ედს? — ცხვირი შეიჭმუხნა ანეტამ.— ბედს აქ რა უნდა? შენ ის მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე მამაჩემის ქორწილში. იმათაც უნდა ვაკოცო?

— ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა. — წამოდგა აღათია და წინდების გროვა ორივე ხელით ერთბაშად გადაიტანა ტახტზე, რო-

გორც მკვდარი, ჭრელი ლეკვი. წელში მოხრილი იდგა ტახტთან, ხელები ისევ წინდის გროვაზე ეწყო. — ფუი, ეშმაკს. — გაიმეორა უმწეოდ და უსაზღვროდ გაგულისებულმა, სხვაზე კი არა, საკუთარ თავზე. — რაღა იპოვის.. ნემსიც წინდებს შევაყოლე შენს ლაპარაკში. — თქვა უკვე საკუთარი გაგულისების მისაჩქმალად, ანდა განსამარტავად, სხვასაც რომ გაეგო და ეპატიებინა.

— მე სახლს ავაფეთქებდი. გესმის? დედაბუდიანად! — იყვირა ანეტამ და პატარა მუშტი გამეტებით დაჰკრა მაგიდას.

ლამპის შუშაში ალი შეკრთა და გატკაცუნდა. გარეთ ღამე იყო, ტყესავით დაბურული, იდუმალი, გულგრილი. სრულებითაც არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა და განიცდიდა ეს ორი ქალი, მწერივით მისეული ლამპის მბჟუტავ სინათლეს; არც ის ადარდებდა, ერთი კვირის მერე ახალი დიასახლისი რომ მოევლინებოდა ამ ოჯახს, თელაველი, სამგზის ნაქმარევი ქალი, რომელსაც თელაველები ტკბილ დუსას ეძახდნენ, არა მარტო იმიტომ, მესამე ქმრის სიკვდილის შემდეგ ქმრის საქმიანობას რომ აგრძელებდა და ახლა თვითონ ვაჭრობდა ტკბილეულობით, არამედ იმიტომაც, თავგადასავლიანი ქალი რომ გახლდათ და ჯერ კიდევ შეეძლო მამაკაცის შეცდენა.

პეტრემ ტკბილი დუსა თელავში გაიცნო, გასულ შემოდგომაზე. მზიანი, მაგრამ ცივი დღე იდგა. პეტრეც ვერ გრძნობდა თავს კარგად, მთელს ტანში უსიამოდ ზრინავდა. ღვინის სარდაფში კი, უარესად გაცივდა, ორი საათი აყურყუტა მიკიტანმა სარდაფში, სანამ ფულს მოუტანდა. ორ საათში მთელ თელავს მოივლიდა კაცი, იმან კი, შინ მისვლასა და დაბრუნებას მოანდომა ორი საათი. ფულს ვერ შეელია და იმიტომ, სათითაოდ დაკოცნა, სათითაოდ გამოეთხოვა ალბათ გაქონილ თუმნიანებს. ან იქნებ იმასაც ფიქრობდა, პეტრეს მოსწყინდება ლოდინი და წავაო, მაგრამ პეტრე, რაკი მოსულიყო, უფულოდ მაინც არ წავიდოდა აქედან, გინდაც ცივ სარდაფში კი არა, ყინულის ლოდზე დაესვათ შარვალჩახდილი.

— მე მგლოვიარე მგონიხარ, შენ თელავში დასეირნობ?! — უთხრა მიკიტანმა.

— რა მესეირნება, ადამიანო, დედა გამიგიჟდა. — პირში მიახალა პეტრემ.

— ვა? — პირი დააღო მიკიტანმა.

— ჩემი ძმის სიკვდილი ვერ აიტანა. — ზედმეტი შეკითხვებისგან თავი დაიზღვია პეტრემ.

„უნდა მივცე. მაინც წაიღებს“, — გაიფიქრა მიკიტანმა და წავიდა. წავიდა და წავიდა. ორი საათი მიწის იატაკზე აბაკუნებდა პეტრე ფეხებს, გაუხედნავი კვიცივით.

— მოვა, კაცო, აქვე არა ცხოვრობს! — ამშვიდებდა მიკიტნის ბიჭი.

— იმიტომაც ვბრაზობ, აქვე რომ ცხოვრობს. ახლა მოუნდა ცოლთან ბღლარძუნი?! — გულზე სკდებოდა პეტრე.

— ვიიიჰიპიჰი, — გულიანად გაიცინა მიკიტნის ბიჭმა.

ის მიკიტანი, აგერ უკვე ათი წელი, პეტრესგან ყიდულობდა ღვინოს და ფულს ნაწილ-ნაწილ უხდიდა. ამაზე წინასწარვე იყვნენ შეთანხმებულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანდა სწორედ ამის გამო, ერთმანეთში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და ყოველი მათი შეხვედრა უსიამოვნობით მთავრდებოდა, რაც ორივეს მაშინვე ავიწყდებოდა, როგორც კი ერთმანეთს მოშორდებოდნენ თვალიდან. თავისთავად, წინასწარი განზრახვის გარეშე ხდებოდა ასე, რადგან ერთს ფულის აღება აინტერესებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მიეღო თავისი, მეორეს კი, ფული უნდა გაეცა, იცოდა რომ უნდა გაეცა, მომზადებულიც იყო საამისოდ, მაგრამ მაინც უჭირდა მისი ხელშენავლები, მის ჯიბეში თავმოყრილი ფულის მოშორება და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე გაეწელა დრო, დაექუცმაცებინა გასაცემი თანხა, რათა იგი ნაკლებად შესამჩნევი და მტკივნეული ყოფილიყო მისი ჯიბისთვის. მაგრამ გულის სიღრმეში იმასაც გრძნობდნენ, ამგვარი ურთიერთობა ფულზე საჭირო რომ იყო ორივესთვის. ამგვარი ურთიერთობა ორივეს წვრთნიდა, აკაჟებდა და ამზადებდა საერთოდ ცხოვრებასთან საბ-

რძოლველად. იმ ძმებსა გავდნენ, ყვინჩილობის დრო რომ დადგომიათ და სახლის უკან გასულები, უფროსების თვალს მოფარებულნი, ერთმანეთს ცხვირპირს უსისხლიანებენ, მტრულად კი არა — ძმურად, ერთმანეთის გასაძლიერებლად, სხვა უბნის ბიჭებს თავი რომ არ დააჩაგვრინონ და ნამდვილი ჩხუბის დროს შემოკრული მუშტიც აიტანონ და ხურდის დაბრუნებაც მოახერხონ.

სარდაფიდან რომ ამოვიდა, ძაღლივით იყო აღრენილი, აღარც ფული უხაროდა და აღარც ქალაქში გავლა— გამოვლა, სიცივემ უფრო აიტანა. მზეს სრულებით აღარ ჰქონდა ძალა და ტყუილუბრალოდ ეკიდა ცაზე. ამანაც გააღიზიანა პეტრე, მზეზე გაბრაზდა. გულის ჯიბეში ერთბაშად გასქელებული ფულე ედო, რამდენსაც უნდოდა, იმდენს დახარჯავდა, ფულის დასახარჯი ადგილებიც ბევრი ეგულებოდა, მაგრამ ხალისი არ ჰქონდა, ხალისი კი არა, თავი; აქეთ-იქით დაუდიოდა ჰაერით გაბერილი ბუშტივით. აქეთ რომ მოდიოდა, ფიქრობდა; წავალ, გავივლი, ცოტას გულს გადავაყოლებო, მაგრამ ვერც აქ ამოიგდო თავიდან დედის გამძვინვარებული, სიძულვილით სავსე მზერა. გულის გადასაყოლებლად კი არ წამოვიდა, იმ მზერას გაერიდა, იმ მზერამ დააფრთხო და გათოშა ასე. დედამისის თვალებიდან ამოდიოდა სიცივე, რომელიც ახლა ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი. ახლა კი არა, ბავშვობიდან, იმ ღამიდან, როცა ნამძინარევს სცემა დედამ, უმიზეზოდ, უსამართლოდ, იმის გულისთვის, იმას რომ გახარებოდა. იმის გულისთვის შეიძულა თავიდანვე, რადგან ის პეტრემდე ჰყავდა, თანაც სხვისგან, პეტრეს მამისგან კი არა, სულ სხვა კაცისგან, ქმრისგან კი არა — საყვარლისგან, რომელიც პეტრეს მამამ გაუგდო, რადგან სულელი იყო და ის მოინდომა, რასაც მამაზეციერიც ვეღარ შესძლებდა: მდაბიოს გაკეთილშობილება, მეძავის გაქალწულება, ყორნის გათეთრება, რაც არასოდეს მომხდარა, რისიც არავის სჯერა, ლოთი ზოსიმეს გარდა, პირიქით კი, ყოველ ნაბიჯზე ხდება. გაუმართლებელი, გადამეტებული სიკეთე ბოროტებას აღვივებს მხოლოდ და აკი ახლაც ასე მოხდა. პეტრეს დედამ არა მარტო ქმარი შეიძულა, არამედ მისი თესლიც, მთელი მისი საგვარეულო, რადგან ღირსი არ იყო ამ თესლისა, სარეველას იყო მიჩვეული, მოვლა-პატრონობა რომ არ სჭირდება, თავი-

სით რომ ითესება, თავისი რომ ამოდის და თავისით რომ იზრდება. კეთილშობილმა თესლმა დაუწვა შიგანი, კი არ გააბედნიერა — დააკნინა, როგორც მათხოვრის ბინძური ხელი ბრილიანტის ბეჭედმა. პეტრეს დედა მთელი სიცოცხლე ამ შეუფერებელი და ამიტომაც დამღუპველი წყალობის მოშორებას ცდილობდა, მისგან უნდოდა განთავისუფლება და ყველაზე კარგად ამას პეტრე ხვდებოდა. მარტო პეტრე ხვდებოდა, ხოლო მამამისი მიწაზე დაშვებული შეცდომის გამართლებას ცაში დაეძებდა, ცაში კი არა, ზოსიმე მღვდლის გაზინთულ წიგნებში, სადაც უკვე მომხდარი ამბები ან სულაც გამოგონილი ზღაპრები აწყვია, როგორც მკვდრები კუბოებში. პეტრე კი თვალებში უყურებს ცხოვრებას, თვალებში უყურებს დედამისს და უფრო მეტსა ხედავს, ვიდრე წიგნებში წერია. მან იცის, რა საშიში და დაუნდობელია დედა, რომელმაც ცოდვით კი არ გაგაჩინა, არამედ შენამდე ჩადენილი ცოდვის შესანიღბად: შენს მისაღებად კი არ დაუწვა მამაშენს, არამედ იმის, პირველის, ცოდვის შვილის შეწყნარების უფლება რომ გამოეტყუებინა. შენი სახით მან ხელმეორედ ჩაისახა ის, რადგან მაშინაც იმაზე ფიქრობდა, იმის შესანარჩუნებლად, იმის გადასარჩენად იღვწოდა. შენ კი ქაღალდივით შემოგახვია იმას, სრულუფლებიანობისა და ხელშეუხებლობის დამადასტურებელი ქაღალდივით.

ბოლოს ისე მოხდა, რომ მარტო ქაღალდიღა შერჩა ხელში, ხოლო ნამდვილი და ერთადერთი. შვილი ძროხასავით დაუკლეს, იმან წაართვა ან იმის მსგავსმა, ვინც აჩუქა, და პეტრემ ისიც იცის, რა შეიძლება ჩაიდინოს, სადამდე შეიძლება მივიდეს კაცი, რომელსაც ძროხა მოუკლეს, ხოლო იმ ძროხის კუთვნილების ქაღალდი შუბლზე მიაწებეს. პეტრემ იცის, რას ფიქრობს დედამისი ღამღამობით, გიორგას სისხლითა და სახედრის შარდით აქოთებულ გომურში. ხომ დედაა? ხომ მაინც იმის გაჩენილია? მაგრამ თიანეთელი ყაჩაღების ხელში ჩავარდნა ურჩევნია, იმასთან ერთად იმ გომურში მარტო დარჩენას, გინდა ცუდი შვილი დაარქვან და გინდა ლაჩარი. ის, პეტრეს დედა სხვებისთვისაა, უცხო თვალისთვის, ვისაც ყურმოკრულად გაუგია, რომ ნამდვილად იმან გააჩინა პეტრე, მაგრამ იმან (ესეც მხოლოდ პეტრემ იცის) კი არ გააჩინა პეტრე, უბრალოდ მოიშორა, დაბადა, როგორც თირკმლის ანდა ნაღვლის ბუშტის

ქვა. პეტრეს დედის ეშინოდა და არც ოჯახში ეგულებოდა ვინმე, ვინც დედისგან დაიფარავდა. მამამისი თავის თავზე ფიქრობდა მხოლოდ, სულ ფერდზე ედო ხელი, სულ ჩიოდა, სულ ჭუჭუნებდა ფეხმძიმე დედაკაცივით, და ფეხებზე ეკიდა ყველანი, ოღონდ თვითონ არ ასტკიებოდა რამე. იმიტომაც იყო კაჟივით, საჭმელს რომ თავი გავანებოთ, იმდენ ღვინოს სვამდა, ერთ დუქანს ეყოფოდა წლიდან-წლამდე, ჩისქვილს დაატრიალებდა. ვაჟიშვილებია და, თავსლაფი დაასხეს, თავი მოსჭრეს, ქვეყნის სალაპარაკო გახადეს, მაგრამ ახია პეტრეზე, ცოლს დაუჯერა, ქალის ჭკუას აჰყვა, ცხონებული, თვითონაც წიგნებისგან იყო გაშტერებული, ოჯახისა არაფერი გაეგებოდა, მარტო რომ დარჩენილიყო, კვერცხს ვერ შეიწვავდა, საოჯახო წიგნს კი, წარამარა გადმოიღებდა ხოლმე და იქით ასწავლიდა აღათიას, კერძისთვის მარილი რამდენი ექნა და ერბო რამდენი. ის კი არა, ლოგინშიაც კითხულობდა. იმდენი სიცოცხლე პეტრეს, რამდენჯერ ჩასძინებია უარაფროთ, სანამ ის წიგნს დახურავდა და სანთელს შეუბერავდა. პეტრეც სულელი იყო და იმიტომ, თითქოს რაღაი წიგნი ეჭირა ხელში, ის აღარ გაებედებოდა, ტეტიობად და მკრეხელობად ჩაეთვლებოდა პეტრეს, ცოლისთვის მოვალეობა რომ შეეხსენებინა, რისი აღსრულებაც უფრო შეეფერებოდა ღამღამობით, ვიდრე სხვათა სისულელეებზე ოხვრა და ტირილი. გინდა თუ არა, ნასწავლები უნდა იყვნენ ჩემი შვილებიო და ა, ბატონო, საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ნასწავლმა შვილებმა. იმათ ამბავს ვინც შეიტყობს, სტრაჟნიკიდან ხელმწიფემდე, არ იტყვის, თქვენი დედაო? ხოდა, ამბობენ კიდეც. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. უსწავლელია ქვეყანა, მაგრამ ფეხზე დგას აქამდე. უსწავლელ კაცს, შეიძლება, ერთი-ორი კაპიკი მოატყუო, მაგრამ ყუმბარას ვერ ასროლინებ. ბიჭები ეშმაკებისკენ, მაგრამ გოგომაც რომ არ ივარგა?! გოგოც არ გამოადგა პეტრეს, ერთს არ იკითხავს, რა უჭირს, რა გაუხარდება მამაჩემსაო. აღარც ისეთი პატარაა, თაროზე კოვზი რომ ვერ იპოვოს და იმდენი ამაგი კი მიუძღვის პეტრეს, სტუმარივით რომ არ იჯდეს შინ. ბევრი მაგ ხნის გოგო გათხოვილიცაა, ოჯახებს უძღვებიან, ეს კი ისევ აღათიას შეჰყურებს ხელებში და თოჯინას ათამაშებს, იმის მაგივრად, რომ მამას ამოუდგეს მხარში, უცოლობა არ აგრძნობინოს, არავის ათქმევინოს, ეგრე მოუვლელს როგორ უშვებს მამას ქუჩაშიო.

ტყუილად ამბობენ, გოგო მამისააო. მამა არც ვაჟს უნდა და არც გოგოს. არა, როგორ არა, ვაჟსაც უნდა და გოგოსაც, მაგრამ იქამდე, სანამ მამა სჭირდებათ და სანამ მამას არ სჭირდება ისინი. პეტრე მარტო იყო და რაც ყველაზე უფრო უკლავდა გულს — ზედმეტიც. დედამისმა კი უთხრა:

ახლა პირველიცა ხარ და ერთადერთიცო, მაგრამ არც მის პირველობას ჰქონდა ფასი და არც მის ერთადერთობას, თუკი მისი არსებობა აუცილებელი არ იყო ვიღაცისთვის მაინც.

ასეთს კი, ვერავის ხედავდა გარშემო. ასეთი ბაბუცა იყო მხოლოდ, რადგან პეტრეს არსებობა ანიჭებდა ამ ოჯახში მეუღლისა და დიასახლისის სახელს. ამას თვითონაც გრძნობდა და, უნდოდა თუ არა, თავს ვალდებულად თვლიდა გაეზარდა და დაეცვა მეუღლის ღირსება. „მამამ ასე ბრძანა... მამას არ მოწონს თქვენი საქციელი... მამისთვის ილოცეთო, — ეუბნებოდა იგი შვილებს და, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ჰყვარებია ქმარი მხურვალედ და ვნებიანად, პეტრე მაინც მადლობელი იყო მისი, როგორც მეპატრონე მოურავისა, რომელიც კარგად უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას და რომელიც სრულებითაც არ არის ვალდებული, სამუშაოს დამთავრების შემდეგაც სიყვარულს ეფიცებოდეს მეპატრონეს. სხვათა შორის, სანამ ბაბუცა ცოცხალი იყო, პეტრესაც მეტი გავლენა ჰქონდა ოჯახში. არა მარტო შვილები, არამედ მშობლებიც უფრო პატივს სცემდნენ, ან პეტრეს უნახავდნენ ნამუსს, ან ბაბუცას თავმოყვარეობას უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, პეტრე პეტრობდა, კაცად თვლიდნენ და თავიც მოჰქონდა, ხოლო. ცოლი რომ მოუკვდა და შვილები აქეთ-იქით გაეფანტა, ისევ პეტრიკელად იქცა. ბაბუცას სიკვდილის მერე ერთი სიტყვაც აღარ მოუწერია ნიკოს, თითქოს დედის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა ამ სახლთან, თითქოს მამა არაფერი არ იყო, არაფერს არ ნიშნავდა, არაფრით განსხვავდებოდა ბუღისაგან, რომელიც მხოლოდ ძროხის დასამაკებლად სჭირდებათ, არც ალექსანდრესთვის ნიშნავდა მეტს. რაც იმ კოჭლ ინდაურს გადაეყარა, ერთბაშად წაიშალა მათი მამაშვილობაც, კი არ გამოეყო მამას, რისი უფლებაც ჰქონდა, გაექცა, გაერიდა, როგორც ავაზაკი კანონს. არც გოგო ჩამორჩა თავის დამთხვეულ ძმებს და პეტრეს ანგელოზი რომ ეგონა, პატ-

რონად და დამტირებლად რომ თვლიდა, ამასწინებზე ისეთი რამე უთხრა, ძლივს შეიკავა პეტრემ თავი, ყურები რომ არ აახია, წიწილივით რომ არ წააგლიჯა კისერი. ბიჭებისაც შეეშინდა, თორემ ასწავლიდა, როგორ უნდა მამასთან ლაპარაკი. ბიჭები ახლა ამაზე აუბამდნენ შარს, ჩვენ რომ შინ არ ვიყავით, და როგორ გაგვილახეო. შეიძლება სულაც იმ ალექსანდრეს გაქეზებულიც იყო, შენ ასე უთხარი და დანარჩენი მე ვიციო, „ბებოს თუ არ მოარჩენ, თავს მოვიკლავო“, — უთხრა ანეტამ, — მოიკლავ? რათა? მე მოგკლავ. ჩემი ხელით დაგხოცავთ ყველას! — უყვირა პეტრემ.

იმ დღის მერე აღარც ანეტასთვის არსებობდა იგი. ათასჯერ რომ ასულიყო და ჩამოსულიყო კიბეზე, ერთს არ შეხედავდა ანეტა, ერთი არ შეეცვლებოდა სახე, იჯდა საფეხურზე თავისი თოჯინიანად და დიდი ქალივით მოღუშული, ცხვირშეჭმუხნილი შესცქეროდა, როგორ დაჩოჩავდა ბებიამისი გომურის გარშემო. ვინ იცის, ელოდებოდა კიდეც, როდის გამოჭრიდა ყელს ბებიამისი მამამისს. არა, პეტრეს თუ გადარჩენა უნდოდა, გარეთ უნდა ეძებნა ამხანაგი, გარედან უნდა შემოეყვანა გამგები და დამფასებელი და ეგზეკუციასავით ჩაეყენებინა საკუთარ ოჯახში, თავისსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის. ასეთი კი, მხოლოდ ცოლი შეიძლებოდა ყოფილიყო, უცხო ქალი, რომელიც პეტრეს მადლობელი იქნებოდა, რადგან მხოლოდ პეტრეს მეშვეობით მოიპოვებდა ამ ოჯახში შემოსვლის უფლებას და, პეტრეს გარდა, ყველანი ფეხებზე ეკიდებოდა, რაკი ქმარი წააქეზებდა და ხელსაც შეუწყობდა სხვების წინააღმდეგ. თუ გინდა, რომ დედამაც პატივი გცეს და ცოლმაც, ერთმანეთს უნდა მიუქსიო ისინი. ქალს, დედა იქნება თუ ცოლი, უსიძულვილოდ გაძლება არ შეუძლია, ამიტომ, კაბასთან, თავსაფართან და ფლოსტებთან ერთად სიძულვილის საშუალებაც უნდა მისცე, უნდა მიუგდო, როგორც ძაღლს ძვალი, შენვე რომ არ გიკბინოს. დედა პირველ რიგში შვილს შეიძულებს, თუკი შვილმა რძალი არ მოუყვანა, ხოლო ცოლი — ქმარს, თუკი ქმარმა დედამთილიც არ დაახვედრა ოჯახში. ასეთია ქალის ბუნება. ასე რომ, პეტრე უფრო ადრე ფიქრობდა ცოლის შერთვას, ვიდრე ტკბილ დუსას გადაეყრებოდა თელავში, შემოდგომის ცივსა და ქარიან დღეს. პეტრე იმ დღეს ავად იყო და ჯერ არ იცოდა, ანდა,

თავს არ უტყდებოდა, რადგან ყველაფერზე ძალიან ავად გახდომისა ეშინოდა. სად ეცალა ავადმყოფობისთვის, ოჯახი თავზე ენგრეოდა. ბაბუცას სიკვდილს გიორგას სიკვდილი მოჰყვა, გიორგას სიკვდილს — ანას სიგიჟე თუ თავის მოგიჟიანება, და მთელი ურუქი ფეხმოუცვლელად იდგა მაკაბელების რკინის ალაყაფთან, თავი რომ შეექცია მუქთა სანახაობით. ნიკო ციმბირში ლპებოდა, ალექსანდრე გარე-გარე უვლიდა მშობლიურ სახლს, როგორც მგელი ფარეხს, და თუკი ვინმე ურუქელს გადაეყრებოდა, ყველას ერთსა და იმავეს აბარებდა: ჩემი გეშინოდეთ, რამეთუ სხვას ფეხებზე ჰკიდია ჩვენი სიგლახეო. ქაიხოსროს აღარ შეეძლო ან აღარ უნდოდა ოჯახის გაძღოლა, დაისვამდა ზოსიმე მღვდელს და ისეთი ხმით წრუპავდნენ ჭიქებს, გეგონებოდათ მწევრებსა და მიმინოებს წვრთნიანო. სწორედაც რომ დრო იყო, დაემტკიცებინა პეტრეს თავისი პირველობაცა და ერთადერთობაც. ეს ოჯახი პეტრეს ეკუთვნოდა და თუ მართლა დაინგრეოდა, პირველ რიგში პეტრესთვის დაინგრეოდა... პეტრე კი, არავის არ მისცემდა ამის ნებას, არც დედასა და არც შვილს, რადგან სწორედ დედასა და შვილს ესიკვდილებოდა მისი პირველობისა და ერთადერთობის აღიარება, სად ეცალა ავად გასახდომად, რა დროს ავადმყოფობა იყო, როცა ირგვლივ დაუნდობელი ომი მძვინვარებდა, ხალხი იხოცებოდა, გიჟდებოდა, რათა პეტრე არ დაესვა თავზე, არ დამორჩილებოდა პეტრეს. ხოლო პეტრე თუ ავად გახდებოდა, იძულებული შეიქნებოდა, ზავი ეთხოვა, ანდა ტყვედ ჩაბარებოდა მოწინააღმდეგეს, რადგან. იმის გარდა, სხვა მაინც არავინ მიხედავდა, გინდაც ქუჩაში ამოხდომოდა სული. ასე ფიქრობდა ღვინის სარდაფიდან ამოსული პეტრე და იმის მაგივრად, რომ ბაზრისკენ ჩაეხვია, პირველსავე ეტლში ჩამჯდარიყო და შინისკენ მოეკურცხლა, უაზროდ დახეტიალობდა ქუჩებში, ბედს მინდობილი თუ ბედისწერას აყოლილი, თუმცა თვითონ ვერც ამჩნევდა და ვერც გრძნობდა ქალაქს, რომელსაც ხელისგულივით იცნობდა და სადაც თვალდახუჭულსაც არ გაუჭირდებოდა გზის გაგნება.

ძვლები უზრინავდა, თვალები სტკიოდა, თავზე თითქოს რკინის გახურებული სალტე ჰქონდა ჩამოცმული და თვითონაც

არ გაუკვირდებოდა, ერთი რომ დაეჭექა და კვერცხივით გასკდომოდა უცებ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფული აწუხებდა.

მიკიტნისაგან აღებული ფული მდოგვის საფენივით უთუთქავდა გულს, „რად მინდოდა ამდენი ფული ჯიბეშიო“, — ფიქრობდა ცხარედ, ბრაზიანად. მართლა რომ წაქცეულიყო ქუჩაში, ბუზივით მიეხვეოდა მთელი ქალაქი, მაგრამ მისაშველებლად კი არა, გასაძარცვავად. ერთი პირობა, ისევ სარდაფში ჩაბრუნება დააპირა, მაგრამ აღარ ახსოვდა, სად იყო ის სარდაფი, ან იყო თუ არა საერთოდ. ისეთი ვინ იქნებოდა ამ ქალაქში, ერთხელ მაინც რომ არ ჰყოლოდა პეტრეს ნანახი, მაგრამ ახლა ვერც ნაცნობს ამჩნევდა და ვერც უცნობს. ბუნდოვანი, ერთმანეთში არეული, მზემიშუქებული ჩრდილების მეტს, ვერაფერს ხედავდა, თითქოს უკაცურსა და უსასრულო ხეივანში მიდიოდა, არკი იცოდა, რატომ ან რამდენ ხანს უნდა ევლო ასე, სანამ ხალხით დასახლებულ ადგილს მიაღწევდა, სადაც ფული გადიოდა, პურიც იყიდებოდა და სითბოც. კი არ მიდიოდა, შიში მიერეკებოდა და ისიც ბრმად მიყვებოდა შიშს, უმწეო და აღრენილი, საცოდავი და ამაზრზენი, როგორც ჩიხში მიმწყვდეული ნადირი. „ფული ხომ არ მომიწამლა, იმ ძაღლის გაგდებულმაო“, — ფიქრობდა და მიდიოდა. პირი მწარე ჰქონდა, გამშრალ ტუჩებზე წარამარა ისვამდა ენას, ნარბენივით ქშინავდა, თუმცა თელაველებს, ალბათ, უდარდელად მოსეირნე ეგონათ: ბეწვის საყელოიან პალტოში ჩათბუნებული, კრაველის ქუდში შეყუჟული, გაძიძგული საფულით უბეგამობერილი. „თავადიშვილს ვახლავართო“, — ეძახდნენ აქეთ-იქიდან ნოქრები და დალაქები, სასტუმროსა და დუქნის ბიჭები, მაგრამ მას არაფერი ესმოდა, გარდა გაუთავებელი, გამაოგნებელი ბზუილისა, რომელსაც ვერსად გაექცეოდა, ვერც მოიშორებდა, თუკი თავს არ მოიჭრიდა, რადგან მისი თავი ბზუოდა ასე, შებოლებული სკასავით. ერთი იცოდა, ერთი ახსოვდა მხოლოდ, არაფრის დიდებით არ უნდა დანებებოდა ავადმყოფობას და ბრმად, ჯიუტად, თავგანწირულად მიაბიჯებდა ბედნიერი შემთხვევისაკენ, რადგან იმასაც გრძნობდა, ტანი უგრძნობდა, ბედნიერი მემთხვევა რომ გადაარჩენდა, მხოლოდ და მხოლოდ. მიდიოდა, მიდიოდა, მიდიოდა, თითქოს ავადმყოფობა უკვე ძვალ-რბილში კი არ ჰქონდა გამჯდარი, უკან მოსდევდა, ფეხდაფეხ, და ერთი წა-

მითაც რომ შეჩერებულიყო, თუნდაც საათზე დასახედად, აღარაფერი უშველიდა. და აი, ბედნიერმა შემთხვევამაც არ დააყოვნა. ორ ნაბიჯზე, ორ ნაბიჯზე კი არა, ლამის ცხვირწინ, ქალის მომღიმარი სახე ამოიზარდა მოულოდნელად, მზემიშუქებული წყვდიადიდან, როგორც ზღვიდან ხმელეთი, სანატრელი, საიმედო, მყარი, თავბრუდამხვევად მშვენიერი. პეტრემ მისი დამამშვიდებელი სითბოც იგრძნო სახეზე, სიცოცხლის მომნიჭებელი ამონასუნთქი იგრძნო უცხო ქალისა, მარადიული, მშობლიური, ჯანმრთელი და მიმზიდველი, მაგრამ სინამდვილეში ქალი ჯერ კიდევ შორს იყო პეტრესგან და იმავე წამს შავ ლაქად იქცა, შავ წერტილად, სადღაც, ქუჩის ბოლოში, თითქოს პეტრეს გამადიდებელი მხრიდან ჰქონდა ჭოგრიტი თვალზე მიდებული და უცებ ვიღაცამ შეუტრიალა. სინამდვილეში, სურვილმა გაასწრო თვალს, იმედმა უფრო ადრე წარმოიდგინა ქალი, ვიდრე თვალი მისწვდებოდა და აღიქვამდა. ქალი არ მოჩვენებია პეტრეს, ის მართლა არსებობდა, ქუჩის ბოლოში იდგა თავისი სახლის წინ, თავის შვილთან ერთად, შავად შეღებილ მუყაოს ყუთზე ტკბილეულობა გაეშალა (ჩხირზე წამოცმული გასალოკი მამლები, ფოჩიანი კანფეტები, თაფლში ამოვლებული თხილი, ნუგა თუ შაქარყინული) და მსუქან მხრებზე შალმოხვეული, მუშტარს ელოდებოდა. არა, მუშტარს კი არ ელოდებოდა, იფიქრა, გავალ, თვალს წყალს დავალევინებ, სუფთა ჰაერს მაინც ჩავყლაპავო და, ყოველ შემთხვევისთვის, ტკბილეულობაც გამოაყოლა ხელს, თორემ მუშტარს არ გაუჭირდებოდა მისი მონახვა, ყველა თელაველმა იცოდა მისი სახლის გზა და პირის ჩატკბარუნება თუ მოუნდებოდა, დარაბაზე მოუკაკუნებდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო. ქმრისგან იცოდა, მუშტრის გაწბილება მუშტრის დაკარგვას რომ ნიშნავდა, და ღმერთი და მუშტარი ერთდროულად რომ მოსდგომოდა კარზე, ჯერ მუშტარს მოემსახურებოდა და მერე ღმერთს კითხავდა, თქვენ რაღა გნებავთ, რას მივაწეროთ თქვენი მობრძანებაო. გამომწვევად ჰკითხავდა, ღვარძლიანად, როგორც ძლიერი ნებისა და ბედის უკმაყოფილო ქალებს სჩვევიათ. კარს არ მიუხურავდა, მაგრამ არც სკამს შესთავაზებდა, გაუგულისდებოდა, როგორც არაფრის მაქნის ქმარს — ცოლი, ანდა როგორც ოჯახზე გულაცრუებულ მამას — ქალიშვილი. ჰქონდა კიდეც გაგულისების უფლება, რადგან ღმერთის გარდა ვერავის დააბრა-

ლებდა თავის უბედურებას. სამჯერ შეაკოწიწა ოჯახი და სამჯერვე დაურღვია ღმერთმა, სამი ვაჟკაცი ჩაადებინა მიწაში, ერთმანეთზე უკეთესი, თითქოს ერთმანეთს გაჯიბრებულნი ცოლის სიყვარულსა და პატივისცემაში. სანამ კანონიერი ქმრები ჰყავდა, საშო დაუხშო, შვილი არ აღირსა, და მაშინ გაუხსნა, როცა თვითონაც აღარ ელოდებოდა, აღარაფრათ ჭირდებოდა, გარდა იმისა, რომ უტვინო ბავშვი გაეჩინა და ისიც ვერ გაერკვია, ვისგან ჰყავდა იგი (თელაველებს ბანკის მოლარეზე ჰქონდათ ეჭვი. ბანკის მოლარეს ბნედა სჭირდა და ალბათ იმიტომ. დილიდან საღამომდე რკინის სალაროში იყო გამოკეტილი და ფულსა თვლიდა.

ამბობდნენ, ფულების თვლამ დამართა ბნედაო). ისიც ღმერთის წყალობა იყო, ამ შავ ყუთს კუბოსავით რომ დაახრიგინებდა აღმა-დაღმა, სწორედ რომ კუბოსავით, რომელშიაც მისი გაწბილებული და დაკნინებული ქალობა ესვენა, ქვეყნის დასანახად, მტრის გულის გასახარად, კანფეტწაყრილი, გატკბილული, გაწებილი, ტკბილად აყროლებული და ბუზებდასეული. თავადაც ნიადაგ გაწებილი ჰქონდა ხელები, მარილს ვერ მოიყრიდა კერძზე, წიგნს ვერ გადაფურცლავდა, ფულს ვერ დათვლიდა, სათითაოდ თუ არ დაჭმუჭნიდა, კოჭის თამაშში მოგებულივით. გაგულისდებოდა კი არა, თვითონ იცოდა, რასაც უზამდა, მართლა რომ გაებედა ღმერთს მის დარაბაზე მოკაკუნება.

ქალმაც დაინახა პეტრე და თუმცა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, აელაგებინა ხორცის საკეპი ფიცრისხელა დახლი, მაინც შეიცადა, მომღიმარი დაელოდა ბატონივით დინჯად მომავალ კაცს, კრაველის ქუდსა და ბეწვის საყელოიან პალტოში გამოწყობილს, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, სწორედ მასთან მოდიოდა, ვიღაცამ მოასწავლა ალბათ მისი სახლი და ისიც წამოვიდა, არ დაიზარა, რადგან რაკი თელავზე მოუწია გამოვლა, შვილებთან და შვილიშვილებთან ისე არ ჩასულიყო, თელავური ტკბილეულობა არ ჩაეტანა.

— ბედი გქონიათ. წასვლას ვაპირებდი. — გაეკეკლუცა ქალი.

— ბედი? — შეკრთა პეტრე. — ბედი მქონია? — წყალწაღებულივით ჩაებღაუჭა ამ სანატრელ სიტყვას.

— აირჩიეთ. ყველაფერი ახალია. — უთხრა ქალმა და ამობრუნებული ხელის მტევანი დახლზე მოატარა.

პეტრემ უნებურად დახლს დახედა, მაგრამ ტკბილეულობა კი არ დაინახა, არამედ მუყაოს ყუთზე მხრებით მიყუდებული ბავშვი, უფრო სწორედ, ბავშვის გასისხლიანებული პირი, თუმცა მაშინვე მიხვდა, სისხლი კი არა, დორბლი რომ ჩამოსდიოდა ბავშვს პირზე, წითელი, ქაფიანი დორბლი. წითელს ჭამდა რაღაცას და მჯიღიც იმის წვენში ჰქონდა ამოთითხნილი. პეტრეს ბავშვი შეეზიზღა და ფრთხილად, ისე რომ ქალს არ შეემჩნია, თვალი აარიდა.

— რა დიდი ბავშვია. — თქვა პეტრემ, თითქოს ისიც გასაყიდად ჰყავდა გამოყვანილი ქალს.

— რაღა ბავშვია, თოთხმეტისაა. — მკერდში გაიცინა ქალმა. — უტვინო დაიბადა და იმიტომაა ასეთი, პეტრე დააინტერესა ქალის ნათქვამმა და ისევ შეხედა ბავშვს. ბავშვი რაღაცას წუწნიდა გამალებული, მთელი სახე ემანჭებოდა, თითქოს იხრჩობა და სული ვერ მოუთქვამსო.

ტანად მართლაც მსხვილი იყო, მაგრამ ოთხ წელზე მეტს მაინც ვერ მისცემდით. პეტრეს ეგონა, ქალი მეხუმრებაო და გაიღიმა, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა, რა სჯობდა ქალისთვის, ბავშვი ოთხისა რომ ყოფილიყო თუ თოთხმეტისა. უცებ, ალბათ, უნებლიე ზიზღის დასაძლევად, ლოყაზე ხელის მოცაცუნება დაუპირა, მაგრამ ბავშვი გაიწია, გაერიდა, წონასწორობა დაკარგა თუ რა იყო, მუყაოს ყუთზე მხრებით დაცურდა, ცუდად მიყუდებული ფიცარივით, და დაეცა. პირიდან გალოკილი, გალეული კანფეტი გამოუვარდა და მიწაში ამოეგანგლა.

დედას ამოხედა შეწუხებული, მავედრებელი თვალებით.

მწიფე ლეღვივით დაბჩენოდა დორბლიანი პირი.

— ადე, ადე, შე სასიკვდილე. — დაუძახა ქალმა და გაიცინა. — ნუ მიეხმარებით, თვითონ ადგება. — უთხრა პეტრეს.

მაგრამ პეტრეს არც დაუპირებია ბავშვის მიშველება, გაოგნებული იდგა. „ქმარი რომ მოუკვდება ქალს, თვითონაც თავი უნდა მოიკლას, თვითონაც უნდა ჩაჰყვეს ქმარს საფლავში — ჩაესმა ქალის ხმა და მიხვდა, რომ უკვე დიდი ხანია უსმენდა ამ ხმას. ერთი წუთით რომ დაინახონ ჩემმა ქმრებმა, როგორ ვყიდი ქუჩაში კამფეტს, ხელმეორედ დაიხოცებიან ალბათ დაუუთოვებელ ლოგინში როგორ ჩამაწვენდნენ...

წყალს არ მომაწოდებინებდნენ, შენ არა, შენ იჯექი, შენ არ. შეწუხდეო. ყველა ქალი მე შემომნატროდა, რა თაფლი უსვია ამისთანა, ბუზებივით რომ ეხვევიან კაცებიო. ახლა ბუზები მეხვევიან კაცებივით და მედროგის ცოლი რომ მედროგის ცოლია, ისიც ჩემზე მეტია, რადგან მედროგეა თუ რაც არი, ქმარია, პატრონი, შემცოდებელი“. — ქალი ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს უნდა მოესწრო, სანამ პეტრე გამოერკვეოდა და გზას გააგრძელებდა. ბოხი, ჟღრიალა ხმა ჰქონდა, თითქოს ყელი გასციებია, ანდა რაღაც გასჩხერია ყელშიო, და პეტრე მოუთმენლად ელოდებოდა, როდის ჩაახველებდა, როდის ჩაიწმენდდა ყელს. ბავშვი წამომდგარიყო და ისევ მუყაოს ყუთს მიჰყუდებოდა, თითქოს ცოცხალი აბრაააო. ქალი კი, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად, და თუმცა პეტრეს წესიერად ვერც გამოჰქონდა აზრი მისი ნალაპარაკევიდან, რატომღაც სიამოვნებდა ამ ბოხი და ჟღრიალა ხმის ტყვეობაში ყოფნა, როგორც ბავშვს სიამოვნებს უფროს მამაკაცებში გარევა, რომლებიც ბავშვის თანდასწრებით ისეთ რამეებს ყვებიან, რისი გაკეთებაც ჯერჯერობით ბავშვს არ შეუძლია, მაგრამ ძალაუნებურად უკვე ფიქრობს იმაზე და ბუნებრივად უჩნდება სურვილი, თვითონაც ჩაერიოს ლაპარაკში, დასძლიოს სიმორცხვისა და მორიდების გრძნობა, გადააბიჯოს საკუთარ უასაკობასა და უუნარობას, იმ წუთამდე განუცდელი აღტკინებითა და სინდისის მქეჯნელი სითამამით. „თუ გინდა, რომ ქალი შეაფასო, კაცები უნდა ამოუყენო აქეთიქიდან.

ჩარჩოში უნდა ჩასვა“. — ამბობდა ქალის ბოხი, ჟღრიალა ხმა. — ავადა ვარ. — თქვა უცებ პეტრემ.

ქალი გაჩუმდა და პეტრეს მიაჩერდა. ისეთი სახე დაედო, თითქოს პეტრე ეს წუთია მიწიდან ამოზრდილიყო უცებ. პეტრეს წყალივით ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი და გადმოცვენაზე ჰქონდა სიცხისაგან ალაპლაპებული, აწრიალებული თვალები. პეტრემ სამი დღე იავადმყოფა, სამი დღე არც პირის გემო ჰქონდა, არც ყნოსვა და არც მხედველობა. ჭრელ ბურანში იწვა ჩახუთული, შეწუხებული, დათრგუნვილი. სამი დღის მერე ძმრისა და სპირტის სუნი ეცა ცხვირში, დანასავით შეიჭრა ძმრისა და სპირტის სიცხარე მის გათანგულ არსებაში, ოღონდ მკურნალის დანასავით, და შვება აგრძნობინა, გაუხსნა ბლანტი, გულისამრევად გატკბილული ჰაერით ამოქოლილი ნესტოები, ყელი, ფილტვები, გაუბედავად, მაგრამ მაინც გააწვართვინა დაბუჟული, სისუსტისგან ღონემიხდილი სხეული და სასიამოვნოდ აგრძნობინა, როგორ შემოიჭრა ოფლიან ლოგინში ჯანსაღი, ბუნებრივი სიცივე. სამი დღის მერე პეტრეს თვალიც აეხილა და ისევ ის ქალი და ბავშვი დაინახა. ქალი ჭრელსა და სიფრიფანა ქაღალდის ნაკუწებში კანფეტებს ახვევდა. ბავშვი ტახტზე იჯდა, მოპირდაპირე კედელთან, და იღლიაში ამოდებულ დოლზე უკრავდა, კი არ უკრავდა, თითქოს სცემდა დოლს, უნდილად, უხალისოდ, ძალიან რომ არ სტკენოდა, მაგრამ არც გაჩუმებულიყო. თვითონ მთელი გულისყური დედისკენა ჰქონდა, დაძაბული ადევნებდა თვალს დედის საქმიანობას და მარტო ხელები შეეტოვებინა დოლისათვის. როგორც კი დოლი დაინახა, პეტრეს გონებაც გაეხსნა, დაეწმინდა, დაულაგდა. ერთფეროვანი გუგუნი, რომლითაც თავი ჰქონდა გამოტენილი, მაშინვე დოლში გადასახლდა და ახლა იქიდან აღწევდა პეტრემდე. ახლა ეს ხმა აღარც საშიში იყო და აღარც აუტანელი, რადგან პეტრე საკუთარი თვალებით ხედავდა, სად და როგორ იბადებოდა იგი. პირველი, რაც თვალის გახელისთანავე იგრძნო პეტრემ, ბედნიერება იყო და ეს გრძნობაც თითქოს ავადმყოფობიდან გამოჰყვა, თითქოს ავადმყოფობამ დაუტოვა, რადგან აქამდე მსგავსიც არაფერი განეცადა.

— შენ მოუკვდი, შვილო, დედაშენს. — თქვა ქალმა მშვიდად. შვილისკენ არც გაუხედავს.

სველ ჩვარზე, იქვე რომ ედო მაგიდაზე, თითები შეიწმინდა და თავისი საქმე გააგრძელა.

— დღეს რა დღეა? — იკითხა პეტრემ მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით.

— ოთხშაბათი, — ისევე მშვიდად უპასუხა ქალმა, თითქოს წინასწარ იცოდა, მაინცდამაინც ამ წუთას რომ მოვიდოდა პეტრე გონზე, მაინცდამაინც ამას რომ იკითხავდა და მომზადებული ელოდებოდა. — მაღარიჩი შენზეა. — დაამატა ცოტა ხნის მერე, — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი. — ხმამაღლა დათვალა პეტრემ. თან საბნის ქვეშ მარჯვენა ხელის თითებს ღუნავდა რიგრიგობით. საჩვენებელი და ცერა თითი გაშლილი დარჩა.

— კვირა? — შემობრუნდა ქალი პეტრესკენ. — კვირას რატომ არ ანგარიშობ? კვირას არ მობრძანდი?

— ჯანდაბას. — თქვა პეტრემ.

— როგორ თუ ჯანდაბას?! — დოინჯი შემოიდგა ქალმა.

ქალის ძლიერმა ამონასუნთქმა ჭრელი ქაღალდის ნაკუწები ააფორიაქა მაგიდაზე, როგორც უკრუხოდ დარჩენილი წიწილები. დოლმაც ხმა ჩაიწყვიტა.

— ჯანდაბას ჩემი თავი. — თქვა პეტრემ.— რა იყო, რა დამეტაკა?!

— მშიშრები ხართ კაცები. — გაიცინა ქალმა.

— აი, ვერც კი მითქვამს, როგორი მადლობელი ვარ თქვენი. — თქვა პეტრემ, თუმცა ახლა სულ არ აპირებდა ამის თქმას, ჯერ კიდევ მზად არ იყო მადლობის სათქმელად. ქალის სიცილმა ააჩქარა. მართალია, მთელი მისი არსება მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული ამ ბოხხმიანი ქალის მიმართ, მაგრამ ჯერ ჭირვეულობდა, ჭირვეულობით ცდილობდა, გაეზვიადებინა საკუთარ თვალში ამ სრულიად უცნობი ქალის დამსახურება, რომელმაც არა მარტო დაინდო, არამედ უპატრონა კიდეც, როცა თავისუფლად შეეძლო, დაეკლა, დაეკუწა და ნაწილ-ნაწილ ჩაეყარა ფეხსადგილის ორმოში, ვერც ვერავის გააკვირვებდა და ვერც ვერავინ გაამტყუნებდა, ასე რომ მოქცეუ-

ლიყო. კრაველის ქუდსა და ბეწვის საყელოიან პალტოს თავი რომ დავანებოთ (პეტრეს პალტოცა და ქუდიც განჯინის სახელურზე იყო მიკიდული), იმდენი ფული ედო ჯიბეში, ვინმეს რომ გაეთქვა, ნახევარი ქვეყანა დაუფიქრებლად გამოსჭრიდა ყელს და მერე ერთმანეთს დაერეოდა იმ ფულის გაყოფაში. ამ ქალს კი პეტრე თვითონვე ჩაუვარდა ხელში, თვითონვე უთხრა, ბევრი ფული მაქვსო, და ბრმად მიენდო, ნდობით დანებდა ავადმყოფობის ბუღსა და წყვდიადში, როგორც პირველ ღამეს ქალი ნებდება ქმარს, რომელმაც წესიერად არც იცის, როგორ მოექცევა ქმარი, როგორი გაიღვიძებს ხვალ, თუკი საერთოდ გაეღვიძა. თავისუფლად შეიძლებოდა, პეტრე ახლა სამი დღის მკვდარი ყოფილიყო, არა, ოთხის: კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი (პეტრემ საბნის ქვეშ საჩვენებელი თითიც მოღუნა), მე შენ გეტყვი, იპოვიდნენ, ანდა ვინმე გაიგებდა მის ასავალ-დასავალს, ამ ბავშვის გარდა, რომელიც უტვინოდ კი გაუჩენია ღმერთს, მაგრამ იმდენი მაინც გაეგება ალბათ, კრაველის ქუდში კი არ ჩააფსას, თავზე დაიხუროს.

— ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, — თქვა პეტრემ და შიმშილი იგრძნო, უცებ აუწრიალდა მუცელი. ამანაც გაახარა, რაკი მშიოდა, ცოცხალი იყო და თუკი შიმშილს მოიკლავდა, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. — მე პეტრე მქვია. მაკაბელი ვარ გვარად... — გააგრძელა, მაგრამ ქალმა არ აცალა.

— ეგ ხომ ვიცით, — თქვა ქალმა. — შენს ფულებს უთხარი მადლობა. ფულებმა გადაგარჩინეს. შენს საფულეს სული კბილითღა უჭირავს. ყველაფერს ცეცხლი უკიდია ამ წყეულ ქალაქში. წამალი რომ წამალია, იმასაც ოქროს ფასს ადებენ. თანაც ყველა თავისას გირჩევს და ათნაირი მაინც უნდა იყიდო, ერთი რომ გამოგადგეს. საჭმელი კიდევ ცალკე (საჭმელის ხსენებაზე პეტრეს უარესად აუწრიალდა მუცელი). ჩვენი გლეხი ისე გაირყვნა, რომ მოკვდეს, კაპიკს არ დაუკლებს. ფულსა ხარჯავ, გგონია, რაღაცას ყიდულობ, მოხვალ შინ და კალათა ცარიელია.

— ჯანდაბას. — თქვა პეტრემ. — ჯანდაბას.

— აბა, შენ თუ გახსოვს ჩემი სახელი? — ჰკითხა ქალმა.

— ვიცოდი, რო?! — დამნაშავედ გაიღიმა პეტრემ.

— იიი, მეხი კი დაგაყარე. — გაიცინა ქალმა. — მადლობებით აგვიკელი, არკი იცი, ვის უხდი მადლობას. დაიჭი, შე სასიკვდილე. — დაუძახა ბავშვს და კანფეტი ესროლა. ბავშვმა თავით ნახევარწრე მოხაზა ჰაერში, ისე რომ, კანფეტისთვის თვალი არ მოუშორებია, სანამ მისკენ მიფრინავდა. კანფეტი დოლს მოხვდა და იატაკზე დავარდა. ბავშვმა დოლი მიატოვა, ფაცაფუცით ჩამოფორთხდა ტახტიდან, იატაკზე თათრულად მოირთხო და კანფეტი ორივე ხელით ჩაიდო პირში. აქეთ აღარ იყურებოდა, გამალებული აცმაცუნებდა პირს და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. — ჩემს ბიჭს სარდიონი ჰქვია, — გააგრძელა ქალმა. — მე კი, დუსა, ტკბილი დუსა. ზოგისთვის ტკბილი ვარ, ზოგისთვის მწარე, მაგრამ ყველანი მაინც ტკბილ დუსას მეძახიან. აი, ამიტომ. — მაგიდაზე დახვავებული კანფეტების ბორცვს ხელი აუქნია. — ქვიშით რომ ვიხეხო ტანი, მაინც ტკბილი ვარ, მაინც ტკბილი სუნი ამდის. — გაბრაზება დაეტყო ხმაში, უეცარი კი არა, ძველისძველი, მობეზრებული, მაგრამ მაინც მოუხარშავი.

— მე ურუქში ვცხოვრობ... — ისევ დაიწყო პეტრემ, მაგრამ ქალმა ისევ შეაწყვეტინა.

— ვიცით, ვიცით. მამაშენი მაიორი ბრძანდება, თავადიშვილი. ორსართულიანი სახლი გიდგათ, განჯინაში კი არ ცხოვრობთ, ჩემსავით. — ქალმა გაშლილი ხელები ჰაერში მოატარა, ვითომ, ნახე რა სივიწროვეაო. — შენი ერთი ვაჟი ხელმწიფეს დასდევს მოსაკლავად, მეორე კი — შენ...

— პაპამისს. — გაუსწორა პეტრემ.

— ..ყველაფერი ვიცი. ცოლი მოგიკვდა, ძმა მოგიკლეს, დედა გაგიგიჟდა. რა გითხრა კიდევ? ხო, ქალიშვილიცა გყავს. ცოტას ისიც უსტვენს. გასათხოვარია და ჯერ ისევ თოჯინებით თამაშობს. თქვენ გაგიგიჟებიათ და ეგაა. კაცი უნდა მოგეყვანათ დროზე...

— წელსა ხდება თექვსმეტისა. — სცადა თავის მართლება პეტრემ.

— ...და არც იმას უყვარს მამა. — უცებ მოსჭრა ქალმა.

მხოლოდ მაშინ შეამჩნია პეტრემ, ქალი რომ შენობით ელაპარაკებოდა, მაგრამ სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, არცა სწყენია, მაშინვე აღიარა გუნებაში, რომ ქალს ჰქონდა ამის უფლება, რადგან, მისი და მისი ოჯახის ამბები, იმ ოჯახის ნებისმიერ წევრზე უკეთესად თუ არა, არც უარესად იცოდა.

უკვე ახლობელი იყო, შინაური. არც ქალის ცოდნას გაუკვირვებია პეტრე, თუმცა სულ სამი დღე იყო, დიდი-დიდი ოთხი, რაც ერთმანეთს იცნობდნენ და ამ ოთხი დღის განმავლობაში, ეს პირველი შემთხვევა იყო, ორივენი სრულ ჭკუაზე რომ გახლდნენ და ორივემ რომ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა და რაზე. ქალთან, შეიძლება, საუკუნე იცხოვრო ერთ ჭერქვეშ და სამუდამოდ უცხო და უცნობი დარჩე მისთვის, მაგრამ ქალმა ერთხელ მაინც თუ გაიტანა შენი ქოთანი თავისივე სურვილით, არათუ გიცნობს უკვე, დედაზე მეტი უფლებებითაც სარგებლობს, რადგან დედა რასაც განუსჯელად და სიხარულითაც გააკეთებდა, ის განსჯითა და ზიზღით აკეთებს. ზიზღსაც სძლევს, რადგან ადამიანად გთვლის, სულერთი არა ხარ მისთვის და ყველაფერი აინტერესებს შენი. ტკბილ დუსას კი, აგერ უკვე სამი, სამი კი არა, მეოთხე დღე მთავრდებოდა, რაც პეტრეს ქოთანი გაჰქონდა.

— დღეს სადილად რა გვაქვს? — ხალისიანად იკითხა პეტრემ. ვირის კუჭმაჭი. — დაუფიქრებლად უპასუხა ქალმა, თითქოს საამისოდაც წინასწარ იყო მომზადებული, და გაიცინა, კი არ გაიცინა, გაბმულად ამოიკივლა.

„აი, ვინ მოუვლის ჩემებს“, — გაიფიქრა პეტრემ, რაიმე უჩვეულო სანახაობით მოხიბლული და, ცოტა არ იყოს, შემკრთალი ბავშვივით.

— აპა, — ქალი პეტრესკენ გადმოიხარა და თავისი ხელით ჩაუდო პირში კანფეტი. ჯერ ისევ იცინოდა, მაგრამ უხმოდ, ცა-

ლი ხელი ათახთახებულ მკერდზე ჰქონდა მიჭერილი. — გაწუწ-
ნე, პირს გაგიკეთებს.

პირველი ტკბილი ნერწყვი პეტრემ ხმაურით ჩაყლაპა და უა-
რესად აუწრიალდა ცარიელი მუცელი. „ჯანდაბას, — თქვა გუნე-
ბაში, — ჯანდაბას“.

ამის მერე პეტრე კიდევ რამდენჯერმე იყო თელავში. მერე
ანა მოკვდა და იმოდენა თოვლი მოვიდა, თელავში კი არა,
ცხვირს ვერ ყოფდნენ შინიდან. ანას კუბო ურმით აიტანეს სა-
საფლაოზე. უგზოობით შინ გამოკეტილი პეტრე ტკბილ დუსაზე
ფიქრობდა, ესიზმრებოდა კიდეც ბაბუცას ნაადრევი სიკვდი-
ლით დაკოჭლებულ საწოლში. სანამ დუსას ნახვა შეეძლო,
არავითარი მზაკვრული განზრახვა არ გასჩენია მარტოხელა,
სამგზის დაქვრივებული ქალის მიმართ, თუმცა უფრო ბუნებრი-
ვი იქნებოდა, კანფეტის წუწნასა და ბრტყელბრტყელ მასლა-
ათს, საყვარლად გაეხადა იგი. თავისუფლად შეეძლო, არაფე-
რი დაშავდებოდა, უტვინო სარდიონი, რაღა თქმა უნდა, თბი-
ლად ჩაცმული, ცოტა ხნით ეზოში რომ გაეშვა, თავისი დოლი-
ანად, და სარდიონის დედისაგან, იმასაც წითლად რომ ჰქონდა
გადაპრიალებული ტუჩები, თამამად და გარკვევით მოეთხოვა
ის, რასაც მის ადგილას ყველა მამაკაცი მოითხოვდა და რასაც,
როგორც მერე გამოირკვა, არც ტკბილი დუსა დაუკავებდა. შე-
იძლება, პეტრემაც იცოდა თავიდანვე, რომ არ დაუკავებდა და
იმიტომაც არ თხოულობდა, ეშინოდა, უნებისყოფო და ადვი-
ლად დამყოლი არ აღმოჩენილიყო ქალი, რომელზედაც დიდ
იმედებს ამყარებდა. მას ცოლი სჭირდებოდა და არა საყვარე-
ლი, იმასთან კი არ აპირებდა სირბილს, იმის წაყვანა უნდოდა
შინ, საკუთარ ოჯახში საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებ-
ლად; და ბოლოს, ხორცზე კი არ ზრუნავდა, არამედ — სულზე.
ოღონდ იმ სულზე, რომლის პირიდან ამოშვებაც არ შეიძლება,
რადგან სწორედ იმ სულის ამოსვლაა სიკვდილი. არც იმის
თქმა იქნება მართალი, თითქოს ტკბილი დუსა არ აღელვებდა
პეტრეს, როგორც ქალი, დახშული ჰქონდა იმის მშვენიერება-
თა დასანახი თვალები, მაგრამ ერთხელაც არ მიუცია თავის-
თვის ნება, გადაელახა თავაზიანობისა და კეთილ-ნაცნობობის
საზღვარი. სხვათა შორის, კანფეტის წუწნაც უადვილებდა მოძა-
ლებული სურვილის შეკავებას და იმაშიც ეხმარებოდა, ხმის

მოულოდნელი ჩაფხრეწის მიზეზი რომ მიეჩქმალა. თავისთავად წამოყელყელავებული ვნება ასევე თავისთავად იფერფლებოდა, რადგან დუსასაც კარგად ეჭირა თავი, ზედმეტი კეკლუცობით არ ტანჯავდა ურუქელ სტუმარს და არ აძლევდა ცალფა ვნების გაღვივებისა და გაძლიერების საბაბს. არ ყოფილა შემთხვევა, განზრახ ანდა უნებლიედ გამოეყენებინოს ქალური ხრიკები და ფანდები, რაც მამაკაცთა წონასწორობიდან გამოსაყვანადაა გამიზნული. არც მკერდი მოღეღვია ზედმეტად და არც ისე დამჯდარა სკამზე, უარესად რომ გამოკვეთილიყო მისი სხეულის რბილი ნაკვთები. პირიქით. დაჯდებოდა თუ არა სკამზე, მაშინვე კაბას გაისწორებდა, ხელისგულებით დაიუთოვებდა ტანზე, საიდუმლო და ამაფორიაქებელი ნაოჭი რომ არ დარჩენოდა სადმე. ლაპარაკითაც სულ თავის მკვდარ ქმრებზე ლაპარაკობდა. მკვდარ ქმრებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ცოცხალ სტუმარს. თითქოს სტუმარსაც იმიტომ უშვებდა შინ, თავისი მკვდარი ქმრების ამბები რომ მოეყოლა მისთვის. კანფეტით ლოყაგამობერილი, ტკბილი წვენით ტუჩებაპრიალებული, ვინ იცის, მერამდენედ იხსენებდა, როგორები იყვნენ ისინი, როგორ ეცვათ, როგორ დადიოდნენ და, რაც მთავარია, როგორ უყვარდათ იგი, მერე როგორ დაიხოცნენ და როგორ არ ივიწყებენ ახლაც, ღამე არ გავა, რომელიმე რომ არ დაესიზმროს, ანდა სამივენი ერთად. მაგრამ სიზმარშიაც ინარჩუნებენ ისინი დუსას პატივისცემას და კი არ ჩხუბობენ, იმავე თანამიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს, რა თანამიმდევრობითაც დუსას ქმრები გახდნენ.

— სამივენი ერთად გესიზმრება? — ვერ მოითმინა ერთ — მაააშ. წუხელაც ერთად მოვიდნენ. — გამოცოცხლდა დუსა. — ერთმა დარაია და ფარჩის საკაბე მომართვა. მეორემ — მძივით გაწყობილი ქოშები. მესამემ კი — აი, ამოდენა (ტკბილმა დუსამ საჩვენებელი და ცერა თითი წრედ შეკრა და ლამის ცხვირი ჩაყოფინა შიგ პეტრეს) საყურეები, უბრალო კი არა, ოქროსი, თანაც ეჟვანივით წკრიალებდა.

პეტრეს უნდოდა ეთქვა, ოღონდ შენ ცოლად წამომყევი და მე აგისრულებ სიზმარსო, რაც წუხელ შენმა მკვდარმა ქმრებმა სიზმარში მოგართვეს, მე ცხადში გიყიდიო, მაგრამ ვერ გაბედა, რაღაცნაირად მოერიდა, ხელი ეთხოვა მკვდარ ქმრებზე მეოც-

ნებე ქალისთვის. არც იმაში იყო დარწმუნებული, ერთი ცოცხალი სამ მკვდარს თუ აჯობებდა, ანდა თვითონ ქალი თუ გაცვლიდა სამ მკვდარს ერთ ცოცხალში. მაგრამ, როგორც მერე გამოირკვა, ქალი მკვდრებს კი არ მისტიროდა, ქმრებთან ერთად კი არ დაემარხა თავისი ქალობაც, ცოცხალ სტუმარს ებღაუჭებოდა, ცოცხალი სტუმრის თვალში იწევდა ფასს, ერთისა და იმავის გაუთავებელი გამეორებით აიძულებდა ცოცხალ სტუმარს, მკვდარი ქმრების თვალით შეეხედა მისთვის, და, რაკი თვითონ ვერ ხვდებოდა, ძალაუნებურად წინამორბედებისგან ესწავლა, რითი და როგორ შეიძლებოდა ტკბილი დუსას გულის მოგება. ამით ტკბილი დუსა უსიამო გულახდილობასაც არიდებდა თავს და თანაც, თუკი სტუმარი გამგები იყო, იმასაც უადვილებდა საქმეს.

მერე მე რაო, შეეძლო ეთქვა პეტრეს, ქალისთვის თუ არა, გუნებაში მაინც, რა ჩემი საქმეა, რა უჯდებოდათ შენს ქმრებს შენი ერთი ჩახუტებაო, მაგრამ მაშინ არ შეეძლო ასე ეფიქრა, ერთხელ კი არ სჭირდებოდა დუსა, ერთი წუთით კი არ უნდოდა, სულ უნდოდა, როგორც სიცოცხლე, როგორც ღმერთი, რომლისაც გჯერა და გეშინია. გალეულ კანფეტს პირში ატრიალებდა, ენით გადაჰქონდა ერთი ლოყიდან მეორისკენ და მორჩილად, გამაოგნებელი მღელვარებით უსმენდა ქალის ხმას, როგორც უწიგნური მორწმუნე — ქადაგებას, რომლის სულსა და გონებაზე სიტყვების ჟღერადობა მოქმედებს და არა სიტყვებში ჩამარხული აზრი. პეტრეს უფრო მეტი რომ სცოდნოდა ქალებისა და უფრო ყურადღებიანი რომ ყოფილიყო, ადვილად შეამჩნევდა, მკვდარი ქმრები იგივე რომ იყო დუსასთვის, რაც მეთევზისთვის — ჭიაყელები; თვითონვე ერეოდა ერთმანეთში მათი სახელები, მათი თანამიმდევრობა და საერთოდ, მათი ცხოვრებაცა და სიკვდილიც. მაგრამ მაშინ არც ამას ჰქონდა პეტრესთვის მნიშვნელობა. სამი მკვდარი კაცი, ღამღამობით ახლაც რომ რიგს უმართავდა ცოცხლად დარჩენილ საერთო ცოლს, მისთვის ერთი და იგივე პიროვნება იყო, რომელიც სამგზის სამნაირი სიკვდილით მომკვდარიყო, რათა გლოვისა და ხსოვნის სამმაგ ჯავშანში ჩაესვა მისი დანატოვარი ქალი. მართლაც რა მნიშვნელობა ჰქონდა, შაქროვატატობიძინა ერქვა იმას, ვატატობიძინაშაქრო თუ ბიძინაშაქროვატატო, ჯერ სპირ-

ტის ქარხანაში დაიწვა, მთვრალმა მექორწილეებმა მარგილებით გაუხეთქეს თავი თუ ძილში გაიპარა?! სიმართლე თუ გინდათ, პეტრეს სრულებითაც არ აინტერესებდა დუსას წარსული და უფრო მადლობელი იქნებოდა, საერთოდ რომ არაფერი სცოდნოდა ამის შესახებ, რადგან ამის ცოდნაც აფერხებდა, გაემჟღავნებინა ქალისთვის თავისი განზრახვა და ერთხელ და სამუდამოდ მორჩენილიყო წინ და უკან წანწალს ურუქსა და თელავს შორის. ქალის ქმრების სიმრავლე კი არ ადარდებდა და აყოყმანებდა პეტრეს, არამედ მათი ხსოვნის სიმტკიცე ქალში. ისინი საფუძვლიანად მოკალათებულიყვნენ ქალის სულსა და გონებაში და თუკი პეტრე მართლა შეირთავდა იმ ქალს, მარტო უტვინო ბავშვიანად კი არ უნდა შეერთო, არამედ მკვდარი ქმრებიანადაც და წინასწარ უნდა შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ ყოველ ღამე მის საწოლთან რიგში იდგებოდა ფარჩის საკაბით, მძივიანი ქოშებითა და ოქროს საყურეებით ხელდამშვენებული სამი აჩრდილი. „დასწყევლოს ღმერთმა, ქალზე ხელი როგორ ავიღო მკვდრების გულისთვისო“, — ბოღმით იხრჩობოდა ეტლში მისვენებული, დუსასგან წამოსული და შინ მიმავალი, ანდა შინიდან წამოსული და დუსასთან მიმავალი პეტრე.

მაგრამ იმ საზარელ ღამეს, როცა ანამ მძინარე ქმარს აგური ჩაარტყა თავში, პეტრემ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა დუსას შერთვა, რადგან ერთხელ კიდევ დარწმუნდა, გიჟი დედა გაცილებით საშიში რომ იყო მისთვის, ვიდრე დუსას მკვდარი ქმრები, რომლებიც, იმავე დუსას თქმით, აგურებით კი არ მოდიოდნენ ღამღამობით, არამედ — საჩუქრებით, აყალმაყალს კი არ ტეხავდნენ, მოთმინებით უცდიდნენ თავიანთ რიგს.

„დუსა, დუსა გვინდა ჩვენ“. — მიჰყვიროდა სისხლში ამოთხვრილ მამას, უზარმაზარი და ბრმა ფრინველივით რომ აწყდებოდა კედლებს ჩაბნელებულ ოთახებში, ტკივილისა და შიშისაგან თავზარდაცემული, თითქოს შინ კი არ იყო, შემთხვევით შემოფრენილიყო აქ და მოკვდებოდა, კედელს შეანთხევდა ტვინს, როგორმე თუ ვერ გააღწევდა აქედან. „დუსა მოგივლის, დუსა მოგიყვანს ჭკუაზე“. — ჩასისინებდა დედას ყურში, როცა ზურგს უკან ხელებს უკრავდა თოკით. მეორე დღეს დილიდანვე აპირებდა თელავში წასვლას, მაგრამ მაინც აითრია ფეხი, მა-

ინც დაელოდა ექიმ ჯანდიერს. მიუხედავად გადატანილი ელ-
დისა და უძილობისა, უჩვეულოდ ხალისიანი იყო, სასიამოვნო
სიმსუბუქეს გრძნობდა მთელს სხეულში, უჩვეულო სიამაყით
იყო გავსებული, როგორც ცელქი, მაგრამ ამჟამად არა ცელქო-
ბის გამო, არამედ უფროსების დაუდევრობით დაშავებული ბავ-
შვი, რომელსაც ტკივილიც კი სიამოვნებს, ეამაყება, უნდა, რომ
ყველას გააგებინოს, რადგან მართალია და ამისათვის არ და-
ისჯება. პეტრეც დაახლოებით ამგვარმა ბავშვურმა ჟინმა აიძუ-
ლა, დალოდებოდა ექიმ ჯანდიერს, რათა გარეშე კაცსაც ენახა
მისი გასაჭირი და, რაც მთავარია, შესცოდებოდა იგი.

პეტრეს არც უყვარდა და არც ეჯავრებოდა ექიმი ჯანდიერი,
მაგრამ მისი ყოველი გამოჩენა უფრო აღიზიანებდა, ვიდრე ახა-
რებდა. მის სიახლოვეს თავს დაბორკილად და უმწეოდ
გრძნობდა, სენსა და სიკვდილს ახსენებდა მისი დანახვა, რაც
არ უნდა გაქათქათებული პერანგი სცმოდა და რაც არ უნდა და-
შაქრულად ელაპარაკა. სწორედ მისი გადამეტებული სისუფთა-
ვე და ჭკუის დამრიგებლური ლაპარაკი აღიზიანებდა პეტრეს,
ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ავადმყოფის დასაიმე-
დებლად კი არ მოდიოდა იგი, არამედ დასაკნინებლად, აბუჩად
ასაგდებად, თავისი უპირატესობის გამოსაჩენად, ეტლითაც
იმიტომ დადიოდა. აუცილებლად ეტლით უნდა დასდგომოდა
ავადმყოფს თავზე, მეტი შიში და მორიდება რომ ჰქონოდა მისი.
გაკეთებით კი არაფერს აკეთებდა. ავადმყოფი თუ სასიკვდილო
იყო, უიმისოდაც მოკვდებოდა, მოსარჩენს კი, არც უიმისოდ გა-
უჭირდებოდა მორჩენა. ყოველ შემთხვევაში, პეტრეს არ უნა-
ხავს ექიმი ჯანდიერის გაკეთებული საქმე.

უზრდელი ნათესავივით ჩამოგიჯდებოდა ლოგინზე და იმ-
დენნაირად შეგიტრიალებდა სიტყვას, სანამ შენი პირით არ
გათქმევინებდა, რა გტკიოდა, სად და როგორ. მერე ერთს ღა-
მის ქოთანშიც ჩაიხედავდა, როგორც უყაირათო დიასახლისი —
ქვაბში, და ეს იყო მთელი მისი ექიმობა, ამაში იღებდა ფულს,
წვითა და დაგვით მოგროვილ გროშებს, გაუბედავად რომ უკუ-
ჭავდნენ ჯიბეში და კიდევ იქით ებოდიშებოდნენ, იქით უხდიდ-
ნენ მადლობას, იმის მაგივრად რომ კეტით დაეფრინათ და ძაღ-
ლები მიექსიათ. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, უდარდელი
ცხოვრება, უოჯახო, უშვილძირო ცხოვრება, შენი თავისთვის

რომ ხარ, შენს თავზე რომ ფიქრობ მარტო და მთელი საგიჟეთი კი არა, ერთი ცხენი გყავს შესანახი, ისიც იმიტომ, რომ გჭირდება, პატიოსნად გემსახურება და აღმა-დაღმა დაგაქროლებს ქვეყანაზე. მაგრამ პეტრესნაირმა ხალხმა რა ქნას?

სხვების მსახურები იყვნენ სულ? თავიანთ თავზე არ იფიქრონ? არც სახელი უნდათ და არც ცხოვრება? სახელიცა და ცხოვრებაც ამათ უნდათ თუ უნდათ, რადგან დაიმსახურეს კიდევაც ტანჯვითა და მოთმინებით, ტანჯვითა და მოთმინებით, მაგრამ ამასაც დანახვა უნდა, დანახვა და გაგება. ბოლოს და ბოლოს, რა დიდი ამბავია, შენ ეტლის კოფოდან დაინახო იგივე, რაც ღმერთმა ციდან უნდა დაინახოს? ასე ფიქრობდა პეტრე ექიმი ჯანდიერის მოლოდინში, და ღელავდა კიდეც, რადგან გულით უნდოდა, მაინცდამაინც ექიმ ჯანდიერს რომ შესცოდებოდა იგი.

— უყურე სეირს? — დაუძახა ექიმმა ჯანდიერმა.

ჯერ ისევ კოფოზე იჯდა, ახოვანი, მოღუშული, თეთრი მტვრით გულმკერდგადაპენტილი.

— კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, — ელდა ეცა პეტრეს. — ტყუილად კი არაა ნათქვამი, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო.

— ყველაფერი კარგად იქნება. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა, მაგრამ პეტრეს კი არ უთხრა, პეტრე აღარც ახსოვდა, ჩვეულებისამებრ მოიმარჯვა სანუგეშო სიტყვა, სნეულის სახლში შემავალმა.

ხუთი წუთის მერე ამ განსწავლულმა, კეთილშობილმა კაცმა, ყველას იმედმა და გამკითხავმა, პეტრეს რეგვენი დაუძახა და, ცოტას მორჩა, ბარი დაამტვრია თავზე, როგორ გაბედე და გიჟი როგორ დააბიო, რატომ შენც არ ჩაარტყმევინე თავში აგური, რომ ბარემ ყველაზე ერთად გადამებანა ხელიო.

არა, თვითონ თუ არ მიხედავდა თავს, სხვა არავინ შეწუხდებოდა, და სწორედ მაშინ, როცა ექიმი ჯანდიერი ხელებს უხსნიდა დედამისს, ისე მოენატრა დუსა, ისე ცხადად დაუდგა თვალ-

წინ და ისე მძაფრად ეცა ცხვირში მისი დატკბილული სურნელი, შეიძლება, გაგიჟებულიყო, დღესვე, ახლავე თუ არ ნახავდა და ახლავე თუ არ დაიყაბულებდა ცოლობაზე. ეტლში რწევამ და ჯანჯღარმა უარესად გაუმძაფრა ეს მართლაც გიჟური, ქარიშხლის მაგვარი ჟინი და სურვილი — უცხო ქალის კალთაში თავის ჩადებისა, უცხო ქალის სურნელში ჩაკარგვისა, დედის მაჯებზე თოკისაგან დამჩნეული წითელი ღარების დანახვისთანავე რომ გაუჩნდა. როცა დუსას სახლი გამოჩნდა, მღელვარებისგან ფეხზე წამოდგა ეტლში, ხოლო ცოტა ხნის მერე, დოლის ხმაც რომ შემოესმა, თავს ვეღარ მოერია, ეტლიდან გადახტა და სახლისკენ გაიქცა. ცარიელი ეტლი გვერდზე მოსდევდა, კისერმოღრეცილი მეეტლე და ცხენები გაკვირვებულები უყურებდნენ, მაგრამ ის ვერაფერს ხედავდა, დაბალი, ორსარკმლიანი სახლის მეტს, საიდანაც დოლის ხმა გამოდიოდა. სარკმელს მიადგა და ოთახში შეიხედა. დუსა შინ იყო, ტკბილი დუსა. მაგიდასთან იჯდა და გვერდზე დახვავებულ კანფეტებს სათითაოდ ახვევდა ჭრელი ქაღალდის ნაკუწებში.

— ოქროში ჩაგსვამ.. ქალბატონს გაგხდი! — შეაბღავლა სარკმელს პეტრემ.

დუსა გველნაცემივით შემობრუნდა სარკმლისკენ და პეტრე რომ დაინახა, ისეთი სახე დაედო, იმდენი რისხვა და სიძულვილი შემოაფრქვია თვალებით, პეტრეს გაწუწნული კანფეტივით გადასცდა სიტყვა და ცივწყალგადასხმულივით ერთბაშად გამოფხიზლდა. ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ახლა მთელი მისი არსება მტკივნეულად განიცდიდა, სირცხვილის გრძნობა იყო. ოღონდ ამ წუთას, ამ ადგილას არ მდგარიყო და ნახევარ სიცოცხლეს დაუფიქრებლად გაიღებდა. ეგონა, მთელი ქუჩა ხალხით იყო სავსე და მის შემობრუნებას ელოდებოდა, ხარხარი რომ აეტეხა. მაგრამ ისევ შემობრუნება ჯობდა, მთელი ქალაქის დაცინვას უფრო აიტანდა (მით უფრო, რომ ღირსი იყო დაცინვისა), ვიდრე დუსას გამძვინვარებულ მზერას. საბედნიეროდ, ქუჩა ცარიელი დაუხვდა, ეტლი იდგა მხოლოდ, რომელმაც აქამდე მოიყვანა. იფიქრა, ამავე ეტლით გავბრუნდებიო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ჯერ ერთი, მეეტლისა რცხვენოდა, მეორეც ერთი, ასე წასვლა არ ივარგებდა, უარესი იქნებო-

და, მარტო დარჩენილს უფრო დატანჯავდა, უფრო გაუჭირდებოდა ამ სირცხვილის გადატანა.

უნდა შესულიყო დუსასთან, ბოდიში მოეხადა და, როგორც შესძლებდა, აეხსნა მისთვის ამ ყოვლად გაუმართლებელი და ყოვლად შეუფერებელი საქციელის მიზეზი. ფული ისე გადაუხადა მეეტლეს, თავი არ აუწევია. მეეტლის დიდი, ბანჯგვლიანი ხელი დაინახა მხოლოდ, რომელმაც მისი ფული მოკუჭა და ფულიანად სადღაც გაქრა. საუკუნე გავიდა, სანამ ეტლი შემობრუნდებოდა ვიწრო ჩიხში, ხისა და რკინის ჭრაჭუნით, ღრჭიალით, დაზაფრული იდგა, თითქოს ქვაფენილზე კი არა, მის აღგზნებულ ტვინზე უსხლტებოდათ ცხენებს ნალიანი ფლოქვები. ახლა სახლისკენ შემობრუნება გაუჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. დუსა დოინჯშემოყრილი იდგა სარკმელთან და უყურებდა. პეტრემ მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა.

დუსას სახე არ შესცვლია. „შემოვიდე თუ არა?“ — ჰკითხა პეტრემ თვალებით, მაგრამ არც ახლა შესცვლია დუსას სახე. პირგამეხებული იდგა. „ჯანდაბას, ჯანდაბას“, — თქვა პეტრემ გუნებაში და სახლში შევიდა.

— ვინ გგონივარ? — დაუყვირა დუსამ.

ისევ სარკმელთან იდგა, ისევ დოინჯშემოყრილი, მაგრამ ახლა სარკმლისკენ ზურგშექცეული.

— არავინ არ იყო, დუსა... მაპატიე... მეც არ ვიცი... დუსა... ტკბილო... აღარ შემიძლია. — ამოილუღლუღა პეტრემ და კი არ წამოვიდა, გამოიქცა ქალისკენ, ქუდიც არ მოუხდია, პალტოს ღილიც არ შეუხსნია, კი არ დაიჩოქა, მის წინ დავარდა, ფეხებზე მოეხვია და გაშმაგებულმა დაუწყო კოცნა კაბაზე. — აღარ შემიძლია... ხელისგულზე გატარებ, ცივ ნიავს არ მოგაკარებ. ოღონდ.. ოღონდ... ოღონდ... — ვერ პოულობდა სიტყვას.

ტკბილ დუსას გაეღიმა, ოდნავ შეატოკა ფეხები, ოდნავ სცადა კაცის ხელებისგან განთავისუფლება. სარდიონს ნიკაპი დოლზე ჩამოედო და დედას შესცქეროდა. მოწითალო, ქაფიანი დორბლი ჩამოსდიოდა პირზე.

— რისი შეგეშინდა, პეტრე ძიაა, შე სასიკვდილე. — დაუძახა დუსამ და მის წინ დაჩოქილ პეტრეს ქუდზე მსუბუქად წაჰკრა ხელი. ქუდი იატაკზე დავარდა. სარდიონს გაეღიმა, დაბმული ჩიტივით შეიფრთხიალა ადგილზე. — გამიშვი, გამიშვი-მეთქი. ვჩანვართ გარედან. — თქვა დუსამ, ახლა უკვე პეტრეს გასაგონად.

— არა ვმალავ... ყველამ გვნახოს... მოედანზე გავალ... — ლუღლუღებდა პეტრე.

— გიჟია, ეს ოხერი?! — გაიცინა დუსამ და ისე ღონივრად მოიქნია ტანი, პეტრე გვერდზე მოისროლა.

პეტრემ გაშლილი ხელისგულები ტყაპანით დაჰკრა იატაკს, მაგრამ იმდენი მაინც მოასწრო, დუსას კაბის კალთა კბილით რომ დაეჭირა. გეგონებოდათ, ძაღლი ეთამაშება თავის პატრონსაო, დუსამ ძალით გამოგლიჯა პირიდან კაბა, წავიდა და სკამზე დაჯდა.

— დუსა, მომისმინე, დუსა, — დაუძახა ოთხზე დამდგარმა პეტრემ. — ადამიანი არა ხარ?

ადექი. რა თავს იგდებ! — გაბრაზება სცადა დუსამ, მაგრამ უცებ სიცილი აუვარდა. პირზე ხელაფარებული იცინოდა.

— ადექი, თორემ მეზობლებს დავუძახებ. — ამოაყოლა სიცილს. — დაუძახე. — თქვა პეტრემ და დაიძრა. ოთხზე წამოვიდა.

— მოიცა, ადამიანო, დაღამდეს მაინც. — შეეშინდა დუსას. პეტრე ადგილზე გაშეშდა, გაქვავდა, გაირინდა, თითქოს უხილავ კედელს დაეჯახა თავით და ახლა უცდიდა, როდის გაუვლიდა თავბრუსხვევა.

— დაღამდესო? — თქვა თავისთვის და მუხლებზე წამოიმართა. — მე რომ მაგისთვის არ მოვსულვარ?! — ნელ-ნელა წამოდგა და პალტოს კალთები ჩამოიბერტყა. — ეგ რამ გაფიქრებინა, ა? ეგ იმედი მქონდა შენი, ა? მე ვფიქრობდი... მე ვიფიქრე... ქუდი რა მექნა? — თავზე ხელი მოითათუნა. — ეს ერთი დღეც რომ

მოგეთმინა, ეს ერთი დღეც რომ გაგეძლო... მომეცით ჩემი ქუდი! — იყვირა უცებ.

— ვის რად უნდა ნეტა. ფეხთან გიგდია. — უთხრა დუსამ და გულხელი დაიკრიფა. გრძნობდა, რაღაცა რომ შეეშალა, მაგრამ სრულებითაც არ ადარდებდა ეს ამბავი. შეცდომა თავისთავად გაირკვეოდა და გამოსწორდებოდა კიდეც. უჩვეულო და საგანგაშო არაფერი ხდებოდა. მართალია, პეტრე დღეს თავის თავს არ ჰგავდა, დინჯი და დარბაისელი კაცი, ჯერ ბიჭივით ღრიალებდა ქუჩაში, მერე კი, ძაღლივით ოთხზე იდგა, მაგრამ ეს დროებითი ცვლილება იყო მხოლოდ, შემთხვევითი, სასმელით, ვნებით, ტკივილით ანდა შიშით გამოწვეული და მალე თვითონ პეტრეს გაუხდებოდა სანანებლად, თუკი უკვე არ ნანობდა. იმდენი გამოცდილება კი ჰქონდა დუსას, კაცების მიზეზიანობას რომ არ აჰყოლოდა ანდა პატიება ეთხოვა ყოველ წვრილმანზე. ისიც მშვენივრად იცოდა, კაცებს პატიების უნარი რომ არა აქვთ, მათი ბუნებისთვის უცხო ხილი რომაა პატიება, თვალს კი სიამოვნებით ხუჭავენ ყველაფერზე, რაც განზრახვის აღსრულებაში უშლით ხელს. მაგრამ პატიება და თვალის დახუჭვა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთი თუ გამაღლებს საკუთარ თვალში, მეორე გაკნინებს, და ესაა კაცების მთავარი უბედურებაც, არ შეუძლიათ არ დაიკნინონ თავი, რადგან არ შეუძლიათ, ხელი აიღონ განზრახვაზე. — ვის რად უნდა შენი ქუდი ანდა რამე! — დაიღრინა დუსამ. — გიჟი თუ ხარ, შინ იჯექი, დედასთან.

ჩემთან რა ხელი გაქვს!

— დუსა, — ყელზე ხელი ჩამოისვა პეტრემ, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა. — შენი ხელის სათხოვნელად მოვდიოდი.

გესმის, ქალო? შენი ხელის სათხოვნელად.

ეს კი, დუსასთვისაც მოულოდნელი იყო. ჯერ ფეხები გაეთოშა, მერე ცხელი ქარი შეაფრინდა სახეზე. ისევ გულხელდაკრეფილი იჯდა, მაგრამ მშვიდად, მეგობრულად გადაჭდობილი მისი მკლავები, ფრჩხილებით ჩაფრენოდნენ ერთმანეთს, დაუნდობლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ და ორივეს ტკივილი დუ-

სას გულში, დუსას თავში ბუბუნებდა, სარდიონის დოლივით. გამწარებული, გაცეცხლებული ფიქრობდა:

„დამასწრო... მიზეზი რომ ჰქონოდა. ახლა დაიხურავს ქუდს და წავა“.

— უსვინდისო. — ღვარძლიანად გამოსცრა კბილებში.

— უსვინდისო რადა ვარ? — ხელები გაშალა პეტრემ. — კიდევ მე ვარ უსვინდისო?

— აიღე შენი ქუდი და წადი. — უბრძანა დუსამ. „ვერსადაც ვერ წახვალ“. — გააგრძელა გუნებაში, პეტრემ ქუდი აიღო, მაგრამ არ დაუხურავს, ორივე ხელით მუცელზე მიიჭყლიტა.

— ღმერთი არ გაპატიებს, ქვრივ-ოხრის აბუჩად აგდებას. — უთხრა დუსამ და სარკმელში გაიხედა, ვითომ გინდა დარჩი, გინდა წადი, ჩემთვის უკვე სულ ერთია, ჩემთვის აღარ არსებობ-ბო, სარკმელში იყურებოდა და ფიქრობდა: არ წავა. იმიტომ კი არა, რომ არ უნდა, იმიტომ, რომ არ შეუძლია, სანამ არ გაარკვევს, კიდევ რაზე უნდა დახუჭოს თვალი. — მე კარი გავუღე, ვენდე, ეს კი, თურმე მცდიდა. — უთხრა სარკმელს. — არა ხარ მართალი. — დაუძახა პეტრემ.

— კაცმა არ უნდა იკისროს, თორემ ქალის გაბრიყვებას რა უნდა. — ისევ სარკმელს უთხრა დუსამ.

სარკმელი გაშტერებული უყურებდა, ბრიყვის თვალივით დაჭყეტილი და ცარიელი.

— არა ხარ მართალი. ცოდოს ამბობ, — გაცხარდა პეტრე.

— დაჯექი და ისე ილაპარაკე, თუ რამის თქმა გინდა. — თქვა დუსამ.

პეტრემ სკამი გამოსწია და დაჯდა. ქუდი მაგიდაზე დადო.

ახლა მაგიდაზე ორი ბორცვი იყო, კანფეტისა და კრაველის ბეწვისა.

დუსამ სარკმელს თვალი მოარიდა და პეტრეს შეხედა. უყურა, უყურა და გაეღიმა. პეტრემ თავი დახარა, თავის დახრა მოასწრო, სანამ დუსას ღიმილი მასაც გადაედებოდა.

— უსვინდისო. — თქვა დუსამ გაბუტული, ღიმილნარევი ხმით. — ჯერ პირი ჩაიტკბარუნე, სულ მწარე რომ ამოგდით. — დაამატა იმავე ხმით და კანფეტს წკიპურტი წაჰკრა. კანფეტი პეტრესკენ გაგორდა და პეტრემ უნებურად ხელი წაატანა, მაგიდიდან რომ არ გადავარდნილიყო.

მერე ანა მოკვდა, თოვლმა გზები ჩაკეტა და პეტრეს გაზაფხულამდე აღარ უნახავს დუსა. იცოდა, დუსა ბარგზე იჯდა და...

ელოდებოდა, მაგრამ რა უნდა გაეწყო სიკვდილისა და სტიქიის წინააღმდეგ. დარწმუნებული იყო, ანა იმიტომ მოკვდა, სხვანაირად ხელს რომ ვერ შეუშლიდა. მერე კი, ბუნებაც აჰყვა დედამისს და იმოდენა თოვლი დადო, თელავში კი არა, ფეხსადგილში უჭირდა ხალხს გასვლა. სანამ პეტრე იძულებით იყო გამოკეტილი შინ, ერთი წუთითაც არ განელებია დუსასთან შეუღლების სურვილი, ერთხელაც არ გადაუთქვამს გუნებაში მომავალი მეგობრისთვის მიცემული სიტყვა, მხურვალედ და ერთგულად ფიქრობდა შეხვედრაზე, წუხდა, იტანჯებოდა, მაგრამ პირქუშად იტანდა უმეგობრობას დედისა და ბუნების ჯიბრზე, დედასა და ბუნებას აბრალებდა თავის წუხილსა და ტანჯვას და, ამიტომაც, იმის დროც არ რჩებოდა, მშვიდად, გულისყურით, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი განზრახვის სისწორე, ერთხელ კიდევ ჩაეხედა სულში: თავს ირწმუნებდა თუ მართლა არ შეეძლო უდუსოდ ცხოვრება.

მაგრამ მაშინ არ შეიძლებოდა დუსა განსჯის საგანი რომ ყოფილიყო მისთვის, რადგან ენატრებოდა იგი. დუსა არც ყოველდღიურობის ფარგლებში შემოდიოდა, შორი იყო, მიუღწეველი, უფრო მეტიც, არაფერი ესაქმებოდა, არაფერი აკავშირებდა ამ გარემოსთან და, შეიძლება, ამიტომაც მთელი ზამთრის განმავლობაში ინარჩუნებდა იდუმალების, მარადიულობის მომხიბვლელობასა და ძალას, დუსა ვარსკვლავი იყო, შორეული, მიუღწეველი, თავისთვის მოციმციმე, მაგრამ ერთადერთი ნამდვილი მეგობარი ცხოვრების ჭაობში ჩაკარგული

კაცისთვის, თუკი იმ კაცს ვარსკვლავის მეშვეობით გზის გაგნება და დროის შეტყობა შეუძლია. ასე იყო გაზაფხულამდე, მაგრამ გაზაფხულზე, თოვლთან ერთად, პეტრეს რწმენამაც დაიწყო დნობა. ამ ამბავში ალბათ იმასაც მიუძღოდა წვლილი, ამაზრზენად რომ ატალახდა ირგვლივ ყველაფერი და ერთმანეთში აიზილა საშოვარზე გამოსული ხალხის ნატერფალები. გაზაფხულმა ოჯახური ცხოვრების ყოველდღიური უსიამოვნებანი გაახსენა პეტრეს, მაგრამ დუსას ცოლად შერთვა მაინც არ გადაუფიქრებია, უბრალოდ დუსას მიუღწევლობისა და არაჩვეულებრივობის რწმენა შეერყა, რადგან თელავშიც ეს ტალახი იყო და ერთმანეთში აზელილ ნატერფალებში დუსას ნატერფალიც ერია. ახლა დუსას, რა წუთასაც უნდოდა, მაშინ მოიყვანდა, მაგრამ მოყვანაცაა და მოყვანაც, ახლა ვალდებულება უნდა შეესრულებინა და არა სურვილი. სხვა მხრივ არაფერი არ შეცვლილიყო მის ცხოვრებაში. დედამისის სიგიჟე ახლა მამამისს გადასდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გომურს არ კადრულობდა და თავის ოთახში იყო გამოკეტილი. განსხვავება კიდევ ის იყო, რომ თუ ერთი პეტრეს დანახვაზე ცუდად ხდებოდა, მეორე — ვერ ძლებდა უპეტრეოდ. ჩემი ნამდვილი შვილი შენა ხარ და უნდა მომიაროო, პირველობა რომ მოგანიჭე, შენც უნდა დამიფასოო, მოკლედ, ვაჭრობა გაუმართა, მოსამსახურედ გაიხადა, თმა-წვერის შეკრეჭასა და დაბანას ვინ ჩივის, ისიც პეტრესათვის უნდა დაევალებინა, მაინცდამაინც, რისი გაკეთებაც აღათიასა და ანეტასაც შეეძლოთ. „ხომ იცი, შენს მეტს არავის ვენდობიო“, — ეუბნებოდა ხშირ-ხშირად, მაგრამ სახეზე ეწერა, პეტრესაც რომ არ ენდობოდა. პეტრე ნეხვის გასახვეტად ჭირდებოდა და გასაგზავნ-გამოსაგზავნად. ხან ისეთ დროს აიჩემებდა, გინდა თუ არა, ზოსიმე მღვდელი მომიყვანეო, მესამე ძილში რომ იყო სოფელი, ანდა ცა ფეხად რომ ჩამოდიოდა. მაგრამ გიჟისთვის არც ღამეა და არც ამინდი. იმიტომაცაა გიჟი, ყველაფრის უფლებას რომ აძლევს თავს. ბოლო-ბოლო, მარტო პეტრე იჩაგრებოდა, პეტრეს უტყდებოდა ძილი, პეტრე იგანგლებოდა ტალახში და პეტრეს ახოხდებოდა ქაიხოსროს ტილები. ასე იქნებოდა სულ, სანამ პეტრე თვითონ არ შეიცვლიდა ცხოვრების ყაიდას. აქამდეც ტყუილად ითრევდა ფეხს; ჯერ ვითომ შვილების ხათრმა გააჩერა (ამ დროს, შვილებს ფეხებზე ეკიდათ პეტრე), მერე ძმისა და დედის სიკვდილმა, მერე კი —

ზამთარმა; სინამდვილეში, თვითონ იყო ყოყმანა და გაუბედავი. ეგონა, თავისთავად, ხელის გაუნძრევლად, მსხვერპლის გაუღებლად გამოსწორდებოდა ყველაფერი, როგორც კბილატკიებულ კაცს ჰგონია, კბილის ამოღებას რომ გადარჩება, ამ ერთხელაც თუ გაუძლო ტკივილს. მაგრამ ერთხელაც იქნება, მაინც მოუწევს ექიმთან მისვლა, რათა ტკივილითვე მოსპოს ტკივილი, მთელი გაზაფხული გაბოროტებული იყო პეტრე და ყველაზე ძალიან დუსას არსებობა აბოროტებდა, როგორც კბილატკიებულ კაცს — ექიმისა. მარტო იმის წარმოდგენა ხეთქავდა გულზე, დუსა შეკრულ ბარგზე რომ იჯდა და მოთმინებით ელოდებოდა, კი არ ღელავდა, კი არ წუხდა, სად დაიკარგა ის კაციო, მშვიდად, აუღელვებლად ახვევდა კანფეტს ჭრელი ქაღალდის ნაკუწში და ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, პეტრე აუცილებლად რომ ჩააკითხავდა. არც პეტრეს ეპარებოდა ამაში ეჭვი და ეს იყო მისი გაბოროტების მთავარი მიზეზი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დუსას არსებობა აიძულებდა ცოლის შერთვას, თითქოს დუსა რომ არ ყოფილიყო, საერთოდ არ იფიქრებდა ცოლის შერთვაზე, არცერთი სხვა ქალი არ გაუჩენდა ამგვარ სურვილს. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. სარდიონი, თავის დოლიანად, კოფოზე დასვეს, მეეტლის გვერდით, მაგრამ დუსამ და დუსას ბოხჩებმა ისე ამოავსო ეტლი, პეტრე ძლივსღა შეეტია.

— დაჯე თავისუფლად. რა წკიპზე ზიხარ. — უთხრა დუსამ.

პეტრემ ქალისკენ მიიწია და მართლა იგრძნო სიხალვათე.

იგრძნო, როგორ თავისუფლად ჩაეფლო ქალის მხურვალე სირბილეში, როგორც თაფლში — თითი, თავისთავად, ძალდაუტანებლად, სასიამოვნოდ. მთელი არსებით მინებდა, გაუყუჩდა ამ უცნაურ შეგრძნებას, მაგრამ მაინც აწუხებდა რაღაცა, გაურკვეველი, უხილავი, საიდუმლო, დაჟინებით მთხოვნელი ყურადღებისა და ამაფორიაქებლად უჩვეულო, როგორც კბილის ამოღების შემდეგ პირის ღრუში გაჩენილი სიცარიელე.

დუსამ მხარს ზემოდან შემოხედა გაკვირვებული და გაღიმებული თვალებით.

— ეგეც შენი კანფეტი. — თქვა პეტრემ.

12

რა თქმა უნდა, აჯობებდა, არ დახვედროდა, გაესწრო, გაეღწია, რაც შეიძლება, შორს გადახვეწილიყო ამ დასაქცევი სახლიდან, როგორც მისი ძმები მოიქცნენ, მაგრამ ისინი ბიჭები იყვნენ, თანაც უფროსები, და უკეთესად აუღეს ალღო ოჯახში დატრიალებულ უბედურებას, ის კი — შეეწირა, ხელში შერჩა, პატარა და სულელი, თანაც ქალი, და ამის მერე ასე იქნებოდა სულ, რაც გუშინ ვერ გაბედა, იმას ვერც ხვალ გაბედავდა, ხვალ უფრო გაუჭირდებოდა, რადგან, ხვალამდე უფრო ღრმად ჩაეფლობოდა ჭაობში. სარდიონისთვის არ უკოცნია, მაგრამ იმავე ღამეს დაესიზმრა, როგორ აკოცა და თვითონაც როგორ ჩამოეწუწა მოწითალო დორბლი ტუჩებზე.

ახლავე მოგბანო, ამშვიდებდა აღათია და ვითომ წყაროსკენ მიჰყავდა იგი. ვითომ წყარო ვითომ ახლოს იყო, ყურებში ედგა მისი ჩხრიალი, მაგრამ ისე გაეღვიძა, ვერ იქნა და ვერ მიაღწია ვითომ წყარომდე და ვითომ დორბლიანი ტუჩები ვითომ მოუბანელი დარჩა. ახლა სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა მოეთმინა უჩვეულოდ აცუნდრუკებული და გაყოყოჩებული მამაც, გალახული ძაღლის თვალებით რომ გამოხედავდა ხოლმე მოულოდნელად, დოლის გაუთავებელი ბაგაბუგიც და მარად თმადაუვარცხნელი, მარად დასაწოლად გამზადებული დედაკაციც, ნახევრად ბნელ ოთახებში ერთნაირად, ერთ ხმაზე რომ დაატყაპუნებდა ფლოსტებსაც და უკვე სიბერეგამჯდარ ძუძუებს.

ცოცხი და აქანდაზი კი არ მიაჩეჩა იმან ხელში, როგორც ზღაპრებში წერია, გომურში კი არ გაატანინა ლოგინი, შეუძლებელის შესრულება კი არ დაავალა, კანფეტი გადააყარა თავზე, იმდენი კანფეტი გადააყარა, ფეხებითა ჭყლეტდნენ და მერე, მთელი კვირა, დანის პირით ფხეკდა აღათია იატაკს; ჩემი შვილი გჯობიაო, კი არ უთხრა, როგორც ზღაპრებში ეუბნებიან დე-

დინაცვლები გერებს, ლოყები დაუკოცნა, გულში ჩაიხუტა, მაგრამ შვილზე საყვარელი გერივით კი არა, არასოდეს რომ არ ენახა იქამდე, არამედ — ძველისძველი, დიდი ხნის უნახავი და მონატრებული დობილივით. მესაიდუმლეობა შესთავაზა და არა დედაშვილობა. ყველაფერს გაგიგებ და ყველაფერში მოგეხმარებიო, ყურში უთხრა, კოცნის დროს, სხვებსაც რომ არ გაეგოთ, რადგან ყველანი კი არა, მარტო ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეგობრები. სხვაც ბევრი უთხრა, ბევრის თქმა მოასწრო გაცნობისთანავე, მაგრამ ანეტას, ცხადად და საფუძვლიანად, მხოლოდ ტკბილი, გულისამრევად ტკბილი სურნელი დაამახსოვრდა, რომლითაც ის უცხო დედაკაცი იყო გაჟღენთილი. „ყველა ქალი ერთნაირია და ამიტომ ქალებში უფროს-უმცროსობა არ არსებობსო“, — უთხრა იმ დედაკაცმა და ბაბუაწვერას ბუსუსოვანი თავივით, სულის ერთი შებერვით გაუქრო ის წმინდა და გულუბრყვილო წარმოდგენა სიყვარულზე, ცოლქმრობაზე, რაც ზღაპრებიდან და დედა-გადიის ნალაპარაკევიდან შეეკოწიწებინა ანეტას. სამაგიეროდ, უსვინდისოდ, უმნიშვნელოდ მოკლე დროში, ისეთ საიდუმლოებებს აზიარა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით რომ უნდა ჩაწვდომოდა ანეტა, თუმცა არაფერი დაშავდებოდა, თუკი საერთოდ არ ეცოდინებოდა მათ შესახებ. ქალისა და კაცის ურთიერთობა, რაც იქამდე ისეთივე ბუნებრივი საოცრება იყო ანეტასთვის, როგორც ხის აყვავება და ნაყოფის გამოტანა, არაბუნებრივი აუცილებლობის ცივსა და ამაზრზენ ბურუსში გაეხვია. გრძნობდა, როგორ იბურძგნებოდა მის არსებაში: რაღაც უხამსი, ჟინიანი, დაუნდობელი, როგორც კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა, და სუნთქვაშეკრული, ზიზღნარევი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, ამოწმებდა, ათვალიერებდა საკუთარ სხეულს, არა სიყვარულით დაქალებულს, არამედ ცხოვრებისგან გარყვნილი დედაკაცის გამოცდილებით წაბილწულს, კიდევ კარგი, ღამე რომ არსებობდა, ღამღამობით მაინც რომ არ იყვნენ ერთად, თუმცა ის ღამეებიც ტანჯვის ღამეები იყო ანეტასთვის. ჩაბნელებული სახლი დედინაცვლის ვნებიანი ხითხითითა და მამის ხრინწიანი ჩურჩულით ივსებოდა. ის კი, ცხედარივით გაშოტილი იწვა სიქალწულის სარეცელზე, დედინაცვლის ხითხითითა და მამის ხრინწიანი ჩურჩულით გაუპატიურებული, დათრგუნული, მძაფრად, მტკივნეული მღელვარებით განმცდელი ყოველგვარი შეხებისა და ასევე

მძაფრად, ასევე მტკივნეული მღელვარებით აღმქმელი ჩვეულებრივი, ღამეული ჩრდილისა თუ ჩქამისა. „იციან, რომ ვიტანჯები... უნდათ, რომ ვიტანჯებოდე“ — ფიქრობდა იგი და როდის-როდის გადათეთრდებოდა ხოლმე სარკმელი. „აღათია, აღათია“, — აყვირდებოდა ქაიხოსრო, მერე დოლი აბაგუნდებოდა და ანეტაც იძულებული იყო, კიდევ ერთხელ ამდგარიყო, კიდევ ერთხელ ჩაეცვა, კიდევ ერთხელ დაებანა ხელ-პირი და კიდევ ერთხელ მიჯდომოდა მაგიდას ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, როგორც მათიანი, მათი მსგავსი, მათი განუყოფელი ნაწილი.

— მოიწმინდე პირი, შე სასიკვდილე. — ყვიროდა დუსა.

მაგრამ იმას კი არ აქცევდა ყურადღებას, შეასრულებდა თუ არა უტვინო სარდიონი მის ბრძანებას, ანეტას შესცქეროდა, შემწყნარებლად მომღიმარი, როგორც მასწავლებელი მოწაფეს. ანეტა კი, მობუზული იჯდა, შემკრთალი და გადაფითრებული. თითქოს სადაცაა გული უნდა აერიოსო. ანეტა გრძნობდა, რომ იღუპებოდა, იმ სითამამის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, აღათიასთან საუბრისას რომ ეუფლებოდა ადრე.

ეტყობა, მარტო აღათიასთან ჰქონდა დიდი გული, რადგან დარწმუნებული იყო, აღათიას უყვარდა იგი და არა მარტო გაუგებდა, არამედ აპატიებდა კიდეც ამ სითამამეს. ახლა აღათიასაც ვეღარ ხედავდა წესიერად. მოწითალო დორბლსა და გულისამრევად ტკბილ სუნს ამოევსო ყველა კუთხე-კუნჭული, სადაც აღათიასთან განმარტოება და თავისი გულის წუხილის გაზიარება შეეძლებოდა. აღათია სადღაც, მისი მონუსხული არსების გარეთ დაფარფატებდა და ათასში ერთხელ თუ წააწყდებოდა გაჩენის დღიდან ნაცნობსა და საყვარელ სახეს, უსაშველოდ დაბერებულს, უსაშველოდ დაბნეულსა და მიტოვებულს. სამაგიეროდ, დუსა ყველგან იყო, მოშილიფებული, მკერდმოღეღილი, ყელკისერდალაქული, დაფორაჯებული ანეტას მამის ვნებით.

— მოასრესინე, გოგო, ვინმეს ძუძუები, როდემდე უნდა იყო ასე, ბიჭივით. — ეუბნებოდა იგი ანეტას და ანეტას პირი უშრე-

ბოდა, ხელ-ფეხი ეთოშებოდა, თითქოს გველი აცოცდებოდა ტანზე.

მათი ურთიერთობა გამოცდილი და დამწყები მეძავის ურთიერთობას ჰგავდა, სადაც ანგარებას გაცილებით პატარა ადგილი უკავია, ვიდრე გაუაზრებელი და განუკითხავი შურისძიების სურვილს. „ესეც უბედურია, — ფიქრობდა ანეტა, — რადგან ამან არ იცის, ასევე რომ შეიძლება გიყვარდეს ვიღაცა, არ იცნობდე და გიყვარდეს, არ იცნობდე და ენდობოდე, არ იცნობდე და გჯეროდეს მისი. ის ან მოვა, ან არ მოვა, მაგრამ ეს კი არაა მთავარი, ეს კი არ წყვეტს, იქნები თუ არ იქნები ძუკნა, მთავარია, როგორ გიყვარს, როგორ ენდობი, როგორ გჯერა და რამდენ ხანს შეგიძლია ლოდინი, ყოველგვარი თავდებისა და დაპირების გარეშე“. ასე ცხოვრობდა ანეტა, სანამ ჯერ, აღათიასი, მერე კი — ქაიხოსროს სიკვდილი (თუმცა დანამდვილებით ისიც ვერ დაადგინეს, რომელი ადრე მოკვდა, უბრალოდ, ჯერ აღათიას გვამი იპოვეს და მერე ქაიხოსროსი), საბოლოოდ არ დაარწმუნებდა, რომ ვეღარ შესძლებდა, ვეღარ გაუძლებდა ასეთ ცხოვრებას. აღათიას გვამი დუსამ იპოვა. რაღაცისთვის დილაუთენია ეზოში ჩასული, კივილით ამოვარდა კიბეზე და სანამ იტყოდა, რა ნახა, რა შეემთხვა, ანეტამ უკვე იცოდა, დუსას შეშინებულ თვალებში დაინახა თოკზე ჩამოკონწიალებული აღათია, მაგრამ, ეზოში ჩასულს, კივილი კი არ აუტეხია, დუსასავით, შიშითა და სიბრალულით კი არ შესცქეროდა ჭრელი, ქუსლებგამორღვეული წინდებით შეფუთვნილსა და საყრდენგამოცლილ ფეხებს, თავისთვის რომ ირხეოდნენ ჰაერში, არამედ — სიამაყით და პატივისცემით, რასაც სხვისი, მაგრამ მსგავსის მიერ ჩადენილი გმირობა აღძრავს ხოლმე კაცში. აღათია ზუსტად იმ ტოტზე ეკიდა, რომლის ქვეშაც ექიმი ჯანდიერი ეტლს აჩერებდა. ფლოსტები მიწაზე ეყარა, გადაბრუნებული სკამის გვერდით.

აღათიას გვამი გომურში შეიტანეს და გომურიდან გამოდენილი, ადამიანის სიკვდილით ერთხელ კიდევ შეძრწუნებული სახედარი, ბალანაშლილი, თვალგაშტერებული იდგა გალავნის კედელთან, დილის მზის სხივებში. ანეტა საფეხურზე იჯდა, როგორც ბავშვობაში იცოდა, და სახედარს უყურებდა. ჯერ ისევ ღამის პერანგის ამარა იყო, მთელ ტანზე ეკალი ეყარა და უნე-

ბურად კრუნჩხავდა შიშველი ფეხის თითებს. ცაცხვის ტოტს, რომელზედაც წეღან აღათია ეკიდა, დანით გადაჭრილი, გაძენძილი თოკის ნაკუწიღა შერჩენოდა, მისი გადანაჭერი გომურში იყო, აღათიას კისერზე. სკამი და ფლოსტები ისევ მიწაზე ეყარა. „ეტლი რომ მდგარიყო, ვერ შეძლებდა. ეტლი შეუშლიდაო, — უაზროდ ფიქრობდა ანეტა და სახედარს უყურებდა, სახედრის საცოდაობით უკვნესოდა გული.

— ჩაიცვი, ხალხის მაინც არ გრცხვენია?! — მესამეჯერ დაუძახა პეტრემ.

— რისი უნდა მრცხვენოდეს? — მესამეჯერ უპასუხა ანეტამ, ისე რომ, სახედრისთვის თვალი არ მოუშორებია, არც კი დაინტერესებულა, საიდან ელაპარაკებოდა მამამისი.

— გაანებე თავი. — უთხრა დუსამ პეტრეს.

— შენ მაინც უთხარი, რისი უნდა რცხვენოდეს თექვსმეტი წლის გოგოს, ტიტველა რომ გამოსულა შარაზე. — მიუბრუნდა პეტრე დუსას.

— გაანებე თავი. — გაუმეორა დუსამ.

ანეტა წამოდგა და სახედართან მივიდა. სახედარმა თავი გაარიდა. ანეტამ გაფშეკილ, მოკლედ შეკრეჭილ ფაფარზე ჩამოუსვა ხელი. სასიამოვნოდ დაესუსხა ხელისგული. სახედრის ბალნიდან მტვერი აიშალა და მზის სხივებში აბრჭყვიალდა. „საცოდავო“, — უთხრა ანეტამ. ის დღე ასე გაატარა, სახედრის ფერებასა და უაზრო წრიალში. რაღაც უხილავი, გამარინდებელი ძალა თუ სული აკავებდა ეზოში, დარეტიანებული ქათამივით დაბორიალობდა კიბესა და სახედარს, გომურსა და ცაცხვებს შორის. ან კიბეზე იჯდა, ან სახედარს კოცნიდა თვალებში, ან გომურის კარზე ყურმიდებული, სახეგაფაციცებული და განაბული უსმენდა რაღაცას, ან ცაცხვის ძირას ტრიალებდა, თოკშებმულ ტოტს ასცქეროდა, სკამს ფეხზე აყენებდა და ზედ დგებოდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ, რა განზრახვით. შეიძლება, ბავშვური ცნობისმოყვარეობის ბრალი იყო მხოლოდ, ავწვდები თუ ვერა ტოტსაო, და რადგან ტოტიც იქვე. იყო

და სკამიც, ისიც იკმაყოფილებდა ცნობისმოყვარეობას. ვის რას უშლიდა, ანდა რას აშავებდა ამით? იდგა თავისთვის სკამზე, თავის ეზოში, თავის ხესთან და გრილსა და სლიპინა ტოტს ეფერებოდა, თითქოს ის ტოტი, ცაცხვის ნაწილი კი არ იყო, არამედ რომელიღაც ცოცხალი არსება და იმის შეჩვევას, იმის ჩამოტყუებას ცდილობდა ამაოდ, რადგან იმ უცნაურ არსებას, ვიღაცის ტყვეობიდან თავდაღწეულსა და კისერზე თოკშერჩენილს, აღარაფერი ესმოდა ადამიანებისა, ანდა აღარაფერი სჯეროდა მათი.

ერთი პირობა, აღათიას ფლოსტებშიც წაჰყო ფეხები, მაგრამ მალევე გაიხადა და ისევ ცაცხვის ძირას დაჰყარა, სკამიც ისევ გადააყირავა, როგორც აღათიას დაეტოვებინა. ვინმეს ჯიბრზე კი არ იქცეოდა ასე, მამისა და დედინაცვლის გაბრაზებას კი არ ცდილობდა, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. აღათიას გარდა, კიდევ რაღაც მომკვდარიყო, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ძნელად დასასახელებელი, მაგრამ საჭირო, აუცილებელი, არა მარტო ანეტასთვის, არამედ საერთოდ სიცოცხლისთვის. მერე, პეტრე ჩამოვიდა ეზოში, ანეტასკენ არც გაუხედავს, გომურის უკან გიორგასეული ბარი გაიტანა და ორმოს თხრას შეუდგა.

— აქ უნდა დამარხო? — ჰკითხა ანეტამ მშვიდი, უშფოთველი ხმით.

— არა, ეკლესიის კედელში. — ჩაიდუდღუნა პეტრემ და ბელტი ამოიღო. შავი, ნესტიანი მიწის ნაფხვენები შიშველ ფეხებზე მიეყარა ანეტას. — არ ეკუთვნის? — ამოხედა ბარზე დახრილმა. — ხომ ხედავ, როგორ გადაგვიხადა ამაგი?!

— ჟილეტი გაიხადე. გაიოფლები. — უთხრა ანეტამ.

— როდის იყო, მიფრთხილდებოდი. — გაიცინა პეტრემ. — შენ კიდევ გაცივდები, რამდენჯერ უნდა მათქმევინო.

— ხო, უნდა ჩავიცვა. ასე ხომ არ ვიქნები. არ მეგონა, თუ დღესვე... — არ დაამთავრა ანეტამ.

— რა არ მეგონაო? — პეტრემ ბარზე ჩამოაწყო ხელისგულები. — დღესვე თუ დამარხავდი. — თქვა ანეტამ.

— აქამდენაც არ გავაჩერებდი, მზისა რომ არ მომრიდებოდა. — უცებ გაცხარდა პეტრე.— მე შენ გეტყვი, გადაყოლილი იყო ჩემს ოჯახზე. მტრებს მიზრდიდა, მტრად გადამკიდა შვილები.

— შენი ნებაა. — თქვა ანეტამ.

— ჰა? — ვერ გაიგო პეტრემ.

— უფროსი შენა ხარ.

პეტრე გაყუჩდა, შვილის ნათქვამს გაუყუჩდა, ესიამოვნა და დაეჭვდა კიდევაც, რადგან მიჩვეული არ იყო შვილებისგან მისი უფროსობის აღიარებას. ანეტაც გამოითიშა, გარინდული იდგა შავად პირდაღებულ ორმოსთან, საიდანაც ღრჭიალით, ხვნეშით და ფაჩუნით ამოდიოდა სამარისებური სიჩუმე, სიჩუმე და წყვდიადი. ისევ აებურძგნა ხორცი და პირველად მაშინ მიხვდა, დღეს დოლის ხმა რომ არ გაეგონა. რა იცოდა, დუსამ რომ დაუმალა დოლი სარდიონს. არც გახსენებია სარდიონის არსებობა. სარდიონი კი მთელი დღე დოლს ეძებდა, კედელ-კედელ მოიარა სახლი, ჩოჩვით, აუჩქარებლად, გაუბედავად მიაყოლებდა ტანს კედელზე მიბჯენილ ხელს, შეუმჩნევლად, მაგრამ განუწყვეტლივ ინაცვლებდა ადგილს სივრცეში, სლუკუნებდა, ღნაოდა და პირის სიმაღლეზე არათანაბარი სისქისა და სიგრძის სველ ხაზებს ატოვებდა კედლის ზედაპირს, თითქოს ლოკოკინების ჯოგი გადახოხებულაო. ქაიხოსროს ოთახშიც სცადა შესვლა, მაგრამ კარი არ დამორჩილდა, შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ქაიხოსროს ოთახის კართან დახვავებულ ჭუჭყიან თეფშებს ფეხი წაჰკრა, ზედ გადაუარა, მაგრამ ისე ნელა და ისე თანდათანობით, თეფშები ლამის უხმაუროდ გაიფანტნენ იატაკზე. ანეტა რომ შინ შევიდა ჩასაცმელად, სარდიონი მის ოთახში იყო, კედელსგაკრული.

— გადი, გადი, გაეთრიე აქედან. — დაუძახა ანეტამ.

— მინნნდااااა. — ამოიღნავლა სარდიონმა.

— აქ არ არის შენი დოლი. აქ რა უნდა შენს დოლს. — ისევ უყვირა ანეტამ.

მერე პირქვე ეგდო საწოლზე. ტირილი უნდოდა და ვერ ტიროდა. გამომშრალიყო, გამოფიტულიყო, როგორც მზეზე ნაყარი ბურბუშელა. იცოდა, რომ უნდა ამდგარიყო, ჩაეცვა და ისევ ეზოში ჩაბრუნებულიყო, თორემ, შეიძლებოდა არ დაეცადათ და უიმისოდ დაემარხათ, კი არ დაემარხათ, უიმისოდ ჩაეგდოთ ორმოში აღათია, უსანთლოდ, უსაკმევლოდ, უკუბოვოდ და ყველაფერ ამასთან ერთად — უიმისოდაც; მაგრამ ვერ დგებოდა, აღარ ემორჩილებოდა მოსავათებული, ფარხმალდაყრილი სხეული, თითქოს ის ცალკე იყო, მისი სხეული კი — ცალკე, და გამწარებული, შეშფოთებული დაჰყვიროდა, ევედრებოდა, ადე, ჩაიცვი, უკანასკნელი პატივი მაინც ეცი იმ უბედურსაო. ეგონა, საუკუნე გავიდა მას მერე, რაც ეზოდან ამოვიდა, თუმცა ჯერ კარგად არც მოსაღამოვებულიყო. ბინდი ნელა და გაუბედავად მოიპარებოდა სარკმლიდან; მინდვრებიდან, ბაღ-ვენახებიდან მობრუნებული ჩიტები ჟივილხივილით ესეოდნენ ხეებს. უცებ, კედელსაკრული, თვალებდაჭყეტილი და პირდაბჩენილი სარდიონი გაახსენდა და შეშინებული წამოჯდა საწოლზე. „ჩემს ოთახში რა უნდოდა? — ახლა დაინტერესდა პირველად. — ღამითაც რომ შემოვიდეს?!“ — უარესად შეიშინა თავი. რამდენიმე წუთის მერე უკვე ეზოში იყო, დედისეული შავი კაბა ეცვა და ასკლიპიოდოტა გულზე ჰყავდა მიხუტებული.

პეტრე ჯერ ისევ ორმოს თხრიდა. დუსა ჭრაქს უნათებდა.

დუსამ რაღაცა უთხრა პეტრეს, მაგრამ ანეტას არ გაუგონია, პეტრემ ორმოს თხრა შეწყვიტა და წელამდე ორმოში ჩამდგარი, კიბისკენ შემობრუნდა, რომელზედაც შავ კაბაში გამოწყობილი და თოჯინაატატებული ანეტა ჩამოდიოდა. ანეტამაც მაშინვე დაინახა ისინი და რაღაცნაირად დაფრთხა. ფეხები აუძიგძიგდა, მაგრამ არ შეიმჩნია და მშვიდად, აუღელვებლად ჩაათავა კიბე. ისინი თვალს არ აშორებდნენ, თუმცა ანეტა ორ თეთრ ლაქას ხედავდა მხოლოდ, სახეების ნაცვლად, რომლებზედაც ჭრაქის შუქით აწრიალებული ჩრდილები კანკალით გა-

დადიოდნენ. „არც ეს გაუჭირდებათ. არც ამაზე დაიხევენ უკან“, — გაიფიქრა ანეტამ. ისინი კი მართლა გავდნენ მკვლელებს, რომლებსაც ერთი მკვლელობა უკვე ჩაედინათ და იმის კვალსა სპობდნენ, საზრიანად, შეხმატკბილებულად, მაგრამ მზად იყვნენ მეორის ჩასადენადაც, თუკი ვინმე, ზედმეტად ცნობისმოყვარე და ენაგრძელი, შემთხვევით წამოადგებოდათ თავზე.

— კარგი, ეყოფა, ადამიანო. — უთხრა დუსამ პეტრეს.

— რა ვიცი, ღორმა არ მოთხაროს-მეთქი. — თქვა პეტრემ, — შენი ცოტა გაქვს? — ნიკაპი მიუშვირა კაბაზე ანეტას.

— შავი არც ერთი არა მაქვს, — თქვა ანეტამ.

— რა ჩანს ამ ღამეში, — გაგულისდა პეტრე.

— გაანებე თავი, — გაუწყრა დუსა პეტრეს.

მერე ჩუმად იყვნენ. ანეტამ ეზოში თვალი მოატარა და კედელთან გარინდული სახედრის მუქი ლანდი მონახა. სახედარმაც თითქოს იგრძნო ანეტას მზერა და შეინძრა, ანდა, შეიძლება, ანეტა მოატყუა თვალმა, რადგან ძალიან უნდოდა, ამ ორის გარდა, კიდევ ყოფილიყო ვინმე სულიერი სიახლოვეს, თუნდაც სახედარი. პეტრემ ცოტა ხანს თხარა ორმო, მერე ბარი გომურისკენ ისროლა და თვითონაც ამოჰყვა. შარაზე ვიღაცეებმა ჩაიარეს ლაპარაკ-ლაპარაკით. სამივემ მიაყურადა, უნებურად სამივენი დაიძაბნენ და გაქვავებულნი იდგნენ, სანამ არ ჩათავდა ეს ჩვეულებრივი, ადამიანური ხმები, ყველა სოფლის შარაზე რომ შეგიძლია გაიგონო, მით უფრო — თბილსა და წყნარ საღამოს, ვისთვის შემაშფოთებელი და ვისთვის იმედის მომცემი. ისინიც სამნი იყვნენ, გალავნის გადაღმა შარაზე მიმავალნი. ხუთი კილომეტრი ასე ლაპარაკ-ლაპარაკით გამოევლოთ, მთელი დღის ნაჯაფებს, და ხვალ უთენია ისევ წნორში უნდა ყოფილიყვნენ. რკინიგზაზე მუშაობდნენ, მაგრამ მატარებელი ჯერ არც ერთს არ ენახა, ჯერ ლიანდაგი იგებოდა მხოლოდ. ნიჩბის მუშები იყვნენ, მთელი დღე ხრეშს ეზიდებოდნენ და ლიანდაგის გასწვრივ ბორცვებად ყრიდნენ. უმთავრესად ორი ლაპარაკობდა, მესამე კი, უსმენდა, და თავისთვის ფიქრობდა. „ვითომ

წნორი ურუქზე მეტია?“ „რათა, წნორი რა მიგდია, მაგრამ ეტ-ყობა ასე მოითხოვა საქმემ“, „მოითხოვა და მოითხოვა, მით უკეთესი. დასწყევლოს ეგ ხიფათიანი ეგა“, „ურემი რა, უხიფა-თოა? ჯერ არავინ მოუკლავს ურემს?“. „ურემი რა მოსატანია. ერთი სოფლის სახლები ერთმანეთს რომ გადააბა და ბორ-ბლებზე შეაყენო, იმოდენა ყოფილა. ფუი, დასწყევლოს ეშმაკ-მა“. „მართლა თუ ამოდენაა, რა სძრავს, რითი დადის ნეტავი?“ — გაიფიქრა მესამემ. მოდიოდნენ, შინისკენ მოიჩქაროდნენ, ახლა ცოლ-შვილი რომ გაეოცებინათ წნორში გაგებული ტყუ-ილითა თუ მართალით. ისინიც საქმეში გადიოდნენ, ისინიც უკ-ვე რკინიგზასთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაც, ცოტა არ იყოს, ეამაყებოდათ კიდევაც, თუმცა თავიანთ ცოლ-შვილზე მე-ტი, არც იმათ გაეგებოდათ რკინიგზისა. მოდიოდნენ, მოლაპა-რაკობდნენ და რას იფიქრებდნენ, ან რატომ უნდა ეფიქრათ, რომ ამ ქვიტკირის გალავნის გადაღმა ქურდულად, ფაცაფუ-ცით, ცოფიანი ძაღლის ლეშივით, იმარხებოდა მარადიული „უნიფხო გოგო“, მარადიული მხევალი და მარადიული გადია, რომელსაც საკუთარი არაფერი ჰქონია, ღმერთქალის შესაშუ-რი სიყვარულისა და სიკეთის გარდა. სუფთა, გაუზავებელი სიყ-ვარულისა და სიკეთის რძე ედგა მარად ქალწულ ძუძუებში, ღვთაებრივად მსუყე, ღვთაებრივად ბარაქიანი და, ამიტომაც, დამღუპველი უბრალო მოკვდავისთვის, როგორიც თვითონ იყო, და როგორებიც მის გამოხუნებულ კალთაში გამოზრდილი ბავშვები იყვნენ, კუტი პურებივით რომ ცვიოდნენ ცხოვრების თონეში, რადგან სიძულვილისა და ბოროტების საფანელი აკ-ლდათ. ეს იყო მისი ცოდვა, უნებლიე, მაგრამ შეუწყნარებელი. სხვა დროს და სხვა ქვეყანაში, შეიძლება, ძეგლი დაედგათ თვის, მარადიული გადიის ძეგლი, და მისი სადიდებელი ეგა-ლობათ, მაგრამ აქ და ახლა, ურუქის გაუთავებელ ღამეში, არ იმსახურებდა, მის სახელზეც რომ დამწვარიყო თუნდაც ერთი სანთელი. ეს ალბათ თვითონაც იცოდა, როცა კიბეზე სკამი ჩაჰ-ქონდა, როცა ცაცხვის ძირას იმ სკამზე იდგა და ათრთოლებუ-ლი ხელებით ყულფს ისწორებდა კისერზე, სხვა რაღაზე უნდა დასწყვეტოდა გული?

მერე დუსამ ჭრაქი მიწის ბორცვზე დადო და ისა და პეტრე გვამის მოსატანად წავიდნენ, „ჭრაქი შეუშლიდათ“ — რატომ-

ღაც გაიფიქრა ანეტამ. შავარშიაშემოვლებული ალი გამალებული პარპალებდა, თითქოს ატატებას იხვეწებოდა, როგორც მხდალი და ჭირვეული ბავშვი. ალის გამონაშუქი ასკლიპიოდოტას პრიალა ლოყაზე ციმციმებდა. ანეტამ უარესად მიიხუტა თოჯინა. იდგა და ალს უყურებდა. გვამი თითქმის მაშინვე მოიტანეს. პეტრემ ძველი, გაქუცული ფარდაგიც მოაყოლა ხელს, რომელიც ალბათ ქვეშ ეგო გვამს, სანამ გომურში ესვენა. — ალექსანდრესთვის არ უნდა გაგვეგებინებინა? — ისე, სხვათა შორის იკითხა ანეტამ.

— ალექსანდრესთვის? ალექსანდრესთვის? — დაიბნა პეტრე, თითქოს ვერ გაიხსენა, ვინ იყო ალექსანდრე. — როდის იყო, ალექსანდრე ჩვენს ამბავს კითხულობდა?!

— იქნებ, კუბოს უყიდდა?! — თქვა ანეტამ.

— როგორ არა, სარჩულიანს, შავი აბრეშუმის სარჩულიანს, — ღვარძლიანად ჩაიცინა პეტრემ.

— დროზე ქენი, ადამიანო. რა გაკამათებთ, — თქვა დუსამ, ხმაში ღიმილი გარეოდა. — ახლა ამისთვის სულ ერთია, მიწაში იწვება თუ ოქროში.

— ჩვენთვისაც? ჩვენთვისაც სულ ერთია? — იკითხა ანეტამ. საჩხუბრად კი არა, ცნობისმოყვარე ბავშვის სიჯიუტით.

— მიდი. რაღას უყურებ? — შეუძახა დუსამ პეტრეს და გვამს ფეხებში დაწვდა.

— ჯერ თოკი შეხსენით. — თქვა ანეტამ.

— რას შეუშლის, ნეტავი! — აიქნია პეტრემ ხელი.

— ჯერ თოკი შეხსენი, — გაიმეორა ანეტამ, — ახლავე! — დაუყვირა უცებ.

პეტრემ ერთი გამოხედა, რაღაცის თქმა დააპირა, ტუჩები აუმოძრავდა კიდეც, მაგრამ გადაიფიქრა, გვამის თავთან ჩაიჩოქა, ყულფი მოაბოშა და ნელ-ნელა გადმოაცოცა სახეზე,

თითქოს ფრთხილობდა, უნებლიეთ რამე არ ეტკინა მკვდრისთვის. გვამი ორმოში ჩაუშვეს და სანამ პეტრე ბარს ეძებდა სიბნელეში, დუსამ ფარდაგი წააფარა ზემოდან.

— მოიცადეთ, ჯერ არა. ეს უნდა ჩავაყოლო, — დაიძახა ანეტამ და ორმოსკენ წავიდა.

დედისეული კაბა ფეხებში ებლანდებოდა, სიარულს უშლიდა.

უფრო დიდი ჩანდა.

— ჩააყოლო? რა უნდა ჩააყოლო? — განცვიფრდა პეტრე.

ანეტამ ორმოს კიდესთან დაიჩოქა. დედის კაბა კუპრის ტბორივით შემოადგა გარშემო. თოჯინა ფრთხილად დააწვინა ფარდაგზე და ხელ-ფეხი გაუსწორა, თითქოს მიეფერა კიდეც. — ასკლიპიოდოტა. — თქვა ანეტამ. — დავპირდი. ერთად იქნებიან. სულ ერთად იქნებიან.

— მომეცალე, გოგო, შენი თოჯინიანად. — ხმაში სიბრაზე შეეტყო პეტრეს. ბარის პრიალა პირმა წითლად გაიელვა ჭრაქის შუქზე.

— ჩემია და, რასაც მინდა, იმას ვუზამ. — მშვიდად თქვა ანეტამ. ისევ მუხლებზე იდგა შავი ქსოვილის ნაოჭებში.

— ჩემიაო? — გაცხარდა პეტრე. — შენი ჯერ არაფერი არ არის, ქმარმა გიყიდა თუ მამამთილმა?

— გაანებე თავი, აქ ხომ არ უნდა გავათენოთ?! — დაუძახა დუსამ.

პეტრემ მთელი ძალით აძგერა ბარი მიწის ფხვიერ ბორცვს.

— დედა... ბებო... — ჩასძახა ანეტამ ორმოს.

სანამ ორმო ამოივსებოდა, დაჩოქილი იდგა. ასკლიპიოდოტას ჯერ სახეზე წაეყარა მიწა, კაბა ოდნავ აეწია და თეთრი, მაქ-

მანებიანი საცვალი გამოუჩნდა. ანეტამ ისიც შეამჩნია, როგორ გაიჩინა მიწამ პატარა, ძაბრისებური ღრმული და როგორ ჩაშვავდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ასკლიპიოდოტას ჩამტვრეული წარბი უნდა ყოფილიყო.

მეორე დილით ქაიხოსროს გვამი იპოვნეს და ისიც დუსას წყალობით.

— ყარს. რაღაცა ყარს, — თქვა დუსამ და ცხვირი შეიჭმუხნა.

„რა ხანია, მაგას ვამბობო“, — უნდოდა ეთქვა ანეტას, მაგრამ დაეზარა, აღარაფერი აინტერესებდა ამ სახლში. ისევ დედის კაბა ეცვა და დღის სინათლეზე უფრო თვალში საცემი იყო კაბისა და მისი ჯერ კიდევ ბავშვური სხეულის შეუსაბამობა. თითქოს ხალხის გასაცინებლად ჩაუცვამსო.

— თაგვი მოკვდებოდა. — თქვა პეტრემ და თვითონაც შეიყნოსა ჰაერი. ის იყო, საუზმე დაემთავრებინა და ჯერ კიდევ ვერ დაეძლია სიგამძღრისგან მოგვრილი მოთენთილობა და სიზარმაცე, კბილის ჩიჩქვნის, ნაფხვენების მოგროვებისა და ფუყე საუბრის გუნებაზე რომ აყენებს კაცს. — ტყუილად უყურებ, არ მუშაობს. — დაუძახა სარდიონს, კარადისხელა საათის ციფერბლატს რომ მიშტერებოდა, პირზე დუჟმომდგარი.

— უყუროს, რა გენაღვლება. — უთხრა დუსამ, — მაშ, შენ ამბობ, თაგვი მოკვდებოდაო? — გამომცდელად, დამაეჭვებლად შეხედა, აბა, ჯერ კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხეო.

— ხო... რა ვიცი... გარედან თუ შემოიპარა, თორემ აღათიას შიშით... ვერ დაამთავრა პეტრემ, რადგან უცებ ცოლის თვალებს წააწყდა და თვითონაც გაირინდა.

დიდხანს, დაჟინებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდხანს გასძლებს თვალის დაუხამხამებლადო. სინამდვილეში, ახლა თვალებით აგრძელებდნენ საუბარს და გაცილებით უკეთესადაც. თვალებით უზიარებდნენ ერთმანეთს ერთსა და იმავე ეჭვს, რომელიც ლამის ერთდროულად დაებადათ; დუსას ცოტა ადრე, პეტრეს — ცოტა გვიან. „შენ

ასე გგონია?“ „შენ? შენ?“ „რატომ აქამდე არ გაგვახსენდა?“ „როდის“ სად გვეცალა?“ „ჯანდაბას, ჯანდაბას“. „ახლავე წავალ და შევამოწმებ“.

უცებ ანეტას ხელები გაეოფლა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ დაძაბული, სუნთქვაშეკრული იჯდა და მოუთმენლად მისჩერებოდა თვალებით მოსაუბრე ცოლ-ქმარს. რაღაც საშინელება ხდებოდა, რაღაც ახალი საშინელება უნდა მომხდარიყო მისთვის, ანდა მისი თანდასწრებით, და ამის გაფიქრებისთანავე ისე აიტანა მღელვარებამ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, თეფში უკანვე მიიჩოჩა და ხელუხლებელი, მაგრამ უკვე გაციებული ფაფის ჭამა დაიწყო.

— აკი არ მინდაო?! — ჩაესმა დუსას ხმა.

— არც მინდა... არც მინდა... — შერცხვა, დაიბნა, გაბრაზდა ანეტა.

— წავიდე ერთი, პაპაშენსაც მივუტანო. დღეს რაღაც ჩუმად არის, ვინ იცის, აღათიას ელოდება, — თქვა დუსამ და მაგიდაზე ხელებდაბჯენილი, ნელა წამოიმართა.

— პაპაჩემი მკვდარია, — შეუღრინა ანეტამ,— რა ხანია, მკვდარია. მაგრამ მამაჩემი იმასაც ძაღლივით ხომ ვერ ჩააგდებს ორმოში. იმასაც ფარდაგს ხომ ვერ წააფარებს სახეზე, ამდენს ვერ გაბედავს. ვერ გაბედავს. ვერ გაბედავს — ფაფიანი კოვზი მაგიდაზე დაანარცხა და ოთახიდან გავარდა.

როცა ანეტა ამას ამბობდა, ქაიხოსრო მართლაც მკვდარი იყო, ორი დღის მკვდარი იყო უკვე, უჩუმრა მომკვდარიყო გამოკეტილ ოთახში, როგორც კიდობანში — თაგვი. ორი დღის წინ, სიკვდილამდე, ქაიხოსროს დედა გამოეცხადა, მაგრამ ვითომ აქ კი არა, სადაც კვდებოდა, არამედ იქ, თბილისში, ლამაზაივნიან სახლში, სადაც დაიბადა.

— იასე, იასე! — იძახდა აივანზე გადმომდგარი ქალი.

„მე მეძახისო, — გაუხარდა ქაიხოსროს — მაგრამ მე რომ.

იასე აღარა ვარ?“ — შეშფოთდა მაშინვე.

ქალიშვილად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დედად. ჯიშიანი ცხენივით, ერთდროულად მკაცრი და ხალისიანი თვალები ჰქონდა, კეხიანი ცხვირი და თხელი, მჭიდროდ მომუწული ტუჩები. სიცხისაგან ოდნავ დანამვოდა მკვრივი და ხორბლისფერი ყვრიმალები. ჩიხტაკოპის ლეჩაქს ნიავი უფრიალებდა. ქაიხოსროს უყურებდა, მაგრამ აშკარად ვერ ხედავდა. „აღარა ვარ... აღარა ვარ და იმიტომ“. — აწრიალდა ქაიხოსრო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, თუ არ გამოეპასუხებოდა, ქალი ოთახში შებრუნდებოდა და მერე ვეღარაფერს გაარკვევდა.

— დედა! — მაინც გაბედა, მაინც დაუძახა.

იმავე წუთს ჩიხტაკოპიანი ქალიც გაქრა და ლამაზაივნიანი სახლიც. ისევ აქ იყო, მაკაბელების ფუძეზე, საკუთარი ხელით აშენებულ სახლში, დამდგარი ჰაერით აქოთებულ ოთახში გამოკეტილი.

— ვაღიარებ... ვაღიარებ... — ამოილუღლუღა დაბნეულმა და ყელში გაჩხერილი ცრემლის გორგალი ჩაყლაპა.

ქაიხოსრო დიდი ოთახის შუაგულში დაასვენეს, ნოხგადაფარებულ ტახტზე, სადაც, ჯერ კიდევ დილით, სასადილო მაგიდა იდგა და, სადაც ამ ოჯახისთვის უკეთეს დროს, ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპის შუქზე, ბაბუცას მშვიდი და მთრთოლვარე ხმით წიგნებიდან გამოხმობილი გმირები და მზეთუნახავები დაბორიალობდნენ. ახლა ირგვლივ სრული სიცარიელე სუფევდა, რასაც უარესად ამძაფრებდა დადუმებული კარადისხელა საათი, რომელიც სიმძიმის გამო ვერ გაიტანეს ოთახიდან, და ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზედაც ქაიხოსროს ცხედარი ესვენა. ცხედარი მაიორის მუნდირში იყო გამოწყობილი, ყბები შავი ნაჭრით ჰქონდა აკრული, თითქოს კბილი ასტკივნიაო, და ცუდად დახურული პირით ვერცხლის აბაზიანი ეჭირა. ეს იყო და ეს, ამ ვერცხლის აბაზიანის ანაბარა დარჩენილიყო სიკვდილის უსასრულო გზაზე დამდგარი. მერე პეტრე და დუსა შემოვიდნენ და კედლის გასწვრივ ჩარიგებულ სკამებზე ჩამოსხდნენ ერთმანეთის გვერდით. მალე ანეტაც შემოვიდა და მოპირდაპი-

რე კედელთან დაჯდა, ცალკე, თავისთვის. ჩუმად ისხდნენ. სარდიონი ეზოში იყო. დუსამ მოატყუა, შენი დოლი ეზოში დავმალეო და ახლა გალავანს მიუყვებოდა ხელის ცეცებით, აღნავლებული, აკვნესებული, დორბლიანი.

— არ გავაგებინოთ სოფელს? — თქვა პეტრემ.

ანეტამ და დუსამ ერთმანეთს შეხედეს. ანეტას ნირიც არ უცვლია, მშვიდად იმზირებოდა, დედის შავ კაბაში ჩაკარგული. დუსამ ცოტა ხანს უყურა, მერე ნელა წამოდგა, დაღლილივით, თან თმას იშლიდა, თითქოს დასაწოლად ემზადებაო, აივანზე გავიდა და ცივი, გამყინავი ხმით აკივლდა.“ ანეტას კანი აებურძგნა.

— მამა... მამაჩემო — ამოიზლუქუნა პეტრემ.

ხალხმა დღისითვე დაიწყო დენა. მაკაბელების რკინის ალაყაფი ბოლომდე იყო მოღიავებული. ეზოში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. „რა კეთილი... რა ვაჟკაცი, — იძახდა გარეგინა. გლეხებს მზეზე გამოხუნებული პერანგები ეცვათ, თუშური, ასევე გამოხუნებული ქუდები ეხურათ და შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდათ ჩატანებული. მძიმე, უხეში ხელები ცერა თითებით ჩაემაგრებინათ ქამრებში, როგორც სამეურნეო იარაღები.

მზის პირისპირ დგომისაგან ერთნაირად დანაოჭებოდათ პატარა ქოჩრების ქვეშ შეყუჟული შუბლები, ერთნაირად დაშაშვროდათ ხორკლიანი, ჯიუტი ყვრიმალები. ერთი დედმამის შვილებსა გავდნენ.

— ვინ იცის, მთელი სოფლის ქათმები შენს დუქანში არიან ახლა, — თქვა ერთმა, გარეგინას გასაგონად, ისე რომ გარეგინასკენ არც გაუხედავს.

— არხეინად იყავი, მიხედავენ, — უპასუხა გარეგინამ და რატომღაც ეზოს მეორე ბოლოში თვალით დაუწყო ვიღაცას ძებნა. შეიძლება, უნებლიე მღელვარების დასაფარავად.

— როდის იყო, ქათამი მარილს კენკავდა, — თქვა მეორემ.

— ქათამი ბრმაა, ოქრო რომ დაუყარო, იმასაც აკენკავს, — უპასუხა საუბრის დამწყებმა.

— იცით რას გეტყვით? საქმე ნახეთ. — თქვა გარეგინამ და თვითონვე გაეღიმა, — ამის ღირსი კი, ნამდვილად არ იყო, — ხელი მიუშვირა სარდიონს, — გინახავთ ეგეთი რამე? ჰა? თქვენ გეკითხებით, გინახავთ-მეთქი ეგეთი რამე?

არავის არ უპასუხნია, ახლა ყველანი სარდიონს უთვალთვალებდნენ. „მინნნნდაააა“, — ღნაოდა სარდიონი და გალავნის გასწვრივ მიცოცავდა, თითქოს კედელზე გალურსული, მზეს მიფიცხებული ჯოჯო დაუნახავს და იმას ეპარებაო.

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ურუქიც მალე შეეგუა ქაიხოსროს სიკვდილს. ერთადერთი, ვინც გულით განიცადა ეს სიკვდილი, ალბათ, ზოსიმე მღვდელი იყო. ეზოში რომ შემოვიდა, ურუქელებს გაუჭირდათ მისი ცნობა, უცებ მოტეხილიყო, დაბერებულიყო, ძლივს აიტანა ფეხები კიბეზე. „გაანათლე, უფალო, მაგრამ ვინ? — ფიქრობდა იგი. — იყო და არა იყო რა. ვართ და არცა ვართ. ვართ და არ ვიცით, რომ ვართ. ვართ და არ ვიცით რა გვქვია?“ — ფიქრობდა იგი.

— საოცარია, საოცარია. — უთხრა კარში შემოგებებულ პეტრეს.

„რაღა საოცარია, დალოცვილო, ცას ხომ არ გამოეკერებოდა“, — გუნებაში უპასუხა პეტრემ. — როგორ უყვარდით, მამაო... — უთხრა ხმამაღლა.

მაგრამ, თითქოს ზოსიმე მღვდელს ენამ უყივლაო, კიდევ ერთი საოცარი ამბავი მოხდა მაკაბელების სახლში. მეორე დილით, ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზედაც ქაიხოსროს ცხედარი ესვენა, ცარიელი დაუხვდათ. სახარჯო აბაზიანი ნოხზე ეგდო, ხოლო შავი ნაჭერი, რითაც ყბები ჰქონდა ცხედარს აკრული, კიბეზე იპოვეს. მკვდრის გაცოცხლებასა და გაპარვას უფრო დაიჯერებდნენ, მაგრამ რას იფიქრებდნენ, ვინმე თუ მოპარავდათ მკვდარს.

— ისევ თქვენიანი თუ მოიპარავდა ვინმე. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ძველებურად ააჟუჟუნა თვალები, თითქოს გაახალისა მეგობრის ახალმა და მოულოდნელმა თავგადასავალმა, დიდი, შეშუპებული ხელები მუხლებზე გადაჭიმულ ანაფორაზე ეწყო. ნელ-ნელა უმშვიდდებოდა ჩქარი სიარულისაგან დარღვეული სუნთქვა. — წყალი დამალევინე, შენს გაზრდას. — უთხრა ანეტას, სახე ალანძვოდა და მხოლოდ თმის ძირებში შერჩენოდა ბებრული ჭორფლიანი სიფერმკრთალე, როგორც თოვლი ჩარჩება ხოლმე მზისთვის მიუდგომელ გრილოებში.

მოშვებული იჯდა სკამზე და მძიმედ სუნთქავდა. ეს ამბავი რომ გააგებინა პეტრემ (როგორც კი პეტრე დაინახა, გულმა რეჩხი. უყო, იგრძნო, რაღაც არაჩვეულებრივს შეიტყობდა ერთი წუთის მერე, და ისიც იგრძნო, გუშინდლიდან ამის მოლოდინში რომ იყო თვითონაც, თითქოს გული სწყდებოდა, თითქოს არ შეიძლებოდა, ასე ჩვეულებრივად წასულიყო ამ ქვეყნიდან მისი მეგობარი, ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არა მარტო სიკვდილს, არა მარტო მეორე ადამიანს, არამედ საკუთარ თავსაც ემალებოდა და ალბათ. ყველაზე დიდი მისი საწუხარი ის იყო, ადამიანად რომ გააჩინა ღმერთმა), ყმაწვილივით გახალისდა, ყმაწვილივით აღეგზნო უცებ, თითქოს მეორე ყმაწვილმა მდინარეში მობანავე გოგოების სათვალთვალოდ წასვლა შესთავაზაო. პეტრე ძლივს ეწეოდა, ყოყოჩი სემინარიელივით მიაფრიალებდა ჩრჩილით გამოჭმულსა და ბირკააკრულ ანაფორას ორღობეში, თუმცა იცოდა, მკრეხელობა რომ იყო მისგან ასეთი სულსწრაფობა, ასეთი მოუთმენლობა, რადგან სასწაულის სანახავად კი არ მოდიოდა, არამედ, სეირისა. — მადლობთ. — უთხრა ანეტას და ჭიქა ჩამოართვა. მადლობთო, ერთხელ კიდევ უთხრა, როცა ჭიქა დაცალა, მშვიდად, ეშმაკურად მომღიმარმა და ჭიქა გვერდით დაიდგა ცარიელ სკამზე. შეორთქლილ ჭიქას მისი მსხვილი თითების ანაბეჭდები შერჩენოდა. — თქვენიანი მოიპარავდა, — გაიმეორა უშფოთველი ხმით და გულუბრყვილოდ მიაჩერდა პეტრეს, მუშტს რომ ისრესდა გამალებული, თითქოს ეს წუთია, ვიღაცისთვის ანდა რაღაცისთვის დაურტყამსო.

— რას ამბობ, მამაო, ქურდი რომ მოსულიყო, აბაზიანს რატომ დატოვებდა, შეუშლიდა, დაამძიმებდა თუ აწყენდა? — გაცხარდა პეტრე.

— აბაზიანსაო? მეტი, გაცილებით მეტი დაგიჯდება, შვილო ჩემო, მამის ცხედრის უკანვე დაბრუნება, ხოლო უფრო ზუსტად ცხედრის ქურდი გეტყვის თვითონ. ფული ჯიბეზე იქონიე, ზედმეტად რომ არ გაისარჯო, — თქვა ზოსიმე მღვდელმა იმავე უშფოთველი ხმით და ანეტას გაუღიმა, თითქოს მოუბოდიშა, მეც იძულებული ვარ, შენი თანდასწრებით რომ ვლაპარაკობ ასეთ სისაძაგლესო. ანეტა დაძაბული უსმენდა. უფრო მაღალი, უფრო გამხდარი და უფრო ფერმკრთალი ჩანდა დედის შავ კაბაში. თავადაც გაუღიმა ზოსიმე მღვდელს, დაბნეული, წამიერი ღიმილით, თითქოს დაუდასტურა, აქ რომ იყო, გულისყურით რომ უსმენდა და, რაც მთავარია, არაფერში რომ არ ადანაშაულებდა მას. — ძმასთან აპირებს ალბათ წასვლას და ფული დასჭირდა. — გააგრძელა ზოსიმე მღვდელმა. ანეტას მიმართავდა. ანეტამ თავი დაუქნია, ძლივსშესამჩნევად, უნებლიეთ. — ფულის თხოვნასა და თავის დამცირებას, ისევე ეს გზა ამჯობინა, ტანჯვის გზა. — ისევ ანეტას მიმართავდა, თითქოს სხვა არც არავინ იყო ოთახში. ანეტაზე ზრუნავდა, ამშვიდებდა, ეხმარებოდა კიდევ ერთი არაბუნებრივი ტკივილის გადატანაში, რადგან ამ პატარა, სუსტსა და სუფთა არსებას იქამდე არ გაქრობოდა გაგებისა და მიტევების უნარი, სანამ რამეში გაერკვეოდა, სანამ მისთვისაც. ჩვეულებრივობის იერს მიიღებდა ცხოვრების სიმკაცრე და დაუნდობლობა, — გამწარებული იყო ალბათ. არავინ არ იცის, რას მოიმოქმედებს გამწარებული ადამიანი. რამეთუ რაოდენსა — იგი მამაი იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს.

— ალექსანდრეს წაუღია... გესმის, ქალო? — მხარი წაჰკრა პეტრემ დუსას. — ხო. ალექსანდრეს მოუპარავს. შენი ლაპარაკიდან ასე გამოდის, მამაო, არა? — დაიხარა მღვდლისაკენ. მუშტი ისევ მეორე ხელის პეშვში ჰქონდა მოქცეული. — და თქვენ, ღვთის მსახური, მზადა ხართ, გაამართლოთ კიდეც, რადგან თქვენი აზრით, საამისო მიზეზიცა ჰქონია. უფულობას გაუმწარებია, მასსავით დამთხვეული ძმა ჰყოლია სანახავი ციმბირში და რაკი უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებია, პაპის

გვამი მოუპარავს, რათა მერე მამას მიჰყიდოს და იმაში აღებული ფულით ნიორი და თბილი საცვალი ჩაუტანოს ძმას.

თანაც თვალს წყალი დაალევინოს, „ქვეყანა ნახოს. მამამისმა კი, წელებზე ფეხები დაიდგას და კაპიკი კაპიკს დააწებოს, წინასწარ მოიმარაგოს დასამარხი ფული და სიკვდილის წინ ისიც შვილებს მიუგდოს, როგორც ხორცის ნაჭერი — ძაღლებს, რათა დაუკბენავად, დაუგლეჯავად და გაუპამპულებლად შეასწროს საფლავში. ასე არაა? ასე არა ბრძანეთ? ან იქნებ მე დავყრუვდი, ქალო? — ერთი წამით მიხედა დუსას. — კარგია მე და ჩემმა ღმერთმა, ეკლესიაც თუ მკვლელსა და ავაზაკს ამართლებს, მეორედ მოსვლა დამდგარა და ეგაა.

— რამეთუ ვითარცა — იგი მამაი აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაი ჰნებავს, აცხოვნებს. მე კი არ ვამართლებ, ვიცავ. — მშვიდად თქვა ზოსიმე მღვდელმა, — მეცოდება და ვიცავ. — დაამატა ცოტა ხნის მერე.

— იცავს, გესმის, დედაკაცო? იცავს! — იყვირა პეტრემ.

— ღმერთო, ჩემი ცოდვით სავსევ, — ჭერს ახედა დუსამ.

— არ მერჩია, ჩემთვის ვგდებულიყავი თელავში?!

მაგრამ ახლა სინანულის დრო არ იყო, ამ ოჯახის რძალი ერქვა და ამ ოჯახის სიგლახეს პირველ რიგში მას დააბრალებდა ხალხი, მოვიდა და ყველაფერი აურდაურიაო, იმას კი არ იტყოდნენ, ეს რა ბედდამწვარი ყოფილა, რა ჯოჯოხეთში ჩაუგდია თავიო, ისევ ამას გაამტყუნებდნენ, ვინ იცის, რას არ დასწამებდნენ, მაგის შიშით, ცოცხლები კი არა, მკვდრებიც ვეღარ ჩერდებიან დამარხვამდე საკუთარ სახლში და უგზო-უკვლოდ ქრებიანო. ახლა კეთილი უნდა ენება და სინანული ცოტა ხნით გვერდზე გადაედო, ეს სიმწარეც მოეთმინა ღმერთისაგან და ურიის ვალში რომ, ჩავარდნილიყო, როგორმე უკანვე დაებრუნებინა მკვდარი მამამთილი. აბა, ღრეჭვას ხომ არ დაუწყებდა სამძიმარზე მოსულ ხალხს: მობრძანდით, მადლობლები ვართ, მაგრამ მიცვალებული შინ არ გახლავთო. იმ წუთას ყველაზე ძალიან ქმარი ეჯავრებოდა. გაწბილებული და შეურაცხყოფი-

ლი იყო, დაქირავებული მოტირალივით, რომელსაც თმა გააშ-ლევინეს, ლოყები ჩამოაბღორტნინეს და მერე უთხრეს გეხუმ-რეთო. არც ხუმრობის დრო იყო ახლა, რადგან უპირველეს ყოვლისა, მისი პატივმოყვარეობა ილახებოდა, პატივმოყვა-რეობა მეუღლისა, რძლისა და დიასახლისისა. მისმა დამწვარ-მა ქმარმა ქორწილისგან თავი დაიძვრინა, ვითომ დაგვცინე-ბენ, რაღა დროს ჩვენი ქორწილიაო, და ახლა მამამთილის კუ-ბოსთან ჩამოჯდომის საშუალებასაც უსპობდა, რათა მამამთი-ლის კუბოსთან ჩამომჯდარი მაინც ეღიარებინა ხალხს, რო-გორც მეუღლე, როგორც რძალი და როგორც დიასახლისი.

— რას კინკლაობ, ადამიანო? — უცებ გაცხარდა დუსა, — წაა-ოხრე ფული და წადი. როდემდე ვიყოთ ასე?! თქვენც წაყევით მამაო, გემუდარებით. — მოუტრიალდა ზოსიმე მღვდელს, — იქ-ნებ თქვენ უფრო მოარიგოთ... არც ერთს აღარ დაგვედგომება ამ ოჯახში. თქვენ ხომ გესმით? თქვენ ხომ ხვდებით, მამაო? — და ხელებზე მიეტანა საკოცნელად. შეაკრთო თუ შეაწუხა ქა-ლის უეცარმა აღტკინებამ, ზოსიმე მღვდელი ისეთი ფაციფუცით წამოდგა, ანაფორის სახელო ჭიქას წამოსდო და სკამიდან გად-მოაგდო. ჭიქა დაიმსხვრა. — ბედნიერებაში... თქვენი ჭირი წა-უღია, მამაო. — თქვა დუსამ, ისე რომ, პირი არ მოუშორებია მღვდლის ხელისთვის. — მოგვეხმარეთ... თავს ნუ მოგვჭრით, მამაო.

ორი საათის მერე პეტრე და ზოსიმე მღვდელი ცხრა კილო-მეტრით იყვნენ მოშორებული ურუქს, მონასტრის ეზოში იდ-გნენ, კვიპაროსების ძირას და მაროს აბდაუბდა ლაპარაკს უს-მენდნენ. შარაზე დროგი ელოდებოდათ. წამოსვლის წინ პეტ-რემ გომურში შეიხედა და სახედარიც რომ არ დაუხვდა ადგილ-ზე, საბოლოოდ ირწმუნა ზოსიმე მღვდლისა, მაშინვე დამორ-ჩილდა ბედს და რაღაცნაირი, გამაოგნებელი და გამომთიშვე-ლი სევდა შემოაწვა გულზე. უცებ ყველაფერი სულერთი გახდა მისთვის. თითქოს ესეც ჩვეულებრივი ამბავი იყო, საკუთარი მამის გვამის შესასყიდად რომ მიდიოდა საკუთარ შვილთან. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ორივე ხელით დროგის ფიცარს! ჩაფრენილი, ჩუმად იჯდა და ჩუმად ინჯღრეოდა. არაფერი ესმო-და, დროგის რახრახის მეტი და ვერაფერს ხედავდა, მღვდლის ანაფორის კალთის გარდა, რომელსაც ნელ და ჯიუტად ედებო-

და ნაცრისფერი მტვერი. სამაგიეროდ, ისეთი არავინ შეხვედრიათ გზაზე, მათკენ თავი რომ არ მოეტრიალებინა და კარგა ხანს არ გაეყოლებინა თვალი. იმათ, ალბათ, დროგზე მჯდარი მღვდელი აოცებდათ, მაგრამ თვითონ მღვდელი, ასევე — პეტრეც, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ერთის ანაფორისა და მეორის სერთუკისთვის რამდენად შესაფერი იქნებოდა, უხეში, გაურანდავი ფიცრებით შეკრული დროგით მოგზაურობა მზისით, მთელი ქვეყნის დასანახავად, დროგის ძირი, ვინ იცის, როდინდელი, ფიცრის ბზარებში, ვინ იცის, რამდენჯერ ჩაცვენილი და განუწყვეტელი ბიძგებისაგან უკანვე რამდენჯერვე ამოცვენილი ნამჯის ოქროსფერი ხიწვით იყო მოფენილი, მაგრამ უკეთესი უცებ სხვა ვერაფერი იშოვეს, თანაც გვამს დროგი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფაეტონი. პეტრეს ბოლომდე არ განელებია ყველაფრისადმი განურჩეველი გულგრილობა. მოწმესავით შეჰყვა ზოსიმე მღვდელს მონასტრის ეზოში და ახლაც მოწმესავით იდგა კვიპაროსების ძირას. მაროსაც თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს მარო შემთხვევით გადაჰყროდათ და არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ ქალთან არც ადრე და არც ახლა. მაროს ლაპარაკს კი არ უსმენდა — მაროს ვერც აკავშირებდა იმ საქმესთან, რომლისთვისაც ამოდენა გზა გამოევლო, ქარიან ამინდში ხის კენწეროზე დასკუპებული ყვავივით მოძიგძიგესა და მოყანყალეს, — იდგა და ელოდა, როდის მოიშორებდა. ზოსიმე მღვდელი ამ ბრიყვსა და ბინძურ დედაკაცს და, საერთოდ როდის მოამთავრებდა საქმეს. წლების მანძილზე, თანდათანობით გულგრილობაში გადაზრდილი სიძულვილით ელოდებოდა, როგორც ბაზარში წამოყოლილი მსახური ელოდება ხოლმე თავის ბატონს, რომელიც ყველა ძაღლსა და მამაძაღლს უჩერდება, ყველა ძაღლსა და მამაძაღლს უმოწმებს და უწუნებს საქონელს, თუმცა გონებაში სულ სხვა რამის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი და იმისკენ მიიკვლევს გზას, გზადაგზა და მუქთად იწაფება ვაჭრობაში, რაც იქ უნდა გამოადგეს, მისთვის საჭირო საქონლის შეძენისას.

— რატომ არ მისმენ, შვილო. — უთხრა ზოსიმე მღვდელმა მაროს. — გავიგეთ, რომ ძინავს. გავიგეთ, რომ წუხელ თეთრად გაგათენებინათ ღამე, არც თვითონ მოისვენა და არც თქვენ მოგასვენათ. გავიგეთ, რომ მთელი ღამე პაპამისის ცხედართან

გატირა. მადლი გიქნია, შვილო, და ღმერთი გადაგიხდის, მაგრამ ახლა ჩვენიც შეისმინე. წადი, გააღვიძე და უთხარი: მამა გელოდება-თქო, — ხელი პეტრეს მიუშვირა, — მამა, მამა გელოდება-თქო.

— ვიცნობ, განა არ ვიცნობ. მივესალმე კიდეც. — თქვა მარომ და პეტრეს ალმაცერად გახედა.

— ხოდა, თუ იცნობ, შეასრულე, რასაც გეუბნები. — გაწყრა ზოსიმე მღვდელი.

— თქვენ გააღვიძეთ, თუ კარგია. განა არ ვიცი, მე დამეტაკება ისევ. ისემც მე ვიხარო. — თქვა მარომ. — ხორცები სულ დაჩეჩქვილი მაქვს, იტირე და იტირეო, მუჯლუგუნითა მცემდა მთელი ღამე. განა არ მეტირებოდა, ახლაც მეტირება, მაგრამ დავიღალე, ხალხნო. უბედურო ქაიხოსრო, მიწას როგორ უნდა შეაჭამო შენი ოქროს ეპოლეტებიიი. — ტირილით დაამთავრა მარომ, — გაჩუმდი, გაჩუმდი. — გაუწყრა ზოსიმე მღვდელი.

— გული რომ არ ჩუმდება?! — ამოისლუკუნა მარომ. — პირველად ცოცხალი მეგონა. მკვდრის მეტი რა მინახავს, მაგრამ მაინც მოვტყუვდი. ვირზე იჯდა. იმანაც, სტუმარი მოგიყვანეთო, წამოგვყარა ლოგინიდან. ვაი, მამი, მოგვეჭრა თავი, ხელმწიფის ტოლა კაცი გვესტუმრა-მეთქი, ვეუბნები მამაჩემს. იმას კი, ისევ სძინავს, ფეხზე დგას და სძინავს, ზეზეულად. დიდი ხანია მოჭრილი გვაქვს თავი მეცა და შენცაო, არაკუნებს თავისებურად. ჭრაქი გავიტანე და რას ვხედავ, მკვდარია, თანაც დიდი ხნისა, ისემც მე ვიხარო. არ ვიცი, წუხანდელი ღამე თუ დამავიწყდება.

— მერე სხვისთვის გამზადებულ კუბოში ჩააწვინეთ და თავთით სანთელი დაუნთეთ. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— მამაჩემმა სხვას გაუკეთა. ხვალ უნდა მოვიდნენ წასაღებად, წუხელ კი ჩვენი მკვდარი ჩავაწვინეთ შიგ. ცოცხალი მოსულიყო, ლოგინს დავუგებდით, ისემც მე ვიხარო. — თქვა არომ, — კარგი, გეყოფა. რამდენჯერ უნდა თქვა ერთი და იგივე.

ახლავე თუ არ დაუძახებ ალექსანდრეს... — ზოსიმე მღვდელს თითის დასაქნევად აწეული ხელი ჰაერში გაუჩერდა, რადგან სწორედ ამ დროს ალექსანდრე გამოჩნდა ბილიკზე.

— ეგე, მობრძანდება. — თქვა პეტრემ და პირველად თავის სიცოცხლეში ააღელვა შვილის დანახვამ.

არაფერი ეტყობოდა გამოძინებული კაცისა, ჩასისხლიანებული თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ყვრიმალები ულაპლაპებდა, ავად მოაქანებდა ერთადერთ მკლავს, უხეშად ხმელი, უხეშად აწოწილი, უხეშად პირქუში; საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, — უნებურად იფიქრებდა მისი შემხედავი კაცი. არ არსებობს, მამაო, ჩემთვის მიტევება. — დაიყვირა შორიდანვე. მოდიოდა და ყვიროდა, — არცა ვთხოულობ, არცა ვნანობ, არც არავის მეშინია. — ჯიქურ მოდიოდა. მაროს ისე წაჰკრა ხელი, ისე ჩამოიშორა გზიდან, თითქოს გამშველებელი იყო, წინ უპირებდა ჩადგომას, ანდა თითქოს ადგილი არ ეყოფოდა და მაინცდამაინც მაროს ნადგომზე უნდა დამდგარიყო. „ჯერ კიდევ მთლად ბავშვია, — გაიფიქრა ზოსიმე მღვდელმა. — რცხვენია და ის აწუხებს, რომ რცხვენია“. ახლა ერთმანეთისგან ორ ნაბიჯზე იდგნენ (ალექსანდრეს მამისათვის არც შეუხედავს), ერთმანეთის სუნთქვაც ესმოდათ.

„მე არ მელოდებოდა. ჩემი დანახვა არ ესიამოვნა. უჩემოდ უფრო იოლად გამონახავდნენ. საერთო ენას. მამამ კი მოწმე მოუყვანა. არასოდეს არ დაუვიწყებს ამას. რაც დრო გავა, უფრო შერცხვება, უფრო დაიტანჯება“, — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი.

— მე მხოლოდ აღთქმა შევასრულე, მამაო, — თქვა ალექსანდრემ დახეული ხმით, თითქოს ზოსიმე მღვდლის ფიქრი ამოიცნოო.

— ჯოჯოხეთში ჩაიგდე, შვილო, თავი. ჯოჯოხეთში. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მაგას გერჩია...

— მე ვიცი, რაც მერჩია, მამაო, — გააწყვეტინა ალექსანდრემ.— არც ჯოჯოხეთის მეშინია! — იყვირა უცებ. — ჩემთვის

ყველგან ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთში გამაჩინა ღმერთმა, თქვენთან ერთად, რადგან სამოთხე ჯერ გასაშენებელი აქვს, ჯერ სამოთხისთვის ვერ მოუცლია. კაცმა რომ თქვას, ვისთვის უნდა გააშენოს სამოთხე? — გაიცინა ალექსანდრემ ღვარძლიანად, გამომწვევად.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ღმერთს ნუ სცოდავ, — გაუწყრა ზოსიმე მღვდელი. — შენ სხვასთან რა ხელი გაქვს? ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც, გააჩნია, ვინ რას აირჩევს.

— განა ასეა საქმე? განა არჩევის უფლებაცა გვაქვს? — გაიკვირვა ალექსანდრემ.

— გააჩნია, ვინ რას აირჩევს. — გაიმეორა ზოსიმე მღვდელმა, თითქოს უკანვე დაიბრუნა ნათქვამი, რათა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა მისი სისწორე, სანამ სამუდამოდ მოიშორებდა.

მაშინ... მაშინ, რა გინდათ ჩემგან? მაშინ, არავის არ ჰქონია ჩემი დასჯის უფლება. — თქვა ალექსანდრემ ცხარედ, სიმართლის დადგენის სურვილით შეპყრობილი ბავშვივით. — მაგრამ თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ასე რომ არ არის. — მოეშვა უცებ. ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ ყველანი, თითქოს კვიპაროსის დაბურულ ტოტებში აჟივჟივებულ ჩიტებს უსმენდნენ.

— ადამიანი იმას კი არ ირჩევს, რაც მას უნდა, — თქვა მშვიდად, ფიქრიანად, — არამედ, იმას თანხმდება, რასაც თავზე ახვევენ... ანდა იღუპება. მეც ვიღუპები, მამაო, დავიღუპე, უფრო ადრე დავიღუპე, ვიდრე გავჩნდებოდი, რადგან არ შემეძლო ამერჩია, ვისგან გავჩენილიყავი, სად და როდის. — დაიღუპე, მაგრამ სამარცხვინოდ. — უპასუხა ზოსიმე მღვდელმა. — სრულებითაც არ არის აუცილებელი, სამარცხვინოდ დაიღუპოს ადამიანი.

— მე სხვანაირად არ შემეძლო და ესეც ჩემზე უკეთესად იცით თქვენ, მამაო, — ისევ გაცხარდა, ისევ აღეგზნო, ისევ ეშმაკთან ღამეგათეულს დაემსგავსა ალექსანდრე, — მე ხომ პირველივე ცელქობისთვის ქამრით მცემეს, რათა არაფერი ჩამედინა ცელქობაზე მეტი; ბავშვობაშივე მომწყვიტეს მკლავი, ღო-

რის გულისთვის, რათა ფიქრშიაც ვერ შემებედა ღორზე დიდი და ძლიერი არსებისთვის; მე ხომ ძმა წამართვეს, მამაო, რათა არასოდეს არ მცოდნოდა, რა მინდოდა, რა შემეძლო, რას ჩავდიოდი. კი არ წამართვეს, გამარიდეს, როგორც კეთროვანს, რათა შურითა და ტანჯვით მეფიქრა მასზე, ის შემძულებოდა და არა ნამდვილი მტერი. იმას წერილებს წერდნენ, სიყვარულითა და ნატვრით იგონებდნენ, ჩემს დანახვაზე კი საკუთარ დედას ებრიცებოდა ტუჩები. იმით თავი მოსწონდათ, მე კი მხოლოდ მიბრალებდნენ, მიტანდნენ და მინახავდნენ სამადლოდ. ვიღაცა უნდა მომეკლა, ვიღაცა უნდა მომეკლა, დაღუპვას რომ გადავრჩენილიყავი, მთლად რომ არ ჩავფლულიყავი შურისა და სიძულვილის ჭაობში. ვიღაცა კი არა, პაპაჩემი უნდა მომეკლა, რადგან პაპაჩემს ჩამოვყევით ჩვენც საიდანღაც. პაპაჩემმა მოგვცა დასაბამი. მაგრამ ვერ შევძელი, მინდოდა, ვნატრობდი, მაგრამ ვერ შევძელი, უძმოდ და უმკლავოდ, და ისევ ჭაობში ჩახრჩობა ვამჯობინე. — გაჩუმდა, მარო მოძებნა თვალებით. — ეს შევიბი კისერზე, როგორც თვითმკვლელი იბამს ხოლმე ქვას, წყალში გადავარდნამდე, ყოველგვარი საშუალება რომ მოისპოს გადარჩენისა. წუხელ კი, აღთქმა შევასრულე, მამაო, ბავშვობაში დადებული აღთქმა, ლოცვასავით ყოველ ღამე რომ ვიმეორებდი ძილის წინ, მკვდარი ვირზე უნდა შევსვა და სოფელ-სოფელ ჩამოვატარო-მეთქი. ვითომ შურს ვიძიებდი ამით, გალახული ბავშვობისთვის, დაკარგული ძმისთვის და მკლავისთვის. სინამდვილეში, კიდევ ერთხელ გავიცელქე. ეგ იყო და ეგ. ვთქვი და შევასრულე. რაში მენაღვლება, სიგიჟეა თუ სიჭკვიანე. ცუდი ისაა, ღამით რომ მოხდა ეს ამბავი და ხალხი არ გვიყურებდა. სამაგიეროდ, მე ვიჯერე გული. ოოოხ, როგორ ვიჯერე! რაც მე წუხელ ვისიამოვნე, მამაო, სიცოცხლედა ღირს. ერთი გენახათ, როგორ მიკუნტრუშობდა სახედარი, სახრე არ ჭირდებოდა, მირეკავდა თავისით. ხუმრობა საქმეა, მკვდარი მაიორი ეჯდა ზურგზე, მუნდირში გამოწყობილი, ეპოლეტებით მხრებდამშვენებული; მიციმციმებდა მთვარიანში. ის კი, მთვრალივით, ხან კისერზე გადააწვებოდა, ხან კი — გავაზე.

— გონს მოდი, გონს მოდი, უბედურო. — დაუყვირა ზოსიმე მღვდელმა.

— თქვას თავისი ფასი და გავათაოთ, — მოთმინებიდან გამოვიდა პეტრეც. — ტყუილუბრალოდ დროს ნუ გვაკარგვინებს. მერე აზრიც არა აქვს ჩატანას.

— ფასიო? რისი ფასი, მამაჩემო? — გაკვირვებულმა შეხედა მამას ალექსანდრემ, თითქოს პირველად მაშინ დაინახა იგი.

— ისიც მოახსენე, რომ მამაჩემს პატრონი ყავს და არაფერი გასჭირვებია სხვის კუბოში ჩასაწოლი. — თქვა პეტრემ.

— მართალს ამბობს. იმდენი კი დაიმსახურა უბედურმა ქაიხოსრომ, ადამიანურად რომ დაგვემარხა. — ხმა აუთრთოლდა ზოსიმე მღვდელს. — ნუ გავაცინებთ ქვეყანას. შერიგდით... მორიგდით. — ძლივს ამოთქვა გაბზარული, ნირწამხდარი ხმით, რადგან უკვე მიხვედრილი იყო, რა სისულელე ჩაედინა, რა სახარელი ბრალდება გამოეტანა ამ ცალხელა და უბედური კაცისთვის, რომელიც ბრმა შურისმაძიებლად ექცია ბედის უკუღმართობასა და სისასტიკეს, მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების სურვილით იყო აღგზნებული და იმდენად აინტერესებდა ფული, რამდენადაც მისი ასავალ-დასავალი აინტერესებდა სხვას, სხვას კი არა, თუნდაც მამამისს.

ეს კაცი საკუთარი სიმახინჯისა და უმწეობის წინააღმდეგ იყო ამბოხებული, ესენი კი, კიდევ უარესად უპირებდნენ დამახინჯებას, უარესი სივერაგით უპირებდნენ დაკნინებასა და გათელვას, რადგან ჰაიჰარად, დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად დასწამეს ის, რასაც თვითონ ალბათ გუნებაშიც არ გაივლებდა, გინდაც ათი სიცოცხლე ეცხოვრა, თუნდაც იმიტომ, რომ მას თავისი, განსაკუთრებული ანგარიში ჰქონდა ქვეყანასთან, რომელიც ფულით კი არ სწორდება, არამედ სისხლით. ამ კაცისთვის მიტევება არ არსებობდა, როგორც თვითონვე თქვა, გვამის შემგინებელს ვერავინ გაამართლებდა, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის გვამი, მაგრამ არც იმის უფლება ჰქონდა ვინმეს, ბრალდება შეეცვალა მისთვის, სიძულვილითა და სიგიჟით ჩადენილი ანგარებამდე დაემდაბლებინა.

— და მე ფასი უნდა დავადო ცხედარს? ცხედარი უნდა მოგყიდოთ? — ისევ ზოსიმე მღვდელს მიუბრუნდა ალექსანდრე. ზოსი-

მე მღვდელმა თვალი ვეღარ გაუსწორა, ისე საბრალობლად, ისე საცოდავად უცახცახებდა ქვედა ტუჩი.

— კარგი, რა ამბავში ხარ! — უნდილად შეეცადა მის დამშვიდებას, — მამაშენი არაფერ შუაშია. ხომ გაგიგია, ერთი სახარება მღვდელსაც შეეშლებაო.

— გესმის, მარო? — კვიმატურად აუციმციმდა ალექსანდრეს თვალები, — ეგე, თუ არ არის სიკეთე და დიდსულოვნება! იმის მაგივრად, რომ ძაღლები მოგვიქსიონ, ჩაგვქოლონ, თოკზე დაგვკიდონ, კიდევ ფულსა გვთავაზობენ. ხომ გინდა ფული? შენც ხომ გიყვარს ფული? ვითომ ვისზე რა ნაკლები ხარ, ფული რომ არ გიყვარდეს და ფულის ყადრი არ იცოდე. მიდი, ემთხვიე კალთაზე. ჩემს მაგივრადაც. არ იფიქრონ, მთლად წყალწაღებულები ყოფილანო, მადლობის თქმაც არ სცოდნიათო. ემთხვიე-მეთქი! — უყვირა მის ზურგს უკან მდგარ მაროს. მარო რწევით წამოვიდა, მაგრამ ალექსანდრემ მაშინვე მკლავით გადაუკეტა გზა. — მოიცადე. მაგასაც მოესწრები. ახლა ჩვენც გვაცალე, მამაო, სიკეთისა და დიდსულოვნების გამომჟღავნება, — უტიფრად გაუშტერა კვიმატურად აციმციმებული თვალები ზოსიმე მღვდელს, რომელიც, ცოტა არ იყოს, დამფრთხალი იყურებოდა, მართლა არ მომიქსიოს მაროო. — როდის იყო, ოსტატი შეგირდს ფულს უხდიდა? პირიქით, სულ მე უნდა გიხადოთ ფული. თქვენ ისეთი რამე მასწავლეთ, ვერასოდეს ვერ ამოვალ თქვენი ვალიდან, ამის მერე, რამდენ გვამსაც გავყიდი, იმდენი წილში მეყოლებით. პაპაჩემი კი, მიჩუქნია, მუქთად წაიღეთ, კუბოიანად, სანთლებიანად... ის კი არა, ვირის ქირაც ჩემზეა. ეგრე მოახსენეთ მამაჩემს. — უცებ უხმო, შემაზრზენი სიცილი აუვარდა, ერთადერთი მკლავი კვიპაროსის ხეს მიაბჯინა და, სახედამანჭული, მთელი ტანით ძაგძაგებდა, იკრუნჩხებოდა, თითქოს ძალით ირევდა გულს. — შენ მაინც რატომ არ დამინდე, მამაო? შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია? — ამოაყოლა სიცილს.

— არღაცა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა.— თქვა ზოსიმე მღვდელმა, როცა მედროგემ ცხენები ურუქისაკენ მოატრიალა.

ქაიხოსროს ქელეხში სარდიონმა იმდენი ჭამა, ყველას მადა დაუკარგა თვითონ კი, დოლზე გავარჯიშებულ ხელებს გასისინებულ მუცელზე იტყაპუნებდა და უფროსებისგან დარიგებული, გაიძახოდა: იფ, როგორა გავძეხი, ნეტავი მამაჩემიც მალე მოკვდებოდესო.

— სარდი, აქეთ მოიხედე, ბიჭო. კარგი ყოფილა ქელეხი?

— ექილიკავებოდნენ საჭმელზე გულამრეზილი და ღვინოს დაწაფებული მექელეხეები.

— კარგი ყოფილა ქელეხი. — იძახდა სარდიონიც და მერე ამატებდა: ნეტავი მამაჩემიც მალე მოკვდებოდესო.

— ნუ აძალებთ, ცოდოა, დამბლა მოუვა. — ეხვეწებოდა დუსა ხალხს.

მაგრამ შეზარხოშებული მექელეხეები მაინც სარდიონის ჯამში ცლიდნენ თავიანთ თეფშებს და ისიც, ძაღლური ფაცაფუცით, ღრენითა და კბილთა ღრჭიალით თქვლეფდა ერთმანეთში ახელილ ხაშლამასა და შილაფლავს, ლობიოსა და ღანძილს. დედამისი რომ დაუძახებდა, გეყოფა, შე სასიკვდილეო, ერთი წამით წამოყოფდა მხოლოდ თავს, როგორც წუწკმა და მხდალმა ძაღლმა იცის ჭამისას და მხოლოდ ერთი წამით გაირინდებოდა, უაზროდ მომღიმარი და ხორცის ნახარშით გულმკერდჩამოწუწული. ნიკაპი ქონისაგან უბზინავდა და ზედ ბრინჯის გასრესილი მარცვალი აჰკროდა. „მიდი, სარდი, მიდი“. — აქეზებდნენ აქეთ-იქიდან პეტრე მაკაბელის ახლად შეძენილ მემკვიდრეს, რომლის პირუტყვული მადა ყველას ლაზღანდარობისა და პამპულაობის ხასიათზე აყენებდა.

— თქვენ არხეინად იყავით, ეს უფრო გამომადგება, ეს მაინც ივლის ჩემს ჭკუაზე, — იძახდა შეზარხოშებული პეტრე. რაღაცნაირად ატაცებული იყო, ხალისიანი, თითქოს მამა კი არ დაუმარხავს, მძიმე ტვირთი მოუხსნია მხრებიდანო.

ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და ხან ვის გადაემხობოდა ბეჭებზე და ხან ვის: როგორ მიდის საქმე, ხომ არაფერი გაკლი-

ათო.

— შენი ამბავი რომ ვიცი, მაგ ქალს ერთზე არ გააჩერებ.

გამრავლოს და გადღეგრძელოს ღმერთმა. — ამოხედა გარეგინამ და თვალი ჩაუკრა. დახვეული და მარილზე დაწებული მწვანილი პირთან ჰქონდა მიტანილი. — — აღარ მოესწრება, თორემ ვინ ოხერი... — გაიცინა პეტრემ. მერე უფრო გადაიხარა სუფრისკენ და მარტო გარეგინას კი არა, ახლომახლო მსხდომთაც რომ გაეგოთ, გააგრძელა:

ხანდახან ისიც მავიწყდება, რისთვის შევიხსენი ხვანჯარიო. სიცილმა რომ იფეთქა, პეტრე მაშინვე გაეცალა იმ ადგილს, მომღიმარი, ხალისიანი, დაუზარელი და ყურადღებიანი მასპინძელი.

სარდიონს დამბლა არ დასცემია, მაგრამ არც ბევრი დაჰკლებია, ის ღამე სახლის უკან ეგდო მიწაზე, საკუთარ ნარწყევში და მისი კვნესა და გმინვა გათენებამდე აყეფებდა ურუქის ძაღლებს. არც დედამისს გაუხდია იმ ღამეს, კაბიანად, ფეხსაცმლიანად შეწოლილიყო საბნის ქვეშ, თითქოს სხვისას იყო თავშეფარებული და არ იცოდა, რა წუთას მოუწევდა ადგომა. ამაოდ უტრიალა გადატანილითა და ღვინით აღგზნებულმა პეტრემ მეუღლეს, დუსა ცივი და პირქუში იყო, როგორც ალყაშემორტყმული ციხე, რომლის ქონგურებიდანაც მოულოდნელად დაიქუხებს ხოლმე ზარბაზანი, დანებებულად ანდა მიტოვებულად რომ არ ჩათვალოს იგი მტერმა.

— მიეწიე მამაშენს. — მოულოდნელად შეაზრიალებდა სარკმლის მინებს დუსას ბოხი ხმა.

— ბარემ ისიც უთხარი, რომელს? ოთხად ხომ არ გაიჭრება ეგ უბედური. — ეძახდა ოთახის ხან ერთი და ხან მეორე კუთხიდან გაწბილებული, აღრენილი და თეთრ მოჩვენებასავით აბორიალებული პეტრე.

მაგრამ დუსას იმ ღამეს პეტრესთვის არ ეცალა. მარტო მან იცოდა, ხვალიდან ერთადერთი ქალი რომ იქნებოდა ამ ოჯახ-

ში. მარტო მას უთხრა ანეტამ, მივდივარო, როცა სასაფლაოდან მობრუნდნენ, და იმის მერე, ვერ იქნა და ვერ ამოიგდო თავიდან ანეტაზე ფიქრი. სინდისის ქენჯნა კი არ აწუხებდა, ანეტა კი არ ეცოდებოდა, ბრაზობდა, ხელიდან რომ დაუსხლტა, გაუფრინდა, დაჭერილი ჩიტივით.

— მივდივარ. — უთხრა ანეტამ დუსას.

ისინი კიბესთან იდგნენ. ნახირივით ზანტად და ზლაზვნით შემოდიოდა ეზოში სასაფლაოდან მობრუნებული ხალხი.

— შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ, ჯერ ნუ იტყვი, ჯერ ნუ გააგებინებ მამაჩემს. ხვალამდე მაინც. — უთხრა ანეტამ დუსას. დუსას არც ახლა უპასუხნია. სახტად დარჩენილი, დაბნეული და დაეჭვებული შესცქეროდა სახეში. უცებ ანეტამ ლოყაზე აკოცა, მადლობელი ვარო, ჩასჩურჩულა ყურში და გაერიდა, ხალხში გაერია. თვალგაცეცებული მიიკვლევდა ხალხში გზას და წარამარა ერთნაირ, ერთნაირად მოღუშულსა და დაღლილ სახეებს აწყდებოდა. „აქ არ არის. არც სასაფლაოზე ყოფილა. არც სასაფლაოზე დამინახავს“. — ფიქრობდა ფაცაფუცით. დარწმუნებული არ იყო, მართლა რომ მოვიდა საგზაო ინჟინერი პაპამისის დაკრძალვაზე, თუმცა საკუთარი თვალით იხილა და საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ უთხრა.

პირადად მას: მოზიარე ვარ თქვენი მწუხარებისაო. ისიც ცხადად ახსოვდა, როგორ აღრიალდა, როგორ ღაპაღუპით წამოუვიდა თვალებიდან იქამდე გამშრალი თუ გაქვავებული.

ცრემლი, როგორც კი საგზაო ინჟინერი შემოვიდა ოთახში.

იქამდე ტირილი არ შეეძლო და არც ცდილობდა. უცხოსავით იჯდა პაპის კუბოსთან, ვიღაც შავოსან დედაბრებში ჩაკარგული, გამშრალი და გაკერპებული. დუსა ტიროდა. ის კი — არა.

დუსა ხმით ტიროდა, არ მაცალე, რომ მომეარნა, შვილობა რომ გამეწია შენთვისო, დაჰყვიროდა პაპამისს და დედაბრებიც ვიშვიშებდნენ, დუსას საქციელი მოსწონდათ, ამისი კი — არა. ამას ალმაცერად უყურებდნენ, ბრაზიანად, ბებრული, აწრია-

ლებული თვალებით კიცხავდნენ. მაგრამ, საგზაო ინჟინერი რომ შემოვიდა, ანეტამ ისეთი ღრიალი ასტეხა, დუსასაც ხმა ჩააწყვეტინა და გაოცებისაგან დედაბრებსაც დააღებინათ უკბილო პირები. ასე, დაკარგული, უცხო ხალხში მოხვედრილი ბავშვი შესტირებს ხოლმე მოულოდნელად გამოჩენილ მშობელს, ტირილში გადაეზრდება მოულოდნელი სიხარული, თუმცა სატირლად იქამდე ჰქონდა საქმე, სანამ მშობელი იპოვნიდა და წასაყვანად მოაკითხავდა. ცხადი იყო თუ მოჩვენება, ახლა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ საგზაო ინჟინერი არსებობდა, თანაც აქვე, აქედან ხუთ კილომეტრზე, და თუ იმან არ მოაკითხა ანეტას, ანეტა თვითონ მიაკითხავდა მას, რადგან სხვა აღარავინ ეგულებოდა უფრო ახლობელი, სხვა აღარავინ ეგულებოდა მისი.

მწუხარების მოზიარე. ეზოდან რომ გადავიდა, შარაგზის ცხელი და ფაფუკი მტვერი რომ იგრძნო ფეხქვეშ, უფრო გათამამდა, უფრო დარწმუნდა, სწორედ რომ იქცეოდა. „მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების, მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების, — ცდილობდა საგზაო ინჟინერის ხმისთვის მიებაძა გუნებაში და ხალისიანად, იმედიანად მიაბიჯებდა წნორისკენ, სადაც ის უნდა დახვედროდა, ძმების მაგიერი, მისი მწუხარების გამგები და მოზიარე. ფიქრსა და ოცნებაში იმდენჯერ ჰქონდა ეს გზა გავლილი, არც ახლა შეეშლებოდა. სულ ასე უნდა ევლო, სულ პირდაპირ, სანამ წყვილი კაკალი და პატარა ნასაყდრალი შემოხვდებოდა. მერე ბილიკზე გადავიდოდა, მინდორს გადაივლიდა და უკვე წნორში იქნებოდა. პირველსავე სახლში შეეძლო ეკითხა საგზაო ინჟინერი, რადგან წნორში ყველგან რკინიგზის მუშები ცხოვრობდნენ და ყველა მიასწავლიდა გზას. საღამოვდებოდა. სქლად დადებული, ფაფუკი და ჯერ კიდევ ცხელი მტვერი ფეხის ხმას ახშობდა, მუხლებამდე თეთრად შეფიფქვოდა დედისეული კაბა. აკაციის ხეზე ჩიტი უსტვენდა. პირველად იდგა დიდ გზაზე, მაგრამ გზისთვის ის არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ვერც იმის სიმძიმეს გრძნობდა და ვერც იმის შავ ლანდს ამჩნევდა, იწვა, ვერაგულად გატრუნული ფეხქვეშ, უკან, წინ, თეთრი და უსასრულო, მტვრის მდინარე, ჩავლილი, ჩათავებული, ჩამკვდარი ნაბიჯების სასაფლაო. ის კი, ხალისიანად მიდიოდა, თანდათანობით იძირებოდა გზის სი-

თეთრეში, გზის დუმილში, გზის სიღრმეებში, და ჯერ ისევ ბავშვი იყო, რადგან მშობლიური სახლის ჯიბრზე მიისწრაფოდა უცხო და იდუმალი ქვეყნისაკენ, რომელსაც ასე იოლად ვეღარ დააღწევდა თავს. საღამოვდებოდა.

13

რკინიგზა ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა წინ. აფეთქებების ხმა ახლა აღარავის ეშლებოდა ელიას ეტლის გრუხუნში.

უკვე ყველამ იცოდა, რომელ სოფლებზე გაივლიდა იგი და რომელს მოიტოვებდა გვერდზე. ურუქი გვერდზე რჩებოდა, ესეც უკვე დანამდვილებით იცოდნენ, მაგრამ იმდენი კი არ გააგებოდათ, გახარებოდათ თუ გული დაწყვეტოდათ.

ხალხს თუ დაეჯერებოდა, თითქოს რკინიგზა მხოლოდ იმ სოფლებზე გაყავდათ, სადაც თავადები და მდიდრები ცხოვრობდნენ.

მაგრამ რკინიგზამ ბევრი ისეთი სოფელიც გამოიყვანა სამზეოზე, იქამდე არც იცოდნენ, საერთოდ თუ არსებობდა.

ურუქს ხომ ვერც გაუტოლდებოდნენ, ვერც ადგილმდებარეობითა და ვერც სიდიდით. ურუქში რომ ხალხი ცხოვრობდა, ერთ ქალაქს გაავსებდა. ადრე თავადაც ქალაქი ყოფილა, მისი ნებართვის გარეშე ვერც ჯარი ჩაივლიდა თურმე გზაზე და ვერც ქარავანი, მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია, ურუქს რომ შერჩენოდა, და ისიც თანდათანობით სოფლად გადაქცეულა. მაგრამ წნორსა და სხვა მისნაირ სახელდახელოდ გამოჩეკილ სოფლებს მაინც ჯობდა, ქალაქი ერქვა თუ სოფელი ისევ მთავარ გზაზე იდგა და ვერც მტერი აუვლიდა გვერდს და ვერც მოყვარე. ურუქელი მოხუცები იმასაც ამბობდნენ, ჩვენი სოფელი ადამის გაშენებულიაო, თამარ დედოფალი მარტო აქაურ წყალსა სვამდაო, წყალს აქედან უზიდავდნენ სახედრებით თბი-

ლისშიო, მაგრამ რაც არ უნდა ეცრუათ და ეტრაბახათ ურუქელ მოხუცებს, წნორი კოღოების საბუდარი იყო მხოლოდ, როცა ურუქს ერთი ცხოვრება მოთავებული ჰქონდა. ყველაზე ხნიერი მოხუციც ვერ იტყვის, როდის აშენდა ურუქში ბოლო სახლი, ხოლო წნორში პირველი სახლები ახლა შენდება და თუკი ფიცრისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებულ ხუხულებს სათვალავში არ ჩავაგდებთ, ნამდვილი სახლი, ჩვენებური, ქვიტკირისა, ჯერ არცა დგას. გარდა ამისა, ურუქს თავადიცა ჰყავს (ვისზე რა ნაკლები გვარიშვილები არიან ვითომ მაკაბელები!), მღვდელიცა და ვაჭარიც, მაგრამ რკინიგზამ მაინც წნორი დააყენა წინ. „ნუ დააგდებ ძველსა გზასო“, — თავს იმშვიდებდნენ ურუქელები, მაგრამ გუმანითა გრძნობდნენ, გარიყვას რომ უპირებდათ ახალი ცხოვრება, მოკლედ, დიდი მითქმა-მოთქმა იყო არა მარტო ურუქში, არამედ მთელს კახეთში, მატარებელი ჯერ მხოლოდ გურჯაანამდე დადიოდა, მაგრამ გურჯაანს ზემოთაც იცოდნენ, ვისთვის ვენახი მოეშალა და ვისთვის სახლი, ვისი ძროხა გაეტანა და ვისი ცხენი. რკინიგზა კი, წინ მოიწევდა, მოიკლაკნებოდა და მძიმედ, მტკივნეულად მკვიდრდებოდა ბაღვენახებში ტრიალს, ურემსა და სახედარს მიჩვეული კაცის შეგნებაში, რკინის ურჩხულივით იწვა ხრეშის დატკეპნილ ბორცვზე, ავად გალურსული, ავად მბზინავი, განუწყვეტლივ მზარდი და, ამიტომაც გამოუცდელი თვალისთვის უძრავი, უცვლელი, ერთფეროვანი. იჩეხებოდა ტყე, იხეოდა მიწა, იპობოდა ქედი, რადგან მაინც ვეღარაფერი შეაჩერებდა ამ უსახო, უკიდურებო არსებას, რომელსაც, თითქოს აზრი კი არ წარმართავდა, არამედ — ზნე. ბუნება სახეს იცვლიდა., ახლა ტყიანი ფერდობების ნაცვლად, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გატყავებული ხორცისფერი ფლატეები, გამოკაფული, გამომჭკნარი ჭალები, კუდმოკვეცილი მინდვრები და სახელდახელოდ, გამომპალი ფიცრებითა და ჟანგიანი თუნუქის ნაჭრებით შეკოწიწებული ქოხმახები, ფარდულები, ჯიხურები, რკინიგზას მიჩერებულნი მბჟუტავი, ძონძებჩამოფარებული ფანჯრებით, რკინიგზას მოყოლილნი და რკინიგზას მიტმასნილნი, როგორც ლეკვები — დედის მუცელს. მაზუთის გუბეებსა, ქვანახშირის ბორცვებსა გვერდმშეჭყლეტილ კასრებსა და დანჯღრეულ ურიკებს შორის ახალი სიცოცხლე იკიდებდა ფეხს, გზადაგზა ჩასახული, გზადაგზა გაჩენილი და გაზრდილი. არც ღმერთი ერია და არც კაცი მათ გაჩე-

ნაში, რკინიგზის საშოდან დაბადებულნი, რკინიგზის ანაბარა დარჩენილიყვნენ, მაგრამ უიმათოდ ვერც რკინიგზა მოიცვლიდა ფეხს, იმათი დაგებული იყო ამოდენა ხე და რკინა, იმათი მოზიდული იყო ხრეშისა და ქვანახშირის ზვინები. არც აღურიცხავს და არც სათვალავში ჩაუგდია ისინი ვინმეს. მხოლოდ და მხოლოდ ამ რკინის ვიწრო და უსასრულო ზოლის მეშვეობით ინარჩუნებდნენ არსებობის უფლებას და სრულებითაც არ ადარდებდათ, რომელ ცისქვეშ დაძინებულნი, რომელ ცისქვეშ გაახელდნენ თვალს. ისინი ყველგან შინ იყვნენ, თუკი ფეხქვეშ ლიანდაგის სიმტკიცეს გრძნობდნენ და ლიანდაგის სუნი სცემდათ ცხვირში.

ამ სუნით გაჟღენთილნი, ამ სუნის განუყოფელი ნაწილნი, უფესვონი და უწარსულონი — ბრმად, უსაზღვრო ნდობით მიჰყვებოდნენ რკინის ნაკარნახევ გეზს, რადგან არც დრო ჰქონდათ და არც უნარი უკან შემობრუნებისა, თუმცა უკანაც ის იყო, რაც წინ: რკინის ტყუპი ზოდი და ამ ზოდებს შორის მოქცეული, ნაცრისფერი, უნაყოფო მიწა. მათ არსებობას რკინა და განუწყვეტელი მოძრაობა ედო საფუძვლად და, ამიტომაც, თავისებური, უფრო სწორედ ნაჩქარევი, დაუზუსტებელი წარმოდგენა ჰქონდათ დანარჩენ სამყაროზე. მატარებლის სარკმლიდან მოწყვეტილი ფოთოლი საკმარისი არ იყო ბუნების საიდუმლოებათა ამოსაცნობად, მაგრამ საკმარისზე მეტი იყო სევდისა და შურის აღსაძვრელად, რკინისა და ხრეშის ტყვეობაში მოქცეული კაცისთვის; მატარებლის სარკმლიდან დანახული ვენახი თუ ხეხილის ბაღი, თითქმის არ განსხვავდებოდა ველური ჭალისაგან და ისიც, მატარებლის ბინადარი, მომიჯნავე ბუნებას გაუთავებელი გვირაბის მწვანედ გადაღებილი კედელივით აღიქვამდა და დიდ ნადირზე გამარჯვებული ველურის ყიჟინა აღმოხდებოდა ხოლმე, ქროლვისაგან თვალებდაბრმავებულს, აღტკინებულს, თუკი ფანჯარაში გადაკიდული, ალალბედზე რამეს წააწყვეტდა, რამეს წაგლეჯდა მას: ფოთოლი იქნებოდა, მკვახე ხილი თუ თითებზე მიგლესილი ყვავილი. ნათქვამია, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, მაგრამ მათ ქუდის გამოცვლაც არ სჭირდებოდათ, რადგან ყველგან რკინაზე ედგათ ფეხი, რაც უცხოობის გრძნობას კი უქარწყლებდათ, მაგრამ ახლის შემჩნევისა და შეთვისების უნარსაც უსპობდათ.

აქაც ისევე ცხოვრობდნენ და. იქცეოდნენ, როგორც ასეული კილომეტრების იქით, რადგან, საკუთარ დროსა და სივრცეს მოწყვეტილნი, გუმანითა გრძნობდნენ, მხოლოდ ამგვარად რომ შეინარჩუნებდნენ ჩონასჩორობას, სხვათა დროებსა და სივრცეებში შეჭრილნი. მათთვის მთავარი დღევანდელი დღე იყო, გუშინდელი არ ჰქონდათ, ანდა არ ახსოვდათ, ხვალინდელისა კი არ სჯეროდათ, და დღესვე უნდა მიეღოთ, რისი მიღებაც შეიძლებოდა მარად ბორბლებზე შემდგარი ცხოვრებისგან.

ამიტომაც, ათვისებას მითვისება ერჩიათ. მითვისებას დროც ნაკლები სჭირდებოდა და ცოდნაც. მარტო ძალაც საკმარისი იყო საამისოდ. მოდიოდა, მოდანდგარებდა, მოგუგუნებდა ახალი ცხოვრება. საწყალობლად იმზირებოდნენ მთებზე გადმომდგარი, უომრად წამხდარი, განუწყვეტელი ბიძგებისაგან საძირკველშერყეული ციხე-კოშკები, გუმბათდაბზარული ტაძრები, საიდანაც სამუდამოდ გადახვეწილიყვნენ ქვეყნის მფარველი წმინდანები და ანგელოზები, და ახლა მარადიული ცის მხოლოდ ნარჩენებიღა იყუჟებოდნენ თაღებში, ბუდემორღვეული მერცხლებივით; ღვთის გლახებივით დარცხვენილნი და ხელგაშვერილნი იდგნენ კედლებზე მიხატული მეფეები, დიდებულები და გმირები, აწ გადაშლილი ქვეყნის მამები.

ქვეყანა სოლჩასობილი მორივით იპობოდა და ბზარს აგერ უკვე წნორამდე მოეღწია. წნორის ტაფობი ბარაკებით იყო მოფენილი, ხრეშის ბორცვზე დაკონკილი, ფერმკრთალი ბავშვები ისხდნენ და ჩამავალ მზეს შესცქეროდნენ. ზვინებად ეყარა ირგვლივ ნაჯაფი, დასახიჩრებული ბარ-ნიჩაბი, ძალაყინი თუ წერაქვი. მაღალი, პირხმელი, მკლავებშიშველი ქალი მუყაოს ნაჭრით აღვივებდა ცეცხლს. ბარაკებს შორის გაბმულ თოკებზე სილისფერი სარეცხი შრებოდა. ბარაკების წინ პატარა ბუდრუგანა იდგა. ერთადერთ ვიწრო სარკმელში თუნუქის ღუმელს გამოეყო გაჭვარტლული მილი. ეტყობა, მის ბინადარს აქ გამოეზამთრა და მომავალ ზამთრამდეც აქ აპირებდა დარჩენას. ბუდრუგანაში, გაურანდავი ფიცრის ნარზე იაგორა იწვა გულაღმა და, ჭერსმიშტერებული, ფიქრობდა.

კი არ ფიქრობდა, ჩვეულებისამებრ თავბედს იწყევლიდა. კიბეზე დაგორებული კაცივით, კიბეზე ბრაზობდა, მაინცდამა-

ინც მის ფეხს რომ ისხლეტდა, სხვათა ფეხებით გადაგლესილი.

იაგორა მაროს კი არ გაექცა, როგორც მაროს ეგონა, არა-მედ საკუთარ ბედს, რომელიც ძაღლადაც არ აგდებდა იაგო-რას, არც ეხმარებოდა და არც ნებას აძლევდა, თავი დაეღწია მაროსნაირებით დასახლებული ქვეყნიდან. საითაც გაიქცა, იქით წაიქცა, ქვა აღმართში დაეწია და ისევ უკან ჩამოაბრუნა, ისევ ტალახში, ისევ სიბინძურეში, ისევ სიღატაკეში.

რაღა არ სცადა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაიმართა წელში. ეტყობა, მამამისს უკეთესი ბედი შეხვდა და იაგორა ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა იმას, რასაც მამამისი ეღირსა, თუკი, რაღა თქმა უნდა, ნახევარი მაინც მართალი იყო, რასაც მამამისზე ყვებოდნენ. ბედი ღუპავდა იაგორას, თორემ არც ჯანით ჩამოუ-ვარდებოდა მამას და არც მონდომებით, ხოლო თმის ფერი თუ რამეს ნიშნავდა, იაგორაც ისეთივე მრეში იყო, როგორც მამა-მისი, შეიძლება, უფრო მეტადაც.

ცეცხლივით უბრიალებდა თავ-კისერი, ბედმა უმუხთლა ია-გორას, ბედი შეხვდა გულღრძო და უბირი, და ვერაფერი რომ ვერ გააწყო მასთან ჭიდილით, მესაფლაობას მიჰყო ხელი, რა-თა ბედისაგან ცოცხლად დამარხულს, სხვათა დამარხვით მა-ინც მოეოხებინა გული. იოხებდა კიდეც, მით უფრო, როცა ლა-მაზი და მდიდრულად ჩაცმული ჭირისუფლები მოჰყვებოდნენ ხოლმე მკვდარს, თუმცა ღარიბსაც მარხავდა, მაგრამ ხელის გასვრად არ უღირდა ღარიბი მიცვალებული და, რაც მთავარია, არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მის მიმართ, არაფერი აკავში-რებდა მასთან, არც ოცნება და არც სიძულვილი და, მაროსი არ იყოს, ისიც იმდენხანს ახსოვდა, რამდენი ხანიც კუბოს საფლავ-ში ჩაშვებასა და საფლავის მიწით ამოვსებას სჭირდებოდა. ღა-რიბ მიცვალებულზე მეტად, არც ღარიბი მიცვალებულის ჭირი-სუფლები აინტერესებდა, არც იმათი დატოვებული ღანძილი უნდოდა და არც იმათი ძმარ-ღვინო, არც იმათ ნალაპარაკევს უსმენდა, რადგან ფეხებზე ეკიდა, რა გაეყიდათ, ვის ვალში ჩაც-ვენილიყვნენ, რათა კიდევ ერთი მატლი ქრისტიანული წესით მიებარებინათ მიწისთვის. ღარიბი ხომ თვითონაც იყო, რას იტ-ყოდნენ იმისთანას, ეს რომ გაეკვირვებინათ, ანდა ამას რომ არ სცოდნოდა. ესენი, მათ შორის იაგორაც, ცხოვრების მაჩანჩა-

ლები იყვნენ, ხალხში არც ითვლებოდნენ და ისევე უჩუმრად იპარებოდნენ ამ ქვეყნიდან, როგორც მოსულიყვნენ. ხალხი მდიდრებს ერქვა. ქვეყანაც მდიდრებისა იყო, რადგან ზარზეიმით ჩნდებოდნენ და ზარზეიმით იმარხებოდნენ. ყოველი მდიდრის დამარხვა დაუვიწყარი, განუმეორებელი მოვლენა იყო იაგორასთვის.

მდიდრის ცხედართან იაგორას ორი უმთავრესი გრძნობა აკავშირებდა: სიყვარული და სიძულვილი. უყვარდა, რადგან მდიდარი იყო იგი, და სძულდა, რადგან თვითონაც არ იყო მდიდარი, იმისნაირი. მდიდარი მკვდრის ჭირისუფლები ვერც ამჩნევდნენ იაგორას, მაგრამ რა იცოდნენ, რა არაადამიანურ შვებასა და ნეტარებას განიცდიდა მათი შემყურე, მათში გარეული, მიწის ფხვიერ ბორცვზე შემდგარი, თოკმომარჯვებული მესაფლავე. იაგორა არა მარტო მდიდარ ცხედარს, არამედ ყველა მის ჭირისუფალსაც იმახსოვრებდა, ჩაცმულობაც კი ახსოვდა მათი და მორიგი საფლავის ფსკერზე დასასვენებლად მიწოლილი, მათზე ფიქრობდა: ვნებიანად, შურიანად, უიმედოდ და ტანჯვით. ხოლო, როცა მაროს გამურული სახეც ამოტივტივდებოდა საიდანღაც, მოულოდნელად, როგორც ნიჩაბს ამოყოლილი ძვალი, მაროთიც იმ ლამაზი და სუფთა ქალების ჟინს იკლავდა, კუბოს გარშემო ატეხილი ჩოჩქოლის დროს, უნებურად რომ ეხებოდნენ მას, ანდა მღელვარებისა და დაბნეულობისაგან მის ბინძურ მხარზე რომ ჩამოასვენებდნენ ხოლმე ნაზსა და სურნელოვან ხელს. ერთ ასეთ ქალს შავი აბრეშუმის კიდეებშემოქარგული ცხვირსახოცი დაუვარდა საფლავთან და იაგორა იმ ცხვირსახოცს სათუთად ინახავდა, როგორც დედის დანატოვარს, ანდა სატრფოს ნაჩუქარს და რამდენს დახედავდა, შურითა და სიამაყით — გაიფიქრებდა: ალბათ, ამისთანა ცხვირსახოცი ჰქონდა მამაჩემის საყვარელსაცო. ძველი გაზეთის ნაგლეჯში გახვეული, უბეში ედო, დასვენების ჟამს სახეზე იფარებდა და ხარბად იყნოსავდა ნელსაცხებლისა და უცხო ქალის სურნელს, დღითი დღე რომ სუსტდებოდა, დღითი დღე რომ ითქვიფებოდა იაგორას ოფლის სუნში, მაგრამ იაგორა ამას ვერ ამჩნევდა, რადგან ნესტოებით ახსოვდა იგი და როგორც კი ნაზი, სიფრიფანა ქსოვილი დაეფინებოდა სახეზე, ისეთი სევდა დაეუფლებოდა, ისე აუყმუვლდებოდა გული, დედამი-

სი ალბათ, ცოდვით იწვოდა საფლავში, თვითონ კი, გიჟივით წამოვარდებოდა ხოლმე ფეხზე, ამ დაუნდობელ სევდას რომ არ დანებებოდა, ფარ-ხმალი რომ არ აეყარა და სამუდამოდ არ ჩარჩენილიყო სხვისთვის გათხრილ სამარეში. უცნობი ქალის ნაზი ცხვირსახოცი იაგორას იმ ქვეყნის სიმკაცრესა და მიუდგომლობას ახსენებდა, რომლისკენაც ბავშვობიდან ილტვოდა, იმ დღიდან, როცა მისი არსებობა შეიტყო, შეუღწეველისა, მამის სიკვდილივით ამაფორიაქებელი საიდუმლოებით მოცულისა. იმ დღიდან მოყოლებული იმ ქვეყანას შეჰყმუოდა იაგორას უიმედოდ და სამუდამოდ შეყვარებული გული, მაგრამ ის ქვეყანა ახლოს არ იკარებდა, კარს არ უღებდა, თუმცა მეორე, იაგორასთვის უხილავ კართან საყვარლების რიგი ეყენა. იაგორას იმას მიუგდებდა ხოლმე, რაც უკვე მოეხმარა და გაეცვითა და რასაც მხოლოდ დამარხვაღა სჭირდებოდა. არც ეს იყო ცოტა, ამითაც გაიტანდა კაცი თავს, არც იაგორა თაკილობდა ამგვარ წყალობას, მაგრამ მადლიერების გრძნობა კი არ უჩნდებოდა, სიძულვილის გრძნობა უღრმავდებოდა უფრო, როგორც უიმედოდ შეყვარებულ ყმაწვილს, რომელსაც მდგომარეობითაც და ასაკითაც შეუფერებელი ქალი მამაკაცური ჟინით უყვარს, ქალი კი ისე ექცევა, როგორც ღარიბსა და შორეულ ნათესავს. იაგორას ბედის უკუღმართობა, ბედის სიბეცე ხეთქავდა გულზე. მტკივნეულად გრძნობდა, სუფრის ბოლოში რომ მიეჩინა ბედს მისთვის ადგილი და იმამდე უკვე გაციებული, ქონშეყინული კერძი, კერძი კი არა, ნაკერძალი აღწევდა მხოლოდ. ისიც იჭმეოდა, შიმშილს ისიც უკლავდა, სამყოფიც იყო, მაგრამ იაგორას მაინც სუფრის თავისკენ გაურბოდა თვალი, საიდანაც კერძის ჩამორიგება იწყებოდა, სადაც ბედისგან რჩეულნი ისხდნენ და, რაც მთავარია, ოდესღაც მამამისიც მჯდარა, ზორბა, ღაბაბიან კაცებსა და ჰაეროვან მანდილოსნებს შორის, რომლებიც მაროსავით კაბის კალთით კი არ იხოცავდნენ ცხვირს, აბრეშუმის კიდეებშემოქარგულ ცხვირსახოცებს ხმარობდნენ, და იმდენი ჰქონდათ, მიწაზე რომ დავარდნოდათ, არც-კი დაიხრებოდნენ მის ასაღებად; მუჟუჟსა და ხაშლამას კი არ თქვლეფავდნენ, ვარდის მურაბას მიირთმევდნენ და თან სულ იმის შიშში იყვნენ, ზედმეტი არ მოსვლოდათ ისიც, რადგან ვარდის ერთი ფურცელიც საკმარისი იქნებოდა, მუცელი რომ დატყობოდათ. მამამისს ასეთ მუცელზე თავმიდებულს სძინებია, იაგორას კი,

ნახვაც არ აღირსა ბედმა. იმ ქალებს სასაფლაოს გარეთ რომ დაენახათ იგი, შიშისაგან ალბათ, გულები წაუვიდოდათ, რადგან იაგორაც სასაფლაოს ნაწილი იყო მათთვის და ის მერე სჭირდებოდათ, როცა დაიხოცებოდნენ და ყროლის სუნს აუშვებდნენ. მკვდარი ხომ ყველა ერთნაირად ყარს, გინდა მდიდარი იყოს და გინდა ღარიბი. იქნება, მდიდარი მეტადაც ყარდეს, რადგან ღარიბს სანახევროდ ცარიელი აქვს მუცელი. მკვდრები იაგორას ქვეშევრდომები ხდებოდნენ, ძღვენივით მოართმევდნენ ხოლმე ოფლგადამსკდარი ჭირისუფლები მუხის კუბოში გაშოტილ კნეინასა თუ სოვდაგარს, თავადიშვილსა თუ პრისტავს, ფულსაც ბლომად უკუჭავდნენ, საჭმელ-სასმელსაც ბლომად უტოვებდნენ, კალათიანად, და ელაქუცებოდნენ კიდევაც, აბა შენ იცი, როგორ მიგვიხედავ ჩვენს მკვდარსაო. იმასაც კი არ ეუბნებოდნენ, რაღაი ეს მოკვდა, რაღაი ადგილი განთავისუფლდა, წამოდი, ახლა შენ იყავი ჩვენთანო. ვერ შეიშნოვებდა, თუ არ მოუხდებოდა?! მაგრამ ბედს არ უნდოდა, ბედი ედგა კრიჭაში, თითქოს არ შეიძლებოდა, შვილისთვისაც გაემართლებინა, რაკი მამას გაუმართლა. რა ფეხებად უნდოდა ამდენი მკვდარი, საფლავებს შორის კიტრის დათესვის ნება მაინც რომ მიეცათ, კაცი იქნებოდა ისიც, ტყავის მსუქანი საფულე ედებოდა ჯიბეში და ერთხელ მაინც ჩაწვებოდა სუფთა ლოგინში, სუფთა საცვლებიან ქალთან ერთად. ტყუილუბრალოდ კარგავდა დროს იაგორა და თავსაც ტყუილუბრალოდ იტყუებდა, მკვდრების მარხვით ვითომ გულს იოხებდა, მაგრამ ყველას მაინც ვერ დამარხავდა.

არც დრო ეყოფოდა და არც ჯანი, ერთ მკვდარს ასი და ათასი ცოცხალი მოყვებოდა ხოლმე და იაგორას მეცადინეობით არაფერი აკლდებოდა ცხოვრებას, თავისი გზით მიდიოდა, იაგორა კი, გვერდზე რჩებოდა, მხარზე გადაგდებული, მიწიანი, გაძენძილი თოკითა და მისი სიძულვილით აპრიალებული ბარით. სხვა გზა უნდა გამოენახა, სხვანაირად უნდა ეომა, ცხოვრებაში შეღწევას თუ აპირებდა, თორემ ისე არავინ მოუცლიდა ადგილს. სხვისი რა იმედი. უნდა ჰქონოდა, როცა მამამაც არაფერი დაუტოვა. ამიტომაც იყო, თოკი და ბარი სანახევროდ გათხრილ საფლავში რომ ჩაჰყარა და უკან მოუხედავად მიატოვა იქაურობა, როგორც კი რკინიგზის მშენებლობის ამბავი

გაიგო. რკინიგზა და მატარებელი იქამდეც იცოდა, მამამისი ფოთის რკინიგზაზეც იყო ნამუშევარი.

მაგრამ მან თავიდანვე აიკრძალა მამის კვალზე სიარული და თუმცა მამას ეჯიბრებოდა, მამის გამონაცვალ საქმეს ხელს არ მოკიდებდა, თითქოს აღარაფერი გამოდნებოდა იქიდან, რაკი მამამისს ერთხელ უკვე მოესინჯა. მამამისს საქმე არ ეზარებოდა, მაგრამ არც ტყუილუბრალოდ შეაკლავდა თავს, წასაღებს წაიღებდა და გაეცლებოდა, რადგან, როგორც თვითონვე ამბობდა, ფულის შოვნის იმდენი საშუალება გაეჩინა ღმერთს კაცისთვის, რამდენი თმის ღერიც ეჩუქებინა.

„ერთის მხრივ კარგია, უბატონოდ და უმიწოდ რომ დარჩა გლეხი, — ეუბნებოდა მამა, — იმას მაინც გაიგებს, რა შეუძლია, მიწის ჩიჩქვნის მეტი. ახლა ცხოვრება იმისია, ვისაც შნო და მარიფათი აქვსო“. სათაკილო. საქმე რომ არ არსებობდა, ესეც მამამისისგან იცოდა, რადგან წლიდან წლამდე ოჯახს მოწყვეტილი კაცი, თავადაც არაფერს თაკილობდა, ხან ცხვარს კრეჭდა, ხან ტყეს აცურებდა, ხან მტვირთავი იყო, ხან ჩალვადარი, ერთხანს რაჭველებსაც დაყვებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ბოლოს ბათუმში გაუმართლა ბედმა და იქვე ამოძვრა სული. მისმა ოჯახმა წესიერად ისიც ვერ გაიგო, მოკლეს თუ თავისით მოკვდა, ჭორი იყო თუ მართალი, რასაც მასზე ყვებოდა მასავით ოჯახს მომწყდარი, საშოვარზე დაძრული ხალხი. მამის სიკვდილის ამბავი ერთმა, ავაზაკივით სიტყვაძვირმა კაცმა ჩამოუტანათ. იაგორას დედამ ძლივს მოუყარა თავი ქმრის სიკვდილის ცნობას, თითქოს ის კაცი ოჯახისთვის ამბის გადასაცემად კი არ იყო მოსული, დასაკითხად მოეყვანათ ძალით. „ვის უკვირს ახლა კაცის სიკვდილი, — თქვა წასვლისას. — აქედან რომ გავალ, შეიძლება, მეც მოვკლა, ან მე მომკლას ვიღაცამო“. მამის სიკვდილმა კი არ შეძრა იაგორა, არამედ ჭორმა, რომელიც მამამისმა თავის მაგივრად გამოგზავნა მშობლიურ სოფელში, კონტრაბანდისა და სპეკულაციისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ჭორი მაინც მეტს ამბობდა, უფრო საინტერესო იყო და, რაც მთავარია, უფრო აახლოვებდა მამასთან, რომელიც სულ რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და რომელიც წელიწადში თუ ორ წელიწადში.

ერთხელ, მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდა შინ, მეორე დღესვე კარი რომ გაეჯახუნებინა, ერთხელ კიდევ რომ დარწმუნებულიყო, რა უცხო და შეუფერებელი იყო მისთვის აქაურობა.

იაგორა მერე მიხვდა ამას, როცა ჭორმა მამის ამბავი უამბო. იმასაც მიხვდა, ისა და დედამისი მთელი სიცოცხლე ზედმეტ ტვირთად რომ აწვნენ, თურმე, კისერზე კაცს, რომელსაც, თითქოს არავინ უნდა ჰყოლოდა მათზე უკეთესი. მაგრამ სინამდვილეში უკეთესი იქნებოდა, საერთოდ რომ არ ჰყოლოდა:

ესენი. იაგორა არ გაბრაზებულა მამაზე, პირიქით, მაშინვე გაუგო და აპატია კიდევაც, რადგან გულის სიღრმეში მაშინვე ისიც აღიარა, რომ მამამისის ადგილას, თვითონ აღარც კი მოიკითხავდა ტილიან ცოლ-შვილს, თუკი მამამისივით ბათუმის ყველაზე ძვირფას სასტუმროში ბერძენ მოცეკვავე ქალს ხასად დაისვამდა, საკუთარი ფაეტონი სასტუმროს წინ ეყოლებოდა გაჩერებული და რესტორანში შესვლისას — სად მიძვრებიო — კი არ ეტყოდნენ შვეიცარები, აქეთ მობრძანდით, ბატონოო. ის ბერძენი მოცეკვავე ქალი ისეთი ლამაზი ყოფილა, ვერც ერთი პოლიციელი ვერ უბედავდა გაჩხრეკას, ის კი, აკრძალულ საქონელს ისეთ ადგილებში მალავდა თურმე, კაცს სათქმელადაც რომ გაუჭირდება. რა მნიშვნელობა ჰქონდა, მამამისმა ის ბერძენი მოცეკვავე ქალი სასტუმროს ფანჯრიდან გადმოაგდო და თვითონაც თავი მოიკლა, თუ იმ ბერძენი მოცეკვავე ქალის მეორე საყვარელმა ორივენი ერთად ამოჟუჟა ლოგინში? მთავარი ის იყო, რომ მამამისმა, ყმის ნათესლარმა, მაინც შესძლო, თუნდაც ცოტა ხნით, ხალხში გარევა და იმის დამტკიცება, ღვთის გაჩენილი ერთნაირი რომაა ყველა, ერთნაირად რომ ორსულდება მდიდრისაც და ღარიბის დედაც, და სიმდიდრე და სიღარიბე ბრმა შემთხვევასა და გამართლებაზე რომ კიდია მხოლოდ. იმ დღის მერე იაგორა მამას აღმერთებდა და ბაძავდა, არაფერს თაკილობდა, საიდანაც რამეს გამოადნობდა, უფრო წინ წასაწევად, უფრო მაღლა ასაძრომად, მაგრამ, ეტყობა, სურამს აქეთ სხვა ბედის ფრინველი დაფრინავდა, სურამს იქით კი — სხვა, მაგრამ იაგორას მაინც აქ, სურამს აქეთ უნდა მიეღწია იმისათვის, რასაც მამამისმა სურამს იქით მიაღწია, რადგან დარწმუნებული იყო, მამამისი იქ არაფერს დატოვებდა საამისოდ, თანაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შვილსაც იქ გა-

უმართლებდა, სადაც მამას. ისე გამოდიოდა, თითქოს საქართველო იაგორასა და მამამისს ერთმანეთში ჰქონდათ გაყოფილი, როგორც ერეკლესა და მის შვილიშვილს, და ვისაც რა შეეძლო, მაინცდამაინც თავის პატარა ასპარეზზე, თავის მოედანზე უნდა გამოეჩინა, თითქოს უარეს დღეში ჩაცვივდებოდნენ, საერთო, მაგრამ უფრო დიდი მოედანი რომ ჰქონოდათ. ამიტომაც იყო, იაგორამ მხოლოდ მაშინ რომ მიაშურა რკინიგზას, როცა იგი სურამის ქედს გადმოსცდა. მაგრამ რკინიგზამაც არ გაუმართლა; თბილისში ჩასული, ისევ უკან შემოაბრუნა, როგორც დინებამ — ცუდი მოცურავე. თუმცა ერთი ნაბიჯით მაინც წაიწია წინ, მაინც უკეთესობისაკენ შეიცვალა მისი ცხოვრება. სხვას რომ თავი გავანებოთ, ბარი აღარ ეჭირა ხელში და თუკი ადრე მარტო მკვდრები ჰყავდა ქვეშევრდომებად, ახლა ასამდე მუშისა და მათი ოჯახების ბედს განაგებდა. მართალია, ადმინისტრაციისაგან — სამუშაოს მეთვალყურეობა, სამუშაო იარაღის მოვლა-დაბინავება და კვირაში ერთხელ მუშებისთვის ხელფასის დარიგება ევალებოდა მხოლოდ, მაგრამ მუშების თვალში ყველაზე დიდი კაცი ის იყო, ღმერთის ტოლი, ღმერთივით მკაცრი და სამართლიანი, რომელმაც ყოველთვის ზუსტად იცოდა, ვინ რას ჭამდა, ვინ რას სვამდა და ვის ვისთან ეძინა. ის უმოწმებდათ და უფასებდათ ნამუშევარს და ფულსაც იმის ხელიდან იღებდნენ, საძაღლეს ხელა ბუდრუგანას წინ რიგში ჩამდგრები.

— შენ, ბიძია, მთელი კვირა ლოთობას რომ გადაყევი და აბაზის საქმეც არ გაგიკეთებია, ახლა ორი მანეთი რომ მოგცე არაფერში, მთლად გაირყვნები, მუქთად ნაშოვნი ფული უარესად წაგახდენს და მშიერი ცოლ-შვილი კი არა, მამაზეციერიც ვეღარ აგაღებინებს ნიჩაბს ხელში. ასე არაა? — ამბობდა ბუდრუგანას კარში ჩამჯდარი, მუხლებზე. დავთარგადაშლილი იაგორა.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, — ეთანხმებოდნენ მისი გამჭრიახობითა და სამართლიანობით დათრგუნული მუშები.

ცოტა იყო თუ ბევრი, რასაც იღებდნენ, იაგორასგან იღებდნენ, იაგორას ხელშენავლებსა და გამომეტებულს. ეგონათ, იაგორა რომ არ ყოფილიყო, მთლად ულუკმაპუროდ დარჩე-

ბოდნენ. ამიტომ ეშინოდათ და სჯეროდათ მისი. თანდათანობით იაგორა მათი ოჯახური ცხოვრებისთვისაც აუცილებელი გახდა, ყველაფერს უყვებოდნენ, რა სჭირდათ, რაზე ჩხუბობდნენ, რატომ ეჯავრებოდათ, ანდა რატომ უყვარდათ ერთმანეთი.

ერთი კაცი იყო მხოლოდ, ეჭვის თვალით რომ უყურებდა იაგორას და ჩუმ-ჩუმად სხვებსაც აფრთხილებდა, აგერ ნახავთ, სუყველას თუ არ დაგვღუპავს ბოლოსო. მაგრამ სხვები არ უჯერებდნენ, უფრო სწორედ, არ უკვირდებოდნენ იმის ნათქვამს, არც საამისო დრო ჰქონდათ და არც ხალისი, იაგორას გადაკიდებას ყველაფერი ერჩიათ. იაგორამაც იცოდა, ერთი მოწინააღმდეგე რომ ჰყავდა ბარაკში, მაგრამ ჯერ თვალს ხუჭავდა, თავს არ უყადრებდა, ან იქნებ, ეშინოდა კიდეც, რადგან არც იმის ქალი დაჰყავდა საშოვარზე თელავის სასტუმროში და ხელფასსაც კაპიკ-კაპიკ უანგარიშებდა ხოლმე.

მოკლედ, იაგორას უნებართვოდ თაგვი ვერ გაფაჩუნდებოდა ბარაკში. ის კი არა, ქალები ქმრებზე ადრე იაგორას ეკითხებოდნენ, მუცელი შეენარჩუნებინათ თუ არა.

— რასაც მეტს დაყრით, უკეთესია. — ეუბნებოდა იაგორა ქალებს. მზემოკიდებულ ყბებზე გამხმარი სისხლივით აჰკვროდა აქა-იქ ჟღალი, ბინძური წვერი და ვერ გაიგებდით ზიზღით უელავდა მწვანე თვალები თუ თანაგრძნობით, გიბრალებდათ თუ დაგცინოდათ. — ჩვენი ძალა სიმრავლეშია. რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უფრო მეტ ფულს გამოვძალავთ მდიდრებს და თანდათანობით ჩვენ თვითონვე გავხდებით მდიდრები, — ქადაგებდა სააღსარებოდ მოსულ ქალებში ჩამჯდარი.

კი არ აპამპულებდა ამ უვიცსა და უბედურო ქალებს, ცხოვრების გასაპამპულებლად სჭირდებოდა ისინი. ზედამხედველის თანამდებობამ, უპირველეს ყოვლისა, საბრძოლველად განაწყო იგი და თვითონაც ვერ შეამჩნია, როდის დაიბადა. მის არსებაში მეორე, მეორე კი არა, ახალი, განახლებული იაგორა, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა იმ ცხოვრებას, რომელსაც ძველი იაგორა თრთოლვითა და კანკალით შესტრფოდა და რომელსაც არც ძველი და არც ახალი ია-

გორა არაფრის დიდებით არ უნდოდა ჩაეთვალა თავის ღირსად, არაფრის დიდებით არ უგდებდა თოკის კიბეს ბროლის კოშკის სარკმლიდან, სადაც თავად მოკალათებულიყო, ნელსაცხებელნაპკურები, აბრეშუმის, ატლასისა და ფარჩის ქაფში ჩაწოლილი. ამიტომ, აუცილებელი იყო, როგორც ახალი იაგორა ამბობდა, თავად ცხოვრება დაკნინებულიყო ძველსა და ახალ იაგორამდე, თავად ცხოვრება გამხდარიყო ძველი და ახალი იაგორას ღირსი. ის დღე იყო და ის დღე, ახალმა იაგორამ საბოლოოდ გადაიბირა ძველი იაგორა და ისევ ერთ იაგორად იქცა, მაგრამ უფრო ჯიუტ, უფრო ძლიერ, უფრო ვერაგ და უფრო დაუნდობელ იაგორად, რომლისთვისაც ყველანაირი საშუალება ერთნაირად სუფთა და მისაღები იყო, თუკი ბრძოლაში წაადგებოდა.

იაგორა თავისი ქვეშევრდომების ხარჯზე აპირებდა წუმპედან ამოძრომას. როგორც ადრე — მკვდრები, ისინიც მხოლოდ საკუთარი არსებობის გასახანგრძლივებლად სჭირდებოდა, სანამ უკეთესი დღე დაუდგებოდა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, მამამისის სიკვდილის შემდეგ იმ კარგ ცხოვრებაში ერთი ადგილი რომ იყო თავისუფალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა, როგორც მამამისის კანონიერსა და ღირსეულ მემკვიდრეს.

ასე რომ, თუ იმ ერთ კაცს არ ჩავთვლით, იაგორას გარშემო სრული თანხმობა და მორჩილება სუფევდა, იაგორას ღვთაებრივი სიმკაცრისა და სამართლიანობის წყალობით.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისეთი რა ხდებოდა, რაც წნორის აშმორებულ ბარაკებში კი არა, მრავალ სახელგანთქმულ ქალაქსა და ქვეყანაში არ მომხდარიყოს და რაც იაგორას კი არა, ლამის მართლა ღმერთივით განსწავლულ ხალხს არ მიეჩნიოს საჭირო და, თქვენ წარმოიდგინეთ, საპატიო საქმედაც. მაგრამ ის ერთი კაცი მაინც აუჯანყდა იაგორას. რაკი სხვა ვერავინ გადაიბირა, ერთ დღეს უგონოდ გამოთვრა და ქადაგებით გართულ იაგორას ცული ჩაარტყა თავში, მაგრამ ამით იაგორას ვერაფერი დააკლო, დააკლო კი არა, უარესად აამაღლა ხალხის თვალში, რადგან რაც ხალხმა იმ საღამოს საკუთარი თვალით იხილა, ყოველგვარ სასწაულს აღემატებოდა. ვინმეს რომ მო-

ეყოლა მათთვის, ასე და ასე მოხდაო, მოკვდებოდნენ და არ დაიჯერებდნენ, მაგრამ ასევე მოკვდებოდნენ და ვეღარ უარყოფდნენ იმას, რისი მოწმენიც გახდნენ ერთ ჩვეულებრივ საღამოს. იაგორა ხრეშის ბორცვზე იჯდა და იქიდან ელაპარაკებოდა მუშებს მდიდრული ცხოვრების სიამტკბილობაზე.

მისი ლაპარაკიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფრანგული ღვინოებით გამოვსებული სარდაფები, ვარაყიანი, ოქროგადავლებული სახლები, ბროლისა და ფაიფურის ჭურჭელი, ყვავილებით დატვირთული ეტლები და ფაეტონები, აბლაბუდასავით გამჭვირვალე კაბებში გამოწყობილი მზეთუნახავები — უპატრონოდ იყვნენ მიყრილნი და იმის მოლოდინში ამოსდიოდათ სული, ეს ერთნაირად დაკონკილი, ერთნაირად გალახული, ტალახსა და მაზუთში ერთნაირად ამოგანგლული ასი კაცი, რომელსაც ბრბო უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხალხი, როდის მოევლინებოდა ბატონ-პატრონად.

ისეთი გულისყურით უსმენდნენ, ვერავინ შეამჩნია, როდის მიეპარა უკნიდან მთვრალი მეამბოხე, სმენადქცეულებს, ხრეშის ჩხრიალიც არ გაუგიათ, მაგრამ ყველამ (იაგორას გარდა) ერთდროულად დაინახა, როგორ ამოაძვრინა იმან შარვალზე გადმოშვებული პერანგის ქვეშ დამალული ცული და მთელი ძალით როგორ ჩაჰკრა თავში იაგორას, რომელიც ჯერ ისევ ლაპარაკობდა და ვერ მოასწრო ამოეკითხა მისი შემყურე ხალხის სახეებზე, რა განსაცდელი ელოდებოდა ერთი წამის შემდეგ. ან იქნებ ამოიკითხა, იქნებ წინასწარაც იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ არც შეშინებია და არც გაქცევა უფიქრია, რადგან არც შესაშინებლად ჰქონდა საქმე და არც გასაქცევად. პირიქით, სასწაული აჩვენა ხალხს და ამით თავისი ხელშეუვალობაც დაუმტკიცათ. იაგორას თავმა მთელი ძალით მოქნეული ცული აისხლიტა და მხოლოდ ნაპერწკლები გაყარა, როგორც ქვაფენილმა ცხენის ფლოქვის ქვეშ.

მთვრალს თვალები შუბლზე აუცვივდა. უცებ გამოფხიზლდა, თითქოს თავის სიცოცხლეში დედის რძის მეტი არაფერი ჩასვლია პირშიო. ისევ მთვრალი რომ ყოფილიყო, ასე არ შეეშინდებოდა, ცული კი არ დააგდო, დაუვარდა, დაჩოქება კი არ უნ-

დოდა, მუხლი მოეკვეთა, მაგრამ ფეხქვეშ ხრეში მოუშვავდა და პირქვე წამხობილი ჩახრიალდა ბორცვიდან.

იაგორა არ განძრეულა, ხელიც არ მოუსვია თავზე, პირგამეხებული იჯდა, როგორც განაწყენებული ღმერთი ცოდვილი მრევლის წინაშე. უცებ ხალხმა იხუვლა და ფეხით შესდგა ხრეშის ქვეშ მოყოლილ მეამბოხეს, მეამბოხეს კი არა, მსხვერპლს, უკვე გამოფხიზლებულს და უკვე მიხვედრილს დაღუპვის გარდუვალობას. არც მაშინ განძრეულა იაგორა.

„მოკალით, ისიც მოკალითო“, — ღრიალებდა მეამბოხე, იმუქრებოდა, იხვეწებოდა, ხრეშს იფურთხებოდა, ხალხი კი, ფეხებით ტკეპნიდა, უარესად ტენიდა ხრეშში. მერე ვიღაცის ხელში ძალაყინმა იელვა, მერე ბარის პირებმაც ჩაფხრიწეს აფუტფუტებული ხრეში. არც ახლა განძრეულა იაგორა, ისევ ისე იჯდა ბორცვის მეორე ნახევარზე, თითქოს არ იცოდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. მსხვერპლი აღარ ყვიროდა, აღარც ინძრეოდა, მაგრამ ხალხი ისევ უხმოდ, ისევ ჯიუტად ტკეპნიდა და ნაყავდა იმ ადგილს, სადაც მისი ტანი უნდა ყოფილიყო. თითქოს კაცს კი არ კლავდნენ, შრომობდნენ; მერე ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ არ დამთავრებულა. იდგნენ და იცდიდნენ, რადგან არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ან რა სასჯელს იმსახურებდნენ ერთობლივი, სტიქიური მკვლელობისათვის.

— ახლა დაიშალეთ და კარგად დაიმახსოვრეთ, რაც ჩაიდინეთ. — უთხრა ხალხს იაგორამ.

ადმინისტრაციას არაფერი გაუგია იმ ამბისა. ის კაცი ძველებურად ირიცხებოდა მუშად და ხელფასიც ძველებურად იწერებოდა მის სახელზე, რომელსაც კეთილსინდისიერად იყოფდნენ მისი ქვრივი და იაგორა. დრო გადიოდა; ბუნებას ახალი კანი ამოსდიოდა, ახალი თმით იმოსებოდა და თანდათანობით იფერებდა, იხმატკბილებდა, ეგუებოდა რკინიგზას, როგორც დედა — შვილების ნაჩუქარს, მაგრამ მისი ასაკისთვის და ჩაცმულობისთვის შეუფერებელ სამკაულს. ხოლო იაგორას ქადაგება ქადაგებად რჩებოდა, რომელსაც ბევრი მოძღვრების მსგავსად, ის უცნაური თვისება ჰქონდა, რომ გპირდებოდა და არ გაძლევ-

და, გამხედრებდა და ამავე დროს მორჩილებისა და მოლოდინის ბურანში გხვევდა უარესად.

ხალხიც კვლავინდებურად იდგა და ისმენდა უკვე ათასჯერ მოსმენილს, მაგრამ ძველი ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობისა ცოტაღა შერჩენოდა, უნდობლობა თუ არა, გულგრილობა აშკარად ჩამდგარიყო მოძღვარსა და მრევლს შმორის.

„ხალხი კი არა, ხვასტაგია, — ფიქრობდა იაგორა. — ამათთან ერთ გზაზე სიარული მე არ გამომადგება. ამათ ოღონდ ვინმე ჩაატკეპნინე მიწაში და სულ ერთია, მე ვიქნები თუ სხვა“. იმ საზარელი მკვლელობის შემდეგ მთლად აიცრუა გული თავის ქვეშევრდომებზე, მათმა მონურმა, უანგარო სიმკაცრემ და დაუნდობლობამ დააფრთხო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, შიშის გამომჟღავნება და მისი დაღუპვა ერთი და იგივე რომ იქნებოდა. რა არ გადახდენოდა თავს, რანაირი ტალახი არ ეზილა, რომელ ყუნწში არ გამძვრალიყო, მაგრამ მსგავსიც არაფერი ენახა იქამდე. მთავარი, რამაც ყველაზე ძალიან შეაძრწუნა და დააბნია კიდეც, ის იყო, რომ ამ ხალხს არაფერი არ უნდოდა, თითქოს ბალახივით ამოსულიყო მიწიდან და ბალახივით სულერთი იყო მისთვისაც, ვინ გადათელავდა, ვინ მოძოვდა თუ მოთიბავდა. თავისუფლება და სიმდიდრე ისევე აინტერესებდათ, როგორც იაგორას — მათი მეთვალყურეობა და, ალბათ, უფრო ნაკლებადაც. იმიტომ კი არ უსმენდნენ იაგორას, — მისი ნალაპარაკევი რომ მოსწონდათ და გაეგებოდათ, უბრალოდ, თავს ვალდებულად თვლიდნენ, მოესმინათ, უფრო სწორედ, მაშინაც ერთად ყოფილიყვნენ ვიღაცის, მათზე მაღლა მდგომის ხმით მოქუჩებულნი, როგორც საქონელი — შოლტით. გუმანითა გრძნობდნენ, აუცილებელი რომ იყო მათი ერთად ყოფნა, რადგან არც ერთ მათგანს საკუთარი არაფერი გააჩნდა, არც სახე, არც ხმა, არც სურვილი. და არც ოცნება. ცალ-ცალკე ბუზს ვერ მოკლავდნენ, ერთად კი, ყოველნაირ დანაშაულს ჩაიდენდნენ დაუფიქრებლად, რადგან იმავე გუმანით იმასაც გრძნობდნენ, მხოლოდ და მხოლოდ, საერთო დანაშაულის ჩადენის უნარი რომ ამართლებდა მათ არსებობას, საერთო დანაშაულის ჩადენის უნარი და მძაფრი, მტკივნეული, სიგიჟემდე მისული ჟინი მონანიებისა. ასე რომ, ვისაც ამ ხალხის ზედამხედველობას დააკისრებდა ძირგავარდნილი ბედი, ხელფასის დარიგებაზე

მეტად, იმაზე უნდა ეზრუნა, დანაშაულის ჩადენისა და მონანიების საშუალება რომ მიეცა მათთვის. სამაგიეროდ, სხვას ყველაფერს მოითმენდნენ, განურჩევლად, უსასრულოდ, ხელფასის გადაღუნვასაც გაპატიებდნენ და მათი ცოლებითა თუ ქალიშვილებით ვაჭრობასაც, რადგან, მათი აზრით ესეც საერთო მონანიებაში შედიოდა. „აბა, სხვას რას გამორჩება ამათ კაცი, — ფიქრობდა იაგორა. — ეს ის არ არის, რაც მე მინდა, მაგრამ იმას მაინც ჯობია, რაცა მქონდა“, შეიძლება, მართლა მეტის ღირსი იყო იაგორა, მაგრამ თავხედობა იქნებოდა, ბედისაგან მთლად განჩირულად რომ ჩაეთვალა თავი.

შემოსავალიც ჰქონდა და ძალაუფლებაც. მართალია, შემოსავლის დიდ ნაწილს ადმინისტრაციის ლაბირინთში უშვებდა უკანვე, მაგრამ იმ ლაბირინთიდან სამაგიეროდ მისი ძალაუფლება გამოდიოდა. აქ არავინ ყავდა უფროსი. ათასში ერთხელ ინსპექტორი ანდა წითელი ჯვრის წარმომადგენელი თუ შემოიჭრებოდა მის სამფლობელოში, რათა თითო-ოროლა მანეთი იმათაც წაეგლიჯათ. ერთი ყასიდად გადაფურცლავდა დავთრებს, მეორე ჰაიჰარად მოასხურებდა კირწყალს ნაგვის გორებზე და ამით ამოიწურებოდა მოელი მათი საქმიანობა.

— ქოლერა მძვინვარებს ქვეყანაში, ჩემო კარგო, ქოლერა.

— იძახდა წითელი ჯვრის წარმომადგენელი და, ინსპექტორთან ერთად, ახლა სხვა მხარეს გარბოდა, ქვეყნის სიბინძურეზე ხელის მოსათბობად.

ის კი თავის პატარა ქვეყანაში რჩებოდა. თავის პატარა სამეფოში, რომელსაც ჯერ იმდენი ძალა არ შესწევდა, მომიჯნავე ქვეყნები რომ დაეპყრო, მაგრამ მომიჯნავე ქვეყნები მაინც ანგარიშს უწევდნენ, აღიარებდნენ და ვაჭრობდნენ კიდეც მასთან. მართალია, მამამისივით, ბათუმის სასტუმროში — ბერძენი მოცეკვავე ქალი არ ეჯდა ხასად, მაგრამ თელავის სასტუმრო ზარზეიმით ეგებებოდა ხოლმე, როცა უკანა, მარტო შინაურებისთვის ღია კარს მიადგებოდა თავისი გოგოებიანად. მაგრამ ერთი წუთითაც არ უფიქრია, ეს რომ იყო ზღვარი მისი შესაძლებლობებისა, ერთი წუთითაც არ აუღია ხელი ბედის გინებაზე, რათა ბედს დაკმაყოფილებულად არ ჩაეთვალა იგი და მთლად არ

გადაერეცხა გულიდან. უკვე იმ ქვეყანას ეკუთვნოდა, რომლისკენაც მიილტვოდა სულ, მაგრამ იმდენად ეკუთვნოდა ჯერ, რამდენადაც თაგვი ეკუთვნის ადამიანს და იმდენი ადგილი და უფლება ჰქონდა იქ, რამდენი ადგილიცა და უფლებაც თაგვსა აქვს ადამიანის ბინაში. თითქოს არც ეს იყო ცოტა, ახლა უფრო მკვეთრად ესმოდა იმ ცხოვრების ჟრიამული, უფრო მძაფრად სცემდა იმ ცხოვრების სურნელი, მაგრამ ახლა „უფრო ძნელი ასატანი იყო უიმისობა, როგორც თაგვისთვის — ჩაბნელებული, ჩაწყნარებული და ღვთაებრივი კერძების სუნით გაჟღენთილი სამზარეულოს სიახლოვე. ღამღამობით ისიც იპარებოდა იმ ცხოვრებაში, მაგრამ დღისით სოროში იყო შეყუჟული, თაგვივით.

ხოლო ცხოვრება მის თავზე დაბაკუნობდა, თამამი, მხიარული, უზრუნველი, რადგან ბევრს ვერაფერს აკლებდა მისი ღამეული ლაშქრობები, ვერც კი ამჩნევდა მის გაზიდულ ნაფშხვენებს, ან მის ნაკბილარს თუ შეამჩნევდა რამეზე, დაუნანებლად და ზიზღით მოისროდა ხოლმე სანაგვეზე. ეს ხეთქავდა გულზე, ეს სტანჯავდა, ეს ამწარებდა, მაგრამ თაგვის უტყუარი ალღოთი გრძნობდა, მალე სოროში დარჩენა უფრო სახიფათო რომ იქნებოდა, ვიდრე გამოჩენა, გემბანზე განავარდება, რომელიც ჯერჯერობით ცხოვრებისთვის იატაკი იყო, მისთვის კი — სახურავი, იაგორას მართლაც მოუხდა ამ სოროს მიტოვება, თანაც უფრო ადრე, ვიდრე ფიქრობდა, მაგრამ არა გემბანზე გასანავარდებლად, არამედ უფრო ღრმა და საიმედო სოროს მოსაძებნად. იმ საღამოსაც გაურანდავი ფიცრების ნარზე იწვა გულაღმა, ჩვეულებისამებრ, და ოცნებებში წასული, ბედის მაგინებელი და მაძიებელი, თვალებით ჭამდა წვიმებისგან დალაქავებულ ჭერს.

— ერთი წუთით გამომხედეთ, თუ შეიძლება. — შემოესმა ქალის ხმა.

ხმა ეცნაურა, იმ ქვეყნიური იყო, იმ ცხოვრებისა: ნაზი, მოალერსე და მომთხოვნი. ნარიდან ისე წამოვარდა, როგორც ახალბედა მეომარი საბრძოლო ნაღარის ხმაზე, ბუდრუგანას კართან შავოსანი ქალი იდგა. ახლა შეამჩნია, რომ დაღამებოლიყო. ბოლის სუნი ეცა ცხვირში. ერთმანეთს გადაბმოდნენ,

ერთმანეთს მიტმასნოდნენ ბარაკების გალურსული ლანდები, — ვინა ხარ? რა გინდა? — უყვირა ქალს, თითქოს მოჩვენებას დაფრთხობას უპირებსო.

— მაკაბელებისა ვარ. ურუქიდან. საგზაო ინჟინერი მინდოდა, — თქვა ქალმა და მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღაცა ეგულებოდა და გაუკვირდა, იქ რომ არ დაუხვდა. — თქვენზე მომასწავლეს, იმას ეცოდინებაო, — თითქოს მოუბოდიშა იაგორას და ისევ მიაპყრო მომლოდინე, მავედრებელი მზერა.

მაგრამ იაგორა ვერ ხედავდა ქალის სახეს, ისიც ბინდს გადაეშალა. „ჩემთან გამოგზავნეს და ახლა ელოდებიან, როგორ მოვიქცევი. ჭუჭრუტანებიდან მითვალთვალებენ. ბნელში სხედან“, — გაიფიქრა იაგორამ.

— მაკაბელებისაო? აბა, მაკაბელები? — თქვა ხმამაღლა.

ქალის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, როგორ დააბნია ქალი ამ უბრალო შეკითხვამ. ბნელში იდგა და ყოყმანობდა, თითქოს ახლა იგონებდა თავისიანების ვინაობას. — მამაჩემი ღვინით ვაჭრობს. აი, საგზაო ინჟინერი ნამყოფია ჩვენთან. იცნობს ჩვენებს. — ძლივს ამოღეჭა ქალმა, — ზამთარში იყო ჩვენთან. მგონი, დღესაც იყო პაპაჩემის დაკრძალვაზე. — დაამატა სხაპასხუპით.

„ან ტყუის, ან სულელია“. — გაიფიქრა იაგორამ.

— მაშ, ვაჭრები ყოფილხართ მაკაბელები. — თქვა ხმამაღლა, — არა. — თითქმის შეჰყვირა ქალმა. თითქოს იუკადრისა, თითქოს ეწყინა კიდეც. — ჩვენ თავადები ვართ. — თქვა ათრთოლებული ხმით. — ვაჭარი მარტო მამაჩემია. პაპა მაიორი იყო. ჩემი ერთი ძმა რუსეთში სწავლობს. მეორე კი დადის, დაქეიფობს. — გაიცინა ნაძალადევად და არც ამის შემჩნევა გასჭირვებია იაგორას.

„იცინის. მე დამცინის“. — გაიფიქრა იაგორამ.

— მოიცა, ლამპას ავანთებ. ერთი დაგინახო, რა კნეინა ბრძანდები. — თქვა ხმამაღლა.

— მე საგზაო ინჟინერი მინდა. იქნებ, გზა მიმასწავლოთ. — თქვა ქალმა და ახლა აღელვება დაეტყო ხმაში.

„მიგასწავლი, ყველაფერს მიგასწავლი, რაღაი შენი ფეხით მოხვედი“. — გაიფიქრა იაგორამ და ბუდრუგანაში შებრუნდა, გაითქვიფა ბუდრუგანის წყვდიადში.

— შენ რომელი ინჟინერი გინდა? ინჟინერი ბევრია. — გამოსძახა წყვდიადიდან.

ქალმა იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული. ახლა გაახსენდა პირველად, სახელიც რომ არ იცოდა კაცისა, რომლის იმედითაც მიეტოვებინა მშობლიური სახლი. შიში მიწიდან ამოიზარდა, კაბის ქვეშ შეუძვრა და ფეხებზე შემოახვია ლორწოვანი და ღონიერი საცეცები. კარის ჭრილი ნელ-ნელა განათდა, ნელ-ნელა ამოივსო ბიისფერი სინათლით და ქალმა გარკვევით დაინახა მისკენ მობრუნებული კაცის სახე, კაცის კი არა, ეშმაკისა, რადგან ზუსტად ასეთად ყავდა წარმოდგენილი ეშმაკი, დედისა და გადიის მონაყოლებიდან. კაცი ორივე ხელით დაყრდნობოდა მაგიდას, წინ ანთებული ლამპა ედგა და თითქოს ნიკაპი ლამპის შუშაზე ჰქონდა ჩამოდებული, უკეთესად რომ დაენახვებინა ქალისათვის უწამწამო ქუთუთოებში შეყუჟული მწვანედ მოელვარე თვალები, ჭორფლიანი, ჩამოგრძელებული ყვრიმალები, მეჩხერი, გაფშეკილი წვერი და ალისფერი თმა.

— შინ შემობრძანდით, ქალბატონო. — მოესმა კაცის ხმა.

„არ შეიძლება... არ უნდა შევიდე“. — გაიფიქრა და ბუდრუგანაში შევიდა. ფეხებზე შემოჭდობილი შიშის ღონიერი და ლორწოვანი საცეცებიც თან შეიყოლა. გრძნობდა, რაღაც რომ უნდა მომხდარიყო, უჩვეულო, მაგრამ გარდაუვალი, აუცილებელი, დამსახურებული. თავის დაღწევას კი არ ცდილობდა, თავისი ბრიყვული საქციელისა რცხვენოდა. მართლაც, რა გამოდიოდა? უცხო ადამიანს დაადგა თავზე, შეაწუხა, ვინ იცის, ძილიც დაუფრთხო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, სულელური გამო-

ცანა რომ ეთქვა მისთვის: მე არ ვიცი, ვის ვეძებ და აბა, შენ თუ გამოიცნობ, ვინ არისო.

— ნიკო ჰქვია. — თქვა უცებ. — მგონი, ნიკო ჰქვია. ჩემს ძმასავით. — ცალი ფეხი უკვე ბუდრუგანას იატაკზე ედგა.

— ნიკოო? — შუბლი შეიჭმუხნა კაცმა. — მე მიტო ვიცი..

ჩვენს უბანზე ის დადის ხოლმე. თელავში დგას, ყაზარმაში, — ეგ იქნება.. ალბათ, მე შემეშალა. — გაუხარდა ქალს, მთლად მატყუარა რომ არ გამოვიდა და მართლა არსებობდა ვიღაც საგზაო ინჟინერი, რომელსაც მიტო ერქვა. „მიტო“, — გაიმეორა გუნებაში. უკვე ბუდრუგანაში იდგა, ღია კარში. ბუდრუგანას ერთ კედელს ვიწრო ნარი გასდევდა მთელს სიგრძეზე. ნარის ერთ ბოლოში ისეთივე ფიცრისაგან შეკოწიწებული მაგიდა იდგა, მეორეში კი — თუნუქის ღუმელი. იმდენი ადგილიღა რჩებოდა, კაცი რომ მობრუნებულიყო მაგიდასა და ღუმელს შორის. მეორე ადამიანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ზედმეტი იქნებოდა აქ, მხოლოდ ხელის შემშლელი, რადგან ჰაერიც, ალბათ, ერთი კაცის სამყოფი ეტეოდა. კაცი თვალს არ აშორებდა. ისევ ისე იდგა, მაგიდაზე ხელებდაბჯენილი. „ხე, ხე“, — მოკლედ ჩაიცინა უცებ, თითქოს ნახველი ჩაიწმინდა. ზურგს უკან ღამე იყო, ბნელი, ცარიელი, გატრუნული. ერთი ნაბიჯიც რომ დაეხია უკან, იმ ღამეში აღმოჩნდებოდა, ჩაიკარგებოდა, დაემალებოდა კაცის მწვანედ აბრიალებულ თვალებს.

— თქვენს სახლს კარი არა აქვს? — უთხრა კაცმა ღიმილგარეული ხმით.

— უი, უკაცრავად. — შეწუხდა ქალი და ბუდრუგანას კარი შემოიკეტა.

მაშინვე სიცხისა და სივიწროვისაგან თავბრუ დაეხვა.

ერთადერთი უკან დასახევი გზა თავისივე ხელით მოიკვეთა და შემობრუნებული, ლამის ზედ გადააწყდა კაცს. დაძაბული იდგა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, იმდენად ახლოს იყო ამ უცხო კაცთან, სუნთქვისაც ერიდებოდა, თავად კი,

ხვითქივით გადასდიოდა სახეზე იმ კაცის ცივ-ცხელი ამონასუნთქი, სუნიანი, ჩებოვანი, მძიმე...

— მობრძანდით, დაბრძანდით, სტუმარი ღვთისაა, — თქვა კაცმა, სხვა, შემზარავად დაბოხებული ხმით.

მკლავში ხელი ჩაავლო და თითქმის ძალით დასვა ნარზე.

— დედისეულია, მიყვარს. — საცოდავად გაიღიმა ქალმა და მხართან მოჩაჩული კაბა გაისწორა.

კაცი გვერდით მიუჯდა. დიდი, წითლად მოელვარე ხელები ახლა ბარძაყებზე ეწყო.

— მე რა, ინჟინერზე ნაკლები ვარ?! — თქვა და ისევ ჩაიცინა, მოკლედ, უსიამოდ. — ვიწროდ კი ვართ, მაგრამ აქაც შეიძლება მოსვენება.

— რას ბრძანებთ. ისედაც შეგაწუხეთ... — წამოდგომა სცადა ქალმა, მაგრამ კაცმა მხარზე ხელი ჩამოადო, ცხელი, მძიმე, სახიფათო. — დღესვე უნდა ვნახო.. გადაუდებელი საქმე.

მაქვს. — გაიბრძოლა უმწეოდ.

— ხვალამდე მაინც უნდა გადადო შენი საქმეები. — უთხრა კაცმა. ხელი ისევ მის მხარზე ედო. — ახლა კი, სიმართლე მოყევი, ვინა ხარ და რას ეძებ ამ ყიამეთში? ქმარმა გამოგაგდო თუ შენით გამოექეცი? ნუ გეშინია, ჩემთან ყველაფრის მოყოლა შეიძლება. — ქალმა გაკვირვებულმა შეხედა, ერთი წამით. — იმას კი, სახელიც არ ჰკითხე, ისე ანაცვალე ქმარი? ხე, ხე, ქალი ვარო, შენ უნდა თქვა.

ქალი მობუზული იჯდა, თითქოს არ ესმოდა კაცის ლაპარაკი. ის ადგილი, სადაც კაცის მძიმე და ცხელი ხელი ედო, ოფლით ეჟღინთებოდა და ახლა ამისიც რცხვენოდა, ხელი დაუსველდებაო, წუხდა დაბნეული. თითქოს კაცმაც იგრძნო მისი წუხილი და ხელი მოაშორა, მაგრამ შორს არ წაუღია, ახლა მკლავზე შემოაჭდო და თავისკენ მიიზიდა.

„ნუ გეშინია... ნუ გეშინია“, — ჩასჩურჩულა ყურში დახეული, დამფრთხალი ხმით. კაცს ფეხი უძაგძაგებდა, აქეთ-იქით დაუხტოდა იატაკზე, თითქოს ფეხი მარტო, უიმისოდ აპირებდა სადღაც გაქცევას. „მიშველე, ოღონდ ახლა მიშველე“, — ვიღაცას შეევედრა ქალი გუნებაში.

— ვერაფერს ვერ გრძნობ, არა? ძაღლადაც არ მაგდებ, არა? — დაიღრიალა უცებ კაცმა და ნარზე გადააწვინა.

გუნებაში ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ აპირებდა ქალის დამორჩილებას. იმასაც ფიქრობდა ყველაფერი თავისთავად მოხდებაო, მაგრამ ქალის გულგრილობამ და სიმშვიდემ გააცოფა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ეს ვერც უნდა მიმხვდარიყო, რა ბნელ საქმეზე იყო გამოსული შინიდან, რა დააწანწალებდა ამ შუაღამისას, მარტის კატასავით; თითქოს ეს იმ კაცებში არ ითვლებოდა, რომლებთანაც მარტო დარჩენისა თუ არ ეშინიათ ქალებს, ერიდებათ მაინც; თითქოს ეს ყურმოჭრილი მონა იყო მისი და უთქმელადაც უნდა გაეგო, ვისი — მოძებნა და მოყვანა ევალებოდა. „კარგად გიცნობთ... ჩემს სახელსაც დაივიწყებ. ვერ გაამჟღავნებ. შეგრცხვება. რადგან ამას არც ქმარი გაპატიებს და არც საყვარელი“, — ფიქრობდა ბრაზიანად, თუმცა ერთი პიროობა, მაინც შეაყოვნა რაღაცამ, რაღაცას გადააწყდა, შემაფერხებელს, გამაფრთხილებელს, მაგრამ აღარც უკან დახევა შეეძლო. დედისეული კაბის ქვეშ სულისშემძვრელად სუსტი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი გოგოს სხეული აღმოჩნდა. გოგოს არ დაუყვირია, მაგრამ იაგორა ცალი ხელის პეშვს მაინც პირზე აფარებდა, თუმცა, შეიძლება, ამას თვითონაც ვერ ამჩნევდა და უნებურად იქცეოდა ასე.

— ვიცოდი, რომ სისხლი დაიღვრებოდა. ვიცოდი, რომ უსისხლოდ არ დამთავრდებოდა ჩვენი შეხვედრა. — თქვა ცოტა ხნის მერე.

ჯერ ისევ მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ უკვე მუხლებზე იდგა. და ზემოდან დასცქეროდა ნიკაპამდე კაბაჩაჩულ გოგოს. გოგო უძრავად იწვა, თვალგაშეშებული, ცივი და უგრძნობელი, როგორც თოჯინა.

— რატომ არ გამაფრთხილე, ჰა? — ჩასძახა იაგორამ.

გოგოს ლამპის შუქი ეცემოდა სახეზე და ცარიელი, გაშეშებული თვალები შუშის ნამტვრევებივით უბრჭყვიალებდა.

იაგორამ უნებურად თვალი აარიდა. ხომ არ მოკვდაო, ერთი კი გაიფიქრა, და აფორიაქებული გადმოვიდა ტახტიდან. — შენს თავს დააბრალე. — თქვა ნირწამხდარმა. ზურგშექცეული იდგა და შარვალს იკრავდა. — ჩემთვის გინდოდა არა, ყველაფრის გადმობრალება! — ჩაიცინა ნაძალადევად, მაგრამ სახეზე არაფერი შესტყობია სიცილისა, თითქოს მეორე სახე ჰქონდა და ის უცინოდა, თიხის ნიღაბივით უხეში და უტყვი სახის ქვეშ ამოფარებული. — შენი არ ვიცი, და, მე მომშივდა, — შემობრუნდა გოგოსკენ.— მე რას მებუტები, ნეტავი... ეს ყოფილა შენი ბედი. — ისევ სცადა გაცინება — ჩამოიწიე კაბა! — დაუყვირა უცებ. გოგო არ განძრეულა. იაგორა დაიხარა და ძალით ჩამოუწია კაბა. არც ახლა განძრეულა გოგო; ცხედარივით იწვა, შიშველი ხორცი მოუჩანდა თეძოდან მუხლის მოსახრელამდე. — შენ თუ მიტოს ეძებ, დილაზე აქ იქნება. უნდა იყოს. ასე დაიბარა — თქვა და ისევ შეაქცია გოგოს ზურგი. — მთლად დალაგებული ვერ უნდა იყოს შენი მიტო. — ჩაიცინა. — ხეების გადასარჩენად წავიდა. ორი ქეციანი ჭადრის გულისთვის რკინიგზა გავამრუდოთო. ვინ დაანებებს?! — ისევ ჩაიცინა, — ხეს კი არა, კაცს აღარა აქვს ფასი.

კარგა ხნით დუმილი ჩამოვარდა. სადღაც, ძალიან შორს ძაღლები ყეფდნენ, გოგო ნარზე იწვა. იაგორა კი მაგიდასთან საქმიანობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ეს უცხო გოგო ყოველ საღამოს ასე ცხედარივით იყო გაშოტილი მის ბუდრუგანაში, მის ნარზე. ფიცრის ყუთიდან, რომელსაც მსხვილი, მაგრამ გაუგებარი ასოებით რაღაც ეწერა, წარწერის ზემოთ კი, გადაჯვარედინებული ძვლები და თავის ქალა ჰქონდა მიხატული, აუჩქარებლად ამოალაგა კიტრი და პამიდორი, ცუდად დაფშხვნილი მარილით სავსე ჭიქა, ტილოს ბინძურ ნაჭერში გახვეული პური, კვარტიანი და ხის ტარიანი, პირჩაშავებული დანა. პამიდორი თუნუქის ღუმელზე შემოდგმულ ტაშტში ამორეცხა, კიტრები კი სათითაოდ გათალა. ფრთხილად თლიდა, თითქოს თითის გაჭრისა ეშინოდა. — ეს არის, რაც არის.

ადექი და ვჭამოთ. — მიუბრუნებლად უთხრა გოგოს. — იმის მაგივრად, რომ შენ ტრიალებდე... — ჩაიცინა. — არაყიცა მაქვს ცოტა. ისეთია, მკვდარს გააცოცხლებს. — სველი ხელი მკერდზე შეიმშრალა და მარილი მუჭით მოაყარა თიხის ჯამში ჩათლილ კიტრსა და პამიდორს. მეორე ხელით კვარტიანს დასწვდა, საცობი კბილებით ამოაძრო და დასუნა. ცალი თვალი მოჭუტა და სახე გვერდზე წაუვიდა, მერე საცობი გადმოაფურთხა და ბოთლი მიიყუდა. კარგახელა ყლუპი ხმაურით ჩაყლაპა. — ის მაინც გეთქვა, რა გქვია. თუ შენი სახელიც საიდუმლოა? — ისევ მოიყუდა ბოთლი, ამჯერად უფრო ხანგრძლივად. — მე იაგორა მქვია. — ამოასლოკინა და მჯიღი დაირტყა გულზე. — იაგორა. — გაიმეორა ბრაზიანად და არყით დასუსხულ ტუჩებზე ბოთლიანი ხელი გადაისვა. ბუდრუგანაში არყის მძაფრი სუნი დატრიალდა. შორს, ძალიან შორს ისევ ყეფდნენ ძაღლები.

ანეტას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს გონება. უფრო მეტიც, ერთადერთი ადგილი, სადაც თავის შეფარება შესძლო, გონება აღმოჩნდა. როგორც კი კაცმა ნარზე გადააწვინა, იმავე წამს უარი თქვა საკუთარ სხეულზე და გონებაში შეიხიზნა,, როგორც ომიანობის ჟამს ციხე-კოშკებში შეიხიზნება ხოლმე მოსახლეობა, რათა უმწეო სინანულითა და უმწეო სიძულვილით უთვალთვალოს იქიდან, როგორ არბევს და აოხრებს მტერი უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანას, გონებას უნარი არ შესწევდა, დაეცვა და გადაერჩინა სხეული, მაგრამ სარკის სიფხიზლითა და კეთილსინდისიერებით აღიქვამდა და აღნუსხავდა ყველაფერს, რაც მის თვალთახედვის არეში ხდებოდა. „აღათიამ იცოდა, ეს რომ მოხდებოდა...

იცოდა“. — ფიქრობდა გონებაში შეხიზნული ანეტა და ზიზღითა და სიბრალულით დასცქეროდა საკუთარ სხეულს.

არასოდეს არ ენახა იგი ასეთი შიშველი, ასეთი დაუცველი და ასეთი ამაზრზენი, მაგრამ მაინც ახლობელი, მაინც მისი სისხლი და ხორცი, როგორც დედისეული კაბის შავი ნაოჭებიდან, ახლახანს, მის თვალწინ მკვდრადშობილი და, მკვდარი დედის კაბამ მკვდარი და გაუჩინა და არაფერი იყო ამაში გასაკვირი. ახლა, გინდაც ამ კაცს გაეშვა, გაეშვა კი არა, გაეგდო, მაინც არ წავიდოდა აქედან, აქ იყო მისი ადგილი, დის ცხედართან, რო-

მელიც ამ კაცმა დედისეული კაბიდან ამოთხარა, როგორც საფ-ლავიდან, და ისევ დედისეულ კაბაში ჩამარხა, როგორც საფ-ლავში. ის ლოდივით უნდა დებულიყო აქ, საფლავის ლოდი-ვით, დის საფლავის გამოსაცნობი ლოდივით. კაცზე არ ბრა-ზობდა, არც მისი აქ ყოფნა უშლიდა ხელს, როგორც მკვდარს არ უშლის სასაფლაოზე მობალახე ძროხა. კაცმა თიხის ჯამი პურის ქერქით ამოწმინდა, ბუტიას წილი ტკბილიაო, თქვა და ერთხელ კიდევ მოიყუდა არყიანი ბოთლი, ანეტამ ისიც კი და-ინახა, როგორ აუდ-ჩაუდიოდა ყელზე ადამის ვაშლი, სანამ არაყს სვამდა. მერე კაცი ბუდრუგანიდან გავიდა და კარი ღია დატოვა. ბუდრუგანაში ჭრიჭინების ხმა და ღამის სიგრილე შე-მოიჭრა.

ანეტამ იგრძნო, როგორ აებურძგნა კანი ნარზე გაშოტილ ცხედარს. უცებ სიზმარი გაახსენდა, ორი სიზმარი გაახსენდა ერთმანეთში არეული: ვითომ ისა და აღათია ვითომ წყაროზე მიდიოდნენ ვითომ სარდიონის დორბლის ვითომ ჩამოსაბანად, თან ფერფლის წყაროსთან მარტო იდგა და პეშვიდან ეს კაცი ასმევდა წყალს, ახლახან რომ გავიდა ბუდრუგანიდან. „აღათი-ამ იცოდა. აღათიამ იცოდა. — გაიფიქრა ანეტამ ჭირვეულად. მერე კაცი შემობრუნდა და კარი შემოიკეტა. ცოტა ხანს შეყოვ-ნდა კართან, თითქოს რაღაცას მიაყურადა. მერე მაგიდასთან მივიდა, ლამპის შუშას ცალი მხრიდან პეშვი მოაფარა და ღო-ნივრად ჩაჰბერა, შუქი მაშინვე ჩაქრა, მაგრამ აბოლებულ პატ-რუქზე კიდევ დიდხანს დახტოდნენ პაწაწინა ბრჭყვიალა ნაპერ-წკლები. ანეტა მაინც ხედავდა, როგორ თხრიდა კაცი საფლავს, ტურის სიმხდალითა და მოუთმენლობით. მერე მკვდარი დის ფეხებს გველივით ცივი ხელი შეაცოცდა....

მერე საგზაო ინჟინერი და პაპამისი შემოვიდნენ ბუდრუგა-ნაში. პაპამისი მუნდირში იყო გამოწყობილი და ყბები შავი ნაჭ-რით ჰქონდა აკრული. „კი მაგრამ, წინააღმდეგობა რატომ არ. გაუწიე?“ — უთხრა პაპამ. „ახლა ამის დრო არ არის“. — თქვა საგზაო ინჟინერმა. აბზუვლებული კრაზანა გამწარებული ას-კდებოდა ბუდრუგანას კედელს. ანეტას სახეზე მზე დასდგომო-და, გაოფლილიყო, როგორც აკვანში ჩაკრული ჩვილი. მერე კანფეტის სუნი ეცა და დუსა დაინახა.

„ნაშენში უნდა მოგეჭირა, შე სულელო, ხომ გასწავლე“. — თქვა დუსამ და კანფეტი ჩაუდო პირში. ანეტას კანფეტის გადმოფურთხება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ძალა არ ყოფნიდა, დუსა კი, უკანვე ატენიდა თითით. „მამაშენს დამბლა თუ არ მოუვიდოდა, არ მეგონა“ — ამბობდა დუსა. „ახლა ამის დრო არ არის... ახლა ამის დრო არ არის. ახლა ამის დრო არ არის“. — გაიძახოდა საგზაო ინჟინერი სადღაც, დუსას იქით. — „საქმე მაინც უნდა შედგეს“. — პასუხობდა პაპამისი. „ხომ ყოფილა? ხომ მოვიდა? ხომ მაინც მოვიდა?“ — ფიქრობდა ანეტა და კანფეტს ენით აწვებოდა. ცდილობდა როგორმე გადმოეგდო პირიდან, ბრმად, ინსტინქტურად, როგორც ახლადგამოჩეკილი გუგულის ბარტყი აგდებს დედობილის კანონიერ ბარტყს ბუდიდან. „ჩემი ჯიბრით, ჩემი ჯიბრით, მე რომ გაგემწარებინე“. — ამბობდა დუსა. მერე პაპამისთან, საგზაო ინჟინერთან და დუსასთან ერთად ეტლში იჯდა და თავბრუ ეხვეოდა, თვალი უჭრელდებოდა, სული ეკვრებოდა.

თითქოს საქანელაზე იდგა და საცაა მოწყდებოდა საქანელას, გაფრინდებოდა, სამუდამოდ ჩაიკარგებოდა აბრჭყვიალებულ სივრცეში. ვერ გაეგო, უხაროდა თუ ეშინოდა. თან იმასაც გრძნობდა, ეტლში რომ იჯდა, დუსასა და საგზაო ინჟინერს შუა, ღონემიხდილი და უმწეო, ყინწმოწყვეტილი. წინ მკვდარი პაპა ეჯდა, დაბღვერილი, გამწყრალი, სახეწამონთებული, ეტლი მსუბუქად მიირწეოდა ფაფუკ მტვერში. ცხენები შეთანხმებულად მიბაკუნობდნენ, მიფრუტუნობდნენ, მიბუყბუყობდნენ შორეულ წარსულში, ანეტას ბავშვობაში, თითქოს ჯერ კიდევ ის დღე იყო, როცა ალექსანდრე მოყავდათ საავადმყოფოდან, თითქოს ჯერ კიდევ ის შიში, სიბრალული და სევდა გრძელდებოდა, დამახინჯებული ძმის დანახვისას რომ დაეუფლა ანეტას. ეტლი მშვიდად მიირწეოდა. თითქოს ეტლიც იგივე იყო, წამლებისა და საავადმყოფოს სუნით გაჟღენთილი, სიხარულისა და მწუხარების, ბედნიერებისა და უბედურების, სილამაზისა და სიმახინჯის თანაბრად დამტევი და მზიდველი. გზაც იგივე იყო, თეთრად აბრჭყვიალებული, დაბურული, ზანტად მოქანავე ტოტებით დაჩრდილული, ათასნაირად დაკლაკნილი სიხარულისა და მწუხარების, უბედურებისა და ბედნიერების, სილამაზისა და სიმახინჯის შუა. იგივე სანახები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს,

იგივე ფლატეები, იგივე ჭალები, იგივე სოფლები, იგივე ყორეები და ღობეები.

თითქოს სახედარიც იგივე იყო, შორს, ტრიალ მინდორში გარინდული, გვალვისაგან დაბზარულ მიწას ჩაშტერებული.

ეტლი მიირწეოდა და კიდევ ერთ სიცოცხლეს ედებოდა მარადიული გზის ცხელი და ფაფუკი მტვერი. სხვა არაფერი.

მერე ცაცხვების ძირას იჯდა, შალით ფეხებშეფუთვნილი და აქაც ყველაფერი ნაცნობი იყო, ორსართულიანი სახლიც, გომურიც, გალავანიც, რკინის ალაყაფიც და დოლის გაუთავებელი ბაგაბუგიც. ეზო სავსე იყო მისთვის ძვირფასი ჩვენებებით. ისინიც გალავანს შიგნით დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, სიკვდილის მერეც ვერ გაეღწიათ აქედან და გარეგარე უვლიდნენ ცაცხვის ძირას თოჯინასავით დასკუპებულ ანეტას, გარეგარე უვლიდა სამი ქალის, — დედის, ბებიისა და გადიის, — აჩრდილი და, თუმცა სამივეს მისი წაყვანა უნდოდა, ახლო მოსვლას მაინც ვერ ბედავდნენ, ანდა არ შეეძლოთ, თითქოს უხილავ თოკებზე ეკიდნენ და ჰაერი ამოძრავებდათ თავის ნებაზე. შენ მოდი ჩვენთანო, ხელს დაუქნევდნენ ხოლმე, მაგრამ არც ამას შეეძლო მისვლა, ფეხები ჰქონდა წართმეული და სხვა რომ ვერაფერს ახერხებდა, აქედან უღიმოდათ, შემარიგებლად, დამამშვიდებლად, ვითომ ღიმილით ეუბნებოდათ, მეტი რაღა მოვიდე, ისედაც ხომ თქვენთანა ვარო. ამ ეზოში მისი ძმები ისევ პატარები იყვნენ და ხან, ცაცხვის კენწეროზე გასულები, ცას ეპოტინებოდნენ, ხან კი, ექიმი ჯანდიერის ეტლის გაჭენებას ცდილობდნენ ამაოდ. ანეტას კი ვერ ამჩნევდნენ, ახლაც ვერ ამჩნევდნენ, ისე იყვნენ გართულნი თამაშით. სამაგიეროდ, მათი მაგიერი ხშირად მოდიოდა მათი დის დასახედად. „ოღონდ გამოკეთდი, ოღონდ გამობრუნდი, ოღონდ მაპატიეო“ — ევედრებოდა თვალებით, როგორც მლოცველი ხატს. ანეტას სიამოვნებდა მისი დანახვა და იმასაც შემარიგებლად, იმასაც დამამშვიდებლად უღიმოდა, როგორც ძველსა და გაწბილებულ ოცნებას. ასე გადიოდა დრო. დუსასა და პეტრეს ყოველ დილით, თუ ცუდი ამინდი არ იყო, სკამიანად ჩამოყავდათ იგი ეზოში და სანამ წასაყვანად მოაკითხავდნენ, იჯდა ასე, ცაცხვების ძირას, წყნარი და დამჯერი ბავშვივით.

„ჩაგსვამდი ბალიშებში და იყავი შენთვის. ფეხს არ მოიცვლიდი. გინდაც დამვიწყებოდი“. ეუბნებოდა აღათიას აჩრდილი და ანეტა სრულებითაც არ ბრაზობდა, როგორც ამ სამიოდე თვის წინათ, როცა ცოცხალი აღათია ეუბნებოდა ამას, რადგან მაშინ თვითონაც ცოცხალი იყო და, როგორც ყველა მოზარდს, ის ეჩოთირებოდა, ის აღიზიანებდა და იმის მიჩქმალვას ცდილობდა, რაც თანდაყოლილი და მთავარი თვისება იყო მისი არსებისთვის, საერთოდ მისი ბუნებისათვის. მაგრამ ეს რომ ერწმუნა, ჯერ მისი უკანასკნელი მეთვალყურეც უნდა მომკვდარიყო. თვითონ კი, უმეთვალყუროდ დარჩენილი, პირველსავე გასვლაზე, ცხოვრების ეტლს უნდა ჩავარდნოდა ბორბლებში, თოვლით ტანდაზელილ ოცნებასა და კვიცებივით მოუსვენარ ფეხებს აყოლილი. გალავანს იქით დარჩენილი ცხოვრება კი, თავისი გზით მიდიოდა და სრულებითაც არ ადარდებდა, მისი სიტლანქისა და სიბრმავის წყალობით, თოჯინად ქცეული გოგოს ბედი. მიდიოდა, მიირწეოდა უკიდეგანო კალაპოტში მდორე და ტალახისფერი მდინარე. ამ თოჯინის ერთი ძმა ყინულის საკანში ბორკილებს დააჟღარუნებდა, ხოლო მეორე, მამა-პაპის ჯიბრზე, მამა-პაპის უარმყოფელი, საკუთარ სახლს იშენებდა საავადმყოფოდ გადაკეთებული მონასტრის გვერდით, არც თავს იზოგავდა და არც მაროსა და მეკუბოვეს ზოგავდა, რომელთანაც ისევ და ისევ მამა-პაპის ჯიბრზე დაეკავშირებინა თავისი ცხოვრება. ვირებივით შრომობდნენ სამივენი. ალექსანდრე საძირკვლის ორმოებს თხრიდა, ხოლო მარო და მამამისი ხევიდან რიყის ქვას ეზიდებოდნენ გოდრებით.

— გიჟია, ისემც მე ვიხარო. — ეუბნებოდა მარო მამამისს, — გიჟიც გიჟსა ჰქვია. — პასუხობდა მამა, მტვერში ამოგანგლული, აცაბაცად მომავალი გოდრის სიმძიმის ქვეშ.

ქვას დღე და ღამე ეზიდებოდნენ და მამასაც და შვილსაც სიკვდილის გზასავით ეზიზღებოდათ მარად გრილი, მარად მოჩხრიალე ხევი. ხევში ოთხად დატოტვილი პატარა მდინარე მოედინებოდა, ოთხი ტიტლიკანა დობილი, ადამიანებისთვის გაუგებარ ენაზე რომ მოჟღურტულობდნენ რაღაცას, თავშესაქცევსა და სასაცილოს, ხანდახან ბუჩქებიდან კაჭკაჭი ამობრიალდებოდა ხოლმე და კარგა ხნით აახარხარებდა ხევს მაგრამ ისინი არც ნაკადულების ჟღურტულსა და არც კაჭკაჭის ხარ-

ხარს აქცევდნენ ყურადღებას, როგორც მხდალი და უნდილი ბავშვები — დაცინვასა და გამოწვევას. ნაკადულების დაწმენდილი, გამჭვირვალე, მარად ქალწული ზვირთებიდან კრიალა კენჭები იჭყიტებოდნენ, როგორც კიჭები — აბეზარი და დაუნდობელი გოგოს პირიდან, რომელიც თითქოს მხოლოდ კვიმატი სიტყვის სათქმელადაა შექმნილი.

ისინი კი, ქვით დატვირთულნი, ბოღმისაგან და დაღლილობისაგან, გამოურწყავი მუწუკებივით, სახე აპრიალებულნი, პირქუშად მოუყვებოდნენ ხევს და ფეხები უკან რჩებოდათ, რადგან ისევ უკან უნდა მობრუნებულიყვნენ და ეშმაკმა იცის, კიდევ რამდენჯერ, სანამ ღონემიხდილნი არ დაცვივდებოდნენ ცალხელა გიჟის ფეხებთან, რომელიც ერთადერთი ხელით ისე მარდად და ოსტატურად ხმარობდა ნიჩაბს, გაკვირვებასა და აღტაცებას კი არ იწვევდა მნახველებში, არამედ შიშისა და მორიდების გრძნობას. ღამით უფრო ჭირდა ხევში სიარული. წარამარა ფეხი უტრიალდებოდათ ოღროჩოღრო ქვიშაში, გაუჩინარებულ წყალში მოტოპავდნენ და ღვთის ანაბარა მოიკვლევდნენ გზას. ღამით ეშინოდათ კიდეც წყვდიადით ამოვსებული ხევისა და რაღა არ ეჩვენებოდათ, რანაირ სახეს არ იღებდნენ, მათთან ერთად, ნოტიო წყვდიადში ცოცხლად ჩამარხული, ჩახშული და გაუცხოვებული ხმები.

— ხომ არ გეშინია, გო? — განგებ ხმამაღლა ამბობდა მეკუბოვე, რადგან თავად მას ეშინოდა და მაროზე უარესადაც. — ჩვენთან ვის რა ხელი აქვს, არ ვჩანვართ, თორემ ეშმაკსაც დავაფეთებდით აი, მე და შენ. — იცინოდა ნაძალადევად, უფრო ვიღაცის, არარსებულის, წარმოდგენილის გასაგონად, ტყუილუბრალოდ რომ არ ჩასაფრებოდათ ის, წინასწარვე გაეგო, ხელის გასასვრელადაც რომ არ ღირდნენ ესენი, სანამ ახლოს მიუშვებდათ და სანამ თვითონ დარწმუნდებოდა ამაში.

— არავიზე ნაკლები არა ვარ, ისემც მე ვიხარო. — თქვა ერთ დღეს მარომ. ის-ის იყო, გოდორი მოეხსნა და თავსაფარს ბერტყავდა, მამამისი გოდრიანად ჩამჯდარიყო მათივე მოზიდული ქვის გროვასთან და მძიმედ სუნთქავდა. მტვრისგან ტუჩები გასთეთრებოდა, წარბებიც თეთრად ჰქონდა გადაპენტილი, მეწისქვილესავით. — ისემც მე ვიხარო — გაიმეორა მარომ. ალექ-

სანდრე ორმოში იდგა, გამალებული მუშაობდა და ორმოს გასწვრივ გაწოლილ ბორცვს განუწყვეტლივ ემატებოდა ჯერ კიდევ გრილი და შავი მიწა. — შენ გეუბნები, ადამიანო. არავიზე ნაკლები არა ვარ-მეთქი, მონად რომ გამიხადე. — ჩასძახა ორმოს მარომ.

— არ ამომიყვანო. — თავის აუღებლად თქვა ალექსანდრემ.

— ვითომ რითი ვარ შენს დაზე უარესი?! — არ მოიშალა მარომ. — განა ჩუმად რომ ვარ, არც არაფერი გამეგება?

მარომ მამას გადახედა, თითქოს მოწმე დაიგულა.

მამამისი ისევ ისე იჯდა, გეგონებოდათ ქვის ყორეზე მიუბამთო, შვილს ქვემოდან ამოჰყურებდა გამოცარიელებული თვალებით. თუმცა არა, შიშის ძლივს შესამჩნევი ლანდი დაფარფატებდა მის თვალებში, როგორც ცარიელ საყდარში ღამურა, მტვრით გადათეთრებულ ტუჩებზე ენის გადანასვამი ეტყობოდა. ბინძური და გაჩეჩილი თმიდან ოფლს გამოეჟონა. — რა გაიგე? რა გაგეგება? — დაიძახა ალექსანდრემ.

ნიჩაბი გააჩერა, მაგრამ თავი მაინც არ მიუბრუნებია მაროსკენ, ოდნავ წელში მოხრილი იდგა ორმოში, ორმოს ფსკერს ჩაშტერებული, თითქოს ოქროთი სავსე ქოთანს გადასწყდომია და ჯერ თვალს არ უჯერებს, ჯერ კიდევ აკვირდებაო, — რა გავიგე და ის გავიგე, რასაც ქვეყანა ლაპარაკობს, — თქვა მარომ და გაფერთხილი თავსაფრით ყელ-კისერი მოიხოცა. — რას ლაპარაკობს, ქალო, ქვეყანა! — მთელი ტანით შემობრუნდა ორმოში მოთმინებიდან გამოსული ალექსანდრე.

— ნუ უსმენ, კაცო, ხომ იცი, სულელია. — დაუძახა მეკუბოვემ. — რამდენჯერ გითხარი, ენას კბილი დააჭირე-მეთქი.

— თვალები შვილზე გადიტანა. — აუცილებლად უნდა ამოგგლიჯონ? იქამდე ვერ მოისვენებ? — ძლივს, უნდილად ლაპარაკობდა. ისე დაღლილიყო, მკლავის გამოღებაც დაზარებოდა თუ დავიწყნოდა გოდრის სახელურიდან.

— მე არ ვეტყვი, სხვა ეტყვის, — თქვა მარომ. — ახლა იმაზე მომდებს შარს, თუ იცოდი, რატომ დამიმალეო, ისემც მე ვიხარო.

ალექსანდრე ორმოდან ამოვიდა, კი არ ამოვიდა, ავმა წინათგრძნობამ ამოაგდო, ამოისროლა, როგორც ნიჩაბმა ქვა. ნიჩაბი რომ აღარ ეჭირა, ესეც მერე შეამჩნია, მიწაზე. განთავისუფლებული ხელი ეჩოთირა. ხან მაროს შეაცქერდებოდა სახეში და ხან მაროს მამას, ცუდად მომღიმარი, თქმით კი არაფერს ამბობდა, არც იმათ აძალებდათ თქმას, თითქოს გრძნობდა, მზად რომ არ იყო იმის მოსასმენად, რასაც მალე მოისმენდა, რაც უკვე ენაზე უტრიალებდა მის ერთგულ ამხანაგსა და თანამგზავრს. აი, ახლა გააღებდა თავის უშნო პირს და მერე არაფერი ეშველებოდა. ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა იმ გესლსა და შხამს, რომელსაც მაროს ბნელი წიაღიდან დაძრული სიტყვა ამოიყოლებდა თან. სხვას რომ თავი გავანებოთ, ალექსანდრე ერთდროულად ორივე ყურსაც ვერ დაიცობდა, ხელი არ ეყოფოდა. „იქნებ მართლა ჯობია, რომ არ ვათქმევინო, არ გავიგო, იქამდე ამოვგლიჯო ენა, სანამ იტყოდეს? — ფიქრობდა ჩქარა, ფაცაფუცით, როგორც განსაცდელში ჩავარდნილი და დროშეზღუდული კაცი. — იმიტომ, რომ მეშინია... იმიტომ, რომ ლაჩარი ვარ... კეთილი ლაჩარი“, — გაიბრაზა თავი.

— კარგს რას იტყვის შენი ენა. ბარემ თქვი და გაათავე, კიდევ ვის გამოუყვანეთ წირვა შენ და მამაშენმა, კიდევ ვის ესროლეთ ტალახი. — თქვა ალექსანდრემ, ისევ ისე მომღიმარმა, მაგრამ თავ-ფეხიანად დაძაბულმა, საკუთარ ხმას მიყურადებულმა, ხმას რომ არ გაეთქვა, ხმაზე რომ არ შესტყობოდა შიში და მღელვარება.

— გესმის, მამი? — თავი მიაბრუნა მარომ. — ისევ ჩვენ გვისვრია ტალახი. რა პირით გვლანძღავ, შენი დის პატრონი?! — მოუტრიალდა ალექსანდრეს, — შარაზე გადი და პირველივე შემხვედრი გეტყვის იმის კარგ ქალობას. მთელი წნორი დაუძღია, ისემც მე ვიხა... — ვერ დაამთავრა მარომ, რადგან უცებ, ხელნის ბლაგვი თავივით დაეძგერა კბილებში ალექსანდრეს მუშტი.

მარო მოცელილივით დავარდა მიწაზე. „ტყუი! ტყუი!

ტყუი!“ — დაჰყვიროდა ალექსანდრე და ახლა ფეხებით სცემდა, ფეხებით მიაჩოჩებდა, ფეხებით მიათრევდა, ფეხებით მიაგორებდა პირღია ორმოსკენ, საიდანაც ეს წუთია თვითონ ამოსულიყო.

— ჩვენი რა ბრალია... ჩვენ რათა გვცემ... ჩვენ რა დაგიშავეთ, — იძახდა მეკუბოვე და პატარა მუშტებს მკერდზე იცემდა, სხვა ვერაფერს ახერხებდა, ქვით თავმობმული გოდორი ისევ ზურგზე ჰქონდა მოკიდებული, ფეხზე კი წამომდგარიყო, მაგრამ გამძვინვარებულ ალექსანდრესთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

მარო ორმოში ჩავარდა. „ტყუილია, ტყუილია, ტყუილია“, — ახლა ორმოს ჩაჰყვიროდა ალექსანდრე და თან მიწას ყრიდა შიგ ფეხებით, რადგან ნიჩაბიც ორმოში იყო, მაროსთან ერთად. ფეხებით აყრიდა მიწას თავის ერთადერთ მეგობარს, თითქოს ქვეყანას უმალავდა, როგორც მელია — თავისსავე განავალს. მარო ხმას არ იღებდა, ჩუმად იწვა ორმოს ფსკერზე როგორც დიდი ნადირისგან თავდაღწეული პატარა ნადირი — სოროში, და შეიძლება, უხაროდა კიდეც, მიწა რომ ეყრებოდა ზემოდან: რაც მეტი მიწა დაეყრებოდა, უფრო გადარჩენილი იქნებოდა, უფრო კარგად დაემალებოდა განრისხებულ მტერს. მერე ალექსანდრე შარაზე მიაბიჯებდა, მამისეული სახლისკენ მიდიოდა, დაუოკებელი და დაუნდობელი, თითქოს შურისძიების წყურვილით აღგზნებული ორი ბიბლიური ძმა შერწყმულიყო მის არსებაში, თითქოს ერთდროულად სვიმონიც იყო და ლევიც, რომლებიც გაშიშვლებული მახვილებით თავიანთი დის შემარცხვენელი ქალაქისკენ მიისწრაფოდნენ.

ანეტა ცაცხვის ძირას იჯდა, ფეხები მალით ჰქონდა შეფუთვნილი და საგზაო ინჟინრის ხმას უსმენდა. საგზაო ინჟინერი რომ მოვიდა, დუსამ იმასაც ჩამოუტანა სკამი და თან თავისი გაკეთებული კანფეტებით სავსე თეფშიც გამოაყოლა ხელს (გათხოვების შემდეგ დუსა, რაღა თქმა უნდა, ტკბილეულით აღარ ვაჭრობდა, მაგრამ კანფეტებს მაინც ამზადებდა ოჯახისთვის, როგორც სხვა დიასახლისები მწნილსა თუ მურაბას),

თეფში ინჟინრისთვის განკუთვნილ სკამზე იდო, ინჟინერი კი, ფეხზე იდგა და იდაყვებით დაყრდნობოდა სკამის ზურგს. დუსა თავისი ოთახის სარკმლიდან უთვალთვალებდა ცაცხვების ჩრდილში განმარტოებულ წყვილს, ფარდას ამოფარებული, სუნთქვაშეკრული, სულწასული. ინჟინრის ხმა აქამდე არ აღწევდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჯადოქარს შეყვარებული ქალ-ვაჟი გაუქვავებია და სხვა გოგო-ბიჭების ჭკუის სასწავლებლად, ძეგლად დაუდგამს მაკაბელების ეზოშიო.

— მერე თბილისში წაგიყვან, დეიდაჩემთან. ექიმებს დაგახვევ. აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. ოღონდ... ოღონდ მაპატიე. მე ხომ არ ვიცოდი. — ამბობდა საგზაო ინჟინერი. „მიტო, მიტო, მიტო“, — იმეორებდა გუნებაში ანეტა და იღიმებოდა, როგორც ოცნებას უღიმის კაცი, რომელიც წინასწარვეა დარწმუნებული, ეს ოცნება ოცნებადვე რომ დარჩება, ხორცშესხმა რომ არ უწერია, იმდენად მიუღწეველი და გიჟურია იგი, მაგრამ, შეიძლება სწორედ ამიტომაც, განსაკუთრებულად სიამოვნებს მის ტყვეობაში ყოფნა, მისი კიდევ უფრო გახანგრძლივება და გაღრმავება, თითქოს იმის გასაგებად, აქვს თუ არა საერთოდ საზღვარი ამ უსხეულო და ქარაფშუტა არსების მომაჯადოებელ ცრუპენტელობას.

— მიყვარხარ, გესმის? კი არ მეცოდები, მიყვარხარ. — ეუბნებოდა საგზაო ინჟინერი.

„აი, თურმე რა ყოფილა ჩემი ჯვარი“, — ფიქრობდა იგი.

ბავშვობიდან იცოდა, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული, მაგრამ უკვე სხვათა საკუთრება. მამისაგან იცოდა ეს, მამამ შთააგონა, მაგრამ მამა ისე გარდაიცვალა, ვერ გაიგო, რა ჯვარს ეზიდებოდა იგი, მოიპოვა თუ არა, მეორე, ქვეყნისათვის სასარგებლო ცხოვრების უფლება. მამამისი კანცელარიის უბრალო მოხელე იყო, მთელი სიცოცხლე არზებსა და საჩივრებს ათეთრებდა, ოქმებითა და ბრძანებებით ჰქონდა თავი გამოტენილი და ნათესავებიცა

და ნაცნობებიც ერთ უფხო, ხელმოცარულ კაცად თვლიდნენ. მიტომ ესეც ბავშვობიდანვე იცოდა და ბავშვობიდანვე იტანჯებოდა, რადგან მამას აღმერთებდა, მაგრამ, ამავე დროს, სხვა გიმნაზიელებივით, არ შეეძლო, თავი მოეწონებინა მამით. მათი ოჯახიც, ერთი შეხედვით, ოჯახად ითვლებოდა, ოდესღაც მდიდარი და სახელოვანი, გვარიშვილობით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლებები არ იყვნენ, მაგრამ როცა სხვა ოჯახებში აულაგებლად იყო სუფრა გაშლილი და სტუმრების განუწყვეტელი ჟრიამული იდგა, ამათ ოჯახში პირველად მოხვედრილ კაცს, მოსალოდნელი ანდა უკვე გადატანილი უბედურების მძაფრი შეგრძნება ეუფლებოდა. ასე ეგონა მიტოს, რადგან უპირველეს ყოვლისა თვითონ იყო ამ შეგრძნებით შეპყრობილი, იმასაც ხვდებოდა, მისი მშობლები უმწეონი რომ იყვნენ, ამ შეგრძნებისგან გაენთავისუფლებინათ იგი და დაშინებული თუ ბედს შეგუებული ადამიანების შემაძრწუნებელი მორჩილებით აგრძელებდნენ ცხოვრებას.

იმის მაგივრად რომ რამე ეღონათ, მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ნათესავებისათვის დახმარება ეთხოვათ, დაუნანებლად, დაუფიქრებლად ყიდდნენ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, რათა შვილისათვის არ მოეკლოთ არაფერი, მათ შვილსაც კეთილშობილთა გიმნაზიაში ესწავლა და არ გამოკლებოდა ტოლ-ამხანაგებს. მიტომ იცოდა, რა უჯდებოდათ მშობლებს მისი სწავლა-განათლება, რის ფასად უნარჩუნებდნენ ისინი შვილს ხალხში ტრიალის შესაძლებლობას და ყოველთვის ზედმეტად აღგზნებული და დაძაბული, თავგანწირულად სწავლობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, წიგნების მტვრითა ჰქონდა პირი გამოვსებული, მარტო იმიტომ კი არა, სხვებზე მეტი რომ ცოდნოდა, სხვებისათვის რომ ეჯობნა ცხოვრებაში, არამედ — თავისი ოჯახის უბედურების მიზეზს რომ ჩასწვდენოდა და დროულად ამოეცნო, რომელი ჯვრის მტვირთველი უნდა ყოფილიყო თავად, რომელ გოლგოთაზე უნდა აეტანა თავისი ჯვარი. „არავინ შეიჯავრო, შვილო, სიძულვილი გაგანადგურებსო“, — ეუბნებოდა დედა, თითქოს ხვდებოდა, მათ ოჯახში დაბადებული ბავშვი სიძულვილისათვის რომ უფრო.

იქნებოდა განწყობილი, ვიდრე სიყვარულისთვის. „ყველა საქმე ქვეყნისათვის საკეთილდღეო საქმეა, თუკი გიყვარს და

თუკი კეთილსინდისიერად ემსახურებიო“, — ეუბნებოდა მამა, როცა თვითონ კალმისაგან ბებერები ჰქონდა თითებზე გაჩენილი, ყოვლად უსარგებლო და უაზრო შრომისაგან, რადგან სხვებსაც, მასზე ახალგაზრდა მოხელეებს, მასზე სწრაფად შეეძლოთ არზებისა და უწყებების გადათეთრება, მაგრამ მამამისს ლამაზი ხელი ჰქონდა და ამის გამო ითმენდნენ ალბათ სამსახურშიც. კანცელარიიდან რომ მობრუნდებოდა, ახლა სახლში მიუჯდებოდა მაგიდას და ისევ წერდა. ქუჩაში არასოდეს არ გამოდიოდა თითქმის. ათასში ერთხელ ბაზარში თუ წავიდოდა, ანდა — დუქანში, ქაღალდის მარაგის შესავსებად. რას წერდა, არავინ იცოდა. ცოლს ღიმილით იშორებდა, რა გინდა, თავს ვიქცევო და შუაღამემდე წერდა. ცოლი არასოდეს საყვედურობდა, თუმცა სანამ მისი მეუღლე „თავს იქცევდა“, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილები შეუფერხებლად მაღლდებოდნენ ცხოვრების კიბეზე, ჩინ-მენდლებით იტვირთებოდნენ და დღითი დღე იმატებდნენ გავლენასა და პატივს. ეს კი, წერდა, თავაუღებლად, დაუზარებლად, ჯიუტად, თაბახს თაბახზე ავსებდა, სანამ სარკმელი არ გადათეთრდებოდა ხოლმე? მერე ნაწერს უჯრაში ჩაკეტავდა, სასწრაფოდ გადაიწერდა პირჯვარს, ხატისაკენ თვალგაქცეული, ლამპას ჩააქრობდა და წვებოდა, ერთიორი საათის მერე ისევ კანცელარიის მაგიდას რომ მიჯდომოდა და თავისი ლამაზი ხელით უსასრულოდ და კეთილსინდისიერად ეთეთრებინა ოქმები და ბრძანებები.

— რასაც შენ აკეთებ, ისიც საქვეყნო საქმეა? — ვერ მოითმინა ერთ დღეს მიტომ, მაგრამ ამით ახალი სატანჯველი და ახალი სანანებელი მიიმატა მხოლოდ.

მისმა შეკითხვამ მამამისი შეაკრთო, ოდნავ აუთრთოლდა კალმიანი ხელი, თქმით კი, არაფერი უთქვამს, დარცხვენილად თუ დამნაშავედ გაუღიმა შვილს და წერა გააგრძელა. მერე მიტო ოდესაში წავიდა, ახლა იქ ჩაეფლო წიგნებში და ერთფეროვნად გაიჭიმნენ უნივერსიტეტის ნაცრისფერ კედლებში სანახევროდ მშიერი სტუდენტობის წლები. „არაფერი გამომიგზავნოთ. მე კარგად ვარ, თავს მიხედეთო“. — წერდა იქედან მშობლებს, რადგან ძილის წინ, ერთი წამით რომ წარმოიდგენდა, რამხელა ტვირთად აწვა თავის ხელმოკლე ოჯახს, სიმწრისა და სიბრაზისაგან ლამის გული გასკდომოდა. მერე, მშობლე-

ბის სიკვდილის მერე მიხვდა მიტო, რომელი ჯვარი ამოერჩია მამამისს, რომელ ჯვარს ეზიდებოდა ეს ჩუმი და შეუმჩნეველი კაცი, რომელსაც, მოწაფესავით, მთელი სიცოცხლე მელნით ჰქონდა თითები მოთხუპნული და რომელსაც ნათესავებიც ამადლიდნენ სალამს. როცა ოდესიდან დაბრუნებულმა მიტომ მღელვარებისგან ათრთოლებული ხელით გახსნა მამის უჯრა და მისი ნაწერები ამოიღო, პირველად გაოცებისგან პირი დააღო. მერე ნაწერის სილამაზემ, სისუფთავემ და სისადავემ აა-ფორიაქა და დიდხანს იდგა ასე, მამისეულ მაგიდასთან, ერთ ხელში სტამბურად გამოცემული „ქილილა და დამანა“ ეჭირა, მეორეში კი, იგივე წიგნი, ოღონდ მამის ხელით გადაწერილი.

ახლაც, მაკაბელების ცაცხვების ძირას გაჩერებულს, რა-ტომღაც მამის ნაწერი დაუდგა თვალწინ და ეს პატარა გოგო, ტლანქი ვნებით გადათელილი, დაკნინებული და დადამბლავე-ბული, მართლაც გავდა რაღაცით მამამისის ლამაზი ხელით გა-მოყვანილ ქართულ ასოებს, რაღაცით კი არა, სისადავით, სიმ-სუბუქითა და სინათლით, და უკვე მტკიცედ იცოდა, ეს რომ იყო მისი ჯვარი, შალით ფეხებშეფუთვნილი და შემარიგებლად მომ-ღიმარი გოგო. სხვას თუ ვერაფერს უშველიდა, ბორბლებიან სავარძელში უნდა ჩაესვა და იმასთან ერთად შესდგომოდა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი გოლგოთასაკენ მიმავალ გზას. ეს იყო მისი მოვალეობა, თუკი ვერ გადაარჩინა, ახლა აღარ უნდა მიეტოვებინა იგი და მოევლო და ეპატრონა, როგორც მამამისი უვლიდა და პატრონობდა ქართულ კალიგ-რაფიას, როცა სხვას აღარავის ეცალა საამისოდ.

— ვერც ხეები გადავარჩინე და ვერც... — დაიწყო მიტომ, უნ-დოდა ეთქვა, ვერც შენო, მაგრამ სწორედ ამ დროს მათკენ მო-მავალი ალექსანდრე დაინახა.

დუსამ ყველაზე ბოლოს შეამჩნია ალექსანდრე. საგზაო ინ-ჟინერი მოულოდნელად რომ შემობრუნდა ალაყაფისკენ, ძა-ლაუნებურად იმანაც იქითკენ გაიხედა და, თუმცა არასოდეს არ ენახა აქამდე, ინჟინრისა არ იყოს, იმანაც მაშინვე იცნო თავისი კიდევ ერთი გერი.

— ეს კი მგონი, ალექსანდრეა, — თქვა მიტომ.

— მე კი ვარ ალექსანდრე, მაგრამ შენ ვინა ხარ, ან რას აკეთებ აქ! — სიარულში თქვა ალექსანდრემ და უცხო კაცი გზიდან ისე ჩამოიშორა ერთადერთი მკლავით, თითქოს მწყურვალი ტბისკენ მიისწრაფოდა და ლერწამი გადასწია, ტბა რომ დაენახა. იმავე წუთას ერთდროულად აირეკლა დის ორივე თვალში: აწოწილი, ავი, პირქუში.

— ვინ არის? მართალია, რასაც ამბობენ? — ჩასძახა მისი ხილვით გაცისკროვნებულ თვალებს.

თვალები უცებ დაიორთქლა, როგორც დასუნთქული მინა.

მერე ყველაფერი აირია, თვითონაც ვერ იგრძნო, როდის ჩაავლო საყელოში ხელი. დის სიშიშვლე ცივი წყალივით მიეშხეფა სახეში და ერთი წამით გამოფხიზლდა, რათა საკუთარი საქციელისგან უარესად დასცემოდა თავზარი. ისეთი სუსტი, ისეთი ნაზი და სუფთა იყო დის გაშიშვლებული მხარი, ცრემლის ეკლიანი გორგალი მოებჯინა ყელში. ჩამოხეული საყელო უსიცოცხლოდ ეკიდა დის მკერდზე, როგორც მოკლული ფრინველის ფრთა.

ანეტას თვალები მართლა დაეორთქლა, დაებინდა და კარგა ხანს ვერ გაერკვა, რა ხდებოდა. მხედველობა რომ დაუბრუნდა, სკამი, რომელზედაც კანფეტებიანი თეფში იდო, მიწაზე ეგდო, როგორც იმ დილით, როცა აღათიამ თავი ჩამოიხრჩო.

მთელი ეზო კანფეტებით იყო მოფენილი, ალექსანდრეს კი, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. ერთადერთი, ვინც თავიდან ბოლომდე, მისხალ-მისხალ უყურა ცაცხვების ძირას დატრიალებულ ვნებათა ღელვას, დუსა იყო. დუსას მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი და როდისროდის იგრძნო, გადატანილი მღელვარებისა და დაძაბულობისგან, როგორ უცახცახებდა სხეული და, შეშინებულ კატასავით, როგორ ებღაუჭებოდა ჩამოსაწყდომად გამზადებულ ფარდას.

ექვსი თვის მერე ალექსანდრე ისე შორს იყო მამისეული სახლიდან, ფიქრშიაც რომ ვერ წარმოიდგენდა და, შეიძლება, ფიქრშიაც ვერ გაებედა, თუ არა საგზაო ინჟინერი (საგზაო ინჟინერი რომ იყო იგი, ესეც მერე შეიტყო, როცა დაცხრა, როცა ცხვირიდან წამსკდარმა სისხლმა გონება დაუწმინდა და განსჯის უნარი დაუბრუნა), მისი დის ქმაგი, ძმებისაგან დავიწყებული გოგოს მოსარჩლე, რომელმაც ერთი დარტყმით დაუმსხვრია შურისა და ღვარძლის, თავკერძობისა და პატივმოყვარეობის ნაჭუჭი და ბევრ რამეს მიახვედრა ერთბაშად.

მართლაც, როდის იკითხა დის ამბავი, როდის გაუწია ძმობა, ახლა რომ მოეწვა კუდი, ახლა რომ დაიწყო მამლაყინწობა?

თუმცა ახლაც საკუთარი თავმოყვარეობის შებღალვა უფრო აწუხებდა, ვიდრე დის უბედურება, და ესეც საგზაო ინჟინერმა მიახვედრა, კი არ მიახვედრა, ესეც მუშტივით მიახალა ცხვირპირში. მუშტი კი, იცოცხლე, მწარე და დაუნდობელი ჰქონდა და კარგადაც ხმარობდა. „ჩვენ პატიება უნდა ვითხოვოთ მხოლოდ, თუკი შეიძლება ამის პატიება“. — უთხრა საგზაო ინჟინერმა. „ის მაინც მითხარი, ვინ არის?“ — შეევედრა ალექსანდრე. საგზაო ინჟინერმა გაიცინა, როგორც ბავშვის სისულელეზე იცინიან ხოლმე, და შენა ხარო, მიუშვირა ხელი. „მიტოვებულ ეკლესიას აუცილებლად ეშმაკი დაეპატრონება, მაგრამ ეს არც ეკლესიის ბრალია და არც ეშმაკისა. დამნაშავე ისაა, ვინც ეკლესია მიატოვა, შენ, მამაშენი, შენი ძმა და, თუ გნებავს, მეც, თქვენთან ერთად“. — უთხრა საგზაო ინჟინერმა. ეს ექვსი თვის წინათ იყო, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას. ალექსანდრეს ცხვირიდან სისხლი სდიოდა და ტუჩ-ნიკაპზე ახმებოდა. ვიღაც უცხო ქალმა („მამაჩემის ცოლი“ გაიფიქრა ალექსანდრემ) წყალი და პირსახოცი გამოუტანა შინიდან. ცალ ხელში თუნგი ეჭირა, მეორეზე კი პირსახოცი ჰქონდა გადაკიდული და დაბნეული, დამფრთხალი შემოსცქეროდა. ალექსანდრეს გუნებაში გაეღიმა, რაღაც გაახსენდა, თვითონ კი არ გაახსენდა, ცხვირიდან გამოჟონილ სისხლს ახსოვდა რაღაცა, ამის მაგვარი, იძულებითი სიკვეთე, იძულებითი ყურადღება, სიბრალულისა და ზიზღის აღმძვრელი. ესეც ექვსი თვის წინათ იყო, მაგრამ

იმ დღის მერე სხვა არშინით იზომებოდა ალექსანდრესთვის დრო და მანძილი, კაცის კი არა, ქაჯის არშინით. მიდიოდა, გრძნობდა, რომ მიდიოდა, იღლებოდა, გრძნობდა, რომ იღლებოდა, გზას კი არაფერი აკლდებოდა, იმასაც ვერ იგებდა, როდის ეძინა და როდის ეღვიძა, ცას არც გათენება ეტყობოდა, არც დაღამება.

ერთნაირი იყო სულ, ნაცრისფერი, დაბალი, გაუმჭვირვალე.

სოფლებიც და ქალაქებიც ერთმანეთს გავდნენ, თითქოს ერთსა და იმავე ქალაქს ერთი და იგივე სოფელი ენაცვლებოდა განუწყვეტლივ. ხალხიც ერთი და იგივე ხვდებოდა ყველგან, ეჭვიანი და გულუბრყვილო. სადაც შევიდოდა, ყველგან ქურქის ცარიელ სახელოს უსინჯავდნენ, თითქოს ჯერ არ ენახათ ცალხელა კაცი. ალექსანდრეც ყველას ერთსა და იმავეს უმეორებდა: ტიუმენი... კატორღა... ძმაო. და ბოლოს იწამა, რომ ვერასოდეს დააღწევდა თავს ამ მოჯადოებული წრიდან. „რატომ მომიკალი ქმარი, ა? აბა შემომხედე, შეიძლება ჩემისთანა ქალის დაქვრივება?“ — ესმოდა ქალის ხმა, მოსაყვედურე კი არა, თბილი, მოალერსე. ქალს თეთრი, უმკლავებო პერანგი და გრძელი, დანაოჭებული ქვედაკაბა ეცვა, იდაყვებამდე დაწითლებულ მკლავებზე შიშინით აშრებოდა საპნის ქაფი.

„ყურს ნუ უგდებ. თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს...

სულელი დედაკაცი“. — ეუბნებოდა ცარიელი მაგიდის თავში დამჯდარი კაცი, უსაქმურობისგან მოწყენილი, გაღიზიანებული, შინ გამოკეტილი გაუთავებელი და აუღებელი თოვლით, მაგრამ უფრო შემკრთალი, ვიდრე გახარებული, უფრო დაეჭვებული, ვიდრე დაინტერესებული ამ უცხო ადამიანის გამოცხადებით. ჭრელი ჩითის ხალათი ეცვა, შარვალზე გადმოშვებული. დაკოჟრილი, ნაჯაფი ხელის მტევნები წინ დაეწყო, მაგიდაზე, როგორც ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილი პური. მისთვის სულერთი იყო, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა და ვის ეძებდა ამ ქოხში შემთხვევით შემოხეტებული მგზავრი. მას თავისი სადარდელი ჰქონდა, მყარი, შეუვალი, ფეხმოუცვლელი და ამ სადარდელში იყო შეყუჟული, როგორც მისი წყლისფერი თვალები მოღუშულ წარბებში. მგზავრი წავიდოდა, ის კი დარჩებოდა,

რადგან მგზავრს ჭერი არ ჰქონდა და ეს აიძულებდა სხვების შეწუხებას, მას კი, წასასვლელი არ ჰქონდა არსად და ეს აიძულებდა საკუთარ ქოხში დარჩენას. ენის ტარტალსა და ზედმეტ გულახდილობას აზრი არ ჰქონდა, ამით არც მგზავრის დარდს მოაკლდებოდა რამე და არც მისას, ვერც მგზავრი დატოვებდა თავის დარდს ამ ქოხში, ვერცხლის მანეთიანივით, და ვერც ამის დარდს წაიყოლებდა თან, ღუმელის სითბოსავით, წყლისა და პურის გემოსავით.

ერთი, როგორც მოვიდა, ისევე უნდა წასულიყო, მეორე კი — დარჩენილიყო და როგორც აქამდე უცდიდა, ისევე დაეცადა, როდის გადაიხდიდა მიწა თოვლის საფარველს და როდის მიუშვებდა სიახლოვეს, რათა მის თბილსა და ორთქლიან ხნულში კიდევ ერთხელ ჩაესახა საკუთარი სიცოცხლე, არსებობა, კიდევ ერთი ზამთრისათვის სამყოფი პური, წყალი და ცეცხლი. „მკლავი ვინ მოგათალა? შვედმა? გერმანელმა? ფრანგმა? თუ თურქმა?“ — ეძახდნენ ალექსანდრეს გომურისხელა ღუმელის თავზე შეყუჟული ბავშვები და ისევ ცარიელი მაგიდის თავში დამჯდარი კაცი ევლინებოდა მხსნელად.

„ყურს ნუ უგდებ, ბავშვობით მოსდით. — ეუბნებოდა იგი ალექსანდრეს. — ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ ახლავე თოვლში გაგყრით სუყველას“. — უყვიროდა ბავშვებს. მაგრამ ალექსანდრემ აღარ იცოდა, როდის და რომელ ქოხში ნახა ის ქალი, სარეცხის რეცხვისაგან იდაყვებამდე დაწითლებული და აშიშინებული მკლავები რომ ჰქონდა, ან ის მოღუშული, ჭრელხალათიანი კაცი, რომელიც ლაპარაკისას ან გვერდზე იყურებოდა, ან საკუთარ ხელებს დასცქეროდა, ანდა გომურისხელა ღუმელის თავზე ბეღურებივით აბურძგნული და აჟივჟივებული ბავშვები. ყველა ქოხში იყო თითო ასეთი ქალი, თითო ასეთი კაცი და თითო ასეთი ღუმელი, თუ არადა, სამუდამოდ გზააბნეული, ქაჯის ხელში ჩავარდნილი ალექსანდრე, ყოველთვის ერთსა და იმავე ქოხში შედიოდა, ყოველთვის ერთი და იგივე ქოხი წამოუყოფდა ხოლმე თავს თოვლიდან, მოულოდნელად წამოიმართებოდა ხოლმე მის წინ, როგორც უცხო და საეჭვო ხმებით ძილგამკრთალი ნადირი. საგზაო ინჟინერმა კი გააფრთხილა, გრძელი და ძნელი გზა გელოდებაო, მაგრამ გრძელი კი არ იყო გზა, არ არსებობდა საერთოდ, არც არსად იწყებოდა და არც

არსად მთავრდებოდა, და არც ძნელი იყო იმდენად, რამდენადაც გამაბითურებელი. წინ ერთი და იგივე სივრცე იყო გადაშლილი, უჰორიზონტო, უიმედო, მაგრამ სადღაც, მის სიღრმეში ძმა ეგულებოდა ალექსანდრეს და ეს იყო, მშიერი მგელივით რომ მიერეკებოდა წინ, ეს აიძულებდა, კიდევ ერთხელ ამოფოფხებულიყო თოვლის ორმოდან, რათა მაშინვე მეორეში ჩავარდნილიყო წელამდე.

ქურქის ცარიელი სახელო, ყინვისაგან გაშეშებული, ტოტივით ჰქონდა გაშვერილი და თითქოს ის აჩვენებდა გზას, თითქოს ნამკლავარმა იცოდა, სად იყო მისი შემცვლელის ადგილსამყოფელი და ალექსანდრესაც იქითკენ ეწეოდა, სულწასული, აღგზნებული, ისევ მკლავადქცევის იმედით. ესეც საგზაო ინჟინრის ბრალი იყო, იმან უთხრა, მარჯვენამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარცხენაო, და როცა ალექსანდრემ უნებურად მოარიდა დაპატარავებული მხარი, გააგრძელა: მე ძმაზე გეუბნები, რადგან ძმაა შენი მეორე მკლავიო. მიდიოდა, მიძუნძულებდა მგელივით, ძმის კვალზე დამდგარი, ძმის სუნნაკრავი ალექსანდრე და მართლაც იყო რაღაცა, სულისშემძვრელად ნაცნობი და ახლობელი ამ უსაშველოდ უცხო გარემოში; ალექსანდრე დიდხანს გრძნობდა ამას, დიდხანს სტანჯავდა და აწვალებდა ამის შეგრძნება, სანამ აზრად არ გამოიკვეთა, სანამ საბოლოოდ არ დაიბადა და შვების ნაკადად არ ჩაიღვარა ალექსანდრეს გათოშილ არსებაში: აქ ჩემს ძმას გაუვლია. „აქ ჩემს ძმას გაუვლიაო“. — ფიქრობდა ალექსანდრე. ყურები უბზუოდა, თვალები უბრჭყვიალებდა და მიდიოდა, ირგვლივ ჯიუტად, მყარად დუმდა ყველაფერი, ერთნაირი, ერთი სიმაღლის ხეებიც, ხორკლიანი, გადალურჯებული თოვლიცა და მინასავით გამკვრივებული ჰაერიც. ნიკოსაც ჩაევლო აქ, ამ თოვლზე, ამ ჰაერში, ამ ტყის გასწვრივ, მაგრამ არც თოვლმა, არც ჰაერმა და არც ტყემ ეს არ იცოდა, რადგან მათთვის ყველა ერთნაირი იყო, ვისაც ბორკილი ედო, ვინც ვერ შეიშნოვა უკეთეს ქვეყანაში ცხოვრება და მობუზული, თავჩაქინდრული შედიოდა მათ სამფლობელოში, როგორც სამუდამო სასუფეველში, რადგან ჩავლილი ბევრი ენახათ, ამოვლილი კი — არავინ. შეიძლება, ალექსანდრეს დანახვა უკვირდა და გაკვირვებისაგან ჰქონდა ენა ჩავარდნილი ბუნებას?

ალექსანდრეს არც ბორკილი ედო და არც არავინ მოდენიდა, თვითონვე მოდიოდა, თვითონვე დასდგომოდა ამ ცალმხრივ გზას. კი არ მოდიოდა, მოისწრაფოდა. იქიდან გამოქცეულიყო, თავისი ნებით დაეთმო იქაურობა, როგორც თვითმკვლელს — სიცოცხლე. „აქ ჩემს ძმას გაუვლია!“ — შესძახა ალექსანდრემ გარინდულ ტყეს. გალუმპულ ტოტს თოვლის ბოლქვი მოსწყდა და ყრუდ ჩაეფლო უფრო დიდ თოვლში, დედა-თოვლს დაუბრუნდა, ხის სიმაღლით შეშინებული, დედას ჩაუვარდა კალთაში. საიდანღაც ყვავი წამოფრინდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიფრინავდა ტყის გასწვრივ, მდორედ და უხალისოდ, თითქოს ჰაერი არ უშვებდა წინ. ის კი ვერ მიმხვდარიყო და ვინ იცის, ეგონა, ცხრა მთას გადავცდი უკვეო. ალექსანდრეც ამ დღეში იყო. მიდიოდა, მიდიოდა, გზა კი არ მთავრდებოდა, არც იცვლებოდა, ის მაინც რომ სცოდნოდა დანამდვილებით, მართლა რომ მიდიოდა და ერთ ადგილას არ იტკეპნებოდა.

ყვავივით პატარა და უმნიშვნელო იყო ისიც და არც მის არსებას შეეძლო თუნდაც განუწყვეტელი მოძრაობითა და გადაადგილებით, ოდნავ მაინც შეეცვალა, რამე კვალი დაემჩნია ამ უკიდეგანო სივრცისათვის. ყვავი მიფრინავდა, ის კი — მიდიოდა, განსხვავება ეს იყო მხოლოდ. სამაგიეროდ თვითონ იცვლებოდა. ბუნების გულგრილობითა და სიყრუით დაბნეული, დღითი დღე კარგავდა რწმენას საკუთარი თავისადმი, დღითი დღე უქარწყლდებოდა უპირატესობის შეგრძნება, თუნდაც ყვავის მიმართ. „იქნება გამაბრიყვა? იქნებ თავიდან მომიშორა, მარტო რომ დარჩენილიყო ჩემს დასთან?“ — მტკივნეულად გაჰკრავდა ხოლმე ეჭვი და შემკრთალი იყურებოდა უკან, თითქოს ეჭვი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, ფეხაკრეფით, ვერაგულად, როგორც ტურა — ზურგწამხდარსა და დავრდომილ ცხენს, რომლის მოკვლაც პატრონს დანანებია, ვერ უკისრია და ბედის ანაბარა გაუშვია ტყე-ღრეში.

დარწმუნებული იყო, საგზაო ინჟინერი უნდობლობას რომ არ იმსახურებდა მისგან, მაგრამ მისი დაღლილი და გამწარებული გონება ბრმად, ალალბედზე დაეძებდა დამნაშავეს, მისი არსების გარეთ, რადგან ცხოველური ალღოთი გრძნობდა, საკუთარი უძლურობისა და ურწმუნობის აღიარება უფრო დამ-

ღუპველი რომ იქნებოდა მისთვის, ვიდრე სხვა, გარეშე კაცის არსებობა, რომლის მიზეზითაც ჩავარდნილიყო ამ დღეში. მტერი სჭირდებოდა, რათა გაეღწია, არ დანებებოდა განუწყვეტელ რინდსა და თვლემას, მტრის ჯიბრზე. „სადღა მიდიხარ?

რით ვერ გაიგე, რომ მოგატყუეს? დაწექი და გათავდება ყველაფერი. მე შენ გეტყვი, გაგაღვიძებს ვინმე“, მოსძახოდა ეჭვი. ყვავი კი, ტყის გასწვრივ მიფრინავდა, მდორედ, უნდილად. ასევე მდორედ და უნდილად მიცოცავდა თოვლზე ყვავის გაბაცებული ჩრდილი. ყვავსა და ყვავის ჩრდილს შუა მიაბიჯებდა და ქურქის ცარიელი სახელო წინ ჰქონდა გაშვერილი, თუნუქის ღუმელის მილივით. „არც ისეთი ცივი ვარ, შენ რომ გგონივარ. მოდი, მოისვენე“. — ეუბნებოდა თოვლი ქოხში ნანახი ქალის ხმით, საპნის ქაფივით ქათქათა და დასვრეტილი. ქალს უზურგო სკამზე საპნის ქაფით პირმობმული ტაშტი ედგა და მკლავები შიგ ჩაეწყო იდაყვებამდე. ჩამოშლილი თმა უფარავდა სახეს და მარტო ეშმაკურად მომღიმარი ტუჩები მოუჩანდა, აბა, მიცნობს. თუ ვერაო. ალექსანდრეს გამალებით უცემდა გული. მერე ქალი, — თავის ტაშტიანად, რაღაცამ წამოიღო, როგორც ქარმა — მუყაოს ნაჭერი, და ალექსანდრეს ცხელი, შეკუმშული ჰაერი დაეძგერა სახეში. „უცხო კაცთან რატომ ჩამომახიე კაბა?“ — უთხრა ქალმა, მკლავები იდაყვებით მხრებზე დააწყო და ტუჩებში აკოცა, ცხარედ, ხანგრძლივად, არადაძმურად. კოცნას გრძნობდა; ქალის სხეულს კი ვერა, იმასაც გრძნობდა, აღგზნებული გონება საზარელ ცოდვაში რომ ხვევდა წარმოდგენილი ქალის მეშვეობით, რადგან ეს ის ქალი არ იყო, წეღან რომ მოეჩვენა, ტაშტზე დახრილი, ყველა ქოხის ბინადარი, ყველა ომის ქვრივი, უბოროტოდ სევდიანი, გულუბრყვილოდ მხიარული, უსაფუძვლოდ იმედიანი, ქვეყნის საწყისიც და დასასრულიც, და ამიტომაც, უბრალო და თვალშისაცემი, როგორც სასაზღვრე სვეტი ყოფნა-არყოფნას შუა. ალექსანდრემ თავი დაიქნია ცხენივით და ძალით მოიშორა წარმოდგენილი კოცნა, წარმოდგენილი, მაგრამ მიუტევებელი ცოდვა. მერე თოვლში იჯდა და თოვლით ისრესდა სახეს, რათა მთლიანად გამოედევნა აღგზნებული გონებიდან სახიფათო ჩვენება: საყელოჩამოხეული კაბიდან გამოჭყეტილი დის სიშიშვლე! „არ ავდგები, აღარ ავდგები!“ — გაუჯიუტდა ვიღაცას. ყვავმა რამდენჯერმე დაიჩხავ-

ლა: ის ისევ ტყის გასწვრივ მიფრინავდა, მისი ჩრდილი კი, ალექსანდრეს გვერდით ფართხალებდა თოვლზე. „სწორე ხარ, — უთხრა ეჭვმა. ისიც იქვე ორ ნაბიჯზე ჩაცუცქულიყო და მომლოდინე, მოუთმენელი თვალებით შემოსცქეროდა. — აღარა ღირს ფაფხური. თუ გინდა, რომ სიკეთე ქნა, აქ უნდა დაიმარხო შენი ცოდვებიანად. თუკი ადგილი გეყოფა (ჩაიცინა ეჭვმა). სხვას რომ დაუმალო, ჩემთან ხომ ვერ უარყოფ, მე ხომ ვიცი, რა ბინძურიცა ხარ? ან ძმას როგორ უნდა შეხედო თვალებში?“ „მეც არ ვიცი, მეც არ ვიცი“. — თქვა ალექსანდრემ. „მაგიტომაც მოგიშორეს თავიდან, — უფრო ახლოს მიუჩოჩდა ეჭვი. — მოგიშორეს, გესმის?

ცოდვას გაგარიდეს. შეეშინდათ შენი. არ გევხარ სიკეთის ჩამდენს. თანაც მარტო სურვილი არ კმარა სიკეთის ჩასადენად. სიკეთე უნდა მოგდევდეს, როგორც სიავე და სიმახინჯე მოგდევს შენ, გაჩენის დღიდან“. „რატომ? რატომ? რაღა მე გამოვედი ასეთი?“ — ჩაჰყვირა თოვლს ალექსანდრემ.

„რატომაო? — ისევ ჩაიცინა ეჭვმა. — გინდა, გულახდილად გითხრა? — ალექსანდრემ ისევ მობღუჯა თოვლი და სახეზე.

გადაიგლისა. წარბებზე პატარა, ბრჭყვიალა ლოლუები შეეყინა — შენ თვითონ გახდი ასეთი. იმდენი ვაჟკაცობა არ გეყო, ძმისთვის გადარჩენა რომ გეპატიებინა. გულიდან ამოირეცხე, აღარ გაიკარე, რადგან ერთმა და იმავე სისულელემ შენ მკლავი მოგაგლიჯა, ის კი — დაინდო, წარბიც კი არ შეუტრუსა იმას. იმის მაგივრად, რომ გაგხარებოდა, დაიბოღმე, ნაღველი ჩაიქციე შიგანში და იმან გამოგწვა, იმან გაგაშტერა, იმან გადაგირეცხა, რაც კი რამე წმინდა და ძვირფასი იყო შენში: დედის საფლავიც, დის სახელიც და, უპირველეს ყოვლისა, ძმის სიყვარულიც. ხომ ასეა? აქ მაინც გამოტყდი, აქ მაინც აღიარე, ასე ახლოს და ასე მარტო, შეიძლება, ვეღარ აღმოჩნდე ღმერთთან. აბა, მიიხედ-მოიხედე კიდევ. კიდევ. დარწმუნდი? შენ და ღმერთი ხართ მარტო. შენ და არაფერი, ანდა ღმერთი და არაფერი“. „მე და ყვავიღა დავრჩით ამ ქვეყანაზე, — გაიფიქრა ალექსანდრემ. — მაგრამ არც ჩვენ ვარსებობთ ერთმანეთისთვის. მე და არაფერი. ანდა ყვავი და არაფერი. ნეტავ, მიფრინავს თუ ამდენ ხანს ჰაერშია გაჩერებული? ყვავი ნელა, უხალისოდ მიფრინავ-

და გარინდული ტყის გასწვრივ, ხოლო რამდენიმე კილომეტრის იქით, თედო სხირელი და ევგენი მიქაძე ბირდაბირით მორს ხერხავდნენ. მორს აქა-იქა შერჩენოდა დამპალი, ყინვისაგან გამკვრივებული მერქანი, ხერხი ღმუოდა, ხროტინებდა, წელში იბრიცებოდა და მორის ქვეშ ნელ-ნელა იზრდებოდა ოქროსფერი და ნესტიანი ნახერხის ბორცვი.

— შევიდეთ ახლა, თორემ ვერც გავიგებთ, ისე დაგვცვივა ცხვირები. — უთხრა ევგენიმ თედოს.

— ახლა არ გამოველით, შე კაცო! — უპასუხა თედომ.

ქოხი ორ ნაბიჯზე იდგა, თოვლის ზვინს ამოფარებული.

ქოხის თავზე ღრუბლისფერი ბოლის ფთილა გაშეშებულიყო.

თვალის საწიერზე კიდევ რამდენსამე ასეთ ფთილას შეამჩნევდა დაკვირვებული კაცი, რაც თოვლში ჩაკარგული ქოხების არსებობას ადასტურებდა, თორემ ისე, უკაცურსა გავდა აქაურობა. ქოხში თბილოდა. ღუმელის თავზე ლადო ტუღუში იწვა. ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ იმდენად ავად არ იყო, რამდენადაც ეშინოდა ავად გახდომისა. სკამზე მუხლებით შემდგარი და მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი გოგო გალეული ფანქრით ჩიტებსა და ყვავილებს ხატავდა გამოყვითლებულ ქაღალდზე. გოგო ექვსი წლისა იყო. სახელად მართა ერქვა.

— სლმნ, — ასეთია მერცხალი? — დაუძახა მართამ ლადოს.

— აბა? — თავი წამოწია ლადომ, მართამ ფურცელი მაღლა ასწია, — რას დავინახავ აქედან. — უთხრა ლადომ.

მართა სკამიდან ჩამოვიდა ფურცლიანად, ღუმელთან მივიდა და ნახატი ლადოს ააწოდა, ლადომ წაფარებული ქურქიდან ხელი გამოაძვრინა და ნახატი ჩამოართვა. დიდხანს შესცქეროდა ფურცელს. მართა მოთმინებით ელოდებოდა, თავაწეული, ცხვირშეჭმუხნილი. ცალი ხელით დაკავებული ფურცელი წელ-

ში იბრიცებოდა და ლადო სულის შებერვით ასწორებდა ფურცელს, ეზარებოდა ქურქიდან მეორე ხელის ამოღება.

— ასეთია. — თქვა ბოლოს. — ოღონდ ნისკარტი ქორისა გამოგსვლია.

— აბა, მერცხალს როგორი ნისკარტი აქვს? — ჰკითხა მართამ. — პააატარა. შენსავით პატარა. — თქვა ლადომ და ფურცელს ისევ შეუბერა.

— მომეცი. — უთხრა მართამ.

— ქორმა წიწილი წაიღო.. როგორ არის ეს ლექსი? ვითომ შენ წიწილი ხარ, ეს კიდევ ქორი. — თქვა ლადომ და ფურცელი თავზე გადაუფრიალა მართას. მართა ფურცელს წაეტანა, მაგრამ ვერ მისწვდა. — იძახდა წიავ-წიავსა. — ისევ გადაუფრიალა ფურცელი. — წიწილის თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავსა.

— მომეცი. — გაბრაზდა მართა.

ლადომ ფურცელი მისცა და ხელი ისევ ქურქში შეიცურა.

— ყველანი წიწილები ვართ. დრონი მეფობენ და არა მეფენი. — უთხრა ჭერს.

ისევ მოიწყინა, ისევ გაუყუჩდა უგუნებობას., მართა მაგიდასთან დაბრუნდა, მუხლებით შედგა სკამზე, ფურცელი სუფთა მხრიდან დაიდო წინ და ფანქრის წვერი ენით დაასველა.

— რას დავხატავ და.. ახლა დავხატავ ბიძაჩემს. — თქვა თავისთვის.

— ხმალი დააჭერინე ხელში. — თქვა ლადომ.

— შენ მაინც არ გაჩვენებ. — გაებუტა მართა.

გარედან ხერხის ხროტინი ისმოდა. ღუმელი ყრუდ გუგუნებდა. მართა ცალხელა კაცს ხატავდა. ლადო ტუღუში, როგორც

ყოველთვის, დღესაც უგუნებოდ იყო. კაეშანი სჭირდა, კაეშნით იყო ავად. აგერ უკვე მეოთხე წელი იწურებოდა გადასახლებაში, მაგრამ ვერაფრით შეჰგუებოდა, ვერაფრით მოენელებინა ეს ამბავი, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, მწყერის მაგივრად თვითონ რომ გახვეულიყო ბადეში და მისი სიტყვა აღარც ღმერთს სჯეროდა და აღარც ადამიანს, ერთბაშად მოტყდა, ერთბაშად აუცრუვდა გული ღმერთზეც და ადამიანზეც: გიტარასაც სხვა ხმაზე უკრავდა ახლა. ატირებდა, აკვნესებდა, აწუწუნებდა, სანამ თედო ან ევგენი არ შეუწყრებოდა, კარგი, გეყოფა, შეგვიცოდეო. ერთი კი იყო, გადასახლებამდეც და გადასახლებაშიც ყოველთვის ისეთი ხალხი ეხვია ირგვლივ, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. ყველანი ლადიკოს ეძახდნენ და ყველანი რატომღაც ვალდებულად თვლიდნენ თავს, გაფრთხილებოდნენ, შეენახათ, მოეთმინათ და, რაც მთავარია ჰყვარებოდათ იგი, ამაში, რა თქმა უნდა, მოხდენილი ხმა და გარეგნობაც უწყობდა ხელს. ადრე, „კაი დროს“, გიტარის სიმებზე რომ მოაფათურებდა გრძელსა და ფერმკრთალ თითებს, გიმნაზიელი გოგოები ბარძაყებს იჩქმეტდნენ, ამოოხვრა და ამოკივლება რომ შეეკავებინათ. ისეთი სადღეგრძელოების თქმა იცოდა, შეზარხოშებული ბიჭები მზად იყვნენ, ცეცხლში. გადაცვენილიყვნენ მისი გულისთვის. მაგრამ ბოლოს ისე სულელურად გაიფუჭა თავი, სხვისი რომ გაეგო, სიცილით მოკვდებოდა, სუფრა-სუფრა ანეკდოტად მოყვებოდა და სხვებსაც დახოცავდა სიცილით. შეულამაზებლადაც რომ მოეყოლა, სიცილისგან თვალებაცრემლებული, პირზე ხელებაფარებული გოგოები მაინც იტყოდნენ, რა არის, რომ ამან არ მოიგონოს, რა არის, რომ ამის ენამ არა თქვასო. ლადო ტუღუში მწყერის გულისთვის დაიჭირეს, დიახ, მწყერის გულისთვის. გამოაციმბირეს და ეშმაკმა იცის, რამდენი ხნით მოაშორეს ტყემლისა და ალუბლის ყვავილით გადაპენტილ ქუთაისს.

იმ დაწყევლილ დღეს, ფეხი რომ მოსტეხოდა და თავის ქუთაისში დარჩენილიყო, ახლაც სუფრის თავში იჯდებოდა, თამადად.

დაჭერით ბათუმში დაიჭირეს, ყველაზე ლამაზი ბათუმელი გოგოს დღეობაზე სტუმრად ჩასული, თავის ფარნიანად გამოათრიეს გალუმპული ბუჩქებიდან და იმპერიის ღალატი დასწა-

მეს. მისმა დამცველმა, მამამისის უახლოესმა მეგობარმა და მთელს საქართველოში სახელგანთქმულმა ვექილმა, რომ დაატყო, საქმე წაგებულიაო, მოაჯირზე, რომლის იქითაც ლადო იჯდა ორ ზონხროხა და მტკაველაულვაშებიან ჟანდარმს შორის, ხელი დაურტყა და უთხრა: რომელი დიოგენი მყავდი, შვილო, ფარნით რომ დამიწყე ქუჩა-ქუჩა წანწალიო, უბედურება ის იყო, თვითონაც რომ ვეღარ გაარკვია, ცილს სწამებდნენ, თუ მისდა უნებურად მართლა იყო გარეული იმპერატორის საწინააღმდეგო საქმეში. შეიძლება, როგორც ვექილი იფიცებოდა, ამხანაგებმა მართლა ისარგებლეს მისი სიმთვრალით და ბრმა იარაღად გამოიყენეს, მაგრამ არც ის ამხანაგები ამბობდნენ იმაზე მეტს, რაც მან იცოდა. არც ის ახსოვდა არავის, ვინ აიჩემა მწყერზე ნადირობა და თავსხმაში, შუაღამისას ვინ წამოშალა სუფრა, რომელსაც მწყერი კი არა, ჩიტის რძეც არ აკლდა. შეიძლება, თვითონვე წამოიწყო, თვითონვე გამოიგონა ეს ღამეული ნადირობა, ბათუმელ ლამაზმანებთან თავის მოსაწონებლად, როგორც ადრე სხვა ათასი ამგვარი სისულელე გამოუგონებია, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, ისევ თავისი სიყოჩაღისა და ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, სხვებისაგან გაბრიყვებული რომ იქნევდა ფარანს და რაღაცას ანიშნებდა თურქებს. მერე რაც მოხდა, ყველაფერი ცხადად ახსოვს, რადგან წვიმამ და სიცივემ მაშინვე გამოაფხიზლა. ცხადად ახსოვს, ფარანი რომ ეჭირა ხელში და მოჩვენებასავით დაბორიალობდა ბათუმის ბულვარში.

ახალ, საგანგებოდ ამ დღეობისთვის შეკერილ ფეხსაცმელებში ჩასული წყალი ჭყაპაჭყუპით ამოსდიოდა უკანვე. დაუნდობლად, მწარედ უტყლაშუნებდა სახეში გალუმპული ტოტი წყვდიადში გაუჩინარებული ბუჩქისა, თავფეხიანად გასაწური იყო, მაგრამ თავს თუ არ ანებებდა ამ ბრიყვულ გართობას, ახლა თავმოყვარეობის ბრალი იყო მხოლოდ. აქა-იქ, მოულოდნელად, სხვისი ფარნის მობუზული, უღონო შუქიც გაიელვებდა ხოლმე და ისიც უნებურად აგრძელებდა გაჟინჟღლულ ბალახში ჩამოვარდნილი მწყერის ძებნას, სხვა თუ ერთს დაიჭერდა, ამას ორი უნდა დაეჭირა, რადგან ეს ლადიკო ტუღუში გახლდათ და არავის არ უნდა ეჯობნა მისთვის.

ის ღამე ცემენტის იატაკზე გაათენა საკანში, წყლის გუბეში ჩამჯდარმა. წყალი წურწურით გასდიოდა და კბილს კბილზე აცემინებდა, ბუჩქის საკრეჭი მაკრატელივით.

— რით ვერ ისწავლეთ ჭკუა, თქვე შტერებო. — უყვირა გამომძიებელმა დილით. — დაგავიწყდათ, რა გიყოთ თურქეთმა?! — მე ქუთაისელი ვარ, ბატონო. სტუმრადა ვარ ბათუმში.

სცადა სტუმრის უფლებების გამოყენება, ჯერ კიდევ დარწმუნებულმა თავის უდანაშაულობაში.

— ჩუმად! — ხმა ჩააწყვეტინა გამომძიებელმა.

მერე ყველაფერი აირია და წესიერად გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე ამოჰყო თავი ციმბირში. „ეს მხოლოდ მოდაა, ბატონებო, — მოდას არიან აყოლილნი. რა გაეგებათ ამ ღლაპებს რევოლუციისაო“, ამაოდ გაჰყვიროდა სასამართლოს დარბაზში სახელგანთქმული ვექილი, მამამისის სიყრმის მეგობარი კიტა ჭყონია.

რევოლუციონერი კატორღაში გახდა, უფრო სწორედ, კატორღაში შეიგნო პირველად, რომ ცალკე, დამოუკიდებლად არ არსებობდა ლამაზი და მხიარული ბიჭი ლადიკო ტუღუში და სანამ მის დამონებულ, მაგრამ დაუმორჩილებელ ქვეყანა სული ედგმებოდა, იმპერიის გუშაგებისთვის ყოველთვის დამაეჭვებელი და შემაშფოთებელი იქნებოდა მისი ყოველნაირი საქციელი, ყველა ნაბიჯი, თუნდაც გიტარაზე სიმღერა (მართლაც, რა ემღერებოდა, ამ დღეში თუ იყო!), ანდა შუაღამისას მწყერზე ნადირობა. „იმპერიისთვის უდანაშაულო კაცი არ არსებობს, — ეუბნებოდნენ ახალი ამხანაგები. — რადგან არც კაცად ჩაითვლება ის, ვისაც გუნებაში მაინც არ უნდა იმპერიის დანგრევაო“, — დაანგრიეთ. რაც გინდათ, ის უყავით. მე კი, თავი გამანებეთ. ეს ჩემი საქმე არ არის. როგორც უჩემოდ გიბრძოლიათ აქამდე, ახლაც უჩემოდ გააგრძელეთ. მე ჩემი საქმე მაქვს. სხვა თუ არაფერი, დედა მელოდება. ჯერ არც უთქვამთ ჩემი ამბავი დედაჩემისთვის. ახლაც დღეობაში ვგონივარ. — ჯერ კიდევ ცდილობდა ლადო, ლადიკო ტუღუშის განსაკუთრებულობისა

და დამოუკიდებლობის დაცვას. — თქვენ რა გენაღვლებათ, ზოგი მესამედა ხართ აქ, ზოგი კი ცოლ-შვილიანად.

ერთის მხრივ მართალი იყო ლადო (შეიძლება, ამის გამოც უფრთხილდებოდნენ განსაკუთრებულად მისი ახალი მეგობრები: ევგენი მიქაძე, თედო სხირელი და მართას დედ-მამა, ლიზიკო და ნიკო მაკაბელები), ევგენი და თედო უკვე ძველი, გამოცდილი და გამობრძმედილი კატორღელები იყვნენ, თმა და კბილი დასცვენოდათ, ლადოს კი, ჯერ კიდევ მაგარი და კრიალა კბილებით ჰქონდა ამოვსებული პირი და სავარცხელი ებრიცებოდა ხელში, როცა ხშირსა და ჯიუტ ქოჩორს ივარცხნიდა. ნიკო მაკაბელი მასავით პირველად იყო გადასახლებაში, მაინცდამაინც არც მასზე უფროსი იყო, მაგრამ ცოლ-შვილი ჰყავდა გვერდით და ცალკე ქოხში ცხოვრობდა თავისთვის, როცა ლადოს, ცოლ-შვილი კი არა, ჯერ წესიერად არც ეკოცნა გოგოსთვის. ჯერ კოცნის გემო არც თვითონ იცოდა წესიერად და არც იმ რამდენიმე გოგომ, შემთხვევამ, ფანტმა ან ღვინით მოგვრილმა სითამამემ რომ გადაჰყარა ჭეშმარიტი ქალისკენ მიმავალ გზაზე. იმ გოგოებს მღელვარებისა და სიმორცხვისგან გამკვრივებული, გათოშილი ტუჩები ჰქონდათ და ისე სწრაფად ქრებოდნენ, მათზე არანაკლებ აღელვებული და დამფრთხალი ლადო, სანახევროდ ჰაერს კოცნიდა, ჰაერსა და სიქალწულის თავბრუდამხვევ სურნელს, რასაც ისინი წამიერი შეყოვნებისას სტოვებდნენ ჰაერში. ნიკოც, ევგენისა და თედოს მსგავსად, ტერორისტობისთვის იჯდა, თუმცა ევგენისა და თედოს თქმით, უმალ ვირი გავიდოდა ხეზე, ვიდრე ნიკოსგან ტერორისტი გამოვიდოდა.

ამას, რა თქმა უნდა, ნიკოს გასაბრაზებლად არ ამბობდნენ, ისე, ხუმრობდნენ ხოლმე, საღამოობით ღუმელთან შეკრებილნი, და არც ნიკოს სწყინდა. „დავაშავე. ვაღიარებ, რომ დავაშავე, მაგრამ შემეცოდაო“. — იძახდა ნიკო. გარეთ კი, ქარბუქი ღრიალებდა და მგლები ყმუოდნენ.

— მტერი არ უნდა შეიცოდო. აბა, შეხედე, — მოუბრუნდებოდა ხოლმე. ევგენი ლადოს და ქვედა ტუჩს თითით ჩამოიწევდა.

— შეიძლება ამის პატიება?

ლადო უნებურად თვალს არიდებდა უკბილო და მოტიტვლებულ ღრძილებს, რაღაც თეთრი, რთვილის მაგვარი რომ გადაჰკვროდა ამაზრზენად.

როგორც მათი ლაპარაკიდან გაარკვია ლადომ, ნიკოს ვიღაც გენერლის მოკვლა ჰქონია დავალებული, ჩასაფრებია კიდეც მიყრუებულ ქუჩაზე, შინნაკეთი ყუმბარით, მაგრამ ბოლო წუთას, იმის მაგივრად, რომ ეტლი აეფეთქებინა, რომლითაც ის გენერალი ბრუნდებოდა შინ, ყუმბარა კედლისთვის უსვრია და თავად დაშავებულა. აფეთქების ტალღით დარეტიანებულს, ციხეში გაუხელია თვალი.

— მოხუცი იყო, თოვლივით ქათქათა თმა-წვერი ჰქონდა, გულმა უგრძნო თუ რა იყო, მე რომ დამინახა ხესთან ატუზული, ეტლში წამოდგა და ღვთის გულისთვისო, დამიძახა.

ხელი უცახცახებდა. — ყვებოდა ნიკო.

მაგრამ ლადოს უფრო მეტად მაინც ნიკოს ცოლის, ლიზიკოს საქციელი უკვირდა, ვერც აეხსნა და ვერც გაემართლებინა, რადგან ჯერ არც სიყვარულისა გაეგებოდა იმაზე მეტი, რაც სასიმღერო ლექსებიდან იცოდა. მისი აზრით, ლიზიკომ უკანონო შვილის გაჩენასა და შერცხვენას, ისევ ცოცხლად დამარხვა ამჯობინა, ანდა იმ დროს იმდენად სულელი და გამოუცდელი იყო, არ იცოდა, რა ელოდებოდა წინ და თავის გამოჩენის სურვილმა გადასძლია. რომელ გოგოს არ შეშურებია წიგნში აღწერილი უბედური სიყვარული, მაგრამ სხვა გოგოებისგან განსხვავებით, ლიზიკოს დაავიწყდა, უბედური სიყვარული მარტო წიგნში რომაა საინტერესო და არა ცხოვრებაში. პირველ ხანებში ლადო დასცინოდა კიდეც ლიზიკოს, სანამ თვალი არ აეხილებოდა, სანამ არ მიხვდებოდა, უფრო ძლიერისა და უფრო უბედური სიყვარულის მოწმე რომ გამხდარიყო უნებურად, ვიდრე წიგნებში ეწერა. სხვათა შორის, როგორც მერე გამოირკვა, ლიზიკო შორეულ ნათესავადაც ეკუთვნოდა ლადოს. მაგრამ არც იმდენად შორეულად, მისი ოჯახის არსებობა მაინც რომ არ სცოდნოდა და ქართული ადათ-წესების გამო, დასანახად მაინც რომ არ მიეტანა გულთან მისი ავი თუ კარგი. თანდათანობით, ლაპარაკ-ლაპარაკში ისიც გაიხსენა ლადომ, რაც ლიზიკოს

ოჯახისა იცოდა იქამდე, თავისი უთვალავი დიდედების, დეიდებისა და მამიდების წყალობით. ლიზიკოს ოჯახი ერთ-ერთ კეთილშობილ და ცნობილ ოჯახად ითვლებოდა თბილისში. მამამისს სათავადაზნაურო ბანკში რომელიღაც დიდი ადგილი ეჭირა, მგონი დირექტორიც იყო, დედა კი წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლობდა და ერთდროულად რამდენიმე საქველმოქმედო კომისიის წევრიც გახლდათ.

— ყველაზე ძალიან დედის მეშინოდა, ბავშვობიდანვე.

ლაპარაკისა, თვალს ვერ ვუსწორებდი ხოლმე. — ყვებოდა ცეცხლს მიშტერებული, დაბნეულად მომღიმარი ლიზიკო და თან მის კალთაში ჩაძინებულ მართას ეფერებოდა ფუტკრისფერ თავზე. — მეგონა, აუცილებლად შენიშვნას მომცემდა, დამტუქსავდა, რამე არ მოეწონებოდა ჩემი. არ მახსოვს, რომ გამწყრომოდეს, მაგრამ დიდხანს მეგონა ასე.

— ხოდა, ამისთანა ადამიანმა, შენი ამბავი რომ შეიტყო, შუბლზე გემთხვია, გზა დაგილოცა და თვითონ სხვათა ქალიშვილების აღსაზრდელად გაეშურა, არა? — ექილიკავებოდა ლადო.

— ხო, დამილოცნიხარო. — ბურანში წასულივით პასუხობდა ლიზიკო. — ისე დავიბენი, ისე გამიხარდა და იმდენი ვიტირე, ცოტას მორჩა, მატარებელზე დამაგვიანდა... — კი არ ყვებოდა, ხმამაღლა ფიქრობდა ლიზიკო და ცეცხლში უღიმოდა დედის მკაცრსა და ამაყ სახეს.

— წიგნში რომ წამეკითხა, არ დავიჯერებდი, — დამცინავად იკვირვებდა ლადო. — რაღა თქვენ და რაღა ნესტანი და ტარიელი, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნესტანმა მიაკითხა ტარიელს ქაჯეთის ციხეში და არა ტარიელმა ნესტანს, რაც უფრო ბუნებრივად მიაჩნდა ჩვენს ცხონებულ შოთას. თუმცა თქვენი ამბის დასასრულიც ბუნებრივია. ტყუილად კი არაა ნათქვამი, ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო. პოეტი რომ ვიყო, ერთს გავლექსავდი თქვენს ამბავს და აბა, მერე გენახათ ჩვენი სულელი გოგოების ღნავილი. არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ. რას ნახავთ და რას გაიგებთ უკეთესს?! კეთილშო-

ბილსა და შეძლებულ ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს რევოლუციონერი უყვარდება, ტერორისტი, ქვეყნის დამაქცევარი, ლექციების მაგივრად საიდუმლო კრებებზე რომ დადის და წიგნის მაგივრად შინნაკეთი, გაზეთში გახვეული ყუმბარა რომ ამოუჩრია იღლიაში. კეთილშობილ ქალიშვილს სჯერა, მხსნელად რომ მოვლენია ქვეყანას მისი გულის რაინდი და ბედნიერებისაგან იმ უბრალო წესის დაცვაც ავიწყდება, რისი დაცვაც ქორწილამდე თანაბრად სავალდებულოა ყველა ქალიშვილისათვის, ნასწავლი იქნება თუ უსწავლელი. მერე მის რაინდს ჟანდარმის დანახვაზე შიშისაგან ყუმბარა ხელიდან უვარდება, თვითონ კი ცაში მიფრინავს, ტოროლასავით, ნათელი მომავლის მზეს რომ შეეგებოს. კეთილშობილ ქალიშვილს ისღა დარჩენია, თვითონაც უკან მიჰყვეს.

არა, იმიტომ კი არა, სირცხვილად რომ თვლის უკანონოდ გამობერილი მუცლით ხალხში გამოჩენას, იმიტომ რომ უყვარს ტოროლა, უიმისოდ არ შეუძლია სიცოცხლე და მზადაა, უკეთეს მომავლისკენ კი არა, თუნდაც ჯოჯოხეთში ჩაჰყვეს თავის გულისწორს, როგორც ორფეოსი ევრიდიკეს. დააკვირდით, აქაც პირიქითაა ყველაფერი, აქაც შეცვლილია როლები.

არ შეიძლება არ აღფრთოვანდე, რამდენად თამამები არიან ჩვენი ქალები თავიანთ ბებიებთან შედარებით. თქვენ არა გაქვთ: უფლება მომაშოროთ ჩემი შვილის მამას, — უყვირის კეთილშობილი ქალიშვილი ჟანდარმერიის უფროსს და ლამის. მაგიდაზე უდებს უკვე საკმაოდ გამოკვეთილსა და დამრგგალებულ მუცელს, ისიც თვითნაკეთებ ყუმბარას რომ ჰგავს და მზადაა გასკდეს, ცაში აიტანოს მთელი ჟანდარმერია, თუკი დროულად არ დააკმაყოფილეს მისი გიჟური, უკაცრავად, მისი კეთილშობილური მოთხოვნა. მერე ისა და მისი რჩეული სატუსაღოს ეკლესიის დამპალ იატაკზე დგანან დაჩოქილნი და ბედნიერებისაგან ტირიან, თითქოს ოდესღაც, თავიანთი სისულელის გამო დაკარგულ სამოთხეში ბრუნდებიან და არა სამუდამო კატორღაში, მათი საქციელით, უფრო სწორედ, მათი ახალი სისულელით გაშტერებულმა მღვდელმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს, დალოცოს თუ შეაჩვენოს ისინი. ისინი კი, ბედნიერები არიან. გესმით? ბედნიერები.

— მღვდელმა სამაგიეროდ ალმასისთვლიანი ქინძისთავი გამოართვა ლიზიკოს. თქვენზე ვილოცებო. — აწყვეტინებდა ნიკო და ისიც ცეცხლს უღიმოდა, ლიზიკოსავით.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, არ დამიმთავრებია. — ყვიროდა საკუთარი ნალაპარაკევით აღგზნებული ლადო. — ბედნიერები არიან-მეთქი, რადგან სიყვარულმა აამაღლათ, რადგან სიყვარულს ანაცვალეს ყველაფერი. ხომ გაგიგონიათ, სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ მონებდესო. მაგრამ ესენი უფრო შორს წავიდნენ, უფრო შორს და უფრო ღრმად. არა მარტო თვითონ დაემონენ სიყვარულს, მათივე სიყვარულის ნაყოფი, ყოვლად უმწიკვლო და ყოვლად უდანაშაულო არსებაც მიართვეს მსხვერპლად. ჩასახვისთანავე ბორკილები დაადეს და ჩასახვისთანავე მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. ეგეც შენი სიყვარული! სიკეთისა და სათნოების გადია!

— მართა ბედნიერი იქნება. მართა ბედნიერი უნდა იყოს.

კარგია, რომ ნახავს ამ საშინელებას. ჩვენზე მეტად ეყვარება თავისუფლება და ჩვენზე ძნელად შეელევა მას, თუკი წყალში არ ჩაგვეყარა ამდენი ტანჯვა-წვალება. — ამბობდა ლიზიკო და მის კალთაში გატრუნულ მართას ფრთხილად ეფერებოდა ფუტკრისფერ თავზე.

— წყალში კი არ იყრება, დენთად გროვდება იმპერიის საძირკველში. — ლიზიკოს დასამშვიდებლად, გასამხნევებლად იტყოდა ხოლმე ევგენი, ანდა თედო.

— გიჟები ხართ თქვენ, გიჟები! — ყვიროდა მოთმინებიდან გამოსული ლადო.

მერე ლიზიკო მოკვდა. სიკვდილმაც ვერ მოაშორა პირიდან წყნარი, დაბნეული ღიმილი. „აბა, თქვენ იცით. აბა თქვენ იცით. თავს გაუფრთხილდითო“. — ჩურჩულებდა სიკვდილის წინ სიცხისაგან გამოფიტული ტუჩებით. ყველამ იცოდა, რომ მოკვდებოდა, მაგრამ ისიც იცოდნენ, უმწეონი რომ იყვნენ სიკვდილთან საბრძოლველად. სიკვდილი სიკვდილად, და ლადოს თავზარი დასცა კატორღელთა სიმრავლემ. მოდიოდნენ და მოდი-

ოდნენ. ერთნაირად მოღუშულნი, ერთნაირად გაფითრებულნი, ერთნაირად წვერმოშვებულნი თავს იყრიდნენ მომაკვდავის ქოხთან. ლადოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მიცვალებულთა სულები ამოსულიყვნენ საფლავებიდან და მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის დაუთმობდნენ ცოცხლები ლიზიკოს სულს. აქ სიკვდილიც სხვანაირი იყო: შიშველი, მკაცრი, საერთო. ლიზიკო მარტო ქმარ-შვილს კი არა, მთელ ქვეყანას უკვდებოდა თითქოს, მოდიოდნენ და მოდიოდნენ თეთრი იმპერიის ხალხები, მოისწრაფოდნენ თოვლის ზვინებში ჩაკარგული ქოხისკენ, როგორც ოდესღაც მოგვები — ბაგაში მობილი ყრმის სახილველად. რუსმა ექიმმა დაუხუჭა თვალები, პოლონელმა მღვდელმა თავის ენაზე აუგო წირვა, ფინელებმა კუბო მოართვეს, ჯერ კიდევ ნედლი, ჯერ კიდევ სურნელოვანი ფიჭვის ფიცრებისგან მეკრული. ვიღაცა ქოხის სახურავზე გავიდა და საკვამურს დროშის ტარი თოკით მოაბა.

დროშა ფრთასავით გაიშალა, აგუგუნდა, ატკაცუნდა, და მისმა წითელმა გამონაშუქმა ტალღებად გადაირბინა მოღუშულ სახეებზე, თითქოს კოცონთან იდგნენ, თითქოს კოცონს შესცქეროდნენ. ქოხის ზემოთ ვარსკვლავი ციმციმებდა, დიდი, ცრემლჩამდგარი თვალივით კრიალა და ნათელი.

ლიზიკო რომ მოკვდებოდა, ლადომ ადრეც იცოდა. ნიკომ გადასდო ცოლს, თუ ცოლმა — ნიკოს, ორივენი ჭლექით იყვნენ ავად და თავიანთ სენზეც ისე უბრალოდ და თავისუფლად ლაპარაკობდნენ, როგორც თავიანთ სიყვარულზე. „მე და ნიკოს ავადმყოფობაც საერთო გვაქვსო“, — ღიმილით იტყოდა ხოლმე ლიზიკო, ლადოს კი, ტანი ებურძგნებოდა. რუსი ექიმიც ხშირი სტუმარი იყო მაკაბელების ქოხისა, რადგან ხან ნიკოს აუწევდა სიცხე და ხან ლიზიკოს, მაგრამ არც ექიმი ამბობდა რამე სანუგეშოს. ყოველ შემთხვევაში, ექიმის ნალაპარაკევი ლადოს ძილს უფრთხობდა და ღამეებს საზარელ კოშმარებში ატარებდა. „ჭლექი საუკუნის სენია. კატორღაში კი არა, ადის-აბებაში იხოცება ჭლექით ხალხიო“, — ამბობდა რუსი ექიმი და მოუსვენარ თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა, როგორც ავადმყოფის გულისფიცარზე, თითქოს მაგიდაც ავად იყო. თითქოს კი არა, მაგიდაც ავად იყო, ქოხის კედლებიც, ჰაერიც, თოვლიცა და ღუმელში მოგუგუნე ცეცხლიც.

ამის მერე, თანდათანობით მიხვდა ლადო, თანდათანობით ირწმუნა, რომ ამ დამპალსა და დასნეულებულ სამყაროში ერთადერთი წამალი სიმართლის თქმა იყო, სიმართლისთვის თვალის გასწორება, რასაც კატორღელი ექიმი თავის კატორღელ პაციენტებს აიძულებდა, ესეც დაუნდობელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საშუალება იყო, რომელიც გაძაღლებული, ყელში ამოსული სიცოცხლის ერთი-ორი დღით გახანგრძლივებას კი არ გულისხმობდა, არამედ სრულიად ახალი სიცოცხლის ჩასახვას, „დარწმუნებული ვარ, ადამიანს ოდესღაც მართლა რომ ჰქონდა უკვდავების წამალი, მაგრამ თვითონვე გაანადგურა იგი, რადგან ვერ ჩაწვდა უკვდავების აზრს. უფრო სწორედ, იმის წარმოდგენამ შეზარა, მარადიული მოწმე რომ იქნებოდა საკუთარი თუ სხვისი მონობისა.

მაგრამ მაინც ვერ შეელია უკვდავებას და ღმერთი მოიგონა. კი არ მოიგონა, უკვდავებაზე სინანულმა გაუჩინა ღმერთი, უკანონო შვილივით, რადგან ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა, — სინდისის ქენჯნა, მოწმისათვის განკუთვნილი სასჯელი, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, მოიშოროს მონობისკენ მიდრეკილება. ხოლო სანამ ადამიანი მონაა, სულერთია, ჭლექი მოკლავს იმას თუ ღორმუცელობა“. — ამბობდა რუსი ექიმი.

უთავბოლო, გაუთავებელსა და საზარელ სიზმარს ჰგავდა ყველაფერი, რაც ლადოს გარშემო ხდებოდა. არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ სიზმართან, არაფრით არ იყო გამართლებული, რომ მაინცდამაინც მას დასიზმრებოდა იგი. მთავარი უბედურება კი ის იყო, გამოღვიძება რომ არ შეეძლო. გრძნობდა, როგორ იღუპებოდა, როგორ ახრჩობდა, როგორ ანადგურებდა სიზმარი. „კიდევ ერთი დღე რომ დავრჩე აქ, აღარაფერი მიშველის“, — სტკიოდა ტვინში ჩაჭედილი, ყინულის ლოლუასავით ცივი და წვეტიანი ფიქრი. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავი უნდა დაეღწია ამ სიზმრისგან, უნდა გამოეღვიძა როგორმე. ჩაბნელდებოდა თუ არა ქოხი, დახუჭავდა თუ არა თვალს, სისხლგარეული ნახველი ელანდებოდა, საიდანაც ჯიუტად, ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით ამოდიოდნენ ჭლექის ბაცილები, როგორც ჭიანჭველები დანგრეული ბუდიდან, და აბურძგნულ ტანზე აცოცდებოდნენ, უცვიოდნენ პირში, ნესტოებში, ყურებში,

ფაჩუნით, სისინით, წრიპინით, დაუნდობლები, დაულეველნი, ახალი ბუდის მაძიებელნი.

მერე ვითომ ჩამოცვენილი კბილებით ევსებოდა პირი და ამაოდ წვალობდა, ამაოდ ცდილობდა, უკანვე ჩაებრუნებინა ისინი რთვილმოდებულ ღრძილებში. „გავიქცევი. თქვენ, როგორც გატყობთ, სიკვდილი გდომებიათ, მე კი, ჯერ არაფერი მინახავს ცხოვრებაში. — ეუბნებოდა დილით ნიკოს, ევგენისა და თედოს, — ან რატომ უნდა ვიყო თქვენთან? მე ხომ გენერლებზე არ მინადირია თქვენსავით? მე მწყერზე ვნადირობდი მხოლოდ, ისიც ერთხელ, ერთხელ გამიწყრა ღმერთი... რატომ უნდა ვისჯებოდეთ ერთნაირად მწყერისა და გენერლის გულისთვის?“, „დამშვიდდი. კარგი, გეყოფა. — შეუყვირებდა ევგენი ანდა თედო. — გაქცევა რომ შეიძლებოდეს, ამდენ ხალხს რა გააჩერებდა აქ. გაქცევა დათმობაა, თვითმკვლელობაა, ჩვენ კი, ვიბრძვით. კატორღაც ამის დადასტურებაა მხოლოდ. კატორღა მაშინ დაიცლება, როცა გავიმარჯვებთ ანდა როცა ხელს ავიღებთ ბრძოლაზე. შენ რომ წახვიდე, ჩვენ არ გაგიშვებთ, რადგან შენც უკვე ჩვენი ხარ. თოკით შეგკრავთ და არ გაგიშვებთ. შენზე მაგარი ბიჭები გაქცეულან, მაგრამ მგლის მუცელში ჩამპალან ბოლოს“, „ჩავლპე.

მგელმა შემჭამოს მირჩევნია, ვიდრე... ვიდრე...“ — მღელვარებისაგან ენა ებმოდა ლადოს, ვერ ამბობდა, ვიდრე ჭლექი შემეყაროსო, ნიკოსი ეხათრებოდა. მერე საწოლზე პირქვე დამხობილი, შეცდენილი და მიტოვებული ქალივით ზლუქუნებდა. ეს ხალხი რომ არ შეხვედროდა, მართლა დაიღუპებოდა.

თვითონაც არ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს. ხან საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილის მოჭრის სურვილი წამოუვლიდა, ხან რაიმე, მკვრივი და უხეში საგნის ჩაყლაპვისა. ვინ იცის, რამდენჯერ გააგდებინეს ხელიდან დანა, რამდენჯერ ააგლიჯეს მაგიდის ფეხს კბილებით ჩაფრენილი და რამდენჯერ ამოუღეს ხახიდან სანახევროდ ჩაყლაპული კოვზი თუ ფანქარი. კიდევ კარგი, ესენი ჰყავდა გვერდით. ითმენდნენ. პატრონობდნენ. ხანდახან შემოჰკრავდნენ კიდეც, დასცინოდნენ მის გიჟურ სურვილებს და ნელ-ნელა მოჰყავდათ ჭკუაზე.

ერთხელ შუაღამისას გამოიპარა ქოხიდან, ნიფხავ-პერანგი ტანზე შემოიხია და დედიშობილა ჩაწვა თოვლის ზვინში. „თუ ბიჭები ხართ, ახლა მიპოვეთო“, — ფიქრობდა გაცხარებული, აღგზნებული და უფრო და უფრო მიძვრებოდა თოვლში, მაგრამ მაშინ სიმღერამ გადაარჩინა, თვითონაც ვერ გაიგო, როდის წამოიწყო სიმღერა, დედის ღმერთმა აამღერა, თორემ მართლა ქაჯიც ვეღარ იპოვიდა. ხმაზე მიაგნეს და ფიცარივით გაშეშებული ამოთხარეს თოვლიდან. ერთ მშვენიერ დღეს კი, ყველას გასაკვირად განაცხადა: აქამდე გატყუებდით, კიდევ მქონდა თავის დაძვრენის იმედი, მაგრამ ახლა იცოდეთ, რომ იმ ღამეს მართლა მწყერებს კი არ დავდევდი ბათუმის ბულვარში, და მართლა ლადო ტუღუში კი არა ვარ, როგორც ჩემს საქმეში წერია, არამედ ჩემი მეფობის დაწყების ნიშანს ვაძლევდი თურქებს, რადგან სინამდვილეში, სოლომონ მეორის შვილიშვილი და უკანასკნელი ბაგრატიონი გახლავართო.

— ჩემმა ვითომ მშობლებმა, რომლებთანაც აღსაზრდელად დამტოვეს ჩემმა ნამდვილმა მშობლებმა, მითხრეს: მეფობისთვის თავს მომზადებულად რომ იგრძნობ, ბათუმში ჩადი და ღამით ზღვის პირას ფარანი იქნიეო, ასე დაგიბარა მამაშენმაო. ამ ნიშანზე თურქეთი დიდი ჯარით უნდა წამოსულიყო და ტახტი უნდა დაებრუნებინა ჩემთვის. მაგრამ ვიღაცამ მიმტრო, ჩემი მეფობა შეშურდა ვიღაცას, როგორც საერთოდ გვჩვევია ქართველებს, და იმის მაგივრად რომ ტახტზე ავსულიყავი და თქვენც დამეხსენით ამ უბედურებისაგან, თქვენთან ერთად ვლპები უღმერთოდ და უგვირგვინოდ, — თქვა ლადომ და ქოხიდან გავიდა, აუჩქარებლად, მეფურად წელგამართული და მედიდური.

როცა მისი მსმენელები გონს მოეგნენ და გახედეს, ის უკვე შარვალს იკრავდა, ხოლო თოვლზე დიდი, აცაბაცა და ჩაყვითლებული ასოებით მისი მეფური სახელი ეწერა, ხმოვნების გამოტოვებით, როგორც ძველ სიგელებზე, მელნისა თუ ადგილის დაზოგვის მიზნით. „სლმნ“, — ეწერა თოვლზე. ამის მერე ლადოსაც ეძახდნენ და სლმნსაც. გააჩნია, როგორ განწყობილებაზე იყვნენ თვითონ და როგორ ეჭირა ლადოს თავი.

ლადოც ხან ლადო იყო, ხან კი სოლომონ მესამე. ხან უდანაშაულო კატორღელი, საზარელი შეცდომის მსხვერპლი, ხან კი — ნაღალატევი, უგვირგვინოდ დარჩენილი მეფე. თუმცა თვითონ ვერც ამჩნევდა საკუთარი არსების გაორებას, რადგან ერთდროულად არასოდეს არ იყო ორივე: მეფეც და კატორღელიც. მეფე და კატორღელი ერთმანეთს ვერც-კი ხვდებოდნენ და თვითონაც ვერ იგებდნენ როდის უთმობდნენ ერთმანეთს ადგილს. მაგალითად, ნიკოს დაკრძალვაზე (ნიკომ ლიზიკოს მერე წელიწადნახევარი იცოცხლა მხოლოდ) სოლომონ მესამედ გამოცხადდა, სიტყვით მიმართა საფლავზე შეგროვილ ხალხს, მაგრამ იქიდან დაბრუნებული, აცოცდა თუ არა ღუმელზე, ისევ კატორღელად, ლადო ტუღუშად იქცა და ფიქრებს მიცემული, სევდიანი, ბედისაგან გაბრიყვებული და გალახული, მარად მზიანსა და ყვავილოვან ქუთაისში გადასახლდა. აღარც კი ახსოვდა, ხუთიოდე წუთის წინათ ევგენიმ და თედომ ძლივს რომ გამოსტაცეს ხელიდან გამძვინვარებულ კატორღელებს. ხუთიოდე წუთის წინ ის სოლომონ მესამის სახელით ბაგრატიონთა ტახტის განმტკიცებისა და ერთგულებისკენ მოუწოდებდა ხალხს. ხოლო რევოლუციონერის დაკრძალვაზე მოსული კატორღელები წითელ დროშას აფრიალებდნენ, მუშტებს უღერებდნენ და ღრიალებდნენ: ძირს მეფე, ძირს თვითმპყრობელობაო. მაგრამ ლადო იყო თუ სოლომონი, მართას ყოველთვის ცნობდა. არა მარტო ცნობდა, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა მის ყოველნაირ სურვილსა თუ მოთხოვნას. ნიკოს სიკვდილის მერე მართა მათ ქოხში ცხოვრობდა და სამი კაცი ისე შესციცინებდა, ისე უფრთხილდებოდა ამ პატარა გოგოს, როგორც ჯურღმულის ბინადრები ასანთის უკანასკნელ ღერს. ადრე, სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, მართა ჩვეულებრივი ბავშვი იყო მათთვის, ჩვეულებრივად საყვარელი, ჩვეულებრივად გასაფრთხილებელი, მაგრამ როცა ხელმეორედ დაიბადა იგი, როცა საკუთარი თვალით იხილეს, როგორ დაიბადა ახალი, უდედმამო მართა ორ საფლავს შორის, ჯერ კიდევ სველი, მზემიშუქებული მიწის ორთქლიდან, ნაადრევი ყვავილივით ნაზი და ფერმკრთალი, მაგრამ ამავე დროს, სიწმინდის, სინათლისა და სიკეთის ღვთაებასავით მშვიდი და ჭკვიანი, რომელსაც თითქოს მხოლოდ იმიტომ მიეღო ბავშვის სახე, რათა გონებადაბნეულ, გულგაციებულსა და საკუთარი ხორცის მჭამელ

ქვეყანას, თუ არ ჩამოუვარდებოდა, ათრთოლებოდა მაინც მის დასამხობად აღმართული ხელი, სამივემ ერთდროულად იგრძნო, თავიდანვე ამ პატარა არსების გადასარჩენად რომ გამოსულიყო შინიდან, ეს პატარა არსება რომ ამართლებდა მხოლოდ და მხოლოდ მათ გზააბნეულ ცხოვრებას, უსასთუმლობას, უოჯახობას, დაუმსახურებელსა თუ დამსახურებულ ტყვეობას. მართა თანდათან იმედის, რწმენის, მიზნისა და ოცნების განსახიერებად იქცა მათთვის და თვითონაც ვერ ამჩნევდნენ, როგორ ცდილობდნენ, გადაეცათ მისთვის, მოექუჩებინათ მის პატარა არსებაში, თუკი რამე შემორჩებოდათ ადამიანური, შეუბღალავი, აუმღვრეველი. ასე უპატრონოდ დარჩენილი მოხუცები დასამარხ ფულს აგროვებენ ყულაბაში, კაპიკ-კაპიკ, ნელ-ნელა, ხელის კანკალითა და ნეტარი მღელვარებით, იმის შეგრძნების გამო, რომ ყულაბის წყალობით დაუმარხავები არ დარჩებიან, მათაც მიწა მიეყრებათ, მაგრამ ამ ყულაბას კი არ მალავენ უცხო თვალისაგან, პირიქით, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას უდგათ, რადგან არა მარტო ეიმედებათ იგი, არამედ ეამაყებათ კიდეც. ისინი ბედნიერები იყვნენ, მართა რომ ჰყავდათ. პატივს სცემდნენ, როგორც შვილები დედას, ანებივრებდნენ, როგორც ძმები ერთადერთ დას და ემორჩილებოდნენ, როგორც სტუმრები დიასახლისს.

— ვითომ მართლა ეშველება რამე ჩვენს ქვეყანას?! — ჩამოსძახებდა ხოლმე ღუმელიდან გასოლომონებული ლადო.

— ეშველება, — მოკლედ პასუხობდა წიგნების თვალიერებით, ხატვითა თუ ძია თედოს გაკეთებული თოჯინის მორთვა-მოკაზმვით გართული მართა.

— რა იცი, გოგო, რა იცი? — წუხდა სლმნი.

— ვიცი. — მტკიცედ, ჯიუტად პასუხობდა მართა.

მან უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა, მან იცოდა, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით, ორსართულიანი, გალავანშემოვლებული სახლი იდგა და იმ სახლში მისთვის ყველაზე ახლობელი ხალხი ცხოვრობდა; ეზოში ცაცხვები შრიალებდნენ, აივნის სვეტებს ჭყივილით ეხვეოდნენ გულთეთრა და კუდმაკრატელა

მერცხლები; გომურიდან ვირი იცქირებოდა კრიალა, გიშრისფერი თვალებით; იმ ვირით მამიდამისი დაჰყავდათ ძმებს სკოლაში. საღამოობით ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპის გარშემო იკრიბებოდნენ სახლის ბინადრები და მართას ბებია დიდი, ყდამოვარაყებული წიგნებიდან ისეთ საოცარ ამბებს კითხულობდა, უსასრულოდ შეეძლო ესმინა კაცს, მაგრამ კარადისხელა საათი დაძინების დროს რომ აუწყებდათ, მკაცრი გადია, მართას მამა-ბიძისა და მამიდის გამზრდელი აღათია, ძალით მილალავდა ბავშვებს საწოლებისაკენ და ატყდებოდა ხოლმე ერთი აურზაური (მართას ყოველთვის ეღიმებოდა ამ სურათის წარმოდგენისას). მართამ იცოდა, რომ ის სახლი მისი სახლიც იყო და სადაც არ უნდა წაეყვანა ბედს, არასოდეს არ უნდა დავიწყებოდა იმ სახლის არსებობა, სახე და გული ყოველთვის იმ სახლისაკენ უნდა ჰქონოდა მიბრუნებული. მართამ ისიც იცოდა, რომ მისი ბიძა ალექსანდრე ყველაზე ღონიერი, ყველაზე გამბედავი და ყველაზე კეთილი კაცი იყო მთელ ქვეყანაზე და მართა თუ ვერ იპოვიდა საკუთარი სახლის გზას, ალექსანდრე თვითონ მონახავდა მართას, ქვას გახეთქავდა და მონახავდა, ქვესკნელში ჩავიდოდა და მონახავდა, ცას შესწვდებოდა და მონახავდა. მართალია, ცალხელა იყო, მაგრამ მტრისას, ვინმე თუ გადაუდგებოდა გზაზე, ვინმე თუ გაბედავდა მართას დაჩაგვრას.

იმდენი რამ ჰქონდა მამისაგან მოსმენილი თავის ბიძაზე, გინდაც შორიდან დაენახა, მაშინვე იცნობდა; იმდენჯერ ჰყავდა დახატული ცალხელა ბიძა, ცოტა გაუკვირდებოდა კიდეც, ისეთი რომ არ აღმოჩენილიყო. მართა ახლაც ბიძამისს ხატავდა. ქოხში მორეცხილი იატაკის სუნი იდგა. ღუმელი მშვიდად ღუღუნებდა, ღუმელზე ლადო — სლმნი იწვა, გარედან ხერხის ხროტინი ისმოდა და მართამ არ იცოდა, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ორიოდე წუთის მერე საკუთარი თვალით იხილავდა საკუთარ ბიძას, დახატულს კი არა, ნამდვილს. ქოხის სარკმელში რომ გაეხედა, შორს უკვე დაინახავდა შავ წერტილს, თუმცა მაშინაც ვერ იფიქრებდა, ის შავი წერტილი, ჯიუტად რომ მოიწევდა წინ, ბიძამისი ალექსანდრე აღმოჩნდებოდა ბოლოს. მართა ცოტა გამწყრალი იყო, მისი მერცხალი ქორს რომ შე-

ადარეს და, ლადო-სლმნის ჯიბრზე, ახლა ცალხელა კაცს კი არა, ცალხელა გოლიათს ხატავდა.

ხერხის ხროტინი უცებ შეწყდა, მაგრამ არც მართასა და არც ლადოს არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება. ბოლოს და ბოლოს, როდისმე ხომ უნდა შეწყვეტილიყო ხერხის ხროტინი?! აბა, ერთი გაიხედე. მეჩვენება, თუ მართლა მოდის ვიღაც. — უთხრა თედომ ევგენის.

შეტრიალდა თუ არა ევგენი, მაშინვე დაინახა იმანაც მათკენ მომავალი უცხო კაცი. დიდი ხნის მკვდარი, მერქანშეყინული მორი მოულოდნელად ხელგაშვებული ბირდაბირის ზუზუნა ბოლოებს ფრთებივით არხევდა, თანდათან უფრო ნელა და ნელა, თითქოს ხელმეორედ კვდებოდა.

ყვავი კუპრის შხეფის სიმდორით მიფრინავდა ტყის გასწვრივ. კი არ მიფრინავს, მე მიტრიალებს. — გაიფიქრა ალექსანდრემ. — იგრძნო, რომ ვკვდები.. სიკვდილის სუნი ეცა და ის აწრიალებს, იმიტომ არ მეშვება არც მომეშვება, სანამ ჩემს თვალებს არ ჩაითვლის... არ ჩაიჩხრიალებს ჩიჩახვში. ჰეი, ყრანტალა! შენ გგონია, მე ვიცოდი, რას ჩავდიოდი?

ბრმად გავჩნდი და ბრმად ვიცხოვრე. ასე არ გინდოდა, შე ზოსიმე, (შენა? შენ თუ გგონია, რომ პირს ჩაიტკბარუნებ ჩემი თვალებით, ძალიან გეშლება. მწარე იქნება, შხამიანი... ისემც შენ იხარო. არაფერი არ უნახავთ სიმახინჯისა და სიბინძურის მეტი. გინდაც ორი ნაღვლის ბუშტი ჩაგიყლაპავს და გინდაც ჩემი თვალები. მაგრამ მაინც უნდა ჩაყლაპო, მაინც უნდა მოინელო, რადგან იმათ ჩემი დის შეგინებული სიშიშვლეც იხილეს. კიდევ... კიდევ შენ გიყურებენ ახლა, მე ფეთხუმო შენა, შე ჩემზე მახინჯო შენა. რა შორიშორს მიტრიალებ, მოდი, ნუ გეშინია. მადლობელიც ვიქნები, მართლა თუ ამომკორტნი, რაც მინახავს და დამიმახსოვრებია. მოდი, თორემ ყველას ვეტყვი, რანაირი უშნო და ბინძური ყოფილხარ. მე სიკვდილის კი არ მეშინია, შე სულელო, არამედ სიცოცხლისა. ჩემი თუ გრცხვენია, აჰა, აღარ შეგხედავ — თვალებზე ხელი აიფარა. თვალები სტკიოდა ყრუდ, სასიამოვნოდ, განუწყვეტლად. უცებ ჩამოვარდნი-

ლი წყვდიადი წითელი, ფეთიანი ნაპერწკლებით იყო სავსე. — სულელი, სულელი.

— რამდენჯერმე თქვა ხმამაღლა. არც არავის მიმართავდა, არც არავის გულისხმობდა, თითქოს სიტყვა მოეწონა და იმიტომ იმეორებდა. ხელი ისევ თვალებზე ჰქონდა აფარებული. მიდიოდა, მიაჩხრიალებდა ლოლუებშეყინული ქურქის გაფშეკილ კალთებს. მაგრამ თვითონ ვერ გრძნობდა, რომ მიდიოდა, ვერ გრძნობდა, რომ ფიქრობდა, ვერ გრძნობდა, რომ ხელი თვალებზე ჰქონდა აფარებული. — ანეტას ინჟინერმა იცოდა, ვისთვის უნდა გაერტყა, მე კი, ესეც. არ ვიცი, არც არასოდეს მცოდნია — ხელი სახიდან მოიშორა და ზედ დაიხედა, სწორედ ისევე, როგორც ამ ექვსი თვის წინათ, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას. წითელი და ფეთიანი ნაპერწკლები ახლა მის ხელისგულზე დახტუნავდნენ, — ფუჰ, წყეული და უვარგისი სისხლი. — თქვა და ხელი ტანზე შეიხოცა, თითქოს მართლა სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.

მას უკვე ხედავდნენ. დასახერხ მორთან გაჩერებული ორი კატორღელი უკვე ხედავდა მას. ორივემ უკვე გაარკვია გუნებაში, რომ შეშა კი არ ამოუჩრია მათკენ მომავალ კაცს იღლიაში, არამედ ქურქის გაფშეკილი სახელო აქვს გამოშვერილი. ორივემ უკვე ეჭვად იცის მისი ვინაობა, მაგრამ თუკი ერთმანეთსაც არ უმხელენ ჯერ, იმიტომ, რომ ეშინიათ არ გაწბილდნენ, მცდარი არ აღმოჩნდეს მათი ვარაუდი, რადგან ძალიან უნდათ, ძალიან მოუნდათ უცებ, სწორედ ის აღმოჩნდეს მათკენ მომავალი კაცი, ვისაც მიამსგავსეს, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ასეთი უნდა იყოს მათი წარმოდგენით.

უყურებენ, როგორ მოარღვევს იგი თოვლს და ენაზე უტრიალებთ მისი სახელი, თუმცა არასოდეს უნახავთ ადრე, ერთად არაფერი გადახდომიათ თავს, არც კარგი და არც ცუდი, მაგრამ ერთადერთი ის იყო მაინც, ვისაც ელოდებოდნენ, ვინც აუცილებლად უნდა მოსულიყო იმ ქვეყნიდან, თუკი კიდევ არსებობდა ის ქვეყანა და თუკი კიდევ არსებობდა ძმობა. ისინი კატორღელები იყვნენ და სჯეროდათ, პურზე, წყალსა და ცეცხლზე გაცილებით მეტს ნიშნავდა მათთვის იმის რწმენა, რომ ძმას ძმის ამბავი ცხრა მთის იქითაც მიუვა, ცხრა მთის იქითაც არ მოასვე-

ნებს, ლუკმას გაუმწარებს, სასთუმალს გაუქვავებს და იმდენს იზამს, სანამ შეუძლებელს არ შეაძლებინებს. იდევ ერთი წუთი და თედო იტყოდა: მეც მოვიჭრი მკლავს, ეს თუ ჩვენი ნიკოს ძმა, ალექსანდრე არ იყოსო. იტყოდა დაბნეული, გახარებული და შეწუხებული, რადგან ეს თუ მართალი აღმოჩნდებოდა, რწმენა კი განუმტკიცდებოდათ, მაგრამ მართას უნდა შელეოდნენ, რადგან მართას ერთ დღესაც აღარ გააჩერებდა აქ ბიძამისი. ისინი უკვე ამაზედაც ფიქრობდნენ. აბნეულად, გაურკვეველი შიშითა და ასევე გაურკვეველი სიხარულით, როგორც საერთოდ.

მომლოდინე ხალხსა სჩვევიათ, მოლოდინის უკანასკნელ წუთს რომ გაახსენდებათ მაინცდამაინც ათასი „იქნებ“ და „ვაითუ“. — მეც მკლავს მოვიჭრი, ეს თუ ჩვენი ნიკოს ძმა, ალექსანდრე არ იყოს, — თქვა თედომ.

ევგენიმ გაკვირვებულმა გამოხედა, თითქოს თვითონაც ასე არ ფიქრობდა.

ალექსანდრე ჯერ ვერავის ხედავდა, ყვავის გარდა, და იმაშიაც არ იყო დარწმუნებული, მართლა თუ მიდიოდა, მართლა თუ შორდებოდა და უახლოვდებოდა რამეს. ქოხის წინ გაჩერებული კატორღელებისკენ მისი გათოშილი, გამოფიტული სხეული მიქონდათ მხოლოდ ფეხებს, ლოლუების ჩხრიალი ესმოდა მხოლოდ და შორეულ ბავშვობაში გადასახლებულს, ეგონა, ნიკოსთან ერთად კაცის ჩონჩხი მიჰქონდა სკოლისაკენ, კაცის ჩონჩხი, რომელიც ერთი კვირის წინ წამოიღეს ასაწყობად, საკლასო ოთახის კუთხეში მოქუჩებული.

მთელი კვირა აწყობდნენ და აკოწიწებდნენ ისა და ნიკო ჩონჩხს. მათი ოთახის იატაკი ადამიანის ძვლებით იყო მოფენილი, აღარც ჭამა ახსოვდათ და აღარც თამაში, არც ანეტას უღებდნენ კარს და არც აღათიას, ამაოდ რომ იმუქრებოდა და იხვეწებოდა, დამენახეთ მაინც, რას აკეთებთო. ჩონჩხი ნელ-ნელა იზრდებოდა, გასავლები ჩურჩხელებივით კონწიალობდნენ ძაფზე ასხმული ძვლები. მხოლოდ კისრის ერთი მალა ისე დაფმხვნილიყო, იძულებულნი გახდნენ, ხისგან გამოეჩორკნათ მაგიერი, რის გამოც ჩონჩხს ოდნავ გადაბრეცილი ჰქონდა თა-

ვი, თითქოს ზეზეულად ჩამოსძინებიაო. ოთახიდან რომ გამოიტანეს, აღათიას გასამშრალებელი თეფში ხელიდან გაუვარდა და პირჯვრის წერით დაემხო მუხლებზე.

მაგრამ ამათ ყურადღებაც არ მიუქცევიათ, მარტო იმას ცდილობდნენ, რამეს არ წამოსდებოდნენ, არაფერი შემთხვეოდა მათ აწყობილ ჩონჩხს. არც პაპისთვის შეუხედავთ, სანახევროდ კიბეზე ამოსული, უკანვე რომ ჩაბრუნდა, გზა რომ უტია მისი შვილიშვილების ხელებზე ატორტმანებულსა და აჩხრიალებულ ჩონჩხს, როგორც სამეფო დროშას. ახლაც ის დღე იყო თითქოს, თითქოს ურუქის ორღობეში იმასა და ნიკოს ჩონჩხი მიჰქონდათ, ამაყებსა და ბედნიერებს თავიანთი ნამოღვაწარით. ჩონჩხი ირწეოდა, ჩხრიალებდა, ოდნავ გვერდზე გადაბრეცილ თავს იქნევდა, თითქოს ესალმებოდა და თან ამოწმებდა, გვერდულად უყურებდა დიდი ხნის უნახავ ქვეყანას, ხელმეორედ მოვლენილი, საფლავიდან ამოსული, აღდგენილი.

ჩონჩხი ჩხრიალებს, მიირწევა. ალექსანდრე გრძნობს მის ფუტურო სიმძიმეს, თანაც განახევრებულს, რადგან ნიკოსაც უჭირავს იგი. ნიკოს ვერ ხედავს, ჩონჩხია მათ შორის ასვეტილი, მაგრამ ნიკოსაც გრძნობს, გრძნობს, რომ ნიკოც მასავით ბედნიერია და ამაყი. ძმები სკოლისაკენ მიაბიჯებენ. „დასწყევლოს ღმერთმა!“ — ესმით გზისკენ მაცქერალი დედაბრების ბუტბუტი. ძაღლებს ენა ჩავარდნიათ და გაკვირვებულნი აყოლებენ თვალს. ყველას ეშინია მათი, მთელ სოფელს, რადგან ამათ სიკვდილისაც არ ეშინიათ, არც მომავლისა, რომელიც, ადრე თუ გვიან, ამათაც ჩონჩხებად აქცევს. თავიანთი საქციელითა და სითამამით აღგზნებული ძმები ალექსანდრეს გონებაში მიაბიჯებენ, ალექსანდრეს გათოშილ სხეულში, ალექსანდრეს დამდორებულ სისხლში, იმ სისხლის ჯურღმულებში, რომელიც ამ ექვსი თვის წინ, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას, სიცილივით წასკდა ცხვირიდან ალექსანდრეს, სიმწრის სიცილივით. ის ძმები ამ სისხლში არსებობენ მხოლოდ, სინამდვილეში აღარ არიან. გზააბნეული ობლებივით დაბორიალობენ წარსულის უღრან ტყეში, სახლის გზას დაეძებენ, მაგრამ ვერ ხვდებიან, რადგან არასოდეს არ ჰქონიათ სახლი. ჰგონიათ, შინიდან გამოსულები სკოლისაკენ მიაბიჯებენ, რადგან არ იციან, რომ არ არსებობს ისეთი სკოლა, სადაც მათი წარმოშო-

ბის საიდუმლოს შეიტყობენ. მათ ისიც არ იციან, ასეთი საიდუმ-
ლო თუ არსებობს. მათ ისიც კი არ იციან, რომ ვიღაცის ჩონჩხი
კი არ ააწყვეს, არამედ თავიანთი ნამდვილი გვარის გარკვევა
და აღდგენა სცადეს უნებურად. მათ იმდენივე გაეგებოდათ სა-
კუთარი წარსულისა, რამდენიც ბრმასა და ყრუს გაეგება გარე
სამყაროსი, მაგრამ განა ბრმები არ ხედავენ? განა ყრუებს არ
ესმით? ხედავენ და ესმით, მაგრამ ეს სხვა სმენა და მხედველო-
ბაა, სისხლისმიერი და, ამიტომაც ღვთაებრივი, უკიდეგანო,
რომელიც არსებულ საგნებსა და ხმებში კი არ დაეძებს წარ-
მოდგენილ სულს, არამედ ჭეშმარიტი სული ეხმარება, წარმო-
იდგინოს მისთვის არარსებული საგნებიცა და ხმებიც. სინამ-
დვილეში ალექსანდრე მარტო იყო და, დათოვლილი ტყის გას-
წვრივ მიმავალი, გრძნობდა, მონაწილე თუ არა, მოწმე რომ
გამხდარიყო, რაღაც დიდისა და მნიშვნელოვანის სიკვდილისა.
სისხლი შხუოდა, სისინებდა, ბუყბუყებდა და მისი ღრმა, იდუმა-
ლი წიაღიდან ამოდიოდა წარმოდგენილი ჩონჩხი, გამხმარი და
ხენეში, როგორც მათი საგვარეულო ხე, ძირფესვიანად მოგ-
ლეჯილი, რომელიც ვითომ მასსა და ნიკოს მიჰქონდათ ორღო-
ბეში, ურუქის სამრევლო სკოლისკენ. გადაშენებული გვარის
ჩონჩხი ამოდიოდა ალექსანდრეს სისხლიდან და გადაწითლე-
ბული, თვალთა ღრმულებში შლამჩალექილი, უხორცო და აჩ-
ხრიალებული ხელებით ეტანებოდა ალექსანდრეს სულსა და
გონებას, აქეთ-იქით რომ გარბოდნენ, როგორც ტყეში დაკარ-
გული ობლები თვალებბრიალა ჭოტის დანახვაზე. სულმა და
გონებამ არ იცოდა, ვისი ჩონჩხი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს,
მაგრამ გრძნობდნენ, აუცილებელი რომ იყო მათთვის ამის
ცოდნა, თუნდაც იმიტომ, ერთმანეთიც რომ არ დაეკარგათ ამ
ულრან ტყეში, ერთად მაინც რომ ყოფილიყვნენ ქვეყანას მოწ-
ყვეტილები, იმასაც გრძნობდნენ, ჩონჩხი მათ დასაფრთხობად
კი არ იქნევდა ჩხრიალა მკლავებს, არამედ. შესაკავებლად,
დასაბრუნებლად, რაღაცის, მათთვის მნიშვნელოვანისა და აუ-
ცილებელის განსამარტავად, მაგრამ შიში სძლევდა ცნობისწა-
დილს და ვერცერთი ვერ ბედავდა, ანდა ვერ ახერხებდა, უფრო
ახლოს მისულიყო, ჩაეხედა ბნელსა და ცარიელ ხვრელებში,
თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ, მხოლოდ იქ რომ ამოიკითხავ-
დნენ. მათი გაჩენის, მათი სიობლისა და მათი დაკარგვის სა-
იდუმლოს. ჩონჩხი თანდათან იზრდებოდა და ახლა ნიკოსა და

ალექსანდრეს კი არ მოჰქონდათ იგი, თავისით მოდიოდა, ხოლო ნიკო და ალექსანდრე მისი ძვლების ნასვრეტებში ერთმანეთს დაეძებდნენ, უაზროდ და უთავბოლოდ დაძრწოდნენ, როგორც თაგვები — ძველი და მიტოვებული სახლის გაუკაცურებულ დერეფნებში.

თეთრად, თვალისმომჭრელად ელავდა ჩონჩხი ზამთრის უღონო მზის სხივებზე და ალექსანდრე ამაოდ ცდილობდა, გასცლოდა მის უნაყოფო სივრცეებს, მის მარადიულ დუმილსა და სიცივეს. არა, აღარ ცდილობდა, რაღაცნაირად შეჩვეოდა უკვე, ოღონდ ვერ გაეგო, თვითონ რა კავშირში იყო ამ ჩონჩხთან, სად მოეთავსებინა თავისი უმნიშვნელო, თავზარდამცემად პატარა არსება ამ უშნოსა და უზარმაზარ ხუხულაში, რომელიც თავისი ტლანქი, შეუვალი უგრძნობელობითა და სიცარიელით უფრო და უფრო იზიდავდა, იწოვდა, ისრუტავდა, მასზე გაცილებით ძლიერი და უფლებამოსილიც.

არ იცოდა, ამ ჩონჩხის უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელი ნაწილი რომ იყო თვითონაც, თუნდაც როგორც კისრის მალა, ურომლისოდაც თავის ქალა სწორედ ვერ გაჩერდებოდა, და გვერდზე იქნებოდა გადაბრეცილი. მან კიდევ ბევრი რამე არ იცოდა ჯერ. მან ისიც არ იცოდა, რომ მიდიოდა, კიდევ რომ არსებობდა, შესაძლებელი რომ იყო მისი დანახვა, თუმცა უკვე ხედავდნენ და არა მარტო ხედავდნენ, ეჭვად იცოდნენ კიდეც მისი ვინაობა; არ იცოდა, უკვე რომ მოეღწია, უკვე კატორღის ზონაში რომ იმყოფებოდა და ძმა, რომელსაც საგვარეულო ჩონჩხის გამოცარიელებულ ძვლებში დაეძებდა, მისგან სულ ორიოდე ნაბიჯზე განისვენებდა მიწაში, ღომად დარწმუნებული, ღრმად დაიმედებული, რომ მის ობოლს პატრონი ჰყავდა და რომელმაც სიკვდილის წინ მის სახელზე დაწერილი ბარათი დაუტოვა შვილს მემკვიდრეობად, რადგან სხვა არაფერი გააჩნდა. „ყოველთვის მწამდი და მეამაყებოდი. მარად შენი ძმა ნიკო“. — წაიკითხავდა იგი სულ რამდენიმე წუთის მერე და ამ სიტყვების სიდიადე, უბრალოება და სიმძიმე მუხლებს მოჰკვეთდა, მაგრამ ამავე დროს გააბედნიერებდა კიდეც, რადგან ამ სიტყვებში ამოიკითხავდა საკუთარი არსებობის აზრსაც და გამართლებასაც. მაგრამ მან ჯერ იმ წერილის არსებობაც არ იცოდა. ისიც არ იცოდა, როდისმე ვინმეს თუ მოუვიდოდა აზრად, მისთვისაც

მიეწერა წერილი, როგორც დედამისი წერდა ნიკოს, ანდა ნიკო — დედამისს. ასევე არ იცოდა, რომ ის ერთადერთი წერილი, მის სახელზე დაწერილი, სიკვდილამდე გულის ჯიბეში ექნებოდა ჩაკერებული, როგორც მსტოვარს — საიდუმლო ცნობა, რომელზედაც ქვეყნის ბედია დამოკიდებული. „აი, თურმე როგორები ყოფილან ნიკოს ამხანაგები“, — იტყოდა იგი რამდენიმე საათის მერე, მაგრამ ჯერ ისევ ისეთივე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა ძმის ამხანაგებზე, როგორიც გზისპირა დუქანში შეექმნა მისი და მაროს გიჟური ქორწილის დღეს. მან არც ის იცის ჯერ, უნებლიედ რამხელა ტკივილს მიაყენებს ნიკოს ნამდვილ ამხანაგებს, როცა მართას სამუდამოდ წამოიყვანს აქედან, როცა სათუთი ტვირთივით საგულდაგულოდ შეფუთვნილ გოგოს გამოაპარებს კატორღელების ქოხიდან, სადაც ამ გოგოს სამი პირქუში კატორღელი, იმპერიისთვის განსაკუთრებულად საშიში სამი კაცი, ისე შესციცინებს და ისე უფრთხილდება, როგორც ჯურღმულის ბინადრები ასანთის უკანასკნელ ღერს, ანდა. უდაბნოს ბინადრები — ჭას. მაგრამ მან ჯერ ისიც არ იცის, ის გოგო რომ არსებობს, მართა რომ ჰქვია, ექვსი წლის რომაა უკვე და მონობაში შობილი, იმის მერე, რაც ფანქრის დაჭერა ისწავლა, ყვავილებსა და მერცხლებს ხატავს მხოლოდ და კიდევ ცალხელა რაინდს, რადგან მის ბავშვურ წარმოდგენებში, სადღაც, ცხრა მთას იქით დარჩენილი სამშობლო, ყვავილები და მერცხლებია მხოლოდ, რომლებსაც ცალხელა რაინდი ყარაულობს. მან ჯერ ისიც არ იცის, ის უსასრულო, უსახო და უნაყოფო სივრცე, რომელიც მან ბრმად და ალალბედზე გამოიარა, ბავშვურად მეოცნებე. კატორღელებით რომაა დასახლებული, ყველას თავისი ყვავილი და მერცხალი რომ ახატია გულზე და მზად არიან აიტანონ ყველანაირი საშინელება, ყველანაირი ტკივილი და დამცირება, იმ ყვავილისა და მერცხლის გადასარჩენად. „ტყუილუბრალოდ თქვენ იხოცებით, თავისუფლები, უფრო სწორედ, თავისუფლები რომ გგონიათ თავი, რადგან ჭეშმარიტი თავისუფლებისა გეშინიათ ანდა გერიდებათ, როგორც ჯერ კიდევ მკვახე ყმაწვილს — ქალთან მარტო დარჩენისა“, — იმავე საღამოს ეტყვიან მას ნიკოს ამხანაგები, მის სანახავად შეკრებილები თუთუნის ბოლითა და სითბონაკრავი ტყაპუჭების ოშხივარით ჩამობურულ ქოხში, საშიშნი და ამაზრზენნი, ადამიანის სიცოცხლისათვის შეუფერებელ დროსა და სივრცეში

მოხვედრილნი, და ამიტომაც ნაადრევად დაბერებულნი, დამახინჯებულნი, უკბილო პირებით მოჩიფჩიფენი, მაგრამ მაინც ბავშვურად სუფთები და აღგზნებულები, ყვავილისა და მერცხლის მორწმუნენი. „ამ საფლავებიდან ხელახლა უნდა დაიბადოს საქართველო, — ეტყვიან ისინი ნიკოსა და ლიზიკოს საფლავებთან დაჩოქილ ალექსანდრეს. — ახალი საქართველო, მართასავით ნორჩი, მართასავით ჭკვიანი და ძლიერი“. — იტყვიან ისინი, დაბრძენებულნი და, ცოტა არ იყოს, დაბნეულნი, საფლავის ორი, საქორწილო სარეცელივით თეთრი და სპეტაკი ბორცვის წინ დამხობილი კაცის ხილვით. ხოლო როცა გაოგნებული, თავგამოცარიელებული ალექსანდრე, ქურქის ჯიბიდან ბოთლს ამოიღებს და ურუქში გამოხდილ არაყს ძმისა და რძლის საფლავებზე მოაპირქვავებს, ისინი ხელიდან გამოსტაცებენ სანახევროდ დაცლილ ბოთლს და საგუნდაოდ გამოსული, უმეთვალყუროდ დარჩენილი ბავშვების სიცელქით, ხალისითა და ჟრიამულით, შესაჭმელად მიესევიან არაყმოსხმულ თოვლს. „ნიკოს და ლიზიკოს გაუმარჯოს, ჩვენთან ერთად, ყოველთვის!“ — არყიანი თოვლით იტყვიან ისინი ალექსანდრეს ძმისა და რძლის სადღეგრძელოს, შესანდობარს კი არა, სადღეგრძელოს, და მათი შემყურე ალექსანდრეც გაიღიმებს, რაღაცნაირად გახალისდება. რაღაცისგან განთავისუფლდება, გამსუბუქდება და როდის-როდის იგრძნობს, რომ თავადაც არყით გაჟღენთილი თოვლითა აქვს პირი გამოტენილი.

ჯერ კი მიდიოდა, ჯერ საგვარეულო ჩონჩხის გამოხრულ ძვლებში დაშლიგინობდა მისი დამფრთხალი სული და გონება; ჯერ კიდევ რამდენიმე, მაგრამ არაადამიანურად მტკივნეული ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი, სანამ თედოსა და ევგენის გადააწყდებოდა. დაინახავდა, აღიქვამდა მათ სახეებს და ძლივს ამოილუღლუღებდა ყინვისაგან გამშრალი და დახეთქილი ტუჩებით: ტიუმენი.. კატორღა... ძმა! ჯერ არაფერი არ იცოდა.

ჯერ კიდევ დიდი დროა გათენებამდე. შორს, ალაზნის ველზე წითლად გაფოფრილა წყვდიადი; აგერ უკვე მთელი კვირაა, ნაპურალებს წვავენ და კვამლის სუნი, მით უფრო ქარიან ამინდში, აქამდეც აღწევს; ყველაფერი ამ სუნითაა გაჟღენთილი. კვამლის სუნითა და კოღოს წუილით. ქარი თანდათან ძლიერდება, უძარღვო, სიცხისაგან მტვრადქცეული მიწა თვალებს უბრმავებს, პირში უცვივა ხალხს და ალბათ ამიტომაც დამუნჯებულა ყველა, ვინც ამ დილაუთენია გამოსულა შინიდან. მატარებლის მომლოდინე ხალხი სადგურის კედელთან მიყუჟულა, ჩაკარგულა კალთებსა და ხურჯინებში, ქარის მხარეს აუფარებია სახეზე ქუდი თუ ხილაბანდი, თითქოს რაღაც საშინელებას არიდებს თვალს. ეს ერთადერთი მოასფალტებული ადგილია მთელს წნორში, ასფალტის კუნძული, გამომშრალი, გამოფიტული მიწის ოკეანეში, მაგრამ იმდენად მცირეა, ქარს არ უჭირს, თავზე გადაატაროს მტვრის დაბურული ტალღები. შემკრთალ ბინდში ცარიელი მატარებლის ლანდი გარინდულა. ერთი საათიც არ არის, რაც ეს მატარებელი თბილისიდან მოვიდა და კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ უკანვე გაბრუნდება, ჯერ კიდევ კარგა ხანს არ მოეღება ბოლო ასფალტზე დაყრილი ხალხის წვალებასა და მოლოდინს, მაგრამ ხალხს, რაკი წასვლა გადაუწყვეტია და ლამის მთელი დღით ადრე გამოსულა შინიდან, ურჩევნია აქ იყოს, მატარებლის სიახლოვეს, ვიდრე გულის ხეთქვაში გაატაროს ისედაც დაკარგული დღე. მატარებელმა დაასწავლა ხალხს, ყველაფერი მოსწრებაზე რომაა, ისევე როგორც სამგზავრო ბილეთი და ფეხის მოსაკიდებელი ადგილი ამ ასფალტის ნაგლეჯზე, უშნოდ რომ დატყაპნია მიწას, როგორც ამანათს — ლუქის ბეჭედი.

ჯერ ადრეა. ჯერ სიღნაღიდან, მერე კი თელავიდან დილიჟანსი უნდა მოვიდეს. იმათაც მგზავრები უნდა მოიყვანონ, ხოლო ვინც მგზავრობას მორჩა, ვინც დილის მატარებელს ჩამოყვა, გზადაგზა, სოფელ-სოფელ დაარიგონ თავიანთ სახლებში.

ალექსანდრესა და მართას დილიჟანსი არ სჭირდებათ, თითქმის უკვე შინ არიან, ხუთიოდე კილომეტრიღა აშორებთ სახლს. სასიამოვნოცაა იმ ხუთიოდე კილომეტრის ფეხით გავლა, მაგრამ ჯერ უნდა გათენდეს, ქვეყანა უნდა გამოჩნდეს, რადგან ალექსანდრეს არ უნდა, მართამ ბნელში გაიაროს

მშობლიური სახლის გზა. შინიდან ადრე გამოსული ხალხის მეორე ნაწილი ბაზრისაკენ მიიჩქარის. ფრთხილად, თითქოს გაუბედავად მობაკუნობენ სახედრები გაცივებულ მტვერში.

აქა-იქ, თვითნაკეთი, მუჭში მომწყვდეული და ხარბად, ბარაქიანად, სოფლურად მოქაჩული სიგარეტის წითელი თვალი გაიელვებს ხოლმე. ორღობეებში ჩაწოლილი წყვდიადი კვამლის სუნით გაჟღენთილა. შორს, ალაზნის ველზე, ნაპურალები იწვის და ცეცხლის ანარეკლი ქვემოდან წითლად შესდგომია ჩამოხუთულ ცას. წნორში კვირაობით დიდი ბაზრობა იცის, კვირაობით ხალხიც მეტი ჩამოჰყავს მატარებელს, მაგრამ ამ მშვიდობიან ფუსფუსსა და ხმებში მაინც არის რაღაც შემაშფოთებელი, დამძაბველი, ეჭვის აღმძვრელი, რადგან ადამიანიც ნებისმიერი ცხოველივით საშიშია, სანამ არ დაინახავ, სანამ სახეში არ შეხედავ. მოდიან, მობაკუნობენ, მობუყბუყობენ დატვირთული სახედრები. ბაზრის მოედანი შეუმჩნევლად ივსება ხალხითა და საქონლით. ჩუმად, მაგრამ ფაციფუცით იხსნებიან ბოხჩები, ტომრები, კალათები, ხურჯინები და ჯერ კიდევ დანამულ დახლებზე ლაგდება ოფლითა და იმედით მოწეული ჭირნახული. მაგრამ ჯერ არაფერი არ ჩანს, ჯერ წყვდიადი არ დაძრულა და ეს ყველაფერი სიბნელეში ხდება, როგორც სცენაზე, სურათსა და სურათს შორის, აფუსფუსებული ლანდების მეტს რომ ვერაფერს არჩევს მაყურებელი, მაგრამ იცის, გული უგრძნობს, სინათლის ანთებისთანავე, ახალი, მოულოდნელი სანახაობა რომ გადაეშლება თვალწინ. ჩარდახებს ქვეშაც შეყუჟულა კვამლის სუნით გაანჩხლებული კოღო. ოფლში გაღვრილი ადამიანის კისერს ეტანება, ადამიანის სისხლი სწყურია, რადგან არაფერი ეგულება ადამიანის სისხლზე უფრო გემრიელი. იმ სისხლის ერთი წვეთისთვის სიკვდილიც კი ღირს. ადამიანის კისერს ეტანება, რადგან ადამიანის ხელები განუწყვეტლივ მოძრაობენ, კოღოსთვის არ სცალიათ, საქონელი უნდა ამოალაგონ ჯერ, მეზობელს უნდა დაასწრონ, მეტი ადგილი უნდა დაიკავონ დახლზე, და კოღოც, ნეტარებით, ვნებიანი, შეგუბული წუილით აკვდება იმ პატარა სიტიტვლეს, ქეჩოსა და საყელოს შორის დაუცველი რომ დარჩენია ადამიანს. განა დოსტაქარს შეუძლია, კისერი მოიფხანოს, როცა ორივე ხელი ადამიანის შიგანში აქვს ჩაყოფილი? ისინიც თავისებური დოსტაქრები

არიან და პირმოხსნილ ტომრებსა და ხურჯინებზე დახრილნი, ვერც კი გრძნობენ, როგორ ექაჩება, როგორ იწოვს ბასრი ნესტარი მათი სისხლის უძვირფასეს წვეთს. ალექსანდრეს და მართას არაფერი ესაქმებათ წნორში, არც ბაზარში და არც სადგურში, მაგრამ ფეხს ითრევენ, გათენებას ელოდებიან.

აქედან ხუთი კილომეტრია შინამდე, ერთ საათში შინ იქნებიან, ასე რომ, ასაჩქარებლად არა აქვთ საქმე, მით უფრო, რომ არავინ ელოდებათ, არავის უთქვამს, მაინცდამაინც ამა და ამ საათზე იყავით შინაო. „მამისეულ სახლს ვაჩვენებ და ისევ გამოვბრუნდებით. არაფერი არ გვინდა იმათი. მარტო შეხედოს. იცოდეს, როგორია“. — ფიქრობს ალექსანდრე.

იღლიაში დაგორგოლავებული ქურქი აქვს ამოჩრილი. მართა უკან მოსდევს, ჯერ ისევ ტყაპუჭი აცვია, მიწაზე დასთრევს ბოლოები, გარედან კი თოკი აქვს ქამრად შემოჭრილი. ბოშებს გვანან ორივენი, ბიძაცა და ძმისშვილიც, არაფერი ეტყობათ ოჯახში ნაცხოვრობისა. ალექსანდრე ზურგითაც ხედავს მართას და ეღიმება. მართას სახე არც უჩანს წესიერად, ტყაპუჭის გაბურძგნილი საყელოდან გაფაციცებული იმზირება, როგორც მელა სოროდან. ახლა აღარაფერი უჭირთ, ახლა საითაც არ უნდა წავიდნენ, ყველგან შინ იქნებიან. აქამდე იყვნენ ცოდონი, მაგრამ რაკი გამოაღწიეს, ყველასთან ვალმოხდილნი, ყველაფრისგან განთავისუფლებულნი, ხვალიდან ახალ ცხოვრებას შეუდგებიან. მაგრამ დღეიდანვე უნდა მიეჩვიოს მართა აქაურობას, აქაც შინ უნდა ჩათვალოს თავი, თავისიანებში, აქვე მოიშოროს უცხოობისა და ტყვეობის შეგრძნება და, რაც მთავარია, მზის ამოსვლისთანავე ირწმუნოს აქვე, უფლებამოსილი რომაა ამ მიწაზე, ამ ცის ქვეშ, თავიდანვე ნაგულისხმევი რომაა მისი ადგილი, მის წილსაც რომ გულისხმობდნენ ყოველი პურის ჩაკვრისას და ყოველი ქილა მაწვნის ჩადედებისას. აფუტფუტებული, გაოფლილი წყვდიადი სულიერივით ფშვინავს, ფაჩუნობს, უარესად იტბორება, სქელდება კაცისა და პირუტყვის ლანდებით და უცებ, წარმოდგენის დაწყების მაუწყებელი ნიშანივით, ღორის ჭყივილი აყრუებს იქაურობას. „შინა ვართ, გოგო, გადავრჩით“. — ამბობს ალექსანდრე გუნებაში და მხარს ზემოდან უყურებს მართას, თუმცა დარწმუნებულია, მთელი ტანითა გრძნობა, როგორ მოყვება იგი ფეხდაფეხ, მშვი-

დად, საქმიანად, როგორც კვიცი — დედა ცხენს. წყვდიადიდან თანდათან გამოდის თუთის გამხმარ ხეზე მიბმული სახედარი. დგას თავისთვის, გარინდული, როგორც სიმარტოვის ქანდაკება, თვალსაც არ ახამხამებს, თითქოს მისთვის არც ქარია და არც მტვერი, ოღონდ ცალ ფერდზე, საიდანაც ქარი უბერავს, ბალანი წამოშლია, აბურძგვნია. ალექსანდრე სახედართან მიდის, ათვალიერებს, თითქოს მართლა ქანდაკება იყოს, თითქოს აქამდე არ ენახოს სახედარი, კახეთში დაბადებულს. მართა მოშორებით დგას, ტყაპუჭში ჩაკარგული და მარტო დიდი, შუქიანი თვალები მოუჩანს. ბიძა-ძმისშვილი ახლა ერთმანეთს უყურებენ, უყურებენ და ბოლოს ორივეს ეღიმება. „შეგსვა?“ — ეკითხება ალექსანდრე. მართა თავს იქნევს უარის ნიშნად. ალექსანდრე ამოღლიავებულ ქურქს მიწაზე აგდებს, ერთადერთი მკლავი რომ გაინთავისუფლოს, და გაფშეკილ ქეჩოზე ეფერება სახედარს, მაგრამ სახედარს თავი განზე მიაქვს, ალექსანდრეს ხელს ერიდება, შეიძლება, აღიზიანებს კიდეც უცხო ადამიანის მოფერება, თანაგრძნობა, და თუ ასეა, მართალიცაა. განა ადამიანმა არ გამოაბა ამ გამხმარ ხეზე? თანაგრძნობა მხოლოდ იმისაგან შეიძლება მიიღო, ვისაც შენს უბედურებასთან არაფერი ესაქმება, ვისი ხელიც არ ურევია შენს უბედურებაში. ცხოველებშიც ასეა, ალბათ. მაგრამ ალექსანდრე ჯერ ვერ ხვდება ამას, ისევ ქეჩოზე ეტანება სახედარს.

სახედარი იძულებულია დაიძრას, ხეს შემოუაროს, რადგან თოკი არ უშვებს, საერთოდ რომ გაეცალოს აქაურობას. თოკი უფრო და უფრო მოკლდება და თავს მაღლა აწევინებს. „ნუ აწვალებ!“ — ეძახის მართა ალექსანდრეს. ალექსანდრეც ხედავს სახედარის დაკრეჭილ, ჩაყვითლებულ კბილებს და ხელი უნებურად უკან მიაქვს. კი არ აწვალებს, ეფერება, მაგრამ არც სახედარს ესმის მისი. ისევ იღიმება, მაგრამ ახლა დაბნეულად. შეწუხებულია, სახედარს დახრჩობა რომ ურჩევნია ამის მოფერებას. და ახლა, გაწმენდის უკანასკნელ დღეს, როცა ბოლო ეღება უაზრო წანწალს, სულის შემხუთავ გაურკვევლობას, გამომათაყვანებელ შიშსა და სიმარტოვეს, ვირის საქციელით გუნება უფუჭდება ალექსანდრეს. „ეგეთი მუტრუკია ეს სამგლე, ესა“. — ალექსანდრეს დასამშვიდებლად ამბობს ვირის პატრონი, ეს წუთია მიწიდან რომ ამომძვრალა უცებ, რადგან იქამდე

არც ალექსანდრეს შეუმჩნევია იგი და არც მართას — გეფერებიან, შე მართლა ვირო, შენა, — ეუბნება ვირს და გავაზე გამეტებით ურტყამს გაშლილ ხელს.

წინგამხტარ სახედარს უკანა ფეხები ეკეცება და კიდევ უფრო უმოკლდება თოკი. კბილები ისევ დაკრეჭილი აქვს, თითქოს ცას შესცინის თავის უილაჯობას, „უნდა წავიყვანოთ შენი ვირი, — ბრაზიანად ეუბნება ალექსანდრე ვირის პატრონს. — კი არ ვეფერები, ვიპარავ“. ვირი კისრით აკვრია გამხმარი თუთის ტანს. „წაიყვანე, რა. ოღონდ ეგ მომაშორეთ და... — ამბობს ვირის პატრონი. ხმაზე ეტყობა, რომ იღიმება, სიყვარულით ამბობს, ხუმრობასაა აყოლილი. — თუ ფული არა გაქვს, შენი ფეშქაში იყოს. მაინც ვერ შევაგნებინე ჩემი პატივისცემა. „თუ ფული მაქვს და არ მოგცემ, მაინც გამატან?“ — კრიჭაში უდგება ალექსანდრე და თვითონაც არ იცის რატომ იქცევა ასე, ან ვირმა რა დაუშავა, ან ვირის პატრონმა. „ეგ ხომ ყაჩაღობაა. — იცინის ვირის პატრონი. — არ მომცემ და ნუ მომცემ, ჩემს ვირს მოახმარე“. „იქნებ ყაჩაღი ვარ?!“ — არ ეშვება ალექსანდრე, იმის მაგივრად, რომ მართას მოკიდოს ხელი და გაეცალოს აქაურობას, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მართა უსმენს, თვითონაც არ იცის, რას, ლაპარაკობს, რატომ ეკინკლავება ამ გლეხს, რატომ ჰგონია, მართას თვალში დამცირდება, თუკი მიწაზე დაგდებულ ქურქს აიღებს და გამობრუნდება.

„სიკეთე უნდა მოგდევდეს“, — გველივით ჩასისინებს ვიღაცა ყურში და უარესად ბრაზდება. „იქნებ ყაჩაღი ვარ!!— უყვირის ვირის პატრონს. „ხაარ რო?“ — მშვიდად ეუბნება ვირის პატრონი და მომღიმარი, დაუეჭვებელი თვალებით შემოსცქერის, დიდხანს, სოფლურად დიდხანს. „ვარ თუ არა, მაგას მერე გაიგებ. შენ ის მითხარი, რას იზამდი, ჰა? რას იზამდი-მეთქი!“ — აცივდება ალექსანდრე. მართა მოშორებით დგას, მოთმინებით ელოდება ბიძას. „პურს გაჭმევდი“.

— პასუხობს ვირის პატრონი ალექსანდრეს. „ყაჩაღი რომ არ ვიყო, ისე არ მაჭმევდი?“ — არ ეშვება ალექსანდრე, რადგან უფრო და უფრო ეუფლება მის ზურგს უკან გაჩერებული, ტყაპუჭში ჩაკარგული, ტყაპუჭის გაბურძგნული საყელოდან მელიასავით გამომზირალი გოგოს წინ თავის გამოჩენის სურვილი, სულე-

ლური, გულუბრყვილო, სასაცილოც, მაგრამ ძნელად მოსარევი, ძნელად მოსაშორებელი, როგორც მასპინძლის თავხედი ბავშვი, იძულებული რომ ხარ მოითმინო, აჰყვე კიდეც, რაკი თავიდანვე ვერ დაიჭირე თავი, დიდობა ვერ აგრძნობინე ბავშვს, შენივე მეტიჩრობის გამო, შენი კეთილშობილება და უბრალოება რომ გაჰკვირვებოდათ ბავშვის პატრონებს. „ყაჩაღი რომ არ ვიყო, ისე არ მაჭმევდი?“ — იმეორებს ალექსანდრე. „ისეც გაჭმევდი“. — უღიმის ვირის პატრონი. „ისე გამოდის, შენთვის სულერთი ყოფილა, ყაჩაღი ვარ თუ არა“, — ეღიმება ალექსანდრესაც, მაგრამ ღვარძლიანად, ჩიხში მომწყვდეულივით. „მა რა ჩემი საქმეა, ზოგი ყაჩაღი იქნება, ზოგი კი — ჩემისთანა რეგვენი“, — ამბობს ვირის პატრონი, მაგრამ ეტყობა, აღარაა ხუმრობის გუნებაზე, ესეც საკმარისი იყო, სალაყბოდ კი არ გამოსულა ბაზარში, იმასაც თავისი საქმე აქვს, საქონელი დახლზე დაუტოვებია, გლეხურმა გუმანმა წამოიყვანა ვირის დასახედად და კიდევ კარგი, წამოვიდა, თორემ ამ ცალხელა ახმახს იქნება ასე დაეტოვებინა ვირი, სანახევროდ ჩამომხრჩვალი.

ახლა თოკს დაუგრძელებს და ისევ საქონელს მიხედავს. საცაა დაიძრება მუშტარი. დილის მუშტარმა თუ არ გაუცალა ხელი, მერე, ვინ იცის, საღამომდეც მოუწიოს ყურყუტი. ცალხელა ახმახი აღარც კი ახსოვს, მუშტარზე ფიქრობს უკვე და თან სახედარს ფერდზე ხელით აწვება, თუთის ხეს რომ შემოატაროს, თოკი მოუბოშოს და საიმედოდ დააყენოს. ცუდია თუ კარგია, ესაა მისი ამხანაგი, კიდევ დიდი გზა აქვთ ერთად გასავლელი, ამ ცალხელა ახმახს კი, ვინ იცის, როდისღა შეხვდება მეორედ, ანდა შეხვდება თუ არა საერთოდ. ამიტომ, ცოტა უკვირს კიდეც, როცა ეს ცალხელა ახმახი ეკითხება, შენ თუ იქნებოდი ყაჩაღიო. დაბნეული უყურებს, აღარ იღიმება. მერე მათი საუბარი ახსენდება. „უჩემოდ რა, ცოტანი არიან. — ამბობს უხალისოდ, ძალისძალათი, ძველი, მუდმივი საფიქრალიდან გამოუსვლელად. — იმ დღესაც მოკლეს ერთი, ადგილზე გაათავეს. ბაზარში იყო გამოსული, შენსავით. — თვალით ზომავს ალექსანდრეს, თითქოს პირველად ახლა შეამჩნია. ღრმა, მოწყენილი თვალები აქვს. საკმარისია ერთხელ შეხედოს კაცს, საკუთარი და ურყევი აზრი რომ შეექმნას იმ კაცზე. — ეეხ, ახლა აღარც ყაჩაღებსა აქვთ ფასი. ყაჩაღიც საცოდავია“.

ვირმა ერთხელაც შემოუარა თუთის ხეს და ისევ იქ გაჩერდა, სადაც იდგა, სანამ ალექსანდრე მოფერებას დაუპირებდა.

მობოშებული თოკი მიწაზე ეთრევა. „ეგრე დადექ“, — ეუბნება პატრონი და ახლა სიყვარულით, მეგობრულად უსვამს ხელს გავაზე. მერე, ისე რომ არც ემშვიდობება თავის ახალ ნაცნობს, დახლებისაკენ მიდის, თითქოს ერთი ოჯახის წევრები არიან და მეორე წუთას ისევ ნახავენ ერთმანეთს. ალექსანდრე მართას უყურებს. მართა მშვიდად დგას, ვერ შეატყობ, ასე დგომა მოსწონს, თუ ერთი სული აქვს, როდის დაიძვრება. ბიძა-ძმისშვილი ერთდროულად იღიმება. „წამო ვნახოთ, რასა ყიდის“ — ამბობს ალექსანდრე. ახლა დახლებიც ჩანს. ლურჯი, ბუსუსიანი ჰაერი ჩამდგარა დახლებს შორის. ველური ქალის მძივებივით მიუკიდიათ დახლის ბოძებზე ძაფზე ასხმული ლეღვისა თუ ატმის ჩირი. კახური შემოდგომის ჩვეულებრივი დილაა, თუმცა ჯერ დილა არც ეთქმის, დაძრული წყვდიადი ერთ ადგილას ბრუნავს, თითქოს სადინარისთვის მიუგნია და ნელა, შეუმჩნევლად იწრიტება ქვესკნელში, ბადაგივით გაბანტებული, გაწეპილი, მუმლისა და კოღოს ამშლელი. ბიძასა და ძმისშვილს თითო ქილა მაწონი დაუჭერია და ქილიდანვე ხვრეპენ, დახლთან გაჩერებულნი.

ზეზეულად საუზმობენ გრილი და მსუყე მაწვნით. „ვისი ხარ, გენა?“ — ეკითხება მაწვნის გამყიდველი დედაბერი მართას. მართა ცალი ხელით ტყაპუჭზე ჩამოწუწულ მაწონს იწმენდავს და ბიძას უყურებს. „ჩემია. ჩვენია“. — ამბობს ბიძამისი. „გიყვარს მაწონი?“ — არ ეშვება დედაბერი მართას. „არ ვიცი“.

— სხარტად პასუხობს მართა. „რათა, გოგო, პატარა ხარ?“ უცებ უყვარდება ბინძურ ტყაპუჭში ჩაკარგული ბავშვი დედაბერს. ვინ იცის, თავისი შვილიშვილები უდგას თვალწინ, დაძინებული რომ დატოვა ლოგინში და ახლა ამ უცხო ბავშვმა გაახსენა, მოანატრა ისინი. „პირველად ჭამს“, — ეუბნება ალექსანდრე დედაბერს. „რათა, შვილო? უი, მომიკვდეს თავი“. — გულწრფელად წუნს დედაბერი.

ახლა უკვე სახლებიც ჩანს, ერთმანეთისაგან პატარა ბოსტნებითა და ასევე პატარა ხეხილის ბაღებით გამოყოფილნი.

თენდება. გათენდა. წნორი ბზინავს, კრიალებს, სველი და ხასხასა, როგორც ახლახან გაპარული ტბის ფსკერი. „აჩუ, ვი-რო“, — ისმის დღის სინათლით გათამამებული და გახალისებु-ლი კაცის ხმა ორღობეში რწევა-რწევით მოიზლაზნება შავი დი-ლიჟანსი. ბაზრიდან გამოსული ალექსანდრე და მართა დილი-ჟანსს უყურებენ. მართას ტყაპუჭიც ალექსანდრეს ამოუდია იღ-ლიაში. მართა უტყაპუჭოდ უფრო პატარა, უფრო სუსტი და გამ-ხდარი ჩანს. ძვლიანსა და ფერმკრთალ მხრებზე ჭორფლი მოს-დებია. კისერზე ლეღვის ჩირის აცმა ჰკიდია, ლამის მუხლებამ-დე უწევს მისი ბოლო. ერთ-ერთი სახლის აივანზე შავი, წარწე-რიანი ნაჭერი გადმოუკიდიათ, მაგრამ იქიდან, სადაც ბიძა-ძმისშვილი დგას, პირველი პწკარი იკითხება მხოლოდ, პირვე-ლი სამი სიტყვა. „დავ-ტი-რით — უდ-რო-ოთ — და-ღუ-პულ... — მარცვალ-მარცვალ კითხულობს მართა.

დანარჩენ სიტყვებს მზის სხივი დასცემიათ და ბრჭყვიალა სინათლეში გათქვეფილან. „..ნიკო მაკაბელს“. — გუნებაში აგ-რძელებს მართას ამოკითხულ სიტყვებს ალექსანდრე. დილი-ჟანსის დანატოვარ მტვერში ბატები მოსუნსულებენ. დილიჟან-სი სადგურის წინ ჩერდება, მაგრამ მართა და ალექსანდრე ისევ იმ მგლოვიარე სახლის აივანს მისჩერებიან, სადაც წარწერიანი ძაძის გვერდით ახლადგავლებული ჩურჩხელებიც ჰკიდია. სიკ-ვდილი და სიცოცხლე კრიჭაში ჩასდგომია ერთმანეთს, არც ერთი უთმობს და არც მეორე, მაგრამ, ღმერთმა იცის, რამდენი უდროოდ დაღუპულის გვარი და სახელი იმალება ბრჭყვიალა სინათლეში. ბოლოებით დამაგრებული ძაძა ქარით იბერება, ფეხმძიმე ქალის კაბასავით. ალექსანდრემ იცის, სულ სხვა ვი-ღაცის სახელი რომ წერია ამ ძაძაზე, მაგრამ ამას რა მნიშვნე-ლობა აქვს, მას უნდა, რომ ეს უცხო სახლიც ნიკოს გლოვობ-დეს, მის ძმას, მისთვის ყველაზე უდროოდ დაღუპულ ადამიანს. „ნიკო აღარ არის. ნიკო არასოდეს აღარ იქნება“, — გაოგნებუ-ლი ფიქრობს ალექსანდრე, თითქოს — ძმის ამბავი ახლა, ამ წუ-თას შეიტყო, კი არ შეიტყო, ახლა იგრძნო პირველად, ძმა რომ აღარ ჰყავს. იქ, უცხო ცის ქვეშ, სადაც ნიკოსთან ერთად ერთი წუთიც არ გაუტარებია, სადაც არაფერი ახსენებდა ნიკოს, ძნე-ლი იყო ამის შეგრძნება, და არა მარტო შეგრძნება, დაჯერებაც, რადგან იმედის ნატამალი მაინც არსებობდა, რომ სხვა ყველა-

ფერთან ერთად, ესეც უჟმური, ესეც საზარელი სიზმარი აღმოჩ-
ნდებოდა ბოლოს. საფლავსაც არ შეეძლო ამ იმედის გაქარ-
წყლება, რადგან მას არ უნახავს, ნამდვილად ნიკო რომ ჩაასვე-
ნეს ნამდვილად იმ საფლავში. არც ის ქალი უნახავს არასოდეს,
რომელსაც ნიკოს ცოლი ერქვა და ნიკოს გვერდით განისვენებ-
და. სამაგიეროდ, მართამ ზუსტად ანეტასავით შეიჭმუხნა პატა-
რა ცხვირი მის დანახვაზე და ერთბაშად იმდენი რამე გაახსენა,
ვითომ დავიწყებული, ვითომ გულიდან ამორეცხილი, რომ ნი-
კოს სიკვდილის დამადასტურებელი ყველა საბუთი გადასძლია,
გააქარწყლა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებლობისა
და სიმტკიცის იერი დაუკარგა. რადგან ეს პატარა არსება, რო-
მელიც ზუსტად ანეტასავით იჭმუხნიდა ცხვირს, მხოლოდ და
მხოლოდ ნიკოს არსებობას, ნიკოს ნამდვილობას ადასტურებ-
და, თვალნათელს ხდიდა სისხლის მარადიულობას, მსგავსის
შექმნისა თუ ერთი და იმავე სახის განმეორების ჯადოსნურ უნა-
რს სისხლისას; მაგრამ აქ, მშობლიურ ცის ქვეშ, ჭირგადავლი-
ლი სახლის აივანზე გამოკიდულმა ძაძის ნაჭერმა, რომელიც
ვიღაცის უდროოდ დაღუპვას აუწყებდა ქვეყანას, ერთწლიანი
სიზმრიდან ერთბაშად გამოიყვანა ალექსანდრე, ერთბაშად აუ-
ხილა თვალი ძმის სიკვდილის დასანახად და აიძულა, ერწმუნა
იგი, გამყინავი სიცხადით, უმწეო სინანულით და უიმედოდ, უი-
მედოდ, უიმედოდ, როგორც ოდესღაც, მონასტრის ვიწრო სარ-
კმლიან სენაკში, მხრჩოლავი ლამპის სუსტი შუქით აწრიალე-
ბულ წყვდიადში, ტკივილებისაგან, ბოდვისაგან და საკუთარი,
მაგრამ უკვე მკვდარი ხორცისა და სისხლის აუტანელი სუნისა-
გან მისავათებულმა, მკლავის დაკარგვა ირწმუნა.

„აღარ არის.. არასოდეს აღარ იქნება“, — ფიქრობს ალექ-
სანდრე და თვალი ვერ მოუწყვეტია ძაძისათვის. ეს პატარა სი-
შავე, ძალაუნებურად იზიდავს თვალს თავისი მოულოდნელო-
ბითა და შეუსაბამობით დილის სიმშვიდესა და სისუფთავესთან,
როგორც სისხლის წვეთი ქათქათა აბაზანაში. რა მნიშვნელობა
აქვს, ვისი სახელი წერია ძაძაზე? კარგია, მზე წარწერის ამო-
კითხვის საშუალებას რომ არ იძლევა (ვინც გინდა, ის იგულის-
ხმე), თითქოს ხელს აფარებს ცხოვრებიდან ამოსაშლელი კა-
ცის გვარს, რადგან უდროოდ, გაუთვალისწინებლად დაღუპუ-
ლა იგი და მის სიკვდილთან ბუნებას არაფერი ესაქმება. ბრმა

შემთხვევამ, ანდა მოყვასის ღვარძლმა და დაუნდობლობამ იმ-სხვერპლა იგი და არა ბუნებამ. კაცის კანონმა დაუშვა მისი სიკ-ვდილი და არა ბუნებისამ, რადგან ბუნების კანონი გაცილებით ლმობიერია, ვიდრე კაცისა. ბუნების კანონი სიკვდილთან შეჩ-ვევასაც გულისხმობს, თანდათანობით კლავს ადამიანს, ხოლო კაცისა — ერთბაშად, გაუფრთხილებლად, მოუმზადებლად. კი არ კლავს — ღუპავს.

„დავ-ტი—რით უდ-დრო—ოდ და—ღუ-პულ... — მარცვალ-მარ-ცვალ კითხულობს მართა. — ვის? რას?“ — ეკითხება ბიძას. ეს პირველი წარწერაა, რომელსაც იგი სამშობლოში კითხულობს, ისიც გაწყვეტილი, დაუმთავრებელი, მზის ბრჭყვიალა სხივით გადაშლილი, თითქოს განგებ, შეგნებულად, უფრო რომ დააინ-ტერესოს, უარესად რომ ააფორიაქოს ბავშვის გონება.

„ნიკო მაკაბელს, ანეტა მაკაბელს, ალექსანდრე მაკაბელს, თედო სხირელს, ევგენი მიქაძეს ლადო ტუღუშს.. მაროსაც.

— პასუხობს ალექსანდრე გუნებაში. — რამდენი ვყოფილ-ვართ?!“ — უკვირს თვითონვე. ეს რაც მან იცის, მაგრამ რაც არ იცის? რა ძაძა დაიტევს ყველა უდროოდ დაღუპულის სახელს? მაშინ ძაძა კი არ იქნება, არამედ ერთი უსაშველოდ გაწელილი გზა, შავი გზა, ყველა სახლზე, ყველა სოფელზე, ყველა ქალაქ-სა და ყველა ქვეყანაზე გამავალი გზა, აცაბაცად ნაწერი ასოე-ბით გაძიძგული, როგორც ლაშქრით, ოღონდ უომრად დამარ-ცხებული, ნაღალატევი და წინასწარ განწირული ლაშქრით. სიკვდილის გზა კი არ იქნება იგი, რომელიც ადრე თუ გვიან ყველამ უნდა გაიაროს, არამედ — დაღუპვისა, რომელიც მხო-ლოდ იმისათვისაა განკუთვნილი, ვისაც ბედმა უმუხთლა, ანდა ვინც ბედს აუჯანყდა. „ჩურჩხელა რომ ვერ გაგასინჯე, — ამბობს ალექსანდრე ხმამაღლა, მართას გასაგონად.

ალბათ იმიტომ, რომ ძაძის გვერდით ჩურჩხელები ჰკიდია და უნდა ჩურჩხელებზე გადაატანინოს მართას მზერა, სიკ-ვდილზე ფიქრი ამოაგდებინოს თავიდან, თავიდანვე არ დააფ-რთხოს, არ შეაშინოს აქაურობამ, არ ათქმევინოს, რას მოვდი-ოდი, რითია კატორღაზე უკეთესიო. — ნახე, რამხელები გაუვ-ლიათ, მთელ-მთელი ნიგვზისაა. აღათიამაც ეგეთი ჩურჩხელა

იცოდა, სანამ ნიგოზს ძაფზე აასხამდა, ნახევარს მუჭში გამოვ-ჭამდით ხოლმე, ჩურჩხელაზე უფრო ის გვიხაროდა, აღათია რომ ბრაზობდა. თათარასაც ცხელ-ცხელს ვსვლეპდით. სასაზე ბებერები გვიჩნდებოდა“.

— ვიცი. — ამბობს მართა. — მამამ მიამბო.

მზე ამოდის, ღონიერდება და წყვდიადის ნარჩენებთან ერთად ამ სამგლოვიარო ძაძასაც ნთქავს, სინათლის ბრჭყვიალა მტვერში ხვევს. მზე და სიკვდილი ერთ ტაფაზე ვერ თავსდებიან. ძაძა ბუბუნებს, იბრძვის, თეთრი წარწერა ფესვიანად მოგლეჯილი წყალმცენარის ღეროსავით იბრიცება მის დატალღულ ზედაპირზე. ალექსანდრე ახლა მზეს უყურებს და თბილი ჰაერი სახეზე ეთათუნება, უნებურად თვალებს ახუჭვინებს და აღიმებს. მართას ვერ ხედავს, მაგრამ დარწმუნებულია, მართაც თვალდახუჭული და ანეტასავით ცხვირშეჭმუხნული დგას მზის პირისპირ. რატომ ხუჭავს ადამიანი თვალებს, როცა რამე აწუხებს ანდა სიამოვნებს? იქნებ იმიტომ, რომ წუთით მაინც გამოეყოს სამყაროს, მარტო დარჩეს თავის წუხილთან თუ სიამოვნებასთან ერთად, რომელსაც მაინც ვერ გაუზიარებს ვერავის. ესეც ასე. გათენდა ერთწლიანი სიზმრის უკანასკნელი დღეც. საიდუმლო, ათასნაირი ეჭვის აღმძვრელი ხმები ჩაწყნარდა, დღის დუმილში ჩაიკარგა. სიზმარი დამთავრდა და ალექსანდრემ იმ სიზმრიდან ნიკოს სიკვდილი და მართას სიცოცხლე გამოიტანა, ტკივილი და აზრი, რომელმაც მისი სიცოცხლე უნდა წარმართონ დღეიდან, აუცილებელი უნდა გახადონ მისი არსებობა, ცხადი და უბრალო, მაგრამ ბევრის მთქმელი, როგორც აივანზე გადმოკიდებული ძაძა. ყურძნის გამოკენკილ მტევანს ბეღურები მისევიან. ღობეზე გადაფენილ ფარდაგს წყალი წურწურით გასდის. შეიძლება, ამ ფარდაგზე კუბო იდგა, უდროოდ დაღუპულის კუბო, მაგრამ მზე და წყალი იოლად ჩამოაშორებს სიკვდილის სუნსა და ოხშივარს და თავისუფლად შეიძლება, ზედ ბავშვებმა იკოტრიალონ.

ალექსანდრეს მზის სიმხურვალისგან სახის კანი ეჭმუჭნება, ტანში კი, სასიამოვნო სიგრილე ჩასდგომია. ეს, ალბათ, იმ მაწვნის ბრალია, ბაზარში რომ შეჭამა წეღან. „ნელა, ბიჭო, სად გეჩქარება“. ეუბნებოდა მაწვნის გამყიდველი დედაბერი ალექ-

სანდრეს და ალექსანდრეს რატომღაც ის დღე გაახსენდა, გომურში ქადა რომ აჭამა ბებიამ, მაგრამ ეს გახსენება კი არ ასევდიანებდა, უხაროდა, მართასთან თავი მოსწონდა, ასე უბრალოდ, ასე დედაშვილურად რომ ეპყრობოდა ეს უცნობი, ნიკაპდანაოჭებული დედაბერი, იმის მაგივრად, რომ დაეწყევლა, გადაფარებოდა მაწვნის ქილებს, ემანდ მართლა ყაჩაღები არ იყვნენო, სევდითა და სიყვარულით სავსე თვალებით შემოსცქეროდა მაწვნის მხვრეპელ ბიძა-ძმისშვილს, თითქოს მისიანები, მისი ნაშიერები იყვნენ. ამგვარი უბრალო და კეთილი დედაბრების იმედით ჩამოიყვანა მართა ალექსანდრემ კატორღიდან, კონტრაბანდასავით შემოაპარა გადარჩენილი სიცოცხლე სამშობლოში, მაგრამ ახლა, როცა ხუთი კილომეტრიღა აშორებს სახლს, რომელიც უნახავად უყვარს მართას და რომლისკენაც გამოზამთრებული მერცხალივით მოისწრაფის, პირველად თავის სიცოცხლეში, აქამდე განუცდელი ტკივილით, სინანულითა და სიბრაზით გრძნობს, რომ ის სახლი სინამდვილეში აღარ არსებობს, რომ იმ სახლის ბინადრების უმრავლესობა უკვე მკვდარია, ხოლო ვინც გადარჩა, ისეთი აღარაა, როგორადაც მართას წარმოუდგენია. სინამდვილეში მართა უცხო სახლისკენ მიჰყავს ალექსანდრეს, უცხო ჭერქვეშ იტყუებს, როგორც საკენკით გაბრიყვებულ ჩიტს კაკანათში, რადგან იქ, უცხო ცის ქვეშ, აზრადაც არ მოსვლია, ბოროტებას რომ სჩადიოდა, როცა არა მარტო სახლის არსებობას უდასტურებდა მართას, არამედ იმ სახლში გამეფებულ სიმშვიდეს, სილამაზესა და სიამტკბილობასაც, რაც მართამ მამისგან იცოდა და რაც იმ წუთას ალექსანდრესაც სჯეროდა, იმდენად შორს იყო აქედან და იმდენად აუცილებელი იყო მისთვის სადღაც, ცხრა მთის იქით სწორედ ამგვარი სახლის არსებობა. ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იქ, რა მძიმე იქნებოდა მართასთვის მამისაგან დანატოვარი ოცნების გაწბილება, რადგან თვითონაც სიამოვნებით ნებდებოდა ამ ოცნებას, უკიდეგანო სივრცეში ჩაკარგული, და ეტყობა, ალღოთი გრძნობდა, მხოლოდ ამ ოცნების მეშვეობით რომ გამოაღწევდა იქიდან. დარიალს რომ გამოცდნენ, ფიქრი მერე დაიწყო, მერე დაინახა ძმა, მერე მიხვდა მის სიდიადესა და სიძლიერეს, როცა უკვე სამშვიდობოს გამოვიდა და როცა უკვე ისღა იყო მართას პატრონი. იმასაც მიხვდა, რა პატარა და სუსტი იყო თვითონ ნიკოსთან შედარებით, როგორი გულღრძო

და თავკერძა. ეს მთელი სიცოცხლე მკლავს მისტიროდა, ვერაფრით ვერ მოინელა მკლავის დაკარგვა და ვერც-კი შეამჩნია, ადამიანობაც რომ გადააყოლა მკლავს, როგორც ნაბან წყალს ბავშვი, რადგან ძმის შეშურდა, ძმას არ აპატია გადარჩენა, როცა მისი ძმა, თავად დაკარგული, უცხო ცის ქვეშ მომაკვდავი, მისი ადამიანობის გადარჩენაზე ფიქრობდა, უკანასკნელ წუთამდე სწამდა და ეამაყებოდა იგი, ნდობასა და სიყვარულს უზრდიდა მართას სახით, თუმცა უნდობლობასა და სიძულვილს უფრო იმსახურებდა, მაგრამ მისი ძმა შურისძიებაზე კი არ ფიქრობდა, იმ ადამიანობის გამოსაბრუნებლად და გამოსაფხიზლებლად იღვწოდა, ბავშვობაშივე საღორის ასაფეთქებლად გამიზნული დენთის ხმამ რომ დაარეტიანა და დააფრთხო მისი ძმის არსებაში. „ჩვენ ვიცით, რისთვის ვკვდებით და ჩვენი სიკვდილი ბევრის სიცოცხლეს სჯობსო“, — უთხრეს ნიკოს ამხანაგებმა და ახლა თვითონაც იცოდა, ნიკოს, რომელმაც ოდესღაც შიშისა და მღელვარებისაგან ასანთიც ვერ აანთო, რათა ერთი კოლოფი, ისიც სანახევროდ დანესტიანებული დენთი აეფეთქებინა, შეგნებულად გაეწირა სიცოცხლე, მაგრამ იმიტომ კი არა, ერთით ნაკლები გენერალი რომ ჰყოლოდა იმპერიას, არამედ იმიტომ, მის ძმას თვალი რომ ახელოდა საკუთარი სიპატარავისა და სიბეცის დასანახავად. სირცხვილიც იყო ბავშვობაში დაკარგულ მკლავზე წუწუნი, როცა საერთოდ ბავშვობა, ოცნება და სილამაზე იყო გადასარჩენი, როცა ქვეყანა იყო დასახიჩრებული, ქვეყანას ჰქონდა კიდურები წაგლეჯილი და ზეზეულად ლპებოდა. უმწეობისგან, მონობისგან, გულში ჩაკლული მრისხანებისგან; როცა მღვდლის ანაფორასა და მასწავლებლის სერთუკში შემალული თვითმპყრობელობა ათასობით ბავშვს აჩოქებდა სიმინდის მარცვლებზე, მხოლოდ და მხოლოდ, მშობლიურ ენაზე დალაპარაკებისთვის და როცა თავისუფლების მეხოტბე პოეტს ლექსის წერისას ახლაც უცახცახებდა ბავშვობაში სახაზავით დასჯილი და გალახული ხელი. ალექსანდრემ თავისი სამშობლოს ამბები ციმბირში გაიგო და, შეიძლება, ამიტომაც აჰყვა მართას ოცნებაში, იგრძნო, მიხვდა, დაინახა, ოცნება რომ უნარჩუნებდა კატორღაში დაბადებულ ბავშვს მერცხლისა და ყვავილის სიყვარულს. ამ სიყვარულში შეეფუთნათ მშობლებს ეს პატარა და სუსტი არსება და არც ალექსანდრეს ჰქონდა უფლება, ანეტასავით, შემოეხია მის-

თვის სიყვარულის ძაფით ნაქსოვი კაბა, რომელსაც უნდა დაეფარა და დაეცვა მისი სულის სიწმინდე და სიცხოველე. ალექსანდრე იმასაც მიხვდა, მისი ძმა შეგნებულად რომ მოიქცა ასე, მარტო კარგი რომ გამოუჩინა შვილს და ცუდი დაუმალა, რადგან თავისუფლად შეიძლებოდა, ისეც მომხდარიყო, რომ მართას არასოდეს არ ენახა მშობლიური სახლი. ამიტომ, მხოლოდ სიკეთის, სიწმინდისა და სიყვარულის სიმბოლოდ უნდა დარჩენილიყო ის. მართას შეგნებაში და მთელი სიცოცხლე იმის მსგავსი სახლის შექმნაზე უნდა ეზრუნა. მამა კი არ ატყუებდა, რწმენას უნერგავდა, რწმენასა და სიამაყის გრძნობას, ურომლისოდაც ადამიანი აღარაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან და სულ ერთია, სად იქნება იგი, შემოღობილში თუ იალაღზე. უცხო ცის ქვეშ ამგვარ ოცნებას არა მარტო გამართლება ჰქონდა, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობაც, არა მარტო არსებობის, არამედ სულის გადასარჩენადაც, მაგრამ როგორც კი მშობლიურ ცის ქვეშ შემოაღწიეს, მათი გადამრჩენელი ოცნება აღმოჩნდა საფრთხეში. ყოველ წუთას შეიძლებოდა, საპნის ბუშტივით გამსკდარიყო იგი და შიშინით შეშრობოდა გაწბილებული ბავშვის სახეს. მაშინ, სიკეთის ნაცვლად ისევ ბოროტება გამოუვიდოდა ალექსანდრეს, რადგან გადარჩენის ნაცვლად უარესად დაღუპავდა ბავშვს, რომელსაც კატორღის გამომპალ ჭერქვეშ ფრთხიალი ერჩია, ოცნების ფრთაგამობმულს, ყვავილნარად და მერცხლის საბუდრად წარმოდგენილ სახლში შესვლას, ოცნების გვამიანად. დარიალს მერე შინისაკენ მომავალი გზა თვალსა და ხელს შუა ილეოდა, ხან ცხენზე შემოისვამდნენ მართას და ხან ურმის კოფოზე, და ალექსანდრეს იმის თქმაც ვერ მოეხერხებინა, რომ ანაც, აღათიაც და ბაბუცაც, რომელსაც ვითომ „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ამბები უნდა წაეკითხა შვილიშვილისთვის, დიდიხნის მკვდრები იყვნენ და მათ მაგივრად ბოხხმიანი, კანფეტის განუწყვეტელი წუწვნისაგან ტუჩებაპრიალებული ქალი დახვდებოდათ შინ, რომლის ასავალ-დასავალისა მართაზე მეტი არც ალექსანდრემ იცოდა. ერთადერთი, ვისაც მართაც იცნობდა და ვინც, შეიძლება, ადგილზე დახვედროდათ, ანეტა იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორადაც მართას ჰყავდა წარმოდგენილი, არამედ შიშისაგან დამბლადაცემული, შეგინებული, დამარცხებული, ფარხმალდაყრილი და სამუდამოდ შერიგებული ბედს, რო-

მელმაც პირველივე სითამამისთვის თოჯინად აქცია იგი, ცაცხვის ძირას დაასკუპა და ასკლიპიოდოტასავით მასაც მარადიული ღიმილი აღუბეჭდა სახეზე, რის გულისთვისაც ითმენენ და პატიობენ თოჯინებს ყრუმუნჯობასა და უძრაობას. ის კი არა, ასკლიპიოდოტასაც ვერ იხილავდა მართა, მაგრამ ჯერ ალექსანდრემაც არ იცოდა, ასკლიპიოდოტა აღათიასთან ერთად რომ განისვენებდა მიწაში, გომურის უკან.

ალექსანდრემ, რაც იცოდა, იმასაც ვერ ეუბნებოდა მართას, რადგან იმდენად ცოცხლები იყვნენ მისიანები ამ მეოცნებე ბავშვის წარმოდგენაში, მართლაც დიდი ბოროტება იქნებოდა, ხელის ერთი მოსმით ხელმეორედ დაეხოცა ისინი. ამიტომ იჭერდა ენაზე კბილს, მაგრამ ღამღამობით, როცა კეთილი მასპინძელი, ყოველთვის სხვადასხვა, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად ყურადღებიანი, ღამე ნებისას უსურვებდა სასტუმრო ლოგინში მოსვენებულ ბიძა-ძმისშვილს, როცა დაღლილობისგან ყინწმოწყვეტილი მართას მშვიდი ფშვინვით ივსებოდა ჩაბნელებული ოთახი, ალექსანდრეს თავზარი ეცემოდა იმ წუთის წარმოდგენაზე, როცა მართას თვალებში გაწბილება და სინანული აღიბეჭდებოდა და საყვედურით შეხედავდა ბიძას, რომელმაც არც ის დაზოგა და არც მისი ოცნება. ეს არ უნდა მომხდარიყო, ამაში მაინც უნდა მოხმარებოდა ღმერთი ალექსანდრეს, მართას გული რომ არ დასწყვეტოდა კატორღაზე, რომელიც მშობლიური სახლის გამო მიატოვებინეს.

მართას მშობლიურ სახლში ნასახი მაინც უნდა ენახა იმ სიყვარულისა, რაც მამამისმა ჩაუნერგა. ეს კი, მხოლოდ ანეტას შეეძლო. ერთხელ კიდევ უნდა ეპატიებინა ანეტას ძმებისთვის და ერთხელ კიდევ უნდა შესწირვოდა ძმებს, როგორმე უნდა დაეძლია შიშიც, უძლურობაც და ის გამოგებებოდა მართას და არა ვიღაც ბოხხმიანი დედაკაცი, იმას გადმოეკიდა მაკაბელების სახლის აივანზე სამგლოვიარო ძაძა და იმას ეთქვა: დავტირი უდროოდ დაღუპულ ნიკო მაკაბელსაო, რადგან მხოლოდ ანეტას შეუძლია ამის თქმა, მხოლოდ ანეტას, ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც, ვალდებულიცაა, რადგან ორი უბედური კაცის დად გააჩინა ღმერთმა და დედის მუცლიდან გამოყვა ამ ორი უბედური კაცის სიყვარული, რომლის მსგავსიც არაფერი მოუგონია ღმერთს, ვერავითარი გრძნობა ვერ დაუდგება

გვერდით ვერც სიძლიერითა და ვერც სისასტიკით ვალდებულებად ქცეულ სიყვარულს, რომელიც ჩანასახთან ერთად იზრდება და იქამდე გახვევს თავზე თავის ძალაუფლებას, სანამ თვალი აგეხილება, სანამ გონება გაგეხსნება და სანამ არჩევანის უნარი მოგეცემა. ღმერთმა ნუ ქნას, შეუფერებელი რომ აღმოჩნდეს ის გრძნობა შენი არსებისთვის და ერთხელ მაინც რომ მიიქციოს შენი ყურადღება, რადგან მისი ძირფესვიანად მოშორება ანდა გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია, და ვინც ამას შეეცდება, ისევე ტყუილუბრალოდ დაიტანჯება, როგორც თანდაყოლილი კუზის ანდა უშნო ცხვირის მოშორების მოსურნე. დედმამიშვილის სიყვარული ღვთის წყალობაა, მაგრამ, შეიძლება, ღვთის რისხვად იქცეს, თუკი ალექსანდრესავით თავიდანვე ვერ აუღებ ალღოს ამ სიყვარულის მადლს.

ამ სიყვარულის მიჩქმალვა დანაშაულის გრძნობას კი გიქარწყლებს, მაგრამ სანაცვლოდ არარაობის შეგრძნებას გიჩენს.

არა, დანაშაულის შეგრძნებას კი არ გიქარწყლებს, პირიქით, იმდენად გიმძაფრებს, რომ ამ გრძნობასთან არარაობად ჩანხარ თავად. ალექსანდრეს შეუძლია ამის თქმა, დაეჯერება კიდეც, რადგან საკუთარ თავზე გამოუცდია, საკუთარი თვალით იხილა საკუთარი არარაობა, ამ ერთი წლის წინათ, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას, როცა მათი ოჯახისთვის სრულიად უცხო ადამიანმა ცხვირიდან სისხლი ადინა ძმის დავიწყებისათვის, დის გაწირვისთვის, ხოლო მისმა დამ ისევ ალექსანდრე შეიცოდა, წუხილისგან უარესად გაუფართოვდა შიშნაჭამი თვალები და იმის თვალებში დაინახა ალექსანდრემ, ცხვირ-პირი სისხლში რომ ჰქონდა ამოსვრილი. ნიკოსავით უდროოდ დაიღუპება ალექსანდრე თუ პაპასავით ას წელს გადააცილებს, ეს გრძნობა ყველაზე ძლიერი, ყველაზე მტანჯველი და ყველაზე წმინდა გრძნობა იქნება მისთვის. ისე გამოდიოდა, თითქოს მისი და-ძმა შეგნებულად იგდებდა თავს უბედურებაში, ალექსანდრესთვის რომ ეშველათ, ალექსანდრე რომ გადარჩენილიყო გაპირუტყვებას და ერთის დამბლადაცემულ, შალით შეფუთვნილ ფეხებთან და მეორის თოვლით დაფარულ სამარესთან ხელახლა ეპოვნა დიდიხნის წინათ დაკარგული, დიდიხნის წინათ უარყოფილი სიყვარული, ანეტას თვალები-

ვით გაოცებული და ნიკოს სამარის თოვლივით სპეტაკი. მაგრამ ანეტამაც უნდა იცოდეს, ალექსანდრეს რომ უყვარს იგი, ალექსანდრესთვის ერთადერთი ახლობელი ადამიანი რომაა ამ უზარმაზარ ქვეყანაზე, ღმერთისაგან ბოძებული, ღმერთისაგან გამორჩეული უცხო, გულგრილი და უნდობელი ადამიანების ზღვიდან და, რაც მთავარია, მართამ უნდა იგრძნოს, უნდა დაინახოს მათი სიყვარული. მაშინ, შეიძლება, ოცნებასაც ეშველოს რამე, მაშინ მართას, შეიძლება, კიდევ მოეწონოს აქაურობა და გული აღარ დაწყდეს უკვე მიჩვეულ ბუდეზე, სადაც მკვდარი მშობლები მაინც ჰყავდა გვერდით. ესეც მალე გაირკვევა. რამდენიც არ უნდა ითრიოს ალექსანდრემ ფეხი, რაკი აქამდე ჩამოვიდნენ, ის ხუთიოდე კილომეტრიც უნდა გაიარონ, ყველაზე ძნელი გასავლელი რომ აღმოჩნდა ბოლოს. ალექსანდრე აივანზე გადმოკიდებულ ძაძას უყურებს და თვალწინ ანეტას ჩამოხეული საყელო უდგას, პერანგის სამხრე და სუსტი, გულისამაჩუყებლად სუსტი მხარი. „კახპა“, — ესმის საკუთარი ხმა და ახლაც თავზარი ეცემა, გული ეხევა ანეტას გაოცებული და შემკრთალი თვალების წარმოდგენაზე. ალექსანდრეს ერთადერთ ხელს ახლაც ახსოვს, როგორ გაუძალიანდა ანეტას კაბის ქსოვილი, ჭრილობაზე მიწებებული სახვევივით, მაგრამ ალექსანდრემ მაინც ჩამოხია იგი, რადგან ბრმა და უგულო იყო, თუმცა დის სიშიშვლემ მაინც შეაშფოთა, მაინც აუჩუყა გული, რადგან მართლაც ჰქონდა რაღაცა, შემაშფოთებელიცა და გულის ასაჩუყებელიც ანეტას შიშველ მხარს, როგორც სასიკვდილო ჭრილობას.

— აღარ დავიძრათ? — ეუბნება ალექსანდრე მართას.

— რომ არავინ დაგვხვდეს? — თავის მოუბრუნებლად კითხულობს მართა, თითქოს ბიძამისის ნათქვამს კი არ პასუხობს, არამედ — ნაფიქრალს.

— დაგვხვდებიან, გოგო, ნუ გეშინია. თუ არადა, აქ არა ვარ?! — ცდილობს მართას დამშვიდებას, მართას ნათქვამით უარესად აფორიაქებული ალექსანდრე.

— მე არ მეშინია. — ამბობს მართა. „არაფრის არ მეშინია“, აგრძელებს გუნებაში.

წნორი მზეზე ბრჭყვიალებს, თითქოს დაფშვნილი შუშა გადაუბნევიათ ზემოდან. ზურგს უკან ბაზარი ყაყანებს. სადგურის წინ შავად კრიალებს დილიჟანსი. დილიჟანსის სახურავზე გასულ ბიჭს კალათებსა და ხურჯინებს აწვდის დილიჟანსის პატრონი. ახალი უბნის გასწვრივ დაბალი, ჯერ კიდევ ნორჩი კაკლები დგანან. ალექსანდრეს ოფლისაგან ხალათი ბეჭებზე დასველებია, ორი შავი, უფორმო ლაქა გასჩენია, თითქოს ეს-ესაა ფრთები გადაუჭრიათ მისთვის და გადანაჭრებიდან ჯერ კიდევ მოჟონავს ცხელი და ორთქლიანი სისხლი. მიდის, ორღობეში მიაბიჯებს. მართა უკან მიჰყვება. მათი ფეხის ხმაზე წამოფრენილი ბეღურები ღობის სარებზე სხედან და ელოდებიან, როდის ჩაივლიან, რათა ისევ მიუბრუნდნენ გზაზე დატყაპნილ ფუნას. მართასტოლა გოგოს თიკნისთვის რქაში ჩაუვლია ხელი და ძალით მოათრევს. თიკანი გვერდზე იწევს, უძალიანდება, გაფშეკილი ფეხებით ფხოჭნის მიწას, თან მართას უყურებს წყლიანი, გაკვირვებული თვალებით. ეზოს სიღრმეში თეთრი ხილაბანდებით პირაკრული ქალები თონეს ახურებენ. თონის თავზე ჰაერი ბიბინებს. ცეცხლის ამონასუნთქს ნავლი და ნაპერწკალი ამოაქვს. ღობის ძირას მიყრილ ნაცარში შავი, წითელბიბილოიანი დედალი იქექება. ისიც მართას უყურებს თითქოს, კისერმობრეცილი. მართასთვის ყველაფერი ნაცნობია უკვე, დარიალიდან თბილისამდე მთელი გზა ფეხით გაიარა ლამის, თბილისიდან წნორამდე მატარებელს ჩამოყვა. მატარებლის სარკმლიდანაც ბევრი რამის ნახვა მოასწრო, მაგრამ წნორი მაინც გამოირჩევა სხვა დაბა-სოფლებისაგან, ბანაკს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფელს, მზეზე გამოხუნებული კრამიტის ფერი და ქვიტკირის ძველი კედლების რულმორეული სიმყუდროვე აკლია. მართა ამდენს ვერ ხვდება, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც ეჩოთირება და ამავე დროს რაღაც ეცნობა ამ მტვრიანსა და ფარღალალა სივრცეში. მაგრამ წნორი უკვე ზურგს უკანაა, გზა ახლა მინდორზე მიდის, გზა კი არა, საცალფეხო ბილიკი, კაცის ფეხით, საქონლის ჩლიქითა და ცხენის ფლოქვით დატკეპნილი, გამკვრივებული, მკვეთრად დამჩნეული გაყვითლებულ, გადახუნებულ მინდორზე. წინ ურუქია, მართას მამის სოფელი, რომელიც უნახავად უყვარს მართას. ვალდებულია, უყვარდეს იგი, რადგან სანამ ურუქი იარსებებს, არც მისი მშობლები ჩაითვლებიან მკვდრებად, ასე უთხრა მამამ და მართა

ბედნიერია, ურუქი რომ არსებობს ამ ქვეყანაზე. ტყუილად ეშინია ბიძამისს, ვინც არ უნდა დახვდნენ და როგორც არ უნდა დახვდნენ შინ, ვეღარაფერი ამოუგდებს გულიდან ამ სიყვარულს. მართა არც ისეთი პატარაა და არც ისეთი სულელი, როგორც ბიძამისს ჰგონია, მართამ უფრო მეტი იცის, ვიდრე მოეთხოვება, მან ისიც იცის, რომ მათი ოჯახი არასოდეს არ იქნება ბედნიერი, სანამ შეშლილი სლმნი ღუმელზე წევს და ტირის, არავის არა აქვს ნება, ბედნიერი იყოს, არც მართას. ასე რომ, ტყუილად ითრევს ბიძამისი ფეხს, მართას არც არაფერი გაუკვირდება და არც არაფერი შეაშინებს. მართა იმიტომ გადარჩა, რომ ის გადაარჩინოს, რისი გადარჩენაც კიდევ შეიძლება.

ასე უთხრა მამამ და მართაც, დაბადებით კატორღელი, უმალ მოკვდება, შიმშილით მოიკლავს თავს, ვიდრე მამისა და ამხანაგის სიტყვას დაივიწყებს. მართა იმ დღეზე ფიქრობს, როდის მოაშორებს დედ-მამის საფლავს მავთულხლართის ღობეს, როდის მოაყრის ურუქიდან ჩატანილ მიწასა და ყვავილებს, ბიძამისი კი, სულ იმის შიშშია, მოეწონება თუ არა მართას თავისი სოფელიო, მაგრამ ბიძამისი ცოტა დიდხანს რომ დარჩენილიყო კატორღაში, იმასაც გაიგებდა, რომ სამშობლოს არჩევა ისევე არ შეიძლება, როგორც დედისა. ამიტომაცაა, ასე ხალისიანად რომ მიაბიჯებს მართა გამოხუნებულსა და მტვერდაფრქვეულ მინდორზე. წნორი უკვე ზურგს უკანაა, ჩახუთული, ჩავარდნილი, მზით ამობუგულ ტაფობში ჩაკარგული, მუმლისა და კოღოს საბუდარი, გზაზე დამდგარი, ადგილს მომწყდარი ხალხის თავშესაყარი, მაგრამ ისიც ძვირფასი და აუცილებელია მართასთვის, როგორც ყველა გოჯი მიწისა, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია. მართას ჯერ ისევ ყურებში უდგას ბაზრის უაზრო, უთავბოლო ბზუილი, ახლაც თვალწინ უდგას ათასნაირად გადაჭრელებული დახლები და, როგორც მაშინ არ გაჰკვირვებია, არც ახლა უკვირს, მის დანახვაზე არავის რომ აუტეხია განგაში, არავინ რომ გადაჰფარებია თავის საქონელს და ყველანი სიბრალულითა და სიყვარულით რომ შემოსცქეროდნენ კატორღელების შვილსა და თავადაც კატორღელს. „ჩვენი ხალხი კეთილია და ამ სიკეთით უდგას აქამდე სულიო“, — ეუბნებოდა მამა და ახლა მართა სწორედ სიკეთეზე ფიქრობს, აინტერესებს, თვითონ სიკეთეს. რითი უდგას სული, რითი იკვებე-

ბა, სად იძინებს, რატომ გაელვებს ხოლმე და რატომ არ ჩანს მთლიანად, საძებარი და ამოსაცნობი რომ არ იყოს ყოველთვის; ნუთუ იმასაც გამოზოგვა უნდა, როგორც პურს, როგორც წყალს, როგორც ცეცხლსა და მარილს და ბევრი ისიც მაწყენარია, როგორც პური, წყალი, ცეცხლი და მარილი? „გინდა სამოთხე დაგანახო?“ — რატომღაც ახსენდება მართას ფასანაურელი მწყემსი ბიჭის სიტყვები. ბიჭს ნაძვის რტოსავით უხეში და ჯიუტი ქოჩორი ჰქონდა და შავი, ჭინკებით სავსე თვალები. ღელავდა, თითქოს რცხვენოდა საკუთარი საქციელისა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა მართას, შეიძლება, თავისი დის ჯიბრზე, სიცილისთვის გამზადებული, პირზე უკვე ხელებაფარებული, ადგილზე რომ ცქმუტავდა მოუთმენლობისაგან და კალთაგამომწვარი კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა. „მიდი, ჰო, მიდი. ჩემთანა გაქ დიდი გული“. — ეძახდა ძმას, „ოღონდ, თვალები უნდა დახუჭო და რამე კარგზე იფიქრო“. — ეუბნებოდა ბიჭი მართას. მართამ თვალები დახუჭა და სლმნი დაინახა. მისი სევდიანი, ტკბილი ხმაც ჩაესმა უცებ: „გალიაში გაგზარდე, ვით მაისის ბულბული“. მართა საკუთარ, მზისგან გაწითლებულ ქუთუთოებსაც ხედავდა და გრძნობდა, როგორ ფეთქავდნენ მისი თვალები, ბუდეში ჩაყუჟული ბარტყებივით. „ვაიმე, ხალხო, გამოდით, შეყვარებულები გაჩვენოთ!“ — დაიყვირა ბიჭის დამ.

„გატლეკილო“. — ლამის მართას ტუჩებთან თქვა ბიჭის მთრთოლვარე ხმამ, ბიჭის ამონასუნთქმა ტუჩებზე მოუღიტინა მართას და თვალები გაახილა. ბიჭი დაბნეული უყურებდა, ყვრიმალები წამონთებოდა, ახლა თითქოს ეშინოდა მართასი, „აი, ეგა გვიშლის“, — თავი აიქნია დისკენ. „ვერ აკოცე, ვერ აკოცე. ვერ აკოცე“. — ყვიროდა მისი და, თან ცალ ფეხზე ხტუნავდა და ტაშსა სცემდა. მაგრამ მართამ მაინც დაინახა, უფრო სწორედ, მაინც იგრძნო რაღაცა სამოთხისებური და ბედნიერი იყო, ძალიან ბედნიერი. მივიდა და თვითონ აკოცა ბიჭს. ბიჭმა შეშფოთებულმა გახედა დას. მერე გაიღიმა. მერე მიწაზე დაგდებულ სახრეს დასწვდა და ღობის ძირას ჩაბერებულ ჭინჭარს დაუწყო კაფვა. „უხ, შენი... უხ, შენი...“ — ხმას აყოლებდა ბიჭი სახრის შხუილს და სახრის ყოველ მოქნევაზე ასპიტის თავებივით ცვიოდა მის ფეხებთან ჭინჭრის მსუსხავი, ბუსუსიანი და გამოშავებული ფოთოლი.

ქარი ხან ზურგიდან დაეძგერება მართას, ხან კი გვერდიდან. კაბას წამოუფრიალებს, ცოტა ხანს დაყოვნდება კაბის ქვეშ და უცებ გაუგრილებს შემოდგომის კაპასი მზით გახურებულ სხეულს. მერე შეეშვება, ბალახს გადაქექავს უჩინარი ხელებით და რაღაცას დაეძებს გამალებული, რაღაცას, მარტო მისთვის არსებულს. ხანდახან გვრიტი წამოუფრინდება ხოლმე და ახლა იმას მისდევს. გაპუტული და ადგილზე დაბმული ორბებივით წრიალებენ დაბალი, ეული ბუჩქები და ამაოდ ცდილობენ წამოფრენას ბუმბულგაცლილი ფრთებით.

სამაგიეროდ მათი ბუმბული ტრიალებს ქარში, წითლად, ყვითლად, ნარინჯისა და სადაფისფრად. მინდვრის ბოლოში ნასაყდრალი მოჩანს. ქარი ალექსანდრეს იღლიაში ამოდებულ ქურქსა და ჯუბასაც დაეძგერება ხოლმე და ისე შეათრთოლებს, თითქოს ალექსანდრეს ცოცხალი ცხვარი მიჰყავს და ძლივს აკავებს, ხელიდან რომ არ გადაუხტეს. ნასაყდრალი თანდათან ახლოვდება, მართამ იცის, ნასაყდრალი რომ უნდა დახვდეთ გზაზე, ალექსანდრესგან იცის. ნასაყდრალის მერე მთავარ გზაზე გავლენ, ცოტა ხანს კიდევ ივლიან, ივლიან, ივლიან და მაკაბელების გალავანშემოვლებული, ორსართულიანი სახლიც გამოჩნდება. იმ სახლის გამოცნობა მართას არ გაუჭირდება, დარწმუნებულია, რომ იცნობს. გააფრთხილა კიდეც ბიძა, შენ ნუ მეტყვი, აბა, მე თვითონ სწორედ მივადგები თუ არაო. ასე რომ არ მოხდეს, ეწყინება, რადგან ევგენი მიქაძისგან ბევრჯერ გაუგონია, რომ ნამდვილი კატორღელისთვის და ნამდვილი რევოლუციონერისთვის ერთხელ ახსნაც საკმარისია, საკუთარ ქვეყანაში კი არა, ჯოჯოხეთშიც რომ გაიგნოს გზა. მართა კი, შეიძლება, ჯერჯერობით ნამდვილი რევოლუციონერი არ იყოს, მაგრამ ნამდვილი კატორღელი რომაა, ამას არც მისი მეგობრები უარყოფენ, ცოტა მეტიცაა, რადგან მათგან განსხვავებით, მართამ სისხლთან ერთად მიიღო მშობლებისგან კატორღის მთავარი კანონის ცოდნა, რომ იმედის ანაბარა ცხოვრებას, უიმედოდ ბრძოლა სჯობია. „როგორც კი გავჩერდები, მოიხედავს“. — ფიქრობს მართა და ჩერდება, რადგან არ შეუძლია, არ გაჩერდეს. ალექსანდრეც იმავე წუთას, გაფრთხილებულივით, უკან იყურება და თვალებით ეკითხება, რა მოხდაო.

— ფისი მინდა. — ეუბნება მართა და ცხვირს ზუსტად ანეტასავით იჭმუხნის.

ალექსანდრე იღიმება და გზას აგრძელებს, მაგრამ ახლა უფრო ნელა მიდის, ვიდრე აქამდე მიდიოდა, თითქოს ერთი წუთითაც რომ შეყოვნდეს მართა, გზას ვეღარ გაიგნებს ამ ტრიალ მინდორზე, რომელზედაც მართასთვის მხოლოდ ალექსანდრე მოჩანს, ალექსანდრესთვის კი — მართა.

ალექსანდრე გაღიმებული მიდის. წინიდან რომ დაინახოს ვინმემ, სულელი ეგონება, მაგრამ ალექსანდრეს დღეის მერე, რამდენჯერაც მოუწევს ამ მინდორზე გავლა, ყოველთვის ასე სულელურად გაეღიმება, ხმელსა და გაფშეკილ ბალახებში ჩაცუცქული მართას წარმოდგენაზე. „მეტიც არაფერი მინდა, ვინმემ უბატონოდ გასცეს ხმა.. ცხვირი აუბზუოს... მეტიც არაფერი მინდა“, — ფიქრობს ალექსანდრე და მიდის, სულელურად მომღიმარი, მისი ტანი კი, დაძაბული ელოდებოდა, როდის წამოეწევა მართა. წინ ნასაყდრალი და წყვილი კაკლის შემჭკნარი კენწეროები მოჩანს. ნასაყდრალი მთავარი გზის აქეთაა, კაკლები კი — იქით, გადაღმა, მაგრამ აქედან ისე ჩანს, თითქოს კაკლებს ნასაყდრალის ჩაქცეულ სახურავში ამოუყვიათ კენწეროები. ქარს უკვე კაკლის ფოთლისა და წენგოს სუნიც დაჰკრავს, მდორე, ღონიერი. მართაც უკვე წამოსწევია, მაგრამ ალექსანდრე უკან აღარ იყურება, ტანს ენდობა, რაკი ტანმა უგრძნო, შემოწმება აღარაა საჭირო.

ნასაყდრალის კედელთან შაოსანი დედაკაცი ზის. სახე წამოწითლებია. ალბათ, ჩქარა იარა და ახლა ისვენებს. წაღები გაუხდია და გვერდზე უწყვია თავსაფარიც მოუხსნია და მუხლზე გადაუფენია. ზედ ნაჯაფი, დაშაშრული ხელის მტევნები დაულაგებია, ერთმანეთის გვერდით, თითქოს ღმერთს აჩვენებს, აი, რითი უდგას ქვეყანას სულიო. ნაოჭებად ჩაშლილი კაბიდან თეთრი, ქათქათა წინდებით შემოსილი ფეხის წვერები მოუჩანს, უთავსაფროდ უფრო ახალგაზრდა ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია, ახალგაზრდა კი არა — უასაკო. თითქოს ასეთი გაჩნდა და ასეთი იქნება სულ. ცხენის კუდივით ხშირი და მკვრივი თმა აქა-იქ გასჭაღარავებია. პირმოკუმული ზის, ფიქრიანი, ბიბლიურ ხესავით მშვიდი და ლამაზი, მარადიული მსახური ღვთისა

და კაცისა, მარადიული დედა, მეუღლე და... ბავშვის გამზრდელი, პურის ჩამკვრელი, მაწვნის ჩამდედებელი... დამლოცველი და დამტირებელი, თაფლივით ტკბილი თითით პირველი კიჭის მომსინჯველი და ჭირში გაკერპებული ხელით თვალების დამხუჭველი. დამწვარზე სულის შემბერავი, ჭრილობაზე მალამოს დამდები, ბავშვის ფსიტის, პურისა და კერიის სუნით გაჟღენთილი. ლხინში მორცხვი, გვერდზე გამდგარი, ჭირში კი — ალქაჯი, ლეკვებიანი მგელივით თავგანწირული. არც უმადური და არც მადლიერი ღმერთისა, მაგრამ მისი პატივისმცემელი, მცოდნე და დამფასებელი მისი ყადრისა, როგორც ღირსეულ მეტოქეს შეშვენის.

არც უბედური და არც ბედნიერი, როგორც თავად ცხოვრება. არც მხიარული და არც მოწყენილი, როგორც სული ცხოვრებისა. არც ახალგაზრდა და არც ბებერი, როგორც ბუნება. ძლიერი და გაუტეხავი, როგორც ამირანისა და მედეას დედა, და ამაყი და გულუბრყვილო, როგორც ამირანისა და მედეას ქალიშვილი.

— გამარჯობა, დედი. — ესალმება ალექსანდრე და ჩერდება, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ ამ ჭერჩაქცეულ, შამბმოდებულ ნასაყდრალთან ეს დედაკაცი დახვდებოდა, თითქოს თავიდანვე ასე იყო გათვალისწინებული.

— იცოცხლე, შვილო, — მშვიდად, გაუკვირვებლად პასუხობს დედაკაცი.

მართა მოშორებით დგას, ქარი ზურგში აწვება და წინ აგდებს, თითქოს ეუბნება, რა შორს დამდგარხარ, მიდი, აკოცე, ეგაა შენი დედაც, მამიდაც და ბებიაცო. მართა ქარს უძალიანდება, აფრიალებული კაბის კალთა ორი ხელით უჭირავს, თითქოს სიკეთის უხილავი ხისთვის შეუშვერია და ხელები ლამის დასწყდეს, კაბის კალთა ლამის ჩაეფხრიწოს იმ უხილავი ხის უხილავი ნაყოფის სიმძიმით. ქარი ეთამაშება მართას, მართა კი, ასე ფიქრობს: „გაიღე, მოწყალება, სიკეთის ხეო“, — ამბობს გუნებაში, ბედნიერი, გამხიარულებული თავისივე მოგონილი თამაშით.

— წნორში. მიბრძანდებით? — ეკითხება ალექსანდრე დედაკაცს. — აი, შვილიშვილებს დავხედავ მეთქი, — ამბობს დედაკაცი და თითქოს მხოლოდ მაშინ ამჩნევს მართას, კაბის კალთა რომ უჭირავს ორივე ხელით, ოდნავ თავგადაწეული, ცხვირშეჭმუხნილი რომ უყურებს, თითქოს წყალობას ელოდება მისგან. — მეცა მყავს შენისთანა გოგოები. — ეუბნება დედაკაცი მართას. — ერთი უკვე ხუთისაა, მეორე კი — სამის. გაიზარდე, შვილო, თქვენა ხართ ბებრების სიხარული.

— მე არც ბებო მყავს. ჩემი ბებო მკვდარია, — ამბობს მართა და თვითონაც გაოცებულია, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ამბობს ამას, პირველად გამოაქვს სააშკარაოზე თავისი საიდუმლო ეჭვი და წუხილი. ნირწამხდარია, როგორც წამიერი სისუსტის ჟამს გამოტეხილი პატიმარი, გრძნობს, როგორ წითლდება, როგორ გადასდის სახეზე შემაწუხებელი, წითელი სიმხურვალე და თავის თავზე ბრაზდება, თუმცა ეს წამიერი სისუსტე ამ უცხო დედაკაცის მშვიდი და გამაბრუებელი სურნელის ბრალია, რომელსაც ქარიც ვერ მორევია, ვერ გაუფანტავს, ვერ გაუნელებია და მართაც თავფეხიანად ჩაფლულა შიგ, როგორც დედის დაგებულ ლოგინში. იმასაც გრძნობს, როგორ შეაკრთო და შეაწუხა მისმა ნათქვამმა ნასაყდრალის კედელთან დამჯდარი დედაკაციცა და ბიძამისიც, უფრო ბიძამისი, რადგან არ ეგონა, ესეც თუ იცოდა მართამ. მართამ კი, ხათრი არ გაუწია, ბოლომდე არ მოატყუებინა თავი, თუმცა ბიძამისს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე აიძულებდა ტყუილის თქმასა და თვალთმაქცობას, ისევე როგორც მართას, რომელიც ტყუილს ტყუილითვე პასუხობდა.

— ალბათ, მკვდარია. — ცდილობს შეცდომის გამოსწორებას მართა. — ცოცხალი რომ იყოს, ჩვენს ამბავს როგორ არ იკითხავდა?! ბოლო წერილი ოთხი წლის წინ მოგვივიდა.

— ეგ ისეთი აქლემია, ყველას კარზე დაიჩოქებს, — ამბობს დედაკაცი. — მეც მომძოვა, შვილო, სიკვდილმა. ერთი შვილი მიწაში მიდევს, მეორე სალდათში დაიკარგა. რძალი შინ არ მომყვება, კიდევ იმედი აქვს, რა ვიცი, რა წუთას დაბრუნდებაო. — ისიც გამოტყდა, მაგრამ ის უცხო ბავშვის საცოდაობამ გამო-

ტეხა. თითქოს თავისი უბედურების გამომჟღავნებით იმას ნუ-გეშს სცემდა, გაამხნევებდა, გაუამხანაგდებოდა.

— დაგვლოცე, დედი. ობლები ვართ. — ძალისძალათი იღიმება ალექსანდრე, აცახცახებული ნიკაპი რომ გაიჩეროს როგორმე.

— ღმერთმა დაგლოცოთ და გადღეგრძელოთ, შვილო. — ამოოხვრით ამბობს დედაკაცი. — რას იზამ, ქვეყანა ქვრივობლობა ყოფილა. ჩვენც უნდა გავძლოთ. — აგრძელებს ცოტა ხნის მერე.

სიკვეთის უჩინარი ხე კი, ბუბუნებს და მისი უხილავი ნაყოფი თქრიალით ცვივა მართას კაბის კალთაში.

„უნდა გავძლოთ. — გუნებაში იმეორებს ალექსანდრე დედაკაცის სიტყვებს. — ქვეყანა ასეა, მაგრამ მაინც უყვართ, მაინც კითხულობენ ერთმანეთის ამბებს, იმედიცა აქვთ და მოლოდინიც“. ისა და მართა უკვე შარაგზაზე მიდიან. ახლა ალექსანდრე მიჰყვება მართას, რათა ქარის წამოშლილი მტვრისგან დაიფაროს. შარაგზის ფაფუკი მტვერი ხეების სიმაღლეზე ააქვს ქარს. თითქოს ბურუსში მიდიან, მაგრამ მართა მაინც ხალისიანად მიბაკუნობს მტვერში. ახლა კმაყოფილიცაა თავისი წეღანდელი დაუფიქრებლობით. ბიძას ერთი სადარდელი მაინც მოაშორა. ახლა ბიძამისმაც იცის, მართას რომ არ გაუკვირდება, ბებია თუ არ დახვდება შინ. მიდის, მიბაკუნობს, სხვისი ხეხილიდან მშვიდობიანად ჩამომძვრალი ბავშვივით კმაყოფილი და აღგზნებული. „არც იმ დედაკაცის დავიწყება შეიძლება, — ფიქრობს ალექსანდრე. — რაც დრო გავა, უფრო მეტი და მეტი იქნება დასამახსოვრებელი, მაგრამ ყველაფრის დამახსოვრება უნდა შესძლოს კაცმა. უნდა შესძლოს! — თითქოს ვიღაცას უბრაზდება. — უნდა შესძლოს! — თითქოს ვიღაცას უმეორებს — რადგან დავიწყება დამარცხებას ნიშნავს“. წინ კი, მართა მიბაკუნობს კვიცივით. მტვრისგან თვალდახუჭული, თამამად მიაბიჯებს ჯერ კიდევ უცხო, მაგრამ მშობლიურ მიწაზე. ქარი მტვერს ატრიალებს, ერთნაირად გაშიშვლებული, ერთ მხარეს გადაზნექილი ხეები ერთადერთს, უკანასკნელ ფოთოლს მისტირიან თითქოს, რომელიც მართას თავს ზემოთ დაფარფატებს ჰაერში,

არც მიწისაა და არც ცის, ცისა და მიწის შუა მარადიულ წრეში მოქცეულა, უფერული, უშუქო, როგორც გამოფიტული ვარსკვლავი.

„შენ ხარ ქრისტე ბარაბაში და ბარაბა ქრისტეში. ასე კი, არ შეიძლება. ან ერთი უნდა იყო, ან მეორე“. — ახსენდება ალექსანდრეს ზოსიმე მღვდლის ნათქვამი. „მე არც ქრისტე ვარ და არც ბარაბა, — ახლა ეპასუხება ალექსანდრე ზოსიმე მღვდელს. — მე ვარ ალექსანდრე, ალექსანდრე მაკაბელი.

აი, ამ პატარა გოგოს ბიძა და მეტიც არაფერი მინდა, ვინმე გადაუდგეს გზაზე“. ალექსანდრე არასოდეს არ ყოფილა ასეთი ბედნიერი, ასეთი თავისუფალი და, რაც მთავარია, ასეთი მშვიდი. თვითონ ვერცა ხვდება, რა ამბავია მის თავს, რამ გაუჩინა ასეთი გუნება-განწყობილება. თუმცა იმაზე მნიშვნელოვანს რას მიხვდება, რასაც მიხვდა, რაზედაც თვალი აეხილა, რაც უკვე მტკიცედ იცის. მტვერივით იოლად გაიფანტა საუკუნოვანი ეჭვი და ქარში აფარფატებული ფოთოლივით უბრალო და უფესვო აღმოჩნდა საუკუნოვანი გამოცანა: ვინა ვარ და რატომ ვარ. ის ამ პატარა გოგოს ბიძაა და მას ამ პატარა გოგოს მოვლა-პატრონობა ევალება. მიდის, მიალაჯებს ამ გამოცანის სიმარტივით გახალისებული, გაამაყებული. ხარბად ისუნთქავს მტვრით გასქელებულ ჰაერს და ბოლქვა-ბოლქვა აბრუნებს უკანვე დაბერილი, აცახცახებული ნესტოებიდან, გოროზი და ღონიერი, როგორც საომარი ცხენი. ახლა, როცა მშობლიურ სახლამდე დათვლილი ნაბიჯებიღა დარჩა, საბოლოოდ რწმუნდება, რაც ხდება, ცხადში რომ ხდება ყველაფერი, ის რომ მართლა ალექსანდრეა და ნამდვილად მართა რომ მიაბიჯებს მის წინ ნიკოს შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართლებელი და განმმტკიცებელი, ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მაინც სიცოცხლე: ჯიუტი, მზარდი, თამამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ახმახის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ. ცალხელა კაცს მეტი არც მოეთხოვება.